მკვდარი სულები

ქართულად თარგმნა დავით კასრაძემ

თავი პირველი

საგუბერნიო ქალაქ №№-ის სასტუმროს ჭიშკარში შევიდა საკმაოდ ლამაზი რესორიანი პატარა ბრიჩკა, რომლითაც უცოლშვილო ხალხი დაიარება: სამსახურიდან გადამდგარი პოდპოლკოვნიკები, შტაბს-კაპიტნები, ასიოდე სული ყმის პატრონი მემამულეები, – ერთი სიტყვით, ყველა ისინი, ვისაც საშუალო შეძლების ბატონებს ეძახიან. ბრიჩკაში იჯდა ერთი ბატონი, არცთუ ლამაზი, მაგრამ არცთუ უშნო შეხედულებისა, არც ძალიან სქელი, არც ძალიან თხელი; არ შეიძლება ითქვას, რომ მოხუცებული ყოფილიყო, მაგრამ არცთუ ძალიან ახალგაზრდა გახლდათ. მის მოსვლას ქალაქში არავითარი ხმაური არ გამოუწვევია და არც ისეთი არაფერი მომხდარა: მხოლოდ ორმა რუსმა გლეხმა, რომლებიც სასტუმროს პირდაპირ სამიკიტნოს კართან იდგნენ, რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, თუმცა ეს ლაპარაკი უფრო ეტლს შეეხებოდა, ვიდრე თვითონ მგზავრს. «შეხე, რა თვლებია! – უთხრა ერთმა მეორეს, – როგორ გგონია, შემთხვევა რომ იყოს, ვითომ მოსკოვამდის ვერ ჩაჰყვება?» –»ჩაჰყვება», – მიუგო მეორემ. «ყაზანამდის კი, ვგონებ, ვერ ჩაჰყვება». – «ყაზანამდის ვერ ჩაჰყვება», – მიუგო მეორემ. ამით დამთავრდა ლაპარაკი. გარდა ამისა, სასტუმროსთან მისვლისას ბრიჩკას ერთი ახალგაზრდა კაცი შემოხვდა, რომელსაც მეტისმეტად ვიწრო და მოკლე თეთრი კანიფასის შარვალი ეცვა; გამოწყობილი იყო ვითომცდა მოდაზე შეკერილ ფრაკში, გულისპირზე ბრინჯაოს დამბაჩიანი ტულის ქინძისთავი ჰქონდა დაბნეული. ახალგაზრდა კაცი მოტრიალდა, შეხედა ეტლს, ხელი წაატანა ქუდს, რომელიც კინაღამ ქარმა მოსტაცა, და თავის გზას გაუდგა.

როდესაც ეტლი ეზოში შევიდა, ბატონს გამოეგება ტრაქტირის ბიჭი, ანუ « პოლოვოი», როგორც მათ რუსულ ტრაქტირებში უწოდებენ ხოლმე, – იმდენად მკვირცხლი და მოძრავი, რომ თითქმის შეუძლებელი გახლდათ მისი სახის გარჩევა. თავადაც ახმახსა და გრძელს დემიკოტონის გრძელი სერთუკი ეცვა, რომლის ზურგი ლამის კეფას ებჯინებოდა; პოლოვოი მარდად გამოიჭრა ხელსაწმენდით ხელში, ერთი კი შეიბერტყა თმა და მერმე მკვირცხლად გაუძღვა ბატონს ზევით, გაატარა ფიცრული დერეფანი, რათა მისთვის ეჩვენებინა ღვთით მომადლებული მოსასვენებელი ოთახი. მოსასვენებელი ოთახი ჩვეულებრივი გახლდათ, ვინაიდან სასტუმროც ჩვეულებრივი იყო, ესე იგი სწორედ

ისეთი, როგორიცაა ხოლმე საგუბერნიო ქალაქთა სასტუმროები, სადაც მგზავრებს დღე-ღამეში ორ მანეთად ეთმობათ მყუდრო ოთახი ყველა კუნჭულიდან შავქლიავივით გამომზირალი ხოჭოებით და მეზობელ ოთახში გამავალი კამოდმიდგმული კარით; იმ ოთახში კი მოუკალათნია ყოვლად ჩუმსა და უწყინარ, მაგრამ მეტისმეტად ცნობისმოყვარე მეზობელს, რომელიც ცდილობს ყველაფერი დაწვრილებით გაიგოს, რაც კი მგზავრს შეეხება. სასტუმროს გარეხედი შეეფერებოდა მის შინაგან განლაგებას: ეს იყო მეტად გრძელი, ორსართულიანი შენობა; მუქი წითელი აგურით ნაგები ქვედა სართული გაულესავი დარჩენილიყო და ისედაც ჭუჭყიანი, ავდრისაგან კიდევ უცრო ჩაშავებულიყო. ზედა სართული გაუხუნარი ყვითელი საღებავით შეეღებათ; ქვემოთ დუქნები გაემართათ, სადაც გამოეკიდათ ცალუღები, თოკები და ბლითების ასხმულები. კუთხის ერთ-ერთ დუქანში, ან უკეთ – ფანჯარაში, მოთავსებულიყო მეთაფლუჭე, რომელსაც გვერდიოთ სპილენძის სამოვარი მოედგა და თვითონაც ისეთივე წითელი გახლდათ, როგორც ის სამოვარი. ასე რომ შორიდან შეიძლება გეფიქრათ, ფანჯარაში ორი სამოვარი დგასო, ერთი რომ კუპრივით შავწვერიანი არ ყოფილიყო.

ვიდრე ახალმოსული ბატონი თავის ოთახს ათვალიერებდა, მისი ბარგი-ბარხანაც შემოიტანეს: უწინარეს ყოვლისა, თეთრი ტყავის ჩემოდანი, რამდენადმე შეცვეთილი, როგორც ხშირი მოგზაურობის უტყუარი საბუთი. ჩემოდანი შემოიტანეს დაბალმა და ქურქში გახვეულმა მეეტლე სელიფანმა და ოცდაათიოდე წლის ლაქიამ – პეტრუშკამ, რომელსაც ხალვათი და კარგა მოძველებული სერთუკი ეცვა, ალბათ ბატონისეული. პეტრუშკა ოდნავ პირქუშად გამოიყურებოდა და ძალზე დიდრონი ტუჩები და ცხვირი ჰქონდა. ჩემოდანს მოაყოლეს წითელი ხის პატარა ყუთი, რომელიც კარელიური არყის ხით იყო მოჩუქურთმებული. შემდეგ საჩექმე კალაპოტები და ლურჯ ქაღალდში გახვეული შემწვარი ქათამი. როდესაც ეს ყველაფერი შემოიტანეს, მეეტლე სელიფანმა ცხენების მოსავლელად გასწია თავლაში, ხოლო პეტრუშკა სოროსავით ბნელ პატარა წინკარში შეუდგა მოკალათებას, სადაც უკვე შეეტანა თავისი შინელი და მასთან ერთად რაღაცნაირი თავისებური სუნი, რომელიც ლაქიის სამოსელით სავსე ტომარასაც გადასდებოდა. ამ სოროს ერთ კედელთან მან გამოაწყო სამფეხა ვიწრო საწოლი, ზედ მორჩილი ლეიბის მინამსგავსი რამ გადააფარა, ბლინივით დაზეპილი და ბრტყელი და შეიძლება იმ ბლინივით გაქონილიც, სასტუმროს პატრონს რომ გამოსთხოვა.

ვიდრე მსახურნი საქმიანობდნენ, ბატონმა საერთო დარბაზისკენ გასწია. თუ როგორია ეს საერთო დარბაზები – ყველა მგზავრს კარგად მოეხსენება: იგვე ზეთის საღებავებით შეფერადებული კედლები, ზემოთ რომ ყალიონის ბოლით შერუჯულა, ხოლო ქვემოთ მგზავრების, უფრო კი ადგილობრივი ვაჭრების ზურგის ხახუნით გაქონილა, ვინაიდან ბაზრობაზე აქ თავს იყრიდა ექვს-ექვსი, ხშირად შვიდ-შვიდი სულიც, რომ ჩვეულებისამებრ რამდენიმე ფინჯანი ჩაი დაელიათ; იგივე შემჭვარტლული ჭერი; იგივე გამურული ჭაღი ზედ შეკონწლილი შუშის სამკაულებით, უმალ რომ ხტუნაობას და წკრიალს მოჰყვებოდნენ, როგორც კი ლაქია გამოირბენდა გაცვეთილ მუშამბაზე სინის მარჯვე ქნევით, რომელზედაც აუარება ფინჯანი იყო გამწკრივებული, როგორც ზღვის პირად ფრინველები; იგივე მთელი კედლის გაყოლებაზე ზეთის საღებავებით დახატული სურათები, – ერთი სიტყვით, აქაც ყველაფერი ისე იყო, როგორც ყველგან; განსხვავება

მხოლოდ ის გახლდათ, რომ ერთ სურათზე დახატულ ფერიას ისეთი დიდი გულმკერდი ჰქონდა, რომლის მსგავსი მკითხველს, უეჭველია, არსად არ ექნება ნახული. თუმცა ბუნების ასეთი საკვირველება ზოგიერთ ისტორიულ სურათზეც შეგხვდებათ, რომლებიც არავინ უწყის როდის ან საიდან შემოუტანიათ ჩვენს რუსეთში, ზოგჯერ, ასე გასინჯეთ, ხელოვნების მოტრფიალე დიდებულთა ხელითაც კი, რომელთაც ეს სურათები იტალიაში შიკრიკების რჩევით შეუძენიათ. ბატონმა ქუდი მოიხადა და ყელზე შეიხსნა ცისარტყელასავით ჭრელი მატყლის ყელსახვევი, რომელსაც ცოლიანებს მათი მეუღლე გაუმზადებს ხოლმე თავინთი ხელით და თან საკადრის დარიგებასაც დაურთავს, თუ როგორ უნდა შეიფუთნონ ყელი, უცოლშვილოებს კი, სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი, ვინ უმზადებს, ღმერთმა უწყის იმათი თავი, – პირადად მე ასეთი ყელსახვევი არასოდეს არ მიტარებია. ყელსახვევის შეხსნისთანავე ბატონმა სადილი მოითხოვა. ვიდრე ტრაქტირის ჩვეულებრივი ნაირ-ნაირი საჭმელი მოჰქონდათ, როგორც მაგალითად: შჩი ცხრაფურცელა ღვეზელათი, რასაც საგანგებოდ მგზავრებისათვის ინახავენ ხოლმე რამდენიმე კვირის განმავლობაში, მუხუდოთი შეზავებული ტვინი, ძეხვი კომბოსტოთი, მოხრაკული ყვერული, კიტრის მწნილი და მუდამ მისართმევად გამზადებული ხვეული ტკბილი ქადა, – ვიდრე ყველაფერი ეს მიერთმეოდა შემთბარი თუ პირდაპირ ცივი, მან მსახურს, ანუ პოლოვოის, ათასი სისულელე დააფქვევინა – თუ ვის ეჭირა წინათ ეს ტრაქტირი ან ვის ხელშია ახლა, აქვს თუ არა რაიმე შემოსავალი და დიდი გაიძვერაა თუ არა მისი პატრონი; რაზეც ლაქიამ ჩვეულებისამებრ უპასუხა: «ო, დიდი თაღლითი ვინმეა, ბატონო!» როგორც განათლებულ ევროპაში, ისე განათლებულ რუსეთში ამჟამად მრავლად მოიპოვებიან ისეთი პატივცემული გვამნი, რომელთაც არ შეუძლიათ ტრაქტირში პური ისე გატეხონ, რომ ლაქიას არ გამოელაპარაკონ და ზოგჯერ არ გაეხუმრონ კიდეც. თუმცა ესეც კია, რომ ახალმოსული სულ უბრალო კითხვებს როდი აძლევდა: მან განსაკუთრებული სიზუსტით გამოჰკითხა, თუ ვინაა ქალაქში გუბერნატორი, პალატის თავმჯდომარე, ვინაა პროკურორი, – ერთი სიტყვით, არც ერთი თვალსაჩინო მოხელე არ გამორჩენია, მაგრამ უფრო მეტი სიზუსტით და გულმოდგინებით გამოიძია ყველა თვალსაჩინო მემამულის ვინაობა: ვის რამდენი სული ყმა ჰყავდა, რამდენად ახლო ცხოვრობდა ქალაქიდან, რა ხასიათისა იყო და რამდენად ხშირად დაიარებოდა ქალაქში. ყურადღებით გამოიკითხა იმ კუთხის ვითარებაც: ხომ არ ყოფილა მათ გუბერნიაში რაიმე ავადმყოფობა – სასტიკი ციებ-ცხელება, რასაც სიკვდილიანობა მოჰყოლოდა, ან მოარული სახადი, ყვავილი თუ მათი მსგსვსი რაიმე სენი. ყველა ეს ისეთი სიზუსტით გამოიკითხა, რომ აშკარა იყო, უბრალო ცნობისმოყვარეობის გარდა კიდევ სხვა რამ ალაპარაკებდა. ბატონის საქციელში სიდარბაისლე მოჩანდა, ცხვირსაც მეტისმეტი ხმაურით იხოცავდა; არავინ იცის, როგორ ახერხებდა ამას, მაგრამ მისი ცხვირი ბუკივით განგაშებდა. ამ ყოვლად უბრალო ღირსებამ, როგორც ჩანს, დიდი პატივი მოუპოვა ტრაქტირის მსახურის თვალში, ასე, რომ ამ ხმის ყოველ გაგონებაზე იგი თმას შეარხევდა, უფრო მეტი პატივით გაიჭიმებოდა, თავს დაბლა დახრიდა და შეეკითხებოდა: ხომ არაფერი გნებავთო? ნასადილევს ბატონმა ერთი ფინჯანი ყავა მიირთვა და დივანზე ჩამოჯდა, თანაც ზურგს უკან ბალიში ამოიდო, რომელსაც რუსულ ტრაქტირებში რბილი მატყლის ნაცვლად აგურისა და სიპი ქვის მსგავსი რაღაცით გამოტენიან ხოლმე. აქ მოჰყვა მთქნარებას და ბრძანა მისთვის მიჩნეულ ოთახში წაეყვანათ, სადაც წამოწვა და ორი საათით მიიძინა. მოსვენების შემდეგ, ტრაქტირის ბიჭის თხოვნით, მან პატარა ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერა თავისი ჩინი,

სახელი და გვარი, რათა წარედგინათ სადაც ჯერ არს – პოლიციაში. კიბეზე ჩასვლისას მსახურმა ქაღალდის ნაგლეჯზე ჩათვლით შემდეგი ჩაიკითხა: «კოლეჟსკი სოვეტნიკი პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი, მემამულე, პირადი საქმეებისათვის ჩამოსული». ვიდრე მსახური ბორძიკით ბარათის კითხვას გაათავებდა, თვითონ პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი წაბრძანდა ქალაქის დასათვალიერებლად, რომლითაც, როგორც ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ეს ქალაქი არაფრით არ ჩამორჩებოდა დანარჩენ საგუბერნიო ქალაქებს: ყველგან თვალში მოგხვდებოდათ ქვითკირის კედლებზე წასმული ყვითელი საღებავი, ხის შენობებზე კი – მკრთალი ნაცრისფერი. სახლები იყო ერთ, ორ ან ერთნახევარსართულიანი, განუშორებელი მეზონინით, რომელიც, საგუბერნიო ხუროთმოძღვართა აზრით, ძალიან ლამაზი რამ იყო. ალაგ-ალაგ ეს სახლები მინდორივით გაშლილ ქუჩებსა და ფიცრულ ღობეებს შორის იკარგებოდა; ზოგან კიდევ ერთად შექუჩებულიყო, რის გამოც მოძრაობა და სიცოცხლე აქ უფრო შესამჩნევი იყო. აქ-იქ წააწყდებოდით წვიმისაგან თითქმის მთლად ჩამორეცხილ აბრებს, ზედ გამოხატული პურის კვერებითა და ჩექმებით, ზოგან კიდევ ლურჯი შარვალი დაეხატათ, რომლის ქვეშაც მოეწერათ ვიღაც არშაველი მკერავის სახელი; სად კიდევ ქუდების მაღაზია იყო წარწერით: «უცხოელი ვასილი ფიოდოროვი;» სად ბილიარდი დაეხატათ ორი მოთამაშით, რომელთაც ისეთი ფრაკი ეცვათ, როგორსაც იცვამენ ჩვენებურ თეატრებში სტუმრები, უკანასკნელი მოქმედების დროს რომ გამოდიან სცენაზე. მოთამაშენი გამოესახათ დამიზნებული კიებით, რამდენადმე უკან გადმობრუნებული ხელებითა და დაბრეცილი ფეხებით, რომელთაც ეს-ეს არის ჰაერში კამარა შეეკრათ. ყველა ამის ქვეშ წარწერაც მიეყოლებინათ: «ესე დაწესებულება აქ გახლავთ». აქა-იქ პირდაპირ ქუჩაში გამოედგათ მაგიდები თხილით, საპნითა და საპნისავე მსგავსი თაფლპურებით; სად სამიკიტნო იყო ზედ გამოხატული მსუქანი თევზითა და თევზის ზურგში ჩარჭობილი ჩანგლით. უფრო ხშირად კი შეამჩნევდით ჩაშავებულ ორთავიან სახელმწიფო არწივს, რომელიც ახლა ლაკონიური წარწერითაა შეცვლილი: «სირაჯხანა». ქვაფენილი ყველგან ოღრო ჩოღრო იყო. პაველ ივანოვიჩმა ქალაქის ბაღშიც შეიხედა. ცუდად ნახარი ნორჩი ხეებისათვის სამკუთხი ბიჯგები შეედგათ, რომლებიც ზეთის მწვანე საღებავით მეტად ლამაზად შეეღებათ. თუმცა ეს პაწია ხეები ლერწამზე მაღალიც არ იქნებოდა, გაზეთებში ილუმინააციის აღწერის დროს მათ თაობაზე ნათქვამი იყო, რომ: «სამოქალაქო მმართველის მზრუნველი ხელის წყალობით ჩვენი ქალაქი გამშვენიერდა ბაღით, სადც ხარობს ჩრდილოვანი, შტოებგაშლილი ხეები, რომლებიც პაპანაქება სიცხეში სიგრილეს მოჰბერენო». და შემდეგ: «გულის ამაჩუყებელი სურათი იყო, თუ ვითარის მადლობით თრთოდა მოქალაქეთა გული და ცრემლთა ღვართქაფიც უხვად იღვრებოდა ნიშნად უღრმესი მადლიერებისა ბატონ ქალაქის მმართველისადმიო». შემდეგ ჩიჩიკოვმა დაწვრილებით გამოჰკითხა მეჯიხურეს, უფრო მოკლე გზით როგორ შეიძლებოდა მისვლა, თუ საჭიროება მოითხოვდა, საკრებულო ტაძარში, სასამართლოში ან გუბერნატორთან, და გასწია მდინარის დასათვალიერებლად, რომელიც ქალაქს შუაში ჩამოუდიოდა. გზად მიმავალმა ჩიჩიკოვმა ბოძზე გაკრული აფიშა ჩამოხია, რომ შინ მისვლისას კარგად წაეკითხა: ბეჯითად გააყოლა თვალი ხის ტროტუარზე მიმავალ საკმაოდ ლამაზ ქალს, რომელსაც პატარა ბოხჩით ხელში უკან მისდევდა სამხედრო ლივრეაში გამოწყობილი პატარა ბიჭი; მერე ერთხელ კიდევ მიმოავლო თვალი მიდამოს, თითქოს იმ აზრით, რომ ადგილმდებარეობა კარგად დახსომებოდა, და გასწია პირდაპირ შინისაკენ, თავის

ნომერში, სადაც ტრაქტირის ბიჭმა კიბეებზე ასვლისას ოდნავ ხელი შეაშველა. ჩაი რომ მიირთვა, მაგიდას მიუჯდა, ბრძანა სანთელი მოეტანათ, ჯიბიდან აფიშა ამოიღო, სანთელთან მიიტანა, მარჯვენა თვალი ოდნავ მოჭუტა და შეუდგა კითხვას. აფიშაში მაინცდამაინც საგულისხმიერო არა ყოფილა რა: დგამდნენ ბ-ნ კოცებუს დრამას, რომელშიც როლას როლს ასრულებდა ბ-ნ პოპლიოვინი, კორასას – ზიაბლოვას ასული, დანარჩენები მათზე ნაკლებად ცნობილნი აღმოჩნდნენ, მაგრმ ყველაფერი მაინც ბოლომდე ჩაიკითხა, პარტერის ფასებამდისაც კი მივიდა და შეიტყო, რომ აფიშა დაბეჭდილია საგუბერნიო სამმართველოს სტამბაში; შემდეგ მეორე მხარეზე გადააბრუნა, აქაც ხომ არაფერი სწერიაო, და, რომ ვერაფერი იპოვა, თვალები მოიფშვნიტა, აფიშა გულდასმით დაკეცა და თავის ყუთში ჩადო, სადაც ჩვეულებრივ ინახავდა ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. ის დღე, იმით დამთავრდა, რომ კიდევ ინება ხბოს ცივი კერძი, ერთი ბოთლი Bბურახი და გულიანი ძილი ისეთი აუწერელი ხვრინვით, თითქოს საქაჩავები მოუშლიათო, როგორც ამბობენ ხოლმე რუსეთის თვალუწვდენელი სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში.

მთელი მეორე დღე ჩიჩიკოვმა დარბაზობას მოანდომა; ახალმოსული ქალაქის ყველა დიდებული მოხელის სანახავად გაემართა. პირველად პატივისცემით ეახლა გუბერნატორს, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ჩიჩიკოვივით არც სქელი იყო, არც თხელი, ყელზე ანას ჯვარი ეკიდა და, როგორც ამბობდნენ, ვითომც ვარსკვლავზე ყოფილიყოს წარდგენილი; მიუხედავად ამისა, იგი ფრიად გულკეთილი კაცი იყო, ასე განსაჯეთ, ხანდახან თვითონ ქარგავდა ხოლმე სალეჩაქეს. შემდეგ გაემართა ვიცე- გუბერნატორთან; მერე ინახულა პროკურორი, პალატის თავმჯდომარე,პოლიცმეისტერი, მოიჯარე, სახაზინო ფაბრიკების უფროსი...სამწუხაროდ, საკმაოდ ძნელია ყველა ძლიერთა ამა ქვეყნისა გახსენება: მაგრამ საკმარისია ითქვას, რომ ახალმოსულმა არაჩვეულებრივი მხნეობა გამოიჩინა სადარბაზოდ სიარულში: არ დაიზარა და თავისი პატივისცემის დასადასტურებლად საექიმო მმართველობის ინსპექტორს და ქალაქის ხუროთმოძღვარსაც კი ეწვია: შემდეგ კიდევ დიდხანს იჯდა ბრიჩკაში ჩაფიქრებული და იგონებდა, თუ კიდევ ვისთან მისულიყო სადარბაზოდ, მაგრამ ქალაქში მეტი მოხელე არ აღმოჩნდა. ამ ხელისუფლებთან საუბრის დროს იგი დიდი ოსტატობით ახერხებდა თითოეულის გულის მოგებას. გუბერნატორს გადაკვრით აგრძნობინა, თქვენს გუბერნიაში ისე შედიხარ, როგორც სამოთხეში, ყველგან ხავერდოვანი გზებია და დიდი ხოტბა-დიდების ღირსი არიან ის მთავრობანი, რომელნიც ასეთ ბრძენ მმართველებს ნიშნავენო. პოლიცმეისტერს აამა მეჯიხურეთა კარგი დახასიათებით; ხოლო ვიცე-გუბერნატორს და პალატის თავმჯდომარეს, რომელნიც ჯერ კიდევ მხოლოდ სტატსკი სოვეტნიკები იყვნენ, საუბრის დროს ორჯერ მიმართა: «თქვენო აღმატებულებავ», რითაც ორივენი ნასიამოვნები დარჩნენ. ამას ის მოჰყვა, რომ გუბერნატორმა იმავე დღეს შინაურ საღამოზე მიიპატიჟა ოჯახში; სხვა მოხელეებმაც თავიანთ მხრივ მიიპატიჟეს, ზოგმა სადილად, ზოგმა ბოსტონის სათამაშოდ, ზოგმაც ფინჯან ჩაიზე.

ახალმოსული, როგორც ეტყობოდა, თავის თავზე ბევრ ლაპარაკს ერიდებოდა; თუ რასმე იტყოდა, ისიც ბუნდოვნად და აშკარა მოკრძალებით; ასეთ შემთხვევაში მისი საუბარი რამდენადმე მწიგნობრულ იერს იღებდა: რომ ის უმნიშვნელო ჭიაა ამა ქვეყნისა და ღირსი

არაა, რომ იმაზე ბევრი იზრუნონ, რომ ბევრი რამ განუცდია თავის სიცოცხლეში, სიმართლისათვის გატანჯეს სამსახურში, უსიამოვნებაც შეხვედრია, კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს და აი ახლა, სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად, დაეძებს საბოლოო საცხოვრებელ ადგილს, ხოლო ამ ქალაქში მოსვლისას აუცილებელ მოვალეობად ჩათვალა თავისი პატივისცემა გამოეხატა ქალაქის წარჩინებულ პირთა წინაშე. აი, ყველაფერი ის, რაც გაიგეს ქალაქში ამ პიროვნებაზე, რომელსაც ბევრი აღარ დაუყოვნებია, რომ თავი ეჩვენებინა გუბერნატორის შინაურ საღამოზე. ამ საღამოსათვის სამზადისმა ორ საათზე მეტს გასტანა. მორთვა-მოკაზმვაშიც ახალმოსულმა ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, რომლის მსგავსსაც ბევრგან ვერ ნახავთ. ნასადილევს, პატარა მოსვენების შემდეგ, მოითხოვა პირი დაებანინებინათ და საპნით ძალიან დიდხანს იხეხა ორივე ლოყა, რომელთაც შიგნიდან ბოძივით შეუდგა ენა. მერე ტრაქტირის ბიჭს მხარზე გადაგდებული პირსახოცი ჩამოართვა და ყურის ძირებიდან მოყოლებული ყოველი მხრიდან შეიწმინდა ფუნთუშა სახე; თანაც ერთი ორჯერ შიგ სახეში შეუფრუტუნა ტრაქტირის ბიჭს. შემდეგ სარკის წინ გულისპირი გადაიცვა, ნესტოებიდან გამოჩრილი ორი ღერი ბეწვი გამოიწიწკნა და ბოლოს თავი ამოჰყო მოცვისფერ წინწკლოვან ფრაკში. ამგვარად მორთულ-მოკაზმული საკუთარი ეტლით გაემართა ფართოდ გაშლილი ქუჩებით, რომლებიც სუსტად გაენათებინა აქა-იქ ფანჯრებიდან გამომკრთალ შუქს. მიუხედავად ამისა, გუბერნატორის სახლი ისე იყო გაჩაღებული, რომ სამეჯლისოდაც გამოდგებოდა; ფარნიანი ეტლები, შესავალ კართან ორი ჟანდარმი, შორით ფორეიტორების ყვირილი, – ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე გახლდათ. დარბაზში შესვლისას ჩიჩიკოვი იძულებული იყო ერთი წუთით თვალები მოეხუჭა, ვინაიდან სანთლების, ლამპებისა და ქალების ტანისამოსის ელვარება აუტანელი იყო. გაჩახჩახებულ დარბაზში აქა-იქ შავი ფრაკები დაკიაფობდნენ ხან ცალ-ცალკე, ხან ჯგუფ-ჯგუფად, სწორედ ისე, როგორც ზაფხულის ცხელ დღეს ბუზები დასტრიალებენ ხოლმე თეთრად მოხასხასე შაქრის თავს, როდესაც ღია ფანჯრის წინ ბებრუხანა მეკუჭნავე შაქარს ამტვრევს და მოელვარე გროვებად აწყობს; ირგვლივ ბავშვები ეხვევიან და ცნობისმოყვარეობით თვალს არ აშორებენ მისი გამხდარი ხელებისა და ჩაქუჩის მოძრაობას, ხოლო ბუზების ჰაეროვანი ესკადრონები ლაღად დაფრენენ, როგორც ნამდვილი ბატონ-პატრონები. იმით გათამამებულნი, რომ დედაბერს თვალი არ უჭრის და მზეც იმ საბრალოს თვალებში უჭყიტინებს, ხან გაშლით, ხან კი გუნდ-გუნდად ეხუნძლებიან სანუკვარ ნატეხებს. ისინი ისედაც დამსუყებულნი არიან ღალიანი ზაფხულის წყალობით, რომელსაც უამისოდაც უხვად გამოუდგამს უგემრიელესი საჭმელები; ამიტომ ახლა საჭმელად კი არ მოფრენენ, არამედ იმისათვის, რომ თავი აჩვენონ, შაქრის გროვაზე გაიარ-გამოიარონ, უკანა და წინა ფეხები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვან და პაწია ფრთებქვეშ იღლიები მოიფხანონ, ან ორივე წინა თათი თავზევით აიშვირონ და ერთმანეთს გაუხახუნონ, მერე გაბრუნდნენ, გაფრინდნენ და ისევ მოფრინდნენ ახალ თავმომაბეზრებელ ესკადრონებად.

ჩიჩიკოვმა ვერც კი მოასწრო მიმოხედვა, რომ გუბერნატორმა მკლავში ხელი სტაცა და იქვე თავის მეუღლეს წარუდგინა. ახალმოსულ სტუმარს აქაც არ შეურცხვენია თავი: გუბერნატორის მეუღლეს რაღაც ქათინაური უთხრა, სრულიად შესაშვენი შუა ხნის კაცისათვის, რომელსაც არც ძალიან დიდი ჩინი აქვს და არც ძალიან მცირე. როდესაც წყვილ-წყვილად დაწყობილმა მოცეკვავეებმა ყველანი კედლისაკენ მისწი-მოსწიეს,

ჩიჩიკოვმა ხელები უკან დაიწყო და ორიოდე წუთს დიდი ყურადღებით შესცქეროდა მათ. ბევრ ბანოვანს კეკლუცად ეცვა, მოდის მიხედვით, დანარჩენები კიდევ ისე მორთულიყვნენ, რაც რომ ღმერთს ამ საგუბერნიო ქალაქისათვის გამოემეტებინა. როგორც ყოველგან, აქაც მამაკაცები ორგვარი ჯურისა იყვნენ: ზოგი თხელები, რომლებიც სულ ქალების ირგვლივ დაკურკურებდნენ; ბევრ მათგანს პეტერბურგელებისაგან ვერ გაარჩევდით; ამათაც იმნაირივე ფრიად მოფიქრებულად და ფაქიზად დავარცხნილი ულვაშები ჰქონდათ ანდა სანდომიანი, ფრიად სათუთად გაპარსული ფუნათუშა სახე; ესენიც ისევე დაუდევრად მიუსხდებოდნენ ქალებს გვერდით, ისევ ლაპარაკობდნენ ფრანგულად და იმნაირადვე აცინებდნენ ქალებს, როგორც პეტერბურგში. მეორე ჯურის მამაკაცები ან სქელები იყვნენ, ანდა ისეთები, როგორც ჩიჩიკოვი ესე იგი, არც ძალიან სქელები, მაგრამ არცთუ თხელები. ისინი, პირიქით, ქალებს ცერად უყურებდნენ, გაურბოდნენ და მხოლოდ აქეთ-იქით იხედებოდნენ, გუბერნატორის მსახურმა სადმე ხომ არ გაშალა მწვანე მაგიდა ვისტის სათამაშოდაო. ამათი სახე სავსე და დამრგვალებული იყო; ზოგიერთებს მეჭეჭები ამოსვლოდათ, ზოგიც ნაყვავილარი გახლდათ; თმაც თავზე არც აქოჩრილი ჰქონდათ, არც დახვეული, არცთუ «ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავის» მსგავსად დაყენებული, როგორც ამბობენ ფრანგები, – თმა ან ძირში გაეკრიჭათ, ანდა ძალზე გადატკეცილ-გადალოკილი ჰქონდათ, ხოლო სახის ნაკვთები მომრგვალებული და მტკიცე. ესენი გახლდნენ ქალაქის საპატიო მოხელენი. ვაგლახ! სქელებს უფრო მარჯვედ ეხერხებათ ამ ქვეყნად თავიანთი საქმეების გაჩარხვა, ვიდრე თხელებს, თხელები უფრო საგანგებო დავალებათა მოხელეებად მსახურობენ, ანდა მხოლოდ სახელით ირიცხებიან სამსახურში და აქეთ-იქით დასუნსულებენ, მათი არსებობა როგორღაც მჩატე, ჰაეროვანი და არასაიმედოა. სქელებს კი არასოდეს უჭირავთ საეგებიო ადგილი, სულ მტკიცე ადგილებს ირჩევენ და თუ სადმე დასხდნენ, ისე საიმედოდ და მაგრად დასხდებიან, რომ უმალ თვითონ ადგილი აჭრიალდება და ჩაიზნიქება, ვიდრე ისინი იქიდან დაიძვრებიან. მათ როდი უყვართ გარეგნული ბრწყინვალება; ფრაკიც ისე კოხტად არ ადგათ, როგორც თხელებს, სამაგიეროდ მათ ზანდუკებში დიდი ღვთის წყალობა ტრიალებს. თხელს სამი წლის განმავლობაში არც ერთი სული არ დარჩება ლომბარდში დაუგირავებელი; სქელი კი, გაიხედავთ და, სადმე ქალაქის ბოლოს ცოლის სახელზე მშვენიერ სახლს წამოჭიმავს არხეინად; შემდეგ მეორე ბოლოში მეორე სახლიც ამოყოფს თავს; შემდეგ ქალაქის მახლობლად პატარა სოფელსაც შეიძენს, ბოლოს დაბასაც – მთელი სახნავ-სათესი მინდვრებით. დასასრულ, როდესაც სქელი მოიხდის ღვთისა და ხელმწიფის ვალს, საზოგადო პატივით აღჭურვილი სამსახურს თავს ანებებს, გადადის თავის მამულში და დიდებული პურმარილიანი რუსი ბატონის კვალობაზე ცხოვრობს და ძალიან კარგადაც ცხოვრობს. მის შემდეგ კი მოჰყვებიან თხელი მემკვიდრეები და, რუსული ჩვეულებისამებრ, მამის მთელ ქონებას ბზესავით გაანიავებენ. რა დასამალია და ჩიჩიკოვსაც თავში თითქმის ასეთი აზრები მოსდიოდა, როდესაც საზოგადოებას ათვალიერებდა; ამის გამო იყო, რომ იგი დაბოლოს ისევ სქელებს შეუერთდა, სადაც თითქმის ყველა ნაცნობ პირს შეხვდა: აქ გახლდათ პროკურორი, რომელსაც მეტად ხშირი და ძალზე შავი წარბები ჰქონდა, მარცხენა თვალი კი ისე უპაჭუნებდა, თითქოს გეუბნება: «წამომყე, ძმობილო, იმ ოთახში, რაღაცას გეტყვიო»; თუმცა იგი ფრიად დამჯდარი და ჩუმი ადამიანი გახლდათ; აქვე იყო ფოსტმეისტერიც, კაცი დაბალი, მაგრამ მეტად ენამახვილი და ფილოსოფოსი; პალატის თავმჯდომარეც, ფრიად განმსჯელი და

თავაზიანი ადამიანი – ჩიჩიკოვს ყველანი ისე მიესალმნენ, როგორც ძველისძველ ნაცნობს, რაზედაც იგი, ოდნავ გვერდზე გადახრილი თავით, სასიამოვნო თავაზიანობით უპასუხებდა. აქვე გაიცნო მან ფრიად ზრდილი, თავაზიანი მემამულე მანილოვი და გარეგნულად რამდენადმე მოუხეშავი სობაკევიჩი, რომელმაც შეხვედრისთანავე ფეხი დაადგა და იქვე მოუბოდიშა: «გთხოვთ მაპატიოთ». აქვე მიაჩეჩეს ხელში ბანქო ვისტის სათამაშოდ, რაზეც კვლავ ზრდილობიანი თავდაკვრით უპასუხა. ისინი შემოუსხდნენ მწვანე მაგიდას და ვახშმობამდე არც ამდგარან. ყოველნაირი ლაპარაკი შეწყდა, როგორც ხდება საზოგადოდ, როდესაც საქმიან მუშაობას შეუდგებიან. ფოსტმეისტერი დიდი ენაწყლიანი ადამიანი იყო, მაგრამ ისიც კი, რაწამს ბანქო ხელში აიღო, უმალ დადუმდა, ფიქრმორეული გამომეტყველება მიიღო, ქვედა ტუჩი ზედას ააფარა და ამ მდგომარეობაში დარჩა, ვიდრე თამაში არ მოთავდა. როდესაც იგი სურათებს გადმოდიოდა, თუ ქალი იქნებოდა, მაგიდაზე ხელს მაგრად დაარტყამდა და თან მიაყოლებდა: «წამოვიდა ბებრუხანა ფოფოდიაო!», თუ მეფე იქნებოდა: «წამოვიდა ტამბოველი მუტრუკიო!» რაზეც პალატის თავმჯდომარე უმალვე უპასუხებდა: «მე კი მას ულვაშებზე მოვუსვამ! ულვაშებზე მოვუსვამო!» ზოგჯერ მაგიდაზე ქაღალდს რომ დაახლიდნენ, ასეთი სიტყვაც აღმოხდებოდათ ხოლმე: ეჰ! რაც იქნეს და იქნეს, რახან არაფერია, აგურს მოვდივარო! ანდა უბრალოდ წამოიძახებდნენ: ჩერვი! ჩერვოტოჩინა! პიკენცია! ან: პიკენდრას! პიჩურუშჩუხ! პიჩურა! ანდა სულ უბრალოდ: პიჩუკ! – ერთი სიტყვით, ყველა ისეთ სიტყვას მოჰკრავდით ყურს, რომლითაც თითოეული ფიგურა თავიანთ წრეში მოენათლათ. თამაშის შემდეგ, როგორც საყოველთაოდ ჩვევიათ, საკმაოდ ხმამაღლა იდავეს. ჩვენი ჩამოსული სტუმარიც კამათობდა, მაგრამ მეტისმეტად ოსტატურად, ასე რომ ყველანი ხედავდნენ, რომ კამათობდა, მაგრამ სასიამოვნოდ კამათობდა. არასოდეს არ იტყოდა: «თქვენ ჩამოხვედით», არამედ: «თქვენ ინებეთ ამის ჩამოსვლა», «მე პატივი მქონდა თქვენი ორიანი გამეჭრა» და სხვა ამგვარი. რომ უფრო მეტად დაეჯერებინა თავისი მოწინააღმდეგენი, მაშინვე შესთავაზებდა ვერცხლის მომინანქრებულ სათუთუნეს, რომლის ძირშიც შენიშნეს სურნელებისათვის ჩადებული ორი ია. მოსულის ყურადღება განსაკუთრებით ორმა მემამულემ მიიპყრო, მანილოვმა და სობაკევიჩმა, რომელნიც ზევითაც მოვიხსენიეთ. მან მაშინვე განზე გაიხმო პალატის თავმჯდომარე და ფოსტმეისტერი და მათი ვინაობა გამოჰკითხა. რამდენიმე შეკითხვამ უმალ გამოამჟღავნა, რომ სტუმარი არა მარტო ცნობისმოყვარეა, არამედ დამჯდარი ადამიანიც, ვინაიდან თავდაპირველად ის იკითხა, რამდენი სული ყმა ჰყავდა თითოეულ მათგანს ან როგორი მოვლილი მამული ჰქონდათ, და მხოლოდ ამის შემდეგ ჰკითხა ამ მემამულეთა სახელი და მამის სახელი. სულ მოკლე დროსი სავსებით მოასწრო მათი მოხიბვლა. მემამულე მანილოვი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ხანში შესული და ტკბილად მოჟუჟუნე თვალები ჰქონდა, განსაკუთრებით სიცილის დროს, იმდენად მოიხიბლა მისგან, რომ პირდაპირ გადაირია: დიდხანს, ძალიან დიდხანს ართმევდა ხელს და ბეჯითად სთხოვდა პატივი დაედო მისთვის და სწვეოდა სოფლად, რომელიც, მისი სიტყვით, თხუთმეტიოდე ვერსის დაშორებით მდებარეობდა ქალაქის საყარაულოდან. ჩიჩიკოვიც ფრიად ზრდილობიანი თავის დაკვრით და გულწრფელი ხელის ჩამორთმევით უპასუხებდა, რომ მზად არის, არათუ სიამოვნებით შეასრულოს ეს თხოვნა, არამედ უწმინდეს მოვალეობადაც მიიჩნიოს. სობაკევიჩმაც, ცოტა არ იყოს ლაკონიურად უთხრა: «ჩემთანაც გთხოვთ», თანაც ფეხი ფეხს შემოჰკრა, რომელზედაც

ისეთი უზარმაზარი ჩექმა ეცვა, რომ მისი შესაფერი ფეხი ძნელად თუ სადმე მოიპოვებოდა, ნამეტნავად დღეს, როცა თვით რუსეთშიც გადაშენება იწყო გოლიათებმა.

მეორე დღეს ჩიჩიკოვი პოლიცმეისტერს ეწვია სადილადაც და საღამოს გასატარებლადაც, სადაც ნასადილევის სამი საათიდან ვისტს ჩაუსხდნენ და ღამის ორ საათამდე თამაშობდნენ. იქ, სხვათა შორის, გაეცნო მემამულე ნოზდრიოვს, ასე ოცდაათი წლის კაცს, ცოცხალსა და მეტად თამამს, რომელმაც სამი თუ ოთხი სიტყვის უმალ «შენობით» დაუწყო ლაპარაკი. ნოზდრიოვი პოლიცმეისტერსაც და პროკურორსაც შენობით მიმართავდა და მეგობრულადაც ეპყრობოდა; მაგრამ როდესაც დიდ თამაშს ჩაუსხდნენ, პოლიცმეისტერიც და პროკურორიც დიდი ყურადღებით უსინჯავდნენ მას თითოეულ აყვანას და თვალყურს ადევნებდნენ მის მიერ ჩამოსულ თითქმის ყოველ ქაღალდს. მეორე დღეს ჩიჩიკოვმა პალატის თავმჯდომარესთან გაატარა საღამო. მასპინძელმა სტუმრები, მათ შორის ორი მანდილოსანი, რამდენადმე გაქონილი ხალათით მიიღო. შემდეგ ვიცე-გუბერნატორსაც ეწვია საღამოს გასატარებლად; შემდეგ მოიჯარესთან გახლდათ დიდ სადილზე: პროკურორს ეწვია მცირე სადილზე, რომელიც დიდ სადილს არ ჩამოუვარდებოდა; ასევე ეწვია ქალაქის თავს წირვის შემდეგ საუზმეზე, რომელიც აგრეთვე დიდ სადილადა ღირდა. ერთი სიტყვით, იგი შინ ერთ საათსაც არ რჩებოდა, სასტუმროში მხოლოდ დასაძინებლად უხდებოდა მისვლა. ჩამოსული ყველაფერში მოსწრებული და მარჯვე კაცი მოჩანდა და ყველას დაუმტკიცა დიდი გამოცდილება და სიდარბაისლე. რაზედაც არ უნდა ჩამოეგდოთ ლაპარაკი, ყველაფერზე შეეძლო გაპასუხება: თუ ცხენების მოშენებაზე იტყოდნენ რასმე, ისიც ცხენების მოშენებაზე ილაპარაკებდა; თუ ჯიშიან ძაღლებზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ისიც მეტად საქმიან შენიშვნებს დაურთავდა; სახაზინო პალატის მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებაზე ჩამოაგდებდნენ სიტყვას, ისიც დაუყოვნებლივ აჩვენებდა, რომ არც სასამართლოს ხრიკები და ოინებია მისთვის უცნობი ხილი; თუ ბილიარდის თამაშზე მსჯელობდნენ, ბილიარდის თამაშზეც არ დააცდენდა სიტყვას; სათნოებაზე ჩამოვარდებოდა მუსაიფი, სათნოებაზეც ძალიან კარგად მსჯელობდა, ისე რომ ცრემლიც კი მოერეოდა თვალზე; ღვინის სიმაგრეზე გადავიდოდნენ, თურმე ღვინის ავკარგიანობაც მშვენივრად მოეხსენებოდა; საბაჟოს თავმდეგებს და მოხელეებს შეეხებოდნენ, მათზეც ისეთ მსჯელობას გააბამდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო მოხელეც და თავმდეგიც. მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ ყველა ამას ახერხებდა საოცარი თავდაჭერით და დარბაისლური სიდინჯით, არც ხმამაღლა ლაპარაკობდა, არც ხმადაბლა, არამედ სწორედ ისე, როგორც საჭიროა. ერთი სიტყვით, საიდანაც არ უნდა შემოგეარათ, ყოველმხრივ ძალზე რიგიანი კაცი იყო. ყველა მოხელე კმაყოფილი იყო ახალი კაცის გამოჩენით. გუბერნატორი ამბობდა, ეგ კეთილმზრახველი კაციაო; პროკურორი ირწმუნებოდა, ეგ საქმის კაციაო; ჟანდარმთა პოლკოვნიკის აზრით ის ნასწავლი კაცი იყო; პალატის თავმჯდომარე გაიძახოდა, ეგ მცოდნე და პატივსაცემი კაციაო; პოლიცმეისტერის სიტყვით ის ღირსეული და თავაზიანი იყო; ხოლო პოლიცმეისტერის მეუღლე ირწმუნებოდა – ის უთავაზიანესი და უსაყვარლესი ადამიანიაო. თვით სობაკევიჩმაც კი, რომელიც იშვიათად თუ ვინმეზე იტყოდა ხეირიან სიტყვას, ქალაქიდან კარგა მოგვიანებით დაბრუნების შემდეგ, როცა გაიხადა და თავის გამხმარ ცოლს გვერდით მიუწვა, ასე უთხრა: «მე, ჩემო სულიკო, გუბერნატორთან ვიყავი საღამოზე, პოლიცმეისტერთანაც ვისადილე და გავიცანი კოლეჟსკი სოვეტნიკი პაველ

ივანოვიჩ ჩიჩიკოვი: ფრიად სასიამოვნო ადამიანია!» რაზეც მეუღლემ უპასუხა «ჰმ!» და ფეხი წაჰკრა.

ასეთი სახარბიელო აზრი შეიქნა ქალაქში სტუმრის შესახებ და ამან იმ დრომდე გასტანა, ვიდრე სტუმრის ერთმა უცნაურმა ზნემ და წამოწყებამ, ანუ, როგორც პროვინციაში იტყვიან ხოლმე, ერთმა პასაჟმა, რასაც მკითხველი მალე გაეცნობა, დიდ საგონებელში არ ჩააგდო მთელი ქალაქი.

თავი მეორე

უკვე ერთ კვირაზე მეტხანს ცხოვრობდა ჩამოსული ბატონი ქალაქში, სადილ-ვახშამზე დაბრძანდებოდა და ამნაირად, როგორც იტყვიან ხოლმე, ძალიან სასიამოვნოდ ატარებდა დროს. ბოლოს გადაწყვიტა თავისი დარბაზობა ქალაქგარეთაც გადაეტანა და სწვეოდა მემამულე მანილოვს და სობაკევიჩს, რომლებისთვისაც სიტყვა ჰქონდა მიცემული. იქნებ ეს დარბაზობა გამოწვეული იყო სხვა რამ უფრო საფუძვლიანი მიზეზით, უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო საქმით... მაგრამ ყველა ამას მკითხველი თანდათანობით და თავის დროზე გაიგებს, თუ მოთმინებას იქონიებს და წაიკითხავს წინამდებარე მოთხრობას, მეტად გრძელს, რომელიც შემდგომ უფრო მეტად გაფართოვდება და გაიშლება, რამდენადაც მიუახლოვდება საქმის დაგვირგვინებას. ბატონმა მეეტლე სელიფანს უბრძანა, რომ დილაადრიანვე შეება ცხენები ჩვენთვის უკვე ნაცნობ ბრიჩკაში, პეტრუშკას კი განკარგულება მისცა, შინ დარჩენილიყო და ეპატრონებინა ოთახისა და ჩემოდანისათვის. მკითხველისათვის ზედმეტი არ იქნება ჩვენი გმირის ეს ორი შინაყმა ახლოს გაიცნოს. თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი არც იმდენად თვალსაჩინო პირები არიან. ასეთ პირებს მეორეხარისხოვნებს, ან თუნდაც მესამეხარისხოვნებს უწოდებენ ხოლმე. თუმცა მთავარი გზები და აღნაგობა ამ პოემისა მათზე არაა დამოკიდებული და მხოლოდ აქა-იქ მსუბუქად გაჰკრავ-გაჰკენწლავს მათ, მაგრამ ავტორს უყვარს ყველაფერში უაღრესი საფუძვლიანობა და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ რუსია, სურს ამ მხრივ ისეთივე გულმოდგინე იყოს, როგორც გერმანელი.უნდა ითქვას, რომ ეს არც დიდ დროს და ალაგს დაიჭერს, ვინაიდან ბევრი არაფერი უნდა დაემატოს იმას, რაც მკითხველს უკვე მოეხსენება, ესე იგი, რომ პეტრუშკას რამდენადმე ფართო, მიხაკისფერი ბატონისეული სერთუკი ეცვა და, როგორც მისი წოდების კაცს შეეფერება, დიდი ცხვირი და ტუჩები ჰქონდა. ხასიათით იგი უფრო სიტყვაძვირი გახლდათ, ვიდრე მოლაპარაკე; კეთილშობილური მიდრეკილებაც კი ჰქონდა განათლებისადმი, ესე იგი, წიგნების კითხვისადმი, რომელთა შინაარსითაც თავს არ იწუხებდა: მისთვის დიახაც სულერთი იყო შეყვარებული გმირის თავგადასავალი, უბრალო ანბანის წიგნი თუ ლოცვანი, – იგი ყველაფერს თანაბარი გულმოდგინებით კითხულობდა; თუნდაც ქიმია მიეჩეჩებინათ, იმაზეც უარს არ იტყოდა.ის კი არ მოსწონდა, რასაც კითხულობდა, არამედ თვითონ კითხვა, უკეთ რომ ვთქვათ, თვითონ კითხვის პროცესი, რომ აი, ასოებიდან ყოველთვის გამოდის რაღაც სიტყვა, რომელიც ზოგჯერ ეშმაკმა უწყის რას ნიშნავს. წიგნებს იგი მომეტებულად წინკარში ლოგინზე წამოწოლილი კითხულობდა, რამაც ლეიბი სულ მოთელა და ლავაშივით გააბრტყელა. წიგნების კითხვით გატაცების გარდა მას ჰქონდა ორი ჩვეულება, რომელიც მისი ხასიათის ორ სხვა მხარეს შეადგენდა: იძინებდა ტანგაუხდელად, ისე, როგორც იყო ხოლმე, იმავე სერთუკით, და თან დაჰყვებოდა

განსაკუთრებული თავისებური სუნი, ასე ვთქვათ, საცხოვრებელი ბინისა. საკმარისი იყო სადმე თავისი საწოლი მიედგა, თუნდაც დღემდე სრულიად უკაცრიელ ოთახში და იქ თავისი შინელი და ბარგი-ბარხანა გადაეტანა, რომ ისე მოგეჩვენებოდათ, ათი წელი იქნება, რაც ამ ოთახში ხალხი ცხოვრობსო. ჩიჩიკოვი ფრიად გულაზიზი კაცი გახლდათ, ზოგიერთ შემთხვევაში მიზეზიანიც კი; დილდილობით, როცა ჰაერს შეისუნთქავდა, სახე დაემანჭებოდა, თავს შეარხევდა და ეტყოდა ხოლმე: «შენ, ეი, ძმობილო, დაგწყევლოს ეშმაკმა, ოფლი გდის თუ რა არის. აბანოში მაინც წასულიყავი». ამაზე პეტრუშკა არაფერს უპასუხებდა და ცდილობდა მაშინვე რაიმე საქმე აეჩინა: ან ბატონის ჩამოკიდებულ ფრაკს დაუწყებდა ჯაგრისით წმენდას, ანდა დალაგებას მოჰყვებოდა ხოლმე. ღმერთმა უწყის, რას ფიქრობდა იგი ამ დუმილის დროს, ვინ იცის, გულში უპასუხებდა კიდეც: «შენც კარგი საქონელი ხარ, აი! როგორ არ მოგწყინდა, რომ ორმოცჯერ სულ ერთსა და იმავეს იმეორებო...» – ძნელია იმის თქმა, რას ფიქრობს შინაყმა, როდესაც ბატონი დარიგებას აძლევს. აი ჯერჯერობით რაც შეიძლება ითქვას პეტრუშკაზე. მეეტლე სელიფანი სულ სხვანაირი კაცი გახლდათ... მაგრამ ავტორს მეტისმეტად რცხვენია, რომ მკითხველს ამდენხანს თავს აბეზრებს დაბალი ფენის ხალხის აღწერით, რადგან გამოცდილებით იცის, თუ რა უხალისოდ ეკიდებიან მდაბიო წოდების ხალხს. ასეთი ყოფილა რუსი კაცი: Fავი მოაქვს იმასთან, ვინც იმაზე თუნდაც ერთი ხარისხით მაღალია, და გრაფისა ან თავადის თუნდაც სალმით ნაცნობობა სხვა მჭიდრო და გულითად მეგობრობას ურჩევნია. ავტორს აფიქრებს კიდეც თავისი გმირის ბედი, რომელიც მხოლოდ კოლეჟსკი სოვეტნიკი გახლავთ. ნადვორნი სოვეტნიკები იქნებ კიდეც გაეცნონ მას, მაგრამ ვისაც გენერლის ჩინამდე მიუღწევია, ღმერთმა უწყის, შეიძლება ისეთი ზიზღით გადახედოს, როგორი ზიზღითაც გადახედავს ხოლმე ადამიანი ყველაფერს, რაც მის ფერხთა წინაშე დახოხავს, ან, რაც უარესია, ავტორისათვის მომაკვდინებელი უყურადღებობით სულაც გვერდი აუხვიოს. მაგრამ რანაირი სავალალოც არ უნდა იყოს ერთიც და მეორეც, მაინც საჭიროა გმირს დავუბრუნდეთ. მაშ ასე, საჭირო ბრძანებანი მან წინა ღამესვე გასცა. დილით ძალიან ადრე ადგა, ხელ-პირი დაიბანა, თავით ფეხებამდე ტანი სველი ღრუბლით ჩამოირეცხა, რასაც მხოლოდ კვირაობით სჩადიოდა, – ამ დღეს კი სწორედ კვირა დღე იყო, – წვერიც ისეთნაირად მოიპარსა, რომ თუ სიფაფუკესა და პეწზე მიდგება საქმე, ლოყები სულ ატლასივით გაუხდა; ტანთ მოცვისფერი წინწკლოვანი ფრაკი, შემდეგ დათვის ბეწვგამოდებული შინელი ჩაიცვა და ასე დაეშვა კიბეზე ტრაქტირის ბიჭის თანხლებით, რომელიც ხან ერთი გვერდიდან აშველებდა ხელს, ხან მეორედან, ვიდრე ბრიჩკაში ჩაბრძანდებოდა. გრიალით გავიდა ბრიჩკა სასტუმროს ჭიშკრიდან ქუჩაში. გზად მიმავალმა ხუცესმა ქუდი მოუხადა, ხოლო რამდენიმე ზინტლიანპერანგიანმა ბიჭმა ხელი გაუშვირა და შეევედრა: «ბატონო, ობოლს შეეწიეო!» ერთ მათგანს, რომელიც უკანა სატერფალზე დგომის მოყვარული აღმოჩნდა, მეეტლემ შოლტი გადაუშხუვლა, და ბრიჩკაც ხტუნაობით გარახრახდა ქვაფენილზე. გულს მოეფონათ, როცა ზოლებიან შლაგბაუმს მოჰკრეს თვალი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ამ ქვაფენილსაც, როგორც ყოველგარ სხვა წამებას, მალე მოეღებოდა ბოლო; ჩიჩიკოვმა კვლავ რამდენჯერმე მიახალა ტავი ეტლის ძარას და ბოლოს ბრიჩკა რბილ მიწაზე გავიდა. ის იყო ქალაქი ოდნავ მოიტოვეს უკან, რომ გზის ორივე მხარეზე დაიწყო ჩვენებური ნაცნობი სურათები: კოლბოხები, ნაძვნარი, ქორფა ფიჭვნარის დაბალი, მეჩხერი ბუჩქები, ბებერი ფიჭვების გადამხმარი ტოტები, ველური ჩადუნა და ათასი სხვა რამ. აქა-იქ თვალს შეავლებდით

ლარივით გაჭიმულ სოფლებს, რომელთა შენობები ძველისძველ დროს დაწყობილ შეშას მოგაგონებდათ. ნაცრისფერი სახურავების ქვეშ მოჩანდა მოხარატებული ფიცრები. თითქოს მოქარგული პირსახოცები დაუკიდიათო. ცხვრის ტყაპუჭებში გახვეული სოფლელები ჭიშკრების წინ მერხებზე დამსხდარიყვნენ და ჩვეულებისამებრ ამთქნარებდნენ. სქელლოყება და მკერდშეკვალთული დედაკაცები ფანჯრებიდან იყურებოდნენ; ქვემოდან კი ხბო იჭყიტებოდა, ანდა ღორს გამოეყო დაბლეტილი დინგი. ერთი სიტყვით ნაცნობი სურათები იყო. მეთხუთმეტე ვერსი რომ გაიარეს, ჩიჩიკოვს გაახსენდა, რომ აქ უნდა ყოფილიყო მანილოვის სოფელი, – როგორც ეს თვითონ მან უთხრა, – მაგრამ მეთექვსმეტე ვერსმაც ცხვირწინ გაურბინა და სოფელი კი არსად ჩანდა. თუ გზად შეხვედრილი ორი სოფელი არა, ძნელად რომ სამშვიდობოზე გასულიყვნენ. შეკითხვაზე, კიდევ შორსაა თუ არა სოფელი ზამანილოვკაო,სოფლელებმა ქუდი მოიხადეს. ერთმა მათგანმა, რომელიც უფრო ჭკვიანი ჩანდა და სოლივით წაწვეტებულ წვერს ატარებდა, მოუგო:

– იქნებ მანილოვკას ბრძანებთ და არა ზამანილოვკას?

– ჰო, მანილოვკას გეკითხებით

– მანილოვკა?! აი ერთ ვერსს კიდევ რომ გაივლი, იქ იქნება, ესე იგი, პირდაპირ და მარჯვნივ.

– მარჯვნივ? – ჩაერია მეეტლე.

– მარჯვნივ, – მიუგო სოფლელმა, – ეს იქნება შენი მანილოვკის გზა; ზამანილოვკა კი არსადაც არ არის. ეს სახელი ჰქვიან, ესე იგი, მანილოვკას ეძახიან, თორემ ზამანილოვკასი აქ ჭაჭანებაც არაა. ასე პირდაპირ მთაზე დაინახავთ ქვიტკირის ორსართულიან შენობას, – ესაა ბატონიაანთ სახლი, სადაც, ესე იგი, თვითონ ბატონი ცხოვრობს. აი ეს იქნება შენი მანილოვკა, თორემ აქ ზამანილოვკა სულაც არაა და არც ყოფილა.

გასწიეს მანილოვკას საძებნელად. ორი ვერსი რომ გაიარეს, სასოფლო გზის გადასახვევს მიადგნენ, მაგრამ, ვგონებ, კვლავ ორი, სამი თუ ოთხი ვერსი გაიარეს და ორსართულიანი ქვიტკირის სახლი ჯერ არსად ჩანდა. ახლა კი გაახსენდა ჩიჩიკოვს, რომ თუ მეგობარი თავის სოფელში გეპატიჟება და გეუბნება, ჩემი სოფელი აქედან თხუთმეტი ვერსის მანძილზეაო, ეს იმას ნიშნავს, რომ ოცდაათი ვერსი მაინც უნდა იანგარიშო. მდებარეობის მხრივ სოფელი მანილოვკა ათასში ერთს თუ მიიზიდავდა. ბატონიაანთ სახლი განმარტოებით იდგა გორაკის თავზე, რომელიც ღია იყო ყოველნაირი ქარის საჯირითოდ, როგორსაც კი მოეპრიანებოდა დაქროლვა; გორაკის ფერდობი გაკრეჭილი მოლით შეემოსათ. აქ ინგლისურ ყაიდაზე გაბნეული იყო სამიოდე ყვავილნარის კვალი იასამნის ბუჩქებითა და ყვითელი აკაციებით; აქა-იქ ექვსიოდე არყის ხეს პატარ-პატარა ჯგუფებად აეტყორცნა წვრილფოთოლა თხელი კენწეროები. ორი მათგანის ქვეშ მოჩანდა ბრტყელი მწვანეგუმბათიანი ფანჩატური, ხის ცისფერ სვეტებზე შემდგარი, ასეთი წარწერით: «განმარტოებულ ფიქრების ტაძარი». ცოტა ქვემოთ მწვანით მოსილი საგუბარი იყო, რაც

არც ისე იშვიათია რუს მემამულეთა ინგლისური ყაიდის ბაღებში. ამ გორაკის ძირში, ნაწილობრივ ფერდობზე, გასწვრივ თუ გარდიგარდმო მუქად მოჩანდა ნაცრისფერი ხის ქოხმახები, რომელთა გადათვლას, აბა ვინ იცის რა მიზეზით, უმალვე ხელი მიჰყო ჩვენმა გმირმა და ორასზე მეტი გადაითვალა; ქოხმახთა შორის არც ერთი ხე არ ჩანდა, არავითარი ჩირგვი; ყველგან მხოლოდ ძელები გამოიყურებოდა. ამ სანახაობას აცხოველებდა ორი დედაკაცი, რომელთაც სურათოვნად აწეული კაბის კალთები წელის სალტაში ჩაეკეცათ, მუხლებამდე საგუბარში მიტოპავდნენ და ხის კეტებით მიათრევდნენ დაგლეჯილ მოსასმელ ბადეს, სადაც მოჩანდა ორი გახლართული კიბო და მოელვარე ნაფოტა თევზი; დედაკაცები თითქოს ნაჩხუბრები იყვნენდა რაღაცაზე ერთმანეთს ლანძღავდნენ. იქით, ოდნავ მოშორებით, მუქად მოჩანდა რაღაც მოსაწყენი მოლურჯო ფერის ფიჭვის ტყე. თვით დარიც ზედმიწევნით დროული და შესაფერი შეეწყო: დღე იყო არც ნათელი, არც ბნელი, არამედ რაღაც ღია ნაცრისფერი, ასეთი ფერი გადაკრავს მხოლოდ გარნიზონის ჯარისკაცთა ძველისძველ მუნდირებს, იმ ჯარისკაცთა, რომლებიც მშვიდობიანი ხალხია, მაგრამ კვირაობით ძნელად თუ ნახავთ ფხიზელს. სურათს შესავსებად არც მამალი დაჰკლებოდა, ეს დარის ცვალებადობის მაუწყებელი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მამლების ნისკარტით თავი ტვინამდე ჰქონდა ჩაჩეჩქვილი, – რა თქმა უნდა, მუსუსობისათვის, – მაინც ძალზე ხმამაღლა გაჰყიოდა და ჩიჩობივით დაფლეთილ ფრთებს აფართხუნებდა. როდესაც ეზოს მიუახლოვდნენ, ჩიჩიკოვმა პარმაღზე შენიშნა თვითონ მასპინძელი, რომელიც შალონის მწვანე სერთუკით გამოსულიყო და ხელით თვალები დაექოლგა, რომ მომავალი ეტლი უკეთ გაერჩია. რამდენადაც უახლოვდებოდა ბრიჩკა პარმაღს, იმდენად უფრო უნრწყინდებოდა მასპინძელს თვალები და ღიმილი თანდათან უფრო მეტად ეფურჩქნებოდა სახეზე.

– პაველ ივანოვიჩ! – დაბოლოს შესძახა მან, როდესაც ჩიჩიკოვი ბრიჩკიდან გადმოვიდა, – ძლივს არ გაგვიხსენეთ!

მეგობრებმა მაგრად ჩაჰკოცნეს ერთმანეთი. მანილოვმა სტუმარი ოთახში შეიპატიჟა. თუმცა ის ხანი, რაც მათ მოუნდებათ წინკარის, ტალანისა და სასადილოს გასასვლელად, რამდენადმე მცირეა, მაინც ვცადოთ და იქნებ მოვასწროთ მასპინძელზე ერთი ორი სიტყვა ვთქვათ. აქ ავტორმა უნდა აღიაროს, რომ ეს საქმე მეტად ძნელია. გაცილებით ადვილია დიდი ბუნების ასახვა: იქ საკმარისია ტილოზე საღებავების თამამი მიყრა, შავი მგზნებარე თვალები, მოქურუშებული წარბები, ნაოჭებით დასერილი შუბლი, მხარზე გადაგდებული შავი ან ალისფერი მანტია – და პორტრეტიც მზადაა, მაგრამ ამ ვაჟბატონების ასახვა კი, ასე ბევრნი რომ არიან ქვეყანაზე და გარეგნულად ასე ძალიან წააგვანან ერთიმეორეს, თუმცა საკმარისია ოდნავ დააკვირდე, რომ შეამჩნიო მრავალი უხილავი თავისებურება, – აი ამ ვაჟბატონების დახატვა მართლაც რომ ძნელი საქმეა. აქ საჭიროა მთელი ყურადღების დაძაბვა, რომ დაინახო ყველა ძნელად შესამჩნევი, უჩინარი წვრილმანი და ღრმად ჩასწვდე ყოველივეს გამოცნობის ხელოვნებაში უკვე გამობრძმედილ-გამახვილებული თვალით.

მხოლოდ ღმერთს თუ შეეძლო ეთქვა, რა ადამიანი იყო მანილოვი. არიან ერთგვარი ჯურის ადამიანები, რომლებზეც იტყვიან ხოლმე: ისე რაღა, არც ის არის, არც ეს, როგორც ანდაზა ამბობს: «ქალაქშიაც ვერ ბოგდანობს, სოფელშიაც ვერ სელიფანობსო». იქნებ მათ უნდა

მივაკუთვნოთ მანილოვიც. შესახედავად მანილოვი წარმოსადეგი კაცი იყო; სახის ნაკვთებიც საკმაოდ სასიამოვნო ჰქონდა, მაგრამ თითქოს მეტისმეტად დაშაქრული; მის ქცევასა და სიტყვა-პასუხში ისეთი რაღაც იყო, რაც სხვისი გულის მონადირებასა და მეგობრობას ლამობდა. მეტად მომხიბლავად იღიმებოდა; ქერა კაცი იყო და ლაჟვარდი თვალები ჰქონდა. პირველად რომ დაელაპარაკები, შეუძლებელია არ თქვა: «რა სასიამოვნო და კეთილი კაცია!» შემდეგ წუთში ვერაფერს იტყვი, მესამეზე კი წამოიძახებ: «ეშმაკმა იცის, რა არის!» და განზე დადგები; ხოლო თუ არ მოშორდები, გულისმომწყვლელ მოწყენას იგრძნობ. მისგან ნუ მოელი ცოცხალ, თუნდაც ქედმაღლურ სიტყვას, რომელიც შესაძლოა შეგახვედროს ყველამ, უკეთუ მის გულსატკენ საგანს შეეხე. ყველას თავისებური გატაცება ასულდგმულებს: ერთის გატაცება ისაა, რომ მწევრებზეა გადაყოლილი; მეორეს ჰგონია, ვითომც მუსიკის დიდი მოტრფიალეა და მის უძლიერეს ადგილებს საოცრად შეიგრძნობს; მესამე სმა-ჭამის უბადლო ოსტატია; მეოთხეს სურს ერთი გოჯით მაინც იმაზე უფრო დიდი როლი შეასრულოს, ვიდრე მისთვის მიუჩნევიათ; მეხუთეს სურვილი უფრო მცირეა და სიზმარშიაც იმაზე ოცნებობს, რომ რომელიმე ფლიგელ-ადიუტანტთან ერთად გაისეირნოს, რა არის თავის მეგობრებს, ნაცნობებსა და თვით უცნობებსაც თვალში მოხვდეს; მეექვსეს უკვე ისეთი მომადლებული ხელი აქვს, რომ ზესთაბუნებრივი სურვილითაა განმსჭველული აგურის კიკოს ან ორიანს როგორმე ქიმი გადაუღუნოს, მაშინ როდესაც მეშვიდის ხელი იქით მიცოცავს, რომ სადმე წესრიგი დაამყაროს, მისწვდეს სადგურის ზედამხედველს ან მეეტლეებს, – ერთი სიტყვით, ყველას თავისი საკუთარი გატაცება აქვს, მანილოვს კი არაფერი გააჩნდა. მანილოვი შინ ნაკლებად ლაპარაკობდა და დროს მეტწილად ფიქრსა და ოცნებაში ატარებდა; მაგრამ რას ფიქრობდა, ესეც ღმერთმა უწყის. არც იმის თქმა შეიძლებოდა, ვითომც მეურნეობისათვის რასმე ზრუნავდა, ვინაიდან მინდვრებში სულაც არ დადიოდა და მეურნეობაც როგორღაც თავისით მიდიოდა. როდესაც მოურავი ეტყოდა: «კარგი იქნება, ბატონო, ესა და ეს გავაკეთოთო», – «ჰო, კარგი იქნებაო», – უპასუხებდა ჩვეულებრივ და გააბოლებდა ჩიბუხს, რასაც ჯერ კიდევ ჯარში შეეჩვია, სადაც ყოვლად უწყინარ, თავაზიან და უგანათლებულეს ოფიცრად ითვლებოდა. «დიახ, მართლაც რომ კარგი იქნება», – დასძენდა ბოლოს. როდესაც კარზე გლეხი მოადგებოდა და თავის ქექვით ეტყოდა: «ბატონო, ნება მიბოძე სადმე სამუშაოდ წავიდე ბეგარის ფულის საშოვნელადო», – «გასწი», – ეტყოდა იგი ჩიბუხის წევით და აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ გლეხი გადასაკრავად მიდიოდა. ზოგჯერ, როდესაც პარმაღიდან ეზოსა და საგუბარს გადახედავდა, იმაზე ლაპარაკობდა, თუ რა კარგი იქნებოდა, რომ სახლიდან უეცრივ გვირაბი გაეყვანა ან საგუბარზე ქვის ხიდი გაედო, რომელსაც ორივე მხარეზე დუქნები ექნებოდა გაშენებული, სადაც ვაჭრები ისხდებოდნენ და გლეხებისათვის საჭირო წვრილმან საქონელს გაჰყიდდნენ. ამ დროს თვალები მეტისმეტად უშაქრდებოდა და სახეზე სრული კმაყოფილება ეხატებოდა. თუმცა ყველა ეს გეგმა მხოლოდ ცარიელა სიტყვებად რჩებოდა. მის კაბინეტში მუდამ რაღაც წიგნი იდო, მეთოთხმეტე გვერდზე ჩანიშნული, რომელსაც ორი წლის განმავლობაში კითხულობდა. შინაც ყოველთვის რაღაც აკლდა: სასტუმროში მშვენიერი ავეჯი ედგა, სულ ლამაზი აბრეშუმით გადაკრული, რაიც, უეჭველია, კარგა ფულიც დაუჯდებოდა, მაგრამ ორი სავარძლისათვის აბრეშუმი აღარ ჰყოფნოდათ, უბრალო ჩიჩობი დაეფარებინათ და მასპინძელი რამდენიმე წელი თავის სტუმარს მუდამ ამ სიტყვებით აფრთხილებდა: «ამ სავარძელზე არ დაბრძანდეთ, ჯერ მზად არ გახლავთო». ზოგ ოთახში ავეჯი სულაც არ

იდგა, თუმცა ქორწინების პირველ დღეებშივე ბევრჯერ იყო ნათქვამი: «სულიკო, ხვალ როგორმე უნდა გავისარჯოთ და ამ ოთახში დროებით მაინც დავდგათ რაიმე ავეჯი». საღამოობით მაგიდაზე დადგამდნენ ბრინჯაოს კოხტა შანდალს, რომელიც სამ ანტიკურ გრაციას წარმოადგენდა სადაფის ლამაზი ფარით, გვერდით კი უბრალო სპილენძის ინვალიდს მიუდგამდნენ, კოჭლს, დაბრეცილსა და მთლად გაქონილს, მაგრამ ამას ვერც მასპინძელი ამჩნევდა, ვერც დიასახლისი და ვერც მსახურნი. მისი მეუღლე... თუმც ისინი ერთურთით ძალიან კმაყოფილები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ რვა წელზე მეტმა გაიარა მათი ქორწინების დღიდან, ერთ-ერთი მათგანი მაინც სთავაზობდა მეორეს ხან ვაშლის ნაჭერს, ხან ტკბილეულს, ხან თხილს და გულამაჩუყებელი ნაზი ხმით, რომელიც სრულყოფილ სიყვარულს გამოხატავდა, ეუბნებოდა: «ჩემო სულიკო, აბა ერთი შენი პაწია პირი გააღე, ამ პატარა ნაჭრით ყელი უნდა ჩაგიკოკლოზინოო». რაღა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში პირიც კოპწიად გაიღებოდა. დაბადების დღეს სიურპრიზები მზადდებოდა – რაიმე მძივით ნაქარგი კბილსაწმენდის ბუდე. ძალიან ხშირად, სავარძელში მოსვენების დროს, უეცრივ, სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო, ერთი ჩიბუხს გვერდით მიაგდებდა, ხოლო მეორე ხელსაქმეს, – თუკი ამ დროს მართლა ხელთ ჰქონდა რაიმე, – და ერთმანეთს ისეთი მხურვალე და ხანგრძლივი კოცნით დაეკონებოდნენ, რომ ვიდრე თავს აართმევდნენ, პაწია სიგარის მოწევას მოასწრებდა კაცი. ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ ხოლმე, ბედნიერები იყვნენ. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა შეგენიშნათ, რომ ოჯახში ხანგრძლივი კოცნისა და სიურპრიზების გარდა კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, კიდევ ბევრი რამ საკითხავი, მაგალითად, რატომაა, რომ სამზარეულოში ყველაფერი სულელურად და უთავბოლოდ კეთდება? რატომაა საკუჭნაო საკმაოდ გამოფხეკილი? რატომ ქურდობს მეკუჭნავე დედაკაცი? რატომ სულ ბინძურნი და ლოთები არიან მსახურნი? რატომაა, რომ შინაყმებს ასე უზომოდ სძინავთ, ხოლო დანარჩენ დროს ლაზღანდარობენ? მაგრამ ყველა ეს მეტად უბრალო, წვრილმანი რამაა, მანილოვის მეუღლე კი კარგად აღზრდილი ქალი გახლავთ. კარგ აღზრდას კი, როგორც მოგეხსენებათ, პანსიონებში იღებენ, ხოლო პანსიონებში, როგორც ვიცით, სამი საგანი შეადგენ ადამიანთ სიკეთის საფუძველს: ფრანგული ენა, როგორც აუცილებელი რამ ოჯახური ცხოვრების ბედნიერებისათვის; ფორტეპიანო, რათა მეუღლეს საამური წუთები განაცდევინო და, ბოლოს თვითონ საოჯახო ნაწილი: ქისებისა და ნაირ-ნაირი სიურპრიზების ქსოვა. თუმცა მეთოდებში სხვადასხვა გაუმჯობესებანი და ცვლილებანი შეაქვთ, განსაკუთრებით ახლანდელ დროს. ყველაფერი ეს უფრო პანსიონის გამგე ქალების კეთილგონიერებასა და ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. ზოგიერთ პანსიონში ისეა მოწყობილი, რომ პირველ რიგში ფორტეპიანოა, შემდეგ ფრანგული ენა და ბოლოს საოჯახო ნაწილი, ზოგჯერ კიდევ ისედაც ხდება, რომ ჯერ საოჯახო ნაწილია, ესე იგი, სიურპრიზების ქსოვა, შემდეგ ფრანგული ენა და ბოლოს ფორტეპიანო. ათასნაირი მეთოდია! მეტი არ იქნება, ისიც შევნიშნოთ, რომ მანილოვის მეუღლე... მაგრამ, უნდა გამოვტყდე, მანდილოსნებზე ლაპარაკის ძალიან მეშინია, გარდა ამისა, დროა ჩვენს გმირებს დავუბრუნდე, რომლებიც სასტუმროს კართან უკვე რამდენიმე წუთის განმავლობაში იდგნენ და ერთმანეთს თავაზით გზას უთმობდნენ.

– მოიღეთ მოწყალება, ჩემთვის აგრე ნუ სწუხდებით, მე თქვენ შემდეგ შემოვალ, – ამბობდა ჩიჩიკოვი.

– არა, პაველ ივანოვიჩ, არა, თქვენ სტუმარი ბრძანდებით, – ეუბნებოდა მანილოვი და ხელით კარზე ანიშნებდა.

– ნუ სწუხდებით, გეთაყვა, ნუ სწუხდებით. მიბრძანდით, გეთაყვა, – ამბობდა ჩიჩიკოვი.

– რა ბრძანებაა! მაპატიეთ, მაგრამ თავს ნებას არ მივცემ, რომ ასეთი სასიამოვნო და განათლებული სტუმარი უკან მომდევდეს.

– რატომ განათლებული?.. მიბრძანდით, გეთაყვა.

– გეყოფათ, გეთაყვა, თქვენ მიბრძანდით წინ.

– კი მაგრამ რატომ?

– რატომ და იმიტომ! – მიუგო საამური ღიმილით მანილოვმა.

ბოლოს ორივე მეგობარი ერთმანეთს გვერდი გვერდს აეკრა და ისე შევიდნენ ოთახში, თუმცა ერთმანეთი კი ოდნავ მიჭყლიტეს.

– ნება მიბოძეთ ჩემი ცოლი წარმოგიდგინოთ, – უთხრა მანილოვმა. – სულიკო, აი პაველ ივანოვიჩი!

ჩიჩიკოვმა მართლაც მხოლოდ ახლა დაინახა მანდილოსანი, რომელიც ვერ შეამჩნია წეღან, მანილოვს რომ გზას სთავაზობდა. იგი ურიგო ქალი არ იყო, გემოვნებითაც ეცვა. ბაცი ფერის აბრეშუმის კაპოტი კარგად ადგა; მისმა პაწია, სიფრიფანა ხელმა აჩქარებით რაღაც მიაგდო მაგიდაზე და კუთხეებნაქარგი ბატისტის ცხვირსახოცი მოჭმუჭნა. მანდილოსანი სავარძლიდან წამოდგა. ჩიჩიკოვი სიამოვნებით მიეტანა მის ხელს. მანილოვის ცოლმა ოდნავ ენის ჩლექით წაილაპარაკა, დიდად გაგვახარეთ თქვენი მობრძანებით, ისე დღე არ გავიდოდა, ჩემს ქმარს არ გახსენებოდითო.

– დიახ, – კვერი დაუკრა მანილოვმა: – ეს სულ იმას მეკითხებოდა: რა ამბავია, რომ შენი მეგობარი არ მოდისო? – მოიცა, სულიკო, მოვა-მეთქი. და აი, ბოლოს ღირსი გაგვხადეთ თქვენი მობრძანებისა. მართლაც, ისეთი სიამოვნება მოგვანიჭეთ... მაისის დღე გაგვითენეთ... ნამდვილი დღეობა...

ჩიჩიკოვმა რომ გაიგონა, საქმე გულის დღეობაზე მიდგაო, ცოტა-ოდნავ დაიბნა კიდეც და თავმდაბლად უპასუხა, მე არც დიდი სახელი გამაჩნია და არც თვალსაჩინო რანგიო.

– თქვენ ყველაფერი გაქვთ, – შეაწყვეტინა მანილოვმა იმავე სასიამოვნო ღიმილით, – ყველაფერი გაქვთ და უფრო მეტიც.

– როგორ მოგეწონათ ჩვენი ქალაქი? – უთხრა მანილოვის მეუღლემ, – ხომ კარგად ისიამოვნეთ?

– ძალიან კარგი ქალაქია, მშვენიერი ქალაქია, – მიუგო ჩიჩიკოვმა, – სიამოვნებითაც ბევრი ვისიამოვნე: საზოგადოებაც ხომ ფრიად თავაზიანი ყოფილა.

– ჩვენი გუბერნატორი როგორღა მოგეწონათ? – განაგრძო მანილოვის მეუღლემ.

– მართლაც ხომ უპატივცემულესი და უსაყვარლესი ადამიანია? – სოტყვა ჩაურთო მანილოვმა.

– სრული სიმართლეა, – მიუგო ჩიჩიკოვმა: – უპატივცემულესი კაცია. მერე და რარიგ შეჰგუებია თავის თანამდებობას და რა კარგად ესმის იგი! სასურველია კიდევ ბევრი გვყოლოდა ასეთი ხალხი.

– მერე, იცით, რა ჩინებულად ეხერხება ყველას მიღება, როგორი თავაზიანია ყველა თავის საქციელში, – ღიმილით დაურთო მანილოვმა დ სიამისაგან თითქმის მთლად მილულა თვალები, როგორც ხვადმა კატამ, რომელსაც ყურის ძირში თითით ოდნავ შეუღიტინეს.

– ძალიან სასიამოვნო და თავაზიანი კაცი ყოფილა, – განაგრძობდა ჩიჩიკოვი, – მერე რა ოქროს ხალი ჰქონია! ამას ვერც კი წარმოვიდგენდი, რა მშვენივრად ქარგავს! საკუთარი ხელით ნაქსოვი ქისა მაჩვენა: იშვიათად რომ რომელიმე ქალს ეხერხებოდეს ასეთი მარჯვე ქარგვა.

– ვიცე-გუბერნატორი? მართლაც ხომ საყვარელი ადამიანია? – თქვა მანილოვმა და კვლავ ოდნავ მილულა თვალები.

– დიდად, დიდად ღირსეული კაცია, – მიუგო ჩიჩიკოვმა.

– ახლა ეს მიბრძანეთ, პოლიცმეისტერი როგორღა მოგეწონათ? ხომ მართალია, რომ ისიც დიდად სასიამოვნო ადამიანია?

– ფრიად სასიამოვნო კაცია. მერე და რა ჭკვიანია, რა ნაკითხი! ჩვენ მის ოჯახში პროკურორთან და პალატის თავმჯდომარესთან ერთად უკანასკნელ მამლისყივილამდე ვისტი ვითამაშეთ. ძალიან, ძალიან ღირსეული კაცია!

– მართლა, პოლიცმეისტერის ცოლზე რაღა აზრისა ბრძანდებით? – დაურთო მანილოვის მეუღლემ, – ხომ მართალია, რომ იგი უსაყვარლესი ქალია?

– ო, ეს ერთ-ერთი უღირსეულესი ქალია, ვისაც კი ვიცნობ, – მიუგო ჩიჩიკოვმა.

შემდეგ არ გამორჩენიათ პალატის თავმჯდომარე, არც ფოსტის უფროსი, ასე რომ გადათვალეს ქალაქის თითქმის ყველა მოხელე, რომლებიც ყოვლად ღირსეული ადამიანები აღმოჩნდნენ.

– თქვენ სულ სოფელში ატარებთ დროს? – ბოლოს თვითონაც იკითხა ჩიჩიკოვმა.

– მეტწილად სოფელში ვცხოვრობთ, – მიუგო მანილოვმა, – თუმცა ათასში ერთხელ, ქალაქსაც ვესტუმრებით ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ განათლებულ ხალხს გამოველაპარაკოთ. მოგეხსენებათ, სულ გაველურდები კაცი, თუ ერთთავად კარჩაკეტილი იცხოვრე.

– მართალია, მართალი, – დაადასტურა ჩიჩიკოვმა.

– რა თქმა უნდა, – განაგრძო მანილოვმა, – სულ სხვაა, კარგი მეზობლობა რომ გვყავდეს, მაგალითად, ისეთი ადამიანი, რომელთანაც რამდენადმე მაინც შესაძლო ყოფილიყო მუსაიფი გულითადობაზე, წესიერ ქცევაზე, თვალყური გვედევნებინა რომელიმე ისეთი მეცნიერებისათვის, რომელიც სულს აგვიტოკებდა და, ასე ვთქვათ, შეგვაძლებინებდა ერთგვარ აღმაფრენას... – მაშინ, რა თქმა უნდა, სოფელს და განმარტოებულ ცხოვრებას ბევრი სილამაზე ექნებოდა, მაგრამ ძე-ხორციელი არავინაა... ზოგჯერ თავს იმით გაირთობ, რომ აიღებ და «სინ ოტეჩესტვას» წაიკითხავ.

ჩიჩიკოვი ამაზე სავსებით დაეთანხმა, თანაც დაუმატა, რომ იმაზე სასიამოვნო რა არის რა, როგორც განმარტოებით ცხოვრება, ბუნების ჭვრეტით ტკბობა და ზოგჯერ რომელიმე წიგნის კითხვა...

– მაგრამ იცით რა, – დაუმატა მანილოვმა, – თუ მეგობარი არა გყავთ, ვისთანაც შესაძლებელი იქნებოდა აზრების გაზიარება...

– ო, ეს მართალია, სრული ჭეშმარიტებაა! – შეაწყვეტინა ჩიჩიკოვმა, – რის მაქნისია მაშინ მთელი ქვეყნის სიმდიდრე! «ნუ ეძებ ფულს, კარგი ადამიანები გამოსძებნე ურთიერთობის დასამყარებლადო», უთქვამს ერთ ბრძენს.

– და იცით რა, პაველ ივანოვიჩ, – მიუგო მანილოვმა და მისმა სახემ მიიღო არათუ ტკბილი გამომეტყველება, არამედ გადაჭარბებულად ტკბილიც, იმ მიქსტურის მსგავსად, რომელსაც გამოქექილი ექიმი საშინლად დაატკბობს ხოლმე და ჰგონია, ამით დიდად გაახარებს პაციენტს, – მაშინ ერთგვარ სულიერ ტკბობას გრძნობ... აი მაგალითად, თუნდა როგორც ახლა, როდესაც შემთხვევამ მომანიჭა, შეიძლება ითქვას, ასეთი იშვიათი, სამაგალითო ბედნერება, რომ გესაუბროთ და დავტკბე თქვენ საამური მუსაიფით...

– რა ბრძანებაა, რომელი საამური მუსაიფი?.. მე ერთი უმნიშვნელო კაცი ვარ და მეტი არაფერი, – მიუგო ჩიჩიკოვმა.

– ო! პაველ ივანოვიჩ, ნება მიბოძეთ გულახდილად მოგახსენოთ: მთელი ჩემი ქონების ნახევარს სიხარულით დავთმობდი, ოღონთ თქვენს ღირსებათა მცირეოდენი ნაწილი მეც მქონოდა!

– პირიქით, ჩემდათავად უდიდეს ბედნიერებად მივიჩნევდი, რომ...

ვინ იცის, სადამდე მიაღწევდა ორი მეგობრის ურთიერთისადმი გრძნობების გადმოღვრა, რომ ამ დროს მსახური არ შემოსულიყო და არ მოეხსენებინა, სადილი უკვე მზად არისო.

– უმორჩილესად გთხოვთ, – მიმართა მანილოვმა. – გვაპატიეთ, თუ ისეთი სადილი არ გვექნება, როგორც პარკეტებზეა, სატახტო ქალაქებში; ჩვენ, რუსული ჩვეულებრისამებრ, უბრალო შჩი გვაქვს, მაგრამ რაც გვაქვს, წრფელი გულით იქნება მორთმეული. უმორჩილესად გთხოვთ.

აქ ერთხელ კიდევ კარგა ხანს იდავეს, თუ ვინ შესულიყო პირველი, ბოლოს ჩიჩიკოვმა გვერდში ამოიყენა მანილოვი და ისე შევიდა სასადილოში.

სასადილოში ორი ყმაწვილი დახვდათ, მანილოვის შვილები; ორივე იმ ხანში იყო, როდესაც შესაძლებელია ბავშვები უკვე სუფრასთან დასხდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ მაღალ სკამებზე. ბავშვების გვერდით იდგა მასწავლებელი, რომელიც ზრდილობიანი ღიმილით მიესალმა შემოსულთ. დიასახლისი საწვნე ჯამს მიუჯდა; სტუმარი მასპინძლისა და დიასახლისის შუა მოათავსეს, მსახურმა ბავშვებს ყელზე ხელსაწმენდი შეუკრა.

– რა საყვარელი ბავშვები არიან, – თქვა ჩიჩიკოვმა, როდესაც თვალი შეავლო მათ: – მერამდენე წელში არიან?

– უფროსი მერვეშია, უმცროსს კი მხოლოდ გუშინ შეუსრულდა ექვსი, – მიუგო მანილოვის მეუღლემ.

– თემისტოკლიუს! – მიუბრუნდა მანილოვი უფროსს, რომელიც ცდილობდა მსახურის მიერ აკრულ ხელსაწმენდიდან გაენთავისუფლებინა ნიკაპი.

ამ ნაწილობრივ ბერძნული სახელის გაგონებაზე, რომელსაც ვინ იცის, რად მისცა მანილოვმა დაბოლოება «იუსი», ჩიჩიკოვმა ოდნავ ასწია წარბი, მაგრამ მაშინვე შეეცადა სახისათვის ჩვეულებრივი გამომეტყველება მიეცა.

– თემისტოკლიუს, აბა მითხარი, საფრანგეთში ყველაზე კარგი ქალაქი რომელია? აქ მასწავლებელმა მთელი ყურადღება მიმართა თემისტოკლიუსისაკენ, რომელსაც თითქოს თვალებში უნდა ჩაუძვრესო, მაგრამ მალე სრულებით დამშვიდდა და კმაყოფილებით თავი დააქნია, როდესაც თემისტოკლიუსმა უპასუხა: «პარიზი».

– ჩვენში კი რომელია ყველაზე კარგი ქალაქი? – ხელახლა ჰკითხა მანილოვმა.

მასწავლებელმა კვლავ ყურები ცქვიტა.

– პეტერბურგი, – უპასუხა თემისტოკლიუსმა.

– კიდევ რომელი?

– მოსკოვი, – მიუგო თემისტოკლიუსმა.

– რა ჭკვიანი ბიჭიკო ყოფილა! – შენიშნა ჩიჩიკოვმა, – ერთი ამას დამიხედეთ... – განაგრძო მან და ერთგვარი გაოცებით შეხედა მანილოვებს, – რა პატარაა და უკვე რამდენი რამ იცის! უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ბავშვი დიდი ნიჭის პატრონი იქნება.

– ო, თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ მაგას, – მიუგო მანილოვმა: – მეტისმეტად გონებამახვილი ბავშვია. აი, უმცროსი, ალკიდი, ასეთი მარდი ვერაა. ამას კი, თუ გზად რაიმე შეხვდა: მწერი, მუმლი, უმალვე თვალები უცეცდება: სულ ფეხდაფეხ მიჰყვება და უკვირდება. მაგას დიპლომატიური სფეროსათვის ვამზადებ. თემისტოკლიუს, – განაგრძო მან და კვლავ ბავშვისაკენ იბრუნა პირი: – გინდა ელჩი გამოხვიდე?

– მინდა, – მიუგო თემისტოკლიუსმა პურის ღეჭვით და აქეთ-იქით თავის ქნევით.

ამ დროს უკან მდგარმა ლაქიამ ელჩს ცხვირი მოხოცა და კარგადაც მოიქცა, თორემ წვენში ლაზათიანი უცხო რამ ღვენთი ჩავარდებოდა. შემდეგ მუსაიფი გააბეს მყუდრო ცხოვრების უპირატესობაზე, დროდადრო დიასახლისი თავის შენიშვნებს ურთავდა ქალაქის თეატრისა და მსახიობთა შესახებ. მასწავლებელი მოსაუბრეებს სულ პირში შეჰყურებდა და რა წამს შენიშნავდა, აგერ-აგერ გაიცინებენო, უმალვე პირს გააღებდა და გულმოდგინედ იცინოდა. უეჭველია, იგი მადლიერი იყო თავისი პატრონისა და კეთილი მოპყრობისათვის ამით უხდიდა სამაგიეროს. თუმცა ერთხელ კი სახეზე სისასტიკემ დაჰბერა, მაგიდაზე მკაცრად დააკაკუნა ჩანგალი და პირდაპირ მჯდომ ბავშვებს თვალები მიაშტერა. ასეთი გაჯავრება სწორედ დროული იყო, ვინაიდან თემისტოკლიუსმა ალკიდს ყურზე უკბინა, ალკიდმა კი თვალები ჩაჭუტა, პირი დააღო და მზად იყო საცოდავად აღრიალებულიყო, მაგრამ უმალვე იგრძნო, რომ ამით შეიძლებოდა ადვილად გამოსთხოვებოდა კერძს, ამიტომ პირი ისევ დამუწა და თვალცრემლიანმა დაუწყო ღრღნა ცხვრის ძვალს, რომელმაც ორივე ყბა გაუქონა და აულაპლაპა. დიასახლისი ხშირად მიმართავდა ჩიჩიკოვს: «რა ამბავია, რომ არაფერს მიირთმევთ? თქვენ ძალიან ცოტა ინებეთ», რაზეც ჩიჩიკოვი ყოველთვის ასე მიუგებდა: «დიდად გმადლობთ, ყელთამდე ავივსე, სასიამოვნო ბაასი ყველაზე უკეთესია».

უკვე აიშალნენ სუფრიდან. მანილოვი მეტისმეტად კმაყოფილი იყო, სტუმარს წელზე ხელი მოხვია და მზად იყო ამნაირად სასტუმრო ოთახში გაეცილებინა, მაგრამ სტუმარმა უეცრივ ფრიად მრავლისმეტყველი სახით განუცხადა, რომ განზრახვა აქვს ერთ ძალიან საჭირო საქმეზე მოელაპარკოს.

– რადგან აგრეა, მაშ ნება მიბოძეთ ჩემს კაბინეტში შეგიწვიოთ, – უთხრა მანილოვმა და პატარა ოთახში შეიყვანა, რომლის სარკმელი მოლურჯო ტყეს გაჰყურებდა, – აი, ჩემი კუთხე ეს გახლავთ, – დასძინა მანილოვმა.

– სასიამოვნო ოთახია, – თქვა ჩიჩიკოვმა, როდესაც ოთახს თვალი მოავლო.

ოთახი მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო: კედლები რაღაც ცისფერი საღებავით შეეღებათ, რომელსაც რუხი ფერიც დაჰკრავდა; ოთხი სკამი, ერთი სავარძელი, მაგიდა, რომელზეც იდო ფურცელჩანიშნული წიგნი, რაც ზემოთაც მოვიხსენიეთ, რამდენიმე დაწერილი ქაღალდი, მაგრამ ყველას სჭარბობდა თამბაქო, რომელიც ნაირ-ნაირი სახით შეგხვდებოდათ: პარკებში, სათუთუნეში და ბოლოს პირდაპირ მაგიდაზე გროვა-გროვად დაყრილი. ორივე ფანჯარაზეც ასევე გროვა-გროვად ეყარა ჩიბუსიდან გადმოყრილი ნაცარი, რაიც დიდი გულმოდგინებით ლამაზ რიგებად ჩაემწკრივებინათ. ეტყობოდა, პატრონი ზოგჯერ ასეთი საქმიანობით ირთობდა თავს და ჰკლავდა დროს.

– ნება მიბოძეთ გთხოვოთ, – უთხრა მანილოვმა, – ამ სავარძელში დაბრძანდეთ. აქ უფრო მოსვენებით იქნებით.

– ნება მიბოძეთ სკამზე დავჯდე.

– ნება მიბოძეთ არ გიყაბულოთ, – მიუგო მანილოვმა, – ეს სავარძელი სტუმრებისათვის მაქვს მიჩნეული გნებავთ თუ არ გნებათ, მაინც უნდა დაბრძანდეთ.

ჩიჩიკოვი დაჯდა.

– ნება მიბოძეთ ჩიბუხით შეგაქციოთ.

– არა, არ ვეწევი, – ალერსიანი და თან თითქოს გულდაწყვეტილი კილოთი უპასუხა ჩიჩიკოვმა.

– რატომ? – ჰკითხა მანილოვმაც იმავე ალერსიანი და თან გულდაწყვტილი კილოთი.

– ვერ მივეჩვიე, მეშინია; ამბობენ, ჩიბუხი ადამიანს ფიტავსო.

– ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ, რომ ეგ შიში უმართებულო წინასწარშეგონებაა. მე ისიც კი მგონია, რომ ჩიბუხის წევა გაცილებით უფრო სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, ვიდრე, ბურნუთის წევა. ჩვენს პოლკში ერთი პორუჩიკი იყო, უმშვენიერესი და უგანათლებულესი კაცი, რომელიც ჩიბუხს პირიდან არ უშვებდა არათუ სუფრაზე, არამედ, ბოდიშს ვიხდი, დანარჩენს სხვა ადგილებშიც. და აი, ორმოცი წლისაც გახდა, მაგრამ, ღვთის მადლით, ისეთი ჯანსაღია, უკეთესი არ შეიძლება.

ჩიჩიკოვმა შენიშნა, რომ ამგვარი რამ მართლა ხდება და რომ ბუნებაში მრავალი რამაა, რაც გონებამორჭმული ადამიანებისთვისაც კი მიუწვდომელია.

– მაგრამ ნება მიბოძეთ ჯერ ერთი თხოვნით მოგმართოთ... – წარმოთქვა მან ისეთი ხმით, რომელშიც რაღაც უცნაური, უკეთ, თითქმის უცნაური ჟღერა გაისმა, რის შემდეგაც, ვინ იცის რატომ, უკან მიიხედა. მანილოვმაც, ვინ იცის რატომ, უკან მიიხედა. – რა ერთი ხანია, რაც სარევიზიო სკამზკა წარადგინეთ?

– დიდი ხანია; უკეთ რომ ვთქვათ, არ მახსოვს.

– მას აქეთ რამდენი ყმა მოგიკვდებოდათ?

– ვერ მოგახსენებთ; მე მგონია, ისევ მოურავს უნდა ვკითხოთ. შენ, ეი, ბიჭო! მოურავს დაუძახე, დღეს აქ უნდა იყოს.

მოურავი გამოცხადდა. ასე, ორმოც წელს იქნებოდა მიღწეული, წვერს იპარსავდა, სერთუკს ატარებდა და, როგორც ჩანს, ძალიან უდარდელად ცხოვრობდა, ვინაიდან პირისახე ფუნჩულა და მსუქანი ჰქონდა, ხოლო კანის მოყვითალო ფერი და ჭუტალა თვალები ამხელდნენ, რომ მისთვის უცხო არ იყო ბუმბულისა და გერმის ყურთუკები. მაშინვე შეატყობდით, რომ იმასაც გავლილი ჰქონდა ის ასპარეზი, რომელსაც გაივლის ყველა ბატონის მოურავი: ჯერ ბატონის კარზე წიგნის მცოდნე ბიჭად ითვლება; შემდეგ ცოლად შეირთავს რომელიმე მეკუჭნავე აღაშკას, ქალბატონის საყვარელ მოახლეს, და თვითონაც მეკუჭნავე გახდება, აქედან ხომ მოურავობასაც გაიკრავს. ხოლო რაკი მოურავობას ეღირსება, რა თქმა უნდა, ისიც ისევე იქცევა, როგორც სხვა მოურავები, ესე იგი, უფრო ისეთ ხალხს დაუნათლიმამდება და დაუმეგობრდება, რომელთაც სოფლად წელმაგარ მეოჯახეებად იცნობენ. სამაგიეროდ ღარიბებს ღალებითა და საყალნეთი სულს უხუთავს, დილის ცხრა საათზე იღვიძებს, შემდეგ სამოვარს უცდის და ჩაით იქცევს თავს.

– მითხარი, გეთაყვა, რამდენი სული გლეხი მოკვდა მას შემდეგ, რაც სარევიზიო სკაზკა ჩავაბარეთ?

– როგორ თუ რამდენი? მას აქეთ ბევრი იხოცებოდა, – მიუგო მოურავმა, თან დაასლოკინა და პირზე ხელი მიიფარა.

– მართალი გითხრა, მეც აგრე ვფიქრობდი, – სწრაფად კვერი დაუკრა მანილოვმა: – მართლაც რომ ბევრი დაიხოცა! – შემდეგ ჩიჩიკოვს მიუბრუნდა და დაუმატა: – სწორია, ძალიან ბევრი დაიხოცა.

– მაინც, მაგალითად, რიცხვობრივ რამდენი იქნება? – იკითხა ჩიჩიკოვმა.

– ჰო, რიცხვობრივ რამდენი იქნება? – არ დააყოვნა მანილოვმაც.

– აბა, როგორ მოგახსენოთ, რამდენი? ხომ არ ვიცით, რამდენი კვდებოდა, თვლით არავის დაუთვლია.

– ნამდვილად რომ აგრეა, – დაურთო მანილოვმა და ჩიჩიკოვისაკენ იბრუნა პირი, – მეც აგრე ვვარაუდობდი, დიდი სიკვდილიანობა იყო, სრულიად გამოურკვეველია, რამდენი მოკვდა.

– მაშ, გეთაყვა, ყველანი გადამითვალე, – მიმართა მოურავს ჩიჩიკოვმა, – ამასთანავე ზუსტი რეესტრი შემიდგინე, რომ ყველას სახელი და გვარი იყოს აღნიშნული.

– ჰო, ყველა სათითაოდ ჩამოსწერე, – თქვა მანილოვმა.

– მესმის! – მიუგო მოურავმა და წავიდა.

– კარგი, მაგრამ რისთვის დაგჭირდათ ეს სია? – მოურავის წასვლისთანავე იკითხა მანილოვმა.

შეკითხვაზე სტუმარს თითქოს პასუხი გაუძნელდა; სახეზე რაღაც დაძაბული გამომეტყველება გამოესახა, წამოწითლდა კიდეც, – თითქოს ის, რისი გამჟღავნებაც მას უნდოდა, სიტყვებს არ ემორჩილებოდა. მართლაც მანილოვმა ბოლოს ისეთი უცნაური და არაჩვეულებრივი რამ გაიგონა, რომლის მსგავსი ადამიანის ყურს ჯერ არ სმენია.

– თქვენ მეკითხებით, რისთვის მჭირდება ეს სია? აი რისთვის: გლეხების ყიდვა მსურს... – მიუგო ჩიჩიკოვმა, მაგრამ ენა დაება და სიტყვა ჩაუწყდა.

– ჰო, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, – მიმართა მანილოვმა, – როგორ გსურთ გლეხების ყიდვა: მიწიანად თუ ისე, წასაყვანად, ესე იგი უმიწაწყლოდ?

– არა, – მიუგო ჩიჩიკოვმა, – მე ისე კი არა, ნამდვილი გლეხები კი არ მინდა, არამედ მკვდრები...

– რა ბრძანეთ?.. მაპატიეთ... ცოტათი ყურს მაკლია, რაღაც უცნაური სიტყვა მომესმა...

– განზრახვა მაქვს ისეთი მკვდრები შევიძინო, რომლებიც რევიზიის მიხედვით ჯერ კიდევ ცოცხლებში ითვლებიან, – მიუგო ჩიჩიკოვმა.

მანილოვს ჩიბუხი ტარიანად დაუვარდა იატაკზე და, რა ერთი დააღო პირი, რამდენიმე წუთის განმავლობაში ასე პირღია დარჩა. ორივე მეგობარი, რომლებიც წეღან მეგობრული ცხოვრების გულითადობასა და სიამეზე მსჯელობდნენ, უცბად გაშეშდნენ და თვალებში ერთმანეთს ისე ჩააშტერდნენ, როგორც ის პორტრეტები, რომლებსაც ძველად ერთმანეთის პირდაპირ ჰკიდებდნენ ხოლმე სარკის ორივე მხარეს. ბოლოს მანილოვმა აიღო ჩიბუხი და მეგობარს დაბლიდან ახედა, თითქოს უნდოდა მის სახეზე ამოეკითხა, ხომ არ იღიმებოდა ან ხომ არ გაეხუმრა, მაგრამ ამისი მსგავსი არაფერი შეუმჩნევია, პირიქით, ჩიჩიკოვს სახე თითქოს ჩვეულებრივზე უფრო დადინჯებული ჰქონდა; შემდეგ გაიფიქრა, იქნებ ჩემი სტუმარი ანაზდეულად შეიშალაო, და შიშით თვალებში მიაჩერდა; მაგრამ სტუმრის

თვალები ოდნავადაც არ იყო არეული; იქ არ მოჩანდა ის ველური, აფორიაქებული ცეცხლი, რომელიც შეშლილის თვალებში დაკრთის ხოლმე; ყველაფერი რიგზე და თავის ადგილას იყო. რა არ იფიქრა მანილოვმა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ იმაზე უკეთესი ვერა გაარიგა რა, რომ დარჩენილი ბოლი პირიდან წვრილ-წვრილ ხვეულებად გამოეშვა.

– მაშ ასე, მე მსურდა გამეგო, შეგიძლიათ თუ არა მომცეთ, დამითმოთ ან, როგორც თქვენ ინებებთ, გადმომცეთ მთელი ის გლეხები, რომლებიც, მართალია, დაიხოცნენ, მაგრამ კანონის ფორმის მხრივ ჯერ კიდევ ცოცხლებად ითვლებიან.

მაგრამ მანილოვს ისე შერცხვა და აირია, რომ მხოლოდ დუმილით შეჰყურებდა.

– მე მგონია, რომ პასუხი გეძნელებათ, არა?.. – შენიშნა ჩიჩიკოვმა.

– მეე?.. არა, ეგ კი არა, – მიუგო მანილოვმა, – მაგრამ ვერ მივმხვდარვარ... მაპატიეთ... მე, რა თქმა უნდა, აგრეთი ბრწყინვალე განათლება არ მიმიღია, რომელიც, ასე ვთქვათ, თქვენს ყოველ მოძრაობაში გამოკრთის; არც მჭერვმეტყველების მაღალი ოსტატობა გამაჩნია... შეიძლება აქ... თქვენ მიერ ახლა წარმოთქმულ განმარტებაში... სულ სხვა აზრი იმალებოდეს... იქნებ სიტყვის ლამაზი გამოთქმისათვის ინებეთ მაგისი ბრძანება?

– არა, – სიტყვა ჩამოართვა ჩიჩიკოვმა, – მე ყველა საგანს ისე ვგულისმობ, როგორც არის, ესე იგი, მე მსურს სულები, რომლებიც ნამდვილად უკვე მიიცვალნენ.

მანილოვი სულ ერთიანად დაიბნა. გრძნობდა, რომ რაღაც უნდა გაეკეთებინა, უნდა ეკითხა რამე, მაგრამ რა ეკითხა – ეშმაკმა უწყის. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ისევ ბოლი გამოუშვა, მაგრამ უკვე პირიდან კი არა, ცხვირის ნესტოებიდან.

– მაშ ასე, თუ დაბრკოლება არაა, ღვთით შეგვიძლია ნასყიდობის სიგელის შედგენა დავიწყოთ, – თქვა ჩიჩიკოვმა.

– რაო, მკვდარ სულებზე ნასყიდობის სიგელი?

– ო, არა! – მიგო ჩიჩიკოვმა, – ჩვენ ჩავწერთ, რომ ისინი ცოცხლები არიან, სწორედ ისე, როგორც სარევიზიო სკაზკებშია აღნიშნული. მე ჩვეული ვარ სამოქალაქო კანონებს ოდნავადაც არ გადავუხვიო; მართალია, სამსახურში ამის გამო დავზარალდი, მაგრამ, უკაცრავად, მოვალეობა ჩემთვის უწმინდესი საქმეა, რაც შეეხება კანონს – მე ვმუნჯდები კანონის წინაშე!

მანილოვს უკანასკნელი სიტყვები მოეწონა, მაგრამ საქმის ვითარებაში მაინც ვერ გაერკვა და პასუხის ნაცვლად ისე მაგრად დაუწყო ქაჩვა თავის ჩიბუხს, რომ ბოლოს ფაგოტივით აახრიალა. ისე გეგონებოდათ, თითქოს მას უნდოდა იქიდან გამოექაჩა ნამდვილი აზრი ასეთი უჩვეულო ამბის ირგვლივ; მაგრამ ჩიბუხი ხრიალებდა და მეტი არაფერი.

– იქნებ რაიმე გეეჭვებათ?

– ო, რასა ბრძანებთ! სრულიადაც არა. იმიტომ კი არ მოგახსენებთ, ვითომც თქვენ მიმართ რაიმე, ასე ვთქვათ, კრიტიკული განზრახვა მქონდეს. მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, აი ეს წამოწყება, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ეს ნეგოცია, შეუფერებელი ხომ არ იქნება სამოქალაქო დადგენილებისათვის ანდა რუსეთის მომავალი მიზნებისათვის?

აქ მანილოვმა ოდნავ შეარხია თავი და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ჩიჩიკოვს. სახის ყოველ ნაკვთში და მოკუმულ ტუჩებში ისეთი ღრმააზროვანი გამომეტყველება აესახა, რომლის მსგავსი იქნებ ჯერ არც ნახულა ადამიანის სახეზე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რომელიმე ჭკვიანი მინისტრის სახეს, ისიც მხოლოდ ყოვლად თავსამტვრევი საქმის დროს.

მაგრამ ჩიჩიკოვმა უბრალოდ განუმარტა, რომ ამგვარი წამოწყება, ანუ ნეგოცია, არავითარ შემთხვევაში შეუფერებელი არ იქნება რუსეთის სამოქალაქო დადგენილებათა ან შემდგომი მიზნებისთვისაო; ხოლო წუთს შემდგომ დაუმატა, პირიქით, ხაზინა მოგებასაც ნახავს, ვინაიდან იგი კანონიერ გადასახადებს მიიღებსო.

– აგრე გგონიათ?..

– ვფიქრობ, რომ ასე ემჯობინება.

– რახან ემჯობინება, სხვა საქმეა; საწინააღმდეგო არა მაქვს რა, – მიუგო მანილოვმა და სრულებით დამშვიდდა.

– ახლა საქმე ფასში მორიგებაა...

– როგორ თუ ფასში მორიგება? – მიუგო მანილოვმა და შეჩერდა, – ნუთუ გგონიათ, ფულს ავიღებ ისეთ სულებში, რომელთაც ერთგვარად უკვე დაუთავებიათ თავიანთი არსებობა? რაკი თქვენ, ასე ვთქვათ, ასეთი ფანტასტიკური სურვილი მოგსვლიათ, ჩემი მხრით სრულიად მუქთად გითმობთ და ნასყიდობის ხარჯებსაც მე ვკისრულობ.

დიდი საყვედურის ღირსი იქნებოდა ამ ამბავთა მთხრობელი, თუ მას აღუნიშნავი დარჩებოდა, რომ მანილოვის ამ სიტყვებმა სტუმარს სიამოვნება მოჰგვარა. თუმცა იგი დამჯდარი და თავდაჭერილი კაცი იყო, მაგრამ აქ ვეღარ მოითმინა და კინაღამ თხასავით შეიკუნტრუშა, რაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მხოლოდ უდიდესი სიხარულის დროს მოსდის ხოლმე ადამიანს. სავარძელზე ისე მძლავრად შემოტრიალდა, რომ ბალიშზე გადაკრული შალის საპირე გასკდა; თვითონ მანილოვმა როგორღაც გაოგნებით შეხედა მას. გულითადობით აღგზნებულმა ჩიჩიკოვმა იმდენი მადლობა ჩაუთვალა, რომ მანილოვი აირია, სულ მთლად გაწითლდა, თავს აქნევდა უარის ნიშნად მის მადლობაზე და ბოლოს, როგორც იყო, პასუხი შეჰკადრა, რომ სულაც არაფერია, რომ მას სურდა თავისი გულის

ლტოლვანი და სულის ანდამატური მიმზიდველობა დაემტკიცებინა ჩიჩიკოვისთვის. რაც შეეხება მკვდარ სულებს, ესენი ნაგავს წარმოადგენენო.

– სულაც არაა ნაგავი, – სიტყვა მოუჭრა ჩიჩიკოვმა და თან ხელი ჩამოართვა. აქ მან მძიმედ ამოიოხრა. ისე მოჩანდა, თითქოს გულითადობის გადმოსაღვრელად იყო განწყობილი; ბოლოს გრძნობამორევით და მკაფიოდ წარმოთქვა ეს სიტყვები: – რომ იცოდეთ, რა სამსახური გაუწიეთ უთვისტომოდ გადმოხვეწილ ადამიანს ამ მართლაცდა ნაგვის გამომეტებით! ვინ მოსთვლის, რა არ გადამხდა თავს! თითქოს ნავი ვყოფილიყავ აბობოქრებულ ტალღათა შორის... რა დევნა, რა უჯიათობანი არ განმიცდია, რა ვარამი არ მაგემებინეს! მერე და რისთვის? იმისათვის, რომ სიმართლეს მივდევდი, სინდისის წინაშე სუფთა ვიყავი, უმწეო ქვრივსა და საწყალ ობლებს ხელს ვუმართავდი!.. – აქ მან ცხვირსახოცით თვალებიდან გადმოდენილი ცრემლიც მოიწმინდა.

მანილოვს გული აუჩუყდა. ორივე მეგობარი დიდხანს არ უშვებდა ერთმანეთს ხელს და დიდხანს დუმილით შესცქეროდა ერთმანეთს ცრემლმორეულ თვალებში. მანილოვს არას დიდებით არ უნდოდა ხელი გაეშვა ჩვენი გმირისათვის და ისე მხურვალედ უჭერდა, რომ ჩიჩიკოვმა აღარ იცოდა, როგორ გაეთავისუფლებინა იგი. ბოლოს, როგორც იყო, ნელ-ნელა დააძვრინა ხელი და უთხრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ნასყიდობის სიგელს დააჩქარებდნენ, ხოლო იმას არა ემჯობინებოდა რა, უკეთუ თვითონ მანილოვი ჩავიდოდა ქალაქს. შემდეგ აიღო ქუდი და გამომშვოდობებას შეუდგა.

– როგორ? უკვე წასვლას აპირებთ? – თქვა მანილოვმა, რომელიც უეცრივ გამოფხიზლდა და თითქმის შეშინდა კიდეც.

ამ დროს კაბინეტში შემოვიდა მანილოვის მეუღლე.

– შეხე, ლიზანკა, – მიმართა მას ოდნავი დაჩივლებით მანილოვმა, – პაველ ივანოვიჩი თავს გვანებებს!

– ეს იმიტომ, რომ პაველ ივანოვიჩს თავი მოვაბეზრეთ, – უპასუხა მანილოვის მეუღლემ.

– ქალბატონო! – შესძახა ჩიჩიკოვმა, – აქ, აი ამ ადგილს, – და თან გულზე მიიდო ხელი, – დიახ, აქ დაიმკვიდრებს თქვენთან გატარებული დროის სიამე! მერწმუნეთ. ჩემთვის იმაზე უდიდესი ბედნიერება არა იქნებოდა რა, როგორც თქვენთან ერთად ცხოვრება, თუ ერთ ჭერქვეშ არა, უმახლობლეს მეზობლად მაინც.

– იცით რა, პაველ ივანოვიჩ, – უთხრა მანილოვმა, რომელსაც ძალიან მოეწონა ასეთი აზრი, – მართლაც რა კარგი იქნებოდა, რომ რამენაირად ერთად გვეცხოვრა, ერთ ჭერქვეშ, და რომელიმე თელის ჩრდილში მივცემდით სიბრძნის წყაროს, გვეფიქრა და გვეაზროვნა!..

– ო, ეს ხომ სამოთხე იქნებოდა! – თქვა ჩიჩიკოვმა და ამოიოხრა, – მშვიდობით, ქალბატონო! – განაგრძო მან და მანილოვის მეუღლეს ხელზე ეამბორა, – მშვიდობით თქვენც უპატივცემულესო მეგობარო! ჩემი თხოვნა არ დაგავიწყდეთ!

– ო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ! – მიუგო მანილოვმა, – მხოლოდ ორიოდე დღით გშორდებით.

ყველანი სასადილო ოთახში გავიდნენ.

– მშვიდობით, საყვარელო პაწაწებო! – წარმოთქვა ჩიჩიკოვმა, როდესაც ალკიდი და თემისტოკლიუსი დაინახა, რომლებიც ხის ცხვირმოტეხილ და ხელებმომსხვრეულ ჰუსარს ჩასციებოდნენ. – მშვიდობით, ჩემო პაწიებო, მაპატიეთ, რომ მოსაკითხი ვერ მოგიტანეთ, რადგან, გამოგიტყდებით, თქვენი ამ ქვეყნად არსებობა არც კი ვიცოდი. ახლა კი, მეორედ რომ მოვალ, უსათუოდ რასმე მოგიტანთ, შენთვის ხმალს შევარჩევ; გინდა ხმალი?

– მინდა, – მიუგო თემისტოკლიუსმა.

– შენ კი დოლს მოგიტან; შენ ხომ გინდა დოლი? – განაგრძო ჩიჩიკოვმა და ალკიდისაკენ დაიხარა.

– მიდა, – წაიჩურჩულა ალკიდმა და თავი ჩაღუნა.

– კეთილი, მაშ დოლს მოგიტან. ისეთი დიდებული დოლი იქნება, რომ სულ დახტრა-დუბრა, დახტრა-დუბრას გაიძახოდეს... მშვიდობით, სულიკო, მშვიდობით! - აქ ბავშვს თავზე აკოცა, შემდეგ მანილოვსა და მის მეუღლეს გადახედა ისეთი ღიმილით, რომლითაც ჩვეულებრივ მშობლებს აგრძნობინებენ შვილების ნატვრა-სურვილის უმანკოებას.

– მართლა დარჩით, პაველ ივანოვიჩ! – მიმართა მანილოვმა, როდესაც ყველანი პარმაღზე გავიდნენ.– ერთი შეხედეთ, რა შავი ღრუბელი წამოიშალა!

– ეგ ერთი ციცქნა ღრუბელია, –მიუგო ჩიჩიკოვმა.

– მერე იცით, სობაკევიჩთან რა გზით უნდა იაროთ?

– ეს კი თქვენ უნდა გკითხოთ.

– მომითმინეთ, თქვენს მეეტლეს ახლავე ყველაფერს გავაგებინებ. – აქ მანილოვმა ასეთივე თავაზიანობით გააცნო მეეტლეს საქმის ვითარება და ერთხელ «თქვენობითაც» კი მიმართა.

რაკი მეეტლემ გაიგო, რომ ორი მოსახვევი უნდა გამოეშვა და მხოლოდ მესამეზე გაეხვია, მიუგო: «როგორც იქნება გზას გავიკვლევთო, თქვენო კეთილშობილებავ!» ჩიჩიკოვი გზას

გაუდგა. ფეხის ცერებზე შემდგარი მასპინძლები კი კიდევ კარგა ხანს უქნევდნენ თავს და ცხვირსახოცს აფრიალებდნენ.

მანილოვი დიდხანს იდგა პარმაღზე და თვალს არ აშორებდა მიმავალ ბრიჩკას. ბოლოს ეტლი სულ ერთიანად ჩაიკარგა, მაგრამ მანილოვი მაინც იდგა და ჩიბუხს ეწეოდა. დასასრულ ოთახში შევიდა, ჩამოჯდა სკამზე და ფიქრებს გაჰყვა. იგი გულწრფელად გახარებული იყო, რომ სტუმარს პატარა სიამოვნება მიანიჭა. შემდეგ შეუმჩნევლად მისი აზრები სულ სხვა საგანზე გადავიდა და ბოლოს, ღმერთმა იცის, სად გაქანდა. იგი ფიქრობდა მეგობრული ცხოვრების სიკეთეზე, იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა ასეთ მეგობართან ერთად რომელიმე მდინარის პირას ეცხოვრა; შემდეგ ამ მდინარეზე ხიდის გადება იწყო, შემდეგ უზარმაზარი სახლი წამოჭიმა ისეთი მაღალი ბელვედერით, რომ იქიდან შეიძლებოდა მოსკოვის დანახვა, იქვე ჩაის მირთმევა საღამოობით ღია ცისქვეშ და რომელიმე სასიამოვნო საგანზე ბრძნული მსჯელობით დატკბობა. შემდეგ წარმოიდგინა, თითქოს ის და ჩიჩიკოვი მშვენიერი კარეტებით რომელიღაც საზოგადოებაში მიგრიალდნენ, სადაც თავიანთი ფაქიზი და საამური ქცევით ყველა მოხიბლეს; ვითომც ხელმწიფესაც კი შეესმა მათი სანაქებო მეგობრობის ამბავი, რისთვისაც ორივეს გენერლობა უბოძა; ბოლოს, ღმერთმა იცის, რა არ წარმოიდგინა, რასაც თვითონაც ვერ გაართვა თავი. უეცრად ჩიჩიკოვის უცნაურმა თხოვნამ შეაწყვეტინა ოცნებანი. მის თავში ვერ იქნა და ვერ გადაიხარშა ეს თხოვნა: რანაირად არ შეატრიალა, მაინც ვერაფერს მიუხვდა. ამიტომაც იჯდა და ერთთავად ჩიბუხს ექაჩებოდა, რამაც ვახშმობამდე გასტანა.

თავი მესამე

ჩიჩიკოვი კი მშვენიერ გუნებაზე გახლდათ, არხეინად იჯდა ბრიჩკაში და აგერ რა ხანია ფართო შარაგზით მიქროდა. წინა თავიდან უკვე მოჩანს, რა გემოვნებისა და მიდრეკილების კაცი გახლდათ, ამიტომაც საკვირველი არაა, რომ მალე მთელი არსებით საკუთარ ფიქრებში ჩაიძირა. ათასნაირი მოსაზრება, გეგმებზე და ხარჯთაღრიცხვაზე ფიქრი დასთამაშებდა სახეზე და, როგორც ჩანდა, ძალზე საამური უნდა ყოფილიყო, ვინაიდან წამდაუწუმ კმაყოფილი ღიმილის კვალს სტოვებდა. რაკი ამ ფიქრებში იყო გართული, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მეეტლისათვის, რომელიც აგრეთვე კმაყოფილი გახლდათ მანილოვის შინაყმების გულუხვობით და ახლა ფრიად საქმიან შენიშვნებს აძლევდა მარჯვენა მხრით შებმულ შავხალა ულაყს. ეს შავხალა ულაყი მეტად ვერაგი ცხენი გახლდათ, თავს ისე აჩვენებდა, ვითომც მეც ვირჯებიო, მაშინ როდესაც ქურანა და მარცხენა მხრით შებმული ჩალისფერა, რომელსაც «ზასედატელი» ერქვა, რადგან ვიღაც ზასედატელისაგან შეეძინათ, ისე გულმოდგინედ ეწეოდნენ ბრიჩკას, რომ თვალებში სიხარულიც კი ეხატებოდათ. «იცუღლუტე, იცუღლუტე! გიჩვენებ სეირს! – უთხრა სელიფანმა, წამოიწია და შოლტი გადაუჭირა ზარმაცს, – შენ შენი საქმე იცოდე, შე გარმიანელო! ქურანა პატიოსანი ცხენია, თავის მოვალეობას ასრულებს, მე მას მეტ საჭმელსაც დავუყრი, იმიტომ რომ პატიოსანი ცხენია; ზასედატელიც კარგი ცხენია... აბა, აბა! რა ყურებს აბარტყუნებ?! შენ, ჰეი, სულელო, ყური უგდე, როცა გეუბნებიან! შე ხეპრევ, შენა, ცუდს ხომ არაფერს გასწავლი... ერთი შეხე, საითკენ იწევს!» კიდევ შოლტი გადაუჭირა და შეუტია: «აჰაი, შე ბარბაროსო! წყეულო ბონაპარტე!» შემდეგ ყველას ერთად

დასჭყივლა: «ჰეი, თქვენი ჭირიმე, თქვენიო!» და სამთავეს ერთად გადაუშხუვლა, მაგრამ დასასჯელად კი არა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეგრძნობინებინა, თქვენით კმაყოფილი ვარო. რაკი ამგვარად აამა მათ, ისევ შავხალას გაემასლაათა: «შენა გგონია, ვითომ ცუღლუტობას ვერ მიგიხვდები? ვერ მოგართვეს! გიჯობს სიმართლით იცხოვრო, თუ გინდა რომ პატივი დაგდონ. აი ახლა, ბატონიანთსა რომ ვიყავით სტუმრად, ძალიან კარგი ხალხია. მეც სიამოვნებით გაველაპარაკები, თუ კაი კაცი იქნება; კაი კაცთან ჩვენ მუდამ კაი მეგობრები ვართ, გულითადი მახლობლები: თუ კაი კაცი იქნება, იმასთან ჩაისაც დავლევ და საუზმესაც კარგა გიახლებით. კაი კაცი მუდამ პატივსა და დიდებაშია. აგერ, ჩვენ ბატონს მუდამ პატივსა სდებენ, იმიტომ რომ, გესმის, ხენწიფის სამსახურს ასრულებს, სკოლესკოი სოვეტნიკია...»

ასე მასლაათობდა სელიფანი და ბოლოს ხომ მთლად განყენებულ მსჯელობაში შეტოპა. ჩიჩიკოვს რომ ყური მიეგდო, თავის თავზე ბევრ რასმე საგულისხმოს მოისმენდა; მაგრამ თავის საგანზე ფიქრს იმდენად წაეღო, რომ მხოლოდ ძლიერმა ქუხილმა გამოაფხიზლა და აიძულა ირგვლივ მიმოეხედა: მთელი ცა შავ ღრუბლებს წაეგრაგნა. მტვრიან საფოსტო გზას უკვე წვიმის წვეთები ესხურებოდა. ამ დროს მეორედ უფრო ძლიერ და უფრო ახლოს იჭექა და ღვართქაფა წვიმა დაუშვა. ჯერ ალმაცერად წამოვიდა წვიმა და ეტლის სახურავს ერთი გვერდიდან უშხაპუნებდა, შემდეგ მეორე მხრიდან შეუტია, მერე თავდასხმის გეზი შეიცვალა, პირდაპირ დაუშვა და ეტლის სახურავზე არახუნდა; ბოლოს წვიმის შხეფები სახეშიც ეცა ჩიჩიკოვს. ამ გარემოებამ აიძულა ჩიჩიკოვი ტყავის ფარდები ჩამოეშვა, რომელთაც ორსავე მხარეს მრგვალი სარკმლები ჰქონდა დატანებული გზის სანახაობათა სამზერლად გამიზნული, და სელიფანს უბრძანა ცხენები გაერეკა. ავდარმა სელიფანსაც შუაზე შეაწყვეტინა სიტყვა: იგი მიხვდა, რომ მართლაც ასე ჯანჯალი არ შეიძლებოდა; კოფოს ძირიდან რაღაც ნაცრისფერი ბრანძი ამოათრია, ჩამოიცვა, სადავეს ხელი დასტაცა და დასჭყივლა ცხენებს, რომლებიც ძლივსძლივობით მიჩაქჩაქებდნენ, რადგან ამდენი ბრძნული დარიგებით სულ მოდუნებულიყოვნენ. მაგრამ სელიფანმა ვერასგზით ვერ გაიხსენა, ორი მოსახვევი გაიარეს თუ სამი. კარგა დაფიქრების შემდეგ მიხვდა, რომ ბევრი მოსახვევი გამოუშვა და ნამდვილ გზას აცდა. რადგან გაჭირვებაში მყოფი რუსი კაცი ბევრს აღარ დაგიდევთ და ადვილად პოულობს თავსაშველ გზას, სელიფანსაც არ დაუყოვნებია, პირველსავე გზაჯვარედინზე მარჯვნივ გადაუხვია, დაჰკივლა: «ჰეი, საყვარლო მეგობრებოო!» და დააოთხა ცხენები, თუმცა სულაც არ დაფიქრებულა, სად მიიყვანდა ეს გზა.

წვიმა თიღქოს დიდხანს არ აპირებდა გადაღებას. გზაზე მტვერი აიზილა და ატალახდა, ცხენებსაც თანდათან უძნელდებოდათ ბრიჩკის თრევა. ჩიჩიკოვი უკვე მოუსვენრობამ მოიცვა, რომ სობაკევიჩის სოფელი ამდენ ხანს არ გამოჩნდა. მისი ანგარიშით აქამდისაც უნდა მისულიყვნენ. აქეთ-იქით იხედებოდა, მაგრამ ისეთი უკუნეთი იყო, რომ ვერაფერს შეამჩნევდით, თუნდაც თვალში თითი ეტაკებინათ.

– სელიფან! – შესძახა ბოლოს და ბრიჩკიდან თავი გამოჰყო.

– რაო, ბატონო? – მიუგო სელიფანმა.

– აბა, გაიხედე, სოფელი არ გამოჩნდა?

– არა, ბატონო, ჯერ არა ჩანს! – ამის შემდეგ სელიფანმა შოლტი შეაქნია და გააბა ისეთი გაუთავებელი რამ, – სიმღერა თუ რაღაც სიმღერის მსგავსი, – რასაც ბოლო არ უჩანდა და რაშიც ყველაფერი შედიოდა: ყოველნაირი გამამხნევებელი და შემაგონებელი შეძახილი, რომლითაც უმასპინძლდებიან ხოლმე ცხენებს ვრცელი რუსეთის კიდით კიდემდე; ათასნაირი მეტსახელი სქესის განურჩევლად, რაც კი პირველად მოადგება პირზე. ბოლოს საქმე იქამდესაც მივიდა, რომ ცხენები « მდივანბეგებად» მონათლა.

ამასობაში ჩიჩიკოვმა შეამჩნია, რომ ბრიჩკა საშინლად ინჯღრეოდა და მაგარი მუჯლუგუნებითაც უმასპინძლებოდა; ამ გარემოებამ მიახვედრა, რომ გზას გადასცდნენ და, უეჭველია, ახლა დაფარცხულ ხნულზე მიდიოდნენ. სელიფანი ბარემ თვითონაც მიხვდა, მაგრამ კრინტსაც არ ძრავდა.

– ჰეი, შე თაღლითო, რა გზით მიდიხარ? – შესძახა ჩიჩიკოვმა.

– აბა რა ვუყო, ბატონო, ხომ ხედავთ, რა დროა; შოლტიც ვეღარც გამირჩევია, ისეთი უკუნია! – ამ სიტყვებზე ბრიჩკა ისე შეაყირავა, რომ ჩიჩიკოვი იძულებული გახდა ორივე ხელით ეტლის კედლებს ჩაბღაუჭებოდა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ სელიფანი კარგა შეზარხოშებული ბრძანდებოდა.

– დააყე, დააყე, გადააბრუნებ! – შესძახა ჩიჩიკოვმა.

– არა, ბატონო, როგორ შეიძლება გადავაბრუნო, – მიუგო სელიფანმა, – განა არ ვიცი, რომ გადაბრუნება კარგი არაა; არასგზით არ გადავაბრუნებ, – შემდეგ ბრიჩკის ოდნავ მობრუნება დააპირა. აბრუნა, აბრუნა და ბოლოს გვერდზე გადააბრუნა. ჩიჩიკოვი ხელფეხიანად ტლაპოში გაგორდა. სელიფანმა ცხენები შეაჩერა, თუმცა თვითონაც შეჩერდებოდნენ, რადგან ძალზე ქანცგამოლეულები იყვნენ.ასეთმა გაუთვალისწინებელმა ფათერაკმა დიდად განაცვიფრა სელიფანი. კოფოდან გადმოხტომისთანავე ბრიჩკის წინ დადგა, ორივე ხელით დოინჯი შემოიყარა და იმ დროს, როდესაც მისი ბატონი ტლაპოში ფართხალებდა და წამოდგომას ლამობდა, ცოტაოდენი ჩაფიქრების შემდეგ წარმოთქვა: «დახე, აკი გადაბრუნდა!»

– ისე გალეშილხარ, როგორც მეჩექმე! – შესძახა ჩიჩიკოვმა.

– არა, ბატონო, როგორ შეიძლება მთვრალი ვიყო! განა არ ვიცი, სიმთვრალე არ ვარგა! მეგობარ კაცს გაველაპარაკე, რადგან კაი კაცთან შეიძლება მასლაათი, აქ ცუდი რა არი; ჰოდა ცოტა დავნაყრდით კიდეც. დანაყრება ხომ საწყენი საქმე არაა: კაი კაცთან მუდამ შეიძლება დანაყრება.

– მერედა რა გითხარი, ბოლო ხანს რომ დაითვერი, ჰა? დაგავიწყდა? – დაუტია ჩიჩიკოვმა.

– არა, თქვენო კეთილშობილებავ, როგორ შეიძლება დავიწყება. მე ჩემი საქმე ვიცი. ვიცი, რომ სიმთვრალე არ ვარგა. კაი კაცთან გავიმასლაათე, იმიტომ რომ...

– აი, კარგა რომ გაგწკეპლავ, მაშინ გაიგებ, როგორ უნდა კაი კაცთან გამასლაათება!

– როგორც თქვენი მოწყალების ნება-სურვილი იყოს! – უპასუხა ყველაფერზე თანახმა სელიფანმა, – თუ გაწლეპლაა, გაწკეპლა იყოს; სულაც არ ვიუარებ. თუკი დავიმსახურე, რატომაც არ უნდა გამწკეპლოთ? ყველაფერი ბატონის ნებაა. წკეპლა საჭიროა, რადგან გლეხი თავგასულია; წესი და რიგი არ უნდა დაირღვეს. თუკი ღირსი ვარ, ადექით და გამწკეპლეთ; რატომაც არ უნდა გამწკეპლოთ?

ასეთ მსჯელობაზე ბატონმა სიტყვა ვერ იპოვა, რა ეპასუხა. მაგრამ ამ დროს თითქოს ბედმა გადაწყვიტა მისი შებრალება. შორიდან გაისმა ძაღლის ყეფა. გახარებულმა ჩიჩიკოვმა სელიფანს უბრძანა ცხენები გაერეკა. რუს მეეტლეს თვალების ნაცვლად კარგი ალღო აქვს; ამიტომაა, რომ ის ხშირად დახუჭავს თვალებს, ფიცხელი ჭენებით მიჰქრის და ბოლოს კი მაინც სამშვიდობოს გააღწევს. სელიფანი ვერაფერს ვერა ხედავდა, მაგრამ ცხენები პირდაპირ სოფლისაკენ მიუშვა და მხოლოდ მაშინ შეაჩერა, როდესაც ბრიჩკა ხელნებით ღობეს დაეტაკა და გასავალი აღარსად იყო. ღვართქაფა წვიმის სქელ საბურველში ჩიჩიკოვმა მხოლოდ სახურავის მსგავსი რამ გაარჩია. სელიფანი ჭიშკარის საძებნელად გაგზავნა, რაიც, უეჭველია, კარგა ხანს გაჭიანურდებოდა, თუ რუსეთში მეკარეთა ნაცვლად ავი ძაღლები არ ჰყავდეთ, რომელთაც თავიანთ პატრონს ისეთი მაღალი ხმით მოახსენეს სტუმრის მობრძანება, რომ სელიფანმა ყურებში თითები დაიცო. ერთი ფანჯრიდან შუქი გამოკრთა ღობემდე ბუნდოვან ზოლად გაწვა, რითაც ჩვენს მგზავრებს ჭიშკრის მისავალზე მიუთითა. სელიფანი მოჰყვა ჭიშკარზე ბრახუნს. მალე პატარა კარი გაიღო, ვიღაც ჯუბაწამოსხმულმა გამოიხედა და ბატონსა და მსახურს დედაბრის ხრინწიანი ხმა შემოესმათ: – ვინ აბრახუნებს? რა ალიაქოთია?

– მგზავრები ვართ, დედი, შეგვიშვი, ღამე გაგვათევინე, – ხმა მიაწვდინა ჩიჩიკოვმა.

– დამიხედეთ, რა ყოჩაღი ვინმე ყოფილა, – თქვა დედაბერმა, – რა დროს ყიალია! სასტუმრო ხომ არა გგონიათ: აქ მემემულე ქალი ცხოვრობს.

– რას ვიზამთ, დედი: აგერ გზა აგვერია. ასეთ დროს მინდვრად ხომ არ გავათევთ ღამეს.

– დიახაც ბნელი ღამეა, ცუდი დროა, – დაუმატა სელიფანმა.

– ჩუმად, შე ბრიყვო, – დაუტია ჩიჩიკოვმა.

– აზნაური გახლავართ, დედი.

აზნაურის გაგონებაზე დედაბერი თითქოს ჩაფიქრდა.

– მოითმინეთ, ქალბატონს მოვახსენებ, – თქვა და ორიოდე წუთის შემდეგ ფარნით დაბრუნდა.

ჭიშკარი გაიღო. შუქი მეორე ფანჯრიდანაც გამოკრთა. ბრიჩკა ეზოში შევიდა და პატარა სახლის წინ გაჩერდა, რომლის გარჩევა ძნელი იყო იმ სიბნელეში. მხოლოდ მისი ერთი ნაწილი გაეშუქებინა ფანჯრიდან გამომკრთალ შუქს: სახლის წინ მოჩანდა გუბე, რომელსაც პირდაპირ სცემდა იგივე შუქი. წვიმა შხაპუნით ხმაურობდა ყავრის სახურავზე და მოჩხრიალე ნაკადულებად ქვემოთ მიდგმულ კასრში ჩადიოდა. ძაღლები კი ყველანაირ ჰანგზე ყეფდნენ; ერთს თავი მაღლა აეღო და ისეთი გულმოდგინებითა და გაბმით ყმუოდა, თითქოს ამისთვის, ღმერთმა უწყის, რა ჯამაგირს იღებდა; მეორე მნათესავით ასხაპუნებდა; შიგადაშიგ ფოსტის ზარივით წკარუნებდა დაუღალავი ლეკვის კრინი; დასასრულ ყველა ამას აგვირგვინებდა გაბმული ბანი ბებერი ქოფაკისა, რომელიც ალბათ ძლიერი ძაღლური ბუნებით იყო მომადლებული, რადგან ისე ხრიალებდა, როგორც მგალობელთა გუნდის კონტრაბასი, როცა კონცერტი გახურებულია: ტენორები ფეხის წვერებზე შემდგარან, თავი უკან გადაუგდიათ და იჭაჭებიან, რათა მაღალი ნოტები გამოიყვანონ. მხოლოდ ამ ერთს გაუპარსავი ნიკაპი ყელსახვევში ჩაუჩრია, თითქმის ცუცქზე ჩამჯდარა და ისეთი ხმით გუგუნებს, რომ ფანჯრის მინებს ზრიალი გააქვს. მარტო ასეთი მუსიკოსი ძაღლების ყეფიდანაც აშკარა იყო, რომ კარგა გვარიანი სოფელი უნდა ყოფილიყო; მაგრამ ჩვენს გაწუწულსა და გათოშილ გმირს ლოგინის მეტი არაფერი აფიქრებდა. ბრიჩკამ ვერც კი მოასწრო შეჩერება, რომ ჩიჩიკოვი პარმაღზე გადმოხტა, წატორტმანდა და კინაღამ წაიქცა. პარმაღზე მეორე დედაკაცი გამოვიდა, რომელიც პირველზე ურო ახალგაზრდა იყო, მაგრამ ძალიან კი წააგავდა მას, იგი ოთახში შეუძღვა ჩიჩიკოვს. ოდნავ თვალის მოვლებაზე ჩიჩიკოვმა შეამჩნია: ოთახში ძველი და ზოლიანი შპალერი იყო გაკრული; კედლებზე რაღაც ფრინველების სურათები ეკიდა; ფანჯრებს შუა გამოიყურებოდა ძველებური პატარა სარკეები ფოთოლივით ჩახვეულ მოშავო ჩარჩოებით; თითოეული სარკის უკან ან წერილები ჩაეწყოთ, ან გაცვეთილი სათამაშო ქაღალდი, ან ქალის წინდები; კედლის საათის ციფერბლატზე ყვავილები გამოეხატათ... შეუძლებელი იყო კიდევ სხვა რამ გაგერჩიათ. ჩიჩიკოვი გრძნობდა, რომ თვალები ებლიტებოდა, თითქოს ქუთუთოებსა და კილოებზე ვიღაცას თაფლი წაუსვამსო. ერთი წუთის შემდეგ შემოვიდა დიასახლისი, კარგა ხნიერი დედაკაცი, ღამის თავსაბური სახელდახელოდ დაეხურა, ყელზე კიდევ ფლანელი მოეხვია. იგი ერთი იმ ხელმოკლე მემამულე დედაბერთაგანი უნდა ყოფილიყო, რომლებიც სულ მოუსავლობასა და ზარალზე წუწუნებენ და თავი ოდნავ გვერდზე გადახრილი აქვთ, მაშინ როდესაც ხამის პარკუჭებს ცოტ-ცოტაობით ფულით ტენიან და კამოდის უჯრებში ჩქმალავენ. ერთ პარკუჭში სულ მანეთ-მანეთიანებს აგროვებენ, მეორეში – ათ-ათშაურიანებს, მესამეში – ხუთ-ხუთშაურიანებს, თუმცა გარედან არც კი ეტყობა, თუ იმ კომოდში სხვა რამეც მოიპოვება, გარდა საცვლებისა და ღამის კოფთებისა, ძაფის გორგლებისა და დაშლილი ქათიბისა, რომელსაც შემდეგ კაბად გადააკეთებენ, თუ ვინიცობაა ძველი კაბა სადღესასწაულოდ პროაჟენცებისა და სხვა ტკბილეულის ცხობის დროს შეეტრუსათ ან თავისთავად გაუცვთათ. მაგრამ კაბა არ დაიწვება და არც თავისით გაცვთება; ხელმომჭირნეა დედაბერი და ქათიბს ბედად უწერია კიდევ დიდხანს ეგდოს დარღვეული, რომ შემდეგ დისწულის შვილიშვილს ერგოს ანდერძით სხვა ძველმანებსა და ნაყარნუყართან ერთად.

ჩიჩიკოვმა მოიბოდიშა, მოულოდნელი სტუმრობით შეგაწუხეთო.

– არაფერი, არაფერი, – მიუგო დიასახლისმა, – ეს რა ცუდ დროს მობრძანდით! რა საშინელი ღვართქაფია და ქარიშხალი. ბარემ ნამგზავრს კარგი გამასპინძლება მოგიხდებოდათ, მაგრამ ღამეა და ვერაფერს მოგიმზადებთ.

უცნაურმა შიშინმა შეაწყვეტინა სიტყვა ჩვენს დიასახლისს. სტუმარს კიდევაც შეეშინდა ამ ხმაურის; ისე მოისმოდა, თითქოს მთელი ოთახი მოსისინე გველებს აევსოთ; მაგრამ ჩიჩიკოვმა ზემოთ აიხედა და დამშვიდდა, ვინაიდან მიხვდა, რომ კედლის საათი დარეკვის გუნებაზე დამდგარიყო. შიშინს მალე ხრიალი მოჰყვა, ბოლოს საათმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ორჯერ ისე ჩამოჰკრა, თითქოს ვიღაცამ გატეხილ ქოთანზე ჯოხი ააკაკუნაო. ამის შემდეგ საათის ენამ ისევ დინჯად განაგრძო მარჯვნივ და მარცხნივ ქანაობა.

ჩიჩიკოვმა მადლობა გადაუხადა დიასახლისს, თანაც დასძინა, რომ მას არაფერი ეჭირვება, დიასახლისი არაფერზე შეწუხდეს, იგი ლოგინის მეტს არაფერს მოითხოვს, ოღონდ იმის გაგება სურს, თუ რა მხარეში მოხვდა და აქედან კიდევ რა სიშორეზე იმყოფება მემამულე სობაკევიჩის კარმიდამო, რაზეც დედაბერმა უპასუხა, ასეთი გვარი სულაც არ გამიგონია და მსგავსი მემამულე არ არსებობსო.

– იქნებ მანილოვს მაინც იცნობთ? – იკითხა ჩიჩიკოვმა.

– მანილოვი ვინღაა?

– მემამულე გახლავთ, დედი.

– არა, არ გამიგონია, არც ასეთი მემამულე არსებობს.

– მაშ რომელი მემამულეები არიან?

– ბობროვი, სვინინი, კანაპატიევი, ხარპაკინი, ტრეპაკინი, პლეშაკოვი.

– მდიდრები არიან თუ არა?

– არა, ჩემო ბატონო, მდიდრები სადღაა. ვის ოცი სული ჰყავს, ვის ოცდაათი, მაგრამ ას-ასი სული რომ ჰყავდეთ, ასეთები არ არიან.

ჩიჩიკოვი მიხვდა, რომ კარგა შორს ჯურღმულში გადმოკარგულა.

– ქალაქი მაინც ხომ შორს არაა აქედან?

– ასე, სამოცი ვერსი იქნება, რარიგად მწყინს, რომ საჭმელი ვერ მოგართვით! ჩაის ხომ არ ინებებთ, ჩემო ბატონო?

– გმადლობთ, დედი, ლოგინის მეტი არა მინდა რა.

– რაღა თქმა უნდა, ასეთი მგზავრობის შემდეგ კარგი მოსვენებაა საჭირო. აი, ამ დივანზე მოისვენეთ, ბატონო ჩემო. ჰეი, ფეტინა, ერთი გერმის ლეიბი, ბალიშები და ზეწარი შემოიტა. ეს რა წყეული ავდარი მოგვივლინა ღმერთმა: ისე საშინლად ჰქუხს – მთელი ღამე ხატის წინ სანთელი მენთო. მაგრამ, ბატონო, ეს რა დაგმართიათ, ზურგი და გვერდები კურატივით ლაფში ამოგისვრიათ?! ასე სად მოილაფეთ?

– კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ასე გადავრჩი. საღმრთოს გადახდა მმართებს, რომ ფერდები არ დამემტვრა.

– ღმერთო დაგვიფარე! ეს რა გადახდომია! ხომ არ ინებებთ, ზურგი რითიმე დაგიზილოთ?

– გმადლობთ, გმადლობთ, ნუ სწუხდებით, ოღონდ თქვენს გოგოს უბრძანეთ, ჩემი ტანისამოსი გააშროს და დამისუფთაოს.

– გესმის, ფეტინია! – მიმართა დიასახლისმა დედაკაცს, წაღან რომ სანთლით ხელში გამოვიდა პარმაღზე. დედაკაცს უკვე შემოეთრია გერმის ლეიბი, რომელსაც ორივე მხრიდან ხელი შემოკრა და ბუმბულით აავსო მთელი ოთახი – შენ ამათი ხიფთანი და ქვედა ტანისამოსი წაიღე, ჯერ ცეცხლთან კარგად გააშრე, როგორც განსვენებულ ბატონს უშრობდი ხოლმე, შემდეგ ტალახი ჩამოფშვნიტე და ლაზათიანად გაბერტყე.

– მესმის, ქალბატონო! – მიუგო ფეტინამ, ლეიბს ზეწარი გადააფარა და ბალიშები გაუწყო.

– აი, ლოგინიც მზადაა! – წარმოთქვა დიასახლისმა, – მშვიდობით ბრძანდებოდე, ბატონო ჩემო, ძილი ნებისა. კიდევ ხომ არაფერს ინებებ? იქნებ დაჩვეული ხარ, ბატონო, რომ ძილის წინ ვინმემ ფეხისგულები დაგფხანოს? განსვენებული ჩემი მეუღლე უამისოდ ვერ იძინებდა.

მაგრამ სტუმარმა ფეხისგულების ფხანაზეც უარი განაცხადა. დიასახლისი გავიდა, ჩიჩიკოვიც უმალვე დაეჩქარა გახდას და ფეტინიას გადასცა მთელი თავისი მოკაზმულობა, როგორც ზედა, ისე ქვედა. ფეტინიამაც თავის მხრივ ძილი ნებისა უსურვა და თან გაიყოლა ჩვენი გმირის სველი მოკაზმულობა. მარტოდ დარჩენილმა ჩიჩიკოვმა სიამოვნებით გადახედა თავის ქვეშაგებს, რომელიც თითქმის ჭერს სწვდებოდა. როგორც ჩანს, ფეტინია ძალიან დახელოვნებული უნდა ყოფილიყო ლეიბების გაბუებაში. რედესაც ჩიჩიკოვმა სკამი მიიდგა და ლოგინში ჩაგორდა, ლეიბმა მის ქვეშ თითქმის იატაკამდე დაიწია, ხოლო იქიდან გამოდევნილი ბუმბული მთელ ოთახს მოედო. ჩიჩიკოვმა სანთელი ჩააქრო, კრენდელივით მოიკუნტა, ჩითის საბანი წაიხურა და იმავე წუთს ჩაეძინა. მეორე დღეს საკმაოდ გვიან გაიღვიძა. ფანჯრიდან მზე პირდაპირ თველებში უჭყიტინებდა, ხოლო ბუზები, რომელთაც გუშინ კედლებსა და ჭერზე არხეინად ეძინათ. წამოიშალნენ და მისკენ იბრუნეს პირი: ერთი ტუჩზე დააჯდა, მეორე ყურზე, მესამე თავზე დასტრიალებდა, რომ

როგორმე ზედ თვალზე დასჯდომოდა; ხოლო ის ერთი, რომელიც წინდაუხედავად ცხვირის ნესტოზე მიაჯდა, ჩიჩიკოვმა ამოხვნეშის დროს შიგ ცხვირში შეითრია, რის გამოც ერთი მაგრად დააცემინა, – სწორედ ეს გარემოება შეიქნა მიზეზი მისი გამოღვიძებისა. როდესაც ოთახს თვალი მოავლო, შეამჩნია, რომ სურათებზე თურმე მარტო ფრინველები როდი ეხატა: მათ შორის შენიშნა კუტუზოვის პირტრეტი და ერთიც კიდევ ზეთის საღებავებით დახატული ვიღაც მოხუცი, რომელსაც მუნდირის სახელოებზე წითელი ყოშები ეკერა, როგორსაც პაველ პეტროვიჩის დროს ატარებდნენ. საათმა ისევ შიშინი გააბა და ათი დარეკა; ამ დროს კარებში ქალის სახე გამოჩნდა, მაგრამ იმწამსვე მიიმალა, ვინაიდან ჩიჩიკოვს მთლად გაეხადა, რომ უფრო მოსვენებით დასძინებოდა. იმ ქალის სახე თითქოს ემცნაურა. ბევრი იფიქრა, ნეტავი ვინ უნდა იყოსო, ბოლოს გაახსენდა, რომ ეს მისი დიასახლისი იყო. პერანგი გადაიცვა; უკვე გამშრალ-გაწმენდილი ტანისამოსი იქვე მის გვერდით ეწყო. ტანთ რომ ჩაიცვა, ჩიჩიკოვი სარკესთან მივიდა და ხელახლა ისე ხმამაღლა დააცემინა ცხვირი, რომ ამ დროს ფანჯარასთან მოსულმა მამალმა ინდაურმა – ფანჯარა კი მიწიდან სულ დაბლა იყო – რაღაც სწრაფად ჩაირუკრუკა თავის უცნაურ ენაზე, ალბათ ჯანმრთელობა უსურვა, რაზეც ჩიჩიკოვმა უპასუხა: «აი, შე ჩერჩეტო!» როცა ფანჯარასთან მივიდა, თვალი გადაავლო წინ გადაშლილ სანახაობას: ფანჯარა თითქმის საქათმეს დაჰყურებდა; ყოველ შემთხვევაში მის წინ გადაშლილ ერთ მტკაველა ეზოში ათასი ფრინველი და შინაური ცხოველი დაფუსფუსებდა. ინდაურებსა და ქათმებს ანგარიში არა ჰქონდა; მათ შორის დინჯად დაბრძანდებოდა მამალი, რომელიც ბიბილოს აცანცარებდა და თავმოღერებით იყურებოდა, თითქოს რაღაცას ყურს უგდებსო: ღორიც აქვე ბრძანდებოდა მთელი თავისი ჯალაბობით: მან იქვე გადაქექა ნაგვის გროვა, სახელდახელოდ წიწილაც გადასანსლა და, თითქოს აქ არაფერიაო, საზამთროს ქერქების თქვლეფა განაგრძო. ეს პატარა ეზო, ანუ საქათმე, შემოღობილი იყო ფიცრული მესრით, რომლის იქითაც გაჭიმულიყო თვალუწვდენელი ბოსტნები, სადაც ეთესა კომბოსტო, ხახვი, კარტოფილი, ჭარხალი და სხვა ბოსტნეული. ბოსტანში აქა-იქ ვაშლის ხეები და სხვა ხეხილი იდგა. ყველასთვის თავზე გადაეხურათ ბადე, რათა ნაყოფი დაეცვათ კაჭკაჭებისა და ბეღურებისაგან, განსაკუთრებით ამ უკანასკნელთაგან, რომლებიც შავი ღრუბლებივით გუნდ-გუნდად თავს დასტრიალებდნენ ხეხილს. ამავე მიზნით რამდენიმე ალაგას მაღალ სარებზე ჩამოეცვათ ხელებგაჩაჩხული საფრთხობელა; ერთ მათგანს თვითონ დიასახლისის თავსახური ჰქონდა ჩამოფხატული. ბოსტნების იქით გლეხების ქოხმახები იწყებოდა. მართალია, შენობები არ იყო რიგზე ჩამწკრივებული და სწორ ქუჩებზე აგებული, მაგრამ, როგორც ჩიჩიკოვმა შენიშნა, აშკარად მოწმობდა მოსახლეობის დოვლათიანობას, ვინაიდან თითოეული მათგანი კარგად იყო მოვლილი: სახურავებზე ძველი ყავარი ახლით შეეცვალათ; ვერსად ნახავდით წაბრეცილ ჭიშკარს, ხოლო აქეთკენ პირშემობრუნებულ ფარდულებში ჩიჩიკოვმა შეამჩნია თითქმის სულ ახალი სათადარიგო ფორნები, ზოგან ორ-ორიც კი. «ამ ქალბატონს კარგა მოზრდილი სოფელი ჰქონია», – თქვა ჩიჩიკოვმა და იქვე გადაწყვიტა გამოლაპარაკებოდა და უფრო ახლოს გასცნობოდა დიასახლისს. შემდეგ იმ კარის ჭუჭრუტანიდან შეიხედა, რომლიდანაც წეღან დიასახლისმა გამოყო თავი და, რა დინახა, რომ იგი ჩაით გაწყობილ მაგიდას მისჯდომოდა, ალერსიანი და გაბადრული სახით შევიდა მასთან.

– გამარჯობათ, ბატონო ჩემო, როგორ მოსვენებით გეძინათ? – მიმართა დიასახლისმა და ადგილიდან წამოიწია. იგი გუშინდელზე უკეთ იყო გამოწყობილი – თალხი კაბა ეცვა, ღამის თავსაბურიც აღარ ეხურა, მაგრამ ყელზე მაინც რაღაც ეხვია.

– კარგად, კარგად, – მიუგო ჩიჩიკოვმა და სავარძელში ჩაჯდა, – თქვენ როგორღა ბრძანდებით, დედი?

– ცუდად, ბატონო ჩემო, ცუდად. უძილობა მაწუხებს. სულ ერთთავად წელი მტკივა, კოჭზემოთაც ფეხი მტეხს.

– გაივლის, დედი, გაივლის, ამაზე გულს ნუ გაიტეხთ.

– ღმერთმა ჰქნას, რომ გამიაროს. ღორის ქონი კი წავისვი და სკიპიდარითაც დავიზილე. ჩაის ხომ არაფერს დააყოლებთ? ამ მათარაში ხილის არაყია.

– არა უშავს რა, დედი, ხილის არაყსაც გიახლებით.

ვგონებ, მკითხველი შეამჩნევდა, რომ მიუხედავად ალერსიანი კილოსი ჩიჩიკოვს აქ გაცილებით უფრო თავისუფლად ეჭირა თავი, ვიდრე მანილოვთან და უბოდიშოდაც იქცეოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენში, რუსეთში, თუ ჯერ კიდევ ბევრ რამეში ვერ დავწევივართ უცხოელებს, ზრდილობისა და თავაზიანობის საკითხში უკვე ბევრად წინ გავუსწარით. ჩვენი თავაზიანობის ყველა იერსა და ელფერს ვინ ჩამოთვლის! ფრანგი ან გერმანელი მთელ თავის სიცოცხლეში ვერ გაიგებს და ვერ ჩასწვდება, თუ რა თავისებურება და განსხვავებაა ამ თავაზიანობაში; იგი თითქმის ერთი და იმავე ხმითა და ენით ელაპარაკება მილიონერსაც და უბრალო თამბაქოს ვაჭარსაც, თუმცა, რა თქმა უნდა, გულში საკმაოდ წაისულმდაბლებს პირველის წინაშე. ჩვენში ასე როდია: ჩვენში მოიპოვება ისეთი ბრძენი ხალხი, რომელიც ორასი ყმის პატრონს სულ სხვანაირად ელაპარაკება, ვიდრე სამასი სულის პარტონს; ხოლო იმას, ვინც სამასი სულის პატრონია, სხვანაირად ელაპარაკება, ვიდრე ხუთასი სულის პატრონს; ვისაც ხუთასი სული მოეპოვება, იმასაც სხვანაირად ელაპარაკება, ვიდრე რვაასი სულის პატრონს, – ერთი სიტყვით, გნებავთ, მილიონამდე აუწიეთ, იგი მაინც ყველასთვის შესაფერ კილოს გამონახავს. წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს კანცელარია, – აქ კი არა, ცხრა მთას იქით, – ხოლო ომ კანცელარიაში, ვთქვათ, არსებობს კანცელარიის უფროსი. გთხოვთ ყურადღებით შეხედოთ მას, როდესაც იგი ხელქვეითთა შორის ზის, – შიშისაგან კრინტსაც ვერ დასძრავ! სიამაყეს, კეთილშობილებას და ვინ იცის კიდევ რას არ გამოხატავს მისი სახე! პირდაპირ აიღე ყალამი და დახატე: პრომეთეა, ჭეშმარიტად პრომეთე! არწივივით იმზირება, დინჯად, დარბაისლად დაბრძანდება. მაგრამ იგივე არწივი, რაწამს ოთახიდან თავს გამოყოფს და იღლიაში ამოჩრილი ქაღალდებით თავის უფროსის კაბინეტისაკენ მიცუხცუხებს, წმინდა წყლის კაკაბი გეგონება. საზოგადოებაში და წვეულებაზე თუკი თავისზე ერთი ჩინით დაბალ ხალხს ხედავს, პრომეთე ისევ პრომეთე რჩება; მაგრამ თუ ოდნავ თავისზე მაღალს მოჰკრა თვალი, ისეთი გარდაქმნა მოხდება, როგორსაც ოვიდიუსიც ვერ მოიფიქრებდა: ბუზად გარდაიქმნება პრომეთე, ბუზზე მეტად

დაკნინდება, იოტისოდენა გახდება! « არა, ეს ივან პეტროვიჩი არ უნდა იყოს, – უნებურად იტყვით, როდესაც შეხედავთ, – ივან პეტროვიჩი უფრო ტანადია, ეს კი საოცრად დაგვალულა, გამხდარა კიდეც; ის რიხიანად ლაპარაკობს, ბოხი ხმით გრგვინავს, არასოდეს იცინის; ეს კი, – ეშმაკმა უწყის, რა არის: ჩიტივით ჭყიპინებს და სულ იცინის». მიხვალ უფრო ახლოს, დააკვირდები და მართლა ივან პეტროვიჩი არ შეგრჩება ხელში! «ეჰე-ჰე!» იტყვი შენს გულში... მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მოქმედ პირებს. როგორც დავინახეთ, ჩიჩიკოვმა გადაწყვტა სრულიად უბოდიშოდ მოქცეულიყო. ამიტომ, როცა ფინჯანი ჩაი აიღო და შიგ ხილის არაყიც ჩაისხა, ასეთი მუსაიფი გაუბა დიასახლისს:

– კარგი სოფელი გქონიათ, დედი, რამდენი სული გეყოლებათ?

– სული, ჩემო ბატონო, ასე ოთხმოცამდე იქნება, – მიუგო დიასახლისმა, – მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცუდი დრო დაგვიდგა; აგერ, შარშანაც ისეთი მოუსავლიანი წელი იყო, რომ ღმერთმა დაგიფაროთ.

– გლეხები მაინც კარგად გამოიყურებიან, ლაზათიანი სახლ-კარიც ჰქონიათ. ახლა, ნება მიბოძეთ, თქვენი გვარი გავიგო. ისე თავგზააბნეული ვიყავი... ღამე გეახელით...

– კორობოჩკა გახლავართ, კოლეჟსკი სეკრეტარის ქვრივი.

– დიდად გმადლობთ. სახელი და მამის სახელი?

– ნასტასია პეტროვნა.

– ნასტასია პეტროვნა? კარგი სახელია ნასტასია პეტროვნა. მე ერთი დეიდა მყავს, დედაჩემის ღვიძლი და, ისიც ნასტასია პეტროვნაა.

– თქვენ ვინღა ბრძანდებით? – ჰკითხა დიასახლისმა. – ალბათ ზასედატელი იქნებით.

– არა, დედი, – მიუგო ჩიჩიკოვმა და ჩაიცინა, – ზასედატელი არა ვარ, მე ჩემს პატარ-პატარა საქმეებზე დავიარები.

– მაშ მუშტარი ყოფილხართ! რა მენანება, რომ ვაჭრებს ასე იაფად მივყიდე თაფლი. ადრე რომ გამოგევლო, ჩემო ბატონო, ალბათ იმ თაფლს გამისაღებდი.

– ყველა ყველა, მაგრამ თაფლს კი ვერ გაგისაღებდით.

– მაშ რას იყიდი? იქნებ ქერელი გნებავთ? თუმცა ესეც ცოტა დამრჩა, ნახევარ ფუთამდე მექნება.

– არა, დედი, მე სულ სხვანაირ საქონელს დავეძებ: ერთი ეს მიბრძანეთ, გლეხები ბლომად დაგეხოცათ?

– ე-ეჰ, ჩემო ბატონო, თვრამეტი კაცი დამაკლდა! – ოხვრით წარმოთქვა დედაბერმა, – მერე რა მუშა, რა გამრჯელი ხალხი! მართალია, შემდეგ ბევრი შემომემატა, მაგრამ რა ყრია მათში: სულ ჟიჟმატი თაობა მოდის: ზასედატელი კი მოდის და ცხვირში ბოლს გვადენს, რომ თითოეულ სულზე გადასახადი წაგვგლიჯოს. ხალხი მკვდარია, შენ კი უნდა ფული ჩაუთვალო, როგორც ცოცხლებზე. ამ წინა კვირას მჭედელი დამეწვა, ისეთი ხელმარჯვე იყო, ზეინკლობაც იცოდა...

– როგორ, თქვენს სახლს ხანძარი ხომ არ გასჩენია, დედი?

– ასეთი უბედურებისაგან ღმერთმა დამიფარა, თორემ ცეცხლი უარეს დღეში ჩამაგდებდა; თვითონვე დაიწვა, ბატონო ჩემო. შიგნით გაუჩნდა როგორღაც ცეცხლი, ძალზე ნასვამი იყო, მხოლოდ ლურჯი ალიღა გამოუშვა, ჩაიფერფლა, ჩაიფერფლა და ნახშირივით გაშავდა. მერე რა უბადლო მჭედელი იყო! ახლა ვეღარსად წავსულვარ, ცხენები ვერავისთვის დამიჭედინებია.

– სულ განგების საქმეა, დედი! – მიუგო ამოოხვრით ჩიჩიკოვმა: – განგების წიდააღმდეგ აბა რა გვეთქმის... იცით რა, ნასტასია პეტროვნა, მოდით და ეგენი მე დამითმეთ.

– ვინ ეგენი, ჩემო ბატონო?

– აი ყველა ეგენი, ვინც დაგხოციათ.

– ჰო, მაგრამ როგორ უნდა დაგითმოთ?

– ისე. ანდა აიღეთ და მომყიდეთ, კარგ ფულს მოგართმევთ.

– აბა როგორ? სწორედ მოგახსენო, არა მესმის რა. საფლავიდან ხომ არ უნდა ამოთხარო?

ჩიჩიკოვი მიხვდა, რომ დედაბერმა ძალიან შორს შეტოპა და საჭირო იყო უფრო უბრალოდ განემარტა მისთვის საქმის ვითარება. რამდენიმე სიტყვით აუხსნა, რომ ყიდვაც და გადმობარებაც მხოლოდ ქაღალდზე მოხდებოდა, მიცვალებულებს კი ისე ჩასწერდნენ, როგორც ცოცხლებს.

– ჰო, მაგრამ რისთვის გინდა ეს მკვდრები? – იკითხა დედაბერმა და თვალები გადმოქაჩა.

– ეს კი ჩემი საქმეა.

– ისინი ხომ მიცვალებულები არიან.

– მერე ვინ გეუბნებათ, ცოცხლები არიანო? სწორედ იმიტომ დაზარალდით, რომ დაიხოცნენ: თქვენ გადასახადებს იხდით მაგათთვის, მე კი ყველა დავიდარაბიდან და გადასახადებიდან გამოგიხსნით. ახლა ხომ გაიგეთ? და არათუ გამოგიხსნით, სართად თხუთმეტ მანეთსაც მოგართმევთ. ახლა ხომ გესმით?

– სწორედ მოგახსენო, მაინც არა მესმის რა, – ტკეპნით მიუგო დიასახლისმა, – მე ხომ მკვდრებით არასოდეს არ მივაჭრია.

– რა თქმა უნდა! ეგ ხომ სასწაული იქნებოდა, რომ მკვდრები ვისთვისმე მიგეყიდნათ. ან იქნებ გგონიათ, რომ მაგათში მართლა რაიმე ხეირი არის?

– არა, ეგ სწორედ რომ არა მგონია. რა სარგებლობაა მკვდარში, ან რის გამორჩენა შეიძლება. მე მხოლოდ ის მაბრკოლებს, რომ ისინი მკვდრები არიან.

«ვგონებ, ძალიან შუბლმაგარ დედაბერს გადავეკიდე!» – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა

– გამიგონეთ, დედი, აბა, კარგად განსაჯეთ: თქვენ ხომ პირდაპირ ნადგურდებით, როდესაც მკვდრებზეც გადასახადებს ისე იხდით, როგორც ცოცხლებზე...

– ეჰ, მაგაზე ნუღა მეტყვი, ჩემო ბატონო! – სიტყვა ჩამოართვა დიასახლისმა, – ჯერ კიდევ ამ სამი კვირის წინ თხუთმეტი თუმანი გადავიხადე, ზასედატელსაც ხელი მოვუქონე.

– აი, ხომ ხედავთ, დედი! ახლა ისიც იანგარიშეთ, რომ აღარ მოგიხდებათ ზასედატელის ხელის მოქონვა, რადგან მკვდრების ხარჯებს მე ვკისრულობ, მე და არა თქვენ; ყველანაირ ბეგარასაც ჩემს თავზე ვიღებ. თვით ნასყიდობის სიგელის ხარჯებსაც მე გავიღებ. ახლა ხომ გაიგეთ?

დედაბერი ჩაფიქრდა. იგი ხედავდა, რომ ეს საქმე მართლაც სარფიანი იყო, ოღონდ ახალი და გაუგონარი; ამიტომ ნელ-ნელა შიშმა აიტანა, ვაითუ ამ მუშტარმა მომატყუოსო; მერე, ღმერთმა უწყის, საიდან მოსულა, ისიც უდროოდ, ნაშუაღამევზე.

– რაო, დედი, არ მოვათავოთ? – ჰკითხა ჩიჩიკოვმა.

– მართალი გითხრა, ჩემო ბატონო. შემთხვევა არა მქონია მიცვალებულები გამეყიდა. ცოცხლები კი ბევრჯერ გამიმეტებია, აი, ამ სამი წლის წინათ დეკანოზს ორი გოგო მივყიდე ას-ას მანეთად და დიდი მადლობაც შემომითვალა; ისეთი მუშა ქალები დადგნენ, თქვენი მოწონებული: ხელსაწმენდებს სულ თვითონ ქსოვენ.

– ეგ კარგი, მაგრამ აქ ხომ ცოცხლებზე არაა ლაპარაკი, ცოცხლებს ღმერთმა ხელი მოუმართოთ! მე მიცვალებულებზე მოგახსენებთ.

– მართალი მოგახსენო, ამთავითვე ძლიერ მეშინია, ახალი საქმეა და ვაითუ ვიზარალო. იქნებ მატყუებ, ჩემო ბატონო და ჩემი მიცვალებულები მეტი ღირან, ვიდრე შენ ამბობ.

– გამიგონეთ, დედი... ე, რანაირი ქალი ყოფილხართ! განა რა უნდა ღირდნენ? თვითონ განსაჯეთ: ეს ხომ მტვერია და მეტი არაფერი. გესმით? ეგ თქვენი მკვდრები მხოლოდ მტვერია-მეთქი! აიღეთ ყოველგვარი უვარგისი, ყოვლად გამოუსადეგარი უკანასკნელი

ნივთი, თუ გნებავთ, ჩვარი, ამ ჩვარსაც კი თავისი ფასი აქვს: ყოველ შემთხვევაში ჩვარს ქაღალდის ფაბრიკაში მაინც გამოიყენებენ, მკვდრები კი ვისთვის რისი მაქნისია. ჰოდა, მიბრძანეთ ერთი, ვის რა თავში სახლელად ეჭირვება-მეთქი?

– ეგ კი მართალი ბრძანებაა. მკვდარი არაფრიდან არაფრის მაქნისია; მეც უფრო იმიტომ მრჩება უკან ფეხი, რომ ისინი მკვდრები არიან.

«თქვენი ჭირიმე, ეს რა კერპი ქალი ყოფილა! – გაიფიქრა გუნებაში ჩიჩიკოვმა და თანდათან მოთმინებიდან გამოვიდა, – მოდი და ამასთან გახდი რამეს! სულ ოფლში არ გამაცურა ამ წყეულმა დედაბერმა!» ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა, რომელიც მართლა დაასხა შუბლზე. ტყუილად კი ჯავრობდა ჩიჩიკოვი: ზოგი პატივსაცემი კაციცაა, კარგი სახელმწიფო მოღვაწეც, მაგრამ პირწავარდნილი კორობოჩკაა; თუ თავში რაიმე ჩაუვარდა და დაიჟინა, უკან ვერაფრით დაახევინებ: ათასი ცხადზე უცხადესი საბუთი წარმოუდგინო, ყველას აისხლეტს და ისე გადმოგიგდებს, როგორც კედელი მიხლილ რეზინის ბურთს. რა ერთი ოფლი მოიწმინდა, ჩიჩიკოვმა გადაწყვიტა, ახლა სხვა გზით მოეარა და როგორმე დაეთანხმებინა დედაბერი.

– დედი, – უთხრა მან, – თქვენ ან ჩემი სიტყვების გაგება არ გინდათ, ანდა განგებ ლაპარაკობთ, მხოლოდ ლაპარაკის გულისათვის... მე თქვენ ფულს გაძლევთ, თხუთმეტ მანეთს ასიგნაციებით. გესმით თუ არა? ეს ხომ ფულია, ქუჩაში კი არა ყრია, რომ წამოჰკრიფოთ. აბა, გულზე ხელი დაიდეთ და ისე მითხარით, როგორ გაჰყიდეთ ის თაფლი?

– ფუთი თორმეტ მანეთობაზე.

– ღმერთს ნუ სცოდავთ, დედი, თორმეტ მანეთობაზე ვერ გაჰყიდდით.

– ღმერთმანი, გავყიდე.

– კარგი, თუნდა ეგრე იყოს, მაგრამ ეგ მაინც თაფლია, რომელსაც, უეჭველია, მთელი წელიწადი აგროვებდით და ათასი ცდა და დავიდარაბა დაგჭირდათ; ვინ მოთვლის, რამდენს ივლიდით, რამდენ ფუტკარს დაანელებდით, ან ზამთარში რამდენს ჰკვებავდით სარდაფში; მკვდარი სულები კი სააქაო საქმე არ გახლავთ. მათზე თქვენ ზრუნვა არ დაგჭირვებიათ; აქ მხოლოდ განგების ხელი ერია, რათა ღვთის ნებით დაეტოვებინათ ეს ქვეყანა, რითაც თქვენს მეურნეობას დიდი ზარალი მოუვიდა. იქ თქვენი მეცადინეობისა და გარჯილობის ჯილდოდ თორმეტი მანეთი მიგიღიათ, აქ კი სულ მუქთად იღებთ, ისიც თორმეტ მანეთს კი არა, ანდა ვერცხლს კი არ გთავაზობენ, არამედ თხუთმეტ მანეთს, სულ ხასხასა ლურჯ-ლურჯ ასიგნაციებს. – ასეთი ბეჯითი დასაბუთების შემდეგ ჩიჩიკოვი თითქმის აღარ ეჭვობდა, რომ დედაბერს მოსტეხდა და დაიყოლიებდა.

– არ ვიცი, ღმერთმანი, – მიუგო დიასახლისმა, - მე ერთი საწყალი, გამოუცდელი ქვრივი ვარ. სჯობია ცოტაც მოვითმინო, იქნებ მანამდე ვაჭრებმა გამოიარონ და ნამდვილი მაზანდა გავიგო.

– სირცხვილი, სირცხვილი, დედი! პირდაპირ თავი მოიჭერით და ესაა! აბა დაფიქრდით, რას ამბობთ! მათი მყიდველი ვინ იქნება? ვის რა თავში სახლელად გამოადგება?

– შეიძლება, შემთხვევა იქნეს, როგორმე მეურნეობაში გამოიყენონ... – მიუგო დედაბერმა, მაგრამ სიტყვა ჩაუწყდა, პირი დააღო და თითქმის შიშით შეაჩერდა, აბა ამაზე რაღას იტყვისო.

– მკვდრები მეურნეობაში გამოდგებაო? ერიჰაა! სად შესტოპეთ! ალბათ თქვენს ბოსტანში ღამღამობით ბეღურების საფრთხობელად თუ გამოგადგებათ, არა?

– ჩვენ ჯვარი გვწერია, რას ლაპარაკობ! – თქვა დედაბერმა და პირჯვარი გადაიწერა.

– მაინც სად უნდა გამოგადგეთ? ჰო, მართლა, ძვლები და საფლავები ხომ თქვენვე გრჩებათ, გადმობარება მხოლოდ ქაღალდზე ხდება. აბა, რას იტყვით? კიდევ ეჭვობთ? მიპასუხეთ მაინც.

დედაბერი ისევ ჩაფიქრდა.

– რაზე ფიქრობთ, ნასტასია პეტროვნა?

– სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე; მოდი და ისევ ქერელს მოგყიდით.

– რა მექერელება, დალოცვილო! მე სულ სხვა რამეს გთხოვთ. თქვენ კი ქერელს მაჩეჩებთ! ქერელი ქერელად დარჩეს, ამისათვის საკვლავიოდ მოვალ, ქერელსაც წავიღებ. მაშ გადაწყვიტეთ, ნასტასია პეტროვნა?

– ღმერთმანი, რაღაც უცნაური საქონელია, არავისაგან არნახული! ახლა კი მოთმინების ფიალა აევსო ჩიჩიკოვს, გულმოსულმა სკამს ხელი დაავლო, იატაკს დაანარცხა და შეუკურთხა: ეშმაკსაც წაუღია შენი თავიო.

ეშმაკის გაგონებაზე დედაბერი უჩვეულო შიშმა შეიპყრო.

– ოჰ, მაგას ნუ ახსენებ, თუ ღმერთი გაწამს! – წამოიძახა მთლად ფერწასულმა დედაბერმა, – გუშინწინაც მთელი ღამე მესიზმრებოდა ეგ წყეული. ლოცვის შემდეგ ძილის წინ ქაღალდი გავშალე და ვიმკითხავე, ალბათ უფალმა დასასჯელად განგებ მომივლინა. ისეთი საძაგელი რამ იყო ის წყეული; რქებიც ხარისაზე უფრო გრძელი ჰქონდა.

– მიკვირს, რატომ ათეულობით არ გელანდებიან. მე მხოლოდ ქრისტიანული კაცთმოყვარეობით მინდოდა დაგხმარებოდით: ვთქვი: საწყალი ქვრივი ქალია, ხელმოკლე

წელზე ფეხს იდგამს-მეთქი... ეშმალსაც წაუღია მკვდრებიან-ცოცხლებიანა მთელი თქვენი სოფელი!

– უიმე, ეს რა გინება მეყურება! – თქვა დედაბერმა და შეშინებული სახეში შეაჩერდა.

– რას იზამ, როცა თქვენთან არა გადის რა! ღმერთმანი, ავი რომ არა ვთქვა, იმ ქოფაკს მაგონებთ, თივაზე რომ წევს და არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს. მინდოდა თქვენგან კიდევ სხვა რამეც მეყიდა, ვინაიდან სახაზინო საიჯარო საქმეებსაც ვაწარმოებ... – აქ მან ცოტა იცრუა უნებურად და მოუფიქრებლად, მაგრამ მოულოდნელად კარგად კი გამოუვიდა. სახაზინო იჯარების ხსენებამ ფრიად იმოქმედა ნასტასია პეტროვნაზე, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ ახლა უკვე მუდარით უთხრა:

– კარგი ერთი, აგრე რა გაცხარებს? რომ მცოდნოდა, ასეთი ფიცხი იყავი, სიტყვასაც არ შეგიბრუნებდი.

– ძალიან გასაცხარებელი კია სწორედ! ეს საქმე ჩალის ფასადაც არა ღირს და მაგაზე გავცხარდები?!

– რახან აგრეა, ინებე, მზად ვარ თხუთმეტ ასიგნაციად დაგითმო. მაგრამ სიტყვას არ გადახვიდე, ბატონო ჩემო: თუ შემთხვევით ხორბლის ფქვილი დაგჭირდეს, ან ჭვავისა, ან ბურღული, ან კიდევ დაკლული საქონელი, გეთაყვა, არ მაწყენინო, აი.

– არა, დედი, არ გაწყენინებთ, – ეუბნებოდა ჩიჩიკოვი და თან ოფლს იწმენდდა, ღვართქაფად რომ ასკდებოდა სახეზე; მერე გამოჰკითხა, ჰყავდა თუ არა ვინმე ნაცნობი ან რწმუნებული, რომლისთვისაც შეეძლო მიენდო ნასყიდობის სიგელის შედგენა და ყველაფრის შესრულება, როგორც წესი და რიგია.

– როგორ არა, მყავს დეკანოზ მამა კირილეს შვილი, პალატაში მსახურობს, – მიუგო კორობოჩკამ.

ჩიჩიკოვმა სთხოვა მასთან რწმუნების ბარათი მიეწერა და, რომ ზედმეტი გარჯით არ შეეწუხებინა, თვითონვე შეუდგა წერას.

«რა კარგი იქნებოდა, – გაიფიქრა ამასობაში თავისთვის კორობოჩკამ, – რომ ხაზინისათვის ფქვილიცა და საკლავიც ჩემგან წაეღო. მოდი და გულს მოვუგებ: წუხანდელი ნარჩენი ცომი კიდევა მაქვს, წავალ და ვეტყვი ფეტინიას, ბლინები დააცხოს; კარგი იქნება კვერცხჩახლილი ღვეზელიც გამოვუცხო, ამას ჩინებულად აკეთებენ ჩემი დედაკაცები, ნაკლები დროც უნდა». დიასახლისი იმ აზრით გავიდა, რომ მართლა ღვეზელი დაეცხობინებინა, რასაც ალბათ კიდევ დაუმატებდა თავისი საოჯახო ფურნისა და სამზარეულოს სხვა ნამცხვრებს; ხოლო ჩიჩიკოვი სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც წუხანდელი ღამე გაათია, რათა თავისი ყუთიდან საჭირო საბუთები ამოეღო. ოთახი დიდი ხანია დაელაგებინათ, ის საუცხოო გერმის ლეიბიც გაეტანათ, დივნის წინ

სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა. მაგიდაზე ყუთი დადო და ცოტა შეისვენა, რადგან გრძნობდა, რომ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თითქოს წყალში ამოვლებული ყოფილიყო: პერანგიდან მოყოლებული წინდებამდე ყველაფერი სველი ჰქონდა. «ეჰ, რარიგ დამქანცა ამ წყეულმა დედაბერმა!» – თქვა ცოტაოდენი სულის მოთქმის შემდეგ და ყუთი გახსნა. ავტორი დარწმუნებულია, რომ არიან ისეთი ცნობისმოყვარე მკითხველები, რომლებიც ამ ყუთის გეგმისა და შინაგანი მოწყობილობის გაგებასაც მოისურვებენ. კარგი და პატიოსანი, ვითომ რატომ არ უნდა დავაკმაყოფილო მათი ცნობისმოყვარეობა! აი, ყუთის შინაგანი მოწყობილობაც: შუაგულში სასაპნეა; მის უკან ექვსი თუ შვიდი ტიხარი გახლავთ საპარსებისათვის; შემდეგ ოთხკუთხედი კუნჭულები მისდევს საქვიშე ჭურჭლისა და სამელნისათვის, რომელთა შორის ღარია ამოთლილი კალმებისა, ლაქისა და კიდევ სხვა რამ მოგრძო ნივთების ჩასაწყობად; შემდეგ კვლავ გადატიხრულია ნაირ-ნაირი უჯრები, ზოგი თავსახურით, ზოგი კიდევ უთავსახუროდ, უფრო მოკლე ნივთებისთვის განკუთვნილი; ისინი სავსეა სადარბაზო, სათეატრო, სამგლოვიარო და სხვა ამგვარი რამ ბარათებით, რომელთაც ჩიჩიკოვი სამახსოვროდ ინახავდა. ზემოთა კოლოფს, თუ გნებავთ, მთლიანად ამოიღებდით თავისი უჯრებითა და ტიხრებით; მის ქვეშ დარჩენილი ადგილი კი სავსე იყო თაბახ-თაბახი ქაღალდებით; შემდეგ მოსდევდა საიდუმლო საფულე უჯრა, რომელიც ყუთის გვერდიდან შეუმჩნევლად იღებოდა. ამ საფულე უჯრას პატრონი ისე მარდად გამოსწევდა და შესწევდა ხოლმე, რომ შეუძლებელი იყო დანამდვილებით ეთქვა კაცს, რამდენი ფული იდო შიგ. ჩიჩიკოვმა კალამი წათალა და წერას შეუდგა. ამ დროს დიასახლისი შემოვიდა.

– ეს რა კარგი ყუთი გქონია, ბატონო ჩემო, – უთხრა მან და გვერდით მიუჯდა, – ალბათ მოსკოვში თუ იყიდე.

– მოსკოვში ვიყიდე, – მიუგო ჩიჩიკოვმა და განაგრძო წერა.

– მეც ვიცი, რომ იქ იყოდდი: იქ ყველაფერს კარგს აკეთებენ. შარშანწინ ჩემმა დამ იქიდან ბავშვებს თბილი წაღები ჩამოუტანა, ისეთი გამძლე საქონელი გამოდგა, რომ დღემდისაც ვერ გაცვითეს! ღმერთო ჩემო, ეს რამდენი გერბიანი ქაღალდი გქონია! – განაგრძო მან, როცა ყუთში ჩაიხედა. ყუთში მართლაც ბლომად ელაგა გერბიანი ქაღალდები. – ერთი ფურცელი მაინც მაჩუქე, ძალიან მჭირდება ხოლმე; ზოგჯერ არზის შეტანა მიხდება სასამართლოში მაგრამ ვერაფერზე დამიწერია.

ჩიჩიკოვმა აუხსნა, რომ ეს ქაღალდი სულ სხვანაირია, მას მხოლოდ ნასყიდობის სიგელებისათვის ხმარობენ და არა თხოვნების დასაწერად. მაგრამ რომ დაემშვიდებინა, ერთი რომელიღაც ფურცელი მისთავაზა, ერთ მანეთად ღირებული. როდესაც წერას მორჩა, ხელის მოსაწერად გადასცა დედაბერს და თანაც გლეხების პატარა სია მოსთხოვა. აღმოჩნდა, რომ ამ მემამულე ქაბატონს არავითარი დავთარი ან სია არ გააჩნდა, სამაგიეროდ ყველა გლეხს ზეპირად ჩამოგითვლიდათ. ჩიჩიკოვმა სთხოვა, მათი სახელები ახლავე ეკარნახა მისთვის. ზოგიერთი გლეხის გვარმა, ცოტა არ იყოს, გააოცა, ნამეტნავად კი შერქმეულმა სახელებმა, ასე რომ ყოველი ასეთი სახელის გაგონებაზე ჯერ შეჩერდებოდა და მერე ჩაწერდა ხოლმე. განსაკუთრებით გააოცა ვიღაც პეტრ საველიევ

ნეუვაჟაი-კორიტომ, ასე რომ ჩიჩიკოვმა უნებურად წამოიძახა კიდეც: «ეს რა გრძელი სახელიაო!» მეორესთვის «ძროხის აგური» მიეტმასნათ მეტსახელად, ზოგს კიდევ უბრალოდ ივან გოგორა ერქვა. წერას რომ მორჩა, ჩიჩიჯოვმა ოდნავ მოითქვა სული, ჰაერი შეისუნთქა და რაღაც ერბოში ნახრაკის მიმზიდველი სუნი ეცა.

– უმორჩილესად გთხოვთ პატარა დანაყრდეთ, – მიმართა დიასახლისმა.

ჩიჩიკოვმა მიიხედა და მაგიდაზე გაწყობილი ათასი რამ დაინახა: სოკო, ღვეზელები, სკოროდუმკები, შანიშკები, პრიაგლები, ბლინები, კვერეულები თავიანთი საკმაზ-საფანელით: ხახვით, ხაშხაშით, ხაჭოთი, ნაღებით და, ვინ იცის, კიდევ რით არა.

– კვერცხით ნამცხვარი ღვეზელი გახლავთ, მიირთვით, – შესთავაზა დიასახლისმა.

ჩიჩიკოვი კვერცხით ნამცხვარ ღვეზელს მიუჯდა, ნახევარზე მეტი მიირთვა და მეტისმრტად შეაქო. თავისთაცად ღვეზელი მართლაც გემრიელი იყო, ხოლო ამდენი აყალმაყალისა და დავიდარაბის შემდეგ, რაც ამ დედაბერთან გადახდა, უფრო გემრიელად მოეჩვენა.

– ბლინებს კი არ მიირთმევთ? – ჰკითხა დიასახლისმა.

ამის საპასუხოდ ჩიჩიკოვმა სამი ბლინი ერთად შეკეცა, გამდნარ ერბოში ამოავლო და გადასანსლა, ხოლო ხელები და პირი ხელსაწმენდით შეიწმინდა. სამჯერ კიდევ გაიმეორა ეს ამბავი და დიასახლისს სთხოვა ბრიჩკა შეებმევინებინა. ნასტასია პეტროვნამ მაშინვე ფეტინია გაგზავნა და თანაც უბრძანა, კიდევ ცხელ-ცხელი ბლინები მოეტანა.

– ძალიან გემრიელი ბლინები გცოდნიათ, დედი, – უთხრა ჩიჩიკოვმა და ახლად შემოტანილ ცხელ-ცხელ ბლინებს მიჰყო ხელი.

– ეჰ, ცხობით ბარემ კარგა მიცხობენ, – უპასუხა დიასახლისმა, – მაგრამ უბედურება ისაა, რომ ვერაფერი მოსავალია, ფქვილიც სახარბიელო ვერ გამოდის... მაგრამ რა არის, ბატონო ჩემო, რომ ასე ჩქარობთ? – დაუმატა მან, როცა ჩიჩიკოვმა ქუდი აიღო; – ჯერ ხომ ბრიჩკა არ შეუბიათ.

– შეაბამენ დედი, შეაბამენ. მეეტლე ძალიან ხელმარდი მყავს.

– მაშ ასე, გეთაყვა, დაკვეთების დროს არ დამივიწყოთ.

– არ დაგივიწყებთ, დედი, არ დაგივიწყებთ, – უთხრა ჩიჩიკოვმა და წინკარში გამოვიდა.

– ღორის ქონს კი არ იყიდით? – ჰკითხა დიასახლისმა და უკან გაჰყვა.

– რატომაც არ ვიყიდი? ვიყიდი, მხოლოდ შემდეგისათვის იყოს.

– საშობაოდ ღორის ქონიც მექნება.

– ვიყიდი, ვიყიდი, ყველაფერს ვიყიდი, ღორის ქონსაც ვიყიდი.

– იქნებ ფრინველის ბუმბულიც დაგჭირდეთ, საშობაო მარხვისათვის ბევრი ბუმბული მექნება.

– კარგი, კარგი, – ეუბნებოდა ჩიჩიკოვი.

– აი, ხომ ხედავ, ჩემო ბატონო, ბრიჩკა ჯერ არ შეუბიათ, – უთხრა დიასახლისმა, როცა პარმაღზე გამოვიდნენ.

– შებმით შეაბამენ დედი, ოღონდ ეს მითხარით, შარაგზაზე როგორ გავალთ?

– აბა რა გიყოთ? – უპასუხა დიასახლისმა, – თქმით ბარემ გეტყვით, მაგრამ ბევრი მისახვევ-მოსახვევია; ისევ გოგოს თუ გაგატან, რომ გზა გასწავლოთ. კოფოზე ხომ იქნება ადგილი, რომ გოგო დაჯდეს?

– იქნება, როგორ არ იქნება.

– მაშ გოგოს გაგატან, გზა კარგად იცის; ოღონდ იცოდე, არ გაიტაცო! ვაჭრებმა ერთხელ უკვე ასე მომტაცეს ერთი.

ჩიჩიკოვმა დააჯერა, რომ გოგოს არ გაიტაცებდა, კორობოჩკაც დამშვიდდა და ახლა გულისყური მთლად თავის ეზო-კარზე გადაიტანა; ჯერ მეკუჭნავე დედაკაცს მიაშტერდა, რომელსაც საკუჭნაოდან ხის კასრით თაფლი გამოჰქონდა, შემდეგ გლეხს, რომელმაც ჭიშკარში შემოყო თავი. ასე ნელ-ნელა მთლიანად თავის სამეურნეო საქმიანობაში გადასახლდა. მაგრამ რა საჭიროა ამდენს ხანს შევჩერდეთ კორობოჩკაზე? კორობოჩკა იქნება თუ მანილოვა, ყაირათიანი თუ უყაირათო ცხოვრება – ჯანდაბას ყველა! თორემ ქვეყნიერება საოცრადაა მოწყობილი: სამხიარულო უეცრივ სამგლოვიაროდ შეგეცვლება, თუ დიდხანს ჩააცივდები, და მაშინ, ღმერთმა უწყის, რა არ აგებლანდება თავში. ვინ იცის, იქნებ კიდევაც გაიფიქრო: კარგი ერთი, ნუთუ კორობოჩკა მართლა ასე დაბალ საფეხურზე დგას კაცობრიობის სრულყოფის დაუსრულებელ კიბეზე? ნუთუ მართლა ასე დიდია ის უფსკრული, რომელიც ამ დედაბერს მიჯნავს დისგან მისისა, მიუწვდომლად რომ შემოზღუდულა არისტოკრატიული სახლის მაღალი კედლებით, სპილენძის ჩუქურთმიანი თუჯის კიბეებით, წითელი ურთხლითა და ნოხებით, გადაშლილ და ბოლომდე წაუკითხავ წიგნზე რომ ამთქნარებს მაღალი წრის ენამახვილ მოდარბაზეთა მოლოდინში, როცა გადაეშლება ასპარეზი მკვირცხლი გონების გამოჩენისა და გაზეპირებული აზრების გამოთქმისა, რომლებითაც, მოდის კანონის მიხედვით, ქალაქი ერთი კვირით მაინც გაერთობა, იმ აზრებისა, რომლებიც იმას კი არ ეხებიან, თუ რა ხდება საკუთარ ოჯახში ან მამულში, მის აწეწილ-დაწეწილ მეურნეობაში, საქმის უცოდნელობის გამო რომ ასე მინგრეულ-მონგრეულა, არამედ იმას, თუ რანაირი პოლიტიკური

გადატრიალება მზადდება საფრანგეთში და რა მიმართულება მიიღო ახალი მოდის კათოლიციზმმა. შორს, შორს, რა საჭიროა ამაზე საუბარი! მაგრამ რატომაა, რომ სრულიად დარდიმანდულ, მხიარულსა და უდარდელ წუთებში უეცრივ თავისთავად წამოხეთქავს სულ სხვა რაღაც უცნაური ნაკადი: ჯერ სიცილის კვალიც არ წაშლილა სახეზე და სულ სხვა ადამიანად გადაიქცევი იმავე ხალხში, სულ სხვა რამ შუქი გადაგეფინება სახეზე...

– აგერ ბრიჩკა, ბრიჩკა მოდის! – წამოიძახა ჩიჩიკოვმა, როცა მომავალი ბრიჩკა დაინახა, – ამდენ ხანს რას ზოზიალობდი, შე ბრიყვო, შენა? გეტყობა, გუშინდელი ზარხოში ჯერაც არ გამოგნელებია.

სელიფანს ამაზე არაფერი უპასუხნია.

– მშვიდობით, დედი! თქვენი შეპირებული გოგო სად არის?

– ჰეი, პელაგია! – გასძახა დედაბერმა პარმაღის ახლოს მდგარ თერთმეტიოდე წლის გოგოს, ლურჯი ხამი ტილოს კაბაში წამობუზულს და ფეხშიშველას, რომელსაც ფეხებზე იმდენი ლაფი მოსდებოდა, რომ შორიდან გეგონებოდათ, ჩექმები აცვიაო. – აბა, ამ ბატონს გზა აჩვენე.

სელიფანმა ხელი შეაშველა კიბეზე ასასვლელად გოგოს, რომელმაც ჯერ საბატონო საფეხურზე დაადგა ფეხი და გათითხნა, ხოლო შემდეგ ზევით ავიდა და მეეტლის გვერდით მოთავსდა. მერე თვითონ ჩიჩიკოვმაც დააბიჯა საფეხურს და ბრიჩკა მარჯვნივ გადმოხარა, რადგან საკმაოდ მძიმე გახლდათ, ხოლო რა ერთი კარგად მოკალათდა, დაიძახა:

– აი, ახლა კი კარგია! მშვიდობით, დედი!

ცხენები დაიძრნენ.

სელიფანი მთელი გზა პირქუშად იყო და თავის მოვალეობას დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა, რაც მუდამ მაშინ ემართებოდა, როცა რაიმეს დააშავებდა ანდა ნაღვინევი იყო. ცხენები საოცრად დაემურვებინა. ერთი ცხენის ცალუღი, რომელიც მუდამ დაფლეთილი იყო, ისე რომ ტყავიდან ძენძი მოჩანდა, ახლა ოსტატურად ამოეკერა. მთელი გზა სულ ჩუმად იყო, მხოლოდ შოლტს ატყლაშუნებდა და ცხენებსაც ქადაგებას არ უკითხავდა, თუმცა შავხალას, რა თქმა უნდა, ძალიანაც ენატრებოდა რაიმე ჭკუის სასწავლებელი მოესმინა, რადგან ასეთ დროს სადავე თასმები რატომღაც ზარმაცად ეჭირა ენაჭარტალა მეეტლეს და შოლტსაც მხოლოდ მოსაჩვენებლად დაასეირნებდა მათ გავაზე. ახლა კი მისი კუშტი პირიდან მხოლოდ ერთფეროვანი, არასასიამოვნო შემახილი ამოდიოდა: «აბა, ჰე, აბა! ამთქნარე, შე ყვავის ბახალა, ამთქნარე!» – და მეტი არაფერი. თვითონ ქურანა და ზასედატელიც უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ერთხელაც არ გააგონა არც «ჩემო საყვარლებო» და არც «დარბაისლებო». შავხალა გრძნობდა მეტისმეტად არასასიამოვნო დარტყმას თავის მსუქანსა და ფართო თეძოგავაზე. «შეხეთ ერთი, რა გულზეა! – ფიქრობდა

თავისთვის და თანაც ოდნავ ყურებს ლურსავდა. – იცის სად დამკრას! პირდაპირ ზურგზე კი არ გადმომიჭერს, სათუთ ადგილებს არჩევს: ან ყურებს ამიწვავს, ან ფაშვში ამომიშხევლებს».

– ახლა მარჯვნივ გავუხვიოთ თუ? – ასე კუშტად მიმართა სელიფანმა გვერდით მჯდომ გოგოს და შოლტის ტარით მიუთითა წვიმისაგან ჩაშავებულ გზაზე, რომელიც მწვანედ მოღაღანე ახლადშეგრილებულ მინდვრებს შუა მიდიოდა.

– არა, არა, მე გაჩვენებ, – უპასუხა გოგომ.

– მაშ აბა საით? – ჰკითხა სელიფანმა, როცა უფრო ახლოს მივიდნენ.

– აგერა, იქით, – უპასუხა გოგომ და ხელი გაიშვირა.

– აი შე ჩერჩეტო, შენა! – უთხრა სელიფანმა, – ეს ხომ მარჯვენა მხარეა: არც კი იცის, სად მარჯვენაა და სად მარცხენა!

თუმცა კარგი მოწმენდილი დღე გამოვიდა, მაგრამ მიწა ისე ატალახიანებულიყო, რომ ბრიჩკის თვლები ქეჩასავით იკრავდა ტალახს, რაც ეტლს ძალიან ამძიმებდა; ამასთანავე ნიადაგი თიხნარი იყო და ბრიჩკის თვლებს არაჩვეულებრივად ედებოდა. ამიტომ იყო, რომ მათ შუადღემდე ვერ გააღწიეს ამ პატარა სოფლის გზებს. გოგო რომ არ შესწრებოდათ, იქნებ სულაც ვერაფერს გამხდარიყვნენ, რადგან გზები, ტომრიდან გადმოყრილი კიბოებივით, ყოველი მხრით მიემართებოდა და სელიფანის ბრალი არ იქნებოდა, თუ ამ ყოფაში დიდხანს მოუხდებოდათ ხეტიალი. მალე გოგომ სადღაც შორს, ჩაშავებული შენობისაკენ გაიშვირა ხელი და წამოიძახა:

– აგერ შარაგზა იქ იწყება!

– ეგ რა შენობაა? – ჰკითხა სელიფანმა.

– ტრაქტირია, – მიუგო გოგომ.

– კარგი, ახლა მე თვითონ გავიკვლევ, – უთხრა სელიფანმა, – შენ შინ დაბრუნდი.

ეტლი შეაჩერა, გოგოს ხელი მიაშველა ჩამოსახტომად და თან კბილებში გამოცრა: «აჰაი, შე შავფეხავ!»

ჩიჩიკოვმა სპილენძის გროში აჩუქა გოგოს, რომელმაც შინისაკენ გაჰკურცხლა. ის მარტო იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ეტლის კოფოზე იჯდა.

თავი მეოთხე

ტრაქტირთან მისვლისას ჩიჩიკოვმა უბრძანა, ეტლი შეეჩერებინა ორი მიზეზის გამო: პირველი ის, რომ ცხენებს შეასვენებდნენ, მეორე მხრივ თვითონაც დანაყრდებოდა და

ძალ-ღონეს მოიკრებდა. ავტორმა უნდა აღიაროს, რომ ძალიან შურს ამგვარი ხალხის მადა და კუჭი. მისთვის არავითარი ფასი არა აქვს იმ დიდრაჯა ბატონებს, რომელნიც პეტერბურგსა და მოსკოვში ცხოვრობენ და სულ იმის ფიქრში არიან, ხვალ რა ვჭამოთ, ან ზეგისთვის რა სადილი მოვიგონოთო; სადილს ისე ვერ მიირთმევენ, თუ წინდაწინვე აბები არ ჩაყლაპეს; გიახლებიან ხამანწკას, ზღვის ობობებს, ათასნაირ ყოვლად უცნაურ ცხოველებს და შემდეგ კი კარლსბადსა და კავკასიაში მიემგზავრებიან. არა, ამგვარი ბატონები არასოდეს არ აღუძრავენ ავტორს შურს. სულ სხვაა საშუალო შეძლების ბატონები, რომელნიც ერთ საფგურზე ლორს მოითხოვენ, მეორეზე – გოჭს, მესამეზე – თართის ნაჭერს ან ხახვში შემწვარ ძეხვს და შემდეგ, ვითომც აქ არაფერიაო, როცა გნებავთ, ხელახლა ახალ სუფრას მიუსხდებიან და ტარაღანას წვენს, ღლაბუტას მოხრაკულ ღვიძლსა და ქვირითს სულ ჭაპაჭუპი და ხრამუნი გაუდის მათ კბილებში; ამას ზედ მიაყოლებენ რასტეგაის ან ნამცხვარს ლოქოს კუდებით და ისე შეექცევიან, რომ სხვებსაც მადას უღიზიანებენ, – აი ასეთ ბატონებს მართლაც განგების მიერ მომადლებული აქვთ სახარბიელო მადა! არაერთი დიდი შეძლების მებატონე ახლავე უყოყმანოდ შესწირავდა ყმების ნახევარსა და მთელი ავლადიდების ნახევარსაც, დაგირავებულსა და დაუგირავებელს, მთელი თავისი საზღვარგარეთული და რუსული ყაიდის გაუმჯობესებებით, ოღონდ ისეთი კუჭი ჰქონოდა, როგორც ამ საშუალო შეძლების ბატონებს აქვთ; მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ვერავითარი ფულით, ვერავითარი მამულებით, რანაირიც კი არ უნდა იყვნენ ისინი, ვერ შეიძენენ ისეთ კუჭს, საშუალო შეძლების ბატონს რომ აქვს.

ჩაშავებულმა ხის ტრაქტირმა ჩიჩიკოვი თავის ვიწროსა და სტუმართმოყვარე საჩიხში შეიკედლა, რომლის მაღალი და გმოთლილი ხის ბოძები ძველისძველ საეკლესიო შანდლებსა ჰგავდა. ტრაქტირი რუსულ ქოხს წააგავდა, ოღონდ უფრო მოზრდილი იქნებოდა. ახალი ხის მოხარატებული ლავგარდანები ფანჯრების ირგვლივ და სახურავქვეშ მხიარულად აჭრელებდნენ მის ბნელ კედლებს; დარაბებზე ყვავილებიანი ქოთნები ეხატა.

როცა ხის კიბით ზევით განიერ წინკარში ამოჰყო თავი, მის წინ ჭრიალით გაიღო კარი და იქიდან გამოვიდა ჭრელკაბიანი, კარგად ჩასუქებული დედაბერი, რომელმაც შიგნით შეიპატიჟა: «აქეთ მობრძანდით, აქეთ!» ოთახში დახვდა ყველა ნაცნობი და ძველისძველი მეგობარი, როგორსაც ჩვეულებრივ ხვდებიან ხოლმე გზისპირად გაშენებულ ასეთ პატარა ხის ტრაქტირებში, სახელდობრ: დაორთქლილი სამოვარი, სუფთად გარანდულ ფიჭვის კედლები, სამკუთხოვანი კარადა კუთხეში მილაგებული ჩაიდნებითა და ფინჯნებით, ხატების წინ წითელი და ცისფერი ბაფთებით დაკიდული დავარაყებული ფაიფურის კვერცხები, ახლად კნუტებდაყრილი კატა, სარკე, რომელიც ორი თვალის ნაცვლად ოთხს აჩვენებს, ხოლო პირისახის მაგიერ საცოდავად გატყაპნულ ლავაშს, და ბოლოს ხატების წინ ჩარჭობილი მიხაკისა და ათასნაირი სურნელოვანი ბალახბულახის კონები, რომლებიც ისე გამხმარიყო, რომ ვინც კი მათ დაყნოსვას მოისურვებდა, მხოლოდ ცხვირს დააცემინებდა და სხვა არაფერი.

– გოჭი გაქვთ? – ასეთი კითხვით მიმართა ჩიჩიკოვმა იქვე მდგარ დედაბერს.

– გახლავთ.

– ხარდალითა და არაჟნით?

– ხარდალითა და არაჟნით.

– აბა, მოიტა!

დედაბერი აფუსფუსდა და მოიტანა თეფში და ხელსაწმენდი, რომელიც სახამებლისაგან ისე გაფშეკილიყო, რომ გამხმარი ქერქივით სულ ყალყზე დგებოდა. მერე მოართვა ჯიბის დანასავით თხელი ძვლისტარიანი დანა, ორკბილა ჩანგალი და სამარილე, რომელსაც ვერას დიდებით სუფრაზე სწორად ვერ გააჩერებდით.

ჩვენმა გმირმა ჩვეულებისამებრ მაშინვე გაუბა საუბარი და გამოჰკითხა, მას ეკუთვნის ეს ტრაქტირი თუ სხვა არის მისი პატრონი; რამდენ შემოსავალს იძლევა ტრაქტირი; შვილები მასთან ცხოვრობენ თუ არა; მისი უფროსი ვაჟიშვილი ცოლიანია თუ უცოლო; როგორი ცოლი მოიყვანა – დიდი მზითვიანი თუ უმზითვო; კმაყოფილი ჰყავს სიმამრი თუ ჯავრობს, რომ ქორწილში ცოტა საჩუქრები მიიღო, – ერთი სიტყვით, არაფერი არ გამოუტოვებია. თავისთავად ცხადია, ცნობისმოყვარეობამ დასძლია გაეგო, თუ რომელი მემამულეები ცხოვრობდნენ ახლომახლო. გამოირკვა, რომ აქაც საკმაოდ ყოფილან მემამულეები: ბლოხინი, პოჩიტაევი, მილნოი, პოლკოვნიკი ჩეპრაკოვი, სობაკევიჩი. «ა! სობაჯევიჩს იცნობ?» – ჰკითხა ჩიჩიკოვმა და იქვე მისმინა, რომ დედაბერი არა მარტო სობაკევიჩს იცნობს, არამედ მანილოვსაც და რომ მანილოვი ბევრად უფრო თავაზიანია, ვიდრე სობაკევიჩი: მაშინვე ქათმის მოხარშვას ბრძანებს, მერე ხბოს ხორცსაც მოითხოვს, თუ ცხვრის გულ-ღვიძლია – ცხვრის გულ-ღვიძლსაც და ყელაფერს მხოლოდ ოდნავ თუ დაეკარება. სობაკევიჩი კი რომელიმე ერთ კერძს მოიკითხავს, მაგრამ ამ ერთ თავს სულ შეჭამს, დანამატსაც კი თხოულობს იმავე ფასში.

როდესაც ამ საუბარში იყო და გოჭის უკანასკნელ ნაჭერს შეექვეოდა, მოახლოებული ეტლის ხმა მოისმა. ჩიჩიკოვმა ფანჯრიდან გაიხედა და ტრაქტირის წინ შემდგარი მსუბუქი ბრიჩკა დაინახა, რომელშიაც სამი მფრთქვინავი ცხენი ება. ბრიჩკიდან ვიღაც ორი კაცი გადმოდიოდა: ერთი ქერა იყო, მაღალ-მაღალი, მეორე – ცოტა მომცრო და მოშავო: ქერას მუქი ლურჯი ვენგერკა ეცვა, მეორეს – ზოლიანი ახალუხი. შორიდან კიდევ ერთი დანჯღრეული ცარიელი ეტლი მოღონღიალებდა, რომელსაც ეზიდებოდა გრძელბალნიანი ოთხი ცხენი დაგლეჯილი ცალუღებითა და თოკის თასმებით. ქერამ კიბეზე აირბინა, შავტუხა კი დაბლა დარჩა და ბრიჩკაში რაღაცას ფათურობდა, თანაც მსახურთან მასლაათობდა და მათ უკან მომავალ ეტლს ხელს უქნევდა. ჩიჩიკოვს ისე მიეჩვენა, თითქოს მისი ხმა სადღაც გაეგონა. ვიდრე ჩიჩიკოვი მის თვალიერებაში იყო, ქერამ უკვე მოასწრო კარის მიგნება და გაღება. ეს გახლდათ მაღალ-მაღალი კაცი, ცოტაოდნად გამხდარი, ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, ნათრევ-ნაცვეთი სახით და პაწია ქერა ულვაშებით. გარუჯული სახე ამტკიცებდა, რომ კარგად უწყოდა, რა არის ბოლი, თუ თოფისწამლისა არა, ყოველ

შემთხვევაში, თამბაქოსი მაინც. იგი ზრდილობიანად მიესალმა ჩიჩიკოვს, რაზეც ამ უკანასკნელმა ისევე უპასუხა. რამდენიმე წუთში, უეჭველია, ისინი გაელეპარაკებოდნენ და კარგადაც გაეცნობოდნენ ერთმანეთს, ვინაიდან საამისო დასაწყისი უკვე იყო, ორივემ თითქმის ერთსა და იმავე დროს სიამოვნებით განაცხადა, გუშინდელმა წვიმამ მტვერი სულ ერთიანად მოსპო გზაზე, ასე რომ ახლა ეტლით სიარული დიდად საამურია, მით უმეტეს, კიდეც გრილაო, რომ ამ დროს შემოვიდა მისი მოშავო ამხანაგიც, რომელმაც ქუდი მაგიდაზე მიაგდო და ყაშყაშა ნაყარი შავი თმა თითებით მარდად აიბურძგნა. ეს გახლდათ საშუალო ტანის, საკმაოდ კარგად მოყვანილი ვაჟკაცი, წითლად აბრაწული სავსე ლოყებით, თოვლივით თეთრი კბილებით და კუპრივით შავი ქილვაშებით. იგი იმდენად ჯან-ღონით სავსე იყო, რომ ფერ-ხორცი პირდაპირ ასკდებოდა სახეზე.

– პა, პა, პა! – შესძახა მან უეცრივ და ხელები ჩიჩიკოვისკენ გაიწვდინა, – რომელმა ქარმა გადმოგაგდო?

ჩიჩიკოვმა იცნო ნოზდრიოვი, სწორედ ის, რომელთანაც ერთად პროკურორისას ისადილა და რომელიც სულ მცირე ხანში ისე შეეთვისა, რომ უკვე «შენობითაც» ელაპარაკებოდა, თუმცა პირადად ჩიჩიკოვს ამისთვის არავითარი საბაბი არ მიუცია.

– სად გიმგზავრია? – ჰკითხა ნოზდრიოვმა, მაგრამ პასუხისათვის არ მოუცდია, ისე განაგრძო: – მე კი ბაზრობიდან მოვდივარ, ძმაო! მომილოცე: სულ ერთიანად გავანიავე, რაც კი მებადა! არ დაიჯერებ, ჩემ სიცოცხლეში ასე არავის გავუფრცქვნივარ. დაქირავებული ეტლით მომიხდა დაბრუნება! აბა ერთი განგებ მაინც გადაიხედე ამ ფანჯრიდან! – აქ თვითონვე ისე დაბლა დააღუნინა თავი ჩიჩიკოვს, რომ კინაღამ ჩარჩოზე დაახლევინა. – ხომ ხედავ, რა საძაგელი რამაა! ძლივძლივობით მომათრიეს მაგ წყეულებმა, კიდევ კარგი რომ ამის ბრიჩკაში გადავჯექი. – ამ სიტყვებზე ნოზდრიოვმა თავის ამხანაგზე მიუთითა. – რაო, ძმაო ჩიჩიკოვ, რარიგად მწყინდა, რომ აქ არ იყავი! მე ვიცი, რომ პორუჩიკ კუვშინიკოვს პირდაპირ სულში ჩაიძვრენდი. მერე რა კარგად შეეწყობოდით ერთმანეთს! შენ ის პროკურორი კი არ გეგონოს ან ჩვენი ქალაქის წუწურაქა ხალხი, თითოეულ კაპიკს რომ დაჰკანკალებენ, ამან, ჩემო ძმაო, გალბიკი გინდა, პატარა ბანკი თუ სხვა რამ, რა გინდა არ იცოდეს. ეჰ, ჩიჩიკოვ, რა იქნებოდა, რომ ჩამოსულიყავი? მართლა, დიდი ღორი ვინმე ხარ, ნამდვილი მენახირე! მოდი, მაკოცე, სულიკო, საშინლად მიყვარხარ! მიჟუევ, ერთი შეხედე, ბედმა ერთად როგორ შეგვყარა! აბა რა ვარ მე მაგისთვის, ან ეგ ჩემთვის? ღმერთმა უწყის, საიდანაა მოსული, მერე რამდენი კარეტა იყო, ძმაო, და ყველა ეს eნ gros. ფორტუნკა დავატრიალე და ორი პატარა ქილა პომადა მერგო, ფაიფურის ფინჯანი და ერთიც გიტარა; შემდეგ კიდევ ერთს ჩაველი, მონაგებიც ხომ იქ დავტოვე და, დასწყევლოს ეშმაკმა, ექვსი მანეთიც ზედ მივაჭყლიტე. რომ იცოდე, რა მუსუსი ვინმეა ეს კუვშინიკოვი! თითქმის ყველა ბალზე ერთად ვიყავით. ერთი ისეთი მორთულ-მოპრანჭული ქალი ვნახეთ, რომ რიუშიც ჰქონდა და ტრიუშიც, ეშმაკმა იცის იმისი თავი, რაღა არ ჰქონდა... მე ჩემთვის ვარ და ვფიქრობ მხოლოდ: «ეშმაკმა დაგწყევლოს-მეთქი!» კუვშინიკოვი კი ისეთი მუზმუზელა ეშმაკია, მაშინვე მიუჯდა და მისცხო და მისცხო ფრანგულ ენაზე ქათინაურები... არ დაიჯერებ, უბრალო გომბიოებიც კი არ გაუშვა. ამას ასე ეძახის: ეს მარწყვით ყელის ჩაკოკლოზინებაა. ზურგიელი და უგემრიელესი თევზეული თავზე საყარი მოიტანეს. მე

ერთი ზურგიელი თან წამოვიღე; კიდევ კარგი, რომ მივხვდი და დროზე ვიყიდე, სანამ კიდევ ფული მქონდა. ახლა საით მიემგზავრები?

– მე ერთ კაცთან მივეშურები,– მიუგო ჩიჩიკოვმა.

– ვინ კაცთან? ჯანდაბას იმისი თავი! ჩემთან წამოდი!

– არა, არ შეიძლება, საქმე მაქვს.

– დამიწყო ახლა საქმეები! მოიგონე რაღა! აი შე ოპოდელდოკ ივანოვიჩ!

– მართლა საქმე მაქვს ფრიად საჭირო.

– სანაძლეოს ვდებ, რომ სტყუიხარ! აბა მაშ მითხარი, ვისთან მიხვალ?

– სობაკევიჩთან.

აქ ნოზდრიოვმა ისე გადაიხარხარა, როგორც ხარხარებს ხოლმე მხოლოდ ახალგაზრდა და ჯანსაღი კაცი, რომელსაც მთლად გამოუჩნდება ბროლივით თეთრი კბილები, ლოყები უთრთის და უხტის, ხოლო მეორე თუ მესამე ოთახში მყოფი მისი მეზობელი უეცრივ ნამძინარევი წამოხტება და თვალებგადმოქაჩული შესძახებს: «ერთი დამიხედეთ როგორ იჭაჭება!»

– აქ რაა სასაცილო? – უთხრა ჩიჩიკოვმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილო დარჩა მისი სიცილით.

მაგრამ ნოზდრიოვი მთელი ძალით განაგრძობდა ხარხარს და იძახოდა:

– უი, შემიბრალე, ღმერთმანი, სიცილით გავსკდი და ესაა!

– სასაცილო აქ არაფერია: მე სიტყვა მივეცი, – შენიშნა ჩიჩიკოვმა.

– თავბედს დაიწყევლი, თუ მასთან მიხვალ, ისეთი დამწვარი კაცია! ხომ ვიცი შენი ხასიათი, სასტიკად მოტყუვდები, თუ ფიქრობ, რომ ან ბანკს გეთამაშება ანდა ერთ ბოთლ ბონბონს მაინც მოგართმევს. გამიგონე, ძმაო, ჯანდაბას სობაკევიჩი, ჩემთან წამოდი! ისეთი ზურგიელით გაგიმასპინძლდე, შენი მოწონებული! ის თაღლითი პონომარიოვი სულ მიწამდე თავს მიკრავდა და მეუბნებოდა: « ამას მხოლოდ თქვენთვის ვინახავდი; მთელი ბაზარიც რომ გადაჰქექოთ, ამისთანას ვერ იპოვითო». დიდი გაიძვერა კაცი კია. ამას პირშიაც ვეუბნები: «თქვენა, – ვუთხარი, – შენა და ჩვენი მოიჯარე, დიდი დაქოქილი ვინმე ხართ-მეთქი!» ის პირუტყვი კი იცინის და წვერებზე ხელს ისვამს. მე და კუვშინიკოვი სულ მის დუქანში ვსაუზმობდით. მართლა, ძმაო, სულ არ დამავიწყდა მეთქვა: განა არ ვიცი, ახლა არ მომისვენებ, მაგრამ წინდაწინ გეუბნები ათი ათასიც რომ მომცე, ვერ დაგითმობ. ჰეი, პორფირი! – ფანჯრიდან გადასძახა თავის ბიჭს, რომელსაც ცალ ხელში ჯიბის დანა

ეჭირა, მეორეში კი პურის ყუა და ზურგიელის ნაჭერი. ბედზე იგი ბრიჩკიდან რაღაცის ამოღების დროს ზურგიელს წასწყდომოდა და იქიდან ჩამოეთალა, – ჰეი, პორფირი, – უძახოდა ნოზდრიოვი, – აბა ეგ ლეკვი მომიყვანე! მერე რა ლეკვია! – განაგრძოო მან, როდესაც ჩიჩიკოვისაკენ იბრუნა პირი, – მოპარულია, პატრონს არასდიდებით არ ემეტებოდა. ჩემი ჩალისფერი ფაშატი შევაძლიე, აი ის, გახსოვს, ხვოსტირიოვს რომ გადავუცვალე... – მაგრამ ჩიჩიკოვს მთელ თავის სიცოცხლეში არც ის ჩალისფერი ცხენი ენახა და არც ხვოსტირიოვი.

– ბატონო, საუზმობისათვის ხომ არაფერს ინებებთ? – იკითხა ამ დროს მასთან მისულმა დედაბერმა.

– არაფერს. ეჰ, ძმაო, ძაან ვიქეიფეთ! თუმცა ერთი ჭიქა არაყი მოიტა; რომელი გაქვს?

– ანისულისა, – მიუგო დედაბერმა.

– მაშ ანისულისა მოიტა, – უთხრა ნოზდრიოვმა.

– აბა, ერთი ჭიქა მეც მომიტანე! – მიმართა ქერა კაცმა.

– თეატრში ერთი მსახიობი ქალი ისე მღეროდა, წყეული, როგორც იადონი! კუვშნიკოვი ჩემ გვერდით ზის და მეუბნება: «აი, ძმაო, ამ მარწყვით კი ღირს პირის ჩაკოკლოზინებაო!» მარტო ბალაგანები, მე მგონია, ერთი ორმოცდაათი მაინც იქნებოდა. ფერნარდი ოთხი საათი სულ წისქვილივით ტრიალებდა. – აქ მან დედაბერს ჭიქა ჩამოართვა, რაზედაც დედაბერმა მდაბლად დაუკრა თავი. – აჰა, მოიყვა, მოიყვა! – შესძახა მან, როდესაც პორფირი დაინახა პატარა ლეკვით შემოსული. პორფირსაც ბატონივით რაღაც დაბამბული ახალუხი ეცვა, ოღონდ უფრო მეტად გაქონილი.

– მოიყვა, მოიყვა, იატაკზე დასვი!

პორფირიმ იატაკზე დასვა ლეკვი, რომელიც ოთხივე თათით გაიფართხა და მიწას დაუწყო ყნოსვა.

– აი, ლეკვიც ასეთი უნდა! – თქვა ნოზდრიოვმა, ლეკვს ზურგში წაავლო ხელი და ააწიალა. ლეკვმა საკმაოდ საცოდავად დაიწკმუტუნა.

– შენ მაინც ჩემს სიტყვას არ ასრულებ, – მიუბრუნდა ნოზდრიოვი პორფირის და ლეკვს გულდასმით გაუსინჯა მუცელი: – როგორც ჩანს, არც კი გიფიქრია გამოგევარცხნა.

– როგორ არა, გამოვარცხნილი მყავს.

– მაშ ეს რწყილები საიდან გაუჩნდა?

– რა მოგახსენოთ. იქნებ ბრიჩკიდან შეესია.

– სტყუი, სტყუი, ალბათ არც კი გაგხსენებია ამისი გამოვარცხნა; მგონი, შენიც ზედ მიგიმატებია, შე ყეყეჩო. აბა, შეხედე, ჩიჩიკოვ, ერთი შეხედე, რა ყურები აქვს, აბა, ერთი ხელი მოუსვი!

– რა საჭიროა, ისედაც ვხედავ, რომ კარგი ჯიშისაა! – მიუგო ჩიჩიკოვმა.

– არა, აბა ნახე ერთი, ყურები გაუსინჯე!

რომ ესიამოვნებინა, ჩიჩიკოვმა გაუსინჯა ლეკვს ყურები და თან დასძინა:

– მართლაც ჩინებული ძაღლი დადგება. ახლა ერთი ცხვირიც გაუსინჯე, როგორი ცივი აქვს.

რომ არ ეწყენინებინა, ჩიჩიკოვმა ლეკვს ცხვირიც გაუსინჯა და დასძინა:

– დიდებული ალღო ექნება.

– ნამდვილი მორდაშია, – განაგრძო ნოზდრიოვმა. – გამოგიტყდები, დიდი ხანია მორდაშის ხელში ჩაგდებაზე კბილებს ვილესავდი. აჰა, პორფირი, წაიყვა!

პორფირიმ ლეკვს ფაშვში ამოსდო ხელი და ისევ ბრიჩკაში წაიყვანა.

– გამიგონე, ჩიჩიკოვ, ახლა უსათუოდ უნდა წამოხვიდე ჩემთან; სულ ხუთიოდე ვერსია აქედან, ჭენებით მივიქროლებთ, იქიდან კიდევ, თუ შენსას არ მოიშლი, წადი სობაკევიჩთან.

«რა უშავს, – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა. – ნოზდრიოვთანაც შევივლი, სხვებზე ურიგო რით არის, ეგეც ისეთივეა, როგორც სხვები. გარდა ამისა, წაგებულიცაა. როგორც ჩანს, ძალიან დარდიმანდი და გულუხვი ვინმეა, მაშასადამე, რისამე მუქთად გამორჩენაც შეიძლება».

– ინებე, მოვდივარ, – თქვა მან, – ოღონდ იმ პირობით, რომ დიდხანს არ დამაყოვნო; დრო ჩემთვის მეტად ძვირია.

– აი, ეგ მომწონს, ჩემო სულიკო! ეგ დიდებულია, მოიცა, ამისათვის ერთი კარგად უნდა ჩაგკოცნო. – აქ ჩიჩიკოვმა და ნოზდრიოვმა ერთმანეთი გადაკოცნეს. – ჩინებულია! სამივე ერთად გავგრიალდეთ!

– არა, გეთაყვა, – უთხრა ქერამ, – მე თავი დამანებე, შინ მიმეჩქარება.

– წამო ერთი და, სად გაგიშვებ, ძმაო!

– მართლა, მართლა, ცოლის საყვედურს ვერ გავუძლებ; ახლა მაგის ბრიჩკაში შეგიძლია გადაჯდე.

– არ შეიძლება, არა, არა! ფიქრადაც არ გაივლო!

ქერა კაცი ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელიც პირველი შეხედვისთანავე უდრეკი ხასიათის კაცად მოგეჩვენებათ. პირის გაღებასაც ვერ მოასწრებ, რომ ასეთი ადამიანები უკვე მზად არიან საკამათოდ; გგონიათ, რომ არასოდეს არ დაგთანხმდებიან იმაზე, რაც მათი აზრების მიმართულებას ეწინააღმდეგება, არასოდეს სულელურს ჭკვიანურად არ მიიჩნევენ, განსაკუთრებით კი არ დაგეთანხმებიან, რომ სხვის ქამანჩსა და სტვირზე ითამაშონ; ბოლოს კი საქმე იმით თავდება, რომ ხასიათით მეტად რბილები გამოდგებიან, სწორედ იმაზე დათანხმდებიან, რასაც მანამდე უარსა ჰყოფდნენ, სულელურს მეტად ჭკვიანურს უწოდებდნენ და შემდეგ სხვის სტვირზეც იწყებენ თამაშს, – ერთი სიტყვით, ალთათი დაიწყებენ და ბალთათი გაათავებენ.

– სისულელეა! – შეაძახა ნოზდრიოვმა ქერას რომელიღაც შენიშვნაზე, თავზე ქუდი ჩამოაფხატა და ქერაც მაშინვე აედევნა.

– არყისა არ გადაგიხდიათ, ბატონო! – შენიშნა დედაბერმა.

– კარგი, დედი, კარგი! აბა, სიძეკაცო, ჩემს მსგივრად გადაიხადე, ჯიბეში ერთი გროშიც არ მიჭყავის.

– სულ რამდენია? – იკითხა სიძეკაცმა.

– სულ ორი უზალთუნი გახლავთ, ჩემო ბატონო, – მიუგო დედაბერმა.

– რას მიჰქარავ! ერთი ნახევარმანეთიანი გადაუგდე, ეგეც თავსა სდის...

– ცოტაა, ბატონო, – უთხრა დედაბერმა, მაგრამ ფული მაინც მადლობით მიიღო და ფაციფუცით გაიქცა კარის გასაღებად. დედაბერი ზარალში არ დარჩენილა, რადგან ოთხჯერ მეტი ააფცქვნა ქერას, ვიდრე მართლა ღირდა არაყი.

მოსულები ჩასხდნენ. ჩიჩიკოვის ბრიჩკა იმ ბრიჩკის გვერდით მიდიოდა, რომელშიაც ნოზდრიოვი და მისი სიძე ისხდნენ, ამიტომაც სამთავეს თავისუფლად შეეძლოთ მთელი გზა ლაპარაკში გაევლოთ. მათ მოსდევდა ნოზდრიოვის დანჯღრეული ბრიჩკა, რომელსაც გაძვალტყავებული ცხენები ძლივძლივობით მიათრევდნენ. ამ ბრიჩკაში პორფირი იჯდა ლეკვით.

ვინაიდან ჩვენი მგზავრების საუბარი მაინცდამაინც საგულისხმიერო არაა მკითხველისათვის, უკეთესი იქნება, თუ რაიმეს ვიტყვით თვითონ ნოზდრიოვზე,

რომელსაც შეიძლება არცთუ მთლად უკანასკნელი როლი ჰქონდეს მინიჭებული ჩვენს პოემაში.

ნოზდრიოვის სახე, უეჭველია, რამდენადმე ეცნობება მკითხველს. ასეთი ხალხი ცოტა კი არ შეგხვდება ადამიანს. მათ მარჯვე ბიჭებს ეძახიან, ბავშვობაში და მერე სკოლაში კარგი ამხანაგის სახელი აქვთ დავარდნილი და იმავე დროს ყველაზე მეტად გვერდებჩამტვრეულები ისევ ისინი გამოდიან. მათ სახეში მუდამ გამოსჭვივის რაღაც გულღიაობა, პირდაპირობა და ვაჟკაცობა. ადამიანს სწრაფად გაეცნობიან და თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებთ, რომ უკვე «შენობით» გელაპარაკებიან .თითქოს სამარადისო მეგობრულ კავშირს გააბამენ, მაგრამ თითქმის ყოველთვის ისე ხდება, რომ დამეგობრებული იმავე საღამოს ამხანაგური ქეიფის დროს ლაზათიანად წაეჩხუბება. ისინი დიდი მოლაყბენი არიან, ლოთი-შფოთები, თავზეხელაღებული ხალხი, მუდამ თვალში რომ ეჩხირებიან ყველას. ნოზდრიოვი ოცდათხუთმეტი წლისაც იგივე იყო, რაც თვრამეტი-ოცი წლის ასაკში: ქეიფის დიდი მოყვარული გახლდათ. დაცოლშვილებას ოდნავადაც არ შეუცვლია იგი. მით უმეტეს, რომ ცოლი მალე საიქიოს გაემგზავრა და დაუტოვა ორი შვილი, რომლებიც ნოზდრიოვს სრულებით არ სჭირდებოდა. ბავშვებს ერთი სანდომიანი გამდელი უვლიდა. შინ ნოზდრიოვი ერთ დღეზე მეტს ვერ ძლებდა. მისი გრძნობიერი ცხვირი რამდენიმე ათეულ ვერსზე იყნოსავდა, სად იმართებოდა ბაზრობა თავისი თავყრილობებითა და ბალებით: იგი თვალის დახამხამებაზე იქ გაჩნდებოდა, კამათობდა, აყალმაყალს ატეხდა ხოლმე ბანქოს მწვანე მაგიდასთან, ვინაიდან, როგორც სხვა მისი ჯურის ამქარს, ამასაც ბანქოს თამაში დიდად უყვარდა. ბანქოს, როგორც პირველი თავიდანაც დავინახეთ, მთლად უცოდველად და ალალმართლად არ თამაშობდა. იცოდა მრავალი ყომარბაზობა და ხელმრუდობა, ამიტომაც ეს თამაში ხშირად მეორენაირი თამაშით თავდებოდა: ან ჩექმის ქუსლით თელავდნენ ან ერთ ყოფას აყრიდნენ მის სქელსა და კოპწია ქილვაშებს, ასე რომ ხშირად შინ დაბრუნებულა მხოლოდ ერთი და ისიც მეტისმეტად მოჩეჩილი და შეთხელებული ქილვაშით. მაგრამ ჯანსაღსა და ფუნთუშა ლოყებს იმდენი აღმომცენებელი ძალა მოეპოვებოდათ და ისეთნაირად იყვნენ შექმნილნი, რომ ქილვაშები ხელახლა სწრაფად ამოსდიოდა და წინანდელზე ბევრად უკეთესიც. რაც ყველაზე უფრო გასაოცარია და მხოლოდ რუსეთში შეიძლება მოხდეს, არ გაივლიდა ხანი და იგი კვლავ იმავე მეგობრებს ხვდებოდა, რომლებმაც ლაზათიანად მიბეგვეს, ხვდებოდა ისე, თითქოს საამისო არა მომხდარიყოს, ანუ, როგორც ამბობენ, არც ჩვენსა შემოჰყოლია რამე, არც ჩვენგან გაჰყოლია რამეო.

ნოზდრიოვი დიდი დავიდარაბის კაცი იყო. არ ყოფილა ისეთი შეკრება, სადაც ის უაყალმაყალოდ გადარჩენილიყო. უსათუოდ რაღაც დავიდარაბა უნდა დატრიალებულიყო მის თავს: ან დარბაზიდან ჟანდარმებს გამოჰყავდათ ხელით, ანდა მისივე მეგობრები ქისტისკვრით გამოაგდებდნენ. თუ ამისთანა რამ არ მოხდებოდა, მაინც ისეთი რამ უნდა გადახდომოდა თავს, რაც სხვას არასოდეს არ გადახდება: ან იმდენს გადაჰყლურწავდა ბუფეტში, რომ ერთთავად იცინოდა და იცინოდა, ან ისე სასტიკად იცრუებდა, რომ ბოლოს თვითონვე შერცხვებოდა. იცრუებდა სრულიად უმიზეზოდ: უეცრად ადგებოდა და მოჰყვებოდა, ვითომც მას ცისფერი ან ვარდისფერი ცხენი ჰყავდა,

ანდა სხვა რამ სისულელეს წამოროშავდა, ასე რომ ბოლოს მსმენელები მხოლოდ ხელს ჩაიქნევდნენ და იტყოდნენ: «ერიჰა, ძმაო, ახლა კი ტყუილების გუდას მოხსენი თავი». არიან ისეთები, რომელთაც სრულიად უმიზეზოდ წამოუვლით ჟინი, თავიანთ მახლობელს რაიმე სისაძაგლე მოახვიონ თავზე. ზოგიერთი, მაგალითად, ჩინოსანიცაა, კეთილშობილი გარეგნობა აქვს, გულზე ვარსკვლავი ჰკიდია, ხელს მხურვალედ მოგიჭერთ, მაღალფარდოვან და დამაფიქრებელ საკითხებზე გაგიბამთ მუსაიფს, შემდეგ შეხედავთ და იქვე, თქვენ თვალწინ, რაიმე სისაძაგლეს დაგატეხთ თავს. და ამ სისაძაგლეს ისე ჩაიდენს, როგორც უბრალო კოლეჟსკი რეგისტრატორი, და არა ისე, როგორც ადამიანი, რომელსაც გულზე ვარსკვლავი აქვს და მაღალფარდოვან და დამაფიქრებელ საკითხებზე გელაპარაკებათ. ამის დანახვაზე თქვენც გაოცებული დგახართ და მხრებს იჩეჩავთ, მეტს ვერაფერს ახერხებთ. ასეთი უცნაური თვისებისა გახლავთ ნოზოროვიც; ვისაც უფრო დაუახლოვდებოდა, იმდნად უფრო მეტ ლაფს დაასხამდა თავზე: ათას შეუსაბამოს და ძნელად წარმოსადგენ სისულელეს შესწამებდა, ჩაშლიდა ქორწილს, სავაჭრო გარიგებას და ამასთან სრულიაცაც არ იგულებდა თავს თქვენს მტრად, – პირიქით, თუ შემთხვევა მიეცემოდა და გზად შემოგაყრებოდათ, ისევ მეგობრულად მოგეპყრობოდათ, გეტყოდათ კიდეც: «ჰაი, შე საძაგელო, რატომ არ მოდიხარო ჩემსას?»

საოცრად მრავალმხრივი გახლდათ ნოზდრიოვი, ესე იგი, მისი ხელიდან ყველაფერი გამოდიოდა. ერთ წუთში წინადადებას მოგცემდათ, სადაც გნებავთ წამოგყოლოდათ, თუნდა ცხრა მთას იქით, წამოეწყო თქვენთან, რა საქმეც გნებავთ, გადაეცვალა – რაც გააჩნდა, ყველაფერზე – რაზედაც გნებავთ. თოფი, ძაღლი, ცხენი – ყველა გადასაცვლელი საგანი იყო, თუმცა იმიტომ კი არა, რომ რაიმე მოეგო, არამედ ისე, როგორც მოეპრიანებოდა ხოლმე მის უხიაკსა და მოუსვენარ ბუნებას. თუ ბაზრობაზე ბედი გაუღიმებდა და ვინმე მიამიტს ხელში ჩაიგდებდა, სულ ტყავს გააძრობდა, მერე მოუსვამდა ხელს და ყველაფერს ყიდულობდა, რაც კი დუქნებში შეხვდებოდა: ცალუღებს, საკმეველ სანთლებს, თავშლებს გადიისათვის, კვიცს, ქიშმიშს, ვერცხლის ხელსაბანს, ჰოლანდიურ ტილოს, გამტკიცულ პურის ფქვილს, თამბაქოს, დამბაჩებს, ქაშაყს, სურათებს, სალესავს, ქოთნებს, ჩექმებს, ფაიფურის ჭურჭელს, – ერთი სიტყვით, ყველაფერს, ვიდრე ფული არ შემოელეოდა. მაგრამ იშვიათად მომხდარა, რომ ყველა ეს შინამდე მიეტანოს; იმავე დღეს მეორე უფრო ხელბედნიერ მოთამაშეს გადაულოცავდა ხოლმე, ზოგჯერ საკუთარ ჩიბუხსაც დაურთავდა თავისი ქისითა და მუნდშტუკით, ზოგჯერ კიდევ საკუთარი ოთხეულიც მიუყოლებია მთელი თავისი შეკაზმულობით: ეტლითა და მეეტლით, ისე რომ თვითონ პატრონი ბოლოს მოკლე სერთუკისა ან ახალუხის ანაბრად რომელიმე მეგობრის საძებნელად მირბოდა, რომ მისი ეტლით ესარგებლა. აი რა კაცი იყო ნოზდრიოვი! შეიძლება თქვან, ამნაირი ხასიათის კაცი მოძველდა, ნოზდრიოვები უკვე აღარა გვყვანანო, მაგრამ ვაი რომ უსაბუთო იქნება მათი სიტყვები: ნოზდრიოვი კიდევ კარგა ხანს არ აღიგვება ქვეყნის პირიდან. იგი ყველგან არის ჩვენ შორის, ოღონდ შეიძლება სულ სხვა ხიფთნით დაიარებოდეს; მაგრამ ხალხი ცერცეტა და ბეცია, ამიტომაც სხვა ხიფთანში გამოწყობილი სულ სხვა ვინმე ჰგონია.

ამასობაში სამი ეტლი უკვე მიგრიალდა ნოზდრიოვის სახლის პარმაღთან. შინ არავითარი სამზადისი არ ყოფილა მათ მისაღებად. შუაგულ სასადილოში ხარაჩოები აემართათ, ზედ

ორი გლეხი შემდგარიყო, თან კედლებს ათეთრებდნენ და თან რომელიღაც დაუსრულებელ სიმღერას ღიღინებდნენ, მთელი იატაკი თეთრი საღებავით იყო მოლაფული. ნოზდრიოვმა გლეხებს უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეტანათ ხარაჩოები და ახლა მეორე ოთახში გაიჭრა განკარგულებათა გასაცემად. სტუმრებმა გაიგონეს, რომ მზარეულს სადილი დაუკვეთა; ამის გაგონებაზე ჩიჩიკოვი, რომელსაც უკვე ცოტა არ იყოს მადა გახსნოდა, მიხვდა, რომ სუფრაზე ხუთ საათზე ადრე ვერ დასხდებოდნენ. დაბრუნებისას ნოზდრიოვმა სტუმრები წაიყვანა ყველა იმის საჩვენებლად, რაც კი სოფლად გააჩნდა; სულ რაღაც ორიოდე საათში მოასწრო ყველაფერი დაეთვალიერებინა მათთვის, ასე რომ საჩვენებელი აღარა დარჩენია რა. უწინარეს ყოვლისა თავლის დასათვალიერებლად წავიდნენ, სადაც ორი ფაშატი ნახეს, ერთი ამლაყი, მეორე – ღია ჩალისფერი, შემდეგ ქურანა ულაყი, არც მაინცდამაინც თვალში მოსასვლელი ცხენი, თუმცა ნოზდრიოვი დიდი ფიცით ირწმუნებოდა, ათი ათასი მანეთი მივეციო.

– ათი ათასი არ მიგიცია, – შენიშნა სიძემ. – ეგ არც ათასი ღირს.

– ღმერთმანი, ათი ათასი მივეცი, – მიუგო ნოზდრიოვმა.

– რამდენიც გინდა, იმდენი იფიცე, მაგით ფონს ვერ გახვალ, – უპასუხა სიძემ.

– მაშ, თუ გინდა დავნაძლევდეთ! – მიუგო ნოზდრიოვმა.

სიძემ სანაძლეოზე წასვლა არ ინდომა.

შემდეგ ნოზდრიოვმა აჩვენა ცარიელი ბაგები, სადაც წინათ თურმე აგრეთვე კარგი ცხენები ებათ. ამავე თავლაში ნახეს ერთი თხა, რომელიც, ძველი ადათის მიხედვით, აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ ცხენების ახლოს; ეს თხა, როგორც ჩანდა, ცხენებთან კარგად შეწყობილიყო და ისე თავისუფლად დაუძვრებოდა ფეხებში, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო. შემდეგ ნოზორიოვმა ისინი მგლის ლეკვის საჩვენებლად წაიყვანა, რომელიც დაბმული ჰყავდა. «აი, მგლის ლეკვი! – თქვა მან, – განგებ სულ უმი ხორცით ვკვებავ. მინდა ნამდვილი ნადირი გამოვიდეს!» შემდეგ დაათვალიერებინა საგუბარიც, სადაც ნოზდრიოვის სიტყვით ისეთი უზარმაზარი თევზი ბუდობდა, რომ ორ-ორ კაცს გაუჭირდებოდა თითო მათგანის ამოთრევა, რაც სიძეკაცმა ჩვეულებისამებრ არ დაიჯერა. «ახლა, ჩიჩიკოვ, – მიმართა ნოზდრიოვმა სტუმარს, – მე შენ გაჩვენებ საუკეთესო წყვილ ძაღლს, ისეთ მუხლმაგარს, რომ მათი კუნთების სიმაგრეს პირდაპირ განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი, ხოლო დრუნჩი ნამდვილი ნემსის წვერი გეგონება!» ისინი გაემართნენ მეტად კოპწია პატარა სახლისაკენ, რომელიც ყოველი მხრიდან მესერშემორტყმულ ეზოში იდგა. ეზოში შესვლისას დაინახეს ყველა ჯურის ძაღლი, გრძელბალნიანებიცა და წმინდაბალნიანებიც, ყველანაირი ფერისა: ყვითელი, შავხალებიანი, ყვითელხალებიანი, ყავისფერხალებიანი, წითელხალებიანი, შავყურებიანი, ნაცარაყურებიანი... აქ ყველანაირ სახელს გაიგონებდით: სროლია, უწმაწურა, ფრთხიალა, ცეცხლა, ჩხაპნია, მაბეზარა, საყვარელა, ჯილდო, მზრუნველა. ნოზდრიოვი მათ შორის თავს ისე გრძნობდა, როგორც ნამდვილი ოჯახის მამა; ყველამ აბზიკა კუდი, რომელსაც მეძაღლეები შიმშას ეძახიან,

პირდაპირ სტუმრებისაკენ გამოქანდნენ და თავიანთებურად მიესალმნენ. ერთმა ათმა მაინც ნოზდრიოვს ტორებით მხრებზე შეაბოტა. სეირამ ასეთივე მეგობრობა დაუდასტურა ჩიჩიკოვს, უკანა ფეხებზე აიყალყა და ტუჩები აულოკა, ასე რომ ჩიჩიკოვმა იქვე გადააფურთხა. მერე ის ძაღლებიც დაათვალიერეს, რომლებიც თურმე მნახველებს ანცვიფრებდნენ თავიანთი კუნთების სიმაგრით, – მართლაც კარგი ძაღლები გამოდგნენ. შენდეგ ყირიმული ძუკნის სანახავად გასწიეს, რომელიც უკვე დაბრმავებულიყო და, ნოზდრიოვის სიტყვით, მალე მოკვდებოდა, მაგრამ ორიოდე წლის წინათ ჩინებული ძუკნა ყოფილა: დაათვალიერეს ძუკნაც – ძუკნა მართლა ბრმა გამოდგა. შემდეგ წყლის წისქვილის დასათვალიერებლად წავიდნენ. წისქვილს აკლდა ძელფეხი, რომელზედაც დამაგრებულია ხოლმე ზედა დოლაბი, სწრაფად მობზრიალე, ანუ «მოფრთხიალე», რუსი გლეხის უცნაური თქმისა არ იყოს.

– ახლა კი მალე სამჭედლოსაც ვნახავთ! – თქვა ნოზდრიოვმა.

პატარა რომ გაიარეს, მართლაც სამჭედლო დაინახეს და ისიც დაათვალიერეს.

– აი ამ მინდორზე, – თქვა ნოზდრიოვმა და მინდვრისაკენ მიუთითა, – იმდენი რუხი კურდღელი იცის, რომ დედამიწა იფარება, მე თვითონ ერთს ფეხებში წავწვდი და დავიჭირე.

– ეგ კი ვერ მოგართვეს, რუხ კურდღელს ხელით ვერ დაიჭერ! – შენიშნა სიძემ.

– გეუბნები, დავიჭირე-მეთქი, განგებ დავიჭირე, – მიუგო ნოზდრიოვმა. – ახლა მე წაგიყვან იმ საზღვრის დასათვალიერებლად, – მიუბრუნდა ნოზდრიოვი ჩიჩიკოვს, – სადაც ჩემი მიწა-წყალი თავდება.

ნოზდრიოვმა თავისი სტუმრები იმ მინდორზე გაიყვანა, რომელიც მეტწილად სულ კოლბოხებით იყო დაფარული. სტუმრებს ნაოშ მიწებსა და ნაფარცხულ ხნულებს შუა უხდებოდათ სიარული. ჩიჩიკოვმა ნელ-ნელა დაღლილობა იგრძნო. ეს ადგილი იმდენად ჩავარდნილი იყო, რომ ფეხქვეშ ნიადაგს ჭყაპაჭყუპი გაჰქონდა. პირველად ისინი ერიდებოდნენ და ფრთხილად ადგამდნენ ფეხს, მაგრამ შემდეგ, რა ნახეს, რომ ამით არა გამოდიოდა რა, პირდაპირ ტოპავდნენ და არ დაგიდევდნენ, სად უფრო მეტი ან ნაკლები ტალახი იყო. კარგა მანძილი რომ გაიარეს, მართლა დაინახეს საზღვარი, სადაც პატარა ხის ბოძი აემართათ და ვიწრო თხრილი გაევლოთ.

- აი საზღვარი! – თქვა ნოზდრიოვმა. – ყველაფერი, რასაც ამ მხარეზე ხედავ, სულ ჩემია. იმ მხარეზეც, აი ის ტყე, ლურჯად რომ გამოიყურება, და რაც იმ ტყის იქითაა, ისიც სულ ჩემია.

– როდის აქეთია, ეს ტყე შენი შეიქნა? – ჰკითხა სიძემ. – ნუთუ ახლახან იყიდე? ეგ ხომ შენი არ იყო.

– ჰო, ახლახან ვიყიდე, – მიუგო ნოზდრიოვმა.

– მაინც როდის მოასწარი ყიდვა?

– მოვასწარი, მაშ! მესამე დღეა, რაც ვიყიდე, ოღონდ ძვირად კი დამიჯდა, დასწყევლოს ეშმაკმა!

– შენ ხომ იმ დროს ბაზრობაზე იყავი?

– აი შე ჭკუის კოლოფო! განა არ შეიძლება, ერთსა და იმავე დროს ბაზრობაზეც იყო და მიწაც იყიდო? რა თქმა უნდა, ბაზრობაზე ვიყავი, მაგრამ ჩემი მოურავი ხომ აქ იყო, ჰოდა, იმან უჩემოდ იყიდა.

– ჰო, ეგ კი შეიძლება! – თქვა სიძეკაცმა, მაგრამ მაინც დაეჭვდა და თავი გადააქნ-გადმოაქნია.

სტუმრები იმავე საძაგელი გზით დაბრუნდნენ შინ. ნოზდრიოვმა ისინი თავის კაბინეტში შეიყვანა, სადაც იმის ნასახიც არ ყოფილა, რაც კაბინეტში მოიპოვება ხოლმე, ესე იგი, წიგნები ან ქაღალდი. იქ ეკიდა მხოლოდ ხმალი და ორი თოფი – ერთი სამასმანეთიანი, მეორე კი რვაას მანეთად ღირებული. სიძეკაცმა თოფები დაათვალიერა და ამაზეც თავი გადააქნ-გადმოაქნია. შემდეგ დაათვალიერეს თურქული ხანჯლები. ერთ ხანჯალზე შეცდომით იყო ამოკვეთილი: «ოსტატი საველი სიბირიაკოვი».შემდეგ სტუმრებს არღანი აჩვენეს. ნოზდრიოვმა ტარი გადაატრიალა და რაღაც დაუკრა. არღანი საკმაოდ სასიამოვნოდ უკრავდა, მაგრამ შუაში, ვგონებ, რაღაც დაემართა, ვინაიდან მაზურკა მთავრდებოდა ასეთი სიმღერით: «მალბრუგი წავიდა ომში», ხოლო «მალბრუგი წავიდა ომში» მოულოდნელად რომელიღაც ძველისძველი ვალსით დამთავრდა. ნოზდრიოვმა დიდი ხანია შეაჩერა არღნის ტრიალი, მაგრამ არღანში ერთი აშარი სალამური დარჩენილიყო, რომელსაც არაფრით არ სურდა დაცხრომა და მერეც კარგა ხანს, მარტოდმარტო უსტვენდა. შემდეგ ნახეს ნაირ-ნაირი ჩიბუხები – ხისა, თიხისა, ხვირთქლისა, გამომწვარი და გამოუწვავი, ნატით მოკვალთული და მოუკვალთავი, ჩიბუხი ქარვის ტარით, რომელიც იმ ხანებში მოეგო ნოზდრიოვს, შემდეგ ქისა, რომელიც ვიღაც გრაფინიას მოექსოვა მისთვის, სადღაც ფოსტის სადგურზე რომ გაეცნო და გაგიჟებით შეჰყვარებოდა ნოზდრიოვი და რომელსაც, ამ უკანასკნელის სიტყვით, ხელები ჰქონდა «სუბდიტელური სუპერფლუ», – ეს სიტყვა, ეტყობოდა, მის თვალში ნიშნავდა სრულყოფის უმაღლეს წერტილს. ზურგიელით პატარა რომ წაისაუზმეს, ასე ხუთი საათისათვის სუფრას შემოუსხდნენ. როგორც ეტყობოდა, ნოზდრიოვისათვის სადილი მისი ცხოვრების უმთავრეს საგანს არ შეადგენდა; კერძები დიდ როლს არ თამაშობდა: ზოგს ხრაკის სუნი დაჰკრავდა, ზოგი სულაც უმი იყო. ეტყობოდა, მზარეული მეტწილად რაღაც ზეშთაგონებით ხელმძღვანელობდა და იმასა ჰყრიდა ქვაბში, რაც ხელთ მოხვდებოდა: თუ გვერდით პილპილი ედგა – პილპილს ჩაჰყრიდა, თუ ხელთ კომბოსტო მოხვდებოდა – კომბოსტოს ჩაურთავდა, შემდეგ მიაყოლებდა რძეს, ლორს, მუხუდოს, – ერთი სიტყვით, მიდი და მიდი, მიაყოლე, ოღონდ ცხელი კი იყოს, თორემ რაღაც გემო

მაინც ექნებაო. სამაგიეროდ ნოზდრიოვი ღვინოს დააწვა: ჯერ წვნიანი არც კი მოეტანათ, რომ სტუმრებს დიდ-დიდი ჭიქები შეუვსო პორტვეინით, შემდეგ დაასხა ჰოსოტერნი, ვინაიდან საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში უბრალო სოტერნი არ მოიპოვება. შემდეგ ნოზდრიოვმა ბრძანა ბოთლი მადერა მოეტანათ, რომლის უკეთესი თვით ფელდმარშალსაც არ დაელია. მადერა მართლაც პირდაპირ პირსა თუთქავდა. ვინაიდან ვაჭრებს კარგად მოეხსენებათ მემამულეთა გემოვნება, რომელთაც კარგი მადერა უყვართ, ამიტომაც უმოწყალოდ აზავებენ მას რომით, ხოლო ხანდახან თავარაყსაც მიუშვებენ ხოლმე იმ იმედით, რუსის კუჭი ყველაფრის მომნელებელიაო.შემდეგ ნოზდრიოვმა განკარგულება გასცა, რაღაც საგანგებო ბოთლი შემოეტანათ, რომელიც, მისი სიტყვით, ბურგონიონიც იყო და შამპანიონიც. ნოზდრიოვი დიდი გულმოდგინებით ავსებდა ორივე ჭიქას მარჯვნივაც და მარცხნივაც, სიძისთვისაც და ჩიჩიკოვისთვისაც. ამავე დროს ჩიჩიკოვმა შენიშნა, რომ მასპინძელი თავისთვის ცოტას იმეტებდა. ამან აიძულა იგი ფრთხილად ყოფილიყო. ამიტომ რაწამს ნაზდრიოვი აჭიკჭიკდებოდა ან სიძეს უსხამდა ღვინოს, მაშინვე თავის ჭიქას თეფშზე მიუშვებდა ხოლმე. სულ მალე სუფრაზე შემოიტანეს ჭნავის არაყი, რომელსაც, ნოზდრიოვის სიტყვით, ნამდვილი ქლიავის გემო ჰქონდა, მაშინ როდესაც, მათდა განსაცვიფრებლად, კარგა მაგარი რახი გამოდგა. შემდეგ რომელიღაც ბალზამი დალიეს, ისეთი უცნაური სახელწოდებისა, რომლის გახსენება მეტისმეტად ძნელი იყო და თვითონ მასპინძელმაც მეორედ სულ სხვა სახელი უწოდა. სადილს დიდი ხანია, მორჩნენ, ღვინოებიც ყველა იგემეს, მაგრამ სტუმრები სუფრიდან მაინც არ აშლილან. ჩიჩიკოვს სულაც არ უნდოდა სიძეკაცის თანდასწრებით გამოლაპარაკებოდა ნოზდრიოვს იმ საგანზე, რომელიც მისთვის მთავარი იყო. რაც უნდა იყოს, სიძე უცხო კაცია, ხოლო ეს საგანი განმარტოებას და მეგობრულ მუსაიფს მოითხოვს. თუმცა სიძე ახლა სულაც არ იყო საშიში, ვინაიდან საკმაოდ დამძიმდა და სკამზე ჩამომჯდარს ყოველ წუთს თავი ძირს უვარდებოდა. ბოლოს თვითონ სიძემაც შენიშნა თავისი უიმედო მდგომარეობა, წამოიწია და დაიწყო ხვეწნა, შინ გამიშვითო, მაგრამ ისეთი მოთენთილი ხმით, თითქოს, როგორც იტყვიან ხოლმე, სიტყვებს მარწუხით ექაჩებიან პირიდანო.

– აბა, აბა! ვერსად გაგიშვებ! – უთხრა ნაზდრიოვმა.

– არა, ნუ მაწყენინებ, ჩემო მეგობარო, მართლა უნდა წავიდე, – ეუბნებოდა სიძე, – ამით ძალიან მაწყენინებ.

– არაფერია, არაფერი! ახლავე პატარა ბანკს გავაჩაღებთ.

– შენ თვითონ გააჩაღე, ძმაო, მე კი ჩემთავად არ შემიძლია, ცოლის საყვედურებს ვერ გავუძლებ, მართლა გეუბნები, ბაზრობის ამბავი უნდა ვუამბო. საჭიროა, ძმაო, მართლა, იმასაც უნდა ვასიამოვნო. არა, ნუღარ მიჭერ!

– ახლა მომიყვები ცოლზე, წავიდეს ერთი!.. დიდ რამესაც გააკეთებთ ერთად, აი!

– არა, ძმაო! იგი ისეთი დარბაისელია, ისეთი ერთგული! ისე მივლის ხოლმე, რომ... არ დაიჯერებ და ცრემლებიც კი მადგება თვალზე. არა, ნუ მიჭერ-მეთქი, როგორც პატიოსანი კაცი, უნდა წავიდე, ამას გულწრფელად გეუბნები, გამიშვი.

– დაე წავიდეს, რა ხეირია მასში! – წასჩურჩულა ჩიჩიკოვმა ნოზდრიოვს.

– წავიდეს და წავიდეს! ჭირივით მძულს ასეთი ჩვარი ხალხი! – თქვა ნოზდრიოვმა და შემდეგ დაუმატა: კარგი, ჯანდაბას შენი თავი, წადი და იქალაჩუნე შენს ცოლთან, შე ფეტიუკო, შენა!

– არა, ძმაო, შენ ასე ნუ მლანძღავ, – მიუგო სიძემ, – მთელი ჩემი სიცოცხლე ვერ ამოვალ მისი ვალიდან. ისეთი კეთილია, კარგი, მართალს გეუბნები, ისე მიალერსებს ხოლმე... რომ სულ გული მიჩუყდება; გამომკითხავს, რა ვნახე ბაზრობაზე, ყველაფერი უნდა ვუამბო. ისეთი საყვარელი ქალია, რომ რა.

– ჰოდა, წადი და ათასი სისულელე მოუჩმახე! აი შენი ქუდი.

– არა, ძმაო, შენ არ გეკადრება იმაზე ასეთი რამის თქმა; ამით მეც მაწყენინებ, ის ისეთი საყვარელი ადამიანია.

– მაშ რაღას დგახარ, წაეთრიე ჩქარა მასთან!

– დიახ, ძმაო, წავალ, მაპატიე, რომ დარჩენა არ შემიძლია.

სიძე კიდევ დიდხანს ბოდიშობდა, დიდხანს ლაპარაკობდა რაღაცას და ვერ ამჩნევდა, რომ იგი უკვე დიდი ხანია ბრიჩკაში იჯდა, კარგა ხანია, რაც ალაყაფის კარს გასცდა და არანაკლებ კარგა ხანი იყო, რაც მის წინ გადაჭიმულიყო მხოლოდ ტრიალი მინდვრები. უნდა ვიფიქროთ, მისი ცოლი ბევრს ვერაფერს გაიგებდა ბაზრობის შესახებ.

– რა საძაგელი ვინმეა!.. – ამბობდა ნოზდრიოვი, რომელიც ფანჯარასთან იდგა და მიმავალ ეტლს გაჰყურებდა.

– შეხე, როგორ მიჩანჩალებს! ამ ნაპირა ცხენა არა უშავს რა, დიდი ხანია მინდოდა მაგისი ხელში ჩაგდება, მაგრამ მაგას ხომ ვერ მოურიგდება კაცი. ფეტიუკია, ნამდვილი ფეტიუკი!

ამ სიტყვებით შევიდნენ ოთახში. პორფირიმ სანთელი შემოიტანა. ჩიჩიკოვმა შენიშნა, რომ მასპინძელს დასტა ბანქო ეჭირა ხელში, თუმცა იმას კი ვერ მიხვდა, საიდან და როდის აეღო.

– რას იტყვი, ძმაო, – უთხრა ნოზდრიოვმა, რომელმაც ხელი მოუჭირა დასტას და ისე მოღუნა, რომ სახვევმა ქაღალდმა გაიტკაცუნა და გასკდა, – მოდი, დროს მოსაკლავად ვითამაშოთ, ბანკში მოვდივარ სამას მანეთს.

მაგრამ ჩიჩიკოვმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისი სიტყვები სულაც არ გაეგონოს, შემდეგ, თითქოს უეცრივ რაღაც გაახსენდაო, უთხრა:

– აჰ! რომ არ დამავიწყდეს: შენთან პატარა სათხოვარი მაქვს.

– რა სათხოვარი?

– ჯერ სიტყვა მომეცი, რომ შემისრულებ.

– ჰო, მაგრამ რა თხოვნაა?

– არა, ჯერ სიტყვა მომე!

– ინებე.

– პატიოსან სიტყვას იძლევი?

– პატიოსან სიტყვას.

– აი, რა სათხოვარია: შენ ალბათ ისეთი მიცვალებული გლეხები გეყოლება, რომლებიც სარევიზიო დავთრებიდან არ ამოუშლიათ.

– რა თქმა უნდა, მყავს, მერე რაო?

– მოდი და ისინი ჩემზე გადმოსწერე, ჩემს სახელზე.

– მერე რად გინდა?

– მინდა და იმიტომ... ეს უკვე ჩემი საქმეა, – ერთი სიტყვით, საჭიროა.

– უეჭველია, რაღაც საქმეს აჭახრაკებ. გამოტყდი რა საქმეა?

– რა საქმეს უნდა ვაჭახრაკებდე, ან რის მოჭახრაკება შეიძლება ამ არარაობიდან?

– მაშ რაღად გინდა?

– ოჰ, რა ცნობისმოყვარე ყოფილა! ამას უნდა, რომ ყველაფერს ხელით შეეხოს, დაჰსუნოს კიდეც!

– მაინც რატომ არ გინდა მითხრა?

– რა სარგებლობა უნდა ნახო, თუნდაც გაიგო? უბრალო რამაა, ფანტაზიამ მომიარა და მეტი არაფერი.

– რახან აგრეა, თითსაც არ გავანძრევ, ვიდრე არ მეტყვი.

– აბა რასა ჰგავს. ეს ხომ უპატიოსნება იქნება შენი მხრივ. სიტყვა მომეცი და ასე უპიროდ ისევ უკან იხევ.

– რაც გენებოს, ისა თქვი, მე კი თითსაც არ გავანძრევ, ვიდრე არ მეტყვი, რისთვის გინდა.

«რა ვუთხრა ისეთი?» – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და ორიოდე წუთის მოფიქრების შემდეგ განუცხადა: მკვდარი სულები საზოგადოებაში წონის მოსამატებლად მეჭირვება, დიდი მამულის პატრონი არა ვარ და ეს სულები მაინც მეყოლება სათვალავშიო.

– სტყუი, სტყუი! – სიტყვაც არ დაამთავრებინა ნოზდრიოვმა, – სტყუი, ძმაო!

ჩიჩიკოვი თვითონვე მიხვდა, რომ მაინცდამაინც მარჯვე რამ ვერ მოიგონა და საბაბიც საკმაოდ სუსტი იყო.

– მაშ, პირდაპირ გეტყვი, – უთხრა მან და სიტყვა შეასწორა, – ოღონდ, გეთაყვა, არავისთან წამოგცდეს. მე განვიზრახე ცოლის შერთვა: მაგრამ, გამოგიტყდებით, ჩემი დანიშნულის მშობლები ძალიან ამპარტავანი ხალხია. სწორედ თავსამტვრევი საქმე დამემართა: თვითონაც გულს მაკლია, რომ გადავეკიდე, აუტეხიათ, გინდა თუ არა, ჩვენს სასიძოს უსათუოდ სამასი სული მაინც უნდა ჰყავდესო, და რადგანაც მე თითქმის ასორმოცდაათ კაცამდე მაკლია...

– სტყუი, სტყუი! – კვლავ შეაჩერა ნოზდრიოვმა.

– აქ კი, – უთხრა ჩიჩიკოვმა, – ამოდენადაც არ მიტყუია, – და ცერით უჩვენა ნეკის წვერზე.

– თავს მოვიჭრი, თუ არ სტყუი!

– ეს კი შენგან დიდად მწყინს! მართლაც, ვინა გგონივარ! რატომ უსათუოდ უნდა ვიცრუო?

– ისე ლაპარაკობ, თითქოს არ გიცნობდე: შენ ხომ დიდი გაიძვერა ხარ, ნება მომეცი მეგობრულად გითხრა! მე რომ შენი უფროსი ვყოფილიყავი, პირველ ხეზევე ჩამოგახრჩობდი.

ჩიჩიკოვმა დიდად იწყინა ეს შენიშვნა. ყოველი რამდენადმე უხეში ან უწესო სიტყვა მას დიდად ეთაკილებოდა ხოლმე. არასოდეს შინაურულად გალაპარაკების ნებას არავის აძლევდა, თუკი მოსაუბრე მეტისმეტად მაღალი წოდების წრიდან არ იყო. ამიტომაც ახლა ძალიან ეწყინა.

– ღმერთმანი, ჩამოგახრჩობდი, – გაიმეორა ნოზდრიოვმა, – ამას გულახდილად გეუბნები, იმიტომ კი არა, რომ გაწყენინო, არამედ მეგობრულად.

– ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, – უპასუხა ჩიჩიკოვმა ღირსეული თავის დაჭერით, – თუ ამგვარი სიტყვებით გსურს თავი მოიწონო, მაშინ სჯობს ყაზარმაში წახვიდე, – და ბოლოს დაუმატა: – თუ ჩუქება არ გინდა, მომყიდე მაინც.

– მოგყიდო! მე ხომ ვიცი, რა თაღლითიცა ხარ, შენ ხომ ხეირიან ფასს არ გაიმეტებ.

– შენ ხომ კარგი ვინმე ხარ, აი! ერთი ამას დამიხედეთ! ვითომ რაო, ბრილიანტისა არიან, თუ რა არის?

– აი, ხომ ხედავ! მე კარგად გიცნობ.

– მაპატიე, ძმაო, მაგრამ რა ურიასავით გაუმაძღარი ყოფილხარ! შენ მუქთად უნდა მოგეცა ეგენი.

– მაშ გამიგონე, რათა დაგიმტკიცო, რომ მე გაუმაძღარი ჩარჩი არა ვარ, მაგათში არაფერსაც არ გამოგართმევ. აი, ჩემი ულაყი იყიდე და სართად ყველა მკვდარს გამოვაყოლებ.

– ულაყი რაღად მინდა? – უთხრა ჩიჩიკოვმა, რომელიც მართლა განაცვიფრა ასეთმა წინადადებამ.

– როგორ თუ რად გინდა? მე ხომ მაგ ულაყში ათი ათასი მიმიცია, შენ კი ოთხად გითმობ.

– მაინც რად მინდა ულაყი? ცხენების მოშენებას სულაც არ ვფიქრობ.

– გამიგონე, შენ არ გესმის: ამთავად მხოლოდ სამ ათასს გამოგართმევ, დანარჩენი ათასი შემდეგ იყოს.

– ჰო, მაგრამ ულაყი არ მინდა, ღმერთმა კეთილად მოგახმაროს!

– მაშ ჩალისფერი ფაშატი იყიდე.

– არც ფაშატი მინდა.

– აი, ფაშატსა და იმ ამლაყ ცხენში, ჩემსას რომ ნახე, სულ ორას თუმანს გამოგართმევ.

– ცხენები არ მჭირია-მეთქი.

– შენ მათ გაჰყიდი, პირველსავე ბაზარზე სამჯერ მეტს მოგცემენ.

– თუ ასეა, უკეთესია შენვე გაჰყიდო, სამჯერ მეტს მოიგებ.

– მე ვიცი, რომ მოვიგებ, მაგრამ მე მინდა, რომ შენც ხეირი ნახო.

ჩიჩიკოვმა მადლობა გადაუხადა ასეთი კეთილი სურვილებისათვის, მაგრამ მაინც უარი თქვა და არ ინება არც ამლაყი ცხენის ყიდვა და არც ჩალისფერი ფაშატისა.

– მაშ ძაღლები მაინც იყიდე. ისეთ წყვილ ძაღლს მოგყიდი, რომ სულ ჟრუანტელმა დაგიაროს! ისეთი დაბანჯგვლული დრუნჩები აქვთ, ულვაშიანი, ბალანი სულ ყალყზე უდგათ ჯაგარივით, ფერდების სიმრგვალე ხომ პირდაპირ წარმოუდგენელია! თათები კიდევ ისეთი დაძაგრული, მიწას არ აკარებენ!

– ჰო, მაგრამ ძაღლები რად მინდა, მე ხომ მონადირე არა ვარ!

– მე მინდა, რომ შენც გყავდეს ძაღლები. გამიგონე, თუ ძაღლებს არ იყიდი, ეს არღანი მაინც იყიდე, მშვენიერი არღანია; როგორც პატიოსანი კაცი, გეუნბები, თვითონ მე ათას ხუთასი მანეთი მიმიცია; შენ კი ცხრაასად გითმობ.

– რა თავში ვიხლი მაგ არღანს! მე ხომ გერმანელი არა ვარ, რომ ავითრიო და გზადაგზა გროშები ვიმათხოვრო?

– მაგრამ ეს ხომ ისეთი არღანი არ არის, გერმანელები რომ ატარებენ, ეს ნამდვილი ორღანია; აბა, ერთი განგებ დახედე; სულ წითელი ხისაა. მოიცა, ბარემ ერთხელ კიდევ გაჩვენებ! – აქ ნოზდრიოვმა ხელი წაავლო ჩიჩიკოვს და მეორე ოთახში გაყვანა მოუნდომა. ჰოდა, თუმცა ჩიჩიკოვი მთელი ძალ-ღონით ებჯინებოდა ფეხებით იატაკს და არწმუნებდა, კარგად ვიცი, რაც არღანიაო, მაინც ერთხელ კიდევ მოუხდა იმის მოსმენა, თუ როგორ წავიდა მალბრუგი ომში. – რახან ფულზე არ გინდა, აი რას გეტყვი: მე შენ არღანსაც მოგცემ და ყველა მკვდარ სულსაც, რაც კი მაბადია, სამგიეროდ ეგ შენი ბრიჩკა მომეცი და სართად სამასი მანეთიც გამოიმეტე.

– შეხეთ ერთი, რა მოინდომა! მე რიღათი წავიდე?

– მე შენ მეორე ბრიჩკას მოგცემ. აბა წამომყე ფარდულში, გაჩვენებ, რა ბრიჩკაა! შენ მხოლოდ ხელახლა შეაღებინე და საუცხოო ბრიჩკა გექნება.

«ეს რა ეშმაკი შეუძვრა თავში!» – გაიფიქრა თავისთვის ჩიჩიკოვმა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა მისი ყველანაირი ბრიჩკაც, არღანიც და ყოველგვარი ძაღლებიც, რაზომ გონებისათვის წარმოუდგენელი მრგვალფერდებიანი არ უნდა ყოფილიყვნენ და რანაირი თათებიც არ უნდა ჰქონოდათ.

– ბრიჩკასაც, მკვდარ სულებსაც და არღანსაც სულ ერთად გაძლევ!

– არ მინდა. – გაიმეორა ჩიჩიკოვმა.

– რატომ არ გინდა?

– იმიტომ, რომ არ მინდა, მორჩა და გათავდა.

– ერიჰაა! ეს რა კაცი ყოფილხარ! ვხედავ, შენთან არ შეიძლება ისე მოიქცეს ადამიანი, როგორც წესიერ მეგობრებსა და ამხანაგებს შეშვენით! ღმერთმანი, მართლა! ახლა კი ვხედავ, რა ორპირი კაციც ყოფილხარ!

– მაშ სულელი ხომ არ გგონივარ? თვითვე განსაჯე: რად უნდა შევიძინო ისეთი ნივთი, რომელიც ოდნავადაც არ მჭირდება?

– კარგია ერთი, თავს ნუ იმართლებ, გეთაყვა. ახლა ძალიან კარგად გაგიცანი. დიდი გაიძვერა ვინმე ყოფილხარ და ეგაა! გამიგონე, მაშ პატარა ბანკი მაინც ჩავარტყათ. ჩამოვდივარ ყველა მკვდარ სულს და ჩემს არღანსაც.

– ბანკს რომ ჩავუჯდე, ეს იმას ნიშნავს, სათუოდ გავიხადო საქმე, – თქვა ჩიჩიკოვმა და იმავე დროს გვერდიდან გახედა ორ დასტა სათამაშო ქაღალდს, რომელიც ნოზდრიოვს ხელში ეჭირა: მან შეამჩნია, რომ ორივე დასტა რაღაც საეჭვოდ გამოიყურებოდა, თვით კრაპსაც თითქოს თვალისთვის შეუმჩნეველი ნიშნები ჰქონდა.

– რატომ სათუოდ? – მიუგო ნოზდრიოვმა, – აქ საეჭვო არაფერია! თუ ბედი გწყალობს, უთვალავი სიმდიდრე შენი იქნება. აგერ, აგერ! ვიშ, რა ბედი გქონია! – ამბობდა ნოზდრიოვი და გასაღიზიანებლად ბანქოს დარიგებას მიჰყო ხელი. – ვიშ, რა ბედია, რა ბედი! შეხე ერთი, თავში როგორ ჩასცხო! აგერ ეს წყეული ცხრიანი, რომლის გულისთვისაც მთელი ქონება გავანიავე! განა არა, ვგრძნობდი, რომ მიღალატებდა, მაგრამ თვალს ვხუჭავდი და ვამბობდი: «დაგწყევლოს ეშმაკმა, აჰა, გამყიდე, შე წყეულო-მეთქი!».როდესაც ნოზდრიოვი ამას ამბობდა, პორფირიმ შემოიტანა ბოთლი ღვინო, მაგრამ ჩიჩიკოვმა გადაჭრით უარი თქვა როგორც თამაშზე, ისე სმაზე.

– რატომ არ გინდა თამაში? – ჰკითხა ნოზდრიოვმა.

– იმიტომ, რომ გუნება არ მთხოვს. მეორეც, უნდა გამოვტდე, დიდი მოყვარული არა ვარ ბანქოს თამაშისა.

– რატომ არა ხარ მოყვარული?

ჩიჩიკოვმა მხრები აიჩეჩა და ადუმატა:

– იმიტომ, რომ არა ვარ მოყვარული.

– რა საძაგელი ვინმე ხარ!

– აბა, რა ვუყო! ღმერთმა ასეთი გამაჩინა.

– პირდაპირ ფეტიუკი ყოფილხარ! წინათ მეგონა, წესიერ კაცთან მექნება-მეთქი საქმე, შენ კი არავითარი წარმოდგენა არა გაქვს, ვისთან როგორ მოიქცე. შეუძლებელია შენთან ისე გაიხსნა გული, როგორც მახლობელ ადამიანთან... არავითარი გულღიაობა, არავითარი გულწრფელობა! სობაკევიჩი ხარ, ისეთივე წუპაკი!

– არ მესმის, რატომ მთათხავ? ნუთუ დამნაშავე ვარ, რომ თამაში არ მიყვარს? მარტო სულები მომყიდე, რახან ასეთი კაცი ყოფილხარ, რომ ამ უბადრუკ რამისათვის ასე კანკალებ.

– ქაჩალ ეშმაკს მიიღებ და მეტს არაფერს! მინდოდა მუქთად მომეცა ეგ სულები, ახლა კი ვერ მოგართვი! სამი სამეფოც რომ მომცე, არ დაგითმობ. ვიღაც ოხერი მატყუარა ყოფილხარ, გაიძვერა, მებუხრე! დღეის იქით შენთან საქმე აღარ მინდა დავიჭირო. პორფირი, გასწი, უთხარი მეჯინიბეს, ამის ცხენებს შვრია აღარ დაუყაროს, მარტოოდენ თივაზე გადაატაროს.

ასეთ დასკვნას ჩიჩიკოვი სულ არ ელოდა.

– ნეტავი სულაც თვალითაც არ მენახე! – დაასკვნა ნოზდრიოვმა.

მიუხედავად ასეთი დაუბრებისა, სტუმარმა და მასპინძელმა მაინც ერთად ივახშმეს, თუმცა ამჟამად სუფრაზე არავითარი ნაირ-ნაირი დასახელების ღვინო არ ყოფილა. მხოლოდ ერთი ბოთლი იდგა რაღაც კვიპროსული ღვინით, რომელიც ისე ჩამჟავებულ-ჩაძმარებულიყო, ღვინისა არა ეცხო რა. ნავახშმევს ნოზდრიოვმა გვერდით ოთახში შეიყვანა ჩიჩიკოვი, სადაც მისთვის ლოგინი გაეშალათ, და უთხრა:

– აგერ ეს შენი ლოგინიც! მშვიდობის ღამეც არ მინდა გისურვო!

როცა ნოზდრიოვი წავიდა, ჩიჩიკოვი ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა. გულში სულ თავბედს იწყევლიდა, რომ დაუჯერა, გამოჰყვა და დაკარგა ძვირფასი დრო. მაგრამ ყველაზე მეტად ის ვერ ეპატიებინა თავის თავისთვის, რომ ფრთხილად არ მოიქცა და ასე ბავშვურად, ასე სულელურად გაუმჟღავნა საქმე. ვინაიდან ეს საქმე სრულიადაც არ იყო ისეთი, რომლის განდობა ნოზდრიოვთან შეიძლებოდა... ნოზდრიოვი საძაგელი კაცია, ნოზდრიოვს შეუძლია იცრუოს, ათასი რამე მოჩმახოს, ათასნაირი ხმა დაარხიოს და, ეშმაკმა იცის მაგის თავი, რა ჭორების ქსელი გააბას – არა, არა, ცუდად მოიქცა, ცუდად. «სულელი ვარ, ყეყეჩი,» – ამბობდა გულში. ღამე ძალიან ცუდად ეძინა. რაღაც მეტად თავხედი მწერები უმოწყალოდ ჰკბენდნენ, ასე რომ ნაკბენ ადგილებს ხუთივე თითით იქექდა და ბუზღუნებდა: «აი, ეშმაკსაც წაუღიხართ თქვენცა და თქვენი ნოზდრიოვის თავიც!..» დილაადრიან გაიღვიძა. პირველივე, რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ ხალათი და ჩექმები ჩაიცვა და ეზოზე გავლით თავლისკენ გასწია, რომ სელიფანისათვის ბრიჩკა შეებმევინებინა. როცა გამობრუნდა, ეზოში შემოეყარა ნოზდრიოვი, რომელსაც აგრეთვე ხალათი ეცვა და ჩიბუხს ეწეოდა.

ნოზდრიოვი მეგობრულად მიესალმა და შეეკითხა, როგორ გეძინაო.

–ისე, რაღა, –უპასუხა ჩიჩიკოვმა ძალიან ცივად.

–მე კი, ძმაო,–უთხრა ნოზდრიოვმა,–მთელი ღამე ისეთი საძაგლობა მესიზმრებოდა, რომ მოყოლაც მეზიზღება, პირშიც ისეთი გემო მაქვს გუშინდელს აქეთ, თითქოს შიგნით მთელმა ესკადრონმა ათია ღამე. წარმოიდგინე, დამესიზმრა, ვითომ გამწკეპლეს, ღმერთმანი! და იცი ვინ? ვერაფრით ვერ გამოიცნობ: შტაბს-როტმისტრმა პოცელუევმა და კუვშინიკოვმა.

«ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ მართლა ცხადად გაეტყიპეთ», – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა.

– ღმერთმანი, მართლა! მერე როგორ ამიწვეს გვერდები! გამომეღვიძა: დასწყევლოს ეშმაკმა, მართლაც მექავება – ალბათ ეს ალქაჯი რწყილები დამესიენ. აბა, ახლა წადი, ჩაიცვი და მეც ახლავე მოვალ. ერთი ამ საძაგელ მოურავს კარგა უნდა შევუკურთხო.

ჩიჩიკოვმა გასწია ოთახში პირის დასაბანად და ჩასაცმელად. როცა მორჩა და სასადილოში შევიდა, აქ უკვე გაწყობილი ჩაის ჭურჭელი და ერთი ბოთლი რომი დახვდა. ოთახს გუშინდელი სადილისა და ვახშმის კვალი აჩნდა; ეტყობოდა, იატაკს ჯაგრისი სულაც არ დაჰკარებოდა. ძირს პურის ნამცეცები ეყარა, სუფრაზე კიდევ თამბაქოს ფერფლი. თვითონ მასპინძელსაც, რომელმაც არ დააყოვნა და მელე შემოვიდა ოთახში, ხალათის ქვეშ არა ეცვა რა და მთლად ბალნით დაფარული ღია გუკმკერდი მოუჩანდა. ხელში ჩიბუხითა და ფინჯნით, საიდანაც ჩაის ხვრეპდა, იგი სწორედ საუცხოო ვინმე იყო მხატვრისათვის, რომელსაც ჭირივით ეჯავრება დახვეულ თუ გადაგლესილთმიანი ვაჟბატონები, როგორც დალაქთა აბრებზე ხატავენ ხოლმე.

– ჰა, მაშ მოიფიქრე? – უთხრა ნოზდრიოვმა მცირე დუმილის შემდეგ, – არ გინდა სულებზე მეთამაშო?

– ხომ გითხარი, ძმაო, თამაშით არ ვთამაშობ-მეთქი; თუ გინდა გაყიდვა – ინებე, ვყიდულობ.

– გაყიდვა არ მინდა, ეს მეგობრული არ გამოვა. მე არ ვიკადრებ რწყილის გატყავებას! ბანკი სულ სხვა საქმეა. მოდი, ერთი ხელი მაინც ვითამაშოთ!

– აკი გითხარი, არ შემიძლია-მეთქი.

– არც გაცვლა გინდა?

– არა.

– კარგი, მაშ შაში მაინც ვითამაშოთ, თუ მოიგებ – სულ ყველა შენი იყოს. მე ხომ ბევრი მყავს სარევიზიო დავთრებიდან ამოსაშლელი. ჰეი, პორფირი, აბა შაშის ყუთი მოგვიტა.

– ტყუილად ირჯები, არ ვითამაშებ.

– რა ვქნა, ესეც ხომ ბანკი არაა; აქ არც ბედია, არც უბედობა; არც თაღლითობა შეიძლება: ყველაფერი ოსტატობაზეა დამოკიდებული. წინდაწინვე გიცხდებ, რომ მე სულაც არ ვიცი თამაში და, თუ ვითამაშებ, იმ იმედით, რომ წინასწარ დამითმო რამე.

«მოდი და მართლაც ვეთამაშები! – გაიფიქრა თავისთვია ჩიჩიკოვმა, – შაშს ცუდად არ ვთამაშობდი, თაღლითობა კი აქ არც ისე ადვილი საქმეა».

– კარგი, ინებე, შაშს გეთამაშები.

– ყველა ჩემი მკვდარი და ასი მანეთი შენი მხრივ.

– რატომ ასი მანეთი, ორმოცდაათიც საკმარისია.

– რა ფულია ორმოცდაათი მანეთი! ამ ფასში, თუ გნებავს, რომელიმე უბრალო ჯიშის ლეკვს ჩამოვალ, ან ოქროს პატარა ბეჭედს, საათის ძეწკვზე ჩამოსაკიდებლად.

– კარგი, ინებე! – თქვა ჩიჩიკოვმა.

– წინდაწინვე რამდენ სვლას იძლევი? – უთხრა ნოზდრიოვმა.

– ეს ვითომ რატომაო? რა თქმა უნდა, არც ერთს.

– ყოველ შემთხვევაში ორი სვლა მაინც დამითმე.

– ვერ მოგცემ, მე თვითონ ცუდად ვთამაშობ.

– გიცნობთ, როგორც ცუდად თამაშობთ! – თქვა ნოზდრიოვმა და შაშით სვლა გააკეთა.

– დიდი ხანია შაში ხელში არა მჭერია! – მიუგო ჩიჩიკოვმა და იმანაც შაში გასწია.

– გიცნობთ, როგორც ცუდად თამაშობთ! – უთხრა ნაზდრიოვმა და და შაში გასწია.

– დიდი ხანია შაში ხელში არა მჭერია! – თქვა ჩიჩიკოვმა და თავისი შაში გასწია.

– ვიცით, როგორც ცუდად თამაშობთ! – თქვა ნოზდრიოვმა და ერთი შაში წინ გადასვა, თან სახელოს ყოშით მეორე შაშიც გამოსწია.

– დიდი ხანია შაში ხელში... ეჰეი, ძმაო, ეს რა ამბავია? აბა ეგ უკან გასწიე! – უთხრა ჩიჩიკოვმა.

– რა უნდა გავწიო?

– რა და ეგ შაში, – მიუგო ჩიჩიკოვმა და იმავე დროს შეამჩნია, რომ მის ცხვირწინ მეორე შაშიც თითქოს დამად გასვლას აპირებდა; თუმცა საიდან გაჩნდა, მხოლოდ ღმერთმა იცის. – არა, – თქვა ჩიჩიკოვმა და მაგიდიდან წამოდგა, – შენთან თამაში შეუძლებელია! ვის გაუგონია სამ-სამი შაშის ერთად სვლა!

– რატომ სამ-სამისა? ეს შეცდომითაა გაწეული. ერთი უცაბედად გამოწეულა, აჰა, ინებე, ისევ უკან გავწევ.

– ეს მეორე როგორღა გაჩნდა?

– რომელი მეორე?

– აი, ეს შაში, დამად რომ მიცოცავს?

– ერიჰა, ვითომც არ ახსოვს!

– არა, ძმაო, მე ყველა სვლას ვითვლიდი და ყველაფერი მახსოვს; ეს მხოლოდ ახლა წამომისკუპე. მაგის ადგილი აგერ სად არის!

– როგორ თუ მანდ არის?! – თქვა ნოზდრიოვმა და წამოწითლდა. – როგორც ვხედავ, ძმაო, კაი-კაის შემთხზველი ყოფილხარ.

– შემთხზველი, ძმაო, მე კი არა, შენ ყოფილხარ, ოღონდ ძალიან უხეირო.

– მერე ვინ გგონივარ განა?! – მიუგო ნოზდრიოვმა, – თაღლითობას ხომ არა მწამებ?

– არაფერს არ გწამებ, ეს კია, რომ ამიერიდან შენთან აღარ ვითამაშებ.

– ვერ მოგართვეს, ახლა უარი არ შეიძლება, ცხარობდა ნოზდრიოვი,– თამაში უკვე დაწყებულია!

– უფლება მაქვს უარი ვთქვა, იმიტომ რომ ისე არ თამაშობ, როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის.

– არა, სტყუი, შენ ამის თქმა არ შეგიძლია!

– არა, ძმაო, შენ თვითონ სტყუი!

– მე არ მითაღლითნია, შენ კი უარის თქმა არ შეგიძლია, ეს ხელი უნდა დაათავო.

– ამას ვერ მაიძულებ, უთხრა ჩიჩიკოვმ ცივად, მივიდა დაფასთან და შაში შეურია.

ნოზდრიოვმა იფეთქა და ისე ახლოს მიუხტა ჩიჩიკოვს, რომ მან ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია.

– მე შენ გაიძულებ თამაშს! ეს სულაც არაფერია, რომ შაში შეურიე, ყველა სვლა მშვენივრად მახსოვს. ჩვენ ისევ ისე გავაწყობთ, როგორც იყო.

– არა, ძმაო, მორჩა, შენთან მოთამაშე მე არა ვარ.

– მაშ არ გინდა მეთამაშო?

– შენ თვითონ ხედავ, რომ შენთან თამაში შეუძლებელია.

– არა, პირდაპირ მითხარი, არ გინდა მეთამაშო? – უთხრა ნოზდრიოვმა და კიდევ უფრო მიუახლოვდა.

– არ მინდა! – უპასუხა ჩიჩიკოვმა და ყოველი შემთხვევისათვის ხელები პირისახისაკენ წაიღო, რადგან საქმე მართლაც მეტად მწვავე ხასიათს ღებულობდა.

ეს სიფრთხილე სწორედ დროული გამოდგა, ვინაიდან ნოზდრიოვმა ხელი გაიქნია და... ადვილად შესაძლებელი იყო ჩვენი გმირის ერთ-ერთ სასიამოვნო და ფუნთუშა ლოყაზე წარუხოცელი შეურაცხყოფის დაღი აღბეჭდილიყო; მაგრამ ნოზდრიოვის სილა ჩიჩიკოვმა მარჯვედ აიცილა, სწრაფად სწვდა თავხედა ხელებში და მაგრად დაუჭირა.

– პორფირი, პავლუშკა! – ყვიროდა გაცოფებული ნოზდრიოვი და ჩიჩიკოვის ხელიდან გასხლტომას ცდილობდა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ჩიჩიკოვმა, რათა შინაყმები მაცდური სცენის მოწმენი არ გამხდარიყვნენ და რაკი გრძნობდა, რომ ნოზდრიოვის ასე დაკავება უსარგებლო იყო, ხელი გაუშვა. სწორედ ამ დროს შემოვიდა პორფირი და უკან შემოჰყვა პავლუშკა, კარგად ჩასხმული კაცი, რომელთანაც საქმის დაჭერა სახეირო არ იქნებოდა.

– მაშ, არ გინდა, რომ ეს ხელი დავათავოთ? – იძახდა ნოზდრიოვი, – პირდაპირ მითხარი!

– ამ ხელის დათავება შეუძლებელია, – უპასუხა ჩიჩიკოვმა და ფანჯარაში გაიხედა. მან დაინახა თავისი ბრიჩკა, რომელიც უკვე გამზადებული იდგა და სელიფანიც თითქოს ბრძანებასღა ელოდა, რომ ეტლი კარებთან მოეგორებინა, მაგრამ შეუძლებელი იყო ოთახიდან გასვლა, ვინაიდან კარში ორი ახმახი სულელი შინაყმა გაჩხირულიყო.

– მაშ არ გინდა, რომ ეს ხელი მოვათავოთ? – გაიმეორა ნოზდრიოვმა, რომელსაც სახეზე ალმური ასდიოდა.

– შენ რომ ისე თამაშობდე, როგორც შეჰფერის პატიოსან ადამიანს, მაშინ კიდევ ჰო, ახლა კი არ შემიძლია.

– აჰა, მაშ არ შეგიძლია, შე წუპაკო შენა! როდესაც დაინახე, რომ საქმე წაგებაზე მიდგა, აღარ შეგიძლია განა?! დაჰკათ, ბიჭებო! – შესძახა გაცოფებულმა პორფირისა და პავლუშკას, თვითონ კი ალუბლის ხისტარიან ჩიბუხს დაავლო ხელი. ჩიჩიკოვს მიტკლის ფერი დაედო, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მხოლოდ ტუჩები უთრთოდა.

– დასცხეთ, დასცხეთ! – იძახოდა გახელებული, მთლად ოფლში გაწურული ნოზდრიოვი და თან ალუბლის ხის ჩიბუხით წინ მიიწევდა, თითქოს მიუვალ ციხეზე იერიშით მიდისო, – დასცხეთ მაგას! – გაჰყვიროდა ისეთივე ხმით, როგორც დიდი იერიშის დროს თავის მწყობრს უყვირის რომელიმე თავზეხელაღებული პორუჩიკი: «აბა, ბიჭებო, წინო!» ამ პორუჩიკის თავშეუკავებელი მამაცობის ამბავი ისე შორს გავარდნილა, რომ საგანგებო ბრძანებაც კი არის გაცემული, მუდამ გაკავებული ჰყავდეთ ფიცხელი ომის დროს. მაგრამ პორუჩიკი უკვე აუტანია საბრძოლო ჟინს, თავში ყველაფერი ყირამალა უტრიალებს, თვალწინ სულ სუვოროვის სახე უდგას, დიადი და სასახელო საქმისათვის ერჩის გული. «აბა, ბიჭებო, წინაო!» – იძახის იგი, სულ წინ მიიწევს და ოდნავადაც არ უფიქრდება, რომ ამით დიდად ვნებს უკვე გამომუშავებულ და მოფიქრებულ საერთო იერიშის გეგმას, რომ ცადაზიდული, მიუვალი ციხის კედლების სათოფურებიდან მილიონობით თოფის ლულები იმზირება, რომ პორუჩიკის უძლური ოცეული მსწრაფლ ბუმბულივით გაიფანტება ჰაერში და უკვე ზუზუნით მოქრის საბედისწერო ტყვია, რათა ჩაუკმინდოს გამყივანი ხმა. მაგრამ თუ ნოზდრიოვი ამ დროს მიუვალ ციხეზე იერიშით მისულ თავზეხელაღებულ და გონებადაბნელებულ პორუჩიკს ჰგავდა, სამაგიეროდ, თვითონ ციხე, რომლისკენაც ის მიილტვოდა, სრულიადაც არ წარმოადგენდა მიუდგომელ სიმაგრეს. პირიქით, ამ ციხეს ისეთი თავზარი დასცემოდა, რომ სულის ამოსვლაზე იყო მისული. ის სკამიც, რომლითაც იგი ფიქრობდა თავდაცვას, ნოზდრიოვის შინაყმებს უკვე ხელიდან გამოეტაცნათ მისთვის. ჩიჩიკოვმა თვალები დახუჭა, არც ცოცხლებში ერია, არც მკვდრებში და უკვე მზად იყო ეგემა მასპინძლის ჩერქეზული ჩიბუხის ტარი. ღმერთმა უწყის, რით გათავდებოდა ეს ამბავი; მაგრამ ბედმა ისურვა განსაცდელისგან ეხსნა ჩვენი გმირის გვერდებიც, მხრებიც და მისი სხეულის ყველა ნასათუთევი ნაწილი. მოულოდნელად აწკრიალდა ზანზალაკი, აშკარად გაისმა ეტლის თვლების რახარუხი, რომელიც პარმაღს მოუახლოვდა და ბოლოს ოთახში შემოიჭრა შეჩერებული ტროიკის მფრთქვინავი ცხენების ქშენა-ფრუტუნი. ყველამ უნებურად გადაიხადა ფანჯრიდან. ნახევრად სამხედრო სერთუკში გამოწყობილი ვიღაც ულვაშიანი კაცი გადმოხტა ეტლიდან, დერეფანში რაღაც იკითხა და სწორედ იმ დროს შემოვიდა, როდესაც ჩიჩიკოვი ჯერაც გონს ვერ მოსულიყო და ისეთ საცოდავ მდგომარეობაში გახლდათ, როგორშიაც არცერთი მოკვდავი არ ჩავარდნილა.

– ნება მიბოძეთ გავიგო, ვინ არის აქ ბატონი ნოზდრიოვი? – იკითხა უცნობმა და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით გადახედა ერთი მხრით ჩიბუხით ხელში მდგარ ნოზდრიოვს და მეორე მხრით ჩიჩიკოვს, რომელიც თანდათან გონს მოდიოდა.

– ჯერ ნება მიბოძეთ გავიგო, ვისთან მაქვს პატივი გალაპარაკებისა? – თქვა ნოზდრიოვმა და უფრო ახლოს მივიდა მასთან.

– კაპიტან-ისპრავნიკი.

– მერე რა გნებავთ?

– მე მოველ გაუწყოთ, რომ თქვენ სამსჯავროს განკარგულებაში ბრძანდებით, ვიდრე სასამართლო განაჩენს გამოიტანს.

– რა სისიულელეა, მერე რა საქმეზე? – იკითხა ნოზდრიოვმა.

– თქვენ ჩარეული ხართ მემამულე მაქსიმოვის საქმეში, სიმთვრალის დროს პირადად მისთვის შეურაცხყოფა მიგიყენებიათ წკეპლების დარტყმით.

– სტყუით! მემამულე მაქსიმოვი თვალითაც არ მინახავს!

– მოწყალეო ხელმწიფევ! ნება მიბოძეთ, განგიცხადოთ, რომ მე ოფიცერი გახლავართ, მაგნაირად თქვენ შეგიძლიათ თქვენს მსახურს მიმართოთ და არა მე!

აქ ჩიჩიკოვმა აღარ მოუცადა ნოზდრიოვის პასუხს, ქუდს ხელი სტაცა და კაპიტან-ისპრავნიკის ზურგს უკან პარმაღზე გასხლტა, ჩაჯდა ბრიჩკაში და სელიფანს უბრძანა მთელი ძალ-ღონით გაერეკა ცხენები.

თავი მეხუთე

ძალიან კი დაფრთხა ჩვენი გმირი. თუმცა ბრიჩკა მთელი სისწრაფით მიქროდა და ნოზდრიოვის სოფელიც დიდი ხანია დაიკარგა მინდვრების, ბორცვებისა და გორაკების იქით, იგი შიშით სულ უკან-უკან იყურებოდა, თითქოს სულ იმის მოლოდინში იყო, აგერ-აგერ მდევარი წამომეწევაო. სულს ძლივს ითქვამდა. როდესაც სცადა გულზე ხელი მიედო, იგრძნო, იგი ისე უთრთოდა, როგორც გალიაში მომწყვდეული ჩიტი. «ვაჰ, ეს რა დღე დამაყარა, ერთი შეხედეთ და!» ბევრი რამ უსურვა ნოზდრიოვს ისეთი მწარე-მწარე და მაგარ-მაგარი, საჩოთიროც კია გამოსათქმელად. რას ვიზამთ? რუსი კაცია და ისიც გაგულისებული. დაუმატეთ ისიც, რომ სახუმარო საქმე როდი მომხდარა. «რაც გნებავს, ისა თქვი, – ამბობდა თავისთვის ჩვენი გმირი, – მაგრამ თუ ის კსპიტან-ისპრავნიკი არ შემსწრებოდა, ვინ იცის, იქნებ ამ წუთისოფელს გამოსალმებული ვყოფილიყავ! ისე გავქრებოდი, სრულიად უკვალოდ, როგორც წყლის ბუშტი მდინარის ზვირთებზე, შთამომავლობას მოკლებული, მომავალ შვილებსაც ვერც ქონებას დავუტოვებდი და ვერც პატიოსან სახელს!» ჩვენი გმირი დიდად ზრუნავდა შთამომავლობისათვის.

«ეს რა საძაგელი ბატონი შეგვხვდა, – ფიქრობდა თავისთვის სელიფანიც. – ჯერ ამნაირი ბატონის მნახველი არა ვარ. ფურთხის ღირსია და ესაა! თუ გინდა, შენ კაცს ნურაფერსაც ნუ

აჭმევ, მაგრამ ცხენს მაინც უნდა აჭამო, იმიტომ რომ ცხენს შვრია უყვარს. ეს მისი საკვებია. რაც ჩვენთვის ბატონის ულუფაა, ის მაგისთვის შვრიაა.»

ვგონებ, ცხენებიც კარგს არას ფიქრობდნენ ნოზდრიოვზე: არა თუ ქურანა და ზასიდატელი, თვით შავხალაც უგუნებოდ იყო. თუმცა მის წილად ყოველთვის მდარე შვრია მოჰქონდათ ხოლმე და სელიფანიც ისე არ დაუყრიდა გობზე, რომ თან არ დაეყოლებინა: «აი შე საძაგელოო!» მაგრამ, რაც უნდა იყოს, იგი მაინც შვრიას აჭმევდა და არა უბრალო თივას. ამიტომაც შავხალა თავის კერძს სიამოვნებით ახრამუნებდა, თანაც გრძელ დრუნჩს ამხანაგების გობშიც ჩაჰყოფდა ხოლმე, რომ გაეგო, როგორი კერძი ჰქონდათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ სელიფანს თავლაში არ იგულებდა. ახლა კი ცარიელა თივაზე გადააატარეს... ეს კი ვერაფერი საქმე იყო; ყველანი უკმაყოფილონი დარჩნენ.

მაგრამ მალე უეცარმა და მოულოდნელმა ამბავმა ყველა უკმაყოფილოს შეაწყვეტინა საყვედურები. ყველანი, თვით მეეტლეც კი, მაშინ მოვიდნენ გონს, როდესაც ბრიჩკას ექვსცხენიანი ეტლი წამოეძგერა და თითქმის მათ ცხვირწინ გაისმა ეტლში მსხდომ მანდილოსანთა წივილ-კივილი, უცხო მეეტლის გინება და მუქარა: «აი, შე სალახანა! რამდენი გიყვირე და გიღრიალე: მარჯვნივ გაუხვიე-მეთქი, შე ყვავო შენა! მთვრალი ხარ თუ რა არის?» სელიფანმა იგრძნო, რომ დამნაშავეა, მაგრამ რადგანაც რუს კაცს არ უყვარს სხვათა წინაშე თავისი დანაშაულის აღიარება, ესეც წელში გასწორდა და თავი გამოიკარგკაცა: «შენ კი რაღას მოჯირითობ? თვალები სირაჯხანაში დააგირავე თუ?» ამის შემდეგ შეუდგა ბრიჩკის უკან დახევას, რომ გაეთავისუფლებინა სხვა ეტლის სართავ-კაზმულობიდან, მაგრამ საქმე არც ისე ადვილი გამოდგა, ყველაფერი ერთმანეთში გადახლართულ-გამოხლართულიყო. შავხალამ იდროვა და ცნობისმოყვარეობით დასუნა თავისი ახალი ამხანაგები, რომლებიც აქეთ-იქიდან გვერდში ამოდგომოდნენ. ეტლში მჯდომი მანდილოსნები კი ზაფრანაცემი შეჰყურებდნენ მომხდარ ამბავს. ერთი დედაბერი იყო, მეორე სულ ახალგაზრდა, ასე თექვსმეტი წლისა. ოქროსფერი თმა მოხდენილად გადაევარცხნა პაწია თავზე. სანდომიანი სახე ისე დამრგვალებოდა და თეთრად გამჭვირვალე ჰქონდა, როგორც ახლადდადებული კვერცხი, როცა ბებრუხანა მეკუჭნავეს შავ ხელში შუქზე უჭირავს იგი და შიგ ბრწყინვალე მზის სხივები გამოკრთის; თხელი, გამჭვირვალე ყურებიც წითლად უღვივოდა შიგ გავლილი თბილი შუქისაგან. ამასთან ერთად ღიად დარჩენილ ტუჩებზე შიში უთრთოდა, ხოლო თვალებში წამოგორებული ცრემლი ისე საყვარლად უკიაფებდა, რომ ჩვენმა გმირმა რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალი ვეღარ მოაშორა და სულაც არაფერს დაგიდევდათ, თუ რა აყალმაყალი ხდებოდა მათ გარშემო ცხენებსა და მეეტლეთა შორის. «უკან დასწიე რაღა, შე ნიჟეგოროდელო ყვავო!» – ყვიროდა უცხო მეეტლე. სელიფანმა უკან დასწია ცხენები, ასევე მოიქცა უცხო მეეტლეც, ცხენებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მერე ისევ მიეჯახნენ ერთმანეთს და მოსართავებში ფეხები აებლანდათ. ამასთან ერთად შავხალას იმდენად მოეწონა ახლადგაცნობილი მეგობრები, რომ არასდიდებით არ უნდოდა მათგან ჩამოშორება, რაკი ბედმა ინება და ასეთ შემთხვევას შეჰყარა, ახალ მეგობარს კისერზე გადასდო დრუნჩი და თითქოს ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდა, უეჭველია, საშინელ სისულელეს, ვინაიდან ახალგაცნობილი სულ ყურებს აპარტყუნებდა.

ამ აყალმაყალზე გლეხებმა მოიყარეს თავი მახლობელი სოფლიდან, რომელიც, საბედნიეროდ, გზის პირად იყო. ასეთი სეირი გლეხისათვის პირდაპირ ღვთის წყალობაა, როგორც გერმანელისათვის გაზეთები და კლუბი. ამიტომ მალე ეტლის ირგვლივ აუარება ხალხმა მოიყარა თავი, ასე რომ სოფელში მხოლოდ დედაბრები და ჟიჟმატა ბავშვებიღა დარჩნენ. თასმები შეიხსნეს, შავლხალას რამდენჯერმე ამოსცხეს დრუნჩში, რის გამო იკადრა უკან დაეწია, ერთი სიტყვით, ცხენები დააცალცალკევეს და აქეთ-იქით გაიყვანეს. მაგრამ, არ ვიცით, ეწყინათ, რომ ახალგაცნობილ მეგობრებს დააშორეს, თუ რაღაც სულელურ გუნებაზე დადგნენ, ეს კია ახალმოსული ცხენები აღარ იძროდნენ და გაშეშებული იდგნენ, თუმცა შოლტით სულ გვერდებს უჭრელებდნენ. გლეხების მხრივ საქმეში ჩარევა ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ყველა მოვალედ თვლიდა თავს რაიმე რჩევით ჩამოჩრილიყო: აბა, ანდრიუშკა, ერთი მარჯვნიდან შებმულ ცხენს გამოსწიე და წამოიყვა, ძია მიტიაი კი შუალას მოაჯდეს ზურგზე! აბა, ძია მიტიაი, მოაჯექ ამ ცხენს!» გამხდარი და აყლაყუდა ძია მიტიაი, თავისი სქელი ქერა წვერით, შუალა ცხენს მოაჯდა და ისე წამოეყუდა, როგორც სოფლის ეკლესიის სამრეკლო ან, უკეთ რომ ვთქვათ, როგორც კაუჭი, რომლითაც ჭიდან წყალს იღებენ. მეეტლემ ცხენებს გადაუჭირა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. ვერც ძია მიტიაი გახდა რასმე. «მოიცა! მოიცა! – იძახდნენ გლეხები, – ძია მიტიაი, შენ მარჯვნივ შებმულ ცხენზე გადაჯექი, შუალას კი ძია მინიაი მოაჯდეს!» ძია მინიაი გახლდათ ფართო მხარბეჭიანი გლეხი, ნახშირივით შავი წვერ-ულვაშით. მისი გადმოგდებული ფაშვი იმ უზარმაზარ სამოვარს წააგავდა, რომელშიც ადუღებენ თაფლუჭს მთელი ბაზრის გაყინული ხალხისათვის. მინიაი სიამოვნებით მოახტა შუალა ცხენს, რომელსაც ზურგი თითქმის მიწამდე დაეზნიქა. «აი, ახლა კი გაიჩარხება საქმე! – იძახდნენ გლეხები. – ერთი შეახურე, შეახურე ეგ სამგლე, შოლტით გვერდები აუჭრელე მაგ თაფლასაც, კოღობუზივით ფეხებს რომ ხლართავს». მაგრამ რა დაინახეს, საქმეს კარგი პირი მაინც არ უჩანდა, არც გვერდების აჭრელებამ უშველა რამე და არც შეხურებამ, ძია მიტიაი და ძია მინიაი ორივენი ერთად შესხდნენ შუალაზე, მარჯვნივ შებმულს კი ანდრიუშკა მოაჯდა. ამასობაში მეეტლემ მოთმინება დაჰკარგა და ძია მიტიაიც და ძია მინიაიც ცხენებიდან ჩამორეკა, და კარგადაც მოიქცა, ვინაიდან ცხენებს ისეთი ბუღი ასდიოდათ, თითქოს სადგურიდან მოყოლებული სულაც არ შეჩერებულანო. პატარა შესვენების შემდეგ ცხენები თავისით დაიძრნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩიჩიკოვი დიდი ყურადღებით უმზერდა ახალგაზრდა უცნობ ქალს. რამდენჯერმე სცადა გალაპარაკებოდა, მაგრამ როგორღაც არ ხერხდებოდა. ამასობაში ქალებიც წავიდნენ. იმ კოპწია გოგონას თავი, სანდომიანი სახე და ნარნარი ტანი ისე გაჰქრა, როგორც მოჩვენება, უკან კი დარჩა იგივე შარაგზა, ბრიჩკა და სამი ცხენი, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი, მასთან სელიფანი, ჩიჩიკოვი და სიცარიელე ტრიალი ველ-მინდვრებისა. ცხოვრებაში ყველგან – იქნება ეს უბირ და ტლანქ ღატაკთა უსუფთაო დაბალ ფენებში თუ გულგადასალევად სალუქ ერთფეროვან და გულცივ მაღალი წოდების წრეში, – ყველგან თუნდაც ერთხელ შეხვდება ადამიანს თავისი სიცოცხლის მანძილზე ისეთი რამ, რაც ოდნავადაც არა ჰგავს ყოველივე მანამდე ნანახს და რაც აღუძრავს გრძნობას, რომელიც არ ემსგავსება მთელ მის სიცოცხლეში განცდილს. მიუხედავად იმ სევდა-მწუხარებისა, რომლითაც მოქსოვილია ეს ცხოვრება, ათასში ერთხელ მხიარულად გამოიქროლებს შუქმომფინარე სიხარული, როგორც ზოგჯერ თვალწარმტაცი ეტლი თავისი ოქროს მოსართავებით, მშვენიერი ბედაურებითა და მოელვარე შუშებით მოულოდნელად

ჩაუქროლებს რომელიმე მიყრუებულ ღარიბ სოფელს, სადაც არა უნახავთ რა გარდა სოფლური დანჯღრეული ურმისა; დიდხანს დგანან მერე პირდაღებული და ქუდმოხდილი გლეხები ჯგუფ-ჯგუფად, თუმცა დიდი ხანია გაიქროლა და თვალს მიეფარა ის წარმტაცი ეტლი. ასევე მოხდა ამ ქერათმიანი გოგონას დანახვაზე, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა ჩვენს მოთხრობაში და ისევ გაქრა. ჩიჩიკოვის ადგილას რომ ყოფილიყო ოცი წლის ჰუსარი, სტუდენტი, ან ვინმე ისეთი, ვინც ცხოვრების ასპარეზზე ახლად იწყებდა გამოსვლას – ოჰ, ღმერთო ჩემო, რა არ გაიღვიძებდა, რა არ ამოძრავდებოდა და ამეტყველდებოდა მსწრაფლ მის გულში! დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგებოდა იგი უგრძნობლად ერთსა და იმავე ადგილს, შორს სივრცისაკენ მიშტერებული თვალებით და მიავიწყდება გზაც, მოსალოდნელი საყვედურებიც დაგვიანებისათვის, თავისი თავიც, სამსახურიც, ქვეყნიერებაც და ყველაფერი, რაც კი სამყაროში მოიპოვება.

მაგრამ ჩვენი გმირი უკვე შუა ხნის კაცი გახლდათ, წინდახედული, დამჯდარი ხასიათისა. ისიც ფიქრს მიეცა, მაგრამ ისე უანგარიშოდ კი არა, არამედ საქმიანად და საფუძვლიანად. «კარგი გოგონაა! – თქვა მან, საბურნუთე კოლოფი გახსნა და ბურნუთს დაყნოსა, – მაგრამ საქმე ისაა, რაა მასში კარგი? კარგი ისაა, რომ აი ეს-ესაა გამოუშვიათ პანსიონიდან თუ რომელიღაც ინსტიტუტიდან, რომ, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ არაფერი სცხია ქალობისა, ესე იგი, ისეთი რაც ყველაზე უფრო არასასიამოვნოა ქალებში. ეგ ჯერ კიდევ ბავშვია, გულუბრყვილო, ყველაფერს იტყვის, რაც სწადია, გაიცინებს, როცა სიცილი მოუნდება. მისგან ყველაფერი შეიძლება გამოვიდეს, შეიძლება სასწაულებრივად მშვენიერიც და საძაგელიც, და გამოვა კიდეც საძაგელი! აბა ერთი დაეხვივნენ დედები და დეიდები! წელიწადიც არ გავა, რომ იმდენი ქალური რამეებით გატიკნიან, ღვიძლმა მამამაც ვეღარ იცნოს. ისე გაამპარტავნდება და ცხვირს მაღლა ასწევს, გაგიკვირდება; დაიწყებს მანჭვა-გრეხვას, როგორც დაარიგეს, მოჰყვება თავის მტვრევას, თუ როგორ და რამდენი ილაპარაკოს, ვის როგორ შეხედოს; მუდამ იმის შიშში იქნება, იმაზე მეტი არ წამოსცდეს, ვიდრე საჭიროა, სულ თავგზა აერევა და ბოლოს იმით გათავდება, რომ მთელი სიცოცხლე იცრუებს და, ეშმაკმა უწყის, რა ადამიანი დადგება!» აქ პატარა ხანს შეჩერდა და შემდეგ განაგრძო: «მაინც კარგს ვიზამდი გამეგო, ვისი ქალი იყო? რა კაცია მამამისი? მდიდარი, დარბაისელი მემამულე, თუ ისე, ჭკუადამჯდარი კაცი, რომელსაც სამსახურის წყალობით კარგა ქონება შეუძენია? ამ გოგონას რომ კიდევ მზითვად ორასი ათასი მანეთი მაინც მისცენ, რა გემრიელი ლუკმა იქნებოდა! რა, ასე ვთქვათ, ბედნიერებას მიანიჭებდა წესიერ ადამიანსა». ორასი ათასი ისე მიმზიდველად დაეხატა თვალწინ, რომ გუნებაში თავის თავს უსაყვედურა, რატომ იმ აყალმაყალის დროს ან ფორეიტორისაგან ან მეეტლისაგან არ გავიგე, ვინ იყვნენ ის გამვლელებიო. ამასობაში სობაკევიჩის სოფელიც გამოჩნდა, რომელმაც მისი ფიქრები გააბნია და აიძულა კვლავ თავის მუდმივ საგონებელს დაბრუნებოდა.

სოფელი საკმაოდ მოზრდილი მოეჩვენა. მარჯვნივ და მარცხნივ ორი ტყე იყო გაშლილი, როგორც ორი ფრთა: ერთი მოშავო ფიჭვნარი გახლდათ, მეორე – ღია ფერის არყნარი. შუაში ამართული იყო მეზონინიანი ხის სახლი წითელი სახურავით და მუქი ნაცრისფერი, ანუ უკეთ, რიყის ქვის კედლებით, – ერთი სიტყვით, ისეთი სახლი, როგორსაც ჩვენში სამხედრო მოსახლეობისა ანდა გერმანელი ახალშენებისათვის აშენებენ. ყველაფრიდან

აშკარად ჩანდა, რომ ხუროთმოძღვარი, უეჭველია, ბევრ რამეში შედავებოდა სახლის პატრონის გემოვნებას. ხუროთმოძღვარი პენდატი გახლდათ და სიმეტრიის დაცვა უნდოდა, პატრონს კი უფრო ხალვათობა და ხერხიანობა აინტერესებდა. როგორც ჩანს, პატრონმა მხოლოდ შემდგომ გააუქმა ერთ მხარეს ფანჯრები, რომელთა ადგილას პატარა სანათური გამოეხვრიტა, უეჭველია, რომელიმე ბნელი საუჭნაოს გასაშუქებლად. რანაირად არ ცვლიდა ხუროთმოძღვარი, მაგრამ ვერასდიდებით ვერ მოეხერხებინა, რომ ფრონტონი სახლის შუაგულს ყოფილიყო, ვინაიდან პატრონს ებრძანებინა გვერდიდან ერთი სვეტი გამოეცვალათ, რის გამოც შენობას ოთხი სვეტის ნაცვლად ახლა სამიღა შერჩენოდა. ეზო შემოფარგლული იყო მაგარი და ძალიან სქელი ხის მესერით. როგორც ჩანს, პატრონი ბევრს ცდილა, რომ ყველაფერი გამძლე ყოფილიყო. თავლა, ფარდული და სამზარეულო მძიმე, სქელი ძელებისაგან იყო აგებული, თითქოს იმ მიზნით, რომ მთელი საუკუნე გაეძლო, გლეხების ქოხებიც აგრეთვე გასაოცრად მკვიდრად იყო ნაგები: არავითარი გარანდული კედლები, ჩუქურთმა და მისთანანი, მაგრამ ყველაფერი მკვიდრად და საფუძვლიანად იყო აშენებული. თვით ჭაც კი ისეთი მუხის მასალისაგან იყო დაჭედილი, როგორსაც წისქვილებისა და ხომალდების ასაგებად ხმარობბენ ხოლმე. ერთი სიტყვით, რასაც კი უყურებდა ჩიჩიკოვი, ყველაფერი სიმაგრესა და ურყევლობაზე ღაღადებდა, თუმცა ამასთანავე რაღაც სიტლანქის იერი დაჰკრავდა. როდესაც პარმაღს მიუახლოვდნენ, ჩიჩიკოვმა შენიშნა, რომ ფანჯრიდან თითქმის ერთსა და იმავე დროს ორმა სახემ გამოიხედა: ერთი ქალის სახე იყო, თავსაბურიანი, ვიწრო და კიტრივით გრძელი, მეორე კი – მამაკაცისა, მრგვალი და გატყაპული, როგორც მოლდავური გოგრა, რომელსაც აყიროს ეძახიან და რომლიდანაც რუსეთში ორსიმიან მსუბუქ ბალალაიკებს აკეთებენ, ოცი წლის თავმომწონე ბიჭის გასართობსა და მშვენებას, იმ კოხტა ბიჭისა, თვალს რომ ჩაუკრავს და ჩაუსტვენს მისი ბალალაიკის მოსასმენად თავმოყრილ თეთრყირმიზა გოგოებს. ფანჯარაში მომზირალი ორივე სახე იმავე წუთში მიიმალა. პარმაღზე გამოვიდა ნაცრისფერჯუბიანი და აფშეკილ ცისფერსაყელოიანი ლაქია, რომელმაც ჩიჩიკოვი დერეფანში შეიყვანა, სადაც მასპინძელმაც არ დააყოვნა გამოსვლა. სტუმრის დანახვაზე მასპინძელმა მოკლედ მოუჭრა: «გთხოვთ!» და ოთახში შეიპატიჟა.

როცესაც ჩიჩიკოვმა გვერდიდან გახედა სობაკევიჩს, იგი ამჟამად საშუალო ტანის დათვად წარმოუდგა. მსგავსების სრულსაყოფად ფრაკიც ნამდვილი დათვისფერი ჩაეცვა, სახელოები გრძელი ჰქონდა, შარვალი გრძელი, აჯაბაჯა დააბიჯებდა და ყოველთვის სხვას ადგამდა ფეხს. ღაჟღაჟა, დაკვერებული ლოყები ისე აფიცხებოდა, როგორც სპილენძის შაურიანები. ვინ არ იცის, რომ ქვეყანაზე ბევრია ისეთი პირისახე, რომელთა დამუშავებაზე მაინცდამაინც დიდხანს არ უფიქრია ბუნებას, არ უხმარია რაიმე პატარა იარაღი, როგორიცაა: საჭრეთლები, ხელბურღები, ქლიბები და სხვა, არამედ პირდაპირ აუღია ცული, მთელი ძალ-ღონით დაუკრავს ერთი და გამოუყვანია ცხვირი, დაუკრავს მეორე და გამოსულა ტუჩები, დიდი სახვრეტელა დაუდვია და ამოუხევრეტია თვალები, ხოლო შემდეგ ასე გაუჩორკნავ-გაუშალაშინებელი გაუშვია ქვეყანაზე და უთქვამს: «აჰა და იცხოვრეო!» სწორედ ასე გასაკვირლად თოქმად ნაშენი იყო სობაკევიჩი. მეტწილად იგი დაბლა იხედებოდა, კისერს სულაც არ ატრიალებდა, ამიტომ იყო, რომ, როდესაც ვინმე ელაპარაკებოდა, პირდაპირ იმას კი არ უყურებდა, არამედ ან ღუმლის კუთხეს ან კარს აჩერდებოდა. ჩიჩიკოვმა ერთხელ კიდევ შეხედა გვერდიდან, როცა სასადილოში შედიოდნენ: დათვი, ნამდვილი დათვი! სახელიც რომ ასე შეეფერება: მიხაილ

სემიონოვიჩი! რაკი იცოდა მისი ხასიათი, ფეხის დადგმა იცისო, ძალიან ფრთხილობდა ჩიჩიკოვი და ყოველთვის უთმობდა გზას. მასპინძელიც, თითქოს ამ ცოდვას კარგად გრძნობსო, შეეკითხა: «ხომ არ შემიწუხებიხართ?» მაგრამ ჩიჩიკოვმა მადლობა გადაუხადა და თავაზიანად უპასუხა, ჯერ საამისო არა მომხდარა რაო.

სასტუმროში შესვლისას სობაკევიჩმა სავარძელზე მიუთითა და ისევ გაიმეორა: «გთხოვთ!» დაჯდომის დროს ჩიჩიკოვმა შეხედა კედლებსა და ზედ გამწკრივებულ სურათებს: ყველა სურათზე სულ ყოჩაღი ვაჟკაცები, სულ საბერძნეთის სარდლები დაეხატათ თავით ფეხამდე: მავროკორდატო წითელი შარვლითა და მუნდირით, ცხვირზე წამოცმული სათვალით. შემდეგ მიაული, კანარი. ეს გმირები ისეთი სქელბარკლება და უზარმაზარულვაშებიანი გამოეყვანათ, რომ ტანში ჟრუანტელი დაგივლიდათ. გაუგებარია, ახოვან ბერძენთა შორის როგორ და რისთვის აღმოჩნდა გამხდარი, ხმელ-ხმელი ბაგრატიონი, პატარ-პატარა დროშებითა და ზარბაზნებით ფეხებთან; ეს სურათი ვიწრო ჩარჩოში ჩაესვათ. შემდეგ კვლავ ბერძენთა გმირი ქალი ბობელინასათვის დაეთმოთ ადგილი, რომლის ცალი ფეხიდან იმ სალუქად ჩაცმული მამაკაცთა მთელი ტანი გამოიჭრებოდა, ჩვენი დროის დარბაზებს რომ ავსებენ. მასპინძელს, როგორც ჯანმაგარსა და ჩამკვრივებულ-ძალოვან ადამიანს, ალბათ უნდოდა, რომ მისი ოთახიც შემკობილი ყოფილიყო ჯანსაღი და ღონიერი ხალხის სურათებით. ბობელინას შემდეგ ფანჯარასთან გალია ეკიდა, რომლიდანაც იყურებოდა თეთრწინწკლებიანი შავი შაშვი; ესეც პირწავარდნილი სობაკევიჩი იყო. სტუმარსა და მასპინძელს ორიოდე წუთიც არ მოესწროთ დუმილი, რომ სასტუმროს კარი შემოიღო და შემოვიდა დიასახლისი, ფრიად მაღალი მანდილოსანი, შინ შეღებილი ბაფთებით მორთული თავსაბურით; იგი დინჯად წამოვიდა, თავი პალმასავით მაღლა ეჭირა.

– ეს ჩემი ფეოდულია ივანოვნა გახლავთ! – თქვა სობაკევიჩმა.

ჩიჩიკოვი ფეოდულია ივანოვნას ხელზე ემთხვია, რომელიც მან თითქმის ზედ ტუჩებზე მიახალა. სტუმარმა შენიშნა, რომ დიასახლისს ხელები კიტრის მარილწყლით ჰქონდა დაბანილი.

– სულიკო, – განაგრძო სობაკევიჩმა, – წარმომიდგენია შენთვის პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი! მე პატივი მქონდა გუბერნატორთან და ფოსტის უფროსთან გავცნობოდი.

ფეოდულია ივანოვნამ სტუმარს სთხოვა დამჯდარიყო, თანაც დაურთო: «გთხოვთ!» თავიც სწორედ ისე შეარხია, როგორც დედოფლის როლში გამოსულმა მსახიობმა ქალმა. შემდეგ სავარძელზე დაბრძანდა, მერინოსის ბაღდადი მოიხვია და მას შემდეგ არც თვალი დაუხამხამებია და არც წარბი შეურხევია.

ჩიჩიკოვმა ხელახლა აიხედა და კვლავ დაინახა იგივე მსუქანბარკლება კანარი თავისი დაუსრულებელი ულვაშებით, ბობელინა და გალიაში ჩამჯდარი შაშვი.

თითქმის ხუთიოდე წუთი ისხდნენ ჩუმად, ისმოდა მხოლოდ ნისკარტის კაკაკუკი შაშვისა, რომელიც გალიის ძირიდან პურის მარცვლებს კენკავდა. ჩიჩიკოვმა ერთხელ კიდევ მიმოავლო თვალი ოთახს და შეამჩნია, რომ ყველაფერი მტკიცე ნამუშევარი იყო, გამძლე, მაგრამ ყოვლად ტლანქი და სახლის პატრონს საოცრად დამსგავსებოდა. სასტუმროს კუთხეში მუცელგამობერილი კაკლის ხის ბიურო იდგა, ყოვლად უმსგავსი ოთხი ფეხით, ნამდვილი დათვი. მაგიდა, სავარძლები, სკამები – ყველა მძიმე და უგვანო იყო, ერთი სიტყვით, თითოეული საგანი, თითოეული სკამი თითქოს გეუბნებოდათ: «მეც სობაკევიჩი ვარ!» ანდა: «მეც ძალიან ვგავარ სობაკევიჩსო!»

– ჩვენ პალატის თავმჯდომარესთან გაგიხსენეთ, ივან გრიგორიევიჩთან, – თქვა ბოლოს ჩიჩიკოვმა, როცა დაინახა, ლაპარაკს ეკრძალებიანო, – ეს იყო გასულ ხუთშაბათს, ძალიან ვისიამოვნეთ იმ დღეს.

– დიახ, იმ დღეს მე არ გხლებივართ თავმჯდომარესთან, – მიუგო სობაკევიჩმა.

– ძალიან კარგი კაცია!

– ეგ ვისზე ბრძანეთ? – იკითხა სობაკევიჩმა და ღუმლის კუთხეს მიაჩერდა.

– თავმჯდომარეზე.

– ალბათ აგრე მოგეჩვენათ, თორემ ეგ კაცი მასონია და ისეთი სულელი, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყანაზე არ ნახულა.

ასეთი მკაცრი დახასიათების გაგნებაზე ჩიჩიკოვი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ შემდეგ სიტყვა შეისწორა და განაგრძო:

– რა თქმა უნდა, ყველას თავისი სუსტი მხარე მოეპოვება, სამაგიეროდ გუბერნატორი საუცხოო კაცია!

– გუბერნატორი საუცხოო კაციო?

– დიახ, ხომ მართალს ვამბობ?

– მაგისთანა ყაჩაღი ერთიც არ არის ქვეყანაზე!

– როგორ, გუბერნატორი ყაჩაღია? – წარმოთქვა ჩიჩიკოვმა. მისთვის სრულიად აუხსნელი იყო, როგორ უნდა მოხვედრილიყო გუბერნატორი ყაჩაღთა შორის. – უნდა გამოვტყდე, ამას ვერასოდეს მოვიფიქრებდი, – შემდეგ დაურთო: – ესეც არ იყოს, ნება მიბოძეთ ეს შეგნიშნოთ: მისი საქციელიდან ცუდი აზრის გამოტანა არ შეიძლება, პირიქით, მასში უფრო მეტი ლმობიერება მოჩანს, ვიდრე სიმკაცრე. – აქ დასამტკიცებლად გაიხსენა მან ქისები, რომლებიც გუბერნატორს საკუთარი ხელით დაექსოვა, თანაც ქებით მოიხსენია მისი სახის ალერისანი გამომეტყველება.

– სახეც ყაჩაღისა აქვს! – მიუგო სობაკევიჩმა, – აბა ერთი დანა მიეცით და გაუშვით შარაგზაზე, თუ კაპიკის გულისათვის კაცი არ გამოფაშვოს! ისიც და ვიცე-გუბერნატორიც ნამდვილი გოგი და მაგოგია.

«არა, ამათთან როგორღაც მწყრალადაა, – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, – მოდი, პილიცმეისტერზე ვეტყვი რამეს, ის, ვგონებ, მისი მეგობარია».

– ჩემთავად კი, უნდა მოგახსენოთ, – თქვა ჩიჩიკოვმა, – ყველაზე მეტად პოლიცმეისტერი მომეწონა. რა გულითადი ადამიანია! სახეზე ეტყობა, რომ პირდაპირი და სადა კაცია.

– გაიძვერა ვინმეა! – მიუგო ცივად სობაკევიჩმა, – გაგყიდით, მოგატყუებთ და მერე თქვენთან ისადილებს! კარგად ვიცნობ ყველას. ეს სულ გაიძვერა ხალხია, მთელი ქალაქი ასეთია: გაიძვერა გაიძვერაზე ზის და მიერეკება. ყველანი ქრისტეს გამყიდველები არიან, მათში ერთადერთი წესიერი კაცი ურევია – პროკურორი, და ისიც, მართალი გითხრათ, ნამდვილი ღორია.

ასეთი სანაქებო, თუმცა კი გაკვრით მოხაზული ბიოგრაფიების შემდეგ ჩიჩიკოვი მიხვდა, რომ სხვა მოხელეებზე კრინტის დაძვრაც არ ღირდა. აქ მას გაახსენდა, რომ სობაკევიჩს საზოგადოდ არავინ მოსწონდა და ვერავისზე კარგს ვერ გაიგონებდით მისი პირიდან.

– აბა, სულიკო, წავიდეთ სასადილოდ, – მიმართა სობაკევიჩს მეუღლემ.

– გთხოვთ! – თქვა სობაკევიჩმა.

სუფრასთან, რომელზეც მცირე საუზმე იყო გაწყობილი, სტუმარმა და მასპინძელმა თითო-თითო ჭიქა არაყი გადაკრეს, შენაყრდნენ, როგორც შენაყრდებიან მთელი ვეებერთელა რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში, ესე იგი, ყველანაირი მწნილებითა და მადის გამაღიზიანებელი საჭმელებით. ბოლოს სასადილო ოთახში გაბრძანდნენ. ყველაზე წინ ბატივით ყელმოღერებული დიასახლისი მიგოგმანებდა. პატარა სუფრა ოთხი კაცისთვის იყო გაწყობილი. მეოთხე პირად სულ მალე გამოცხადდა ვიღაც ქალი; მეტისმეტად ძნელია იმისი თქმა, გასათხოვარი იყო თუ გათხოვილი, სახლის წევრი თუ ისე, ამ ოჯახს მიკედლებული; ასე ოცდაათი წლის იქნებოდა, თავზე ჭრელი ბაღდადი ჰქონდა წაკრული. არიან ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანაზე ცოცხალ არსებათა მსგავსად კი არ არსებობენ, არამედ როგორც საგნებზე გაბნეული წინწკლები ან ლაქები. ისინი მუდამ ერთსა და იმავე ალაგზე სხედან, ერთნაირად უჭირავთ თავი და თქვენც თითქმის მზადა ხართ უბრალო ავეჯად მიიღოთ. ასე გგონიათ, მათი პირიდან ვერც ერთ სიტყვას ვერ გაიგონებთ: სამაგიეროდ, თუ გოგოების ოთახში ან სადმე საკუჭნაოში შეჰყვეს თავი, მაშინ ოჰო-ჰო-ჰო, გადექით განზე!

– შჩი, ჩემო სულიკო, დღეს საგანგებო რამაა! – თქვა სობაკევიჩმა შჩის შეხვრეპისთანავე, თანაც სინიდან ნიანიას უზარმაზარი ნაჭერი გადმოიგორა – კერძი, რომელსაც,

მოგეხსენებათ, შცისთან ერთად მიირთმევენ ხოლ,ე და ამზადებენ ცხვრის კუჭში გამოტენილი ტვინის, ბურღულისა და კანჭებისგან. – ასეთ კერძს მთელ ქალაქში ვერსად გაჩმევენ, – მიმართა ჩიჩიკოვს და თან განაგრძო, – იქ, ეშმაკმა უწყის, ამის ნაცვლად რას მოგართმევენ.

– ჰო, მაგრამ გუბერნატორის სუფრასაც არა უშავდა რა, – შენიშნა ჩიჩიკოვმა.

– მერედა იცით, იქ რისაგან რას აკეთებენ? რომ გაიგოთ, პირსაც არ დააკარებთ.

– არ ვიცი, როგორ მზადდება, ამაზე მსჯელობა არ შემიძლია, მაგრამ ღორის კატლეტები და მოხარშული თევზი შესანიშნავი რამ იყო.

– ეს თქვენ აგრე მოგჩვენებიათ. მე ხომ ვიცი, ეგენი ბაზარზე რასაც ყიდულობენ. იყიდის ის მუდრეგი მზარეული, – ფრანგისაგან რომ შეუსწავლია ხელობა, – კატას, გაატყავებს და სუფრაზე ისე მოგართმევს, როგორც კურდღელს.

– ფუი! რა სისაძაგლეებს ლაპარაკობ, – შენიშნა სობაკევიჩს მეუღლემ.

– რა ვქნა, სულიკო, იქ სულ ასე სჩადიან და რა ჩემი ბრალია. რაც კი რამ უვარგისია, ერთი სიტყვით, რასაც ჩვენი აკულკა, მაპატიეთ და, ნარეცხს გაატანს ხოლმე, ისინი სულ წვენში უძახებენ! დიახ, პირდაპირ წვენში უძახებენ!

– შენ სულ მაგისთანა რამეებს მოჰყვები ხოლმე სუფრაზე, – შენიშნა კვლავ სობაკევიჩის მეუღლემ.

– რას იზამ, სულიკო, – მიუგო სობაკევიჩმა, – სულ სხვაა, თვითონ მე რომ ამას ჩავდიოდე. მაგრამ პირდაპირ გეუბნები, სისაძაგლეს პირს ვერ დავაკარებ. თუნდაც დამიშაქრო, ბაყაყს მაინც ვერ გიახლები, ვერც ხამანწკას ჩავიდებ პირში, იმიტომ რომ ვიცი, რასაც ჰგავს ეგ თქვენი ხამანწკა! ბატკანი გადაიღეთ, – მიუბრუნდა ჩიჩიკოვს, – ეს ბატკნის ფერდი გახლავთ ქაშთან ერთად! ეს ის ფრიკასე კი არ გეგონოთ, რომელსაც ოთხი დღე ბაზარზე ნაგდები ცხვრის ხორციდან აკეთებენ დიდბატონიანთ კარზე. ამნაირი რამ სულ გერმანელი და ფრანგი ექიმების მოგონილია, რომ შემეძლოს ყველას ერთად ჩამოვახრჩობდი! გამოიგონეს დიეტა, შიმშილით წამლობა! რაკი თვითონ გამხმარი გერმანული კუჭი აქვთ, ასე ჰგონიათ, რუსულ კუჭსაც გაუძღვებიან! არა, ყველაფერი ეს მოჩმახული რამაა, ყველა ეს... – აქ კი სობაკევიჩმა სიბრაზით თავი შეარხია და განგრძო: – მომიყვებიან: განათლება და განათლებაო! ეს მათი განათლება ფუყეა და მეტი არაფერი! კიდევაც სხვა სიტყვას ვიტყოდი, მაგრამ სუფრაზე უხერხულია. ჩემთან კი ასე არაა, ჩემთან თუ ღორია, მთელი ღორი სუფრაზე უნდა მოიტანონ; თუ ბატკანია – მოიტათ ბატკანი; თუ ბატია – მთელი ბატი უნდა იყოს! უმჯობესია სულ ორი თავი შევჭამო, სამაგიეროდ ზომაზე შევჭამ, მადიანად, როგორც ამას გუნება მოითხოვს. – სობაკევიჩმა სიტყვა საქმითაც დაამტკიცა: ცხვრის ფერდის ნახევარი გადმოიღო თეფშზე, მადიანად დაღრღნა და უკანასკნელ ძვლებამდე გამოწუწნა.

«მართალს ამბობს ეს კაცი, – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, – პირის გემო კარგი ჰქონია».

– ჩემთან ისე კი არაა, როგორც სხვებთან, – განაგრძო სობაკევიჩმა და ხელები ხელსაწმენდით შეიწმინდა: – ჩემთან ისე კი არაა საქმე დაყენებული, როგორც რომელიმე პლიუშკინთან: რვაასი სული ჰყავს, მაგრამ ჩემს მენახირეზე უარესად ცხოვრობს და ჭამს.

– პლიუშკინი ვინღაა? – იკითხა ჩიჩიკოვმა.

– ერთი თაღლითი ვინმეა, – მიუგო სობაკევიჩმა, – ისეთი ძუნწია, რომ წარმოდგენაც ძნელია. საპატიმროში შეზორკილი ტუსაღები გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე ის: მთელი ყმები სულ შიმშილით ამოაღრძო.

– რასა ბრძანებთ, მართლა? – წამოიძახა თანაგრძნობით ჩიჩიკოვმა, – თქვენ ამბობთ, ბევრი ხალხი დაეხოცაო?

– ბუზებივით ეჟლიტება.

– ნუთუ ბუზებივით ეხოცება? ერთი ეს მიბრძანეთ, აქედან შორსა ცხოვრობს?

– რაღაც ხუთიოდე ვერსის მანძილზეა.

– ხუთიოდე ვერსის მანძილზე! – შესძახა ჩიჩიკოვმა და იგრძნო, რომ გული აუტოკდა. – ჰო, მაგრამ თქვენი ჭიშკრიდან რომ გავალთ, მარცხნივ უნდა წავიდეთ თუ მარჯვნივ?

– მე კი არც გირჩევდით იმ ძაღლის ასავალ-დასავალი გაგეგოთ, – მიუგო სობაკევიჩმა, – სჯობია სადმე უადგილო ალაგს წავიდეს ადამიანი, ვიდრე იმასთან.

– არა, იმიტომ კი არ გკითხეთ, ვითომც ძალიან მესაჭიროებოდეს, არამედ ისე, რომ ყველა ადგილის ცნობა მქონდეს, – მიიუგო ჩიჩიკოვმა.

ცხვრის ფერდს მოჰყვა ხაჭაპურები, რომელთაგან თითოეული თეფშზე დიდი იქნებოდა, შემდეგ ხბოსოდენა ინდაური, რომელიც ყოველნაირი სიკეთით გამოეტენათ: კვერცხებით, ბრინჯით, ღვიძლეულით და, ღმერთმა უწყის, კიდევ რით არა, კუჭში რომ ბელტებივით ამოეყორება ხოლმე კაცს. სადილი ამით მოთავდა. როცა სუფრიდან ადგნენ, ჩიჩიკოვმა ერთი ფუთით მეტი სიმძიმე იგრძნო. სასტუმროში შევიდნენ, სადაც პაწია ლამბაქებით მურაბა დაახვედრეს, რომელიც არც მსხალი იყო, არც ქლიავი, არც სხვა რამ ხილი, მაგრამ იმას არც სტუმარი და არც მასპინძელი არ დაჰკარებია. დიასახლისი გარეთ გამოვიდა, რომ მურაბა სხვა ლამბაქებზე გადაეღო. ამ წუთით ისარგებლა ჩიჩიკოვმა და დაუყოვნებლივ სობაკევიჩს მიუბრუნდა, რომელიც სავარძელში მიშვებულიყო, მსუყე სადილით გამძღარი ქშინავდა და პირიდან რაღაც გაუგებარ ბგერებს უშვებდა, თანაც წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა და პირზე ხელს იფარებდა. ჩიჩიკოვმა იდროვა და ასეთი სიტყვებით მიმართა:

– მე მინდოდა თქვენთან ერთ პატარა საქმეზე მომელაპარაკა.

–აბა, ახლა ეს მურაბაც იგემეთ! – თქვა დიასახლისმა, როცა პაწია ლამბაქებით შემობრუნდა: – თაფლში ნახარში ბოლოკი გახლავთ!

– ჩვენ მაგას მერეც შევექცევით! – მიუგო სობაკევიჩმა. – შენ ახლა შენს ოთახში წადი, მე და პაველ ივანოვიჩი ფრაკებს დავიხდით და პატარას მოვისვენებთ!

დიასახლისმა დააპირა ლეიბებისა და ბალიშების შემოტანა ებრძანებინა მოახლისათვის, მაგრამ მასპინძელმა შეაჩერა: «არა უშავს რა, სავარძელშიც კარგა მოვისვენებთო!» და დიასახლისიც გარეთ გავიდა.

სობაკევიჩმა ოდნავ თავი გადმოხარა და გაემზადა მოესმინა, რა საქმე იყო ეს «პატარა საქმე».

ჩიჩიკოვმა ძალიან შორიდან დაიწყო, ჯერ საზოგადოდ რუსეთის სახელმწიფოს შეეხო. დიდი ხოტბა-დიდება შეასხა მის სივრცეს, დასძინა, რომ თვით უძველესი რომის მონარქია არ ყოფილა ესოდენ დიდი, და უცხოელებიც დიახაც რომ სამართლიანად არიან განცვიფრებულნი... სობაკევიჩი იმავე მდგომარეობაში იყო და გულმოდგინედ უსმენდა. და რომ, – განაგრძო ჩიჩიკოვმა, – ამ სახელმწიფოს არსებულ დებულებათა მიხედვით, რომლის დიდებასაც ვარაფერი შეედრება დედამიწის ზურგზე, სარევიზიო სულები, რომელთაც სიცოცხლის ასპარეზი მოათავეს, კვლავ სარევიზიო დავთრებში ირიცხებიან ცოცხლების მსგავსად, რათა საუწყებათაშორისო დაწესებულებანი მუდამ დატვირთულნი არ იყვნენ ამდენი წვრილმანი და უსარგებლო ცნობების გაცემით და რათა გართულებული არ იქნეს ისედაც ფრიად რთული სახელმწიფო მექანიზმი... – სობაკევიჩი კვლავ თავჩაქინდრული ისმენდა. – ჰოდა, რომ მიუხედავად ასეთი წესის სრული სამართლიანობისა, იგი ერთგვარ მძიმე ტვირთად აწვება მამულის მფლობელთ, რამეთუ ავალდებულებს მათ გადასახადები გაიღონ, როგორც ცოცხალ არსებებზე. და რომ გამსჭვალულია რა პირადად მასპინძლისადმი პატივისცემით, მზად არის ნაწილობრივ მაინც თავზე მიიღოს ეს მართლაცდა მძიმე ვალდებულება. მთავარ საგანზე ჩიჩიკოვმა ფრთხილი სიტყვა იხმარა: «მკვდრების» ნაცვლად სულებს «არარსებულნი» უწოდა.

სობაკევიჩი ისევ თავგადმოხრილი უსმენდა. ნეტა ოდნავი ცვლილება მაინც დასტყობოდა გამომეტყველებაში! თითქოს ამ სხეულში სულის ნატამალი არ იყო და, თუ იყო, იქ კი არა, სადაც ჯერ არს, არამედ სადღაც ცხრა მთას იქით, როგორც უკვდავი კოშჩეის სული, რომლისთვისაც ისეთი მძიმე სარქველი დაუხურავთ, რომ რამდენიც უნდა იტრიალოს ქვეშმოქცეულმა სულმა, ოდნავადაც ვერ შეანძრევს თავზე დამხობილ სარქველს.

– მაშ თქვენი აზრი? – ჰკითხა ბოლოს ჩიჩიკოვმა და პასუხის მოლოდინში ცოტა არ იყოს მღელვარებამ გადაჰკრა.

– თქვენ მკვდარი სულები გნებავთ? – ჰკითხა თავის მხრივ სობაკევიჩმა ისე უბრალოდ, რომ ოდნავი გაკვირვება არ დასტყობია. თითქოს საკითხი პურს ან სხვა რამეს ეხებოდა.

– დიახ, – უპასუხა ჩიჩიკოვმა და გამოთქმა ისევ შეარბილა: – არარსებული სულები.

– რატომაც არა, არის... – მიუგო მასპინძელმა.

– რახან ასეთები მოგეპოვებათ, თქვენთვის, უეჭველია... სასიამოვნო უნდა იყოს, თუ მათგან განთავისუფლდებით.

– ინებეთ, მე მზად ვარ მოგყიდოთ, – უპასუხა სობაკევიჩმა, თანაც ოდნავ თავი ასწია, რაკი ეჭვი აიღო, მკვდარი სულებით მოვაჭრეს მართლა რაღაც მოგება უნდა ჰქონდესო.

«ეშმაკმაც ზიდოს ამისი თავ-კისერი, – გაივლო გულში ჩიჩიკოვმა, – ჯერ კრინტი არ დამიძრავს და ეს უკვე გაყიდვაზე მელაპარაკება!» – შემდეგ ხმამაღლა უთხრა:

– კარგი, მაგრამ თქვენი ფასი რა უნდა იყოს? თუმცა ეს ისეთი საგანია, რომ... ფასის დადება რაღაც უცნაური რამ არის...

– რომ ზედმეტი არ ვილაპარაკოთ, სულზე ას-ას მენეთს გამოგართმევთ! – მიუგო სობაკევიჩმა.

– რაო, ას-ასი მანეთიო?! – შესძახა ჩიჩიკოვმა, პირი გააღო და ისე შეაცქერდა თვალებში. არ იცოდა, კარგად ვერ გაიგონა, თუ სობაკევიჩმა თავისი ტლანქი ბუნების გამო ენა რიგზე ვერ მოატრიალა და ერთი სიტყვის ნაცვლად სულ სხვა რამ წამოაყრანტალა.

– განა რა, გეძვირათ? – წარმოთქვა სობაკევიჩმა და შემდეგ დაუმატა: – მაშ თქვენი ფასი რაღაა?

– ჩემი ფასი?! ჩვენ, უეჭველია, შეგვცდა, ან ერთმანეთისა არა გაგვეგება რა, სულ დაგვავიწყდა, მთავარ საგანს აქ რა შეადგენს. ჩემი მხრივ, გულზე ხელი რომ დავიდო, სულზე რვა-რვა უზალთუნიც ძალიან კარგი ფასია.

– ერიჰაა, სად გადატოპა – რვა-რვა უზალთუნიო!

– რა ვუყოთ, ჩემი აზრით, ამაზე მეტის გაღება არ შეიძლება.

– ჰო, მაგრამ მე ხომ ქალამნებს არ ვყიდი.

– მაგრამ თქვენც უნდა დამეთანხმოთ: ესენი ხომ ადამიანები არ არიან.

– მაშ თქვენა გგონიათ, ვითომ ისეთ სულელს ვისმე იპოვით, ვინც უზალთუნად დაგითმობთ სარევიზიო სულებს?

– ჰო, მაგრამ მოითმინეთ: სარევიზიო სულებს როგორღა უწოდებთ, როდესაც ისინი დიდი ხანია დაიხოცნენ და დარჩა მხოლოდ ერთი გაურკვეველი ბგერა. მაგრამ, რომ ამაზე სიტყვა აღარ გავაჭრელოთ, ინებეთ, სულში მანეთნახევარს მოგცემთ, ამაზე მეტის გაღება კი არ შემიძლია.

– სირცხვილია, სირცხვილი, რომ ასეთ ფასს მეუბნებით! თქვენ ივაჭრეთ, ნამდვილი ფასი თქვით!

– არ შემიძლია, მიხაილ სემიონოვიჩ, სინდისს გეფიცებით, არ შემიძლია: რის გაკეთებაც არ შეიძლება, მას არც შევუდგები! – უპასუხა ჩიჩიკოვმა, მაგრამ მიუხედავად ამისა კიდევ ათი შაური წაუმატა.

– კარგი ერთი, რას ძუნწობთ? – უთხრა სობაკევიჩმა, – ღმერთმანი, ძვირად არ ვაფასებ! სხვა ითაკილებს, მოგატყუებთ, რაღაც საძაგლ რასმე მოგყიდით და სულებს დაარქმევს; მე კი სულ დაკროლილ თხილის გულებს გაძლევთ, სულ ნარჩევი ხალხია: თუ ხელოსანი არ იქნება, ყოველ შემთხვევაში, ჯანსაღი გლეხი მაინც იქნება. შეხედეთ ერთი: აი, მაგალითად, ეტლების ოსტატი მიხეევი! ეს ხომ სხვა ეტლს არ აკეთებდა თუ არა რესორიანს. ახლა მუშაობა თქვით, ისე ფათიფუთით კი არ აკეთებდა, როგორც მოსკოვში იციან, ერთ საათში რომ მოამზადებენ ხოლმე, არამედ დინჯად, მტკიცედ, საკუთარი ხელით გააწყობდა, თვითონვე გალაქავდა ხოლმე.

ჩიჩიკოვმა პირი დააღო, უნდოდა შეენიშნა, მიხეევი უკვე დიდი ხანია ამ წუთისოფელს გამოესალმაო, მაგრამ სობაკევიჩს, როგორც იტყვიან ხოლმე, სიტყვის საღერღელი აეშალა – საკვირველი იყო, საიდან გაუჩნდა ასეთი მჭევრმეტყველების ნიჭი!

– ახლა პრობკა სტეფანი, დურგალი! თავს მოვიჭრი, თუ კიდევ იმისთანა ვაჟკაცს იპოვით! რა გოლიათის ღონე ჰქონდა! გვარდიაში რომ ემსახურა, ვინ იცის, რა ჯილდოს მიიღებდა, სამი არშინი და ერთი გოჯი იყო სიმაღლით!

ჩიჩიკოვს კიდევ უნდოდა შეენიშნა, რომ პრობკაც ცოცხლებში აღარაა, მაგრამ სობაკევიჩმა, როგორც ჩანდა, თავი ვეღარ დაიოკა: ისეთი ნიაღვარი წამოვიდა სიტყვებისა, რომ სულო და გულო, მხოლოდ ყური უნდა გეგდოთ!

– ახლა მეაგურე მილუშკინი! ისეთ ღუმელს დაგიდგამდათ, რომ თქვენი მოწონებული! ახლა მაქსიმე ტელიატნიკოვი, როგორი მეჩექმე იყო: სადაც სადგისს დააჭერდა, იქ უკვე ჩექმა მზად იყო, ხოლო როცა ჩექმას ჩაგაბარებდათ, მადლობის მეტი არა გეთქმოდათ რა: მერე რა ფხიზელი იყო, ერთ წვეთ არაყს არ მიიკარებდა! ახლა ერემეი სოროკოპლიოხინი! ეს ერთი გლეხი ღირდა ას კაცად, მოსკოვში ვაჭრობდა, მარტო გადასახადის დასაფარავად ხუთას-ხუთასი მანეთი მოჰქონდა. აი, რა ხალხია! ის კი არ გეგონოთ, თითქოს ვიღაც პლიუშკინის ხალხი იყოს.

– მომითმინეთ, – უთხრა ჩიჩიკოვმა, გაკვირვებულმა სიტყვების ასეთი ნიაღვრით, რასაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო: – რა საჭიროა ყველა იმათი ღირსების ჩამოთვლა, ახლა ხომ მათ აღარავითარი აზრი არა აქვთ, ვინაიდან ყველანი უკვე დაიხოცნენ. მკვდარი ფური კი რაღას მოიწველის?

– რაღა თქმა უნდა, მკვდრები არიან, – თქვა სობაკევიჩმა და თითქოს ახლა გაახსენდა, რომ ჩამოთვლილი ხალხი მართლა დიდი ხანია დაიხოცა. მაგრამ იქვე დასძინა: – თუმცა ესეც კია, ვინც ცოცხლებში ირიცხება, ნეტა იმათში რაღა ყრია? ესენი რაღა ხალხია? ბუზები არიან და არა ხალხი.

– მაგრამ მაინც ცოცხლები არიან, ესენი კი ადამიანის ზმანებანი არიან მხოლოდ.

– არა, ზმანება რად იქნება! მე თქვენ გეუბნებით, როგორიც მიხეევი იყო, იმისთანას ვეღარ იპოვით, რაღაც უზარმაზარი რამ იყო, ამ ოთახში ვერც კი შემოეტეოდა; არა, ეს ზმანება არ გახლავთ! მკლავებში კიდევ ისეთი ძალ-ღონე ჰქონდა, რომ ცხენსაც არ ექნება; აბა, ერთი მიბრძანეთ, სხვაგან სადღა იპოვით ასეთ ზმანებას?!

ამ უკანასკნელი სიტყვებით მან მიმართა კედლის სურათებს, ბაგრატიონსა და კოლოკოტრონის, როგორც ჩვეულებრივ ხდება მოსაუბრეთა შორის, როდესაც ერთი მათგანი, არავინ უწყის რატომ, უეცრივ იმ პირს კი არ მიმართავს, ვისაც ეკუთვნის ეს სიტყვა, არამედ რომელიმე სრულიად ანაზდეულად შემოსულ უცხო მესამე პირს, რომლისაგანაც იცის, რომ ვერც პასუხს მიიღებს, ვერც აზრს მოისმენს, ვერც სიტყვის დადასტურებას ეღირსება, მაგრამ რომელსაც იმნაირად შეხედავს, თითქოს შუამავლად მას იწვევსო. პირველ ხანებში ოდნავ შეყოყმანებულმა უცნობმა არ იცის, უპასუხოს თუ არა იმ საქმეზე, რომელზედაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს, თუ ისე გაჩერდეს, ამით რამდენადმე დაიცვას ზრდილობის წესი და შემდეგ გაშორდეს იქაურობას.

– არა, ორ მანეთზე მეტს ვერ მოგცემთ, – უთხრა ჩიჩიკოვმა.

– აი, ინებეთ, რომ არ დამაყვედროთ, ვითომდა ძვირად გიფასებდეთ და ვითომც არავითარი სამსახური არ გაგიწიეთ, მე გითმობთ სამოცდათხუთმეტ მანეთად თითოეულ სულს, ისიც ასიგნაციებით, ღმერთმანი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ასეთი კარგი ნაცნობები ვართ.

«რა ამბავია, რა ვქნა! – გაიფიქრა თავისთვის ჩიჩიკოვმა, – ალბათ სულელი ვინმე თუ ვგონივარ!» – და შემდეგ ხმამაღლა მიაყოლა:

– სწორედ მოგახსენოთ, მიკვირს თქვენი სიტყვა: ასე მგონია, ჩვენ რაღაც თეატრალურ წარმოდგენას ან კომედიას ვთამაშობთ, სხვა მხრივ ვერ ამიხსნია თქვენი ასეთი საქციელი... მე მგონია, თქვენ საკმაოდ ჭკვიანი კაცი ბრძანდებით, მეცნიერული სწავლა-განათლება გაქვთ. აქ არავითარი საქონელი არაა. განა რა ღირს ლეში? ვის რად უნდა?

– ჰო, მაგრამ აგერ ხომ ყიდულობთ, მაშასადამე, საჭირო ყოფილა.

აქ ჩიჩიკოვმა ენაზე იკბინა და არ იცოდა, რაღა ეპასუხნა. ერთხანად მოჰყვა რაღაც ოჯახურ და საგვარეულო გარემოებათა განმარტებას, მაგრამ სობაკევიჩმა ძალიან უბრალოდ მოუჭრა:

– სულაც არ მეკითხება, ვისთან რა დამოკიდებულება გაქვთ: საგვარეულო საკითხში მე არ ვერევი, ეს თქვენი პირადი საქმეა. თქვენ სულები დაგჭირდათ და მეც ამ სულებს გთავაზობთ. დიდად ინანებთ, თუ არ იყიდით.

– ორი მანეთი გინდათ? – უთხრა ჩიჩიკოვმა.

– ეჰ, თქვენც ერთი, იაკობის კაჭკაჭიო რა ყბედობის ჭახრაკიო, ანდაზისა არ იყოს, – რაკი ორი მანეთი აიჩემეთ, აღარ გინდათ, რომ ფეხი მოიცვალოთ. თქვენ ნამდვილი ფასი ბრძანეთ, ნამდვილი ფასი!

«ეშმაკსაც წაუღია ამისი თავი! – გაიფიქრა თავისთვის ჩიჩიკოვმა, – მოდი ამ ძაღლს ორიოდე გროშს კიდევ წავუმატებ!»

– ინებეთ, კიდევ ათ-ათ შაურს გიმატებთ.

– აჰა, ინებეთ, მეც ჩემს უკანასკნელ სიტყვას გეტყვით: სულზე ორმოცდაათი მანეთი იყოს! მართალი გითხრათ, ვზარალობ, ამაზე იაფად ასეთ კარგ ხალხს ვერსად იყიდით.

«ეს რა ქვა ვინმე ყოფილა!» – გაიფიქრა თავისთვის ჩიჩიკოვმა და შემდეგ განაგრძო ხმამაღლა, ცოტა არ იყოს, ნაწყენი ხმით:

– მართლაცდა რა მოხდა, თითქოს დიდ საქმეს ვარიგებდეთ! სხვა ადგილას ამას სულ მუქთად დამითმობდნენ. ბევრნი სიამოვნებითაც გადმომცემდნენ, ოღონდ მალე განთავისუფლდნენ მათგან. მხოლოდ სულელს შეუძლია ასე მაგრად ჩაბღუჯოს ხელი და გადასახადები გაიღოს მათთვის!

– მაგრამ, იცით, რომ ასეთი საქონლის ყიდვა, ამას ჩვენს შორის ვამბობ, მეგობრულად, ყოველთვის ნებადართული როდია, საკმარისია ოდნავ კრინტი დავძრა ან მე ან სხვა ვინმემ, რომ ასეთი კაცისადმი დაიკარგოს ყოველგვარი ნდობა და ერთიანად ჩაეშალოს ხელშეკრულებანი ან რაიმე სარფიანი ვალდებულებანი და წამოწყებანი.

« დახე, სად დაუმიზნა ამ გაიძვერამ!» – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და უმალვე ხმამაღლა მიაყოლა გულგრილად:

– როგორც გენებოთ, მე თუ ვყიდულობ, რაიმე საჭიროების გამო კი არა, როგორც თქვენ ფიქრობთ, არამედ ისე, ჩემი საკუთარი აზრების მიდრეკილებით. თუ ორსა და ათ შაურად არ ინებებთ, მაშინ მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

«ვერას გახდები, ზედმეტს ვეღარ გააგდებინებ!» – გაიფიქრა სობაკევიჩმა.

– მაშ კარგი, მოიტათ ოცდაათი მანეთი და გადაიბარეთ ყველა მკვდარი!

– არა, ვხედავ, რომ გაყიდვა არა გნდომებიათ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

– მოითმინეთ, მოითმინეთ! – უთხრა სობაკევიჩმა და ხელი დაუჭირა, თანაც ფეხზე დააბიჯა, ვინაიდან ჩვენმა გმირმა უკვე დაივიწყა გაფრთხილება, რის გამო ერთი მაგრად წამოიკვნესა და ასკინკილავდა.

– გთხოვთ მაპატიოთ! ვგონებ, შეგაწუხეთ. აქ დაბრძანდით, გეთაყვა! გთხოვთ! – აქ მან ჩამოსვა ჩიჩიკოვი სავარძელზე ისეთივე სიმარდით, როგორც უკვე გაწვრთნილმა დათვმა, რომელმაც იცის გადაბრუნებ-გადმობრუნებაც, ყირამალა გადასვლაც და ათასი სხვა რამ, იმისდა მიხედვით, რა კითხვასაც მისცემენ: «აბა, დათუნი, გვიჩვენე, როგორ დაფაშფაშებენ აბანოში დედაკაცები?» ანდა: «აბა, დათუნი, პატარა ბიჭები მუხუდოს როგორ იპარავენ?»

– მართალი გითხრათ, დროს ტყუილად ვკარგავ, ძალიან მეჩქარება.

– კიდევ პატარა მოითმინეთ, ერთი სასიამოვნო სიტყვა უნდა მოგახსენოთ. – აქ სობაკევიჩი უფრო ახლოს მიუჯდა და თითქოს საიდუმლოდ ყურში ჩასჩურჩულა: – კუთხეზე რას იტყვით?

– ესე იგი, ოცდახუთ მანეთზე? აპა-პა-პა! თვით კუთხის მეოთხედსაც არ მოგცემთ, გროშსაც ვეღარ დავუმატებ.

სობაკევიჩი დაჩუმდა. ჩიჩიკოვიც დუმილს მიეცა. ორიოდე წუთს გაგრძელდა ეს დუმილი. კედლიდან ბაგრატიონი თავისი არწივისებური ცხვირით უდიდესი ყურადღებით თვალყურს ადევნებდა ამ ვაჭრობას.

– რა არის თქვენი უკანასკნელი ფასი? – ჰკითხა ბოლოს სობაკევიჩმა.

– ორნახევარი.

– ეჰ, ადამიანის სულის ნაცვლად დათუთქული თალგამი გქონიათ. სამ-სამი მანეთი მაინც გაიმეტეთ!

– არ შემიძლია.

– ეჰ, თქვენთან ვერაფერს გავხდები, ინებეთ! ზარალია, მაგრამ ასეთი ძაღლის ხასიათი მაქვს: არ შემიძლია ჩემს მახლობლებს რითიმე ვაწყენინო. მე მგონია, ახლა ნასყიდობის სიგელიც იქნება საჭირო, რომ ყველაფერი რიგზე იყოს.

– რაღა თქმა უნდა.

– ქალაქშიც უნდა წავიდეთ.

ასე გარიგდა საქმე. გადაწყვიტეს, ხვალვე ქალაქში წასულიყვნენ და მოეწესრიგებინათ ნასყიდობის სიგელლის საქმე. ჩიჩიკოვმა გლეხების სია მოითხოვა. სობაკევიჩი სიამოვნებით დათანხმდა, მივიდა ბიუროსთან და საკუთარი ხელით მოჰყვა მიცვალებულთა ამოწერას და არა მარტო სახელები, არამედ მათი სანაქებო თვისებების აღნუსხვაც ზედ დაურთო.

რადგან ჩიჩიკოვს მეტი საქმე აღარა ჰქონდა რა, სობაკევიჩის ზურგს უკან დადგა და მოჰყვა მისი ზორბა მოყვანილობის თვალიერებას. რაწამს თვალი გადაავლო სობაკევიჩის ვიატკური ჯიშის ცხენვით ფართო ზურგს, შემდეგ ფეხებს, ტროტუარებზე ამართულ თუჯის სვეტებს რომ მიუგავდა, თავი ვეღარ შეიკავა და უნებურად გაივლო გულში: «ეჰ, მართლაც რომ დაუჯილდოებიხარ ღმერთს! სწორედ შენზეა ნათქვამი: უხეიროდ გამოჭრილი, მაგრამ მაგრად შეკერილიო!.. მართლა ამნაირ დათვად დაიბადე, თუ დათვად გაქცია მიყრუებულმა ცხოვრებამ, ხვნა-თესვამ, გლეხებთან დავიდარაბამ და ყველა ამან სწორედ იმად გარდაგქმნა, რასაც გაუკვნეტავ კაკალს უწოდებენ? მაგრამ არა: მე მგონია, შენ მაინც ისევ ის იქნებოდი, თუნდაც აღეზარდეთ, როგორც მიღებულია და ქვეყანაზე ისე გამოეშვით, თუნდა გეცხოვრა პეტერბურგში და არა ასეთ გადაყრუებულ კუთხეში. განსხვავება მხოლოდ ის იქნებოდა, რომ დღეს თუ ნახევარ ცხვარს ჩანთქავ თავის ქაშით და ზედაც თეფშისოდენა ხაჭაპურსაც მიაყოლებ ხოლმე, მაშინ ტრიუფელებით გაწყობილ კატლეტებს მიირთმევდი. აი, ახლა შენ გემორჩილებიან გლეხები: შენ მათთან კარგად ხარ და, რა თქმა უნდა, არც აწყენინებ, რადგან ისინი შენი ყმები არიან და შენთვისვე იქნება ცუდი; მაშინ კი მოხელეებს იყოლიებდი, რომელთაც სულ კაკალს დაამტვრევდი თავზე, იმ მოსაზრებით, რომ მაინც შენი შინაყმები არ არიან, ანდა ხელს მიჰყოფდი ხაზინის ძარცვას! არა, ვინც მუშტად შეკრული დაბადებულა, ის ხელისგულივით ვერ გაიშლება! აბა სცადე და თუნდაც ერთი ან ორი თითი გაუხსენი, თუ უარესი არ გამოვიდეს. საკმარისია რომელიმე მეცნიერებისა სულ ცოტა რამ იგემოს, რომ მერე, როცა სახარბიელო ადგილს დაიკავებს, აჩვენოს სეირი ყველა იმას, ვისაც მეცნიერება მართლა შეუცვნია. დაიტრაბახებს კიდეც: «მოდი ერთი, თავი ვაჩვენოო!» და ისეთ ბრძნულ დადგენილებებს გამოიგონებს, რომ სიცოცხლეს გაუმწარებს ყველას... ეჰ, ყველა ეს მაგარი ხალხი რომ!..»

– სია მზად არის, – თქვა სობაკევიჩმა და მისკენ იბრუნა პირი.

– მზად არის? აბა, მაჩვენეთ ერთი! – მან თვალი გადაავლო და განცვიფრდა, რომ ყველაფერი ასე წესიერად და სწორად ჩამოეწერა: სიაში არათუ დაწვრილებით იყო მიწერილი მიცვალებულის სახელი, ხელობა, წლოვანება და ოჯახური მდგომარეობა, არამედ არეებზე დართული ჰქონდა განსაკუთრებული შენიშვნები თითოეულის ყოფაქცევაზე, მის სიფხიზლეზე და სხვა. ერთი სიტყვით, სია სანახავად ღირდა.

– ახლა ცოტაოდენი ბეც გვიბოძეთ! – უთხრა სობაკევიჩმა.

– ბე რა საჭიროა. მობრძანდით ქალაქში და მთელი ფული ერთბაშად ჩაიბარეთ.

– ხომ იცით, ყველაფერს თავისი წესი და ადათი აქვს, – მიუგო სობაკევიჩმა.

– არ ვიცი, საიდან რა მოგცეთ, ფული თან არ წამომიღია. თუმცა, მოიცათ, ჯიბეში ერთი თუმნიანი მაქვს.

– თუმანი რა არის, აიღეთ და ბარემ ხუთ თუმნად შემისრულეთ!

ჩიჩიკოვს უნდოდა ეთქვა, არა მაქვსო, მაგრამ სობაკევიჩმა ისე მტკიცედ უთხრა, ფული გაქვსო, რომ ხელახლა ამოიღო საფულე, კიდევ ამოაცოცა რაღაც ქაღალდის ფული და უთხრა:

– კეთილი, აი კიდევ თხუთმეტსაც დაგიმატებთ, მაშასადამე, სულ ოცდახუთი მანეთი გექნებათ მიღებული. ოღონდ პატარა ხელწერილი მიბოძეთ.

– ხელწერილი რაღად გინდათ?

– ასე სჯობია, ხელწერილი მიბოძეთ, ვინ იცის, რა არ ხდება ხოლმე.

– კარგი, მაგრამ ჯერ ფული მიბოძეთ!

– ფული რად გინდათ? აგერ, ხელში მიჭირავს! რაწამს ხელწერილს დასწერთ, მაშინვე ჩაგაბარებთ.

– რასა ბრძანებთ, ხელწერილს როგორ დაგიწერთ, სანამ ფული ხელში არ მექნება?

ჩიჩიკოვმა ფული გადასცა სობაკევიჩს, რომელმაც მაგიდაზე დააწყო, მარცხენა ხელის თითები დააფარა, ხოლო მეორეთი პატარა ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერა, რომ გაყიდულ სულებში ბედ მიღებული აქვს სახელმწიფო ასიგნაციებით ოცდახუთი მანეთი. როცა ხელწერილი დაწერა, მან ერთხელ კიდევ გადაათვალიერა ასიგნაციები.

– ქაღალდი კი ძალიან ძველია, – თქვა მან და შუქზე გახედა ერთ მათგანს, – ცოტაოდნად გახეულია, მაგრამ მეგობრობაში ამას არ უყურებენ.

«დიდი ქვაწვია ვინმე კი ყოფილხარ, ნამდვილი ქვაწვია! – გაიფიქრა თავისთვის ჩიჩიკოვმა, – მასთან დიდი გაიძვერაც!»

– მდედრობით სქესს კი არ ინებებთ?

– არა, გმადლობთ.

– დიდს არაფერს გამოგართმევდით. ნაცნობობით თითო მანეთად დაგითმობდით.

– არა, მდედრობითი სქესი არა მჭირია.

– რახან არა გჭირიათ, მეტია ლაპარაკი. გემოვნების საქმეა: ზოგს მღვდელი უყვარს და ზოგს მღვდლის ცოლიო, ამბობს ანდაზა.

– მე კიდევ ის უნდა მეთხოვნა, რომ ჩვენი გარიგება ჩვენ შორისვე დარჩეს, – უთხრა ჩიჩიკოვმა გამოთხოვებისას.

– რაღა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება. მესამე ამ საქმეში არ უნდა ჩამოეჩხიროს. რაც ორ ახლო მეგობარს შორის ხდება, ის მეგობრებშივე უნდა დარჩეს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! გმადლობთ, რომ გვნახეთ. გთხოვთ, შემდეგშიც არ დაგვივიწყოთ: თუ კვლავ თავისუფალი დრო იპოვოთ, შემოიარეთ ჩვენთან სადილად და დროს გასატარბლად. შეიძლება ერთმანეთს კიდევ სხვა რამეშიც გამოვადგეთ და სამსახური გავუწიოთ.

«როგორ არა, გეახლები! – ფიქრობდა თავისთვის ჩიჩიკოვი, როცა ბრიჩკაში ჯდებოდა: – თითო მკვდარ სულში ორმანეთნახევარი არ ამაფცქვნა ამ ეშმაკის კერძმა წუწურაქმა!»

ძალიან უკმაყოფილო იყო ჩიჩიკოვი სობაკევიჩის საქციელით, რაც უნდა იყოს, ნაცნობი კაცი იყო, გუბერნატორთანაც, პოლიცმეისტერთანაც შეხვდნენ ერთმანეთს, აქ კი ისე მოიქცა, თითქოს გადამთიელი ვინმე ყოფილიყოს, რაღაც საძაგელ რამეში ამდენი ფული წაჰგლიჯა! როცა ბრიჩკა ეზოდან გავიდა, მან უკან მოიხედა და დაინახა, რომ სობაკევიჩი ისევ პარმაღზე იდგა. ეტყობოდა, ძალიან უნდოდა გაეგო, საით წავიდა სტუმარი.

– გარეწარი, ისევ ისე დგას და თვალს მაყოლებს! – კბილებში გამოსცრა ჩიჩიკოვმა და სელიფანს უბრძანა, გლეხების ქოხებისაკენ გაეხვია და ისე წასულიყო, რომ ბატონიანთ სახლიდან შეუძლებელი ყოფილიყო ეტლის დანახვა. მას უნდოდა პლიუშკინთან შეევლო, რომელსაც, სობაკევიჩის სიტყვით, ხალხი ბუზებივით ეხოცებოდა, მაგრამ ეს ისე უნდა მოხერხებულიყო, რომ სობაკევიჩს არ სცოდნოდა. როცა ბრიჩკა სოფლის ბოლოს გავიდა, ჩიჩიკოვმა პირველ შეხვედრილ გლეხს დაუძახა, რომელიც დაუღალავ ჭიანჭველასავით გზად ნაპოვნ უშველებელ მორს მიათრევდა თავის ქოხში.

– შენ, ჰეი, გრძელწვერავ! მითხარი ერთი, აქედან პლიუშკინთან ისე როგორ მოვხვდეთ, რომ ბატონიანთ სახლს გვერდი ავუქციოთ?

ეტყობოდა, გლეხს ძალიან უმძიმდა პასუხი.

– რაო, არ იცი?

– არა, ბატონო, არ ვიცი.

– აი შე ბოთე! კაცი გაჭაღარავებულხარ და არ იცი? იმ ძუნწსა და დამწვარ კაცზე გეუბნები, პლიუშკინზე, თავის ხალხს რომ შიმშილით ხოცავს.

– ა! შენ იმ დაბებკილზე მეუბნები, არა? – წამოიძახა გლეხმა.

აქ კიდევ ერთი სიტყვა დაურთო «დაბებკილს», რომელიც მეტად მოსწრებულად იყო ნათქვამი, მაგრამ რიგიან ხალხში არ იხმარება და ამიტომაც აქ ვერ მოვიხსენიებთ. თუმცა მიხვედრით ყველა მიხვდება, რა კვიმატურიც უნდა ყოფილიყო ეს სიტყვა. იმიტომ რომ ჩიჩიკოვი ბრიჩკაში კიდევ დიდხანს იცინოდა, თუმცა გლეხი დიდი ხანია თვალს მოეფარა და თვითონაც საკმაოდ წინ წავიდა. ძალიან გამოთქმა კი ეხერხება რუს ხალხს! თუ ვისმე სიტყვით დაასაჩუქრებს, საშვილიშვილოდ გადაეცემა მთელ მის თაობას, თანვე გაჰყვება სამსახურში, სამსახურიდან გადადგომის შემდეგაც, პეტერბურგშიაც, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც არ უნდა გადაიკარგოს. შემდგომ რა ხერხსაც არ უნდა მიმართოთ, როგორც არ უნდა გააპატიოსნოთ თქვენი სახელი, ათასი მწერალი რომ დაიქირავოთ და თქვენი გვარის შტო აღმოაჩინოთ რომელიმე ძველისძველი თავადის საგვარეულოში, მაინც ვერაფერი გიშველით: შერქმეული სახელი მისდათავად წამოიჩხავლებს ყვავივით და გაგამხელთ, საიდანაც ბრძანდებით. მოსწრებულად ნათქვამი იგივეა, რაც დაწერილი, რასაც ცულითაც ვერ ამოსთლით; მერედა რა მოსწრებული სიტყვები იციან რუსეთის წიაღში, სადაც არ არიან არც გერმანელთა, არც ჩუხონელთა თუ სხვა ეროვნებათა ტომები, არამედ ჩვენივე ბუნებრივი, ცოცხალი და მკვირცხლი რუსული ჭკუა ბატონობს, რომელიც ჯიბეში არ დაეძებს სიტყვას და ისე არა სჩეკავს, როგორც კრუხი წიწილებს, არამედ პირდაპირ მიაკერებს, როგორც უვადო პასპორტს, ასე რომ შემდეგ დასამატებელი აღარა რჩება რა, თუ როგორი გაქვს ცხვირი ან ტუჩი,– ერთი ხაზის ჩამოსმით თავით ფეხამდე დახატული ხარ და ესაა!

როგორც უთვალავი საყდარი და მონასტერი თავიანთი გუმბათებითა და ჯვრებით მოფანტულა ჩვენს წმინდა, კეთილმორწმუნე რუსეთში, ისე უთვალავზე უთვალავი ტომები, მოდგმანი და ნაირ-ნაირი ხალხები აჭრელებს ჩვენს დედამიწას. და ყოველი ხალხი, რომელიც თავის თავში ატარებს ძალ-ღონის საწინდარს, აღსავსეა შემოქმედებითი ნიჭით, განსაკუთრებული თავისებურებითა და ღვთით ბოძებული სხვა მადლით, მისებურად გამორჩეულა თავისი საკუთარი სიტყვით, რომლითაც გამოსახავს ყოველ საგანს და ამ გამოსახვაში ავლენს რომელიმე თვისებას თავისი ხასიათისას. გულთამხილაობა და სიცოცხლის ბრძნული შემეცნება იგრძნობა ინგლისელის სიტყვაში; ქარაფშუტა დარდიმანდივით გაიცქრიალებს და გაჰქრება ფრანგის დღემოკლე სიტყვა; გერმანელიც გამონახავს ხოლმე თავის არა ყველასათვის გასაგებ, ჭკვიანურ, თუმცა მჭლე სიტყვას; მაგრამ არ არის ისეთი სიტყვა, რომელიც ისე ლაღად და მკვირცხლად აღმოხდეს გულის სიღრმიდან, როგორც ამოსდუღს ცოცხალი, მოსწრებულად ნათქვამი რუსული სიტყვა.

თავი მეექვსე

წინათ, ჩემი ყრმობისა და უკვე სამარადისოდ გარდასული ჩემი ბავშვობის ხანაში, დიდად ვხარობდი, როცა პირველად მივდიოდი უცნობ ადგილას: სულ ერთია, იყო ეს პატარა

სოფელი, ღარიბი სამაზრო ქალაქი, დაბა თუ გარეუბანი, – მრავალ საყურადღებო რასმე აღმოაჩენდა იქ ჩემი ბავშვური ცნობისმოყვარე თვალი. Yყველანაირი შენობა და, საზოგადოდ, ყველაფერი, რაც კი განსაკუთრებული ნიშნით იყო აღბეჭდილი, იპყრობდა ჩემს ყურადღებას და მაოცებდა, იქნებოდა ეს ქვითკირის შენობა – ყველასათვის ცნობილი არქიტექტურის სახაზინო სახლი ყრუ ფანჯრებით, განმარტოებით რომ გამოიყურებოდა მდაბიო მოქალაქეთა ერთსართულიან ძელურ შენობათა შორის, ან თეთრი თუნუქით დახურული გუმბათოვანი, ახალი, თეთრად შეღებილი და თოვლივით მოქათქათე საყდარი ან ბაზარი, გინდა შემთხვევით თვალმოკრული ვინმე მაზრიდან ჩამოსული ფრანტი, – არაფერი არ გამორჩებოდა ჩემს საღსა და დაძაბულ ყურადღებას; სამგზავრო ეტლიდან ცხვირგამოყოფილი გაფაციცებით შევყურებდი ჯერ მანამდე ჩემგან არნახულ ვისიმე სერთუკს; შორიდან ყვითლად მომზირალი გოგირდით, ქიშმიშით, საპნითა თუ ლურსმნებით სავსე ყუთებს, ბოსტნეულის დუქნის ღია კარიდან რომ მოჩანდა შუშის ქილებში ჩამხმარ მოსკოვურ კანფეტებთან ერთად; შევყურებდი გვერდით მიმავალ ქვეით ოფიცერსაც, რომელიც, ღმერთმა უწყის, რომელი გუბერნიიდან გადმოხვეწილა მაზრის მოწყენილობის განსაცდელად; არ გამომრჩებოდა ვაჭარიც, მოკლე ბეწვგამოკრულ ჯუბაში გამოწყობილი რომ მიჰქროდა მსუბუქი დროშკით. მე გონებით თან მივდევდი ყველას, მათ ბეჩავ ცხოვრებაში ვიძირებოდი. თუ მაზრის რომელიმე მოხელე გაივლიდა, მე ფიქრები დამეუფლებოდა: სად მიდის, საღამოზე მიეჩქარება თავის მოძმესთან თუ პირდაპირ შინ მიაშურებს, რომ პარმაღთან ჩამოჯდეს, ერთი ნახევარი საათი შეისვენოს, ვიდრე კარგად ჩამობინდდება, და შემდეგ მიუჯდეს ნაადრევ ვახშამს დედასთან, ცოლთან, ცოლისდასთან და მთელ ოჯახთან ერთად. რაზე გააბამს მუსაიფს, როცა კაკილებიანი მოახლე გოგო ან სქელჯუბიანი პატარა ბიჭი წვნიანის შემდეგ შემოიტანს ქონის სანთელს ადამჟამინდელ შინაურული შანდლით, როცა რომელიმე მემამულის სოფელს ვუახლოვდებოდი, ცნობისმოყვარე თვალს არ ვაშორებდი მაღალსა და ვიწრო ხის სამრეკლოს ან ხის ფართო, ძველისძველ საყდარს. შორიდან მიმზიდველად მეჩვენებოდა მწვანე ხეხილნარში გამომკრთალი მებატონის სახლის წითელი სახურავი და თეთრი საკვამურები; გულისფანცქალით ველოდი იმ წუთს, როცა გარსშემორტყმული ბაღები გულს გაიხსნიდნენ და მთლიანად გამოჩნდებოდა შენობა, რომელიც იმ დროს, ვაგლახ, მართლაცდა წარმტაცი სანახავი იყო! და ამის მიხედვით ვცდილობდი გამოცნობას, ვინ იყო თვითონ პატრონი, სქელი იყო, ვაჟიშვილები ჰყავდა თუ ექვსი მოცქრიალე, მუდამ თამაშით გართული მოკისკისე გოგონა, თავისი განუშორებელი უმცროსი მზეთუნახავი დით, შავთვალება იყვნენ ისინი თუ არა, მხიარული იყო მებატონე თუ სექტემბრის უკანასკნელი დღეებვით მოქურუშებული და პირჩამობნელებული, სულ რომ კალენდარს ჩაჰყურებს და ყრმათათვის ფრიად მოსაწყენ საგნებზე ლაპარაკობს, როგორიცაა პურისა და ჭვავის მოსავალი.

ახლა კი სრულიად გულგრილად ვუახლოვდები ყოველ უცნობ სოფელს და გულგრილადვე ვუყურებ მის ერთფეროვან, გაცვეთილ სურათებს. ჩემს გაგულგრილებულ თვალს უკვე არა ახარებს რა, ყველაფერი ის, რაც წინათ მაცინებდა, და შეუწყვეტლივ მაყბედებდა, აღარ იპყრობს ახლა ჩემს გულისყურს და ჩემს დაკუმულ ბაგეს დუმილი შეჰყინვია. ვაჰმე, ჩემო სიყრმევ, ჩემო ნორჩობის ხანავ!

ვიდრე ჩიჩიკოვი ფიქრებში იყო გართული და გუნებაში იცინოდა გლეხების მიერ შერქმეულ პლიუშკინის მეტსახელზე, ვერ შენიშნა, როგორ შევიდა ფართო სოფლის შუაგულს, აუარება ქოხებსა და ქუჩათა შორის, მაგრამ მალე თავი მაღლა ააწევინა ლაზათიანმა ბიძგმა, რაც გამოიწვია მორებით მოგებულმა ქუჩამ, რომელთან შედარებით ქალაქის ქვაფენილი პირდაპირ ბატონი იყო. ეს მორები, როგორც დანჯღრეული ფორტეპიანოს კლავიშები, აღმა-დაღმა ადი-ჩადიოდნენ, საკმარისი იყო, გამვლელი ფრთხილად არ მოქცეულიყო, რომ კეფაზე კოპი დასჯდომოდა, ან შუბლი ლურჯად შეშუპებოდა, ანდა საკუთარი კბილითვე წაეკვნიტა საკუთარივე ენის წვერი. რაღაც არაჩვეულებრივად დაძველებული მოეჩვენა ჩიჩიკოვს მთელი სოფლის შენობები. ქოხის კედლებშიც მორები ძველი და ჩაშავებული იყო; მრავალი სახლის სახურავი მთლად დაცხავებული გამოიყურებოდა. ზოგიერთ სახურავს მხოლოდ ღარკავი შერჩენოდა და გვერდზე გადმოღრეცილი წყვილი ლატანი, რომლებიც ნეკნებივით გამოჩრილიყო. ვგონებ, მათ პატრონებს თვითონვე გაეზიდათ როგორც ყავარი, ისე სხვა საშენი მასალა იმ მოსაზრებით და, რა თქმა უნდა, სრულიად სამართლიანი მოსაზრებით, რომ სულ ერთია, ავდარში ქოხს არ ხურავენ და დარში კი ისედაც წყალი არ ჩადის, შინ კი ნებივრობა რა საჭიროა, როდესაც საამისოდ ისედაც დიდი ასპარეზია დუქნებში გნებავთ თუ შარაგზებზე, – ყველგან, სადაც კი ადამიანს მოესურვება. ქოხების სარკმლებში მინები არ მოჩანდა, ჩვრებით ან ძველი ტანსაცმლით ზოგან ამოეჩულათ. სახურავების ქვეშ საცოდავად გამოიყურებოდა პატარ-პატარა აივნები მოაჯირებითურთ, რომლებსაც, ღმერთმა უწყის რა მოსაზრებით, ასე მრავლად უკეთებენ რუსულ ქოხებს, ახლა კი თითოეული მათგანი გვერდზე წაღრეცილიყო და უშნოდ ჩაშავებულიყო. ქოხებს იქით უზარმაზარი პურის ზვინები იდგა, რომლებიც როგორც ჩანდა, კარგა ხანია უპატრონოდ ეყარა და ფერად ისე ჩამოლანძღულიყო, როგორც ძველისძველი, უხეიროდ გამომწვარი აგურის ყორე; ზვინების თავზე ათასი ბალახბულახი ამოსულიყო, გვერდით კიდევ მთელი ბუჩქნარი მიჰკოწიწებოდა. როგორც ჩანს, ეს პურის ზვინები ბატონისა უნდა ყოფილიყო. პურის ზვინებსა და ძველ სახურავებს იქით გამჭვირვალე ლაჟვარდ ჰაერში ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, იმისდა მიხედვით, ბრიჩკა როგორ მოუხვევდა, ერთიმეორის გვერდით ორი სოფლის საყდარი მოჩანდა: ერთი – ქვისა, ყვითელი, საცოდავად დახავსებულ-დახეთქილი კედლებით. მალე ბატონის სახლიც გამოჩნდა. – ჯერ ნაწილობრივ, მერე კი მთელი სიგრძე-სიგანით სწორედ იმ ადგილას წამოიჭიმა, სადაც ქოხების ჯაჭვი გაწყდა და მათ ადგილას გაშარავებული ბოსტანი თუ საკომბოსტოვე გაიშალა, გარშემორტყმული მინგრეულ-მონგრეული დაბალი ყორით. რაღაც დაძაბუნებული ინვალიდივით გამოიყურებოდა ეს უცნაური ციხე-დარბაზი, რომელიც ზომაზე მეტად გრძელი რამ იყო, ზოგან ორსართულიანი. ჩაშავებულ-დახავსებულ სახურავს, რომელიც სიძველის გამო ყოვლად უიმედო საფარად ქცეულიყო, თავზე ორი კოშკი დაჰყოლოდა ორივე მხრიდან: ორივე უკვე შერყეულიყო, კედლებზეც საღებავი ჩამოჰრეცხოდა. შენობის კედლები ადგილ-ადგილ დაჭრუჭუტანებულიყო, ბათქაშჩამოყრილი შიშვლად გამოიყურებოდა. ეტყობოდა, რომ ავდარს, წვიმას და შემოდგომის ქარბუქს კეთილი დღე არ დაეყარა მისთვის. ფანჯრებიდან მხოლოდ ორი იყო ღია, დანარჩენები დარაბებით დაეხურათ, ზოგი კი პირდაპირ ფიცრებით დაელურსმნათ. თავის მხრივ ეს ორი ფანჯარაც ნახევრად დაებრმავებინათ; ერთზე სამკუთხი შაქრის ლურჯი ქაღალდი მიეკრათ.

სახლის უკან გადაჭიმული ძველისძველი, ფართო ბაღი, რომელც სოფლის ბოლომდე აღწევდა და შემდეგ კი მინდვრად იკარგებოდა, მიგდებული და აბალახებული იყო. მხოლოდ ეს ერთიღა ასე თუ ისე სიცოცხლის ელფერს აძლევდა ამ სოფელს და მთლად გაუდაბურებული, მაინც ლამაზად გამოიყურებოდა. მწვანე ღრუბლებად და უსწორმასწორო მთრთოლვარფოთლოვან გუმბათებად გაწოლილიყო ცისიერზე ლაღად გაშვებული ტანაყრილი ხეების კენწეროები. უზარმაზარი თეთრი არყის ხე, რომლისთვისაც ქარიშხალსა თუ მეხს წვერი მოემსხვრია, ამ უღრან მწვანილოვანში აზიდულიყო მაღლა-მაღლა, როგორც მრგვალი, სწორად ატყორცნილი მოელვარე მარმარილოს სვეტი; ცერად ჩამომტყდარი კენწერო ისე შავად მოჩანდა თოვლივით თეთრ ტანზე, თითქოს ქუდი დაუხურავთო, ან რაღაც შავი ფრინველი შემჯდარაო. სვია, რომელსაც ერთმანეთში გადაეხლართა ანწლისა და ჭნავის ბუჩქები, ველურ თხილნარს გადასწვდომოდა, აქედან ღობის პირი გამოეგრიხა, თამამად თავზე მოქცეოდა და ბოლოს წელზე შემოხვეოდა თავწაჩეხილ თეთრ არყის ხეს, იქიდან კი ფართოდ გადმოშლილიყო კუნწულებად და ნორჩი მკლავებით ახლა სხვა ხეების კენწეროებს წაჰკიდებოდა, ანდა პირდაპირ ჰაერში ჩამოეშვა ხვეულ-ხვეული რგოლები თავისი წვრილი მბღოტავი კავებისა, რომელთაც ნიავი საამურად არწევდა. ალაგ-ალაგ მზის სხივებით განათებული მწვანე ტევრი იშლებოდა და ნადირის შავ ხახასავით ჩაბნელებულ, გაუნათებელ ადგილებს აჩენდა; აქ ყველაფერს ჩრდილი გადაფარებოდა და ამ ჩრდილის სიღრმეში ოდნავ კიფობდა: ვიწრო საცალფეხო ბილიკი, გადმოწოლილი მოაჯირი, დანჯღრეული ტალავერი, დაფუღუროებული ბებერი ტირიფი, ჭაღარა ძეწნარი, რომლის ჯაგარივით ხშირი გამხმარი ტოტები ტირიფის ტოტებსა და ფოთლებს გადახლართოდა და ჯვარედინად შემოხვეოდა. ბოლოს ნეკერჩხლის ნორჩ ტოტს გვერდით გაეზიდა მწვანედ ახასხასებული განიერი ფოთლები, ხოლო ერთ-ერთი ფოთლის ქვეშ, ღმერთმა უწყის როგორ და რანაირად, მზის სხივი შეპარულიყო და ისე გაენათებინა, როგორც ათასფრად მოელვარე საუცხოო და გამჭვირვალე რამ. კარგა დაშორებით, ბაღის ბოლოს, სხვა მაღალ ხეებს თავს დაჰყურებდა რამდენიმე ვერხვი, რომელთა მთრთოლვარე კენწეროებზე მოჩანდა ყვავის უზარმაზარი ბუდეები. ზოგიერთი ვერხვს კიდევ თავქვე დაკიდებოდა ჩამოტეხილი ტოტები შემხმარი ფოთლებით. ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვენიერი იყო, რასაც ვერ შექმნის ცალ-ცალკე ვერც ბუნება და ვერც ხელოვნება; მსგავსი რამ მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ისინი ერთდებიან, როცა ადამიანის უთავბოლო ნახელავს ბუნება მიადგება თავისი საჭრისით, შეასწორ-შეამსუბუქებს, წაშლის თვალში წაჩხირულ მოსაწყენ სწორხაზოვნებას, საიდანაც აშკარად ჩანს შიშველი გეგმა ტლანქი ნახელავისა, და საამურად შეარბილებს ყველაფერს, რაც კი ადამიანის ცივ გონებას განზომილად შეუქმნია.

ორიოდე მოსახვევის შემდეგ ჩვენმა გმირმა დაბოლოს თავი ამოჰყო იმ სახლის წინ, რომელიც ახლოს კიდევ უფრო გულსაკლავად გამოიყურებოდა. მწვანე ობს უკვე დაეფარა ღობისა და ჭიშკრის ფიცრები, ეზოში მრავალი მოძველებული შენობა იდგა – შინაყმების ბინები, ბეღლები, სარდაფები; მარჯვნივ და მარცხნივ მოჩანდა ჭიშკრები, რომლებიც სხვა ეზოებში გადიოდა. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ ოდესღაც აქ მეურნეობა დუღდა და გადმოდუღდა. ახლა კი ყველაფერი დაღვრემილ-მოქურუშებული გამოიყურებოდა. არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი არ მოჩანდა სურათის გასაცხოვლებლად, არც სადმე კარი იღებოდა, არცთუ ხალხი მიმოდიოდა, არავინ ფუსფუსებდა და არავინ იჭერდა

თადარიგს! მხოლოდ მთავარი ჭიშკარი იყო ღია და ესეც იმიტომ, რომ შიგ გლეხმა ჭილოფგადაფარებული დატვირთული ორთვალა ურემი შეიყვანა: გლეხი თითქო განგებ გამოჩნდა, რომ ოდნავ მაინც გამოეცოცხლებინა ჩამკვდარ-გატიალებული მიდამო. სხვა დროს ეს ჭიშკარიც დაკეტილი იყო, რასაც მოწმობდა ზედ დაკიდული უზარმაზარი ბოქლომი. ერთი შენობის გვერდით ჩიჩიკოვმა მალე შენიშნა ადამიანის მინამსგავსი ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ურმით შემოსულ გლეხს წაეკიდა. ჩიჩიკოვს დიდხანს ვერ გაერკვია, რა სქესისა იყო ეს მოჩვენება, დედაკაცი თუ მამაკაცი. ტანისამოსი გრძელზე გრძელი ეცვა, ჩამოთრეული, როგორც ქალის საშინაო კაბა, თავზე ხილაბანდი წაეკრა, როგორსაც სოფლელი დედაკაცები ატარებენ, ოღონდ ესაა, რომ ხმა როგორღაც არაქალური ჰქონდა, ჩახლეჩილ-ჩახრინწული. «დედაბერია! – გაიფიქრა თავის გულში ჩიჩიკოვმა, მაგრამ იქვე დაუმატა: – არა, კაცია!» «რა თქმა უნდა, ქალია!» – თქვა დაბოლოს, როდესაც დაბეჯითებით დააკვირდა. თავის მხრივ იმ მოჩვენებამაც თვალები მიაშტერა. ეტყობოდა, მისთვის სტუმარი რაღაც უჩვეულო ამბავი იყო, ვინაიდან არა მარტო ჩიჩიკოვს შეხედა, არამედ სელიფანი და თვით ცხენიც კუდიდან მოყოლებული დრუნჩამდე შეათვალიერა.წელზე ჩამოკიდებული გასაღებების მიხედვით და თანაც რომ გლეხს საკმაოდ უხამსი სიტყვებით აგინებდა, ჩიჩიკოვმა დაასკვნა, რომ ეს მეკუჭნავე დედაკაცი უნდა ყოფილიყო.

– გამიგონე, დედი, – უთხრა მან, როცა ბრიჩკიდან გადმოვიდა, – შენი ბატონი სად არის?

– შინ არ არის, – შეაწყვეტინა მეკუჭნავემ, ხოლო პატარა ხანს შემდეგ ჰკითხა: – მერე რა გნებავთ?

– საქმე მაქვს.

– მობრძანდით ოთახებში! – უპასუხა მეკუჭნავემ, თანაც მოტრიალდა და ფქვილში მოსვრილ-დამტვერიანებული და დაბლაკალთებგახვრეტილი ზურგი შეაქცია.

ჩიჩიკოვმა თავი შეჰყო ჩამობნელებულ ფართო წინკარში, სადაც ისე გრილოდა, როგორც სარდაფში. ამ წინკარიდან ოთახში შევიდა, ესეც მთლად ჩაბნელებული იყო, ოღონდ მქრქალი და თითქმის შეუმჩნეველი შუქი მხოლოდ კარქვეშ დარჩენილი ჭუჭრუტანიდან შემოდიოდა. როცა კარი შეაღო და კარიდან სინათლე შემოიჭრა, ჩიჩიკოვი გააოცა, აქ ისეთი არეულ-დარეულობა სუფევდა. ასე გეგონებოდათ, სახლში იატაკები მოურეცხიათ და მთელი ავეჯეულობა დროებით სულ ამ ოთახში შემოუყრიათო, ერთ მაგიდაზე ფეხმოტეხილი სკამი იდგა, მის გვერდით მიგდებული იყო საათი გაჩერებული ქანქარით, რომელზეც ობობას უკვე ქსელი გაება და აბლაბუდებში არხეინად მოკალათებულიყო. იქვე იდგა გვერდზე შემობრუნებული კარადა ძველისძველი ვერცხლეულით, გრაფინებით და ჩინური ფაიფურით. საწერი მაგიდა მორთული იყო სადაფის მოზაიკით, რომელიც ალაგ-ალაგ ამოვარდნილიყო და წებოთი სავსე ჩაყვითლებული ბუდეები დაეტოვებინა; ამ მაგიდაზე, რა გნებავთ, რომ არ მიეყარათ: ნაჯღაბნი ქაღალდის ნაგლეჯები, ზედ მარმარილოს ჩამწვანებული პრესით; რაღაც ტყავისყდიანი, წითელშემონაჭრიანი ძველისძველი წიგნი; მთლად გამხმარი ლიმონი, რომელიც გარეული თხილის ტოლა თუ

იქნებოდა; სავარძლის მომსხვრეული სახელური; რაღაც სითხით სავსე პაწია ჭიქა შიგ ჩამხრჩვალი სამი ბუზით, რომელსაც თავზე წერილი ეხურა; ლუქის ნაჭერი; საიდანღაც აღებული ჩვრის ნაგლეჯი; მელანში მოთხვრილი, თითქოს ჭლექისაგან გამხმარი ორი კალამი და მთლად ჩაყვითლებული კბილის საჩიჩქნი, რომელსაც პატრონი ალბათ ჯერ კიდევ მოსკოვში ფრანგების შემოსევამდე ხმარობდა. კედლებზე მიჯრით უთავბოლოდ ეკიდა რამდენიმე სურათი: ერთი – უფრო გრძელი და ჩაყვითლებული გრავიურა ომის სურათს წარმოადგენდა, უზარმაზარი დოლებით, სამკუთხაქუდებიანი მყვირალა ჯარისკაცებით და წყალში ჩყურყუმალავებული ცხენებით. სურათი უშუშო იყო, წითელი ხის ჩარჩოში ჩასმული, ბრინჯაოს ზოლებითა და ბრინჯაოსავე რგოლებით კუთხეებში. ამ სურათის გვერდით უზარმაზარი ჩაშავებული ტილო ეკიდა, რომელსაც თითქმის ნახევარი კედელი ეჭირა. სურათი ზეთის საღებავებით იყო შესრულებული, ზედ დაეხატათ ყვავილები, ხილეულობა, გაჭრილი საზამთრო, გარეული ტახის დინგი და თავდაყირა დაკიდებული იხვი. ჭერის შუაგულში ეკიდა ტილოს ტომარაში გახვეული ჭაღი, რომელსაც იმდენი მტვერი დასდებოდა, კაცს ეგონებოდა, უზარმაზარი ყაჭის პარკია ჭიითაო. ოთახის კუთხეში ისეთი რამეები მიეყარათ, რისი მოთავსებაც მაგიდაზე უხერხულია. ძნელია იმის თქმა, რა იყო ამ ხროვაში, ვინაიდან მტვერი ისე უხვად ეყარა ზედ, რომ ოდნავ მიკარებაზე ადამიანის ხელი ხელთათმანს ემსგავსებოდა; სხვებზე უფრო თვალში მოგვხვდებოდათ ხის ნიჩბის მომტვრეული ტარი და წაღის გაცვეთილი ლანჩა. ყოვლად შეუძლებელი იყო თქმა, ამ ოთახში ცოცხალი არსება ცხოვრობსო, თუ ეს არ ეუწყებინა მაგიდაზე მიგდებულ ძველისძველ, ნათრევ და უკვე დაგლეჯილ ჩაჩს. ვიდრე ჩიჩიკოვი ამ საოცარი მოწყობილობის თვალიერებაში იყო, გვერდითა კარი შემოიღო და თავი შემოყო იმავე მეკუჭნავე ქალმა, რომელიც მას ეზოში შეხვდა. მაგრამ აქ ჩიჩიკოვმა ერთი რამ აღმოაჩინა, სახელდობრ ის, რომ ეს უფრო მეკუჭნავე კაცი იყო, ვიდრე ქალი: მეკუჭნავე ქალი ყოველ შემთხვევაში წვერს არ იპარსავს, ეს კი, პირიქით, იპარსავდა და, ეტყობოდა, იპარსავდა ძალიან იშვიათად, ვინაიდან მთელი ნიკაპი, ყბის ქვედა ნაწილთან ერთად, რეკინისმავთულებიან სამურველს მიუგავდა, რომლითაც თავლაში ცხენებს აურვებენ ხოლმე. ჩიჩიკოვს სახეზე განცვიფრება გამოეხატა და მოუთმენლად ელოდა, თუ რას ეტყოდა მეკუჭნავე. თვითონ მეკუჭნავეც თავის მხრივ ელოდა, თუ რას იტყოდა ჩიჩიკოვი. ბოლოს ამ საოცარი გაუგებრობით გაკვირვებულმა ჩიჩიკოვმა გადაწყვიტა პირველს დაელაპარაკნა:

– რაო, ბატონი შინ არ ბრძანდება?

– ბატონი აქვეა, – უპასუხა მეკუჭნავემ.

– მერე და სად? – შეეკითხა ჩიჩიკოვი.

– რა ამბავია, ბატონო ჩემო, დაბრმავდით თუ რა არის? – მიუგო მეკუჭნავემ, – ეეჰ! ბატონ-პატრონი თვითონ მე ვარ!

აქ ჩვენმა გმირმა უნებურად უკან დაიხია და გაშტერებით მიაჩერდა. ცხოვრების გზაზე მას რა და რა ჯურის ხალხი არ შეხვედრია, თვით ისეთებიც კი, რომელთა ხილვა შეიძლება

მეცა და მკითხველს სულაც არ მოგვიხდეს, მაგრამ ამისი მსგავსი ჯერ არ ენახა. მეკუჭნავე, სახით რომ ვთქვათ, განსაკუთრებულს არაფერს არ წარმოადგენდა. თითქმის ისეთივე იყო, როგორც სხვა გამხდარი ბებრები, ოღონდ ნიკაპი საოცრად წინ გამოვარდნოდა, ასე რომ ყოველთვის ცხვირსახოცით უნდა დაეფარა, რომ ზედ არ დაეფურთხებინა. პაწაწკინტელა თვალები ჯერ არ ჩაჰქრობოდა და აბურძგნილი წარბების ქვეშ ისე დაუხტოდა, როგორც თაგვები, როცა ისინი ბნელი სოროდან წვეტიან დინგებს გამოჰყოფენ ხოლმე და ყურებდაცქვეტილნი ულვაშების ცმაცუნით აქეთ-იქით იხედებიან, ემანდ სადმე კატა ან ცელქი ბიჭი არ იყოს განაბულიო, და ჰაერს ეჭვიანად ყნოსავენ. უფრო შესანიშნავი იყო მისი ჩაცმულობა: არავითარი საშუალებით არ შეიძლებოდა გაგეგოთ, რა ნაჭრისა იყო მისი ხალათი: სახელოები და კალთები ისე გაზინტლოდა, საჩექმე ტყავი გეგონებოდათ; უკან ორი ტოტის ნაცვლად ოთხი დასთრევდა, რომლებიდანაც ბამბა ფთილ-ფთილად გამოჩრილიყო. ყელზეც ისეთი რაღაც მოეხვია, რომ ვერ გაარჩევდით: წინდა იყო, წვივსაკრავი თუ სამუცლე, ყოველ შემთხვევაში არამც და არამც ყელსახვევი. ერთი სიტყვით, სადმე ეკლესიის გვერდით ასე მორთული რომ შეხვედროდა, ჩიჩიკოვი უსათუოდ რამდენიმე გროშს აჩუქებდა, ვინაიდან, ჩვენი გმირის სასახელოდ უნდა ითქვას, მეტად გულჩვილი ადმიანი გახლდათ და თავს ვერასდიდებით ვერ იკავებდა, რომ მათხოვარი არ გაეკითხა. მაგრამ მის წინ მათხოვარი კი არ იდგა, არამედ მემამულე. ამ მემამულეს ათას სულზე მეტი ყმა ჰყავდა. აბა ვინმე ცდილიყო და სხვა მოენახა, ვისაც ამდენი პური ექნებოდა – ხორბლის, ფქვილის თუ ჯერ კიდევ გაულეწავი ზვინების სახით; ვის ჰქონდა იმდენი საწყობი, ბეღელი, საშრობი ფარდული, რომლებიც გამოტენილი იყო ტილოთი, მაუდით, გამოყვანილი თუ გამოუყვანელი ცხვრის ტყავებით, გამხმარი თევზით, ყოველგვარი მწვანილეულითა და სხვა სიკეთით. აბა გარჯილიყო ვინმე და შეეხედა მის უკანა ეზოში, სადაც გამზადებული იყო ყველანაირი ხის მასალისა და ჭურჭლის მარაგი, რომელთა მოხმარება ჯერ აზრად არავის მოსვლოდა, – უეჭველია, ამისი მნახველი იფიქრებდა, რომ მოსკოვის ბაზრის იმ კუთხეში მოხვდა, სადაც ყოველდღე თავს იყრიან და დაფუსფუსებენ გერგილიანი სიდედრ-დედამთილები უკან ადევნებული მოახლეებით, რათა თავთავიანთი საოჯახო მარაგი უზრუნველჰყონ; აქ მათ ხვდებათ მთელი მთები ხის ნახელავისა, ზოგი ნათალი, გარანდული, ზოგიც დაწნული: კასრები, ორტოტა კასრები, გოვზაკები, პირიანი თუ უპირო კათხები, რომლებშიც ქალები ინახავენ ხელსართავ სელის ფთილებს თუ სხვა ნაყარნუყარს, წვრილი წნელის გიდელები, წნორის ხის ხოკერები და მრავალი სხვა, რასაც ხმარობს რუსეთის მდიდარი თუ ღარიბი მოსახლეობა. მერე რად უნდოდა პლიუშკინს ამდენი ხის ჭურჭელი? ეს საქონელი ორი იმდენი მამულისათვისაც კმაროდა, რომელიც მას მოეპოვებოდა, მაგრამ მაინც ეცოტავებოდა. ეს კიდევ არაფერი, – იგი ყოველდღე მთელი სოფლის ქუჩებს უვლიდა, ბოგირების, კადონების ქვეშ იხედებოდა და, რაც კი რამ მოხვდებოდა, – ძველი ფეხსაცმლის ლანჩა, ჩვარი, რკინის ლურსმანი თუ კრამიტის ნამტვრევი,– ყველაფერს შინ ეზიდებოდა და იმ ხროვას უმატებდა, რომელიც ჩიჩიკოვმა კუთხეში შენიშნა. «აი, გამოვიდა მეთევზე სანადიროდ!» იტყოდნენ ხოლმე გლეხები, როცა საშოვარზე გამოსულ პლიუშკინს მოჰკრავდნენ თვალს. მართლაც იმის გამოსვლის შემდეგ ქუჩას დასუფთავება აღარ სჭირდებოდა: ვთქვათ, გზად გამვლელმა ოფიცერმა დეზი დაჰკარგა,– ის დეზი უსათუოდ იმ ხროვაში ამოჰყოფდა თავს. თუ დედაკაცი ჭასთან მასლაათს მოჰყვებოდა და სათლი დაავიწყდებოდა, სათლსაც წაიღებდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, თუ ადგილზევე

წაასწრებდნენ და ამხელდნენ, მაშინ იგი არ დაობდა. აწაპნულ ნივთს უკანვე უბრუნებდა, მაგრამ თუ ნივთი ამ ხროვაში აღმოჩნდებოდა, მაშინ მორჩა, ვერაფერს გახდებოდით: პლიუშკინი ფიცით თავს შეგაჯერებდათ, რომ ეს ნივთი მან შეიძინა ამა და ამ დროს ამისგან თუ იმისგან, ანდა მამაპაპეულიაო. საკუთარ ოთახში ყველაფერს ხელს დასტაცებდა, რასაც კი დაინახავდა იატაკზე, სულ ერთია, იქნებოდა ეს ლუქი, ქაღალდის ნაგლეჯი თუ ფრინველის ფრთა და მაშინვე მაგიდაზე ან ფანჯარაზე დადებდა.

მაგრამ ხომ იყო დრო, როდესაც იგი მხოლოდ ხელმომჭირნე პატრონი ყოფილა ამ ავლადიდებისა! დაცოლშვილებული გახლდათ, მეზობელსაც მოესვლებოდა, რომ მადიანად ესადილნა და თანაც მეურნეობა და ბრძნული ხელმომჭირნეობა ესწავლა მისგან. ყველაფერი ცოცხლად და თადარიგიანად მიმდინარეობდა: წისქვილები ბრუნავდა, ჩარხიც არასოდეს შეჩერებულა, აქ მაუდის ფაბრიკა მუსაობდა, იქ სადურგლო დაზგები, სართავები. ყოველგან და ყველაფერში იხედებოდა პატრონის გამჭრიახი თვალი, როგორც დაუღალავი ობობა, დარბოდა მოუსვენრად, მაგრამ თავიანად, ფუსფუსებდა, მზრუნველ ხელს არ აკლებდა თავის სამეურნეო ქსელს. მის სახეზე ძლიერი განცდა არ იხატებოდა არასოდეს, სამაგიეროდ თვალებში მოჩანდა ჭკუა; მის სიტყვებში მუდამ გამოსჭვიოდა გამოცდილება და ცხოვრების სიბრძნე, ასე რომ სტუმარს მუდამ ეამებოდა მასთან ყოფნა და საუბარი. გულითადი და ტკბილმოუბარი დიასახლისიც განთქმული იყო პურმარილით; სტუმარს ყოველთვის წინ მიეგებებოდა წყვილი გოგონა, ორივე ქერათმიანი და ნორჩი, როგორც კოკობი ვარდი. ასევე გამორბოდა მათი ბიჭიკო, მუდამ ცოცხალი, თამამი, რომელიც ყველას ჰკოცნიდა იმისდა მიუხედავად, ესიამოვნებოდა სტუმარს მისი კოცნა თუ არა. შინ ყველა ფანჯარა ღია იყო, ანტრესოლები ფრანგულის მასწავლებელს ეჭირა, რომელიც წმინდად იპარსავდა პირს და კარგი მსროლელიც გახლდათ; ისე როგორ მოხდებოდა, რომ სადილისათვის არ მოეტანა როჭო ან იხვები, ზოგჯერ მხოლოდ ბეღურის კვერცხები, რომლიდანაც თავისთვის ერბოკვერცხს აწვევინებდა, რადგან მთელ სახლში ასეთ რამეს პირს არავინ აკარებდა. ანტრესოლშივე ცხოვრობდა მისი თანამემამულე, ორი გოგონას აღმზრდელი. თვითონ ამ ავლადიდების ბატონ-პატრონი სუფრასთან მუდამ სერთუკში გამოწყობილი გამოდიოდა. თუმცა ეს სერთუკი ძველი იყო, ლაზათი მაინც არ დაჰკარგოდა, იდაყვის თავები რიგზე ჰქონდა, ვერსად დაკერებულს ვერ შეამჩნევდით. მაგრამ კეთილი დიასახლისი გარდაიცვალა და გასაღებების ნაწილი და ოჯახზე ზრუნვაც დაქვრივებულ მეუღლეს დაეკისრა. პლიუშკინი მოუსვენრობამ შეიპყრო და, როგორც ყველა ქვრივი, თანდათან იჭვიანი და ძუნწი შეიქნა. უფროს ქალიშვილს ალექსანდრა სტეფანოვნას არ ენდობოდა; აქ ის მართალი იყო, ვინაიდან ალექსანდრა სტეფანოვნა მალე გაიქცა შტაბს-როტმისტრთან ერთად, რომელიც, ღმერთმა უწყის, რომელ ცხენოსან პოლკს ეკუთვნოდა, და სახელდახელოდ ჯვარი გადაიწერა სადღაც მიყრუებულ სოფლის ეკლესიაში, რამეთუ მშვენივრად იცოდა, მამამისი რომ ოფიცრებზე ახირებული შეხედულებისა იყო და ასე ეგონა, ყველა სამხედრო უსათუოდ ბანქოს მოყვარული და მფლანგველიაო. მამამ თავის ქალს წყევლა დაადევნა, ხოლო ძებნით თავი არ შეუწუხებია. ამიერიდან სახლში უფრო მეტმა სიცარიელემ დაისადგურა. მფლობელში სიძუნწემ ღრმად გაიდგა ფესვები. თმაში გამორეულმა ჭაღარამ, სიძუნწის ამ უერთგულესმა თანამგზავრმა, ხელი შეუწყო მის განვითარებას. ფრანგული ენის მასწავლებელი კაცი დაითხოვა, ვინაიდან პლიუშკინის ვაჟიშვილს სამსახურის დრომ მოუწია; ხოლო ფრანგული ენის

მასწავლებელი ქალი პირდაპირ გააგდო, რადგან იმასაც რამდენადმე ცოდვა მიუძღვოდა ალექსანდრა სტეფანოვნას გატაცებაში. ვაჟიშვილი საგუბერნიო ქალაქში გაგზავნა იმ განზრახვით, რომ პალატაში რაიმე ჭკვიანურ საქმისათვის მოეკიდნა ხელი. ამის სანაცვლოდ ყმაწვილი პოლკში ჩაეწერა და მამას ფული სთხოვა სამხედრო ჩასაცმელ-დასახურავისთვის, მაგრამ მამისაგან, როგორც უბრალო ხალხი ამბობს, მხოლოდ ბრანწი მიიღო. ბოლოს მასთან დარჩენილი უმცროსი ქალიშვილი გარდაიცვალა, ასე რომ მოხუცი მარტო დარჩა თვისი ავლადიდების მფლობელად და დარაჯად. მარტოხელა ცხოვრებამ დიდი საზრდო მისცა მის ძუნწობას, რომელსაც, როგორც ვიცით, ჭეშმარიტად მგლის მადა აქვს და რამდენსაც მეტს ნთქავს, იმდენად უფრო გაუმაძღარი ხდება. ადამიანური გრძნობები, რომლებიც ისედაც ცოტა მოეპოვებოდა, დღითიდღე ილეოდა და ქრებოდა ამ ცოცხალ ნანგრევებში. სწორედ ამ დროს, თითქოს განგებ, მისი აზრების დასამტკიცებლად სამხედროთა შესახებ, ამბავი მოუვიდა, შენმა შვილმა ქაღალდის თამაშში წააგო, რაზეც დაუყოვნებლივ გულიდან ამოხეთქილი მამობრივი წყევლა-კრულვა შეუთვალა და მას აქეთ ოდნავი სურვილიც არ ჰქონია გაეგო, კიდევ ცოცხალია თუ არა იგი ამ ქვეყანაზე. ყოველ წელს თითო-თითო ფანჯარა იხურებოდა მის სახლში, ბოლო ორიღა შერჩა, რომელთაგან ერთს, როგორც მკითხველმა დაინახა, ქაღალდი ჰქონდა აკრული; ყოველწლიურად ხელიდან მიუდიოდა მეურნეობის უმთავრესი ნაწილი, მის დაწვრილმანებულ გონებას კი ქაღალდის ნაგლეჯები და ბუმბული იპყრობდა, რომელთაც თავისსავე ოთახში ჰკრებდა. სასტიკი, გულქვა და უჯიათი, ამიერიდან ვაჭრებსაც აღარაფერს უთმობდა, რომლებიც მასთან მოდიოდნენ სამეურნეო ნაწარმის სასყიდლად; მყიდველები ვაჭრობდნენ, ვაჭრობდნენ და ბოლოს, გული რომ გაუწყალდათ, თავი დაანებეს და თქვეს, ეს ადამიანი კი არა, რაღაც ალქაჯი ვინმე მოვლენილაო. თივა და პური ულპებოდა, ბულულები და ზვინები პირდაპირ ნაკელად იქცეოდა, ასე რომ მათ ადგილას, თუ გნებავთ, კომბოსტოსაც გაახარებდით; სარდაფებში ფქვილი სულ ერთიანად უქვავდებოდა, ასე რომ ამოღების დროს საჭირო იყო მისი დამსხვრევა; რაც შეეხება მაუდს, ტილოებს და სხვა რამ შინაურ შალეულობას, მათი ხელის ხლებაც არ შეიძლებოდა, ვინაიდან მაშინვე ყველაფერს საშინელი მტვერი ავარდებოდა ხოლმე. მას უკვე დაავიწყდა, სად რამდენი ჰქონდა, მხოლოდ ერთი რამ არ ავიწყდებოდა, სახელდობრ, თუ რა ადგილას ედგა განჯინაში გრაფინი, რომელიმე ნარჩენი სასმელით, რომელზედაც საკუთარი ხელით დაადვა ნიშანი, რა არის ვინმეს ქურდულად არ დაელია; ასევე იცოდა სად იდო ლუქი და ბუმბული. მისი სამეურნეო შემოსავალი კი ძველებურად მოდიოდა და მოდიოდა: გლეხს ისევ ამდენი და ამდენი ღალა უნდა შემოეზიდა; დედაკაცს ამდენი და ამდენი კაკალი; ფეიქარ ქალს კიდევ ამდენი და ამდენი ტილო უნდა მოექსოვა. ყველაფერი ეს სულ ერთად ქუჩდებოდა ერთსა და იმავე სარდაფში, ყველაფერი ლპებოდა, იფლითებოდა, მტვრად იქცეოდა და ბოლოს თვითონაც არარაობად იქცა ადამიანთა შორის. ალექსანდრა სტეფანოვნა როგორღაც ერთხელ თუ ორჯერ ჩამოვიდა პაწია ვაჟიშვილით, შეეცადა გული მოებრუნებინა და რასმე გამორჩენოდა მამას, ვინაიდან შტაბს-როტმისტრთან ცხოვრება მართლაც არც ისე სახარბიელო გამოდგა, როგორც გათხოვებამდე ეგონა. პლიუშკინმა თავის ქალს პატიებით კი აპატია, შვილიშვილიც რაღაც ღილით დაასაჩუქრა, მაგრამ ფულად ერთი გროშიც არ მისცა. მეორედაც ეწვია ალექსანდრა სტეფანოვნა, ახლა უკვე ორი პაწია ბავშვით, და მიუტანა კულიჩი და ახალი ხალათი, ვინაიდან მამას ისეთი რამ ეცვა, შვილისათვის არა თუ სათაკილო, დიდად სასირცხვილოც კი იყო. პლიუშკინმა ორივე

შვილიშვილს მიუალერსა. ერთი მარჯვენა მუხლზე შეისვა, მეორე – მარცხენაზე და ასე გააჯირითა. კულიჩი და ხალათი აიღო, მაგრამ ქალიშვილს ერთი ბეწვითაც არ დახმარებია. ასე ხელცარიელი წავიდა კვლავაც ალექსანდრა სტეფანოვნა.

აი რა ჯურის მემამულე იდგა ჩიჩიკოვის წინაშე! უნდა ითქვას, მსგავსი რამ იშვიათია ჩვენს რუსეთში, სადაც ყველაფერს უფრო გაშლა-გაფართოება უყვარს, ვიდრე შეკუმშვა-შემკვრივება. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ იქვე მეზობლად რომელიმე ისეთი მემამულე გამოჩნდება, რომელმაც მთელი რუსული დარდიმანდობითა და ბატონკაცური ხალვათობით იცის ქეიფი და დროსტარება, როგორც იტყვიან ხოლმე, თავისი ჭიის გახარება. უცხო ვინმე მგზავრი განცვიფრებული შეაჩერდება მის საცხოვრებელს, გაოცდება – ეს ბრწყინვალე თავადი როგორ აღმოჩნდა ამ პაწია სოფლის უმნიშვნელო და შეუმჩნეველ მფლობელთა შორისო: სასახლეებად მოჩანან მისი ქვაკირის სახლები უთვალავი საკვამურებით, კოშკებით, ფლიუგერებით, იქვე მიყოლებული მთელი წყება ფლიგელებით და სასტუმრო სადგომებით. რაღა არ მოეპოვება ამათ მფლობელს? თეატრები, ბალები; ჩირაღდნებით და მაშხალებით მთელი ღამე გაჩაღებულია მუსიკის გრგვინვით დაყრუებული ბაღი. ნახევარ გუბერნიაზე მეტი სადღესასწაულოდ მორთულა, მხიარულად სეირნობს ხეებქვეშ და არავის შემზარავად არ ეჩვენება, რომ დაბურულ ხეთა ჩრდილში თეატრალურად გამოკრთის ხელოვნური შუქით განათებული შტო, მოკლებული თავის ბუნებრივ სიმწვანეს, რის გამოც უფრო უკუნეთად, მკაცრად და ათასჯერ უფრო მრისხანედ გამოიყურება ღამის ცის თაღი, ხოლო მაღლა, შორს, წყვდიადის წიაღში ათრთოლებული ხის კენწეროები აღშფოთებით გადმოჰყურებენ ამ თვალთმაქცურ ელვარებას, რომელიც მათ ფესვებს ანათებს.

უკვე რამდენიმე წუთს უსიტვოდ იდგა პლიუშკინი, ჩიჩიკოვსაც ვერ მოხერხებინა საუბრის დაწყება, იმდენად იყო გართული როგორც მასპინძლის მზერით, ისე ყველა იმით, რაც ოთახში მის თვალს ხვდებოდა. დიდხანს ვერ მოეფიქრებინა, თუ როგორ და რანაირად აეხსნა მისთვის დარბაზობის მიზეზი. ერთხანად გადაწყვიტა ასე ეთქვა, ბევრი რამ სანაქებო ამბავი შემესმა თქვენი სულის სიფაქიზისა და სათნოებაზე და მოვალედ ჩავთვალე თავი დავადასტურო ჩემი თქვენდამი პატივისცემაო, მაგრამ უმალვე იგრძნო, რომ ეს მეტისმეტი იქნებოდა. როდესაც ერთხელ კიდევ თვალი მოავლო ყოველივეს, რაც ოთახში იყო, იგრძნო, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ «სულის სიფაქიზეს და სათნოებას» შეცვლიდა სიტყვებით: «მომჭირნეობა და წესრიგი». ამიტომ ამნაირად გადასხვაფერებული სიტყვებით განუცხადა: რაკი ძალიან ბევრი რამ კეთილი შემესმა თქვენს მომჭირნეობასა და იშვიათ წესრიგზე მამულის მოვლა-პატრონობაში, ვალად ჩავთვალე, პირადად გამეცანით, რათა თქვენ წინაშე დამედასტურებინა თქვენდამი ჩემი პატივისცემაო. რა თქმა უნდა, კიდევ სხვა მიზეზების გამონახვაც შეიძლებოდა, მაგრამ ამ დროს ჩიჩიკოვს თავში უკეთესი რამ არ მოსვლია.

ამაზე პლიუშკინმა რაღაც წაიჩიფჩიფა, ვინაიდან კბილები აღარ ჰქონდა. სახელდობრ რა აზრი გამოთქვა, ძნელია ამის თქმა, მაგრამ დაახლოებით ეს უნდა ყოფილიყო: «ეშმაკსაც წაუღიხარ შენცა და შენი პატივისცემაო!» ხოლო რაკი ჩვენში სტუმარ-მასპინძლობა ჯერ

კიდევ იმდენად ძალაშია, რომ თვით დამწვარი ძუნწიც კი ვერ გადაუხვევს მის კანონებს, მან უფრო გასაგებად დაურთო: «უმორჩილესად გთხოვთ დაბრძანდეთ!»

– დიდი ხანია სტუმრებს ვეღარ ვხედავ, – განაგრძო მან, – ისიც გულახდილად უნდა ითქვას, რომ არც რასმე სასარგებლოს წარმოადგენენ. შემოიღეს ყოვლად არასაკადრისი ჩვეულება, დაბრძანდებიან ერთმანეთან სადარბაზოდ, მეურნეობას კი აღარავინ დაგიდევთ... ახლა იმათ ცხენებსაც დროზე თივა მიართვი... მე დიდი ხანია ვისადილე, სამზარეულო კი ერთი ბაჯაჯგულა მაქვს, ყოვლად საძაგელი, საკვამლე მილიც მინგრეულია: აანთებ და შეიძლება ხანძარიც გააჩინო.

«აი საქმე რაში ყოფილა! – გაიფიქრა თავისთვის ჩიჩიკოვმა, – კიდევ კარგი, რომ სობაკევიჩთან დავნაყრდი, თორემ შენს მტერს!»

– ისეთი საძაგელი დრო დაგვიდგა, რომ მუჭა თივაც არ მოგვეპოვება მთელ მეურნეობაში! – განაგრძო პლიუშკინმა, – ანდა მართლაც საიდან რას მოინარჩუნებ? ერთი მტკაელი მიწა გვაბადია, გლეხი ზარმაცია, მუშაობა არ უყვარს, სულ იმის ფიქრშია, რომ დუქანში ამოჰყოს თავი... მათ შემყურეს სიბერის დროს ხელგაშვერილი მოგიწევს წანწალი!

– მე კი გაგებული მაქვს, – ზრდილობიანად შენიშნა ჩიჩიკოვმა, – რომ თქვენ ათას სულზე მეტი გყავთ.

– მერე ვინ მოგახსენათ, ბატონო ჩემო? უნდა ამდგარიყავით და ამის მთქმელისათვის თვალებში შეგეფურთხებინათ! ეტყობა, ვიღაც მასხარა ყოფილა და თქვენი აგდება მოუნდომებია. მოჰყვებიან, ათასი სული ჰყავსო, აბა ერთი დათვალე, არაფერიც არ გამოგივა! ამ უკანასკნელ სამ წელში წყეულმა ხურვებამ დიდძალი გლეხობა გამიწყვიტა.

– ნუთუ მართლა? – შესძახა ჩიჩიკოვმა თანაგრძნობით, – მართლა ბევრი დაგეხოცათ?

– დიდძალი, მაშ!

– ნება მიბოძეთ გავიგო, მაინც რამდენი სული იქნება?

– ოთხმოცი სული.

– არა, მართლა თუ?

– ხომ არ ვიცრუებ, ბატონო ჩემო.

– ნება მიბოძეთ, ერთიც გკითხოთ: ეგ სულები ალბათ უკანასკნელი რევიზიის ჩატარების შემდეგ დაგეხოცათ?

– მარტო ეგრე რომ ყოფილიყო, კიდევ მადლობა ღმერთს, – მიუგო პლიუშკინმა,– უბედურება ისაა, რომ რევიზიის ჩაბარების დღიდან ას ოციც იქნება.

– ნუთუ მართლა? ას ოცი სული? – შესძახა ჩიჩიკოვმა და განცვიფრებისაგან პირიც კი დააღო.

– მოვხუცდი, ბატონო ჩემო, ტყუილი რა საკადრისია. უკვე სამოცდაათი წელი შემისრულდა! – მიუგო პლიუშკინმა. ეტყობოდა, რომ ნაწყენი იყო სტუმრის ასეთი გახარებით. ჩიჩიკოვმა იფიქრა, რომ მართლაც უზრდელობა იყო სხვისი მწუხარების ასე აბუჩად აგდება, ამიტომაც ამოიხვნეშა და უთხრა, თანაგიგრძნობთ მწუხარებაშიო.

– მერე რას მარგებს თანაგრძნობა, თანაგრძნობას ხომ ჯიბეში ვერ ჩაიდებ, – წარმოთქვა პლიუშკინმა, – აი, ჩემ მახლობლად ცხოვრობს ვინმე კაპიტანი, ეშმაკმა იცის მისი თავი და ტანი, საიდან მოეთრია, აუხირებია, შენი ნათესავი ვარო: «ბიძია, ბიძიაო!» და სულ ხელს მიკოცნის, ხოლო როცა თანაგრძნობაზე გადავა, ისეთ ვაი-უშველებელს მოჰყვება, რომ ყურთასმენა მიქვს. სახე გაჭარხლებული აქვს. ანწლის არაყი ალბათ სულზე მეტად უყვარს. უეჭველია, ოფიცრობის დროს მთელი ფულები გაანიავა ან რომელიმე მსახიობმა ქალმა გამოსცინცლა და ახლა მე მომდგომია, თანაგიგრძნობო!

ჩიჩიკოვი შეეცადა დაერწმუნებინა, რომ მისი თანაგრძნობა სულ სხვა გვარისაა, ვინემ იმ კაპიტნისა, და რომ ამას არა ცარიელა სიტყვით ამბობს, არამედ საქმითაც დაამტკიცებს, და საქმის გადაუდებლად, რაიმე ნართაულების გარეშე, იქვე განუცხადა: ყველა გადასახადი, რაც კი ასეთი უბედურებით გარდაცვლ გლეცებზე მოდის, ჩემგან იქნება გადახდილიო. წინადადებამ თითქოს დიდად გააკვირვა პლიუშკინი, თვალები დააჭყიტა, დიდხანს უყურა და ბოლოს ჰკითხა:

– თქვენ, ბატონო ჩემო, სამხედრო სამსახურში ხომ არ ყოფილხართ?

– არა, – უპასუხა საკმაოდ ეშმაკურად ჩიჩიკოვმა, – სულ სამოქალაქოში ვმსახურობდი.

– სამოქალაქოში? – გაიმეორა პლიუშკინმა და ტუჩები აცმაცუნა, თითქოს რაღაცას ჭამსო, – მერე და ეს სადაურია, ამით ხომ ზარალი მოგივიდათ?

– თქვენი სიამოვნებისათვის მზად ვარ ასეთი ზარალი დავიკისრო.

– აჰ, ჩემო ბატონო! ჩემო კეთილისმყოფელო! – შესძახა პლიუშკინმა და სიხარულისაგან ვერ შენიშნა, რომ ცხვირიდან ცხელ ყავასავით მეტად არასურათოვნად ჩამოეღვენთა ბურნუთი, ხოლო ხალათის კალთები რომ გაეხსნა, ისეთი ქვეშსაცმელი გამოუჩნდა, ფრიად სათაკილო იყო სანახავად. – ჩემო მანუგეშებელო! აჰ, ღმერთო ჩემო! აჰ, წმინდანნო!.. – შემდეგ პლიუშკინს ღონემ უმტყუნა, სიტყვები ჩაუწყდა. მაგრამ არ გასულა წუთიც და სიხარული, რომელიც მის გახევებულ სახეზე ასე უეცრივ აღიბეჭდა, უეცრივვე გაქრა, თითქოს სულაც არასოდეს განეცადოს, და კვლავ შეწუხებული გამომეტყველება მიიღო. სახე ცხვირსახოცითაც კი მოიწმინდა, შემდეგ ცხვირსახოცი მოჭმუჭნა, მოკუმშა და ზედა ტუჩზე გადაისვ-გადმოისვა.

– ეგ როგორ, მიბრძანეთ, თუ რომ საწყენად არ დაგრჩებათ, ყოველ წელს გადაიხდით ხოლმე გადასახადს? იმ ფულს მე გადმომცემთ, თუ პირდაპირ ხაზინას ჩააბარებთ?

– აი, ჩვენ როგორ მოვიქცევით: ჩვენ შევადგინოთ ნასყიდობის სიგელი, თითქოს ისინი ისევ ცოცხლები არიან და თითქოს ჩემთვის მოგეყიდოთ.

– დიახ, ნასყიდობის სიგელი... – თქვა პლიუშკინმა, ჩაფიქრდა და კვლავ ტუჩების ცმაცუნი დაიწყო. – ნასყიდობის სიგელი კარგია, მაგრამ მაგასაც ხომ ხარჯები უნდა. მწერავები ისეთი უნამუსონი არიან! წინათ ათიოდე შაურით და ერთი ტომარა ფქვილით თავიდან მოიშორებდი, ახლა კი მთელი ურემი თეთრი ფქვილი უნდა გაუგზავნო და თანაც წითლიანი ქაღალდი გააკრა შუბლზე, – აი რა ვერცხლისმოყვარე ხალხია! არ მესმის, მღვდლები ამ გარემოებას ყურადღებას რატომ არ აქცევენ: ეთქვათ რამ, ექადაგნათ, ღვთის სიტყვას ვინ გადაუვა.

«შენ კი, მგონია, არ გაგიჭირდება გადასვლა!» – გაიფიქრა თავისთვის ჩიჩიკოვმა და იქვე ხმამაღლა განუცხადა, რომ თქვენდამი პატივისცემის დასადასტურებლად მზად ვარ ნასყიდობის სიგელისათვის საჭირო ხარჯებიც ჩემს თავზე მივიღოო.

როცა გაიგონა, სიგელის ხარჯებსაც თავის თავზე იღებსო, პლიუშკნმა დაასკვნა, რომ სტუმარი ვიღაც სულელი ვინმეა და თავს ისე აჩვენებს, ვითომც სამოქალაქო სამსახურის კაცია, ნამდვილად კი ოხერი ოფიცერი იქნება, რომელიც მსახობ ქალებს უკან დასდევსო. მიუხედავად ყველა ამისა, პლიუშკინს არ შეეძლო სიხარულის დაფარვა და უსურვა ყოველგვარი სიკეთე არა მარტო ჩიჩიკოვს, არამედ მის შვილებსაც, თუმცა არც კი უკითხავს, ჰყავდა შვილები თუ არა. ბოლოს ფანჯარასთან მივიდა, თითით მინაზე დააკაკუნა და გასძახა: «ჰეი, პროშკა!» იმავე წუთში ხმა მოისმა, ვიღაცამ წინკარში დაფეთებული შემოირბინა, დიდხანს დაფორიაქობდა და ჩექმებს აბრახუნებდა, ვიდრე არ გაიღო კარი და არ შემოვიდა თვითონ პროშკა, ასე ცამეტიოდე წლის ბიჭი, რომელსაც ისეთი დიდი ჩექმები ეცვა, რომ ფეხს ძლივს ადგამდა და წამდაუწუმ ეხდებოდა კიდეც. თუ რატომ ეცვა პროშკას ასეთი დიდი ჩექმები, ახლავე შეგვიძლია მოგახსენოთ: პლიუშკინს მთელი თავისი შინაყმებისათვის მხოლოდ ერთი წყვილი ჩექმა ჰქონდა, რომელიც მუდამ წინკარში უნდა ყოფილიყო. ყველას, ვისაც ბატონი თავის ოთახში დაიბარებდა, მთელ გზას ფეხშიშველა გამოირბენდა, მაგრამ წინკარში შესვლისას ჩექმებს ჩაიცვამდა და ისე შედიოდა ოთახში. ოთახიდან გამოსვლისას კი იმავე წინკარში ჩექმები უნდა გაეხადა და ისევ საკუთარი ლანჩებით გაბრუნებულიყო ეზოში, ვისმე რომ შემთხვევა ჰქონოდა და ფანჯრიდან ეყურებინა შემოდგომით, განსაკუთრებით კი დილდილაობით, როცა ყინვა ძლიერდება, დაინახავდა მეტად საოცარ სურათს: ეზოში შინაყმები ისეთ ნახტომებს აკეთებდნენ,რომ ძნელად რომ ვინმე თამამმა მოცეკვავემ მოახერხოს თეატრში.

– ერთი ამის დრუნჩს შეხედეთ, ბატონო ჩემო! – მიმართა პლიუშკინმა ჩიჩიკოვს და მიუთითა პროშკაზე, – თითქოს ასეთი ბატისტვინაა, მაგრამ აბა ერთი სცადეთ და რამე დადევით, უმალვე თვალსა და ხელს შუა აგწაპნით! რაო, შე ჩერჩეტო, რას მოხველი, თქვი,

აბა რა გინდა?– აქ ის პატარა ხანს შეჩერდა, რაზეც პროშკამაც დუმილით უპასუხა. – აბა, დატრიალდი, გესმის, სამოვარი დადგი; აჰა, ეს გასაღებიც მავრას მიეცი, რომ საკუჭნაოში წავიდეს: იქ თაროზე იმ კულიჩის ორცხობილაა, ალექსანდრა სტეფანოვნამ რომ ჩამოიტანა. უთხარ, ჩაიზე მოგვიტანოს! მოიცა, სად მირბიხარ? ვაი შე სულელო, სულელო! რა ეშმაკი ჩაგიძვრა მაგ ფეხებში და არ გასვენებს!.. ჯერ ყური დაუგდე, რასაც გეუბნებიან: ორცხობილას შეიძლება ცოტა ობი მოედო, მაშინ დანით ჩამოფხიკოს, მაგრამ ნაფხვენი ნამცეცები არ გადაყაროს, საქათმეში ქათმებს დაუყაროს. შენ კი, გესმის, იქ ფეხი არ შესდგა, საკუჭნაოში, თორემ ხომ იცი! სულ ეკლიანი ცოცხით აგიხურებ მაგ კანჭებს, გაჩვენებ პირის გემოს! ახლა ჩინებული მადა გაქვს და მაშინ უკეთესი გექნება! აბა ერთი სცადე და იმ საკუჭნაოში შესდგი ფეხი! მე ფანჯარასთან ვიქნები და თვალყურს გადვნებ. ამ საძაგლებს ადამიანი ვერაფერს ანდობს, – მიუბრუნდა იგი ჩიჩიკოვს, როცა პროშკა თავისი ჩექმებით გავიდა გარეთ. ამის შემდეგ ახლა ჩიჩიკოვზეც დაიწყო ეჭვიანობა. ასეთი უჩვეულო დიდსულოვნება როგორღაც დაუჯერებელ ამბად მოეჩვენა და უნებურად გაივლო გულში: «ეშმაკმა ნუ იცის ამისი გზა და კვალი, ვინ იცის, იქნებ ერთი ტრაბახა კაცია და მეტი არაფერი, როგორც ყველა ეს თავქარიანი ლოთი-შფოთი ხალხი: გატყუებს, გატყუებს, რომ ილაქლაქოს, ჩაი გამოგტყუოს, შემდეგ კი თავს დაგიკრავს და წაბრძანდება!» ჰოდა, წინასწარ ფრთხილი გეზის დასაჭერად და სტუმრის ალალმართლობის გამოსაცდელად სიტყვა გადაუკრა, ურიგო არ იქნებოდა, ნასყიდობის სიგელი დაგვეჩქარებინა, ვინაიდან კაცნი ვართ, დღეს ცოცხლები ვართ და ხვალ, ღმერთმა უწყის, ვის რა გველისო.

ჩიჩიკოვმა თანხმობა განაცხადა, მზად ვარ თუნდა ამ წუთში წავიდეთ სიგელის შესადგენად, და მოითხოვა გლეხების სია.

ამ გარემოებამ დაამშვიდა პლიუშკინი. ეტყობოდა, რაღაც გადაწყვიტა. მართლაც, აირო გასაღები, განჯინის პაწია კარი გამოაღო და დიდხანს იქექებოდა ჭიქებსა და ფინჯნებს შუა, ბოლოს წამოიძახა:

– აჰა და, ვერაფერსაც ვერ იპოვნი, მე კი მშვენიერი ლიქიორი მქონდა, ვინ იცის, დამილიეს კიდეც! ისეთი ქურდბაცაცა ხალხი მახვევია! აი, ეს ხომ არ არის? – ჩიჩიკოვმა მის ხელში პატარა გრაფინი დაინახა, რომელსაც ზემოდან დადებული მტვერი ჯუბასავით შემოხვეოდა. – ჩემი განსვენებული მეუღლის გაკეთებულია! – განაგრძო პლიუშკინმა, – გაიძვერა მეკუჭნავე ქალს ისე მიეგდო, თავი არც კი დაეხურა იმ საძაგელს! ათასი ჭიაღუითა და სიბინძურით ამოჩხორილიყო, ვიდრე თვითონ მე არ მოვეპატრონე და არ გამოვყარე. აი, ხომ ხედავთ, როგორი სუფთაა, კრიალა; ერთ ჭიქას ახლავე მოგართმევთ.

მაგრამ ჩიჩიკოვი შეეცადა უარი ეთქვა ასეთ ლიქიორზე იმ საბაბით, უკვე მაძღარი და ნასვამიც მოვედიო.

– მაშ ნასვამიც ხართ და ნასადილევიცა! – უთხრა პლიუშკინმა, – რაღა თქმა უნდა, კარგი საზოგადოების ადამიანს ყველგან იცნობ: ის არაფერს ჭამს, მაგრამ მაინც მაძღარია, სულ სხვაა ეს ქურდბაცაცები, რამდენიც გინდა აჭამო, სულ ერთია... რაღა შორს წავიდეთ, აი ეს ჩვენი კაპიტანი რომ მოვა, გულს გააწყალებს: «ჰაი, ძია, – მეუბნება, – ცოტა რამ მაჭამეო!» მე

კი მისთვის ისეთივე ძია ვარ, როგორც ის ჩემთვის პაპა. შინ ალბათ არაფერი აქვს საჭმელი და ასე იმიტომ დაწანწალებს. ჰო, მართლა თქვენ დაგჭირდებათ ამ მუქთახორათა რეესტრი. როგორც მახსოვს, ყველანი ცალკე ქაღალდზე მყვანან ჩამოწერილები, რომ რევიზიის პირველ მოთხოვნისთანავე ამოსაშლელად გადამეცა.

პლიუშკინმა სათვალე გაიკეთა და ქაღალდების ჩხრეკა დაიწყო. ნაირ-ნაირი შეკვრების გახსნისას სტუმარს ისეთი მტვრით გაუმასპინძლდა, რომ მან უნებურად ცხვირი დააცემინა. ბოლოს, როგორც იყო, პაწია ქაღალდი ამოიღო, რომელზეც გლეხების გვარები ისე ზედიზედ იყო მიყრილი, თითქოს მუმლი ერთმანეთს მიჰხუნძლიაო. აქ ყველანაირ გვარს ნახავდით: პარამონოვიც იყო, პიმენოვიც, პანტელეიმონოვიც და, წარმოიდგინეთ, სიიდან ვიღაც გრიგორი დოეზჟაი-ნე დოედეშმაც კი ამოჰყო თავი; სულ ას ოცზე მეტი სული გამოვიდა. ჩიჩიკოვს ღიმილი მოერია მიცვალებულთა ასეთ მრავალრიცხოვნებაზე. სია ჯიბეში შეინახა, თანაც პლიუშკინს უთხრა, რომ ნასყიდობის სიგელის შესადგენად იმასაც დასჭირდებოდა ქალაქში წასვლა.

– ქალაქშიო? მერე ეს როგორ შეიძლება?.. სახლი ვის დავუტოვო? ჩემი ხალხი ხომ ან სულ ქურდებია, ან გაიძვერა თვალთმაქცები: თუ გიდროვეს, ისე გაგცქვლეფენ, ტანისამოსის დასაკიდსაც აღარ შეგარჩენენ.

– რახან ასეა, იქნებ ვინმე ნაცნობი გყავდეთ?

– რომელ ნაცნობზე მეუბნებით? ვინც ნაცნობები მყვანდნენ, ყველანი ან დაიხოცნენ, ან გადამიცნეს. მაგრამ აჰ, ბატონო ჩემო! როგორ არა მყავს! – წამოიძახა მან. – ჩემი კარგი ნაცნობია თვით თავმჯდომარე. ძველ დროში, ოდესღაც, ხშირად დაიარებოდა ჩემთან. როგორ არ ვიცნობ! ერთად გავიზარდეთ, ღობეებზე სულ ერთად დავბობღავდით! ნაცნობი როგორ არა მყავს! ისეთი ნაცნობია, რომ... არა სჯობია, იმასთან მიგიწეროთ?

– რაღა თქმა უნდა, სჯობია!

– მაშ, მაშ! ჩვენ ისეთი ნაცნობები ვართ! სკოლაშიც ერთმანეთს ვმეგობრობდით.

ამ გახევებულ სახეზე უეცრივ გამოკრთა თბილი სხივი, რომელიც გამოხატავდა არა გრძნობას, არამედ გრძნობის რაღაც ფერმკრთალ ანარეკლს, მსგავსად იმისა, წყლიდან დამხრჩვალის მოულოდნელად ამოტივტივების დროს ნაპირზე სიხარულის კიჟინას რომ დასცემენ ხოლმე. მაგრამ გახარებული და-ძმები ამაოდ უგდებენ თოკს და მოელიან, იქნებ კიდევ გამოჩნდეს ზურგი ან ბრძოლით მოქანცული ხელებიო, – ვაი, რომ ეს ამოტივტივება უკანასკნელი იყო. ყველაფერი დაყრუვდა და გაცილებით უფრო საშინელი და უდაბური ეჩვენება მაყურებელთა თვალს დაწყნარებული და დადუმებული სტიქიის ზედაპირი. ასევე მოუვიდა პლიუშკინს. მის სახეზე უეცრივ გაელვებული გრძნობა უმალვე გაქრა და უფრო მეტად უგრძნობი და საძაგელი გამომეტყველება მიიღო.

– მაგიდაზე ქაღალდის სუფთა ფურცელი იყო, – თქვა მან, – არ ვიცი, სად ჯანდაბას უნდა გადავარდნილიყო: ისეთი საძაგელი ხალხი მახვევია! – აქ მოყვა იგი ფათურს, მაგიდის ქვეშაც შეიხედა, თვით მაგიდაზეც ეძება, ეძება და ბოლოს დაიძახა: – მავრა! ჰაი, მავრა!

ძახილზე გამოჩნდა ქალი, რომელსაც თეფშით მკითხველისათვის უკვე ნაცნობი კულიჩის ორცხობილა მოჰქონდა. მათ შორის აი რანაირი შეკამათება მოხდა:

– რა უყავი შე ყაჩაღანა, ქაღალდი?

– ღმერთმანი, ბატონო, არ მინახავს, გარდა იმ ქაღალდის ნაგლეჯისა, რომელიც თქვენ თვითონ დაახურეთ ჭიქას.

– მე კი თვალებში გატყობ, რომ აგიღია.

– აბა, რისთვის უნდა ამეღო? ან რა სარგებლობა უნდა მენახა, მე წერა-კითხვა არ ვიცი.

– სტყუი, მნათეს წაუღებდი: იმან იცის ბღაჯნა, ჰოდა, იმას წაუღებდი.

– მნათე თუკი მოისურვებს, თვითონვე იშოვის. რაში სჭირია მას თქვენი ქაღალდის ნაგლეჯი!

– მოიცა, ნახავ, რა დაგემართოს: საიქიოში ეშმაკები განგსჯიან და სულ რკინის შანთებით დაგდაღავენ! ნახავ, აი ნახავ, როგორ დაგდაღავენ!

– რაზე უნდა დამდაღონ, როცა ხელში არც კი მჭერია ის ნაგლეჯი? შეიძლება სხვა დედაკაცურ ცოდვაში დამდონ ბრალი, თორემ ქურდობა ჯერ ჩემთვის არავის შეუწამებია.

– მე კი გეუბნები, ეშმაკები შანთებით დაგდაღავენ-მეთქი! «აი, ესეც შენ, შე გაიძვერა, – გეტყვიან ეშმაკები, – რატომ ატყუებდი შენს ბატონსაო!» და სულ გავარვარებული შანთებით დაგიდაღავენ მაგ გვერდებს!

– მეც ავდგები და ვეტყვი, «ღმერთმანი, ტყუილად მიწყრებით, არ ამიღია და რა ვქნა-მეთქი...» მაგრამ აბა ეგ ქაღალდი არაა, მანდ რომ გდია? სულ ტყუილად იცით ხოლმე ჩემი გინება!

პლიუშკინმა მაგიდაზე მხოლოდ ახლა შეამჩნია ის ქაღალდი, ერთხანად შედგა, ტუჩები ააცმაცუნა და მერე უთხრა:

– ახლა, რა იყო, რომ ენა ააჭარტალე და აიკელი აქაურობა? რა შარიანი დედაკაცია! სიტყვა არ დამცდება, ათი არ შემომიბრუნოს! წადი, ცეცხლი მოიტანე, რომ წერილი დავბეჭდო, მაგრამ მოიცა, ემანდ შენ ქონის სანთელს არ წაატანო ხელი, ქონი ძალიან მალე დნება: დაიწვება და გათავდა, მარტო ზარალია, შენ ისევ კვარი მომინახე.

მავრა წავიდა. პლიუშკინი სავარძელში ჩაეშვა, აიღო კალამი და დიდხანს, ძალიან დიდხანს ატრიალა ქაღალდის ნაგლეჯი. იმის საგონებელში იყო, როგორ მოენარჩუნებინა მოსახევად კიდევ პატარა ნაგლეჯი, მაგრამ როცა დარწმუნდა, ეს შეუძლებელიაო, კალამი ამოაწო მელანში, რომელიც ბუზებითა და ობით ჩამყრალებულიყო, და ხელი მიჰყო წერას. ასოები ერთგვარი მუსიკალური ნიშნების სახით გამოჰყავდა, თან ხელის კანკალს იკავებდა. სტრიქონი სტრიქონზე ძუნწად ჩააჟიჟმატა და მთელი ნაგლეჯი ამოავსო, თუმცა გული მაინც წყდებოდა, ბევრი თავისუფალი ადგილი მრჩებაო.

რაოდენ არარაობამდე, წვრილმანობამდე და სისაძაგლემდე არ ეშვება ადამიანი! ნუთუ შესაძლებელია ასეთი ცვლილება? ნუთუ ეს სიმართლეს ჰგავს? ყველაფერი ჰგავს სიმართლეს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს ადამიანის თავს. დღევანდელი სიცოცხლით და გზნებით სავსე ყრმა შეძრწუნებული უკან გახტებოდა, მისთვის რომ საკუთარი მოხუცობულობის სურათი ეჩვენებინათ. მაშ, ეცადეთ და თან გაიყოლეთ ყველა ადამიანური ღირსება, როცა ნაზი ყრმობიდან დავაჟკაცების სასტიკ ხანაში შესდგამთ ფეხს, ეცადეთ შუა გზაზე არ დასტოვოთ ისინი, ვინაიდან მათი ხელახლა აღება შემდეგ ყოვლად შეუძლებელი იქნება! მრისხანე და ყოვლად შემზარავია მომავალი სიბერე, უკან აღარაფერს იძლევა! საფლავი გაცილებით უფრო შემწყალებელია, ვიდრე ის, ვინაიდან საფლავზე ეს მაინც დაიწერება: «აქ განისვენებს ადამიანიო!» მაგრამ ვერაფერს წაიკითხავთ ულმობელი სიბერის გაყინულ და უგრძნობელ სახეზე.

– ხომ არ გეგულებათ ვინმე ისეთი მეგობარი, – უთხრა პლიუშკინმა, როცა წერილი შეკეცა, – ვისაც ლტოლვილი ყმები უნდოდეს?

– აჰა, თქვენ ლტოლვილებიცა გყვანან? – სწრაფად იკითხა გონზე მოსულმა ჩიჩიკოვმა.

– საქმეც ისაა, რომ მყვანან. ჩემმა სიძემ საკითხის გამორკვევა ითავა, მაგრამ ბოლო ვერ მიადევნა და იმედი გადამიწყვიტა: მათი ასავალ-დასავალი სულ ერთიანად გამქრალაო. მაგრამ ეგ ხომ სამხედრო კაცია, მარტო დეზების წკარაწკურის ოსტატი. აი, სასამართლოსთვის რომ მიმემართნა და მეცადნა...

– მაინც სულ რამდენი სული იქნება გაქცეული?

– ასე, სამოცდაათ კაცამდე იქნება.

– რას მეუბნებით?

– ღმერთმანი, მართლა! ყოველ წელს გარბიან. მეტისმეტად ღორმუცელა ხალხია, უსაქმურობისაგან გაუთავებელ ჭამას დაეჩვივნენ, მე კი რა შემიძლია, როცა ჩემთვისაც არ მაქვავია საჭმელი... იმ გაქცეულებში კი რასაც გადმომიგდებდნენ, მადლობელი ვიქნებოდი. მაშ, ურჩიეთ თქვენს მეგობარს: ერთი ათიოდე რომ იპოვოს, კარგ მოგებას ნახავს. რევიზიაში გატარებული სული ხომ ხუთასი მანეთი მაინც ფასობს.

«არა, ძამია, აქ მეგობარს არც კი ვასუნებინებ», – თქვა გუნებაში ჩიჩიკოვმა და შემდეგ განუმარტა, რომ ასეთი მეგობარი არ მოეძევება, ვინაიდან, რაც ამ საქმეზე გასავალი იქნება, გაცილებით მეტი გამოვა, ვიდრე თვითონ სულები ღირან. სასამართლოს კაცი სათოფედ არ უნდა მიეკაროს, მაგრამ თუ მართლა ეგრე შეწუხებული ხართ, მე, როგორც თქვენდამი თანაგრძნობით განმსჭვალული ადამიანი, მზად ვარ ამ შემთხვევაშიც დაგეხმაროთ... თუმცა ეს ისეთი უმაქნისი რამეა, რაც სალაპარაკოდ არც კი ღირსო.

– მაინც რამდენს მომცემდით? – ჰკითხა პლიუშკინმა და სიხარბისაგან ვერცხლისწყალივით აუცახცახდა ხელები.

– სულზე ოცდახუთ კაპიკს გავიღებდი.

– ნაღდზე ყიდულობთ თუ ნისიად?

– ფულს ახლავე დაგითვლით.

– ეგ კარგია, მაგრამ, ბატონო ჩემო, შეიწყალეთ ჩემი უმწეობა და სიღატაკე, ორმოც-ორმოცი კაპიკი მაინც გამოიმეტეთ.

– პატივცემულო! – მიუგო ჩიჩიკოვმა, – არათუ ორმოც-ორმოც კაპიკს, ხუთას-ხუთას მანეთსაც მოგართმევდით, ვინაიდან ვხედავ, რომ მეტად პატივცემული და კეთილი მოხუცი ბრძანდებით, რომელიც ამდენ რამეს ითმენთ თქვენივე გულკეთილობის გამო.

– ოღონდაც რომ ასეა! ღმერთმანი, მართალს ლაპარაკობთ, – უთხრა პლიუშკინმა, თავი დახარა და საცოდავად გააქნ-გამოაქნია: – სულ გულკეთიკობით მომდის ასე.

– აი, ხომ ხედავთ, როგორ სწრაფად მიგიხვდით გულისნადებს და ხასიათსა. მაშ, რატომაც არ მოგცემდით ხუთას-ხუთას მანეთს თითო სულზე, მაგრამ... შეძლება არა მაქვს. ინებეთ, ხუთ-ხუთ კაპიკსაც დაგიმატებთ, რომ თითო სულზე ამნაირად ექვს-ექვსი შაური გამოვიდეს.

– კიდევ ორ-ორი კაპიკიც დამიმატეთ, ჩემო ბატონო.

– კეთილი, ორ-ორ კაპიკსაც დავურთავ, ინებეთ. სულ რამდენი სულიაო? ვგონებ, სამოცდაათი ბრძანეთ.

– არა. სულ სამოცდათვრამეტი კაცია.

– სამოცდათვრამეტი, სამოცდათვრამეტი ექვს-ექვს შაურობაზე გამოვა... – აქ ჩვენი გმირი ერთი წუთით შეჩერდა და ბოლოს უეცრივ მოჭრა: – გამოვა ოცდაოთხი მანეთი და ოთხმოცდათექვსმეტი კაპიკი! – ჩიჩიკოვი ანგარიშში ძლიერი გახლდათ. მაშინვე პლიუშკინს ხელწერილი დააწერინა და ფული გადასცა. პლიუშკინმა ორივე ხელით ჩამოართვა ფული და ისე ფრთხილად წაიღო ბიუროში შესანახად, თითქოს რაღაც სითხე

მიაქვს და ეშინია, არ გადმომეღვაროსო. ბიუროსთან მისვლისას ერთხელ კიდევ გადაათვალიერა ფული და უაღრესი სიფრთხილით შეინახა ერთ-ერთ ყუთში, სადაც, უეჭველია, ფულს იმ დრომდე ეწერა დამარხული ყოფილიყო, ვიდრე მამა კარპი და მამა პოლიკარპი, მისი სოფლის ორი მღვდელი, თვითონ იმასაც არ დამარხავდნენ მისი ქალიშვილისა და სიძის სასიხარულოდ, შეიძლება იმ კაპიტნის საბედნიეროდაც, რომელიც ნათესავად მიეტმასნა. როცა ფული გადამალა, პლიუშკინი სავარძელში ჩაეშვა. ეტყობოდა, სასაუბრო რამ საგანი აღარ ჰქონდა.

– რაო, უკვე წასვლას აპირებთ? – წამოიძახა მან, რაწამს შენიშნა, ჩიჩიკოვი შეინძრაო, თუმცა ჩვენს გმირს მხოლოდ ცხვირსახოცის ამოღება ეწადა.

ამ შეკითხვამ ჩიჩიკოვს გაახსენა: რომ მართლაც დაყოვნება არას არგებდა.

– დიახ, დრო არის! – მიუგო მან და ქუდი აიღო.

– მერე ჩაი?

– არა, ჩაი სხვა რომელიმე დროსთვის იყოს.

– კი მაგრამ მე ვუბრძანე სამოვარი დაედგათ. ჩემ თავად მე ჩაის დიდი მოტრფიალე არ გახლავართ. ძვირი სასმელია, შაქრის ფასიც უსაშველოდ ასწიეს. პროშკა! სამოვარი საჭირო აღარაა! ორცხობილა მავრას წაუღე, გესმის? ისევ იმავე ადგილას დადოს. ანდა მოიცა, აქ მოიტა, მე თვითონ წავიღებ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ: წერილი კი თავმჯდომარეს გადაეცით. დიახ, წააკითხეთ ეს წერილი, ის ჩემი ძველი ნაცნობია. რა ბრძანებაა, ჩვენ ერთად გავიზარდენით!

ამის შემდეგ ამ უცნაურმა მოვლენამ, ამ მობღუნძულმა მოხუცმა ეზოს კარამდე მიაცილა ჩიჩიკოვი, მერე უბრძანა, ჭიშკარი დაუყოვნებლივ ჩაეკეტათ, შემოიარა საკუჭნაოები, რათა დაეთვალიერებინა, ხომ თავთავის კუთხეებში იდგნენ დარაჯები, ხის ნიჩბებით თუჯის ნაჭრის ნაცვლად ცარიელ კასრებს რომ არახუნებდნენ; ბოლოს შეიხედა სამზარეულოში, თითქოს იმის გასაგებად, რამდენად კარგად ჭამდნენ მისი შინაყმები, ნამდვილად კი ლაზათიანად გამოძღა შჩით და ქაშით და, რა მილანძღ-მოლანძღა ყველანი ქურდობისა და ცუდი საქციელისათვის, ისევ თავის ოთახს დაუბრუნდა. როცა მარტოდმარტო დარჩა, ისიც კი გაიფიქრა, როგორ გადაეხადა სტუმრისათვის მადლობა მართლაცდა ასეთი უმაგალითო დიდსულოვნებისათვის. «ჯიბის საათს ვაჩუქებ, – გაიფიქრა მან – ძალიან კარგი საათია, სპილენძის ან ბრინჯაოსი ხომ არაა, სუფთა ვერცხლია. მართალია, ცოტა გაფუჭებულია, მაგრამ მოახერხებს გაკეთებას; ეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია, ჯიბის საათი დასჭირდება, რომ თავის დანიშნულს თავი მოაწონოს! მაგრამ არა, – დაუმატა ორიოდე წუთის მოფიქრების შემდეგ, – ისევ სჯობს, ანდერძით დავუტოვო, რომ სიკვდილის შემდეგ მომიგონოს ხოლმე».

თუმცა ჩვენი გმირი უსაათოდაც ძალიან გახარებული გახლდათ. ასეთი მოულოდნელი შენაძენი პირდაპირ საჩუქარს უდრიდა. მართლაც, ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ მან შეიძინა არა მარტო მკვდარი სულები, არამედ ლტოლვილებიც, და ისიც ორას კაცზე მეტი! პლიუშკინის სოფელს რომ მიადგა, რა თქმა უნდა, უკვე იყნოსა, რომ კარგა გამოსარჩენ ბუნაგს მიაგნო, მაგრამ თუ ასეთი სარგებლიანი იქნებოდა, ამას კი ვეღარ წარმოიდგენდა. მთელი გზა არაჩვეულებრივ მხიარულად გაატარა: უსტვენდა, ტუჩებს ათამაშებდა, პირთან მუშტს ისე იჭერდა, თითქოს სტვირზე უკრავსო, და ბოლოს იმდენად უჩვეულო სიმღერა წამოიწყო, რომ თვით სელიფანმაც კი მიუგდო ყური, მიუგდო და ბოლოს თავი გააქნ-გამოაქნია და თავისთვის წაილაპარაკა:

«შეხე, ბატონი როგორ მღერის!» უკვე კარგად შებინდებული იყო, როცა ქალაქთან მივიდნენ. ჩრდილი და სინათლე ერთმანეთში ირეოდა და თითქოს საგნებიც ერთმანეთში არეულიყო. ჭრელმა შლაგბაუმმა რაღაც გამოურკვეველი ფერი მიიღო; სადარაჯოზე მდგარ გუშაგს თითქოს ულვაშები შუბლზე გამოსხმოდა, თვალებზე ბევრად მაღლა, ცხვირი კი თითქოს სულაც გაჰქრობოდა. რახრახმა და ხტუნაობამ ამცნო ჩიჩიკოვს, რომ ბრიჩკა ქვაფენილზე მიდიოდა. ფარნები ჯერ არ აენთოთ, აქა-იქ ფანჯრებიდან სინათლის შუქი გამოკრთოდა, ხოლო მოსახვევებსა და ბნელ კუნჭულებში თამაშდებოდა ის სცენები და გაისმოდა ის ლაპარაკი, როგორც ყველა იმ ქალაქში, სადაც ბევრია სალდათები, მეეტლეები, მუშა ხალხი და განსაკუთრებული ჯურის მანდილოსნები წითელშალმოსხმულნი უწინდოდ რომ დაძრწიან ღამურებივით ყოველ გზაჯვარედინზე. ჩიჩიკოვს არც კი შეუნიშნავს ისინი, არ შეუნიშნავს თვით ხმელ-ხმელი მოხელეებიც კი, რომელნიც თავისი წვრილი ჯოხებით, უეჭველია, უკვე სეირნობიდან შინ ბრუნდებოდნენ. ათასში ერთხელ ჩიჩიკოვის ყურს თითქოს ქალის ხმაც სწვდებოდა: «სტყუი, ლოთო სალახანავ! არასოდეს მისთვის ამისთანა ტლანქი რამის ნება არ მიმიცია!» ანდა «ხელს ნუ იკვრევინები, შე ხეპრე, წამოდი უბანში და იქ დაგიმტკიცებ ყველაფერს...» ერთი სიტყვით, ის სიტყვები, რომელიც მდუღარესავით გადაესხმება ხოლმე ოცნებით გატაცებულ ოცი წლის ჭაბუკს, როცა თეატრიდან ბრუნდება და თავში ჯერ ისევ უტრიალებს ესპანეთის ქუჩები, წარმტაცი ღამე და ლამაზკულულებიანი მომხიბვლელი ქალი გიტარით ხელში. ვინ მოსთვლის, რაღა არ მოდის თავში და რაზე არ ოცნებობს – ცაში დაჰფრინავს, შილერთანაც შეივლის სტუმრად, – უეცრივ კი გრგვინვა-ქუხილივით თავს დაატყდება ეს უწმაწური სიტყვები და ისიც ფხიზლდება, ხედავს, რომ ისევ მიწაზე ბობღავს, ისევ სენაიაზეა, სამიკიტნოს მახლობლადაც კი, და ისევ თავის მშვენიერ სურათებს უშლის წინ ცხოვრების ყოველდღიურობა.

ბოლოს, როგორც იყო, ბრიჩკამ ერთი ნახტომიც გააკეთა და თითქოს ორმოში ჩაეშვაო, შევიდა სასტუმროს ეზოში, სადაც ჩიჩიკოვს შემოეგება პეტრუშკა, რომელსაც ცალი ხელით სერთუკის კალთა ეჭირა, ვინაიდან არ უყვარდა, რომ კალთები შლაგაშლუგით ფეხებში მოსდებოდა, მეორე ხელით კი ბატონს შეეშველა ბრიჩკიდან გადმოსვლის დროს. სასტუმროს ბიჭსაც არ დაუყოვნებია, ისიც გარეთ გამოიჭრა, თან მოჰქონდა სანთელი, მხარზე კი ხელსაწმენდი ეკიდა. ძნელია იმის თქმა, გაუხარდა თუ ეწყინა პეტრუშკას ბატონის დაბრუნება, ყოველ შემთხვევაში მან და სელიფანმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს, რის შემდეგაც მისმა ჩვეულებრივ პირქუშმა სახემ თითქოს რამდენადმე გამოიდარა.

– დადხანს ინებეთ სეირნობა, – უთხრა ჩიჩიკოვს სასტუმროს ბიჭმა და თან კიბე გაუნათა.

– მართლაც რომ კარგა შემაგვიანდა, – მიუგო ჩიჩიკოვმა, როცა კიბეზე ფეხი ასდგა, – შენა, შენ როგორღა ხარ?

– მადლობა ღმერთს, არა მიშავს რა, – მიუგო სასტუმროს ბიჭმა და თავი დაუკრა, – გუშინ ვიღაც სამხედრო პირი მოვიდა, პორუჩიკი, მეთექვსმეტე ნომერში დადგა.

– პორუჩიკიო?

– არ ვიცი, ვინ არის, რიაზანიდან ვარო, მოწითალო ცხენებით მოვიდა.

– კარგი, კარგი, შემდგომაც ყოჩაღად მოიქეცი! – უთხრა ჩიჩიკოვმა და თავის ოთახში შევიდა. როცა წინკარი გაიარა, ჩიჩიკოვმა ცხვირი მოიგრიხა და პეტრუშკას უსაყვედურა: – რა არის, ფანჯრები მაინც გაგეღო!

– როგორ არა, ვაღებ ხოლმე! – მიუგო პეტრუშკამ, თუმცა აშკარად იცრუა. ჩიჩიკოვმაც შეატყო რომ მტკნარი სიცრუე იყო, მაგრამ აღარ გაეკამათა. მგზავრობის შემდეგ დიდ დაღლილობას გრძნობდა. მსუბუქი ვახშამი მოითხოვა, რომელიც შედგებოდა მხოლოდ შემწვარი გოჭის ნაჭრებისაგან, სახელდახელოდ შეჭამა, მაშინვე გაიხადა, საბანში გაეხვია და დაიძინა, დაიძინა სიამოვნებით, როგორც იძინებენ მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი ადამიანები, რომელთაც არ აწუხებთ არც ბუასილი, არც რწყილები და არც განსაკუთრებული ნიჭი და ჭკუა.

თავი მეშვიდე

ბედნიერია მგზავრი, რომელიც ხანგრძლივი და მოსაწყენი მგზავრობის შემდეგ თავს გაართმევს ყინვა-სიცივეს, თოვლჭყაპს, ტალახს, გამოუძინებელ სადგურის ზედამხედველებს, ზარების წკარუნს, ეტლის შეკეთება-შემოკეთებას, ლანძღვა-გინებას, მეეტლეებს, მჭედლებსა თუ ყველა ჯურის გზის არამზადებს, ბოლოს თვალს მოჰკრავს ნაცნობი შენობის სახურავს, საიდანაც გამოკრთის შუქი, წინ გაეშლება ნაცნობი ოთახები, შემოგებებული ხალხის მხიარული ჟრიამული, ხმაური, ბავშვების ცქრიალი, გულის მალხინებელი სიტყვები, რომელთაც წამდაუწუმ სწყვეტს მხურვალე კოცნა, რაც ერთიანად სპობს და გონებიდან ამოშლის ხოლმე ყველანაირ დარდსა და ვარამს. ბედნიერია ოჯახის პატრონი, ვისაც ასეთი კუთხე მოეპოვება, მაგრამ ვაი მარტოხელა ადამიანს!

ბედნიერია მწერალი, რომელიც გვერდს აუხვევს მოსაწყენ და გულამრეზ ხასიათებს, რომლებიც გვაოცებენ თავიანთი სავალალო ხვედრით, და მიუახლოვდება ხასიათებს, რომლებიც გამოგვივლენენ ადამიანის მაღალ ღირსებას, მწერალი, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების მორევში მოტივტივე ხასიათებიდან ირჩევს მხოლოდ იშვიათ გამონაკლისებს, არასოდეს არ უღალატებს თავის ჩანგის უზენაეს დანიშნულებას, მწვერვალიდან დაბლა არ დაეშვება თავის ღარიბსა და არარაობად ქცეულ

თანამოძმეებთან, დედამიწაზე ფეხს არ დასდგამს და მთელი არსებით ჩანთქმულია განდიდებულ ხასიათებში. ორმაგად შესაშურია მისი უმშვენიერესი ხვედრი: მათ შორის იგი თავს გრძნობს, როგორც მშობლიურ ოჯახში; ხოლო მისი დიდების ხმა შორად-შორს გაისმის. მან მომაჯადოებელი გუნდრუკის კმევით უკვე მოხიბლა ხალხის თვალი, მოხიბლა იმით, რომ დაფარა ცხოვრების ვარამი და აჩვენა მშვენიერი ადამიანი. ყველა ტაშისცემით მისდევს და მიქრის მისი მსრბოლავი ეტლის კვალზე. მას უწოდებენ მსოფლიოს უდიდეს პოეტს, რომლის სახელიც ისევე მაღლა დატრიალებს თავზე სხვა გენიოსების სახელებს, როგორც ამაყად დალივლივებს არწივი დანარჩენ მაღლა მფრინავ ფრინველთ. მარტო ერთი მისი სახელის გაგონებაზე სიხარულით თრთიან ახალგაზრდათა მხურვალე გულები და საპასუხოდ ნაზი ცრემლებით ევსებათ თვალები... არავინაა მისი ტოლი, ის თვით ღმერთია! მაგრამ ასეთი როდია ხვედრი და ბედი მწერლისა, რომელიც გაკადნიერდება და გამოავლენს იმას, რაც ყოველ წუთს თვალში გვეჩხირება და რასაც ვერ ამჩნევს გულგრილად მაყურებელი თვალი, – გამოავლენს წვრილმანობის საზარელ წუმპეს, რასაც მოუცავს მთელი ჩვენი ცხოვრება, მთელ სიღრმეს ცივი და დაქუცმაცებული ჩვეულებრივი ხასიათებისას, რომლებითაც დაფარულია ჩვენი ამქვეყნიური, ზოგჯერ მწარე და მეტად მოსაწყენი ცხოვრების გზა, და თავისი ულმობელი საჭრეთლით თავხედურად ცდილობს, ამოჭკვეთოს და მთელი სიცხადით გამოჭფინოს საყოველთაო სახილველად! ის ვერ ეღირსება ხალხის ტაშს, ვერ ეღირსება იხილოს გულითადობის ცრემლები, ერთსულოვანი აღმაფრენა აღელვებული გულებისა, მასთან არ გამოფრთხიალდება თექვსმეტი წლის გოგონა თავბრუდასხმული გმირული აღტყინებით? მას ვერ დაავიწყებინებს თავს მისივე გულიდან აღმომხდარი სათუთი ხმები; დაბოლოს ვერსად გაექცევა თანამედროვე მსაჯულთ, რომელნიც მის ნალოლიავებ ნაწარმოებს უწოდებენ არარაობას და ყოვლად უმნიშვნელო შემოქმედებას, მწერალთა შორის მას მიუჩენენ ათვალწუნებულ კუთხეს, როგორც კაცობრიობის შეურაცხმყოფელს, მასვე მიაწერენ მისი გმირების თვისებებს, წაართმევენ სულსა და გულს და უდავო ნიჭის ღვთიურ ცეცხლს. რამეთუ არ უწყიან თანამედროვე მსაჯულთა, რომ თანაბრად საუცხოოა მინები, რომელნიც მზესაც უცქერენ და თვით უმნიშვნელი ჭიაღუის მოძრაობასაც, რამეთუ არა სწამთ თანამედროვე მსაჯულთ, რომ საჭიროა დიდი სულიერი სიღრმე, რათა გააშუქო და შემოქმედების მარგალიტად აამზეურო ათვალწუნებული ცხოვრებიდან აღებული სურათი. რამეთუ არა სწამთ თანამედროვე მსაჯულთა, რომ წმინდა, აღფრთოვანებული სიცილი ღირსია გვერდში ამოვუყენოთ ლირიკულ განცდებს და რომ ასეთ სიცილსა და ტაკიმასხარის მანჭვას შორის მთელი უფსკრულია! თანამედროვე მსაჯულნი არა სცნობენ ყველა ამას და ყველაფერს საყვედურითა და გაკიცხვით თავზე აყრიან. მწერლობიდან გარიყული უთანაგრძნობოდ, უპასუხოდ, ყველასგან განწირული, როგორც უპატრონო მგზავრი, მარტოდმარტო დარჩება იგი შუა გზაზე. სასტიკია მის წინ გადაშლილი ასპარეზი და მძიმედ განიცდის იგი თავის მარტოობას.

განგების ძალით მისჯილი მაქვს კიდევ დიდხანს ვიარო ხელიხელჩაკიდებული ჩემს უცნაურ გმირებთან ერთად, ვუმზირო ამ მსრბოლავ ცხოვრებას, ვუმზირო ქვეყნისათვის საჩინო სიცილით და მისთვის უხილავი, უცნობელი ცრემლებით! ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როდესაც სულ სხვა შადრევნად ამოხეთქავს შემოქმედების მრისხანე ქარიშხალი

ღვთაებრივ აღშფოთებით ატანილ შარავანდედმოსილ თავს და შიშის ცახცახით შეიგრძნობს ყველა სხვაგვარი სიტყვების გრგვინვასა და დიად ხმას.

მაშ, გზას გავუდგეთ, გზას! შორს ჩვენგან შეჭმუხნული შუბლი და მოღუშული სახე! ერთბაშად და სწრაფად ჩავიყურყუმელაოთ ამ აურზაურითა და ხმაურით სავსე ცხოვრებაში და ვნახოთ, რას აკეთებს ჩიჩიკოვი.

ჩიჩიკოვმა გამოიღვიძა, ხელ-ფეხი გაჭიმა და იგრძნო, რომ კარგად გამოეძინა. ორიოდე წუთი პირაღმა იწვა, ხელი გაატკაცუნა და პირგაბადრულმა გაიხსენა, რომ მას ახლა ოთხას სულამდე მაინც ჰყავს. უმალვე წამოხტა ლოგინიდან, არც კი შეუხედნია საკუთარი სახისათვის, რომელიც ასე გულწრფელად უყვარდა და რომელშიც, თუ არ ვცდები, ყველაზე სახარბიელოდ ღაბუა ნიკაპი მიაჩნდა, ვინაიდან მეგობრების წინაშე ამით ხშირად თავი მოსწონდა, განსაკუთრებით, თუ ეს პარსვის დროს ხდებოდა. «აბა შემომხედეთ ნიკაპზე, – ამბობდა ამ დროს ჩვეულებრივ და თან ხელს მოისვამდა, – როგორი მრგვალია!» მაგრამ ამჯერად ნიკაპზე არც კი დაიხედა, არცთუ სახის მოყვანილობა გახსენებია, არამედ, პირველ ყოვლისა, ამოიცვა კემუხტის ჩექმები, რომლის ყელები მოზარნიშებული ტყავით კოხტად იყო გაწყობილი, რითაც ასე განთქმულია ქალაქი ტორჟოკი რუსული უდარდელი ბუნების მიდრეკილების თანახმად, შოტლანდიელივით მოკლე პერანგის ანაბრად იდგა, მიივიწყა თავისი წლოვანება და სიდარბაისლე და ორჯერ ზედიზედ ისე შეიკუნტრუშა, რომ ქუსლი უკან შემოირტყა. შემდეგ იმავე წუთს უკვე საქმეს შეუდგა: ჯერ სამგზავრო ყუთთან მივიდა და ხელები ისეთივე სიამოვნებით მოიფშვნიტა, როგორც მოიფშვნეტს მართლმსაჯულების შესასრულებლად წასული მოუსყიდველი ერობის მოსამართლე საუზმის წინ, და დაუყოვნებლივ საჭირო ქაღალდები ამოალაგა. მას უნდოდა ყველაფერი ჩქარა მოეთავებინა და სახვალზეგიოდ არ გადაედო საქმე. გადაწყვიტა საკუთარი ხელით შეედგინა ნასყიდობის სიგელები, დაეწერა და სუფთად თვითონვე გადაეწერა, რომ მოხელეებზე ზედმეტი ხარჯი არ მოსვლოდა. ფორმალური მხარე სიგელების შედგენისა მან კარგად იცოდა. როგორც წესია და რიგია, თამამად და მსხვილი ასოებით დაიწყო: «ათას რვაას ესა და ეს წელი», შემდეგ წვრილად მიაყოლა «ესა და ეს მემამულე» და სხვა, რაც კი საჭიროა სიგელის დასაწერად. ორიოდე საათში ყველაფერი უკვე მზად გახლდათ. როცა თვალი გადაავლო ამ ნაწერ ფურცლებს, გლეხების გვარებს, რომლებიც ოდესღაც მართლაც ცოცხალი გლეხები იყვნენ, მუშაობდნენ, ხნავდნენ, ლოთობდნენ, ქირაზე დადიოდნენ თუ ბატონებს ატყუებდნენ, ანდა შეიძლება კარგი გლეხებიც იყვნენ, მასში უეცრივ რაღაც უცნაურმა, მისთვის გაურკვეველმა გრძნობამ იფეთქა. ისე მოეჩვენა, თითქოს თითოეულ ამ ბარათთაგანს რაღაც განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა, რის გამოც თვითონ გლეხებსაც თავთავიანთი განსაკუთრებული ხასიათი ეძლეოდათ. კორობოჩკას გლეხები სულ შერქმეული მეტსახელებით იყვნენ აჭრელებულნი. პლიუშკინის ბარათზე ყველაფერი მოკლედ იყო ჩაწიკწიკებული: ხშირად სახელი და მამის სახელი სიტყვის დამწყები ასოებით იყო აღნიშნული, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე ორ-ორი წერტილი. სობაკევიჩის რეესტრი თვალს აოცებდა სისრულითა და სფუძვლიანი გადმოცემით, თუ რომელი გლეხი რა თვისების ან რა ღირსებისა იყო. ერთი სიტყვით არც ერთი მხარე არ იყო დავიწყებული; ერთზე ნათქვამი გახლდათ: «ძალიან კარგი დურგალიაო», მეორეზე მიემატებინა: «საქმე იცის და სასმელს არ ეტანებაო». ასევე საფუძვლიანად აენუსხა, ვინ იყო

განსვენებულის მამა, დედა, და რა ყოფაქცევისა იყვნენ ორივენი; მხოლოდ ვიღაც ფედოტოვისთვის მიეწერა: «მამის ვინაობა არ ვიცით, დედით კი ჩვენი შინაყმა ქალის კაპიტოლინას შვილია, ძალიან კარგი ხასიათისაა, არც ქურდიაო». ეს დაწვრილებითი ცნობები იმდენად ცოცხალ სახეს იძლეოდა, თითქოს გლეხები გუშინაც ცოცხლები იყვნენ. დიდხანს უყურა ამ სახელებს და ბოლოს გულმტკივნეულად ამოიოხრა: «ღმერთო ჩემო, აქ რამდენი ჩამოუწერიხართ! ნეტა რას აკეთებდით, ჩემო საყვარელნო, თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების სარბიელზე? როგორ ეწეოდით ცხოვრების ჭაპანს?» და თვალები უნებურად ერთ გვარს შეაჩერა: ეს გახლდათ ჩვენთვის უკვე ნაცნობი პეტრე საველიევ ნეუვაჟაი-კორიტო, რომელიც ოდესღაც ქალბატონ კორობოჩკას ეკუთვნოდა. მან ვეღარ მოითმინა და ახლაც შენიშნა: «უჰ, რა გრძელი რამაა, მთელ სტრიქონზე არ გაიჭიმა! ვინ იცის, ვინ იყავი: ხელოსანი თუ უბრალო გლეხი, ან რა სიკვდილით განუტევე სული? დუქანში ამოიღრძე თავი თუ გზად მძინარეს ფორანმა გადაგიარა? პრობკა სტეფან, დურგალი, სიფხიზლის იშვიათი ნიმუში! ოჰო! აი კიდევ ეს სტეფან პრობკა, დევგმირი, რომელიც გვარდიისათვის ივარგებდა! ვინ იცის, იქნებ მთელი გუბერნიაც კი მოიწანწალე, წელში ცული გერჭო და მხრებზე ჩექმები გადაგეგდო, ერთ ნატეხ პურსა და გამხმარ თევზზე გადადიოდი, ოღონდ შინ ვერცხლის მანეთიანები მიგეტანა, შეიძლება «სამეფოსაც» ტილოს შარვალში იკერებდი, ანდა ჩექმის ყელში იმალავდი. სად ხარ ახლა, სად აღმოგხდა სული? ვინ იცის, საყდრის გუმბათზე აძვერი, რომ უფრო მეტი შეგეძინა, შეიძლება ჯვარზეც აცოცდი, კადონიდან მოსხლეტილი დაგორდი და ძირს ბრაგვანი გაიღე. მაშინ მხოლოდ ვიღაც ძია მიხეი მოვიდა, თავზე დაგადგა და კეფის ფხანვით გითხრა: «ვაი შე ბედშავო ვანია, ეს რა ჰქენიო!» და იმავე წუთში თოკი წელზე გამოიბა და შენს ნაცვლად აცოცდა მაღლა. მაქსიმ ტელიატნიკოვი, მეჩექმე. ჰე-ჰე, მეჩექმე! «ლოთი ხარ, როგორც მეჩექმეო», ამბობს ანდაზა. გიცნობ, გიცნობ, ჩემო კეთილო! თუ გინდა ახლავე მთელ შენს ცხოვრებას მოგიყვები: შენ გერმანელთან სწავლობდი, რომელიც ყველას ერთად გაჭმევდა და თასმით ზურგს გიჭრელებდა, ვიდრე სისუფთავეს და წესიერ სამუშაოს შეგასწავლიდა; ქუჩაში არ გიშვებდა სალაზღანდაროდ, შენც მის ხელში მეჩექმე კი არა, პირდაპირ სასწაულმოქმედი იყავი, გერმანელი სულ შენს ქებაში იყო ცოლთან ან «კამრადთან». აგერ, გათავდა შენი სწავლაც და გუნებაში გაამაყდი: «მიყურეთ ერთი აი, მალე სახლ-კარს გავიჩენ, ისე კი არ მოვიქცევი, როგორც გერმანელი, რომელიც კაპიკს კაპიკზე აწებებს, არამედ ხელად გავმდიდრდები». ჰოდა, ბატონს ბარაქიანი ღალა გადაუხადე, რაღაც ხუხულა დუქანი გაიკეთე, მთელი რიგი დაკვეთები აიღე და მიჰყე მუშაობას. სადღაც იშოვე იაფიანი დამპალი ტყავი და მართლაც ორჯერ თუ სამჯერ მეტი მოიგე თითო ჩექმის შეკერვაზე. მაგრამ ორი კვირის შემდეგ ის ჩექმები რომ დაიხა, კარგა გამოგთათხეს. შენი დუქანიც ნელ-ნელა დაცარილედა, შენ ლოთობა დაიწყე, ქუჩა-ქუჩა წუმპეებში მოჰყე გორაობას და წყევლა-კრულვას: «ძნელია ამ ოხერ ქვეყნიერებაზე ცხოვრება! რუს კაცს არ ეცხოვრება, სულ გერმანელები გვიშლიან ხელსო». ეს კი ვინ გლეხია: ელიზავეტა ვორობეი. აი, ეშმაკსაც წაუღია შენი თავი და ტანი, ეს ხომ დედაკაცია! საიდან ჩამოეჩხირა? რა გაიძვერა რამაა ეს სობაკევიჩი, აქაც მომატყუა! ჩიჩიკოვი მართალი იყო: ეს მართლა დედაკაცი გახლდათ. როგორ და რანაირად გამოტყვრა, არავინ უწყის, მაგრამ ისე ოსტატურად ჩატმასნებულიყო, რომ შორიდან გლეხკაცი გეგონებოდათ. თვითონ სახელიც კი ასო «ъ»-ით ბოლოვდებოდა., ესე იგი «елизавета» კი არ ეწერა, არამედ «елизаветъ». მაგრამ ჩიჩიკოვმა ამას ანგარიში არ გაუწია და ეს სახელი სიიდან ამოშალა. «გრიგორი დოეზჟაი-

დოედეშ! ნეტა შენ რაღა კაცი იყავი? იქნებ ქირაზე დადიოდი, იშოვე ჭილოფით გადახურული სამცხენიანი კიბიტკა, ხელი აიღე ოჯახზე, მშობლიურ ბუნაგზე და ბაზრობაზე გაჰყე-გამოჰყე ვაჭრებს. ვინ იცის, სადღაც გზაზე აღმოგხდა სული; იქნებ შენმავე მეგობრებმა ჩაგაძაღლეს ვიღაც სალდათის წითელთელლოყა ფაშფაშა ცოლისათვის, იქნებ თვალი შეუვარდა ტყის მაწანწალას შენს ტყავის საბუხარეზე და ტანმორჩილ ამტან ცხენებზე, ანდა შეიძლება ქოხის ფიცარნაგზე ეგდე სადმე შენთვის, იფიქრე, იფიქრე და ბოლოს, რაღაც ეშმაკის ქარმა დაგბერა, დუქანში გაიქეცი, კარგა გამოიბრუჟე და შემდეგ იქიდან პირდაპირ ყინულის ნაპრალში ჩაჰყავი თავი და ჩაიხრჩე. ეჰ, რუს ხალხს არ უყვარს თავისი დღით სიკვდილი! თქვენა? თქვენ რაღას მეტყვით, ჩემო კეთილნო? – განაგრძო მან, როცა თვალი გადაავლო პლიუშკინის ლტოლვილ სულებს: – მართალია, ცოცხლები ხართ, მაგრამ ვისთვის რისი მაქნისები ხართ! თქვენც იგივე მკვდრები ხართ. სად დაგაქროლებთ ახლა ეგ თქვენი მარდი ფეხები? მართლა ცუდად გეცხოვრებოდათ პლიუშკინთან, თუ თქვენივე ნებით გაიჭერით ტყეში და გამვლელ-გამომვლელს ტყავს აძრობთ? ეგებ სატუსაღოშიც ამოჰყავით თავი, ეგებ სხვა კეთილ ბატონს მიაგენით, შეეწყვეთ და ახლა მის მამულს ამუშავებთ? ერემეი კარიაკინი, ნიკიტა ვოლოკიტა, შვილი მისი ანტონ ვოლოკიტა – სახელებიდანაც ჩანს, რა ფეხმარდი ვაჟბატონებიც იქნებიან. პოპოვი, შინაყმა, უეჭველია, წერა-კითხვის მცოდნე ხარ: დანა ხელში არ აგიღია, მაგრამ მაინც ხელმარჯვე ქურდბაცაცა გამოხვედი. მაგრამ აი, უბაშფორთოს ვიღაც კაპიტან-ისპრავნიკი თავს წამოგადგა და დაგიჭირა; პირისპირ დაკითხვაზე ძალიან მაგრად დგახარ. «ვისი ხარ?» – გეკითხება კაპიტან-ისპრავნიკი და თან ერთ მაგარ სიტყვასაც მოგახლის. «ამა და ამ მემამულისა გახლავარ», – უპასუხებ თამამად. «აქ რა გინდა?» – გეკითხება კაპიტან-ისპრავნიკი. «გადასახადების მოსაკრებად გამიშვეს», – მიუგებ ისე, რომ ენაზე ჭავლი არ გადგება. «სად არის შენი ბაშფორთი?» – «ჩემს სახლის პატრონს, მდაბიო მოქალაქე პიმენოვსა აქვს». – «დამიძახეთ პიმენოვს! შენა ხარ პიმენოვი?» – «პიმენოვი გახლავარ». – «ამან ბაშფორთი შენ გადმოგცა?» – «არა არავითარი ბაშფორთი არ გადმოუცია მაგას ჩემთვის», – «მაშ, რაღას სტყუი?» – გეკითხება კვლავ კაპიტან-ისპრავნიკი და ისევ მაგარ-მაგარი სიტყვებით გამკობს. «მართალია, – ეუბნები ისევ თამამად, – მაგისთვის არ მიმიცია ბაშფორთი, იმიტომ რომ შინ ნაგვიანევად მიველ და შესანახად მნათე ანტიპ პროხოროვს გადავეცი». «აბა, დამიძახეთ მნათეს! ამან შენ გადმოგცა თავისი ბაშფორთი?» – «არა, არავითარი ბაშფორთი არ გადმოუცია მაგას ჩემთვის». – «მაშ, რაღას მატყუებ კიდევ! – გეუბნება კაპიტან-ისპრავნიკი და თავის შეკითხვას მაგარ-მაგარი სიტყვებით ბეჭდავს. – სად არის შენი ბაშფორთი?» – «ბაშფორთი მქონდა, – მკვირცხლად ეუბნები, – ალბათ გზაზე დავკარგე». – «ჰო, მაგრამ ეს სალდათის მაზარა რაღაა? – გეუბნება კაპიტან-ისპრავნიკი და სართად კვლავ მაგარ-მაგარ სიტყვას გახლის, – ან მღვდელს ფულებით სავსე ზანდუკი როგორ ააცოცე?» – «არაფერიც არ ამიცოცებია, – ეუბნები და წარბსაც არ იხრი, – ქურდობის საქმეში არასოდეს შევუნიშნივართ». – «მაშ მაზარა როგორ აღმოაჩინეს შენთან?» – «ვერაფერს გეტყვით, ალბათ სხვა ვინმემ მოიტანა». – «აი, შე პირუტყვო, შენა! – გეუბნება კაპიტან-ისპრავნიკი, თავს გააქნ-გამოაქნევს და დოინჯშემოყრილი დაიძახებს: – აბა, ერთი ამას ფეხებზე ხუნდები დაადეთ და სატუსაღოში უკარით თავი». – «ინებეთ! დიდი სიამოვნებით წამოგყვებით!» – უპასუხებ, თანაც ჯიბიდან სათუთუნეს ამოიღებ და მეგობრულად სთავაზობ ორ ინვალიდს, რომლებიც ფეხებზე ხუნდებს გადებენ. არხეინად ხარ, ბედს არ

უჩივი, იმ ინვალიდებს ეკითხები, თუ რა ერთი ხანია, რაც სამსახურიდან გამოვიდნენ, რომელ ომებში მიუღიათ მონაწილეობა. და აი, ზიხარ შენთვის სატუსაღოში, ვიდრე სასამართლოში შენს საქმეს განიხილავენ. სასამართლო კი ადგენს: ცარევოკოკშაისკის სატუსაღოდან გადაიყვანეთ ესა და ეს ამა და ამ ქალაქის სატუსაღოშიო; თავის მხრივ იქაური სასამართლო ხელახლა მოგისჯის: გადაიყვანეთ ვესიეგონსკის სატუსაღოში ესა და ესაო. შენც ერთი სატუსაღოდან მეორეში დაბრძანდები და თავს ირთობ ახალ-ახალი სატუსაღოს კედლების თვალიერებით: «არა, ვესიეგონსკის სატუსაღო ემჯობინება: იქ თუნდაც იკოჭავე, ამისთვის ადგილი ბლომადაა, საზოგადოებაც მეტიაო!» მაგრამ ეს ვინღაა? აბაკუმ ფიროვი! შენ კი ძმაო, შენ სადღა დაწანწალებ? ვოლგამ აგიყოლია, თავისუფალი ცხოვრება შეგაყვარა და ბურლაკებს გვერდით ამოგაყენა?»... აქ ჩიჩიკოვი ცოტა ხანს შეჩერდა და შეფიქრიანდა. რა აზრმა შეიპყრო? მართლა აბაკუმ ფიროვის ბედმა დააფიქრა, თუ ისე დაფიქრდა თავისთვის, როგორც ყოველი რუსი დაფიქრდება ხოლმე მიუხედავად წლოვანებისა, ჩინისა და ქონებრივი მდგომარეობისა, როცა ფართო ცხოვრების სანავარდოს წარმოიდგენს? მართლაც, სად არის ახლა ფიროვი! იქნებ დიდრაჯულად და მხიარულად ატარებს დროს პურის ნავსადგურზე, ვაჭრებთან საქმის გარიგების შემდეგ. ყვავილებით და ბაბთებით მოურთავთ ქუდები ბურლაკების ბრბოს, ერთი ამბით ეთხოვებიან საყვარლებსა და ცოლებს, სულ ტანადსა და ყელსაბამებით მოკაზმულ ლამაზ გოგოებს; ფერხული დაუბამთ, ისმის სიმღერები, დუღს და გადმოდუღს მოედანი, ამ დროს კი მტვირთავები ყვირილ-კიჟინით, გინებითა და აჩი-აჩის ძახილით მუხუდოთი და ხორბლით დატენილ ცხრაფუთიან ტომრებს შხრიალ-შხრიალით ჰყრიან ღრმა ხომალდებში, მოათრევენ შვრიითა და ბურღულით დატენილ საცალოებს. შორს მოედანზე მოჩანს ზარბაზნის ყუმბარებივით პირამიდებად დაწყობილი საცალოები. ასეა, ვიდრე პურის ამ უზარმაზარ არსენალს არ გადაცლიან სურის უძირო ხომალდებში და ისინიც ბატებივით მწკრივ-მწკრივად არ დაიძრებიან გაზაფხულის ყინულთან ერთად, როგორც გაერთიანებული უზარმაზარი ფლოტი. იქ კი მოიწყვეტთ წელს, ბურლაკებო! ისევე ერთსულოვნად, როგორც წინათ ერთობოდით და შმაგობდით, ახლა შრომას მოჰკიდებთ ხელს, ოფლს დაღვრით და გასწევთ ჭაპანს ისეთივე უსასრულო სიმღერით, როგორც უსასრულოა თვითონ რუსეთი!

«ერიჰა! უკვე თორმეტი საათია! – თქვა ჩიჩიკოვმა, როცა საათს დახედა. – ეს სად შევტოპე? საქმე მაინც მეკეთებინა, თორემ უთავბოლოდ მოვყე აბდაუბდას. მართლა რა სულელი ვარ!» – თქვა და უმალვე შეიცვალა შოტლანდიური კოსტიუმი ევროპულით, კარგა მაგრა შემოისალტა თავისი ღიპი, ოდეკალონი შეიფრქვია, აიღო თბილი კარტუზი, იღლიაში ქაღალდები ამოიჩარა და ასე გასწია სამოქალაქო პალატაში ნასყიდობის სიგელების ასაღებად. ის პალატაში იმიტომ კი არ მიიჩქაროდა, რომ დაგვიანებისა ეშინოდა, არა, დაგვიანებისა არ ეშინოდა, ვინაიდან თავმჯდომარე ნაცნობი კაცი იყო და მისი სურვილისამებრ შეეძლო განეგრძო ან შეემოკლებინა მთელი უწყების მუშაობა, მსგავსად ჰომეროსის ზევსისა, რომელიც დღეებს საოცრად აგრძელებდა და ღამეებს ამოკლებდა, როდესაც მისი საყვარელი გმირების ბრძოლის შეწყვეტა მოესურვებოდა ანდა უნდოდა საშუალება მიეცა მათთვის ბრძოლა ბოლომდე მიეყვანათ; ამ მხრივ ჩვენი გმირი უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ მაინც სურდა, რომ საქმისათვის ჩქარა მიედევნებინა ბოლო, მანამდე ერთგვარ უხერხულობას და მოუსვენრობას გრძნობდა; რაც უნდა იყოს,

თავიდან არ შორდებოდა ის აზრი, რომ სულები ნამდვილი სულები არ იყვნენ და ასეთ შემთხვევაში ზედმეტი ბარგი თავიდან უნდა მოიშოროს ადამიანმა, მხრებზე დათვის ქურქწამოსხმულმა, ამ საგანზე ფიქრით გართულმა ქუჩაში გასვლა ვერ მოასწრო, რომ ზედ მოსახვევზე შემოეყარა ბატონს, რომელსაც იმნაირივე ზემოდან მიხაკისფერი მაუდით გადაკრული დათვის ქურქი ეცვა, თანაც ყურებამდე თბილი ქუდი ჩამოეფხატა. შემხვდურმა ბატონმა სიხარულით შესძახა. ეს იყო მანილოვი. ორივენი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ხუთი წუთის განმავლობაში ასე იდგნენ ერთმანეთს ჩაკონებულნი. ორთავეს მხრივ კოცნა ისეთი ძლიერი იყო, რომ მთელი დღე ორივეს კბილები სტკიოდა. მანილოვს სიხარულისაგან მხოლოდ ცხვირი და ტუჩები შერჩა სახეზე, თვალები კი მთლად ჩაეკარგა. მთელი მეოთხედი საათი არ გაუშვია ჩიჩიკოვის ხელი და ძალზეც ჩაუთბო. შემდეგ მეტად საამური სიტყვებით უამბო, როგორ მოფრინავდა იგი პაველ ივანოვიჩის გულში ჩასაკრავად; სიტყვა ბოლოს ისეთი ქათინაურით დაამთავრა, რაც შეჰფერის მხოლოდ უმანკო ქალწულს, რომელსაც საცეკვაოდ გაიწვევენ ხოლმე. ჩიჩიკოვმა პირი დააღო, არ იცოდა, როგორ გადაეხადა მისთვის მადლობა, რომ უეცრივ მანილოვმა ტყავის მოსასხამის ქვევიდან მილივით დასორსოლავებული ქაღალდი ამოიღო, რომელსაც გარედან ვარდისფერი ლენტი ჰქონდა შემოხვეული, და ძაიან მოხდენილად მიაწოდა ორი თითით.

– ეს რაღა არის?

– თქვენი გლეხები

– ა-ა! – ჩიჩიკოვმა იქვე გახსნა ქაღალდი, თვალი სახელდახელოდ გადაავლო და დიდად გაოცდა, რომ დაინახა ასე სუფთად და ლამაზი ხელით ჩამოწერილი გვარები. – დიდებული ნაწერია, – თქვა მან, – გადაწერა საჭირო აღარაა. ირგვლივ რომ არშიაც შემოუვლიათ! ვინ შემოავლო ასე მშვენივრად ეს არშია?

– მაგას ნუ მკითხავთ.

– თქვენ თვითონ?

– ჩემმა მეუღლემ.

– აჰ, ღმერთო ჩემო! სწორედ მოგახსენოთ, მრცხვენია კიდეც, რომ ასე შეგაწუხეთ.

– პაველ ივანოვიჩის გულისათვის არ არსებობს რაიმე შეწუხება და სიძნელე.

ჩიჩიკოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა თავის დაკვრით. მანილოვმა, რაკი გაიგო, რომ მისი მეგობარი პალატაში მიდიოდა ნასყიდობის სიგელის ასაღებად, უმალვე სურვილი განუცხადა, თან წამოგყვებიო. მეგობრებმა ხელი მკლავში გაუყარეს ერთმანეთს და ისე გასწიეს პალატისაკენ. გზადაგზა, მცირეოდენი მაღლობის ან გორაკის შეხვედრისას, ან კიდევ კიბის საფეხურებზე ფეხის შედგმის დროს მანილოვი ჩიჩიკოვს ხელს აშველებდა

და თითქმის ხელით აჰყავდა ხოლმე, თანაც საამური ღიმილით ურთავდა, ნებას არ მოგცემთ, პაველ ივანოვიჩ, რომ ოდნავად მაინც დაიშავოთ ფეხებიო. ჩიჩიკოვს რცხვენოდა და აღარ იცოდა, რით და როგორ გადაეხადა მისთვის მადლობა, ვინაიდან გრძნობდა, რომ დიახაც მძიმე ბრძანდებოდა. ურთიერთპატივისცემით, დაბოლოს, მათ მიაღწიეს მოედნამდე, სადაც იდგა სახელმწიფო დაწესებულების შენობა. დიდი, სამსართულიანი ქვითკირის სახლი ცარცივით თეთრი იყო, ალბათ ამით უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ შენობაში მოთავსებული თანამდებობის პირნი უაღრესად სპეტაკნი იყვნენ. ამ მოედნის დანარჩენი შენობები სიდიდით არ უტოლდებოდნენ ქვითკირის შენობას; ერთი საყარაულო ჯიხური იყო, რომლის წინაც თოფიანი ჯარისკაცი იდგა; აქვე იყო მეეტლეთა ორი თუ სამი ბირჟა და ბოლოს გრძელი ღობეები ჩვეულებრივი უწმაწური წარწერებითა და ნახატებით, რომელიც ცარცით და ნახშირით დაებღაჯნათ. სხვა მეტი აღარა მოიპოვებოდა რა ამ განმარტოებულ, ანუ როგორც ჩვენში ამბობენ ხოლმე, ამ თვალწარმტაც მოედანზე. მეორე და მესამე სართულის ფანჯრებიდან ზოგჯერ გამოყოფდნენ თავს თემიდის მოუსყიდველი ქურუმები, რომლებიც იმავე წუთში იმალებოდნენ ხოლმე, ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს უფროსი შედიოდა ოთახში. მეგობრები კიბეზე კი არ ავიდნენ, არამედ პირდაპირ სირბილით აცვივდნენ: ჩიჩიკოვს სურდა თავიდან აეცილებინა მანილოვის მიშველება, რომელსაც მკლავში გაეყარა მისთვის ხელი, ამიტომ იგი ფეხს აჩქარებდა, ხოლო მანილოვი თავის მხრივ ცდილობდა ჩიჩიკოვი არ დაღლილიყო და დროზე მიშველებოდა, რის გამოც სულ მუდამ წინ უსწრებდა; ორივენი ძალიან დაიღალნენ და ასე ქაქანით შევიდნენ ბნელ დერეფანში. არც დერეფანში და არც ოთახებში მათი თვალი სისუფთავეს არ მოუხიბლავს. მაშინ ამაზე არავინ ზრუნავდა, ყველაფერი, რასაც ჭუჭყი მოეცხებოდა,ასევე დარჩებოდა ხოლმე ჭუჭყსა და ზინტლში, რის გამოც ყოველგვარ მიმზიდველობას ჰკარგავდა. თემიდა დილის საშინაო კაბაში, ულაზათოდ გამოწყობილი იღებდა სტუმრებს. ცუდი არ იქნებოდა საკანცელარიო ოთახებიც აგვეწერა, რომლებიც ჩვენმა გმირებმა გაიარეს, მაგრამ ავტორი დიდი მორიდებული კაცია, როცა რომელიმე უწყებასთან აქვს საქმე. თუკი შემთხვევა ჰქონია ზოგჯერ მაინც გაევლო ბრწყინვალე დაკეთილმოწყობილი ოთახები, რომლის იატაკსა და მოწყობილობას სულ კრიალ-კრიალი გაუდიოდა, მაშინაც მოკრძალებით თავი დაუხრია და ცდილა ოთახები მალე გაერბინა, ამიტომაც სრულიად არაფერი იცის, რარიგ კეთილმოწყობილია და რანაირად ჰყვავის იქაურობა. ჩვენმა გმირებმა უამრავი ქაღალდი დაინახეს, შავად ნაწერიცა და გადათეთრებულიც, დახრილი თავები, ფართო კეფები, ფრაკები, სერთუკები – სულ ქალაქურ ყაიდაზე გამოჭრილი; მათ შორის რომელიღაც ღია ნაცრისფერი ქურთუკიც კი, რომელიც მკვეთრად ირჩეოდა დანარჩენებიდან; ქურთუკის პატრონს თავი გვერდზე გადაეხარა, თითქმის ქაღალდზე დაედო, და თამამი, გაკრული ხელით იწერდა რომელიღაც ოქმს მიწის ჩამორთმევისა თუ მამულის აღწერის შესახებ, იმ მამულისა, ძალით ხელში რომ ჩაეგდო მშვიდობიან მემამულეს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე სულ სასამართლოებში ჰქონია საქმე, მიუხედავად ამისა არხეინად გაუტარებია თავისი ცხოვრება და შვილები და შვილიშვილებიც კი შეუძენია სასამართლოს საფარქვეშ; დროდადრო გაიგონებდით ხრინწიან ხმას: «ფედოსეი ფედოსეევიჩ, ერთი ის საქმე №368 მათხოვეთ!» – «რა გემართებათ, რა ვქნა, რომ სახაზინო სამელნის საცობს მუდამ სადღაც გადაკარგავთ ხოლმე!» ზოგჯერ გაისმოდა უფრო მედიდური, რიხიანი ხმა, უეჭველია, ერთ-ერთი უფროსისა: «აჰა, გადასწერე! თორემ ვუბრძანებ, ჩექმები გაგხადონ და ექვსი

დღე უსმელ-უჭმელი გამყოფონ!» კალმების ისეთი ძლიერი წრიპინი იდგა, თითქოს ფიჩხით დატვირთული რამდენიმე ურემი შევიდა ტყეში, სადაც ერთ გოჯზე ეყარა გამხმარი ფოთლები.

ჩიჩიკოვი და მანილოვი პირველ მაგიდასთან მივიდნენ, სადაც ორი ახალგაზრდა მოხელე იჯდა და შეეკითხნენ:

– ნება გვიბოძეთ გავიგოთ, სად არის აქ სიგელების განყოფილება?

– რისთვის გჭირდებათ? – ჰკითხა ორივემ და თავი მაღლა ასწიეს.

– პატარა თხოვნა მაქვს მისაცემი.

– მერე ისეთი რა იყიდეთ?

– მე, უწინარეს ყოვლისა, მინდოდა გამეგო, სად არის სიგელების მაგიდა, აქ თუ სხვა ადგილას?

– თქვენ კიდევ ჯერ ის გვითხარით, რა იყიდეთ და რა ფასში, და მაშინ ჩვენც გეტყვით, სადაც არის, არა და ისე არ შეიძლება.

ჩიჩიკოვმა უმალვე შენიშნა, რომ მოხელეები უბრალოდ ცნობისმოყვარეები იყვნენ, როგორც ყველა ახალგაზრდა მოხელე, და უნდოდათ მეტი წონა მიეცათ თავიანთი თავისთვის და თავიანთი საქმიანობისთვისაც.

– გამიგონეთ, ჩემო კეთილნო, – მიმართა ჩიჩიკოვმა, – მე კარგად ვიცი, რომ ყველა საქმე სიგელ-გუჯრების ირგვლივ, მიუხედავად ფასის ოდენობისა, სულ ერთსა და იმავე ადგილას წარმოებს, ამიტომ გთხოვთ მიგვითითოთ, რომელ მაგიდაზეა იგი, ხოლო თუ თქვენ არ იცით რა ხდება თქვენს დაწესწბულებაში, მაშინ შეგვიძლია სხვებს შევეკითხოთ.

მოხელეებს ამაზე აღარაფერი უპასუხნიათ. ერთმა მათგანმა თითი ოთახის კუთხისაკენ გაიშვირა, სადაც ვინმე მოხუცი იჯდა და რაღაც ქაღალდების ჩანიშვნაში იყო გართული. ჩიჩიკოვმა და მანილოვმა მაგიდების წყება გაიარეს და პირდაპირ მოხუცს მიადგნენ. მოხუცი დიდი გულმოდგინებით მუშაობდა.

– ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, – მიმართა ჩიჩიკოვმა თავის დაკვრით, – აქ წარმოებს სიგელ-გუჯრების საქმე?

მოხუცმა ახედა და მძიმედ, ჩათვლით უპასუხა:

– აქ არავითარი სიგელ-გუჯრების საქმეს არ ვაწარმოებთ.

– მაშ სადაა?

– ეს გახლავთ ნასყიდობის ექსპედიციაში.

– მერე სად არის ეს ნასყიდობის ექსპედიცია?

– ივან ანტონოვიჩთან.

– ივან ანტონოვიჩი სადა ბრძანდება?

მოხუცმა თითი ოთახის მეორე კუთხისაკენ გაიშვირა. ჩიჩიკოვმა და მანილოვმა ახლა ივან ანტონოვიჩთან გასწიეს. ივან ანტონოვიჩმა უკვე ცალი თვალით უკან მოიხედა და შეათვალიერა მისკენ მომავალნი, მაგრამ იმავე წუთს უფრო გულმოდგინედ განაგრძო წერა.

– ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, – მიმართა ჩიჩიკოვმა თავის დაკვრით, – აქ არის ნასყიდობის მაგიდა?

ივან ანტონოვიჩმა თითქოს ვერაფერიც ვერ გაიგონა, მთლად ქაღალდებში ჩაინთქა და არა უპასუხა რა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ უკვე ასაკში შესული, დამჯდარი კაცი იყო და არა რომელიმე ყბედი და ჩიტირეკია ახალგაზრდა. ივან ანტონოვიჩი ორმოც წელს კარგა გადაცილებული უნდა ყოფილიყო: შავი და სქელი თმა ჰქონდა; სახე ცხვირთან ერთად დინგივით წინ წამოსწეოდა. ერთი სიტყვით, ისეთი სახე გახლდათ, რომელსაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში დინგას უწოდებენ.

– ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, აქ წარმოებს ნასყიდობის საქმე?– გაუმეორა ჩიჩიკოვმა.

– აქ არის, – პასუხი აღირსა ივან ანტონოვიჩმა, უმალვე დინგი შეატრიალა და კვლავ ააწრიპინა კალამი.

– აი რა საქმე მაქვს: ამ მაზრის სხვადასხვა მემამულეებისაგან შევიძინე გლეხები აქედან გასაყვანად: სიგელები დაწერილია, დამტკიცებაღაა საჭირო.

– გამყიდველები აქ არიან?

– ზოგიერთები აქ გახლავან, სხვებისგან კი რწმუნების ბარათები მოგართვით.

– თხოვნა მოიტანეთ?

– თხოვნაც მოტანილია. მე მინდოდა... ერთი სიტყვით, მეჩქარება... არ შეიძლებოდა, რომ ეს საქმე როგორმე დღესვე მოგვეთავებინა?

– დღესვე! დღესვე არ შეიძლება, – თქვა ივან ანტონოვიჩმა, – საჭიროა ცნობების მოკრება, სადმე ყადაღა ხომ არაა დადებული.

– თუმცა საქმის დასაჩქარებლად... ივან გრიგორიევიჩი, თავმჯდომარე, ჩემი კარგი მეგობარია...

– ჰო, მაგრამ მარტო ივან გრიგორიევიჩი ხომ არ არის, სხვებიც არიან, – უპასუხა პირქუშად ივან ანტონოვიჩმა.

ჩიჩიკოვი მიხვდა, სად უკაკუნებდა ივან ანტონოვიჩი, და უთხრა:

– არც სხვებს ექნებათ რაიმე სასაყვედურო, მეც მიმსახურნია, საქმე ვიცი....

– მაშინ ივან გრიგორიევიჩთან მიბრძანდით! – თქვა ივან ანტონოვიჩმა და კილო დაურბილა, თითქმის ალერსიანი გაუხდა: – დაე, იმან უბრძანოს ვისაც ჯერ არს, და ჩვენ საქმეს არ დავაყოვნებთ.

ჩიჩიკოვმა უბიდან ამოიღო და ივან ანტონოვიჩის წინ დასდო ქაღალდის ფული, რომელიც მან სულაც ვერ შენიშნა და ზევიდან წიგნი დააფარა. ჩიჩიკოვს უნდოდა ეჩვენებინა იგი, მაგრამ ივან ანტონოვიჩმა თავის გაქნევით აცნობა, ჩვენება საჭირო არ არისო.

– აი, ეს წაგიყვანთ, სადაც ჯერ არს! – თქვა ივან ანტონოვიჩმა და თავი დაუქნია იქვე მახლობლად მჯდარ ერთ ქურუმთაგანს, რომელიც იმდენად ერთგული მონა-მორჩილი გახლდათ თემიდასი, რომ იდაყვებზე სახელოები დასკდომოდა და ნახვრეტებიდან სარჩულს დიდი ხანია თავი გამოეყო, რისთვისაც იგი თავის დროზე კოლეჟსკი რეგისტრატორობით დაეჯილდოებინათ. ამ უკანასკნელს არ დაუყოვნებია და ჩვენს მეგობრებს ისევე მოემსახურა, როგორც ოდესღაც ვირგილიუსი მოემსახურა დანტეს, გაიყვანა ფართოსავარძლებიან ოთახში, სადაც ერთ–ერთ სავარძელში მაგიდის წინ, რომელზეც ორი სქელი წიგნი და მართლმსაჯულების სარკე იდო, მარტოდმარტო მზესავით იჯდა თავმჯდომარე. ამ ადგილას ჩვენი ახალი ვირგილიუსი ისეთი მოკრძალებით განიმსჭვალა, რომ ვერასდიდებით ვერ გაბედა შიგნით ფეხის შედგმა, გატრიალდა და ზურგი შეაბრუნა, რომელიც ისევე გახეხილი იყო, როგორც ჭილოფი, თანაც სადღაც ქათმის ბუმბულიც აჰკვროდა. როდესაც უწყების დარბაზში შევიდნენ, მათ დაინახეს, რომ თავმჯდომარე მარტო არ იყო, მის გვერდით იჯდა სობაკევიჩი, რომელსაც მთლიანად ფარავდა მაგიდაზე დადგმული მართლმსაჯულების სარკე. სტუმრების მოსვლამ აღტაცება გამოიწვია, სავარძლები ერთი ამბით მისწი-მოსწიეს. სობაკევიჩიც წამოდგა და მთელი სიგრძე-სიგანით წამოეყუდა თავისი გრძელი სახელოებით. თავმჯდომარემ ამბორით მიიღო ჩიჩიკოვი, ასე რომ ოთახის მყუდროება კოცნის მტლაშა-მტლუშმა შეძრა, ერთმანეთის ჯანმრთელობა მოიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ორივეს წელი სტკიოდა, რაიც გამუდმებულ ჯდომას მიაწერეს. ეტყობოდა, თავმჯდომარემ უკვე სობაკევიჩისგან იცოდა ნასყიდობის ამბავი, ვინაიდან ჩიჩიკოვს ახალშეძენილობა მიულოცა, რამაც, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ჩვენი გმირი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაინახა, რომ სობაკევიჩიც და მანილოვიც, რომლებთანაც ცალ-ცალკე საიდუმლოდ გაარიგა საქმე, ახლა ერთმანეთის წინ უხმოდ იდგნენ.

მიუხედავად ამისა, ჩიჩიკოვმა მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს და აქვე მიუბრუნდა სობაკევიჩს:

– თქვენ როგორღა ბრძანდებით?

– მადლობა ღმერთს, საწუწუნო ჯერ არა მაქვს რა, – მიუგო სობაკევიჩმა.

მართლაც საწუწუნო არა ჰქონდა რა: უმალ რკინა გაცივდებოდა და ხველებას მოჰყვებოდა, ვიდრე ეს საოცრად ჩასკვნილი მემამულე.

– დიახ, თქვენ ყოველთვის სანაქებო ჯანისა იყავით, – თქვა თავმჯდომარემ, – განსვენებული მამათქვენიც აგრეთვე ჯანმრთელი იყო.

– მართალია, – მიუგო სობაკევიჩმა, – დათვზე სანადიროდ მარტოდმარტო დაიარებოდა ხოლმე.

– მე მგონია, რომ მოგესურვებინათ, თქვენც წააქცევდით დათვს.

– ვერა, ვერ წავაქცევ, – მიუგო სობაკევიჩმა, – განსვენებული ჩემზე მაგარი იყო, – აქ მან ამოიოხრა და შემდეგ ისევ განაგრძო, – არა, სადღაა ახლა ისეთი ხალხი? აი, თუნდაც მე, რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე? არც ეს არის, არც ის...

– განა ცხოვრებას რას უჩივით? – შეეკითხა თავმჯდომარე.

– ცუდი ამბებია, ცუდი, – მიუგო სობაკევიჩმა თავის ქნევით, – თქვენ თვითონ განსაჯეთ, ივან გრიგორიევიჩ: უკვე მეხუთე ათეული წელი შემისრულდა და ერთხელაც ფრჩხილი რა არის, ფრჩხილიც არ ამტკივებია; ნეტა ან ყელი ამტკივებოდა ან ძირმაგარა ამომსვლოდა... არა, ეს სიკეთის მომასწავებელი არ არის, ოდესმე ალბათ ყველაფერს ერთად ამანაზღაურებინებს ეს წყეული ჩემი ბუნება. – სობაკევიჩმა მოიწყინა.

«ეჰე! – გაიფიქრეს ერთსა და იმავე დროს ჩიჩიკოვმა და თავმჯდომარემ, – აი, თურმე რას დარდობს ეს კაცი!»

– თქვენთან პატარა ბარათი მაქვს, – თქვა ჩიჩიკოვმა და უბიდან პლიუშკინის წერილი ამოიღო.

– ვისგან არის? – იკითხა თავმჯდომარემ და, როცა წერილი გახსნა, უნებურად წამოიძახა: – აა! ეს პლიუშკინისგან ყოფილა. თურმე ჯერ კიდევ დაღონღიალობს ამ ქვეყნად. დახეთ ბედის უკუღმართობას! ვერ წარმოიდგენთ, რა უგონიერესი და უმდიდრესი კაცი იყო, ახლა კი...

– ძაღლია, – სიტყვა დაურთო სობაკევიჩმა, – გაიძვერა და სალახანაა, ამდენი ხალხი შიმშილით ამოაღრძო.

– რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, – თქვა თავმჯდომარემ, როცა ბარათი გადაიკითხა, – მზად ვარ მისი რწმუნებული ვიყო. როდის გინდათ ნასყიდობის სიგელი შევადგინოთ, ახლა თუ შემდეგ?

– ახლა იყოს, – მიუგო ჩიჩიკოვმა, – მე იმასაც კი გთხოვდით, დაგეჩქარებინათ და დღესვე როგორმე მოვრჩენილიყავით. მინდა ხვალ წავიდე ქალაქიდან; სიგელიც შედგენილია და თხოვნაც დაწერილი მაქვს.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, როგორც გენებოთ და, ჩვენ კი ასე ადრე ვერ გაგიშვებთ. სიგელებს დღესვე ჩაგაბარებთ, მაგრამ თქვენ მაინც ჩვენთან დარჩებით. აი, ახლავე განკარგულებას გავცემ, – თქვა მან და კარი შეაღო საკანცელარიო ოთახში, რომელიც სულ მოხელეებით იყო სავსე. ყველანი შრომოსმოყვარე ფუტკრებივით თავ-თავიანთ ფიჭებს მისხდომოდნენ, თუ შეიძლება საკანცელარიო საქმეები ფიჭებს შევადაროთ. – ივან ანტონოვიჩი აქ არის?

– აქ გახლავთ! – პასუხი გასცეს შიგნიდან.

– აბა ერთი დამიძახეთ!

მკითხველებისთვის უკვე ნაცნობი ივან ანტონოვიჩი დარბაზში შემოვიდა და მდაბლად მიესალმა უფროსს.

– აი, ივან ანტონოვიჩ, წაიღეთ ყველა ეს ნასყიდობის სიგელი...

– ნურც იმას დაივიწყებთ ივან გრიგორიევიჩ, – სიტყვა დაურთო თავის მხრივ სობაკევიჩმა, – რომ მოწმეები იქნებიან საჭირო ორ-ორი მაინც თითოეული მხარისათვის. ახლავე ვინმე გააგზსვნეთ პროკურორთან, ის ხომ უსაქმო კაცია და, უეჭველია, ახლა შინაა, მის მაგივრად ყველაფერს ვექილი ზოლოტუხა აკეთებს, დიდი მექრთამე და მტაცებელი. სამკურნალო უწყების ინსპექტორიც უსაქმო კაცია, უეჭველია, ისიც შინაა, თუ სადმე ქაღალდის სათამაშოდ არაა წასული, გარდა ამისა, აქაც, თქვენ გვერდით ბევრია ხალხი: ტრუხაჩევსკი, ბეგუშკინი და მათი მსგავსნი, რომელნიც სულ ტყუილად ამძიმებენ მიწას!

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა! – თქვა თავმჯდომარემ და უმალ გაგზავნა მათ მოსაყვანად კანცელარიის მოხელე

– კიდევ პატარა სათხოვარი მაქვს, – უთხრა ჩიჩიკოვმა, – ვინმე გაგზავნეთ ერთი მემამულე ქალის რწმუნებულთან, დეკანოზ მამა კირილეს შვილთან, ისიც თქენთან მსახურობს. ქალთან უკვე მოთავებული მაქვს საქმე.

– რატომაც არა, ახლავე კაცს გავაფრენ! – მიუგო თავმჯდომარემ. – ყველაფერს მოვაგვარებთ, თქვენ კი მოხელეებს არც ერთი გროში არ მისცეთ, ამას გულითა გთხოვთ.

ჩემმა მეგობრებმა არაფერი არ უნდა გადაიხადონ. – ეს რომ თქვა, მაშინვე რაღაც ბრძანება მისცა ივან ანტონოვიჩს, რაც, ეტყობოდა, მას მაინცდამაინც არაფრად ეჭაშნიკა. სიგელებმა, როგორც ჩანს, ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა თავმჯდომარეზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაინახა, რომ ნასყიდობა სულ უკანასკნელი ასი ათასი მანეთისა მაინც იქნებოდა. რამდენიმე ხანს კმაყოფილებით შესცქეროდა ჩიჩიკოვს და ბოლოს აღტაცება ვეღარ დამალა:

– მაშ ასე და ამნაირად, პაველ ივანოვიჩ! ამდენი ყმა შეიძინეთ.

– შევიძინე, – მიუგო ჩიჩიკოვმა.

– კეთილი საქმეა, ღმერთმანი, დიდად კეთილი საქმეა!

– დიახ, მეც ვხედავ, რომ უკეთეს საქმეს ვერ გავაწყობდი. რაც უნდა იყოს, ადამიანის მიზანი ჯერ კიდევ განსაზღვრული არ იქნება, თუ მყარ ნიადაგზე მტკიცედ არ უდგას ფეხი. ჩვენი ხნის ადამიანს აღარ შეჰფერის, ქარაფშუტულ ქიმერებს მისდიოს.

აქ მან დროულად გაჰკიცხა ახალგაზრდობა ლიბერალური აზროვნებისათვის, და ახიც იყო იმათზე. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მის სიტყვებში მაინც არ ჩანდა სიმტკიცე, თითქოს თავის თავს თვითონვე ეუბნებოდა: «ეჰ, ძმაო, სტყუი, სტყუი, რაღაცას მიჰქარავ!» მას ერთხელაც არ შეუხედავს სობაკევიჩისა და მანილოვისათვის, რომ მათ სახეზე რაიმე მამხილებელი არ ამოეკითხა, მაგრამ ამაო შიში იყო; სობაკევიჩის სახეზე არცერთი ნაკვთი არ შერხეულა; ხოლო რაც შეეხება მანილოვს, იგი მოხიბლული იყო ჩიჩიკოვის უკანასკნელი სიტყვებით და სიამოვნებისაგან მხოლოდ თავს აკანტურებდა თანხმობის ნიშნად, მთლად ჩაძირული ისეთ განცდებში, როგორშიაც იმყოფება ხოლმე მუსიკის მოყვარული ადამიანი, როცა მომღერალი ქალი თვით ვიოლინოსაც აჯობებს და ისეთ მაღალ ნოტს აახმიანებს, რომელიც ფრინველის ყელისათვისაც კი საძნელოა.

– ეგ ყველა კარგი, მაგრამ რატომ ივან გრიგორიევიჩს არ ეუბნებით, – სიტყვა ჩაურთო სობაკევიჩმამ – თუ რა დოვლათი შეიძინეთ; თქვენა, ივან გრიგორიევიჩ, რატომ თქვენ კი არ ჰკითხავთ, რა საგანძური შეიძინა? რომ იცოდეთ, რა ოქრო ხალხია! მე ხომ ჩემი ეტლების ოსტატი მიხეევიც მივყიდე.

– არა, თუ ღმერთი გწამთ, მიხეევიც მიჰყიდეთ? – შეეკითხა თავმჯდომარე, – მეც ვიცნობ მაგ მიხეევს: დიდებული ოსტატია; მან ერთხელ ეტლიც კი შემიკეთა. ოღონდ, მოიცათ ერთი... მე მითხრეს, რომ ის თითქოს მოკვდაო...

– ვინა, მიხეევი მოკვდაო? – ისე გაიოცა სობაკევიჩმა, რომ წარბი ოდნავაც არ შეუხრია, – ეს მისი ძმა მოკვდა, თვითონ მიხეევი ცოცხალიცაა და უწინდელზე ბევრად ჯანმრთელიც. ამას წინათ ისეთი ბრიჩკა გამოკანკლა, რომ მოსკოვშიც თვალი დარჩებათ. მართალი რომ ვთქვათ, ეგ კაცი ღირსია მხოლოდ ხელმწიფის კარზე იმუშაოს.

– მართლაც, მიხეევი ჩინებული ოსტატია, – თქვა თავმჯდომარემ, – მიკვირს კიდეც, როგორ შეელიეთ აგეთ კაცს?

– მარტო მიხეევი ხომ არ არის! ახლა დურგალი პრობკა სტეფანი, მეაგურე მილუშკინი, მეჩექმე მაქსიმე ტელიატნიკოვი, – ყველანი ხელიდან წავიდნენ, ყველა გავყიდე! – და როცა თავმჯდომარე შეეკითხა, რატომ წაუვიდა ხელიდან ასეთი ხალხი, როცა მის სახლკარს ნამდვილი ოსტატები ეჭირვება, სობაკევიჩმა ხელის ჩაქნევით უპასუხა: – ეჰ! რატომ და ისე! სისულელე მომივიდა! მოდი-მეთქი გავყიდი, ვთქვი და გავყიდე კიდეც სულელურად! – ამ სიტყვებზე თავი ჩაქინდრა და ისე მოიღრუბლა, თითქოს კიდევაც ნანობს, ასეთი საქმე რად ჩავიდინეო და ბოლოს დასძინა: – აი, კაცი გავჭაღარავდი და აქამდე ჭკუა-გონება ვერ მოვიკრიბე!

– ნება მიბოძეთ, პაველ ივანოვიჩ, ერთი ეს გკითხოთ, – მიმართა თავმჯდომარემ ჩიჩიკოვს. – როგორ ყიდულობთ გლეხებს, მიწით თუ ადგილიდან გაყვანით?

– გაყვანით,

– გაყვანით სულ სხვა საქმეა. სად გინდათ დაასახლოთ?

– სად?.. ხერსონის გუბერნიაში.

– ო, იქ დიდებული მიწებია! – თქვა თავმჯდომარემ და ხოტბა-დიდება შეასხა იქაური ბალახეულის სიუხვეს. – მიწა ხომ საკმარისი გაქვთ?

– საკმარისი, რამდენიც ამ ჩემს შენაძენ შინაყმებს დასჭირდებათ.

– მდინარე ჩაუდის თუ ტბა?

– მდინარე, თუმცა ტბაც არის, – მიუგო ჩიჩიკოვმა და უნებლიედ გადახედა სობაკევიჩს, რომლის სახე ისევ უძრავი იყო, თუმცა ჩიჩიკოვს მოეჩვენა, თითქოს მის სახეზე ეწერა: «ჰოი, როგორ სტყუი! არც მდინარეა, არც ტბა და არც მამულ-დედული გაბადიაო!»

ვიდრე ლაპარაკს მორჩებოდნენ, ნელ-ნელა მოწმეებმაც თავი მოიყარეს: აქ იყვნენ მკითხველისათვის უკვე ნაცნობი თვალხამხამა პროკურორი, სამკურნალო უწყების ინსპექტორი, ტრუხაჩევსკი, ბეგუშკინი და სხვები, რომლებიც, სობაკევიჩის სიტყვით, ქვეყანას ტყუილად ამძიმებდნენ. მოწმეებში ჩიჩიკოვისთვის ბევრი უცნობი გამოდგა, ხოლო ვინც ვერ მოენახათ, თვით პალატის მოხელეებით შეევსოთ. გარდა ამისა წარმოადგინეს არა მარტო დეკანოზ მამა კირილეს შვილი, არამედ თვითონ დეკანოზიც. თითოეულ მოწმეს თავისი სახელი, წოდება და ჩინოსნობა დაწვრილებით აღენიშნა სიგელის ბოლოს, ზოგს სწორი ხელით, ზოგს ცერად, ზოგს თითქმის უკუღმა შეტრიალებული რაღაცნაირი ასოებით, რომლის მსგავსი სულაც არ მოიპოვება რუსულ ანბანში. ცნობილი ივან ანტონოვიჩი ხელად დატრიალდა და მარდად ჩაწერა სიგელები:

აღნიშნა, დანომრა და შეიტანა დავთრებში, სადაც ჯერ არს. ჩიჩიკოვს სულ უმნიშვნელო რამ გადახდა – დაწესებული ნახევარი პროცენტი და «ვედომოსტებში» განცხადების საფასური. თანაც თავმჯდომარემ ბრძანა, რომ გადასახადებიდან მხოლოდ ნახევარ-ნახევარი აეღოთ, ხოლო მეორე ნახევარი კი, ღმერთმა უწყის რა მანქანებით, რომელიმე სხვა მთხოვნელზე დაეწერათ.

– ასე და ამგვარად, – თქვა თავმჯდომარემ, როცა ყველაფერს მორჩნენ, – ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ნასყიდობა გემოზე დავასველოთ.

– მზად ვარ გემსახუროთ, – უპასუხა ჩიჩიკოვმა, – ეს თქვენზევეა დამოკიდებული, ოღონდ დრო დამინიშნეთ. დიდი ცოდვა იქნებოდა ჩემი მხრივ, რომ ასეთი სასიამოვნო საზოგადოებისათვის ერთი-ორი ბოთლი შუშხუნა არ გამეხსნა.

– არა, თქვენ ისე ვერ გაგვიგეთ: შუშხუნას თვითონ ჩვენ გავაჩენთ, – თქვა თავმჯდომარემ, – ეს ჩვენი მოვალეობაა, ჩვენი ვალდებულება. თქვენ ჩვენი სტუმარი ბრძანდებით და ჩვენ უნდა დაგპატიჟოთ. მაგრამ იცით რა, ბატონებო! ჯერჯერობით ასე მოვიქცეთ: ავდგეთ და, ვინც კი ვართ, გავსწიოთ პოლიცმეისტერთან, ის სასწაულმოქმედი კაცია: საკმარისია ერთი თვალი ჩაუკრას თევზეულობით რიგზე ან სარდაფებისაკენ ჩავლისას, რომ თქვენი მოწონებული საუზმე გაიშალოს! ამ შემთხვევას ზედ პატარა ვისტსაც დავურთავთ და ჩინებულად იქნება ყველაფერი.

ასეთ წინადადებაზე აბა უარი როგორ შეიძლებოდა! მოწმეებს მარტო თევზეულობის რიგის გაგონებაზე პირზე ნერწყვი მოადგათ, ყველამ ქუდს დასტაცა ხელი და დაწესებულებაც დაიხურა. როცა კანცელარია გაიარეს, ივან ანტონოვიჩმა მოწიწებით თავი დაუკრა ჩიჩიკოვს და ჩასჩურჩულა:

– ასი ათასის გლეხობა შეიძინეთ და შრომისათვის კი ერთი თეთრიანის მეტი არ გაიმეტეთ.

– ერთი ისიც იკითხეთ, რა გლეხობაა? – მიუგო აგრეთვე ჩურჩულით ჩიჩიკოვმა, – სულ უვარგისი ხალხია, გროშად არ ღირს.

ივან ანტონოვიჩი მიხვდა, რომ ჩიჩიკოვი მტკიცე ხასიათის კაცი იყო და ზედმეტს ვერ გამორჩებოდა.

– პლიუშკინს რამდენი მიეცით თითო სულზე? – ჩასჩურჩულა მეორე ყურში სობაკევიჩმა.

– ვორობეი რატომ შემომატყუეთ? – მიუგო საპასუხოდ ჩიჩიკოვმა.

– რომელი ვორობეი? – იკითხა სობაკევიჩმა.

– აი ის დედაკაცი, ვიღაც ელიზავეტა ვორობეი, თან სიტყვის ბოლოს «ъ»-იც რომ მიგიწერიათ.

– არავითარი ვორობეი არ შემომიპარებია, – მიუგო სობაკევიჩმა და სხვა სტუმრებში გაერია.

სტუმრები გროვად მიადგნენ პოლიცმეისტერის სახლს. პოლიცმეისტერი მართლაც სასწაულმოქმედი გამოდგა: რაწამს ყური მოჰკრა, საქმე რაშიც იყო, იმავე წუთს მოიხმო უბნის უფროსი, ერთი მარჯვე ბიჭი ბრჭყვიალა ბოტფორტებით, რომელსაც მხოლოდ რაღაც ორიოდე სიტყვა წასჩურჩულა და ხმამაღლა დაურთო: «გესმის?» მეორე ოთახში კი, ვიდრე სტუმრები ვისტით ერთობოდნენ, სუფრაზე გაჩნდა ცქვრინი, თართი, ზუთხი, გოჯი, აზელილი ხიზილალა, ქაშაყი, ყველეულობა, დაშაშხული ენა, სათალი, – ყველა ეს თევზეულობის რიგის მხრივ გახლდათ. ამას დაერთო სამზარეულოს ნახელავი ოჯახის მხრივ: ცხრაფუთიანი ზუთხის თავითა და კაკნატელათი გამოტენილი ღვეზელი, მეორე ღვეზელი სოკოთი, ნაირ-ნაირი ნამცხვარი: პრიაჟენცები, მასლიანცები, ვზვარენცები. პოლიცმეისტერი რამდენადმე ქალაქის მამად და კეთილისმყოფლად ითვლებოდა. მოქალაქეთა შორის თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ოჯახში, ხოლო დუქნებსა და ქარვასლაში ხელს ისე ურევდა, როგორც საკუთარ საკუჭნაოში. საზოგადოდ, როგორც იტყვიან ხოლმე, კაცი თავის ადგილას იყო და ზედმიწევნით შეეცნო თავისი თანამდებობა. ძნელი სათქმელია, ადგილი მისთვის გაეჩინათ თუ თვითონ იყო ამ ადგილისათვის გაჩენილი. საქმე ისე გონივრულად დაეყენებინა, რომ ორჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე მის წინამორბედს. მიუხედავად ამისა, მთელი ქალაქის სიყვარული დაემსახურებინა. ვაჭრებს ყველაზე მეტად უყვარდათ იმიტომ, რომ ამაყი არ იყო და ყველას თავს უყადრებდა; ზოგს შვილებს უნათლავდა და უნათლიმამდებოდა, და თუმცა ათპირ ტყავს აძრობდა, მაგრამ ისე მოხერხებულად, რომ ენას ვერავინ შეუბრუნებდა: მხრებზედაც ხელს დაარტყამდა, გაუცინებდა, ჩაისაც დაალევინებდა, აღუთქვამდა კიდეც, მე თვითონ გეახლები და შაშს გეთამაშებიო, თანაც ყველაფერს დაწვრილებით გამოჰკითხავდა: როგორ მისდიოდა საქმე, როგორ იყო და სხვა. თუკი გაიგებდა ბავშვი ავად გამხდარაო, მაშინვე რამეს ურჩევდა, ესა და ეს დაალევინეთო, – ერთი სიტყვით, ყოჩაღი ვინმე იყო! ვთქვათ, სადმე ეტლით წავიდოდა, მაშინვე წესრიგს დაამყარებდა, ამასობაში კიდევ ვისმე გადასძახებდა: «რას იტყვი, მიხეიჩ! ჩვენ ერთხელ როდისმე უნდა მოვათავოთ გორკა, ჰა?» – «რა თქმა უნდა ალექსეი ივანოვიჩ, – მიუგებდა ის ქუდის მოხდით, – საჭიროა, საჭირო». – აბა, ილია პარამონიჩ, ერთი ჩემთან შემოიარე, ძმაო, დამიხედე, რა ბედაური შევიძინე; ჭენებით შენსას არ ჩამორჩება, თუ გნებავს, ვცადოთ, შენი ბედაური გამოიყვანე – დოღი გავმართოთ. ვნახოთ, ბედი ვის გაუღიმებს.» ვაჭარი, რომელიც ცხენებზე იყო გადარეული, სიამოვნებით გაუღიმებდა, წვერზე ხელს ჩამოისვამდა და ეტყოდა ხოლმე: «ვნახოთ, ალექსეი ივანოვიჩ, ვნახოთ!» წარმოიდგინეთ, თვით მაყურებლებიც კი, რომლებიც ქუდმოშვლეპილნი იდგნენ, ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე, თითქოს ამისი თქმა უნდათო: «შეხე, რა კაი კაცია ეს ჩვენი ალექსეი ივანოვიჩიო!»ერთი სიტყვით, ყველას გული მოინადირა და საყოველთაოდ ცნობილი გახდა; ვაჭრების აზრიც ასეთი იყო: ალექსეი ივანოვიჩი თუმცა ტყავს გაგაძრობს, მაგრამ ღალატით კი არასგზით არ გიღალატებსო.

როცა შენიშნა, საუზმე უკვე გააწყვესო, პოლიცმეისტერმა წინადადებით მიმართა სტუმრებს, ვისტი დანაყრების შემდეგ მოვათავოთო. წამოიშალნენ. ყველანი იმ ოთახისაკენ

გაემართნენ, საიდანაც ნერწყვისმომგვრელი საუზმის სუნი დიდი ხანია სტუმრებს საამურად უღიზიანებდა ცხვირის ნესტოებს, სობაკევიჩი ხომ აგერ ამდენი ხანია, კარს იქით იხედებოდა, სადაც შორიდანვე შენიშნა მთლიანი ზუთხი, რომელიც დიდი სინით განზე გადაედოთ. სტუმრებმა თითო ჭიქა არაყი გადაკრეს, მუქი მწვანე ფერისა – ასეთი ფერი სდევს ციმბირის გამჭვირვალე ქვებს, რომლებიდანაც რუსეთში ბეჭდებსა სჭრიან ხოლმე. ამის შემდეგ დანა-ჩანგლით მიუსხდნენ სუფრას და მიჰყვნენ თავთავიანთი გუნებისა და მიდრეკილების მიხედვით დანაყრებას: ზოგმა ხიზილალა არჩია, ზოგმა თართი, ზოგმა კიდევ ყველი. სობაკევიჩს ასეთი წვრილმანებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მან სინზე დადებულ ზუთხთან მოიკალათა და, ვიდრე სტუმრები სვამდნენ, მასლაათობდნენ და საუზმეს შეექცეოდნენ, საათის მეოთხედში სულ ერთიანად გაათავა. ასე რომ, როცა პოლიცმეისტერმა გაიხსენა საგანგებოდ გვერდით გადადებული ზუთხი და სტუმრებს შეეკითხა: «აბა ბატონებო, თქვენ რა აზრისა იქნებით ბუნების ასეთ სასწაულზეო?», თანაც ჩანგალმომარჯვებულმა სხვებთან ერთად იქით გასწია, სადაც ზუთხი ეგულებოდა, იქვე გაშეშდა, როცა დაინახა, რომ ბუნების სასწაულიდან მხოლოდ კუდიღა დარჩენილიყო. რაც შეეხება სობაკევიჩს, ვითომდა აქ არაფერიაო, სუფრის კუთხეს მიეფარა, იქვე განაპირა მდგარ მათლაფას გადასწვდა და ჩანგლით რომელიღაც პაწია ხმელ თევზს დაუწყო წიწკნა. ზუთხით გამომძღარი სობაკევიჩი სავარძელზე დაეშვა, ამის შემდეგ აღარც უსვამს და აღარც უჭამია რა, მხოლოდ თვალებს კიჟავდა და მძიმედ ახამხამებდა. პოლიცმეისტერს, ვგონებ, ღვინის დაზოგვა არ უყვარდა; სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა. პირველი სადღეგრძელო, როგორც მკითხველები თვითონაც კარგად მიხვდებიან, იყო ხერსონის ახალი მემამულის მისამართით, შემდეგ მისი ახალშენაძენი შინაყმების კეთილდღეობის სადღეგრძელო, მათი ბედნიერი გადასახლებისათვის, შემდეგ დაილია სადღეგრძელო მისი მომავალი ლამაზი ცოლისა, რის გამოც ჩვენს გმირს ბაგეზე მეტად საამურმა ღიმილმა გადაურბინა, ბოლოს ირგვლივ შემოერტყნენ და დაბეჯითებით სთხოვეს, ორიოდე კვირით კიდევ დარჩენილიყო მათთან.

– არა, პაველ ივანოვიჩ! თქვენ როგორც გენებოთ, მაგრამ ეს რასა ჰგავს? მოსვლა ვერ მოასწარით და უკვე მიდიხართ! არა! თქვენ უნდა დარჩეთ ჩვენთან. მალე ცოლსაც შეგრთავთ: როგორ, ივან გრიგორიევიჩ, ცოლი არ შევრთოთ?

– შევრთოთ, შევრთოთ! – დაუმოწმა თავმჯდომარემაც, – რანაირადაც არ უნდა გაჯიუტდეთ და უარზე დადგეთ, მაინც არ მოგეშვებით, ვიდრე ცოლს არ შეგრთავთ! არა, ბატონო ჩემო, რახან ხელში ჩაგვივარდით, ბედს ნუღარ ემდურებით! ჩვენ ხუმრობის გუნებაზე არ გახლავართ.

– რა ვუყოთ მერე, ან რა საჭიროა გაჯიუტება, – უპასუხა ღიმილით ჩიჩიკომა, – ცოლის შერთვა არც ისეთი უბედურებაა, რომ კაცმა იუაროს, ოღონდ საპატარძლო მოინახოს.

– პატარძალიც ინება, როგორ არ იქნება, ყველაფერიც იქნება, ყველაფერი, რასაც ისურვებთ!..

– მაშ, რახან იქნება...

– ვაშა, ჩვენთან რჩება! – შესძახეს ერთხმად. – ვივატ, ვაშა, პაველ ივანოვიჩ, ვაშა! – და ყველანი გარს შემოეხვივნენ სავსე ჭიქებით.

ჩიჩიკოვმა ყველას მიუჯახუნა თავისი ჭიქა. «არა, არა, ერთხელ კიდევ მივაჯახუნოთ ჩვენი ჭიქები!» – ეუბნებოდნენ უფრო თავგამოდებულები და ხელახლა მიუჯახუნეს ჭიქა; შემდეგ მესამეჯერაც წამოიწიეს. მესამეჯერაც მიაჯახუნეს. სულ მოკლე ხანში ყველამ არაჩვეულებრივად მოილხინა. თავმჯდომარემ, რომელიც უსაყვარლესი და უგულითადესი ადამიანი იყო, როცა იგი გამხიარულდებოდა ხოლმე, რამდენჯერმე გადაკოცნა ჩიჩიკოვი და გრძნობამორევით უთხრა: «აჰ, ჩემო სულიკო! ჩემო დედიკო!» წარმოიდგინეთ, თითებიც კი გაატკაცუნა და მის გარშემო მოჰყვა ბუქნაობას, თანაც ცნობილი სიმღერა დაამღერა: «აჰ, შე ასეთო და ისეთო კამარიელო გლეხო ტეტიაო!» შამპანურის შემდეგ უნგრული ღვინო გახსნეს, რომელმაც უფრო მეტი ფხა მისცა ყველას და მთელი საზოგადოება აღაგზნო. ვისტის დარდი აღარავის ჰქონდა; კამათობდნენ, ყველაფერზე ლაპარაკობდნენ – პოლიტიკაზე, თვით სამხედრო საქმეებზედაც კი, თავისუფალ აზრებს უხვად აფრქვევდნენ, რის გულისათვისაც სხვა დროს საკუთარ შვილებსაც კი წკეპლით ზურგს აუჭრელებდნენ. აქვე გადაჭრეს ყველაზე სამძიმო და უძნელესი საკითხები. არასოდეს ჩიჩიკოვი არ ყოფილა ასეთ მხიარულ გუნებაზე, მან მართლა წარმოიდგინა, ვითომ უკვე ნამდვილი ხერსონელი მემამულეა, და ათას გაუმჯობესებაზე მასლაათობდა. სამმინდვრიანი მეურნეობის შემოღებაზე, ორთა სულის ბედნიერებასა და ნეტარებაზე და, წარმოიდგინეთ, სობაკეიჩს ლექსიც კი წაუკითხა, ვერტერის უსტარი შარლოტასადმი, რაზეც ის მხოლოდ თვალების ბლეტით უპასუხებდა, ისე დამძიმდა და მოერია ძილი იმ ზუთხის შემდეგ. ჩიჩიკოვი მიხვდა, რომ მეტისმეტად შეტოპა და ეტლი მოითხოვა. პროკურორმა თავისი ეტლი შესთავაზა. პროკურორის მეეტლე, როგორც ეს გზაში დაამტკიცა, ძალიან გამოცდილი გამოდგა, ვინაიდან ეტლს სულ ცალი ხელით მართავდა, ხოლო მეორე ზურგს უკან წაეღო და ბატონს იკავებდა, არ გადავარდესო. ასე და ამნაირად პროკურორის ეტლით მივიდა ჩიჩიკოვი თავის სასტუმროში, სადაც კიდევ დიდხანს ეკერა ენის წვერზე ათასი სისულელე: ქერათმიანი, ვარდისფრად გაბადრული საპატარძლო, პაწია ფოსოთი მარჯვენა ლოყაზე, ხერსონის სოფლები, დიდი თანხები და სხვა. თვით სელიფანსაც განკარგულება მისცა, ახლადგადასახლებული ყმებისათვის თავი მოეყარა და სათითაოდ შეემოწმებინა მათი ვინაობა. სელიფანი დიდხას ხმაამოუღებლივ უსმენდა ბატონს, შემდეგ ოთახიდან გავიდა და პეტრუშკას უთხრა: «წადი, ბატონს ტანისამოსი გახადეო!» პეტრუშკამ ჩექმების გახდა დაუწყო და ჩექმებთან ერთად ბატონიც კინაღამ იატაკზე დაახეთქა. როგორც იყო, მოთავდა ჩექმების გახდა, ტანთ თვითონ ბატონმა გაიხადა, როგორც წესი და რიგია, რამდენიმე ხანს იტრიალა ლოგინში, რომელსაც უმოწყალოდ გაუდიოდა ჭრიალი, და ბოლოს ჩაიძინა, როგორც ხერსონის ნამდვილმა მემამულემ. ამასობაში პეტრუშკამ დერეფანში გამოიტანა ბატონის შარვალი და წინწკლოვანი მოცვისფერი ფრაკი, რომელიც გააწყო ხის საკიდზე, ჯერ კარგად დაბერტყა შოლტით, შემდეგ ჯაგრისით დაუწყო წმენდა და ისეთი მტვერი დააყენა, დერეფანში არც კი შეისვლებოდა. ის-ის იყო პეტრუშკა ტანისამოსის ჩამოხსნას და შინ შეტანას აპირებდა, რომ დაბლა გადაიხედა და თვალი მოჰკრა თავლიდან მობრუნებულ სელიფანს. თვალი თვალს მოახვედრეს თუ არა,

ერთმანეთის აზრი უკვე იყნოსეს: ბატონს ჩაეძინა და შეგვიძლია თავი სადმე შევიქციოთო. პეტრუშკამ ფრაკი და შარვალი დააბინავა და უმალვე დაეშვა სელიფანთან. ორივემ ერთად გასწიეს. გზადაგზა სიტყვაც არ დაუძრავთ, თუ სად მიდიოდნენ ან რისთვის, სრულიად სხვა რამეზე ყბედობდნენ, მათი სეირნობა არც ისე დიდხანს გაგრძელებულა: მხოლოდ ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდნენ და მიადგნენ სასტუმროს პირდაპირ ერთი სახლის დაბალ, გამჭვარტლულშუშიან კარს, რომელსაც თითქმის პირდაპირ სარდაფში შეჰყავდით, სადაც ხის მაგიდებს უკვე შემოსხდომოდნენ ნაირ-ნაირი სტუმრები: წვერმოპარსულებიც და წვერმოუპარსავებიც, ტყაპუჭიანებიც და პერანგის ამარანიც, ზოგი კიდევ უხეში მაზარებით. რას აკეთებდნენ პეტრუშკა და სელიფანი იმ ჯურღმულში, ღმერთმა უწყის, ეს კია, რომ იქიდან ერთი საათის შემდეგ გამოვიდნენ; მაგრად ხელიხელჩაკიდებულნი უსიტყვოდ მოდიოდნენ., თანაც დიდი მზრუნველობით ექცეოდნენ ერთურთს, რომ რომელიმე კუთხეს არ დასჯახებოდნენ. ასე ხელიხელჩაკიდებულებმა მთელი მეოთხედი საათი მოანდომეს კიბეზე ასვლას. ბოლოს ესეც დასძლიეს და შიგნით შევიდნენ. პეტრუშკა ერთი წუთით შეჩერდა თავისი დაბალი საწოლის წინ იმის საგონებელში, თუ როგორ სჯობდა დაწოლილიყო. ბოლოს ადგა და გარდიგარდმო დაეგდო, ასე რომ ფეხები იატაკზე ჰქონდა მიბჯენილი. სელიფანი იქვე წამოწვა, იმავე საწოლზე, თავი პეტრუშკას მუცელზე მისდო და მთლად მიავიწყდა, რომ მისი ადგილი აქ კი არა, სრულიად სხვაგან – მოსამსახურეთა ოთახში ანდა თავლაში, ცხენების გვერდით იყო. ორივემ იმავე წუთს ჩაიძინა. საშინელი ხვრინვით თითქმის აყარეს ჭერი, რაზედაც მეორე ოთახიდან მათი ბატონიც ცხვირიდან წვრილი სტვენით უპასუხებდა. მალე ყველაფერი მიწყნარდა და სასტუმრო საღათას ძილს მიეცა. მხოლოდ ერთი პაწია სარკმლიდან მოჩანდა შუქი, სადაც ცხოვრობდა რიაზანიდან ჩამოსული ვიღაც პორუჩიკი, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი მოყვარული იყო ჩექმებისა, ვინაიდან, რაც ჩამოვიდა, ოთხი წყვილი ჩექმა უკვე შეუკვეთა და აგერ მეხუთესაც ისინჯავდა. რამდენჯერმე მივიდა იგი საწოლთან, რომ გაეხადა და დაწოლილიყო, მაგრამ ვერანაირად ვერ მოახერხა: ჩექმები მართლა კარგი შეკერილი იყო, ასე რომ კიდევ დიდხანს სწევდა ფეხს მაღლა და ათვალიერებდა საუცხოოდ გამოკანკლულ ჩექმის ქუსლებს.

თავი მერვე

ჩიჩიკოვის მიერ ნაყიდი სულები სალაპარაკო საგნად იქცა. ქალაქში ხმა დაირხა, ათას აზრს გამოთქვამდნენ, კამთობდნენ იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო გლეხების ყიდვა და სხვა ადგილებში გადაყვანა. კამათიდან ირკვეოდა, რომ ბევრნი მართლაც დიდი მცოდნენი იყვნენ ამ საგნისა. «რა თქმა უნდა, – ამბობდნენ ზოგიერთნი, – ეს ასეა, ამის საწინააღმდეგო არა გვაქვს რა: სამხრეთ გუბერნიებში მიწა მართლაც ნოყიერია და დიდად მოსავლიანიც, მაგრამ რა უნდა ქნან ჩიჩიკოვის გლეხებმა, თუკი წყალი არ ექნებათ? იქ მდინარე არ მოიპოვება». – «ეს კიდევ არაფერია, რომ წყალი არაა, დიახ, არაფერია, სტეფან დიმიტრიევიჩ, მაგრამ თვით აყრა-გადასახლება არასაიმედო საქმეა. ეს ყველამ ვიცით, რაც არის გლეხი ახალ მიწაზე; დაუმატეთ ისიც, რომ ხვნა-თესვას უნდა მიჰყოს ხელი – არაფერი კი არ გააჩნია, არც ქოხი, არც ეზო. რაღა თქმა უნდა, გაიქცევა; ეს ისევე ცხადია, როგორც ორჯერ ორი: ისე გაიპარება, მის ასავალ-დასავალსაც ვერ მიაგნებ». – «არა, ალექსეი ივანოვიჩ, არც აგრეა საქმე, ვერ დაგეთანხმებით, ვითომ ჩიჩიკოვის გლეხი სადმე გაიქცეს. რუსი კაცი ყველაფერს ადვილად ეჩვევა და უცხო ჰავასაც დიდებულად ეგუება. გინდა კამჩატკაზე გაგზავნეთ, ოღონდ საბუხარები მიეცით, ხელებს მოიფშვნეტს,

აიღებს ცულს, დაჰკრავს ერთს ან ორს და ხელდახელ ქოხს წამოსჭიმავს». – «მაგრამ, ივან გრიგორიევიჩ, შენ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება გამოგრჩა: შენ არ გინდა გაიგო, თუ რა საქონელია ჩიჩიკოვის გლეხი. გავიწყდება, რომ კარგ გლეხს მემამულე არ გაჰყიდის. თავს მოვიჭრი, ჩიჩიკოვის მიერ ნაყიდი გლეხი თუ უკანასკნელი ქურდი და ლოთი არა, მაწანწალა, თავზეხელაღებული გარეწარი მაინც იქნება». – «ეს ასეცაა, არ აგიხირდები, რომ ყველაფერი ეს მართალია, რომ კარგს არავინ გაიმეტებს გასაყიდად; ჩიჩიკოვის გლეხებიც ლოთები და მაწანწალები იქნებიან, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მორალი სწორედ აქ იჩენს თავს, სწორედ ამაშია მორალი: ეს გლეხები გარეწარნი არიან, მაგრამ ახალ მიწა-წყალზე შეიძლება ერთიანად გამოიცვალონ და საუკეთესო ყმები დადგნენ. ამის ცოტა მაგალითი როდი ყოფილა როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ისე ისტორიაშიც.» – «არასოდეს, არასოდეს! ეგ არა მოხდება, – ირწმუნებოდა სახაზინო ფაბრიკების მმართველი: – დამერწმუნეთ, რომ ეს არასოდეს არ მოხდება, ვინაიდან ჩიჩიკოვის გლეხს ახლა ორი ძლიერი მტერი ეყოლება: პირველი მტერი ისაა, რომ იქვე მახლობლადაა მალოროსიული გუბერნიები, სადაც, როგორც ვიცით, თავისუფალი ვაჭრობაა არყით. მე თქვენ გარწმუნებთ, ორი კვირის გსნმავლობაში არყით გაილეშებიან და მთლად გალოთდებიან. მეორე მტერი ის გახლავთ, რომ ამ გადასახლება-გადმოსახლების დროს გლეხი მოხეტიალე ცხოვრებას ეჩვევა. მაშასადამე, ჩიჩიკოვი იძულებული იქნება, მუდამ თვალყური ადევნოს მათ, მაგრად ეჭიროს ხელში, თუ რამე სისულელეს ჩაიდენენ, ლაზათიანად დაიფრინოს, მაგრამ ისე კი არა, რომ სხვისი იმედი ჰქონდეს, არამედ საკუთარი ხელით. სადაც საჭიროა, ყველას ცხვირ-პირი ამოუმტვრიოს და წაუთაქოს კისერში». – «აბა რა საჭიროა, რომ თვითონ ჩიჩიკოვმა ამტვრიოს ცხვირ-პირი თავის გლეხებს, როდესაც შეუძლია მოურავი იყოლიოს?» – «მერე სად იპოვის საიმედო მოურავს, ყველა ერთი მეორეზე წუნკალი და გარეწარია!» – « თუ გარეწრები არიან, აქ ისევ ბატონები არიან დამნაშავენი, ვინაიდან თავიანთ საქმეს თვითონ არ უვლიან». – «ეს მართალია, – კვერი დაუკრეს სხვებმა. – აბა ერთი თვითონ ბატონს რაიმე გაეგებოდეს მამულის მოვლისა და ხალხის გარჩევისა,მაშინ მოურავიც კარგი ეყოლება». აქ მმართველმა განაცხადა, კარგი მოურავი ხუთი ათას მანეთზე ნაკლებ არ დადგებაო. აქ თავმჯდომარემ ბრძანა, კარგ მოურავს სამას თუმნადაც ვიშოვიო. აქ მმართველმა თქვა: «კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სად იშოვი ასეთ მოურავს? იქნებ თქვენ ცხვირში?» აქ თავმჯდომარემ უპასუხა: «ცხვირში კი არა, მაგრამ მაზრაში ნამდვილად მოიპოვება. აი, მაგალითად, პიოტორ პეტროვიჩ სამოილოვი: აი, ასეთი მოურავი პირდაპირ მისწრება იქნებოდა ჩიჩიკოვისათვის!» ბევრს გულთან ახლოს მიჰქონდა ჩიჩიკოვის მდგომარეობა, ითვალისწინებდნენ ესოდენ უამრავი გლეხობის აყრა-გადასახლების სიძნელეს და დიდად შიშობდნენ, ვაითუ ეს მოუსვენარი ხალხი გზაზევე აუჯანყდეს ჩიჩიკოვს და რამე შეამთხვიოსო. ამაზე პოლიცმეისტერმა შენიშნა: აჯანყების შიში ამაოა, ვინაიდან ამის ასაცილებლად არსებობსკაპიტან-ისპრავნიკის ძალაუფლება, რომ კაპიტან-ისპრავნიკი თუნდაც თან არ მისდევდეს გადასახლებულთ და თავის მაგივრად მარტო თავისი ქუდი გააყოლოს, ეს ქუდიც იკმარებს, რომ გლეხები თავიანთ ახალ საცხოვრებელ ადგილამდე მირეკოსო. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც აზრი გამოთქვეს, თუ როგორ და რა საშუალებით აღმოეფხვრათ ჩიჩიკოვის გლეხობაში მეამბოხე სული. ამ საგანზე სულ სხვადასხვა აზრს გამოთქვამდნენ: ზოგი იმ აზრისა იყო, რომ გლეხობას უსასტიკესი სამხედრო წესებით უნდა მოპყრობოდნენ, ზოგი კიდევ სათნოებას არჩევდა. თავის მხრივ ფოსტმეისტერმა

განაცხადა, ჩიჩიკოვმა თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობა უნდა შეასრულოს, თავისი გლეხებისათვის გადაიქცეს, ასე ვთქვათ, მამად, შემოიღოს განათლებაო. აქ მან დიდი ქებით მოიხსენია ლანკასტერის ურთიერთსწავლის სკოლა.

ასე მსჯელობდნენ და მასლაათობდნენ მთელ ქალაქში; ბევრნი ჩიჩიკოვისადმი ღრმა თანაგრძნობით განიმსჭვალნენ და მოინდომეს პირადი გამოცდილებითა და რჩევით რაიმე დახმარება აღმოეჩინათ მისთვის. ზოგი ბადრაგსაც სთავაზობდა, რომ ჩიჩიკოვის გლეხობა დანიშნულ ადგილამდე უშიშრად მიეცილებინათ. ყოველი რჩევისათვის ჩიჩიკოვი ყველას მადლობას უხდიდა, თანაც ბეჯით სიტყვას აძლევდა, რომ მათი რჩევა-დახმარებით ისარგებლებდა, რაწამს ამას საჭიროება მოითხოვდა, ოღონდ ბადრაგის გაყოლაზე გადაჭრით უარი თქვა, ამას იმით ასაბუთებდა, რომ მისი გლეხები ვითომც ყოვლად მშვიდობიანი ხასიათისა იყვნენ და გრძნობდნენ, რომ მათთვის ასეთი ნებაყოფლობითი გადასახლება ხელსაყრელი იქნებოდა; მაშასადამე , მათი მხრივ რაიმე აჯანყების შიში სრულიად უსაფუძვლო იყო.

ყველა ასეთმა მითქმა-მოთქმამ და ლაპარაკმა მეტად კარგი ნაყოფი გამოიღო ჩიჩიკოვისათვის, რასაც თვითონ ვერ წარმოიდგენდა. ხმა დაირხა, ვითომც იგი მილიონერია. ქალაქის მცხოვრებლებმა, როგორც პირველი თავიდანავ დავინახეთ, გულით შეიყვარეს იგი და ამის შემდეგ ხომ კიდევ მეტი სიყვარულით განიმსჭვალნენ მისდამი. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ეს მოქალაქენი მეტად უწყინარი ხალხი იყო, ერთმანეთს მეგობრულად ეკიდებოდნენ და მათ საუბარს მუდამ რაღაც განსაკუთრებული გულუბრყვილობისა და მშვიდობიანობის ბეჭედი ესვა: «ძვირფასო მეგობარო ილია ილიჩ! გამიგონე, ძმაო ანტიპატორ ზახარევიჩ! ცოტა არ იყოს, ტყუილი მოგივდა, ჩემო კეთილო ივან გრიგირიევიჩ». ფოსტმეისტერს, რომელსაც ივან ანდრეევიჩს უწოდებდნენ, დაძახებაზე ასე მიაყოლებდნენ ხოლმე: «შპრეხენ ზი დეიჩ, ივან ანდრეიჩ?» – ერთი სიტყვით, ყველანი ერთი ოჯახის წევრებად გრძნობდნენ თავს. შიგდაშიგ კარგა განათლებულებიც ერივნენ: პალატის თავმჯდომარემ ზეპირად იცოდა ჟუკოვსკის «ლუდმილა», რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ცხელ-ცხელ ნობათს წარმოადგენდა. ამ პოემის ადგილებს იგი დიდი ოსტატობით კითხულობდა ზეპირად, განსაკუთრებით ერთ ადგილს: «ტყეს ჩაეძინა, ველიც ტკბილად თვლემს» და ამის შემდეგ ისე ამბობდა «ჩუ!» თითქოს მართლაც აგერ-აგერ ველმა ჩაიძინაო; რომ უფრო მეტი მსგავსება ყოფილიყო, ზოგჯერ თვალებსაც მილულავდა ხოლმე. ფოსტმეისტერი უფრო ფილოსოფიაში იყო გადავარდნილი და დიდი გულმოდგინებით, ღამ-ღამობითაც კი კითხულობდა იუნგის «ღამეებს» და ეკარტსჰაუზენის «ბუნების საიდუმლოებათა გასაღებს», საიდანაც საკმაოდ ვრცელ ამონაწერებს აკეთებდა, მაგრამ რა სახის ამონაწერები იყო, ეს არავინ უწყოდა. გარდა ამისა, იგი მოსწრებული სიტყვის პატრონი და ენამჭევრი კაცი იყო და, როგორც თვითონაც ამბობდა ხოლმე, უყვარდა სიტყვის შემკობა. სიტყვის შემკობას კი იგი ახერხებდა ნაირ-ნაირი ნართაულების ჩამატებით, როგორც მაგალითად: «შენ ხარ ჩემი ბატონი», «მავანი და მავანი ვიღაცა», «იცით», «გესმით», «წარმოგიდგენიათ», «რა ბრძანებაა», «მაინცდამაინც» და სხვა, რომელთაც იგი დაუღალავად აფრქვევდა; გარდა ამისა, სიტყვის შემკობა ხდებოდა თვალის ჩაკვრითაც, ზოგჯერ კიდევ თვალს მოჭუტავდა, რაც უფრო გესლიან ელფერს აძლევდა მის სატირულ ნართაულს. სხვებიც ბევრად თუ

ცოტად განათლებულნი ბრძანდებოდნენ: ვინ კარამაზინს კითხულობდა, ვინ «მოსკოვსკიე ვედომოსტის», ვინ კიდევ სულაც არაფერს არ კითხულობდა. ამ საზოგადოებაში ზოგი კიდევ ისეთები გახლდნენ, რომელთაც «ტიურიუკს» უწოდებდნენ, ესე იგი, ისეთ ადამიანებს, რომელთა ადგილიდან დაძვრა მხოლოდ პანღურით შეიძლება. ზოგი პირდაპირ ძილისგუდა იყო, რომელიც სულ გვერდზე იწვა და, როგორც ამბობენ ხოლმე, მთელ სიცოცხლეს ხვრინვაში ატარებდა: ამაოდ შეეცდებოდით წამოგეგდოთ, ტყუილია, გვერდსაც ვერ შეაცვლევინებდით. თვალადობის მხრივ, როგორც ცნობილია, ყველანი ჯანსაღნი და საიმედონი იყვნენ, ჭლექიანი მათ შორის არ ერია. ეს ისეთი ყაიდის ხალხი გახლდათ, რომელთაც ცოლები განმარტოების ჟამს ნაზი მეტსახელებით მიმართავდნენ ხოლმე: «დანდრაზა», «ღიპუნა», «ჭიპა», «შავტუხა», «კიკი», «ჟუჟუ», და ასე შემდეგ. საზოგადოდ, ყველა მეტად გულკეთილი ხალხი იყო, სტუმართმოყვარე. ვინც კი ერთხელ მათ პურმარილს იგემებდა, ანდა ერთ საღამოს მაინც ჩაუჯდებოდა ვისტის თამაშს, მათი უახლოესი მეგობარი შეიქნებოდა; აბა რა გასაკვირია, თუ ისეთმა თავაზიანმა და მომაჯადოებელმა ადამიანმა, როგორიც ჩიჩიკოვი გახლდათ, რომელმაც მშვენივრად უწყოდა თავმოწონების ყვლანაირი საიდუმლო, ყველა ერთბაშად მოინადირა. მართლაც, იმდენად შეიყვარეს იგი, რომ ჩიჩიკოვს თავის დაღწევაც კი ეძნელებოდა, ყოველ ასეთ ცდაზე ესღა ასმოდა: «მოითმინეთ, კიდევ ერთი კვირა გვაჩუქეთ, პაველ ივანოვიჩ! მხოლოდ ერთი კვირა!» ერთი სიტყვით, რომ იტყვიან ხოლმე, ხელისგულზე ატარებდნენ. მაგრამ ჩიჩიკოვმა (განსაცვიფრებელი ამბავი იყო!) ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ისევ ქალებზე მოახდინა. ეს ამბავი ცოტაოდნად მაინც რომ გაგვემარტა, საჭირო იქნებოდა ბევრი რამ გვეთქვა თვით ქალებზე, მათ საზოგადოებაზე, აგვეწერა, როგორც ამბობენ ხოლმე, ცოცხალი ფერებით მათი სულიერი ღირსებანი; სამწუხაროდ, ეს ფრიად სამძიმო რამ გახლავთ ავტორისათვის. ერთი მხრით მას აბრკოლებს უღრმესი მოწიწება წარჩინებულთა მეუღლეებისადმი, მეორე მხრით კიდევ... უბრალოდ ძნელია. ქალაქ №-ის ქალები გახლდნენ... არა, არასგზით არ შემიძლია დავიწყო – რაღაც შიშმა ამიტანა. ქალაქ №-ის ქალებში ყველაზე თვალსაჩინო ის გახლდათ... რა საოცარი რამაა, კალმის წვერი ვეღარ დამიძრავს, თითქოს შიგ ტყვია ჩამჯდარიყოს! მაშ ასე იყოს: მათი დახასიათების საქმე, როგორც ჩანს, ისევ სხვა ვინმეს უნდა მივანდოთ, ვისაც პალიტრაზე უფრო მეტი ცოცხალი ფერადები აქვს, ჩვენ კი მოგვიხდება ორიოდე სიტყვით გავკადნიერდეთ და მხოლოდ გარეგნობას შევეხოთ, ისიც ძალიან ზერელედ. ქალაქ №-ის ქალები გახლდნენ სწორედ ისეთები, რომელთაც პრეზენტაბელურებს ეძახიან, ასე რომ ამ მხრივ შეგვეძლო სხვების სამაგალითოდაც გვეღიარებინა ისინი. რაც შეეხება თავის დაჭერას, საზოგადოებაში ტონის, წესების დაცვას, ზრდილობის მრავალფეროვან მხარეებს, განსაკუთრებით მოდის მიყოლას უკანასკნელ წვრილმანემდე, ამ მხრივ პეტერბურგისა და მოსკოვის ქალებსაც გაუსწრეს. დიდი გემოვნებით უყვარდათ ჩაცმა, ქალაქში ეტლით გავლა, უკანასკნელი მოდის მიხედვით ეტლის უკან უსათუოდ უნდა სდგომოდათ ლივრეიანი და ოქროსბუზმენტებიანი ლაქია. სადარბაზო ბარათი, თუნდაც ჯვრის ორიანზე ყოფილიყო დაწერილი ან აგურის კიკოზე, საღმრთო ვალდებულებას შეადგენდა მანდილოსნებისათვის. ამის გამო, წარმოიდგინეთ, ორი გულითადი მეგობარი მანდილოსანი, თანაც ნათესავები, ერთმანეთს სასტიკად წაეკიდა, როცა ერთმა როგორღაც ყურადღება არ მიაქცია და სამაგიერო დარბაზობით არ უპასუხა. რამდენს ეცადნენ შემდეგ მათი ქმრები და ნათესაობა, რომ შეერიგებინათ, მაგრამ რა ბრძანებაა, თურმე ამქვეყნად

ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მხოლოდ ერთ რამეს კი ვერანაირად ვერ მიაღწევთ, სახელდობრ: ვერ შეარიგებთ დაბაზობაზე უყურადღებობის გამო წაჩხუბებულ ქალებს. ასე რომ ამ ორ მანდილოსანს შორის, როგორც ქალაქის მაღალ წრეებში ამბობენ ხოლმე, გამწვავებული ურთიერთობა დამკვიდრდა. პირველობის მოსაპოვებლად აგრეთვე მრავალი საგულისხმიერო სცენა იმართებოდა, რაიც ზოგჯერ ქმრებს რაინდულ დიდსულოვნებას შთააგონებდა. რა თქმა უნდა, დუელი მათ შორის არ მოხდებოდა, ვინაიდან ყველანი სამოქალაქო მოხელეები გახლდნენ, მაგრამ ტყავიდან კი ძვრებოდნენ, ოღონდ ერთმანეთისათვის რაიმე ისეთი სისაძაგლე გაეკეთებინათ, რაც, რა თქმა უნდა, ყოველგვარ დუელზე მძიმე იქნებოდა. ზნეობის მხრივ ქალაქ ნ-ის მანდილოსნები ფრიად სასტიკნი იყვნენ, ყოველგვარ მიწიერებას და საცთურს კეთილშობილური გულიწყრომით დაჰყურებდნენ და უმოწყალოდ გმობდნენ ყოველივე შეცოდებას. უკეთუ მათ შორის ხდებოდა ისეთი რამ, რასაც იმნაირ-ამნაირს უწოდებენ, ხდებოდა ყოვლად საიდუმლოდ, ისე რომ ვერავინ მიხვდებოდა, სად რა მოხდა; თვით ქმარიც კი იმდენად იყო გაწვრთნილი და ამისათვის გამზადებული, რომ თუნდაც იმნაირ-ამნაირი რამ საკუთარი თვალით დაენახა ანდა ვისგანმე გაეგონა, მაშინვე მოკლედ და ყოვლად გონივრულად უპასუხებდა: «აბა ვის რა ესაქმება, თუ მზახალი მზახალს ეკურკურებაო?» ისიც უნდა ითქვას, რომ ქალაქ ნ-ის მანდილოსნები, როგორც პეტერბურგის მრავალი მანდილოსანი, სიტყვა-პასუხში მეტისმეტად ფრთხილნი და თავდაჭერილნი გახლდნენ. მათი პირიდან ვერ გაიგონებდით: «მე ცხვირი მოვიხოცე», «ოფლი მომივიდა», «გადავაფურთხე», არამედ ამბობდნენ: «მე შევიმსუბუქე ცხვირი», «ცხვირსახოცით იოლად გავედი». არასდიდებით არ შეიძლებოდა თქმა «ამ ჭიქას ან თეფშს სუნი უდისო». არამცთუ ეს, ამის მსგავსი სიტყვის გადაკვრაც კი ყოვლად დაუშვებელი იყო; სამაგიეროდ მოხდენილად იტყოდნენ: «ამ ჭიქის საქციელი ვერაფრად მოსაწონიაო!» ან კიდევ ამის მსგავს სხვა რაიმეს. რათა რუსული ენა უფრო მეტად გაეკეთილშობილებინათ, თითქმის ნახევარზე მეტი რუსული სიტყვა განდევნილი გახლდათ საუბრის დროს, ამიტომ ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ფრანგულ ენას; სამაგიეროდ ფრანგულ ენაზე ისეთ რამეს გაგიბრტყელებდნენ, რომ მასთან შედარებით ზემოთ მოყვანილი სიტყვები არაფრად მოგეჩვენებოდათ. ამნაირად, აი, რისი თქმა შეიძლება ქალაქ ნ-ის მანდილოსნებზე, ისიც მეტად ზერელედ. მაგრამ, თუ სიღრმეში ინებებთ ჩახედვას, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრი რამ ამოტივტივდება; თუმცა ქალების გულის სიღრმეში ჩახედვა ფრიად საშიში გახლავთ. სჯობს ისევ ზერელე დახასიათებით დავკმაყოფილდეთ და განვაგრძოთ ჩვენი სათქმელი. აქამდე ჩვენი მანდილოსნები მაინცდამაინც ბევრს არ ლაპარაკობდნენ ჩიჩიკოვზე, თუმცა სრულიად სამართლიანად აფასებდნენ მის მეტად სასიამოვნო და დარბაისლურ ქცევას საზოგადოებაში. მაგრამ რაკი ხმა დაირხა მისი მილიონერობის შესახებ, ახლა სხვა თვისებებიც აღმოუჩინეს. უნდა ითქვას, რომ მანდილოსნები სრულიადაც არ იყვნენ ანგარების ხალხი; აქ დამნაშავე გახლდათ მხოლოდ ერთი უბრალო სიტყვა: «მილიონერი», – თვითონ მილიონერი კი არა, არამედ მხოლოდ სიტყვა, ვინაიდან ამ სიტყვას რაღაც თილისმური თვისება აქვს; რომ იგი გულისხმობს ფულით სავსე ტომრებს, მასში კიდევ ისეთი რამ იმალება, რაც მოქმედებს გაიძვერა ხალხზეც, ხალხზე, რომელიც არც ცუდია, არც კარგი და კარგ ხალხზეც – ერთი სიტყვით, ყველაზე თანაბრად მოქმედებს. მილიონერობა კიდევ იმიტომ არის ხელსაყრელი, რომ მილიონერს შეუძლია სრულიად უანგარო სისაძაგლე იხილოს, ასე ვთქვათ, ხალასი სისაძაგლე, რომელსაც არავითარი ანგარიშიანობა არ უდევს საფუძვლად:

ბევრმა ძალიან კარგად იცის, რომ ვერაფერს მიიღებს და არც უფლება აქვს მიიღოს რამე, მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობს უსათუოდ წინ შეეგებოს, გაუცინოს, ქუდი მოუხადოს, ნაძალადევად დააპატიჟებინოს თავი იმ სადილზე, რომელზეც მილიონერი მიუწვევიათ. არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთმა ნაზმა განწყობამ სისაძაგლისადმი უსათუოდ ჩვენს მანდილოსნებშიც ჰპოვა ადგილი; მიუხედავად ამისა ბევრგან, განსაკუთრებით დარბაზობის დროს, დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რა თქმა უნდა, ჩიჩიკოვი სილამაზით პირველობას ვერ დაიჩემებს, მაგრამ ისეთი კი არის, როგორიც უნდა იყოს მამაკაცი, და რომ იმაზე მეტი სრული ან გამხდარი ყოფილიყო, როგორიც დღეს არის, არაფრად მოუხდებოდაო. ამასთან, ცოტა არ იყოს, გაქირდვითაც კი მოიხსენიეს გამხდარი მამაკაცი: ეს როგორი ვაჟკაცია, კაცი კი არა, კბილის საჩიჩქნელააო. მანდილოსნების მორთულობასა და სამკაულებშიც ბევრმა სიახლემ იჩინა თავი: ქარვასლაში მიხლა-მოხლა და ზედახორობა შეიქნა; გეგონებოდა, სეირნობა გაიმართაო, იმდენმა ეტლმა მოიყარა თავი. ვაჭრები გაოცდნენ, რა დაინახეს, რომ ფართლეულის რამდენიმე თოფი, რომლებიც ბაზრობიდან მოეტანათ და ვერაფრით ვერ გაესაღებინათ სიძვირის გამო, უეცრად დიდი მოთხოვნილების საგნად გადაიქცა და ხელიდან დაიტაცეს. წირვის დროს ერთი მანდილოსნის კაბის ქვეში ისეთი რულო შენიშნეს, რომელმაც ნახევარი ეკლესია დაიჭირა, ასე რომ უბნის ბოქაულმა, რომელიც იმ დროს საყდაში იმყოფებოდა, იქვე უბრძანა ხალხს, კარიბჭისაკენ დაეწიათ, რომ მისი მაღალკეთილშობილების ტუალეტისათვის არა ევნოთ რა. თვითონ ჩიჩიკოვმაც უნებურად შენიშნა მისდამი გამოჩენილი ასეთი საზოგადო ყურადღება. ერთხელ შინ დაბრუნებისას მაგიდაზე ბარათი დახვდა; ვინ ან საიდან მოიტანა ეს ბარათი, მან ვერ გაიგო. ტრაქტირის ლაქიამ განაცხადა, მოტანით კი მოიტანეს ეს ბარათი, მაგრამ ვინაობის გამხელა არ ინებესო. ბარათი მეტად გაბედულად იწყებოდა, სახელდობრ აი როგორ: «არა, უსათუოდ უნდა მოგწერო!» შემდეგ ნათქვამი იყო, სულთა შორის არსებობს საიდუმლო თანაგრძნობაო; ეს ჭეშმარიტება ბეჭედდასმული გახლდათ რამდენიმე წერტილით, რომელთაც თითქმის ნახევარი სტრიქონი ეჭირა. შემდეგ ისეთ ღირსშესანიშნავი და ფრიად სამართლიანი აზრები მოსდევდა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ამოვწეროთ და წარმოგიდგინოთ: «რა არის ჩვენი ცხოვრება? – მხოლოდ ტრიალი ველი, სადაც მწუხარებასა და ვაებას დაუსადგურებია. რა არის ქვეყანა? – ეს მხოლოდ ბრბოა, რომელიც არაფერს გრძნობს». შემდეგ ქალი დასძენდა, რომ იგი ცრემლებით ალტობს ნაზი დედის სტრიქონებს, რომელიც აგერ ოცდახუთი წელია, რაც ქვეყანას გამოესალმა. შემდეგ ჩიჩიკოვს ეპატიჟებოდა უდაბნოში, რათა გასცლოდა სამუდამოდ ქალაქს, სადაც ხალხი შეხუთულა ციხე-გალავნებში და სუფთა ჰაერით ვეღარ სარგებლობს. წერილი საშინელი სასოწარკვეთილებით და ასეთი ლექსით გვირგვინდებოდა:

და ორნი გვრიტნი შენ გაჩვენებენ

ჩემ საბრალო ნეშტს გაცივებულსა,

და ტკბილ ღუღუნით მყის მოგითხრობენ,

რომ სიკვდილის წინ ის აფრქვევდა ცხარე ცრემლსა.

მართალია, ბოლო სტრიქონში ზომა არ იყო დაცული, მაგრამ მაინც არა უშავდა რა: ბარათი დაწერილი გახლდათ იმ დროის ყაიდაზე. არცთუ ხელმოწერილი ყოფილა: არც სახელი, არც გვარი, არც თარიღი თვისა და რიცხვის აღსანიშნავად. მხოლოდ postscriptum-ში მიწერილი იყო: დაე, თვით შენმა გულმა გაიგოს, ვინ იქნება ამ ბარათის დამწერი და რომ სახვალიო ბალზე გუბერნატორთან თვით ამ სტრიქონების დამწერსაც შეხვდებიო.

ამ ამბავმა დიდად დააინტერესა ჩიჩიკოვი. უსახელო ბარათში იმდენი მიმზიდველი და ცნობისმოყვარეობის წამქეზებელი რამ იმალებოდა, რომ მან მეორეჯერაც წიკითხა, მესამეჯერაც და ბოლოს წამოიძახა: «მართლაც, რა უცნაური რამაა! ნეტა ვინ უნდა იყოს ამ სტრიქონების დამწერი?» ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, საქმეს სერიოზული პირი უჩანდა. მან ერთი საათი მაინც ატრიალა ბარათი, იფიქრა, იფიქრა, ბოლოს გაშალა ხელები, თავი დახარა და თქვა: «ბარათი კი მაინც ძალიან ლამაზადაა დაწერილი!» მერე, რაღა თქმა უნდა, ბარათი შეკეცა და ყუთის საგანგებო უჯრაში შეინახა აფიშისა და საქორწინო მისაპატიჟებელი ბარათის გვერდით, რომლებიც შვიდი წლის განმავლობაში სულ ერთსა და იმავე მდგომარეობაში და ერთსა და იმავე ადგილს იდო. პატარა ხანს უკან მას მართლაც მიართვეს გუბერნატორთან ბალზე მისაპატიჟებელი ბარათი, რაიც ფრიად ჩვეულებრივი ამბავი გახლავთ საგუბერნიო ქალაქებში, ვინაიდან სადაც გუბერნატორია, იქ ბალია; სხვა მხრივ გუბერნატორს არავითარი სიყვარული და პატივისცემა არ ექნება თავადაზნაურობის თვალში.

იმავე წუთს ყოველივე გარეშეს თავი გაანება და მთელი ყურადღება ახლა ბალისათვის სამზადისს მიაპყრო. საამისოდ ბევრი მნიშვნელოვანი და წამაქეზებელი მიზეზი ჰქონდა. სამაგიეროდ შეიძლება ქვეყნიერების გაჩენიდან არავის იმდენი დრო არ მოენდომებინოს ჩაცმა-მორთვისათვის, რამდენიც მაშინ ჩიჩიკოვმა მოანდომა. მთელი საათი ჯერ სარკეში სახის დათვალიერებას მოუნდა, შეეცადა სხვადასხვა გამომეტყველება მიეღო: ხან დინჯი ადამიანისა, ხან პატივისცემის გამომხატველი გამომეტყველება, რომელსაც ოდნავი ღიმილი დაჰკრავს, ხან იგივე პატივისცემის გამომეტყველება, ოღონდ გაუღიმებლივ. გარდა ამისა, სარკის წინ რამდენჯერმე თავის დაკვრით რაღაც გაურკვეველი სიტყვები წამოიძახა, რომელნიც თითქოს ფრანგულს წააგავდა, თუმცა ჩიჩიკოვს ფრანგული ენის სრულებითაც არა ესმოდა რა. წარმოიდგინეთ, თავის თავს რამდენიმე სასიამოვნო სიურპრიზითაც გაუმასპინძლდა: წარბები და ტუჩები შეათამაშა, ენაც როგორღაც გაასავსავა. ერთი სიტყვით, განა ცოტა რამ არის, რასაც მარტო დარჩენილი ადამიანი სჩადის თავის ოთახში, როდესაც იცის, რომ მოხდენილია და თანაც დაწმუნებული, რომ ჭუჭრუტანებიდანაც მოთვალთვალე არავინა ჰყავს! ბოლოს ღაბუა ნიკაპს მიუალერსა, ოდნავ ამოჰკრა კიდეც, ზედ მიაყოლა ასეთი სიტყვები: «აი, შე ცუგუნია, შენა!» და ჩაცმას შეუდგა. სულის უაღრესი კმაყოფილება თან სდევდა მას ამ ჩაცმის დროს; როცა აჭიმს იკეთებდა ან ჰალსტუხს იხვევდა, ქუსლს ქუსლზე შემოირტყვამდა, მეტად მოხდენილად თავს ხრიდა და, მიუხედავად იმისა, რომ ცეკვა არ იცოდა, ანტრაშაც კი გააკეთა. ოღონდ ეს იყო, რომ ანტრაშას პატარა და ყოვლად უვნებელი შედეგი მოჰყვა, სახელდობრ: კამოდმა დაიზანზარა და მაგიდიდან ტანისამოსის ჯაგრისი გადმოვარდა.

ბალზე მისმა გამოჩენამ არაჩვეულებრივად იმოქმედა. დიდმა და პატარამ ყველამ ერთბაშად მისკენ იბრუნა პირი: ვინ სათამაშო ქაღალდით ხელში, ვინ მოულოდნელად შეეწყვიტა საუბარი სწორედ ყველაზე საინტერესო ადგილას, სახელდობრ, როცა ამბობდა: «ჩვენმა სამაზრო სასამართლომ უპასუხაო»... მაგრამ რა უპასუხა სამაზრო სასამართლომ, ეს უკუაგდო და გაეშურა, რათა ჩვენს გმირს მისალმებოდა. «პაველ ივანოვიჩ! აჰ, ღმერთო ჩემო, პაველ ივანოვიჩ! ძვირასო პაველ ივანოვიჩ! უპატივცემულესო პაველ ივანოვიჩ! ჩემო სულიკო, პაველ ივანოვიჩ! აი თურმე სად ყოფილხართ, პაველ ივანოვიჩ! აი, ჩვენი პაველ ივანოვიჩი! ნება მიბოძეთ გულზე მიგიკრათ, პაველ ივანოვიჩ! აბა აქეთ გამოუშვით, ერთი კარგა ჩავკოცნო ჩემი ძვირფასი პაველ ივანოვიჩი!» ჩიჩიკოვმა ერთბაშად რამდენიმე კაცის ხელში იგრძნო თავი, რომელნიც აქეთ-იქიდან ეხვეოდნენ. ის-ის იყო ძლივს გაითავისუფლა თავი თავმჯდომარის მკლავებიდან, რომ ახლა პოლიცმეისტერმა ჩაიკრა გულში; პოლიცმეისტერმა იგი გადასცა სამკურნალო სამმართველოს ინსპექტორს; სამკურნალო სამმართველოს ინსპექტორმა – მოიჯარეს; მოიჯარემ – ქალაქის ხუროთმოძღვარს... გუბერნატორმა, რომელიც ამ დროს ქალების წრეში იდგა და ერთ ხელში ფინია ეჭირა, ხოლო მეორეში კანფეტის ქაღალდი, ჩიჩიკოვის დანახვაზე ფინიაც და კანფეტის ქაღალდიც იატაკზე დააგდო, რის გამოც ფინიამ საბრალოდ დაიწმუკუნა; ერთი სიტყვით, დარბაზში უჩვეულო სიხარული და მხიარულება გამეფდა. არ იყო ისეთი პირი, ვისაც სიამის ნათელი არ მოჰფენოდეს, ყოველ შემთხვევაში, საყოველთაო კმაყოფილების შუქი არ გადაჰფენოდეს სახეზე. ასეთივე ამბავი მოსდით ხოლმე მოხელეებს, როდესაც უფროსი ჩამოვა მათ მართვა-გამგეობაში მყოფი ადგილების დასათვალიერებლად: რაკი პირველი შიშის ქარი გაივლის და დაინახავენ, რომ უფროსს ბევრი რამ მოეწონა და ხუმრობის გუნებაზეც კი დადგა, ესე იგი, საამური ღიმილით რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, – ისინი საპასუხოდ ხითხითს მოჰყვებიან, იცინიან სულითა და გულით, იცინიან ისინიც კი, რომელთაც ოდნავ მოჰკრეს მის სიტყვას ყური; წარმოიდგინეთ, შორს კართან მდგომი რომელიღაც პოლიციელიც, რომელსაც მთელ მის სიცოცხლეში ერთხელაც არ გაუცინია და ახლაც ეს-ეს არის ხალხს მუშტს უღერებდა, იმანაც კი გადამდებობის ურყევი კანონის ძალით გაიღიმა, თუმც ეს ღიმილი უფრო იმასა ჰგავს, როცა ადამიანი ცხვირში ბურნუთს შეიჩრის და დასაცემინებლად მოემზადება. ჩვენი გმირი ყველას ერთად და სათითაოდ პასუხობდა და რაღაც უჩვეულო სიმარჯვეს გრძნობდა: ოდნავ კისერდაგრეხილი, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, იგი მარჯვნივ და მარცხნივ თავის დაკვრით ესალმებოდა ყველას, მაგრამ ისე თავისუფლად, რომ ყველა მოხიბლა. ქალებიც იქვე გარს შემოერტყნენ საუცხოო ყვავილწნულივით და ათასნაირი ნელსურნელების გამაბრუებელი სუნი დააყენეს: ერთი ვარდის სუნს მოაფრქვევდა, მეორე გაზაფხულისა და იის სურნელებით გათრობდათ. მესამე სულ რეზედის სურნელებით გაჟღენთილიყო. ჩიჩიკოვს ისღა დარჩენოდა, რომ ცხვირი მაღლა აეწია და საამო სურნელებით დამტკბარიყო. ქალთა მორთულობაში დიდი გემოვნება იგრძნობოდა: მუსლინები, ატლასები, მარმაშები ისეთი ნაზი ფერებისა იყო, რა თქმა უნდა, მოდის კარნახის თანახმად, რომ მათი სახელების გამონახვაც კი ძნელია (აი, სადამდის მიდიოდა მათი გემოვნების სიფაქიზე!) ბაფთები და ყვავილების პატარ-პატარა თაიგულები აქა-იქ დაუდევრად ჰქონდათ მიბნეული კაბებზე, თუმცა ამ დაუდევრობაზე კარგა ბლომად ეშრომნა გონიერ თავს. მსუბუქი თავსამკაული, ოდნავ მიმაგრებული ყურებთან, თითქოს ასე ეუბნებოდა ყველას: «ჰეი, მივფრინავ, ოღონდ, ისა მწყინს, ჩემი კეკლუციც თან ვერ

მიმყავსო!» მათი გამოკვალთული, მკვრივი ტანი თვალისათვის ფრიად სანდომიანი სანახავი იყო (უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ ქალაქ №-ის მანდილოსნები რამდენადმე ჩასუქებულები გახლდნენ, მაგრამ ისე მოხდენილად ისალტებოდნენ და ისეთი საამური მიმოხვრა ჰქონდათ, რომ ძნელად შეატყობდით, თუ მართლა სქელები იყვნენ). ყველაფერი რიგზე მოეფიქრებინათ და წინასწარვე დაწვრილებით გაეთვალისწინებინათ; კისერი და მხრები მოტიტვლებული ჰქონდათ, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, საზღვარს კი არ გადასცილდებოდნენ; ყველანი თავთავიანთ სამფლობელოებს იმდენად აშიშვლებდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ ახლა ადვილად შეეძლოთ ადამიანი დაეღუპათ; დანარჩენი კი არაჩვეულებრივი გემოვნებით დაეფარათ: ან რაღაც პაწია პაფთა გამოეკვალთათ, ან მსუბუქი შარფი მოეხვიათ, ჰაეროვნად რომ დალიფლიფებდა კისრის ირგვლივ და «კოცნა» ეწოდებოდა, ან კაბისა და მხრების ქვეშ უნაზესი ბატისტი ჩამოეფრიალებინათ, რომელსაც «კდემამოსილება» ჰქვია. სწორედ ეს «კდემამოსილება» გახლდათ ის თილისმა, რომლითაც ჩვენი მანდილოსნები წინიდან თუ ზურგიდან თვალთმაქცურად ფარავდნენ იმას, რასაც უკვე აღარ შეეძლო დაეღუპა დამიანი, თუმცა კი ყველას ეჭვს აღუძრავდა, რომ სწორედ აქ იყო დამალული დამღუპველი ჯადო. გრძელი ხელთათმანები სახელოებამდე კი არ წვდებოდათ, არამედ განზრახ შიშვლად დაეტოვებინათ იდაყვს ზემოთ მადისაღმძვრელი მკლავები, რომლებიც ბევრს სახარბიელოდ სავსე და ფუნთუშა ჰქონდა; ზოგიერთებს ნატის ხელთათმანები იმდენად მაღლა აეჭიმათ, რომ დასკდომოდათ კიდეც, – ერთი სიტყვით, ყველას სახეზე ამას ამოიკითხავდით: უკაცრავად, აქ გუბერნია არ გეგონოთ, თვით სატახტო ქალაქია, ნამდვილი პარიზიო! ოღონდ ეს იყო, რომ უეცრივ აქა-იქ გამოერეოდა ხოლმე არსადნახული თავსაბური ან რაღაც ყოვლად უცნაური, ფარშავანგის ფრთის მსგავსი რამ, – საკუთარი გემოვნების ნაყოფი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ მოდას. მაგრამ რას ვიზამთ. ამას გზას ვერ ავუქცევთ, ასეთი გახლავთ თვისება საგუბერნიო ქალაქისა: სადმე აუცილებლად ასეთმა უცნაურობამ უნდა იჩინოს თავი! ჩიჩიკოვი იდგა მანდილოსანთა წინაშე და ფიქრობდა: «ნეტა რომელია იმ ბარათის დამწერიო?» მან ცხვირიც კი წაყო წინ ცნობისმოყვარეობით, მაგრმ ცხვირში მოხვდა იდაყვები, ბაბთები, სახელოები, მოშარიშურე კაბები და სურნელოვანი შემიზეტკები. ცეკვა-თამაში უკვე გახურებული იყო: თავგამეტებით მიჯირითობდნენ ფოსტმეისტერის მეუღლეც, კაპიტან-ისპრავნიკიც, ცისფერფრთიანი მანდილოსანიც, თეთრფრთიანი მანდილოსანიც, ქართველი თავადი ჭიპხაიხილიძეც, პეტერბურგელი მოხელეც, მოსკოველიც, ფრანგი კუკუც, პერხუნოვსკიც, ბერებენდოვსკიც, – ერთი სიტყვით, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და თავდავიწყებით დაჰქროდა...

– ერიჰაა! აირია მონასტერი და ესაა! – თქვა გუნებაში ჩიჩიკოვმა და ცოტათი უკან დაიხია; ხოლო როგორც კი მანდილოსნები დასხდნენ, მან ისევ დაუწყო თვალიერება, რომ რომელიმე ქალის სახის გამომეტყველებაში და თვალებში ამოეკითხა, თუ ვინ იყო ბარათის დამწერი; მაგრამ ვერაფერს გახდა, არც სახის გამომეტყველება, არც თვალები არ ამხელდნენ საიდუმლო ბარათის დამწერის ვინაობას. ყველას სახეში მხოლოდ ოდნავ გამოაშკარავებულ, ოსტატურად მიმალულ რაღაცას ამჩნევდა, თან როგორ ოსტატურად!.. «არა, – თქვა თავისთვის ჩიჩიკოვმა, – ქალი ისეთი ქმნილებაა, რომ... – აქ მან ხელიც კი ჩაიქნია: – ამაზე ლაპარაკიც არ ღირს! აბა, ბიჭი ხარ და სცადე ერთი, აგვიწერე მათი

თვალების ელვარება: წყლიანი, ხავერდოვანი, დაშაქრული. ღმერთმა უწყის, კიდევ რანაირი არაა! ცივიცაა, ნაზიც, მთლად მინაბულიც, ანუ, როგორც ზოგიერთები ამბობენ ხოლმე, მიბნედილი; ზოგჯერ უფრო მეტიც, ვიდრე მიბნედილი, – თუ ერთი გულზე მოგეკიდა, ისე აგითამაშებს, თითქოს ქამანმა გულის სიმებს ჩამოჭრაო. არა, შესაფერ სიტყვას ვერ გამონახავ, ქალი კაცობრიობის მოდგმის გალანტიორულ ნახევარს წარმოადგენს და მეტი არაფერი!»

ბოდიშს ვიხდი! აქ, ვგონებ, ჩვენი გმირის ბაგეს უნებლიეთ წამოსცდა ქუჩაში ყურმოკრული სიტყვა. რას გავაწყობთ? ასეთია რუსეთში მწერლის მდგომარეობა! თუმცა, თუ რომელიმე ასეთი სიტყვა წიგნში მოხვდა, მწერალი კი არაა დამნაშავე, არამედ მკითხველები და უწინარეს ყოვლისა მაღალი საზოგადოების მკითხველები: სწორედ ესენი გახლავან, ვისგანაც ვერც ერთ წესიერ რუსულ სიტყვას ვერ გაიგონებთ, თუ არა ფრანგულს, გერმანულს ან ინგლისურს; უცხო სიტყვებს კი იმდენს მოგაყრიან, რომ დათვლითაც ვერ დათვლით; დაუმატეთ ახლა მათი შესაფერი გამოთქმაც: თუ ფრანგულ სიტყვას იტყვიან, ცხვირში წარმოთქვამენ, თუ ინგლისურს – ფრინველივით მოჰყვებიან ჭყიპინს, სახესაც კი ჩიტს მიამსგავსებენ დ მასხრად აიგდებენ ყველას, ვინც ამას ვერ მოახერხებს; რუსულ ენას კი აბა რას დაგიდევენ! ათასში ერთხელ, ისიც ვითომდა პატრიოტიზმის დასამტკიცებლად, აგარაკზე ქოხს თუ ააგებენ რუსული გემოვნებით. აი, რანაირი ხალხია მაღალი საზოგადოების მკითხველები და საზოგადოდ ისინი, რომელიც ამ მაღალ საზოგადოებას ეტმასნებიან. მერე და რანაირი მოთხოვნილებისა ბრძანდებიან! მათ უნდათ, რომ ყველაფერი ზედმიწევნით სუფთა ენით იყოს დაწერილი, დაწმენდილი და კეთილშობილური; ერთი სიტყვით, მათ უნდათ, რომ რუსული ენა თავისთავად უეცრივ ჩამოეშვას ღრუბლებიდან, დამუშავებული, როგორც წესი და რიგია, და პირდაპირ ენაზე წამოასკუპდეთ, მათ კი პირის დაღების მეტი არა დასჭირდეთ რა. რა თქმა უნდა, დიდი უცნაური ხალხია კაცობრიობის ეს ნახევარი ქალები, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, პატივცემული მკითხველები ზოგჯერ მათზე უცნაურებიც ბრძანდებიან.

ჩიჩიკოვი კი მაინც საგონებელს მისცემოდა, თუ რომელი უნდა ყოფილიყო ქალებიდან იმ ბარათის მომწერი. ერთხელ კიდევ სცადა და ყურადღებით მიაპყრო ყველას თვალი, მაგრამ ქალთა მხრივ ისეთი რამ შეამჩნია, რაც იმედსაც უღვიძებდა და იმავ დროს ტკბილ ტკივილსაც იწვევდა საბრალო მოკვდავის გულში, ისე, რომ ბოლოს შესძახა კიდეც: «არა, ყოვლად შეუძლებელია რისიმე გაგება!» მიუხედავად ამისა, მის მხიარულ გუნებას ოდნავადაც არ შეცვლია ნირი: სრულიად თავისუფლად და დიდი ოსტატობით საამური სიტყვებით უპასუხებდა გარშემორტყმულ ქალებს; ის ხან ერთთან, ხან მეორესთან მიდიოდა პაკაპუკით, პატარ-პატარა ნაბიჯებით, ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, მიცუნცულებდა მაღალ ქუსლებზე შემდგარი ჩია, მაგრამ კოპწია ბერიკაცების მსგავსად, რომლებიც ქალებს მუდამ კუდში დასდევენ, რის გამოც მათ ბერკვიც არშიყებს უწოდებენ. მარჯვნივ და მარცხნივ მიცუნცულ-მოცუნცულების შემდეგ იგი მარდად მოტრიალდა და ფეხი ფეხს შემოჰკრა, თითქოს კუდი მოიქნია, ან სასვენი ნიშანი მოხაზაო. ქალები მეტად კმაყოფილნი დარჩნენ და არათუ ბევრი რამ სასიამოვნო, არამედ რაღაც მარსისებური და მხედრული სიდიადეც აღმოაჩინეს მასში, რაიც, როგორც ვიცით, ძალიან მოსწონთ ქალებს. წარმოიდგინეთ, მის გამო ერთგვარი უთანხმოებაც წამოიჭრა: რა ერთი შენიშნეს, რომ იგი

უფრო კარის ახლოს დგებაო, ზოგიერთებმა მოისურვეს წინასწარ ამ კართან დაეჭირათ ადგილი. და როდესაც ერთს წილად ხვდა ბედნიერება სხვებისათვის დაესწრო, ამან უსიამოვნება გამოიწვია. ბევრმა ასეთი საქციელი საზიზღარ თავხედობად მიიჩნია.

ჩიჩიკოვი ისე გაერთო ქალებთან, უკეთ, ქალებმა ისე გაართეს და თავბრუ დაასხეს ლაპარაკით, ათასნაირი მახვილგონიერებით და თავსატეხ ალეგორიებით, რის გამოც შუბლზე ოფლიც კი წამოასკდა, სულ დაავიწყდა ზრდილობის ვალი მოეხადა და პირველად დიასახლისთან მისულიყო. ეს მხოლოდ მაშინ გაიხსენა, როდესაც თვითონ დიასახლისის ხმა გაიგონა, რომელიც უკვე რამდენიმე წუთი იყო, რაც მის წინ იდგა. გუბერნატორის მეუღლემ თავი საამურად შეარხია და ალერსიანი, თანაც ეშმაკური ღიმილით მიმართა: «აა, პაველ ივანოვიჩ, აი თურმე თქვენ!..» წვრილად ვერ შევძლებ გადმოგცეთ დიასახლისის სიტყვები, მაგრამ ეს კია, რომ აქ გამოხატა დიდი გულითადობა, სწორედ იმ სახით, როგორც ეს მიღებულია ხოლმე ქალებსა და მათ კავალრებს შორის ჩვენი საერო მწერლების მოთხრობებში, რომელთაც უყვართ მაღალი საზოგადოების სალონების აღწერა და მაღალი წრის წესების ცოდნით დატრაბახება, – დაახლოებით ამგვარად: «ნუთუ ისე დაიპყრეს თქვენი გული, რომ იქ ერთი პაწია კუნჭულიც აღარ დარჩენილა თქვენგან ასე უმოწყალოდ მივიწყებულთათვის?» ჩვენი გმირი იმავ წუთში მოტრიალდა დისახლისისაკენ და მზად იყო პასუხი გაეცა მისთვის, უეჭველია, არანაკლები იმაზე, როგორსაც აწვიდიან ერთმანეთს მოდურ რომანებში ზვონსკები, ლინსკები, ლიდინები, გრემინები თუ ათასი სხვა მარჯვე სიტყვა-პასუხის სამხედრო ხალხი, მაგრამ როგორც კი თვალი შეავლო, ისე გაშტერდა, თითქოს მოულოდნელად მეხი დაეცა და გააქვავაო.

მის წინ არა მარტო გუბერნატორის მეუღლე იდგა: მას ხელი გამოედო ნორჩი, თექვსმეტი წლის ქერათმიანი გოგონასათვის, რომლის ნაზ, ნატიფ ნაკვთებს, თხელ ნიკაპს და მომხიბვლელად დამრგვალებულ სახეს მხატვარი ნიმუშად აიღებდა, რომ მადონა დაეხატა, და რომლის მსგავსი იშვიათად შეგვხვდება რუსეთში, სადაც ყველაფერი ფართო და მადლიანია: მთებიც, ტყეებიც, ველებიც, პირისახეც, ტუჩებიც და ფეხებიც. ეს ქერათმიანი გოგონა გახლდათ სწორედ ის არსება, რომელსაც ჩიჩიკოვი შეხვდა გზად, ნოზდრიოვიდან წამოსვლისას, როდესაც მეეტლეთა თუ ცხენების სისულელის გამო მათი ეტლები ისე უცნაურად შეეჯახნენ ერთმანეთს, თასმებით გადაიხლართნენ და ძია მიტიაიმ და ძია მინიაიმ იკისრეს მათი გამოხსნა. ჩიჩიკოვი ისე აირია, რომ ერთი რიგიანი სიტყვა ვერ მოახერხა და ისეთი რამ წაიბურტყუნა, რასაც არასგზით არ იტყოდა არც გრემინი, არც ზვონსკი და არც ლიდინი.

– თქვენ ჯერ არ იცნობთ ჩემს ქალს? – მიმართა გუბერნატორის მეუღლემ, – აი ეს ჩემი ქალია. ინსტიტუტი ეს არის ახლა დაამთავრა.

ჩიჩიკოვმა მიუგო, უკვე ბედნიერება მქონდა უნებლიეთ გავცნობოდი თქვენს ასულსო; კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ ეს რაღაც ხეირიანად ვერ გამოხატა. გუბერნატორის მეუღლე კიდევ ორიოდე სიტყვით გაელაპარაკა, შემდეგ კი თავის ასულთან ერთად გასწია დარბაზის მეორე კუთხისაკენ, სხვა სტუმრების შესაქცევად. ჩიჩიკოვი კი კვლავ უძრავად შერჩა იმავე ადგილს, როგორც ადამიანი, რომელიც მხიარულ

გუნებაზე გამოდის სასეირნოდ, თვალები საამურად უციმციმებს და ყველას შეჰხარის, მაგრამ უეცრივ შეჩერდება და გაქვავდება. გაახსენდება რა, რომ რაღაც დაავიწყდა. ამაზე სულელური გამომეტყველება შეუძლებელია სხვა რამ იყოს: უეცრივ უდარდელობის იერი უქრება სახეზე; ფიქრობს და ვერ მოუფიქრებია, რა დაავიწყდა; იქნებ ცხვირსახოცი? მაგრამ ცხვირსახოცი ჯიბეში უდევს; იქნებ ფული? მაგრამ ფულიც ჯიბეშია. ყველაფერი თითქოს თან აქვს. მიუხედავად ამისა, უხილავი ხმა ყურში ჩასჩურჩულებს, რომ რაღაც დაავიწყდა. ისიც დაბნეული უმზერს მის წინ ამოძრავებულ ბრბოს, მსრბოლავ ეტლებს, მიმავალი ჯარისკაცების კივერებსა და თოფებს, აბრას, მაგრამ ხედვით ხეირიანად ვერაფერს ხედავს. ასევე მოუვიდა ჩიჩიკოვს: უეცრივ იგი ყველაფრისთვის უცხო გახდა, რაც კი მის ირგვლივ ხდებოდა. ამასობაში კი მრავალი მანდილოსნის სურნელოვანი ბაგიდან ოსტატურად გადაკრული სიტყვები და შეკითხვები იფრქვეოდა. «ნუთუ ნება არა გვაქვს ჩვენ, დედამიწის საბრალო შვილებს, ვიყოთ ამდენად კადნიერები, რომ შეგეკითხოთ, რაზე ოცნებობთ?» – «სადაა ის ბედნიერი ადგილი, სადაც დაფრინავს თქვენი ფიქრი?» – «არ შეიძლება ვიცოდეთ იმ ბედნიერის სახელი, ვინც გადაგტყორცნათ ოცნების ტურფა ველებზე?» მაგრამ ჩიჩიკოვი ყველას სრული უყურადღებობით პასუხობდა და ტკიბილმოუბართა სიტყვები თითქოს მივიწყების ტბაში იძირებოდა. წარმოიდგინეთ, ისეთი უზრდელობა ჩაიდინა, რომ მათ ანაზდეულად თავი გაანება და სხვა მხარეს წავიდა, რათა გუბერნატორის ასულის კვალისათვის მიეგნო. სამაგიეროდ მანდილოსნებს არც ასე ადვილად უნდოდათ თავის დანებება; თითოეულ მათგანს მოესურვა ყველანაირი ხერხი ეხმარა, მამაკაცთა გულისათვის ესოდენ სახიფათო, და აემოქმედებინა ყველაფერი ის, რაც კი საუკეთესოდ მიაჩნდა, რათა მიზნისათვის მიეღწია. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ ქალს, – მე ვამბობ, ზოგიერთს-მეთქი, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ყველა ქალი ისეთი იყოს, – ზოგიერთ ქალს ერთი სუსტი მხარე აქვს: თუკი შენიშნა, რომ ერთ-ერთი რამ მაინც თვალსაჩინო აქვს, შუბლი ან პირი ან ხელები, ფიქრობს, თითქოს მისი ასეთი თვალშესავლები რამ სხვებს პირდაპირ თვალში ეცემა და ყველას ერთხმად ათქმევინებს: «ერთი შეხედეთ, შეხედეთ, რა ლამაზი ბერძნული ცხვირი აქვს!» ანდა: «რა ფიქალივით სწორი და მომხიბვლელი შუბლი აქვს ამ ქალს!» ვისაც კიდევ კარგი მხრები აქვს, წინდაწინვე დარწმუნებულია, ვითომც ახალგაზრდა ყმაწვილებს იმწამსვე მოხიბლავს, როცა გვერდით ჩაუვლის: «აჰა, რა ლამაზი მხრებიაო!» იტყვიან ისინი და არც კი შეხედავენ სახეზე, ცხვირზე, შუბლზე, და თუნდაც შეხედონ, ისე მიიღებენ, როგორც სულ უცხო და გარეშე რამეს. აი ასე ფიქრობს ზოგიერთი ქალი. ამ საღამოს თითოეულმა ქალმა აღთქმა დასდო თავი გამოეჩინა ცეკვაში და მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოეაშკარავებინა, რითაც თავი მოჰქონდა. ფოსტმეისტერის მეუღლემ ვალსის დროს ისე მიბნედილად გადახარა გვერდზე თავი, რომ მართლაც არაამქვეყნიურ ქმნილებას დაემსგავსა. ერთი მანდილოსანი კიდევ, რომელიც სრულიადაც საცეკვაოდ არ იყო მოსული, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობდა, პატარა ინკომოდიტე შეემთხვა, ანუ მარჯვენა ფეხზე პატარა ძიძიბო გაუჩნდა და ამიტომ იძულებული იყო ხავერდის ჩექმები ჩაეცვა, – იმდენად გაიტაცა მეტოქეობის სურვილმა, რომ ვეღარ მოითმინა და იმ ხავერდის ჩექმებით რამდენიმე წრე შემოუარა, რათა ფოსტმეისტერის მეუღლე მეტისმეტად თავს არ გასულიყო.

მაგრამ ყველა ამან ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ჩიჩიკოვზე, როგორსაც ქალები მოელოდნენ. იგი არც კი უყურებდა მოცეკვავე ქალებს და სულ ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ თავებს ზემოთ გადაეხედა და ეპოვა გულში ჩავარდნილი ქერა გოგონა; ერთხანად დაიღუნა კიდეც, რომ მხრებსა და ზურგებს შორის გაეხედ-გამოეხედა. ბოლოს, როგორც იყო, დაინახა: იგი გვერდით მისჯდომოდა დედას, რომლის თავზე მედიდურად ირხეოდა რაღაც აღმოსავლური დოლბანდი შიგ გარჭობილი ფრთით. გეგონებოდათ, თითქოს ჩიჩიკოვმა მათი იერიშით აღება მოისურვაო. არ ვიცი, საგაზაფხულო განწყობილების ბრალი იყო, ზურგში ხელს ჰკრავდა ვინმე, თუ რა მოხდა, ეს კია, რომ ჩიჩიკოვი შლაგაშლუგით გაიჭრა წინ, მოიჯარეს გაჰკრა გვერდში, კინაღამ წააქცია; ფოსტმეისტერმაც უკან დაიწია, განცვიფრებით დაუწყო ცქერა, ცოტა არ იყოს დამცინავადაც კი, მაგრამ მას ყურადღებაც არ მიუქცევია; იგი მხოლოდ ქერათმიან გოგონას ხედავდა, რომელიც გრძელ ხელთათმანს იცვამდა და, უეჭველია, მოუთმენლობით იწვოდა, რომ ცეკვით გაენავარდა. იქ კი, გვერდით ოთხმა წყვილმა უკვე მაზურკა გაახურა; ქუსლებით პირდაპირ იატაკს ანგრევდნენ; ვიღაც არმიელი შტაბს-კაპიტანი ცდილობდა რაც შეეძლო, სულითა და გულით, ხელებითაც და ფეხებითაც, და ისეთ ილეთებს აკეთებდა, რომლის მსგავსი სიზმრადაც არავის მოლანდებია. ჩიჩიკოვმა მაზურკას გვერდი აუქცია, თითქმის მოცეკვავეთა ქუსლებს გადაურბინა და პირდაპირ იმ ადგილს მიაშურა, სადაც გუბერნატორის მეუღლე იჯდა თავისი ქალიშვილით: ოღონდ ძალიან მოკრძალებით კი მიუახლოვდა, უკვე აღარ მიცუნცულებდა თამამად ფრანტის ყაიდაზე, ცოტა არ იყოს, აირია კიდეც და ყოველ მის მოძრაობას რაღაც უხერხულობა დაეტყო.

დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, მართლა სიყვარულის გრძნობამ იფეთქა თუ არა ჩვენი გმირის გულში, – ცოტა საეჭვოც კია, რომ ისეთი ჯურის ბატონებმა, ესე იგი ისეთებმა, რომლებიც არც ძალიან სქელები არიან, მაგრამ არცთუ ძალიან თხელები, კიდევ შეძლონ ვისიმე შეყვარება; ეს კია, რაღაც საოცარი ამბავი მოხდა, თითქოს ისეთი რამ, რომლის ახსნა თვითონაც არ შეეძლო: მას მოეჩვენა, როგორც შემდგომ აღიარა, რომ მთელი ბალი, ასეთი ყიჟინითა და ხმაურით, რამდენიმე წუთით შორს სადღაც გადაიკარგა; ვიოლინოები და საყვირები სადღაც მთებს იქით ჟღერდა, ბურუსი გადაეფარა ყველაფერს და ისე გამოიყურებოდა, როგორც დაუდევრად დადღაბნილი სურათი. ამ ბუნდოვანი, უხეიროდ მოხაზული სურათიდან მხოლოდ მიმზიდველი ქერა გოგონას ნაზი არსება გამოკრთოდა ნათლად და მკაფიოდ: მისი მრგვალი, პაწია სახე, წვრილი, წერწეტა ტანი, როგორიც მხოლოდ ახლად ინსტიტუტდამთავრებულებს აქვთ ხოლმე, მისი თეთრი, თითქმის სრულიად სადა სამოსელი, რომელიც მსუბუქად ბურავდა მის ნორჩსა და ნარნარ ტანს და ოდნავ აჩენდა ნატიფ ნაკვთებს. გეგონებოდათ, თითქოს იგი სათამაშო რამ ნივთი იყო, სპილოს ძვლისაგან გამოთლილი; მხოლოდ ის მოჩანდა ასე თეთრად მოკიაფე და გამჭვირვალე ამ მღვრიე ბრბოში.

ჩანს, ასე ყოფილა ქვეყანაზე, ჩანს, რომ ჩიჩიკოვებიც რამდენიმე წუთით პოეტებად გარდაიქმნებიან ხოლმე: თუმცა «პოეტი» აქ გაზვიადებული ნათქვამია. ყოველ შემთხვევაში, მან თავი წარმოიდგინა რომელიმე ახალგაზრდა კაცად, ლამის ჰუსარადაც კი. რაწამს ჩიჩიკოვმა გუბერნატორის მეუღლის გვერდით განთავისუფლებული სკამი დაინახა, დაუყოვნებლივ დაიკავა. ჯერ ლაპარაკი რიგზე ვერ ეწყობოდა, მაგრამ ნელ-ნელა

საქმე გამოუკეთდა და ბოლოს ერთგვარი ძალაც იგრძნო, მაგრამ... აქ უდიდესი მწუხარებით უნდა შევნიშნოთ, რომ დადინჯებულ ხალხს, ვისაც მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია, როგორღაც არ ეხერხებათ ქალებთან ლაპარაკი; ამის დიდი ოსტატები არიან ბატონი პორუჩიკები, ყოველ შემთხვევაში, ბატონები არა უმაღლეს კაპიტნის ჩინისა. ღმერთმა უწყის, როგორ ახერხებენ ამას: თითქოს და დიდ რამეს არ ამბობენ, გოგონები კი სიცილით სკამზე ვეღარ მაგრდებიან. სტატსკი სოვეტნიკი კი, ღმერთმა უწყის, რას არ მოჩმახავს: ან იმაზე გიამბობთ, რომ რუსეთი ძალიან ვრცელი სახელმწიფოა, ან ისეთ ქათინაურს წამოისვრის, რომელიც, რა თქმა უნდა, მახვილადაა ნათქვამი, მაგრამ მეტისმეტად მწიგნობრულია; ხოლო თუ რამ სასაცილოს იტყვის, თვითონ გაცილებით მეტს ხითხითებს, ვიდრე ის ქალი, ვინც მას უსმენს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მკითხველთათვის გაუგებარი არ დარჩეს, რატომ იყო, რომ ქერათმიანი გოგონა მთქნარებას მოჰყვა, როცა ჩვენი გმირი ჰყვებოდა სხვადასხვა ამბებს. ჩვენს გმირს კი ეს არ შეუნიშნავს და მრავლიდან მრავალ სასიამოვნო ამბავს მოუთხრობდა, რომლებიც ასეთ შემთხვევაში სხვა დროსაც ბევრჯერ უამბნია, სახელდობრ: სიმბირსკის გუბერნიაში სოფრომ ივანოვიჩ ბესპეჩნისთან, სადაც მაშინ იყო ბესპეჩნის ასული ადელაიდა სოფრომოვნა თავის მულებით: მარია გავრილოვნათი, ალექსანდრა გავრილოვნათი და ადელგეიდა გავრილოვნათი; ფეოდორ ფეოდოროვიჩ პერეკროევთან რიაზანის გუბერნიაში; პენზის გუბერნიაში ფროლ ვასილიევიჩ პობედონოსნისთან და მის ძმასთან პიოტრ ვასილიევიჩთან, სადაც მისი ცოლის დაც იყო, კატერინა მიხაილოვნა და მისი დისწულების შვილები: როზა და ემილია ფეოდოროვნა: ვიატკის გუბერნიაში პიოტრ ვარსონოფიევიჩთან, სადაც იყო მისი რძლის და პელაგია ეგოროვნა ძმისწულით სოფია როსტისლავნათი და დედის მხრივ სხვა ორი დით სოფია ალექსანდროვნათი და მაკლატურა ალექსანდროვნათი.

არც ერთ მანდილოსანს არ მოსწონებია ჩიჩიკოვის ასეთი საქციელი. ერთმა მათგანმა განგებ გვერდით ჩაუარა, რომ უკმაყოფილება ენიშნებინა მისთვის და, წარმოიდგინეთ, ქერათმიანს კარგა ტლანქად მოახვედრა კაბის სქელი რულო, ხოლო მხრებზე მოფრიალე შარფის წვერი თითქმის ზედ ცხვირთან დაუქროლა. იმავე დროს ჩიჩიკოვის ზურგს უკან ერთი მანდილოსნის ბაგიდან იების სურნელთან ერთად კარგა გესლიანი შენიშვნა გაისმა, მაგრამ ჩვენმა გმირმა ეს ან მართლაც ვერ გაიგონა, ანდა თავი მოიკატუნა, ვითომც არ გაეგონოს. ეს კია, რომ ორივე შემთხვევაში ძალიან ცუდად მოუვიდა, ვინაიდან ქალების აზრს ჯეროვანი ანგარიში უნდა გაეწიოს: ამის გამო შემდეგში კიდეც ინანა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ბევრს სხეზე ყოველმხრივ სამართლიანი გულისწყრომა გამოეხატა. თუმცა საზოგადოებაში დიდი წონა ჰქონდა ჩიჩიკოვს, თუმცა მილიონერის სახელი მოიხვეჭა და მის სახეზე მედიდურება იხატებოდა, რაღაც მარსისებური და მხედრულიც კი, მაგრამ არის ზოგიერთი რამ, რასაც ქალები არასდიდებით არ აპატიებენ, ვინც არ უნდა იყოს იგი, და მაშინ ყველაფერი ხელაღებით დაკარგულია! არის შემთხვევა, როდესაც ქალი, რაზომ სუსტი და უძლური არ უნდა იყოს მამაკაცთან შედარებით, უეცრივ ძალ-ღონეს იკრებს და არათუ მამაკაცზე მტკიცე ხდება, არამედ ყველაფერს აღემატება, რაც კი ქვეყნად მოიპოვება. ჩიჩიკოვის მიერ ქალების უგულებელყოფამ, წინასწარ განუზრახველმა, მისდა უნებურად

მომხდარმა, საოცარი ერთსულოვნება დაამყარა იმ ქალთა შორისაც კი, რომელთაც სკამის გამო წეღან კინაღამ ერთმანეთი დაჭამეს. ჩიჩიკოვის ჩვეულებრივ, უბოროტოდ თქმულ სიტყვებში ქალებმა რაღაც დაცინვა ამოიკითხეს. უბედურების დასაგვირგვინებლად ვიღაც ახალგაზრდა კაცმა სატირული ლექსი გამოთქვა მოცეკვავე საზოგადოებაზე, ურომლისოდაც, როგორც ვიცით, თითქმის ვერც ერთი საგუბერნიო ბალი ვერ გადარჩება. ეს ლექსი უმალვე ჩიჩიკოვს მიაწერეს. უკმაყოფილება ძლიერდებოდა, მანდილოსნები გულისწყრომით მოჰყვნენ მასზე ჩურჩულს ყოველ კუთხეში; საბრალო ქერათმიანი გოგონა კი მთლად მოსპეს და განაჩენიც გამოუტანეს.

ამასობაში ჩვენს გმირს მოულოდნელი და მეტად არასასურველი ამბავი ემუქრებოდა: იმ დროს, როდესაც ქერათმიანი გოგონა ამთქნარებდა, ხოლო ჩიჩიკოვი უამბობდა, თუ რა დროს რა გადახდომია და თვით ბერძენ ფილოსოფოს დიოგენსაც კი გადასწვდა, – უკანა ოთახიდან თავი გამოჰყო ნოზდრიოვმა. რა მოხდა, საიდან გამოტყვრა, ბუფეტიდან, მწვანე სასტუმროდან, სადაც ქაღალდის თამაში უფრო გახურებულიყო, ვიდრე ჩვეულებრივი ვისტის დროს, თავისი ნებით იყო, თუ გამოაგდო ვინმემ, არ ვიცით, ოღონდ ეს კია, რომ იგი მეტად მხიარულ გუნებაზე გახლდათ და ხელიხელგაყრილი მოათრევდა პროკურორს; ეტყობოდა, ასე კარგა ხანს დაათრევდა, რადგან პროკურორი თავის სქელ წარბებს აქეთ-იქით საცოდავად ატრიალებდა, თითქოს იმის საგონებელშია, როგორ დავაღწიო თავი ამ მეგობრულ მოგზაურობასაო. მართლაც ყოვლად აუტანელი მოგზაურობა კი გახლდათ; ნოზდრიოვი შექეიფიანებული იყო, ორი ფინჯანი ჩაი დაელია, რა თქმა უნდა, რომით შეზავებული, და უმოწყალოდ ცრუობდა. ჯერ კიდევ შორიდან მოჰკრა თუ არა თვალი, ჩიჩიკოვმა გადაწყვიტა მსხვერპლი გაეღო, ესე იგი, დაეთმო ყოვლად სახარბიელო ადგილი და რაც შეიძლება სასწრაფოდ გასცლოდა აქაურობას: გრძნობდა, კარგს არას უქადდა მასთან შეხვედრა, მაგრამ თითქოს განზრახ ამ დროს გუბერნატორი შეეფეთა, რომელმაც ფრიად გაიხარა, რომ იპოვნა პაველ ივანოვიჩი, შეაჩერა და სთხოვა, მსაჯული ყოფილიყო ორ ქალთან ატეხილ დავაში, ხანგრძლივია თუ არა ქალის სიყვარული; ამასობაში ნოზდრიოვმაც თვალი შეასწრო და პირდაპირ მისკენ გამოსწია.

– აა, ხერსონის მემამულეს ვახლავარ, ხერსონის მემამულეს! – შესძახა მან და ისეთი ხარხარი ატეხა, რომ მაისის ვარდივით გაფურჩქვნილი წითელი ლოყები აუთახთახდა. – რაო, ბევრი მკვდარი სული შეიძინე? – წამოიყვირა მან და იქვე მდგარ გუბერნატორს მიუბრუნდა: – ეს ვაჟბატონი, თქვენო აღმატებულებავ, მკვდარი სულებით ვაჭრობს! ღმერთმანი! გამიგონე, ჩიჩიკოვ, პირდაპირ გეუბნები, როგორც მეგობარს, აი, აქ ყველა შენი კეთილი მეგობრები ვართ, აი, მისი აღმატებულებაც აქ ბრძანდება, ჰოდა, გეუბნები, ჩემ ხელთ რომ იყოს, ჩამოგახრჩობდი, ღმერთმანი, ჩამოგახრჩობდი!

ჩიჩიკოვმა აღარც კი იცოდა, სად იჯდა.

– არ დაიჯერებთ, თქვენო აღმატებულებავ, – განაგრძო ნოზდრიოვმა, – როცა მითხრა, მკვდარი სულები მომყიდეო, სიცილით კინაღამ გავიგუდე. მოვდივარ აქ და მეუბნებიან, სამ მილიონამდე მანეთი გაიღო გლეხების შეძენაში და ახლა თან უნდა წაიყვანოსო: სად უნდა წაიყვანოს! ეგ ხომ მკვდრებს მევაჭრებოდა. გამიგონე, ჩიჩიკოვ, ნამდვილი პირუტყვი

ხარ, ღმერთმანი, პირუტყვი! აი მისი აღმატებულებაც აქაა, მართალს არ ვამბობ, პროკურორო?

მაგრამ პროკურორი, ჩიჩიკოვიც და გუბერნატორიც ისე დაიბნენ, რომ ვერაფერი ვერ მოახერხეს საპასუხოდ; ნაზდრიოვი კი ყურადღებას არავის აქცევდა და ნახევრად მთვრალი განაგრძობდა:

– მაგრამ შენ, ძმაო, შენ... ვერ ჩამოგეხსნები, ვიდრე არ გამაგებინებ, რატომ ყიდულობდი იმ მკვდარ სულებს. გამიგონე, ჩიჩიკოვ, რატომ არა გრცხვენია, ხომ იცი, რომ ჩემზე უკეთესი მეგობარი შენ არავიანა გყავს. აი, მისი აღმატებულებაც აქ ბრძანდება, ასე არ არის, პროკურორო? არ დაიჯერებთ, თქვენო აღმატებულებავ, როგორი განუყრელი მეგობრები ვართ, ესე იგი, თქვენ რომ გეთქვათ, აი, მე აქა ვდგავარ და თქვენ კი გეთქვათ: «ნოზდრიოვ! გულზე ხელი დაიდე და თქვი, ვინ უფრო მეტად გიყვარს, მშობელი მამა თუ ჩიჩიკოვი? გეტყოდით: ჩიჩიკოვი-მეთქი», ღმერთმანი... ნება მომეცი, გულო, ერთი კარგი ბეზე გაგაკრა. ნება მომეცით, თქვენო აღმატებულებავ, ერთი კარგა ჩავკოცნო. აბა, ჩიჩიკოვ, ნუღარ ჯიქობ, მხოლოდ ერთი ბეზიკოს ნება მომეცი მაგ თეთრთოვლა ლოყებში!

ნოზდრიოვს თავისი ბეზეთი ისე მოხვდა, რომ კინაღამ წაიქცა: ყველანი ჩამოეცალნენ და უკვე ყურადღებას არ აქცევდნენ. მიუხედავად ამისა, მისგან წამოსროლილი სიტყვა მკვდარი სულების ყიდვის შესახებ ისეთი ხმით იყო წამოყრანტალებული და თან ისეთი ხარხარი დაემატა, რომ იმათი ყურადღებაც კი მიიპყრო, ვინც დარბაზის სულ ბოლო კუთხეში იყვნენ. ამ ახალმა ამბავმა თავისი უცნაურობით ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ როგორღაც ყველა გაახევა და სულელური გაკვირვება აღებეჭდა სახეზე. ჩიჩიკოვმა შენიშნა, რომ ქალებმა რაღაც ფარული ბოროტებით ჩაუკრეს ერთმენეთს თვალი, თანაც ღვარძლიანად გაიღიმეს; ზოგიერთების სახეზე კიდევ ორაზროვანი რაღაც იხატებოდა, რაიც უფრო აორკეცებდა ამ უხერხულობას. ნოზდრიოვი რომ ცნობილი ცრუპენტელა იყო, ეს ყველას მოეხსენებოდა და ამიტომ არც ეუცხოვებოდათ მისგან სისულელის გაგონება; მაგრამ ადამიანს – მართლაც რა ძნელი გასაგებია ადამიანის ბუნება. – რანაირი უხამსი და სულელური ახალი ამბავიც არ უნდა იყოს, ოღონდ ახალ ამბად გააგონეთ და ისიც უმალვე ახალ ამბად გადასცემს მეორე მოკვდავს, თუნდაც იმიტომ, რომ თქვას: «შეხეთ ერთი, რანაირი ამბავი მოჭორესო!» მეორე კიდევ სიამოვნებით ყურს მიუგდებს, თუმცა შემდეგ თვითონაც იტყვის: «რაღა თქმა უნდა, ეს უმსგავსი სიცრუეა, რომელიც ყურადღების ღირსიც არ არისო!» – და იმავე წუთში მოჰყვება მესამე მოკვდავის ძებნას, რათა ჯერ იმასაც უამბოს და მერე ერთად შესძახონ კეთილშობილური გულისწყრომით: «რა უმსგავსი რამ მოუჭორიათო!» ასე შემოივლის ეს ამბავი მთელ ქალაქს, ყველა მოკვდავი, ვინც კი იქნება, ლაქლაქით გულს კარგა მოისუყეს და შემდეგ აღიარებს: ეს ამბავი Yყურადღების ღირსი არაა და სათაკილოცაა მასზე პატიოსანმა კაცმა ილაპარაკოსო.

ამ სულელურმა ამბავმა, ეტყობა, მეტად შეაწუხა ჩვენი გმირი. რანაირი ტუტუცური სიტყვაც არ უნდა იყოს სულელისა, ხშირად საკმარისია მისი წამოსროლა, რომ ჭკვიან კაცს დავთრები აერიოს. ჩიჩიკოვი თავს მეტად უხერხულად გრძნობდა: სწორედ ისე, თითქოს

სარკესავით გაპრიალებული ჩექმებით უეცრივ ამყაყებულ წუმპეში შეეტოპოს; ერთი სიტყვით, ძალიან, ძალიან ცუდი დღე დაადგა! ჩიჩიკოვი ბევრს ეცადა ამაზე აღარ ეფიქრა, როგორმე დაევიწყებინა და როგორმე გართულიყო, მიუჯდა კიდეც ვისტის მოთამაშეებს, მაგრამ ყველაფერი გამრუდებული ურმის თვალივით წაღმა-უკუღმა წაუვიდა: ორჯერ პირდაპირ სხვის მასტზე ჩავიდა და, რაკი დაავიწყდა, რომ მესამედ აღარ ჩადიან, მთელი ძალ-ღონით დაჰკრა ხელი და სულელურად თავისივე კარტი აიყვანა. თავმჯდომარე ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა, რომ ისეთი კარგი და ჭკვიანი მოთამაშე, როგორიც პაველ ივანოვიჩი იყო, ასეთ შეცდომებს უშვებდა და ყვავის მეფეც კი დააკარგვინა, რომლის იმედი თავმჯდომარეს ისევე ჰქონდა, მისივე საკუთარი სიტყვით, როგორც ღმერთისა. რა თქმა უნდა, ფოსტმეისტერი, თავმჯდომარე და თვით პოლიცმეისტერიც ხუმრობდნენ ჩვენს გმირზე, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, რომ ეს სიყვარულის ბრალია, რომ პაველ ივანოვიჩის გული დაჭრილია, ისიც ვიცით, ვისმა ისარმა დაჰკოდაო; მაგრამ ეს მას ვეღარ ანუგეშებდა, თუმცა ცდილობდა მხიარულად ყოფილიყო და ოხუნჯობითვე ეპასუხნა ხუმრობაზე. ჩიჩიკოვმა ვახშამზეც ვერ გაიხსნა გული, მიუხედავად იმისა, რომ სულ რჩეული საზოგადოება იჯდა. ნოზდრიოვიც, დიდი ხანია, რაც გარეთ მიაბრძანეს, ვინაიდან თვით მანდილოსნებმაც შენიშნეს, რომ მეტისმეტად წრეგადასულად იქცეოდა: შუა კოტილიონში იატაკზე დაჯდა და მოცეკვავეებს კალთებს უჭერდა, რაიც, ქალების სიტყვით, უკვე აღარაფერს არა ჰგავდა. ვახშამი მხიარულად ჩატარდა: სამ-სამსანთლიანი შანდლებით, ყვავილებითა და ბოთლებით გაწყობილ სუფრასთან მჯდომი სტუმრების სახე გაბრწყინებული იყო კმაყოფილების შუქით. ოფიცრები, მანდილოსნები, ფრაკებში გამოწყობილი მამაკაცები – ყველა ისეთი თავაზით იქცეოდა, რომ გულიც კი მოგისუყდებოდათ. მამაკაცები სკამებიდან წამოიჭრებოდნენ და მსახურებთან მირბოდნენ, რათა მათთვის სინები ჩამოერთმიათ და არაჩვეულებრივი სიმარდით მიეთავაზებინათ ქალებისათვის. ერთმა პოლკოვნიკმა შიშველი ხმლის წვერით საწებლით სავსე მათლაფა მიართვა მანდილოსანს. საპატიო წლოვანების მამაკაცები, რომელთა შორის ჩიჩიკოვიც იჯდა, ხმამაღლა კამათობდნენ და მდოგვში უმოწყალოდ ამოვლებულ თევზის ან ხორცის ნაჭერს ზედაც საქმიან სიტყვას აყოლებდნენ; დაობდნენ ისეთ საგნებზე, რომლებზედაც თვითონ ჩიჩიკოვიც ხშირად კამათობდა ხოლმე; ახლა კი იგი შორი გზიდან დაბრუნებულ დაღლილ-დაქანცულ მგზავრს ჰგავდა, რომელსაც თავში აღარა შესდის რა და არც ძალ-ღონე აქვს, მიიღოს რამეში მონაწილეობა. ვახშმის მოთავეებისთვის აღარც კი მოუცდია და გაცილებით ადრე წავიდა, ვიდრე ჩვეულებრივ მიდიოდა ხოლმე. იქაც, მკითხველისათვის უკვე ნაცნობ ოთახში კამოდმიდგმული კარითა და ყოველი კუთხიდან გამომზირალი ხოჭოებით, მისი ფიქრები და სულის მდგომარეობა ისევე აფუტკნული იყო, როგორც სავარძელი, რომელზედაც იჯდა. გული დაენისლა, დარდი მოაწვა, რაღაც სიმძიმე და სიცარიელე იგრძნო. «აი, ეშმაკსაც წაუღია ყველას თავი, ვინც ეს ბალები მოიგონა! – ამბობდა გულმოსული: – აბა, სასიხარულო რა ჰქონდათ, რომ ასე ფუნდრუკობდნენ? მთელ გუბერნიაში ასეთი მოუსავლიანობაა, სიძვირე, ესენი კი ამდგარან და ბალებს მართავენ! გამოპრანჭულან რაღაც ჭრელჭრულებში, – დიდი ამბავი მომხდარა სწორედ! გააკვირვეს ქვეყანა, თუ ათასმანეთიანი რამერუმე აიხორხლეს ტანზე! მერე საიდან იცვამენ ასე, თუ არა ისევ ჩვენი გლეხობის ზურგიდან აძრობილი გადასახადების ხარჯზე, ანდა, რაც უარესია, ჩვენი ძმის სინდისის ხარჯზე? ხომ ყველამ ვიცით, რისთვისაც ვიღებთ ქრთამებს ან რატომ ვთაღლითობთ: იმიტომ, რომ ცოლს კარგი შალი მიართვა, ან ნაირ-ნაირი რობრონები თუ

რაღაც ეშმაკები, სულ კი რისთვის? იმისთვის, რომ რომელიმე სიდოროვნამ არ გიჩურჩულოს, აი, ფოსტმეისტერის ცოლს ყველაზე უკეთესად ეცვაო; ჰოდა, აიღებ და ცოლის გულისთვის ათას მანეთს წყალში გადააგდებ. მომიყვებიან: «ბალი, ბალი, მხიარულებაო! « ბალი პირდაპირ სისაძაგლეა, რუსული სულისათვის შეუფერებელი, რუსული ბუნებისათვის ყოვლად შეუსაბამო რამ. ეშმაკმა უწყის, რასა ჰგავს ეს: შეღერებული, სრულწლოვანი ვინმე უეცრივ გამოგიხტება, შავებში გამოწყობილი, გაქუცული, შესალტული, ჭინკა ნამდვილი, და მოჰყვება ფეხების ქნევას! ზოგი კიდევ გამოვა საცეკვაოდ, იქვე რაიმე მნიშვნელოვან საქმეზე ეკამათება მეორეს, თან კი ფეხებს ციკანივით მარჯვნივ და მარცხნივ აბაკუნებს... ეს სულ მაიმუნობით მოგვდის, მაიმუნობით! რახან ფრანგი ორმოცი წლისაც ისათივე ბავშვია, როგორიც თხუთმეტი წლის იყო, მოდი და ჩვენც იმას მივბაძოთ! არა, ღმერთმანი... ყოველი ბალის შემდეგ გულზე ისეთნაირად გაწვება, თითქოს რაღაც მძიმე ცოდვა ჩაგედინოს, მოგონებაც კი გეზარება. თავში სიცარიელეა, როგორც მაღალი საზოგადოების კაცთან საუბრის შემდეგ, რომელიც ყველაფერზე გელაპარაკება, ყველაფერს ოდნავ შეეხება, ყველაფერს იტყვის, რაც კი წიგნებიდან ამოუციცქნია, ბრტყელ-ბრტყელი, ლამაზ-ლამაზი სიტყვებით, მაგრამ თავში რომ მისგან რაიმე დაგრჩეთ, ამას ნუ ელით; ბოლოს შეამჩნევთ, რომ ამ ცარიელ ლაყლაყს ისევ რომელიმე უბრალო ვაჭართან ლაპარაკი გერჩივნათ. თუმცა მან მხოლოდ თავისი საქმე იცის, მაგრამ იცის მტკიცედ, გამოცდილებით. აბა რა უნდა გამოიტანოთ ბალიდან, თუნდაც რომ საქაჩავებით გამოსწუროთ? ვთქვათ და რომელიმე მწერალმა მოისურვა ამ სცენის აღწერა ისე, როგორც არის: იმ წიგნშიც ისეთივე უაზრობა იქნება, როგორც სინამდვილეშია. რა არის ეს: ზნეობა თუ უზნეობა? ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს! შეაფურთხებ და წიგნსაც დახურავ». ასე არასაკეთილდღეოდ მსჯელობდა ჩიჩიკოვი ბალებზე საზოგადოდ; მაგრამ, ვგონებ, მის უკმაყოფლებაში სხვა მიზეზიც ჩამოერია. მთავარი ბოღმა ბალზე კი არ იყო გახეთქილი, არამედ იმაზე, რომ მას უადგილო ადგილას ჩაუწყდა თოკი და, ვინ იცის, რა სახით არ წარსდგა საზოგადოების თვალში, რომლის წინაშეც რაღაც უცნაური, ორაზროვანი როლი შეასრულა. რა თქმა უნდა, როცა დინჯი თვალით შეხედა, მისთვის ცხადი იყო, რომ ეს სისულელეა, სულელის სიტყვას მნიშვნელობა არა აქვს, განსაკუთრებით ახლა, როცა უმთავრესი მოათავა, მაგრამ უცნაურია ადამიანის ბუნება: მას გულს უკლავდა სწორედ იმათი განწყობილება, ვისაც პატივს არა სცემდა და ასე საშინლად კიცხავდა ფუქსავატობისა და ჩაცმა-დახურვის სიყვარულისათვის. თანაც გრძნობდა, რომ ამის მიზეზი ნაწილობრივ თვითონვე იყო. თუმცა თავის დროზე სულაც არ გაჯავრებულა და ამაში მართალი იყო. ყველა ჩვენგანს ეს ცოდვა მოგვდგამს, გიყვარს საკუთარი თავის დაზოგვა. ამიტომ ვცდილობთ გამოვძებნოთ ვინმე მახლობელი, რომელზედაც შეიძლება ჩვენი ბოღმა ვანთხიოთ, – მსახური ან ხელქვეითი მოხელე, რომელიც ამ დროს ხელს მოგხვდა, ან ცოლი, ან სკამიც კი, რომელსაც, ეშმაკმა უწყის, საით ვისვრით, კარსაც კი მივახეთქებთ ისე, რომ საზურგისა და სახელურის ნამსხვრევები სულ აქეთ-იქით გადაცვივდეს, თითქოს ამით გვინდა ვთქვათ, – დაე, იცოდნენ, რას ნიშნავს ადამიანის რისხვაო. ჩიჩიკოვმაც მალე იპოვნა მახლობელი, რომელმაც საკუთარ მხარ-ბეჭზე გადაიტანა ყველაფერი, რაც კი მას ბოღმას გაუქარვებდა. ეს მახლობელი გახლდათ ნოზდრიოვი; ჰოდა, რაღა თქმა უნდა, ისეთი მაგარ-მაგარი მოხვდა, როგორც რომელიმე Gგაიძვერა მამასახლისს ან მეეტლეს მოხვდება ხოლმე მოგზაურობის საქმეებში გამოჯეკნილ კაპიტნისაგან, ხშირად გენერლისგანაც კი, რომელიც გარდა კლასიკური

გამოთქმებისა კიდევ დაურთავს ხოლმე თავის მიერ გამოგონილ, ჯერ არსად გაგონილ სიტყვებს. ნოზდრიოვის მთელი საგვარეულო გადმოქოთებული იქნა და მისი აღმავალი შტოს წარმომადგენლებსაც ბევრი მოხვდა.

იმ დროს, როცა აფორიაქებული ფიქრებითა და უძილობით გატანჯული ჩიჩიკოვი სავარძელში იჯდა და ნოზდრიოვსა და მთელ მის საგვარეულოს ასე რიგად უმასპინძლდებოდა, მის წინ კი ქონის სანთელი ლიფლიფებდა, რომელიც კარგა ხანია ნამწვის შავი ქუდით შეიმოსა და ჩაქრობას აპირებდა; როცა ფანჯრიდან განთიადის მოახლოებაზე ლაჟვარდის გადასაკრავად გამზადებული შავად ჩაბნელებული ღამე შემოჰყურებდა; როცა შორს მამლები ერთმანეთს ეხმიანებოდნენ და მიძინებულ ქალაქში სადმე ნაცრისფერი, მაზარა თუ მიეხეტებოდა, ღმერთმა იცის, რა კლასისა და ჩინის ბეჩავი ვინმე,ვინაც (ვაგლახ!) არა უწყის რა გარდა მოქეიფე რუსი ხალხის მიერ ნატკეპნი ერთი გზისა, – აი ამ დროს, ქალაქის მეორე ბოლოზე ერთი ამბავი ხდებოდა, რომელიც დიდ უსიამოვნებას უმზადებდა ჩვენს გმირს სახელდობრ, ქალაქის შორეულ ქუჩებსა და მოსახვევებში მორახრახებდა უცნაური ეტლი, რომლის სახელწოდება დიდ საგონებელში ჩააგდებდა ადამიანს. იგი არ ჰგავდა არც ტარანტასს, არც ბრიჩკას, არც ორთვალას, არამედ უფრო ლოყაგამობერილ უზარმაზარ საზამთროს, რომელიც თვლებზე შეეყუნტებინათ. ამ საზამთროს ლოყები, ანუ კარები, რომელთაც ყვითელი საღებავის კვალი აჩნდა, ძალიან ცუდად იხურებოდა, ვინაიდან სახელურები და ანჯამები დაჟაგული ჰქონდა და ზოგან ბაწრებითაც კი იყო დაბმული. ეს საზამთრო გამოტენილი იყო ჩითის ბალიშებით, მუთაქებით, ყურბალიშებით, ნაირ-ნაირი ტომრებით და პარკებით, რომლებიც პირამდე გაევსოთ პურით, კვერეულებით, ქადა-პურებით და ბლითებით. ნაირ-ნაირ ნამცხვრებს – კურნიკებსა და რასოლნიკებს თავიც კი ამოეყოთ ზევით. ეტლის უკან წვერგაუპარსავი, აქა-იქ შეჭაღარავებული, ჭრელ ქურთუკში გამოწყობილი ლაქია მოთავსებულიყო, – ერთი იმ პირთაგანი რომელიც ცნობილია «ბიჭის» სახელწოდებით. რკინის სალტეთა და ჩაჟანგულ ხრახნების ჭრიალზე და რახრახზე ქალაქის მეორე ბოლოს გამოეღვიძა მეჯიხურეს, რომელმაც ასწია შუბნაჯახი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა: «ვინ მოდის?» მაგრამ რომ დაინახა, არავინ მოდიოდა და მხოლოდ შორიდან მოისმოდა რახრახი, დაწყნარდა, საყელოზე რაღაც მხეცი დაიჭირა, მივიდა ფარანთან და აქვე საკუთარ ფრჩხილზე სიკვდილით დასაჯა. შემდეგ შუბნაჯახი მიაგდო და ისევ მიიძინა, თანახმად თავისი რაინდული წესდებისა. ცხენები წამდაუწუმ იმუხლებოდნენ, რადგან დაჭედილები არ ყოფილან, გარდა ამისა, როგორც ჩანს, ქალაქის კეთილნახელავი ქვაფენილი მათთვის ნაკლებად ნაცნობი იყო. ამ ტლანქმა ეტლმა ქუჩიდან ქუჩაზე კიდევ რამდენჯერმე გაუხვ-გამოუხვია, ბოლოს ერთ ქუჩაბანდში შევიდა ნიკოლას სამრევლო ეკლესიის გვერდით ნედოტიჩკაზე და დეკანოზის სახლის ალაყაფის კარის წინ შეჩერდა. ბრიჩკიდან დაბამბულჯუბიანი თავშალწაკრული გოგო გადმოხტა, რომელიც ისეთი ძალით ეძგერა კარსა და დაუშინა მუშტები, რომ მამაკაცსაც შეშურდებოდა. (ჭრელქურთუკიანი ბიჭი კი მხოლოდ შემდეგ ჩამოათრიეს, ვინაიდან მკვდარივით ეძინა). ძაღლებმა ყეფა ასტეხეს. ბოლოს ჭიშკარი გაიღო და ძლივს გაატარა ეს უშნო ნახელავი. ეტლი შევიდა მეტად ვიწრო ეზოში, რომელიც სავსე იყო შეშით, საქათმეებით და ნაირ-ნაირი გალიებით. ეტლიდან ქალბატონი გადმოვიდა. ეს ქალბატონი გახლდათ კოლეჟსკი სეკრეტარის ქვრივი, მემამულე კორობოჩკა. ჩვენი გმირის წასვლის შემდეგ დედაბერი ისეთმა მოუსვენრობამ

მოიცვა, რომ სამ დღესა და ღამეს თვალი არ მოუხუჭავს და გადაწყვიტა ქალაქში წასულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ცხენები დასაჭედი ჰყავდა. უნდოდა, დანამდვილებით გაეგო, თუ ბაზარზე რა მაზანდაა მკვდარ სულებზე, ხომ არ მოტყუვდა, ღმერთმა დაიფაროს, ასე იაფად რომ მიჰყიდა ვიღაც გამვლელს. რა შედეგი მოჰყვა კორობოჩკას ჩამობრძანებას, მკითხველს შეუძლია გაიგოს იმ საუბრიდან, რომელიც მოხდა ორ მანდილოსანს შორის. ეს საუბარი... მაგრამ დაე, ეს საუბარი შემდეგ თავისათვის გადავდოთ.

თავი მეცხრე

დილით, იმაზე ადრე, რაც ქალაქ №-ში სადარბაზო დროდაა მიჩნეული, ნარინჯისფერი ხის სახლიდან, რომელსაც მეზონინი ედგა და ცისფერი სვეტებით იყო შემკული, კუბოკრულ კოხტა კლოკში გამოწყობილი მანდილოსანი გამოფრთხიალდა. მანდილოსანს თან ახლდა ლაქია, რომელსაც რამდენიმე საყელოიანი შინელი ეცვა, ხოლო მრგვალი და კრიალა ქუდი ოქროს ყაითნით ჰქონდა შემოვლებული. იმავე წუთს მანდილოსანი არაჩვეულებრივი აჩქარებით შეფრინდა გადმოკიდებული საფეხურით შესავლის კართან მდგარ დახურულ ეტლში. ლაქიამ დაუყოვნებლივ მიუხურა კარი მანდილოსანს, აკეცა საფეხური, ეტლის უკან თასმებს ჩაეჭიდა და მეეტლეს გადასძახა: «აბა, აბა, გასწი!» მანდილოსანს თან მიჰქონდა ცხელ-ცხელი ამბავი, რომელიც ეს-ეს არის გაეგონა, და უძლეველი სურვილით გამსჭვალულიყო, რაც შეიძლება მალე სხვებისთვისაც გაეზიარებინა. ყოველ წუთს ფანჯრიდან იყურებოდა და ძალიან ჯავრი მოსდიოდა, ჯერ რომ ნახევარი გზაც არ გაევლოთ. თითოეული სახლი ჩვეულებრივზე გრძელი, დაუსრულებელი ეჩვენებოდა, თეთრი ქვის ქსენონი, თავისი ვიწრო ფანჯრებით, იმდენად აუტანლად გაგრძელდა, რომ მანდილოსანმა ვეღარ მოითმინა და წამოიძახა: «წყეული შენობა, ბოლოც კი არ უჩანსო!» მეეტლემ უკვე ორჯერ მიიღო ბრძანება: «დაუჩქარე, დაუჩქარე, ანდრიუშკა! დღეს როგორღაც მეტისმეტად მიიზლაზნებიო!» ბოლოს მიზანსაც მიაღწიეს, ეტლი ერთსართულიან ხის შენობასთან გაჩერდა, რომელსაც მუქი ნაცრისფერი დაჰკრავდა და თეთრი, პატარაბარელიეფიანი ფანჯრები ჰქონდა; იქვე გაყოლებით მესერშემოვლებული ვიწრო ბახჩა იყო წვრილი ხეებით, რომელთაც განუშორებელი ქალაქის მტვერი თეთრად დასდებოდა. ფანჯრებზე ქოთნით ყვავილები იდგა. იქვე გალიაში თუთიყუში ნისკარტით რგოლზე დაკიდებულიყო, ხოლო ორ ფინიას მზის გულზე ეძინა. ამ სახლში ცხოვრობდა ახალმოსული მანდილოსნის გულითადი მეგობარი ქალი. ავტორს მეტისმეტად ეძნელება ამ ქალების დასახელება, რომ ხელახლა მათი რისხვა არ დაიტეხოს. გამოგონილი გვარის დარქმევა სახიფათოა: რანაირი გვარიც არ უნდა მოიგონოთ, ჩვენს ვეებერთელა სახელმწიფოს რომელიმე კუთხეში უსათუოდ აღმოჩნდება ვინმე, რომელსაც ეს გვარი ექნება, უეჭველად სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგეკიდებათ და მოჰყვება მტკიცებას, ვითომ ავტორი განგებ საიდუმლოდ ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ ყველაფერი გაიგოს, ვინ არის იგი, რას წარმოადგენს, რანაირი ქურქი აცვია, რომელ აგრაფინა ივანოვნასთან დაიარება და რა საჭმელს უფრო ეტანება. თუ ჩინების მიხედვით დაასახელებთ, ღმერთმა დაგიფაროთ, უარესი დაგემართებათ. დღეს ჩვენში ყველა ჩინისა და წოდების ხალხი ისე არის გაცეცხლებული, რომ ყველაფერი რაც კი სადმე დაუწერიათ და დაუბეჭდავთ, სულ პირადული ჰგონიათ: ჩანს, ასეთი მოარული მოუტანია ჩვენს ჰაერს! საკმარისია წამოგცდეთ: ერთ რომელიმე ქალაქში ვინმე სულელი ადამიანი ცხოვრობსო, რომ

პიროვნებაზე გადაიტანონ. საიდანღაც გამოგიხტებათ ვინმე პატივსაცემი გარეგნობის ვაჟბატონი და დაგიყვირებთ: «მეც ხომ ადამიანი ვარ, მაშასადამე მეც სულელი ვყოფილვარო», – ერთი სიტყვით, უმალვე მიგიხვდებათ, რაშიც არის საქმე. ამიტომ, თავიდან რომ ყოველგვარი უსიამოვნება ავიცილოთ, მანდილოსანს, რომელთანაც სტუმარი მოვიდა, სწორედ ის სახელი ვუწოდოთ, რაც უწოდეს თითქმის ერთსულოვნად ქალაქ №-ის მცხოვრებლებმა, სახელდობრ: ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანი. ეს სახელწოდება მან სრულიად სამართლიანად დაიმსახურა, ვინაიდან არაფერი დაუზოგავს, რომ მართლა ყოველმხრივ თავაზიანი მანდილოსანი ყოფილიყო, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ თავაზიანობაში ქალის სულსწრაფი ბუნება ვაი რომ მაინც გამოსჭვიოდა! თუმცა ზოგჯერ ყოველი მისი სასიამოვნო სიტყვა ვაი რომ ძალიან იკბინებოდა! ხოლო ღმერთმა დაგვიფაროს იმისაგან, რაც მის გულში ადუღდებოდა, თუ რომელიმე ქალი გაბრიყვდებოდა და მის გასწრებას განიზრახავდა. მაგრამ ეს ყველაფერი მაღალი საზოგადოების იმ წესების სრული დაცვით ხდებოდა, როგორსაც მხოლოდ საგუბერნიო ქალაქში შეხვდებით. ყოველნაირი მიხრა-მოხრა გემოვნებით ეხერხებოდა, ლექსებსაც ეტრფოდა, ზოგჯერ თავსაც მეოცნებესავით გადახრიდა, – ასე რომ ყველამ ერთხმად დაასკვნა, ეს მანდილოსანი მართლაც ყოველმხრივ სასიამოვნო ქალიაო. მეორე მანდილოსანს კი, ესე იგი, იმას, რომელიც ეს-ეს არის მოვიდა სტუმრად, ასეთი მრავალფეროვნება არ ახასიათებდა, ამიტომაც ვუწოდოთ მას მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანი. სტუმრის მობრძანებამ მზეზე მძინარი ფინიები გამოაღვიძა: ერთი – ბანჯგვლიანი ადელი, რომელსაც ფეხები წარამარა საკუთარ ბეწვში ეხლართებოდა, და მეორე – კნაჭაფეხება ხვადი პოპური. ერთმაც და მეორემაც კუდები აპრიხეს და ყეფით გაცვივდნენ წინკარში, სადაც სტუმარმა ქალმა უკვე მოიხსნა კლოკი და მოდურად შეკერილ და მოდური ფერის ტანისამოსში გამოინაკვთა კისერზე ჩამოშვებული გრძელი კუდებით; მთელ ოჯახს ჟასმინის სურნელი ეფრქვია. რაწამს ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსნის მობრძანება გაიგო, უმალ გამოიჭრა შესაგებებლად. მანდილოსნებმა ერთმანეთს ხელი სტაცეს, ჩაკოცნეს და ისე შეჰკივლეს სიხარულით, როგორც შეჰკივლებენ ხოლმე ინსტიტუტდამთავრებული გოგონები პატარა დახანების შემდეგ პირველად რომ შეხვდებიან ერთმანეთს და დედებს ჯერ ვერც მოუსწრიათ თქმა, რომ ერთის მამა ღარიბია და ჩინითაც დაბლა დგას, ვიდრე მეორისა. კოცნამ ისეთი ხმა მოიღო, რომ ფინიებმა ხელახლა შეჰყეფეს, რისთვისაც დიასახლისმა მათ ცხვირსახოცი გადაჰკრა ზურგზე, რის შემდეგ ორივე მანდილოსანმა სასტუმრო დარბაზისაკენ გასწია. დარბაზი, რა თქმა უნდა, ცისფერი იყო,სავარძლით, ოვალური მაგიდით და პატარ-პატარა თეჯირებით, რომელთაც მხვიარა მცენარეები შემოგრაგნოდა. მათ ფეხდაფეხ ღრენით შემოჰყვათ ბანჯგვლიანი ადელი და კნაჭაფეხება პოპური. «აქეთ, აქეთ, ამ კუთხეში დაბრძანდით,– მიმართა დიასახლისმა სტუმარს და სავარძლის კუთხეში დააბრძანა, – აი ასე! აი ასე! აჰა, ეს ბალიშიც!»თქვა და ზურგს უკან ბალიში ჩასჩარა, რომელზედაც შალის ძაფით ამოქარგული იყო რაინდი, სწორედ იმ სახით, როგორც ყოველთვის ქარგავენ ხოლმე კანვაზე: ცხვირი კიბე-კიბედ, ხოლო ტუჩები ოთხკუთხედად. «რარიგ მიხარია, რომ თქვან... მესმის, ვიღაც მოგრიალდა. ვფიქრობ, ნეტავ ვინ უნდა იყოს, ასე ადრიანად რომ გარჯილა-მეთაი? პარაშა მეუბნება: «ალბათ ვიცე-გუბერნატორის მეუღლეაო», მე კი ვამბობ: «ახლა მოვა და ათასი სისულელით თავს მომაბეზრებს-მეთქი». უკვე მზად ვიყავი მეთქვა, ვითომც შინ არ ვიყავი...»

სტუმარს უნდოდა პირდაპირ საქმეს შესდგომოდა და ახალი ამბავი ეხარებინა, მაგრამ იმ აღტაცებამ, რომელიც ამ დროს აღმოხდა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანს, უეცრივ მათ საუბარს სულ სხვა გეზი მისცა.

– ეს რა მხიარული ფერის ჩითია! – შესძახა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა და თავით ფეხამდე შეათვალიერა მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანი.

– დიახ, ძალიან მხიარული ფერია! თუმცა პრასკოვია ფედოროვნა იმ აზრისაა, რომ უკეთესი იქნებოდა უჯრედები მომცრო ყოფილიყო და წინწკლებიც ყავისფერის ნაცვლად ცისფერი ჰქონოდა. მისი დისთვის ერთი ნაჭერი გამოუგზავნიათ: ისეთი ლამაზი რამაა, რომ ენით ვერ გამოითქმის, ზოლები სულ ვიწრო-ვიწროდ მისდევს, როგორც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანის გონებამ, ფონი კი ცისფერია და ზოლებზე ზედიზედ მოყოლებულია სულ პაწაწკინტელა თვალები და თათები, თვალები და თათები, თვალები და თათები... ერთი სიტყვით, სამაგალითო რამაა! შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჯერ იმისთანა რამ ქვეყნიერებას არ უნახავს.

– ჩემო ძვირფასო, ეგ ხომ ჭრელი იქნება.

– რასა ბრძანებთ, ჭრელი რად იქნება!

– ჭრელი იქნება, გეუბნებით!

უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანი რამდენადმე მატერიალისტი ქალი იყო, უყვარდა დაეჭვება და ბევრ რასმე უარყოფდა ცხოვრებაში.

აქ მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანმა განუმარტა, ეს სრულიად ჭრელი არ არისო და შესძახა:

– მართლა, მომილოცავს, რუშიანი კაბა სულაც მოდიდან გამოსულა.

– როგორ თუ გამოსულა?

– ახლა ფესტონები შემოუღიათ.

– აჰ, რას ვარგა ფესტონები!

– ფესტონები, მაშ, სულ ფესტონებია: პელერინაც ფესტონებითაა გაწყობილი, მაჯებზედაც ფესტონებია მოვლებული, მხრებზეც ფესტონებია, დაბლაც ფესტონები, ყველგან ფესტონები და ფესტონები.

– ეგ სრულიადაც არ ვარგა, სოფია ივანოვნა, თუ ყველგან ფესტონებია.

– მშვენიერებაა, ანა გრიგორიევნა, მშვენიერებაა. კაბა ორი ამონაჭერით იკერება: ფართო სახელოს ჭრილები, ზემოდან კი... მაგრამ ეს კიდევ რა არის! აი, როდის გაოცდებით, აი როდის იტყვით, რომ... აჰა და ნუ გაოცდებით; წარმოიდგინეთ, ლიფები უფრო გრძელი შემოუღიათ, წინ წაწვეტებულად ჩაჭრილი, ასე რომ დატანებული ძვალი ზომაზე გრძელი გამოდის, კაბის ქვედატანი კი ისეა მონაოჭებული, როგორც ძველად ფიჟმები იცოდნენ ხოლმე, უკან კიდევ ცოტა ბამბასაც უდებენ, რომ ქალი ნამდვილ ბელფამად გამოჩნდეს.

– ეს კი სწორედ მეტისმეტია! – თქვა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა და საკუთარი ღირსების სრული შეგნებით თავი მაღლა ასწია.

– დიახ, მართლაც რომ მეტისმეტია! – კვერი დაუკრა მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანმა.

– როგორც გენებოთ, მაგრამ მე მაგისთანა რამის ჩამცმელი არა ვარ.

– მეც მაგ აზრისა ვარ... მართლაც წარმოუდგენელია, ზოგჯერ სადამდის მიდის ეს მოდა... არაფერს არა ჰგავს! მე ჩემს დას თარგი ვთხოვე, ერთი ვნახოთ, რა სასაცილო რამ გამოვა. ჩემი მელანია უკვე შეუდგა კერვას.

– მაშ თქვენ თარგი გაქვთ? – შესძახა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა, ცოტა არ იყოს აღელვებულმა.

– როგორ არა, თვითონ ჩემმა დამ მომიტანა.

– ჩემო სულიკო, ღვთის გულისათვის, მეც მომეცით.

– ოჰ, მე კი უკვე პრასკოვია ფედოროვნას მივეცი სიტყვა. იმის შემდეგ შეიძლება გათხოვოთ.

– პრასკოვია ფედოროვნას შემდეგ ვიღა ჩაიცვამს ისეთ კაბას! ეს მეტისმეტად უცნაური იქნება თქვენი მხრივ, თუ სხვისი თავი არჩიეთ ჩემსას.

– ჰო, მაგრამ ისიც ხომ ჩემი ძალუაა.

– ღმერთმა იცის, სადაური ძალუაა: ისიც თან ქმრის მხრიდან... არა, სოფია ივანოვნა, გაგონებითაც არ მინდა გავიგონო, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი შეურაცხყოფის მოყენება გსურთ... ჩანს, უკვე თავი მოგაბეზრეთ, ჩანს, ჩემთან ნაცნობობის გაწყვეტა გინდათ.

საბრალო სოფია ივანოვნამ აღარ იცოდა, რა ექნა. გრძნობდა, თუ რა ჯოჯოხეთურ ცეცხლში ჩაიგდო თავი. ესეც შენი ტრაბახი! ახლა მზად იყო თავისი სულელი ენა სულ ქინძისთავით დაეჩხვლიტა.

– ერთი ეს მითხარით, რასა იქმს ის ჩვენი მშვენიერი? – შეეკითხა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანი.

– აჰ, ღმერთო ჩემო! აქამდე რას უზივარ ასე! ეს რა მომივიდა! თქვენ ხომ არ იცით, ანა გრიგორევნა, რისთვის მოვედი! – აქ სუნთქვა შეეკრა სტუმარს და სიტყვები ისე მოაწვა ერთმანეთზე მისაყრელად, როგორც ერთიმეორეზე გამოდევნებული ქორები. მართლაც ისეთი უსულგულო უნდა ყოფილიყო ადამიანი, როგორც მისი გულწრფელი მეგობარი, რომ შესძლებოდა მისი შეჩერება.

– რანაირადაც არ უნდა აქოთ და ადიდოთ ეს ვაჟბატონი, – წარმოთქვა მან ჩვეულებრივზე უფრო გატაცებით,– პირდაპირ ვიტყვი, იმასაც ცხვირში მივახლი, რომ ყოვლად საძაგელი ადამიანია, საძაგელი, საძაგელი, საძაგელი!

– არა, ერთი ყური დამიგდეთ, რა ამბავი გითხრათ...

– ხმა დაარხიეს, ვითომც კარგი ვინმეა, ასეთიო, ისეთიო... ის კი სრულიადაც არ არის კარგი... ცხვირიც ყოვლად არასასიამოვნო აქვს...

– არა, მომითმინეთ, მომითმინეთ, ბოლომდე გიამბობთ... ანა გრიგორევნა, ჩემო სულიკო, ერთი მათქმევინეთ! ეს ხომ ნამდვილი ისტორიაა: სკონაპელ ისტოარ, – თითქმის მუდარით განაგრძობდა სასოწარკვეთილი სტუმარი. ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ორივე მანდილოსნის საუბარი აჭრელებული იყო უცხო სიტყვებით, ნამეტნავად ვრცელი ფრანგული გამოთქმებით. მაგრამ როგორი მოწიწებითაც არ უნდა იყოს აღვსილი ავტორი იმ დიდი სარგებლობისადმი, რაიც ფრანგულ ენას მოაქვს რუსეთისათვის, როგორი მოწიწებითაც არ უნდა იყოს გამსჭვალული ჩვენი მაღალი საზოგადოების ჩვეულებისადმი, რომელიც ყოველ წუთს და ჟამს ამ ენაზე ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს უაღრესი სიყვარულით, ყველა ამისდა მიუხედავად, ისე ვერ გაკადნიერებულა, რომ რომელიმე უცხო ენის გამოთქმა შეიტანოს ამ თავის რუსულ პოემაში, ამიტომაც მოდით და ისევ რუსულად განვაგრძოთ:

– რა ამბავზე მელაპარაკებით?

– აჰ, ჩემო სიცოცხლევ, ანა გრიგორევნა, რომ შეგეძლოთ წარმოიდგინოთ, რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი იმ დროს! წარმოიდგინეთ! დღეს დილით მოდის ჩემთან დეკანოზის ცოლი, – დეკანოზის მეუღლეზე გეუბნებით, მამა კირილეს ცოლზე, – ჰოდა, როგორ გგონიათ, ვინ ყოფილა ის ჩვენი უმანკო მტრედი, ახალმოსული ვაჟბატონი, ჰა?

– რაო, ნუთუ დეკანოზის ცოლსაც გაუარშიყდა?

– აჰ, ანა გრიგორევნა, ჯანდაბას არშიყობა, ეს რომ ყოფილიყო, რა უშავდა. არა, ყური დამიგდეთ ერთი, რა მიამბო იმ დეკანოზის ცოლმა: ჩემთან მოვიდაო, მეუბნება, მემამულე კორობოჩკა, გულგახეთქილი, მკვდრის ფერი ედო; მერე უამბნია! და რა უამბნია! ყური დაუგდეთ, ნამდვილი რომანია: უეცრივ, შუაღამისას, როდესაც ყველას სძინებია, ჭიშკარზე

რახუნი ატეხილა, თურმე ყვირიან: «გააღეთ კარი, გააღეთ, თორემ შემოვლეწავთო!» როგორ მოგწონთ, ჰა? ამ ამბის შემდეგ როგორ გამოიყურება ის ვაჟბატონი?

– მერე კორობოჩკა განა ისე ახალგაზრდა და ლამაზი არის?

– რასა ბრძანებთ, ერთი ბებრუხანა ქალია!

– დახეთ! მაშ ახლა დედაბრებსაც გადასწვდა. აი, ახლა კი მესმის, რა მშვენიერი გემოვნება ჰქონიათ ჩვენს ქალებს, იპოვეს რაღა სამიჯნურო საგანი!

– მოითმინეთ, ანა გრიგორევნა, ეს ის არ არის, რასაც თქვენ ფიქრობთ. წარმოიდგინეთ, გამოცხადებულა რინალდო რინალდინივით თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული და მოუთხოვნია: «აბა, მომყიდეთ ყველა ის სულები, რომლებიც უკვე მიიცვალნენო». კორობოჩკას სრულიად სამართლიანად უპასუხნია: «მე ვერ მოგყიდით, ვინაიდან ისინი უკვე მკვდრები არიანო». – «არაო, – დაუჟინია, – ისინი მკვდრები არ არიან. ესაო, – ეუბნება, – ჩემი საქმეა და მე თვითონ ვიცი, ისინი მკვდრები არიან თუ არა; არ არიან, გაიგე, არ არიან მკვდრებიო!» ერთი სიტყვით, დიდი დავიდარაბა აუტეხია: მთელი სოფელი მოცვენილა, ბავშვებს ტირილი დაუწყიათ, ყველა აყვირებულა, ერთმანეთისა არა გაეგებოდათ რა. რაღა გავაგრძელო, საშინელება რამ მომხდარა, საშინელება!.. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, ანა გრიგორევნა, როგორ გამისკდა გული, როცა ყველაფერი ეს გავიგონე. «ჩემო ქალბატონო, – მეუბნება მაშკა, – აბა სარკეში ჩაიხედეთ, როგორ გაფითრდით». – «რა მესარკევება, – ვეუბნები, – ახლავე უნდა გავფრინდე და ანა გრიგორევნას ვუამბო-თქო ყველაფერი». იმავე წუთში ვუბრძანე კალიასკა შეებათ: მეეტლე ანდრიუშკა მეკითხება, სად წაგიყვანოთო, მე კი ვერაფერს ვეუბნები და ასე ენაჩავარდნილი სულელურად შევყურებ თვალებში; ალბათ იმას შეშლილი ვეგონე... აჰ, ანა გრიგორევნა, რომ იცოდეთ, რა შიში ვჭამე!

– მართლაც უცნაური ამბავია, – მიუგო ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა, – რას უნდა ნიშნავდეს ეს მკვდარი სულები? უნდა გამოვტყდე, სრულებით არა მესმის რა. აგერ, ეს მეორედ მესმის ამ მკვდარ სულებზე. ჩემი ქმარი კი მეუბნება: ნოზდრიოვი მიჰქარავსო. მე კი მგონია, რომ აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს.

– მაგრამ წარმოიდგინეთ, ანა გრიგორევნა, რა ყოფაში ჩავვარდებოდი, როდესაც ეს ამბავი გავიგონე. «ახლაო, – ამბობს კორობოჩკა, – აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეო. – დამიყოლიაო, – ამბობს, – რომ ხელი მომეწერა რაღაც ყალბ ქაღალდზე და თხუთმეტი მანეთი გადმომიგდო ასიგნაციებითაო. მეო, – ამბობს, – ერთი გამოუცდელი და უმწეო დედაბერი ვარ, არაფრიდან არაფერი მესმისო...» აი, რა ამბები ხდება თურმე! აჰ, ოდნავად მაინც რომ შეგეძლოთ წარმოდგენა, თუ რა დღეში ჩავვარდი ამის გამგონე!

– თქვენ როგორც გენებოთ, ისე განსაჯეთ, მე კი ვიტყვი, რომ ამ მკვდარ სულებს იქით სულ სხვა რამე იმალება.

– მეც აგრე მგონია, – წარმოთქვა მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანმა, რომელიც ცოტა არ იყოს გაკვირვებული დარჩა და გუნებაში საშინლად მოისურვა გაეგო, რა შეიძლებოდა აქ ეგულისხმა. ამიტომ ცოტაოდენი სიტყვის ტკეპნით შეეკითხა: – მაინც, როგორ გგონიათ, აქ რა უნდა იმალებოდეს?

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– მე როგორ ვფიქრობ?.. უნდა ვაღიარო, სრულებით თავგზა დამებნა.

– მე მაინც მინდოდა გამეგო, თქვენ რა აზრისა ხართ ამ საგანზე?

მაგრამ სასიამოვნო მანდილოსანმა სიტყვა ვერ მონახა საპასუხოდ. მას მხოლოდ დაფრთხობა სჩვეოდა, მაგრამ რომ რაიმე საგულისხმო აზრი გამოეტანა, ამის ძალა არ შესწევდა. ამიტომაც მას უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე ქალს, ეჭირვებოდა ნაზი მეგობრობა და დარიგებანი.

– მაშ, ყური მიგდეთ, რას წარმოადგენს ეს მკვდარი სულები, – თქვა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა: ამის გაგონებაზე სტუმარი ქალი სმენად გადაიქცა: ყურები თავისთავად წამოეცქვიტა, თვითონაც ისე წამოიწია, რომ არც ფეხზე იდგა და არც სავარძელში იჯდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა მძიმე გახლდათ, უეცრივ თითქოს ამჩატდა, ბუმბულს დაემსგავსა, რომელიც ოდნავ სულის შებერვაზე ჰაერში გაფრინდება.

სწორედ ასე ემართება ხოლმე ნადირობისათვის გადარეულ რუს ბატონს, რომელიც ძაღლებით მიადგება ტყეს, საიდანაც ეს-ეს არის უნდა გამოვარდეს ყურძვალების მიერ წამოგდებული კურდღელი. ბატონი ამ დროს თავის ცხენითა და აწეული მათრახით ერთი წუთით თითქოს გაქვავდა, თოფისწამლად იქცა, რომელსაც ეს-ეს არის ცეცხლი უნდა წაუკიდონ. იგი სულგანაბული მიშტერებია დანისლულ ჰაერსა და თავს მოიკლავს, მაგრამ უსათუოდ ხელთ იგდებს ნადირს, ვერსად წაუვა იგი, რანაირადაც არ უნდა იბობოქროს მის წინააღმდეგ ქარბუქმა ამ თოვლით მოფენილ ველზე და არ აყაროს თავ-პირში ვერცხლის ვარსკვლავები.

– მკვდარი სულები... – წარმოთქვა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა.

– ჰო, რაო, რაო? – აღარ დააყოვნა მთლად მღელვარებით შეპყრობილმა სტუმარმა.

– მკვდარი სულები!..

– აჰ, ბრძანეთ, ღვთის გულისათვის, ბრძანეთ!

– ეს მხოლოდ ყველას თვალის ასახვევად მოუგონია, ნამდვილად კი საქმე აი რაშია: მაგას გუბერნატორის ქალიშვილის მოტაცება სურს.

ასეთი დასკვნა, მართლაც, სრულიაც მოულოდნელი და ყოველმხრივ უჩვეულო იყო. მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანი ამის გაგონებაზე თითქოს გაქვავდა, გაყვითლდა, გაფითრდა და კინაღამ მართლა გული არ გაუსკდა.

– აჰ, ღმერთო ჩემო! – შესძახა მან და ხელი ხელს შემოჰკრა, – ამას კი ვერ წარმოვიდგენდი.

– მე კი, გამოგიტყდებით, რაწამს პირი გააღეთ, უმალვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე, – მიუგო ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა.

– ამის შენდეგ რაღა აზრისა უნდა ვიყოთ, ანა გრიგორევნა, ინსტიტუტის აღზრდაზე! აი, უმანკოებაც თუ გნებავთ, ესაა!

– რომელ უმანკოებაზე მეუბნებით! მე თვითონ გავიგონე, როდესაც იმან ისეთ-ისეთი დაფქვა, რომ, გამოგიტყდებით, ძალა არ შემწევს გავიმეორო.

– იცით რა, ანა გრიგორევნა, პირდაპირ გული მიკვდება, როდესაც ვხედავ, თუ სადამდის მიაღწია ამ უზნეობამ.

– მამაკაცები კი სულ გადარეულები არიან მისი ეშხით. ჩემი აზრით კი, გულახდილად ვიტყვი, მაგაში საიმისოს ვერაფერს ვხედავ... აუტანელი პრანჭიაა.

– აჰ, ჩემო სიცოცხლევ, ანა გრიგორევნა, ეგ ხომ ნამდვილი ქვის ქანდაკებაა, უსიცოცხლო, ნეტავი რაიმე გამომეტყველება მაინც ჰქონდეს სახეზე.

– მერე რა პრანჭიაა, რა პრანჭია! ღმერთო ჩემო, თავს როგორ იდებს! ვინ ასწავლა ყველა ეს, არ ვიცი, მაგრამ ჯერ ქალი არსად მინახავს მაგნაირი პრანჭია-გრეხია.

– ჩემო სულიკო, ეგ ხომ ნამდვილი ქანდაკებაა და პირდაპირ მკვდრის ფერი დაჰკრავს.

– აჰ, ნუღარას მეტყვით, სოფია ივანოვნა: ეგ ხომ ლოყებს უღმერთოდ იღებავს.

– აჰ, რასა ბრძანებთ, ანა გრიგორიევნა, სახით ხომ ეგ ნამდვილი ცარცია, პირწავარდნილი ცარცი.

– ჩემო კარგო, სწორედ მის გვერდით ვიჯექი: ლოყებზე წითელი ფერი, აი, ამ თითის სისქედ ედო და ისე სცვიოდა, როგორც დახეთქილი ბათქაში. სულ კი დედის ბრალია, თვითონ ხომ პრანჭია ქალია, შვილი კი დედასაც გადააჭარბებს.

– აბა რას ბრძანებთ, რასაც გებავთ დავიფიცებ, ქმარ-შვილი გამიწყდეს, მამულ-დედულს გამოვეთხოვო, თუ ერთი ბეწო, ერთი ნამცეცა წითელი ფერი ედოს სახეზე!

– აბა, რას მეუბნებით, სოფია ივანოვნა! – უთხრა ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა და ხელი ხელს შემოჰკრა.

– ეჰ, მართლაც რანაირი ქალი ხართ, ანა გრიგორევნა! მაკვირვებთ სწორედ! – მიუგო მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანმა და იმანაც ხელი ხელს შემოჰკრა.

დაე მკითხველს ნუ გაუკვირდება, რომ ქალები ვერ შეთანხმდნენ იმაზე, რაც თითქმის ერთსა და იმავე დროს ნახეს. მართლაც ბევრი რამაა ამ ქვეყანაზე ისეთი, რასაც ამგვარი უცნაური თვისება აქვს: ერთი ქალი შეხედავს და სულ თეთრად მოეჩვენება, ხოლო თუ მეორემ შეხედა – წითლად დაიწყებს ღაჟღაჟს.

– აი კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ მართლა ფერმკრთალი ქალია, – განაგრძო მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანმა, – ეს ისე კარგად მახსოვს, თითქოს აი ახლა მოხდა, – ვზივარ მანილოვის გვერდით და ვეუბნები: «ერთი შეხედეთ, რა ფერმიხდილია-მეთქი!» მართლაც ჩვენი მამაკაცებივით სულ უტვინო უნდა იყო, რომ იმან აღტაცებაში მოგიყვანოს! ის ჩვენი ვაჟბატონი კი... როგორ საზიზღრად მომეჩვენა! ვერ წარმოიდგენთ, ანა გრიგორევნა, რამდენად საზიზღრად მომეჩვენა!

– მაგრამ იყვნენ ისეთი ქალებიც, რომელთაც იმაზე თვალი დარჩათ.

– ამას ჩემზე ამბობთ, ანა გრიგორევნა? ამას ჩემზე ვერასოდეს ვერ იტყვით, ვერასოდეს!

– მე ხომ თქვენზე არ ვამბობ, თითქოს თქვენს გარდა ქალი გამწყდარიყოს.

– არასოდეს, არასოდეს, ანა გრიგორევნა! ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ, რომ ჩემს თავს ძალიან კარგად ვიცნობ; ეს შეგიძლიათ ისეთ ქალებზე ბრძანოთ, რომელთაც მიუკარებელ ადამიანებად მოაქვთ თავი.

– უკაცრავად, სოფია ივანოვნა! ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ, რომ ასეთი სასკანდალო საქმე არასოდეს დამმართნია. ვისზედაც გენებოთ, ბრძანეთ, მაგრამ ჩემთავად ვიტყვი, მსგავსი რამ არ გადამხდენია, ნება მიბოძეთ, სწორედ ეს მოგახსენოთ.

– არ მესმის, რატომ გეწყინათ? იქ სხვა ქალებიც იყვნენ, თვით ისეთებიც კი, რომელთაც კართან სკამები დაიტაცეს, რომ მასთან ახლოს მოჩოჩებულიყვნენ.

სასიამოვნო მანდილოსნის მიერ წარმოთქმულ ამ სიტყვებს უსათუოდ ქარიშხალი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, საოცარია, ორივენი მიწყნარდნენ, ასე რომ საამისო არაფერი მომხდარა. ყოველმხრივ სასიამოვნო ქალს გაახსენდა, რომ ახალი კაბის თარგი ჯერ კიდევ ხელთ არ ჰქონდა, ხოლო მხოლოდ სასიამოვნო მანდილოსანს – რომ ჯერ კიდევ არ გამოეტყუვნა დაწვრილებით, თუ რა აღმოჩენა ჰქონდა მის მეგობარს. ამიტომაც ზავი დაუყოვნებლივ ჩამოვარდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ბუნებაში სულაც არ ყოფილა მოთხოვნილება ერთმანეთისათვის უსიამოვნება მიეყენებინათ; საზოგადოდ, ისინი ბოროტი ხასიათისა არ იყვნენ, მაგრამ საუბრის დროს სრულიად შეუმჩნევლად, თავისთავად დაებადებოდათ ხოლმე სურვილი ერთმანეთისათვის ეჩხვლიტათ, თუ

შემთხვევა მოიტანდა, ისე, გულის მოსაფხანად მწარე სიტყვა ესროლათ ერთიმეორისათვის: აჰა, ესეც შენ, მიირთვიო! აბა ვინ უწყის, რა სურვილები არ აღიძვრის როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცის გულში.

– ვერასდიდებით ვერ მივმხვდარვარ. – თქვა ბოლოს მხოლოდ სასიამოვნო ქალმა, – როგორ მოხდა, რომ ჩიჩიკოვმა, როგორც უცხომ, ასეთი რამ გაბედა! შეუძლებელია აქ სხვისი ხელიც არ ერიოს.

– მერე, როგორ გგონიათ, არ ურევია თუ?

– მაინც, თქვენი აზრით, ვინ უნდა ეხმარებოდეს?

– აი, თუნდაც ეს ნოზდრიოვი.

– ნუთუ ნოზდრიოვი?

– ვითომ რატომაც არა? ეს მისგან მოსალოდნელია. განა არ იცით, მაგას მშობელი მამის გაყიდვა უნდოდა, ერთხელ ბანქოს თამაშში კინაღამ წააგო.

– აჰ, ღმერთო ჩემო, რამდენ საინტერესო ამბავს ვიგებ თქვენგან! სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ნოზდრიოვიც ამ ამბავში ჩაერეოდა.

– მე კი ეჭვიც არ შემპარვია.

– როცა დაფიქრდები, ღმერთო ჩემო, რა არ ხდება ქვეყანაზე! ვინ წარმოიდგენდა მაშინ, გახსოვთ, როცა ჩიჩიკოვი ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში, რომ ასეთ უცნაურ ნაბიჯს გადადგამდა? აჰ, ანა გრიგორევნა, რომ იცოდეთ, როგორ შევშინდი! თუ თქვენი კეთილი გული და მეგობრობა არა, არ ვიცი, რას ვიზამდი... პირდაპირ დაღუპვის პირად ვიდექი... ჩემი მაშკა ხედავს, რომ მკვდრის ფერი დამდებია; «კეთილო ქალბატონო, – მეუბნება, – მკვდრის ფერი დაგდებიათ!» – «მაშკა, – ვეუბნები, – ახლა მაგისთვის არა მცალია-მეთქი!» აი თურმე რა ყოფილა! მაშ ნოზდრიოვიც ურევია? ძალიან საქმეა, თქვენმა მზემ!

სასიამოვნო ქალს გულით უნდოდა დაწვრილებით გაეგო გუბერნატორის ქალის გატაცების ამბავი, ესე იგი, რომელ საათზე აპირებდნენ მის გატაცებას და სხვა, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო. ყოველმხრივ სასიამოვნო მანდილოსანმა პირდაპირ მიახალა, არ ვიციო. მას არ უყვარდა ტყუილის თქმა, ისე წინასწარ რისამე წარმოდგენა, მუდამ თავის შინაგან რწმენას ემყარებოდა. ხოლო როდესაც შინაგანი რწმენა უკარნახებდა, მაშინ უყვარდა თავისი სიტყვის გატანა. აბა, წამომდგარიყო ამ დროს რომელიმე დახელოვნებული ვექილი, განთქმული თავისი ნიჭით, წამომდგარიყო და ეცადა მასთან შებმა, – მაშინ ნახავდა, რას ნიშნავს შინაგანი რწმენა!

თუ ორივე მანდილოსანი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რასაც წინათ მხოლოდ ვარაუდით ფიქრობდნენ – აქ უჩვეულო არაფერია, სწორედ ასევე იქცევა ჩვენი ძმა მამაკაცი, რომელიც ჭკვიანს უწოდებს თავის თავს; ამის დამადასტურებელ საბუთად საკმარისია ჩვენი მეცნიერული მსჯელობანი მოვიტანოთ. თავდაპირველად, ვინმე სწავლული, როგორც ნამდვილი გაიძვერა,შიშით, მოკრძალებით დაიწყებს ძიებას: ესა და ეს იქიდან ხომ არაა? იმ კუთხიდან ხომ არ აიღო ამ ქვეყანამ ასეთი სახელწოდებაო? ანდა: ეს საბუთი რომელიმე შემდგომ ხანას ხომ არ ეკუთვნისო? ანდა კიდევ: ამ ხალხის ადგილას სხვა ხალხი ხომ არ უნდა ვიგულისხმოთო? და დაუყოვნებლივ მოჰყვება ამა თუ იმ ძველისძველ მწერლებიდან ციტატების მოტანას. ხოლო საკმარისია ოდნავ მინიშნებული რამ დაინახოს, ანდა, ისე, მინიშნებულად მოეჩვენოს, რომ მაშინვე გამხნევდება, წელში გასწორდება და რიხიანად დაუწყებს საუბარს ამ ძველ მწერლებს, მათ მაგიერ თვითონვე გასცემს პასუხს ათასნაირ კითხვაზე და სრულიად ავიწყდება, რა მოკრძალებით გამოთქვა პირველად თავისი ვარაუდი; უკვე ისე ეჩვენება, რომ ყველაფერს თვალდათვალ ხედავს, რომ ყოველივე ნათელია და მსჯელობასაც ამნაირად ამთავრებს: «აი, როგორ ყოფილა საქმე, აი, ასეთი ხალხი უნდა ვიგულისხმოთ, აი, რანაირად უნდა შევხედოთ საქმესო!» ამის შემდეგ საჯაროდ კათედრიდანაც გამოაცხადებს, ახლად აღმოჩენილი ჭეშმარიტებაც მთელ ქვეყანას მოეფინება და ათას მიმდევარსა და თაყვანისმცემელს შეიძენს.

იმ დროს, როდესაც ორმა მანდილოსანმა ასე მარჯვედ და გონებამახვილურად მოუნახა ახსნა ამ დახლართულ ამბავს, სასტუმროში თავი შემოჰყო პროკურორმა თავისი მუდამ გაქვავებული სახით, სქელი წარბებით და მოხამხამე თვალით. მანდილოსნები მისცვიდნენ და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, რომ ცხელ-ცხელი ამბები მიეხალათ პირში: უამბეს მკვდარი სულების შეძენის ამბავი, შემდეგ ის, თუ როგორ უნდოდათ გუბერნატორის ქალიშვილის გატაცება. იმდენად აურიეს დავთრები საბრალოს, რომ რამდენიც არ აახამხამა მარცხენა თვალი და არ იბერტყა წვერიდან ცხვირსახოცით თუთუნი, მაინც ვერაფერს მიხვდა. ამ ყოფაში დატოვეს მანდილოსნებმა პროკურორი და უმალ სახვადასხვა მხარეს გაექანენ მთელი ქალაქის ასაჯანყებლად. ეს ამბავი რაღაც ნახევარ სათში მოახერხეს. ქალაქი მართლაც აჯანყდა; ყველა ფეხზე დადგა, თუმცა გაგებით კი არავის არაფერი ესმოდა. ჩვენმა მანდილოსნებმა ისეთი განგაში ატეხეს და ისეთ ბურუსში გაახვიეს ყველა, განსაკუთრებით კი მოხელეები, რომ ყველა პირდაღებული იყურებოდა. პირველ ხანს მათი მდგომარეობა წააგავდა იმ მოწაფის მდგომარეობას, რომელსაც ამხანაგები მძინარეს წაადგნენ და ცხვირში «ჰუსარი», ესე იგი, ბურნუთით სავსე ქაღალდი ჩასჩარეს. ჯერ კიდევ ბურანში მყოფი ბავშვი მთელი ძალ-ღონით შეისუნთქავს ბურნუთს და გაეღვიძება, წამოხტება, სულელივით დაჭყეტილ თვალებს მიმოავლებს იქაურობას, – ვერ მიმხვდარა, სად არის, რა ამბავია მის თავს, მერე შეამჩნევს ირიბად მომდგარი მზის სხივებით გაშუქებულ კედლებს, გაიგონებს ამხანაგების სიცილს, კუნჭულებში რომ მიმალულან, დაინახავს, რომ ფანჯრიდან უკვე დილა იხედება, ტყეს გაუღვიძნია, ათასობით ფრინველი აჟრიამულებულა, ციმციმებს პატარა ღელე, რომელიც აქა-იქ ლელნარში იკარგება, სადაც შიშველ ბიჭ-ბუჭებს თავი მოუყრიათ და სხვებსაც საბანაოდ ეძახიან, და მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნობს, რომ ცხვირში «ჰუსარი» უზის. სწორედ ამ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ქალაქის მცხოვრებნი და მოხელეები. ყველა გაოგნდა და თვალები გადმოქაჩა. მკვდარი სულები, გუბერნატორის ქალიშვილი და ჩიჩიკოვი რაღაც

უცნაურად აირია მათ თავებში და მთლად დავთრები დაუბნია; მხოლოდ შემდგომ, როდესაც პირველი გაოგნების ქარმა გაიარა, ერთმანეთისაგან გამოჰყვეს და გაარჩიეს ეს ამბები, თითოეულის ირგვლივ მოითხოვეს ანგარიში და ჯავრობდნენ, საქმის ასავალ-დასავალს რომ მაინც ვერ ჩახვდნენ. მართლაცდა რას ნიშნავს ეს მკვდარი სულები? რა აზრი აქვს ამ მკვდარ სულებს? როგორ შეიძლება მათი ყიდვა? ვინაა ის ჩერჩეტი, ვინც ამას სჩადის? ან რა გადასაყრელი ფულებით ყიდულობს? რა თავში სახლელად უნდა ეს მკვდარი სულები? ან საიდან ჩამოერია აქ გუბერნატორის ქალიშვილი? თუ მას ამ ქალიშვილის მოტაცება უნდოდა, რა ჯანდაბისათვის ყიდულობდა მკვდარ სულებს? ხოლო თუ მკვდარი სულების შეძენა აუცილებელი იყო, მაშინ რაღად უნდა გაეტაცნა გუბერნატორის ქალიშვილი? მისთვის ხომ არ უნდა ეჩუქებინა ეს მკვდარი სულები? მართლაც ეს რა სისულელე მოსდეს ქალაქს? ეს რა მიმართულებაა ასეთი, რომ ფეხის გადადგმასაც ვერ მოასწრებ, მაშინვე სისულელეს გამოიგონებენ. რაიმე აზრი მაინც იყოს ყოველივე ამაში!.. მაგრამ რახან ხმა დაარხიეს, ჩანს, რაღაც მიზეზიც იყო, მაგრამ მიზეზს რა უნდა მკვდარ სულებში? ეს პირდაპირ მტკნარი სისულელე გამოდის და მეტი არაფერი, აბდაუბდაა, ჩმახი, ბოდვა! ეს მართლაც ეშმაკმა იცის, რა არის!.. ერთი სიტყვით, დიდი მითქმა-მოთქმა დაიწყო, მთელი ქალაქი აყაყანდა, ყველას პირზე ეკერა მკვდარი სულები და გუბერნატორის ქალიშვილი, ჩიჩიკოვი და მკვდარი სულები, გუბერნატორის ქალიშვილი და ჩიჩიკოვი; ამ ამბებმა ყველა ფეხზე დააყენა. მანამდე თითქოს მთვლემარე ქალაქი ახლა გრიგალივით აბობოქრდა. გამოძვრა თავის სოროებში მიყუჟული ათასი ჯურის ბაიყუში და უქნარა, რომლებიც მთელი წლობით გარეთ არ გამოსულან და ამაში ხან მეჩექმეს სდებდნენ ბრალს, რომელმაც ძალზე ვიწრო ფეხსაცმელი შეუკერა, ხან მკერავს, ხან კიდევ ლოთ მეეტლეს. ისინიც კი, რომლებმაც კარგა ხანია ურთიერთშორის ნაცნობობაც დაივიწყეს და, როგორც იტყვიან ხოლმე, იცნობდნენ მხოლოდ მემამულე ზავალიშინებსა და პოლეჟაევებს (ფრიად საგულისხმო ტერმინები, რომლებიც წარმოსდგებიან ზმნებისაგან «полежать» და «завалиться», რაც ესოდენ გავრცელებულია ჩვენს რუსეთში, სწორედ ისე, როგორც ასეთი გამოთქმა: ახლა სოპიკოვთან და ხრაპოვიცკისთან შევივლიო, რაც ნიშნავს ყოველნაირ საღათასებურ ძილს გინდ გულაღმა, გინდ გულდაღმა, გინდ გვერდზე, გინდ ცხვირში სტვენით, ქშენა-ხრიალით თუ სხვა ათასნაირი სულთქმით); დიახ, ყველა ისინი, ვისაც ვერასდიდებით გარეთ ვერ გამოიტყუებდით, თუნდაც ხუთასმანეთიანი თევზის კერძზე მიგეწვიათ – ორ-ორარშინიანი ცქვრინებითა და პირში ჩასადნობი ღვეზელებით. ერთი სიტყვით, აღმოჩნდა, რომ ქალაქი თვითონაც საკმაოდ დიდი ყოფილა და კარგა მოზრდილი მოსახლეობაც ჰყოლია. თავი წამოჰყო ვიღაც სისოი პაფნუტიევიჩმა და მაკდონალდ კარლოვიჩმა, რომელთა არსებობა არასდროს არავის გაეგონა; სადარბაზო ოთახებში შენიშნეს ვიღაც ისეთი უზარმაზარი ტანის აყლაყუდა ტყვიით გახვრეტილი ხელით, როგორიც ჯერ ამ ქვეყნად არავის ენახა; ქუჩებში საიდანღაც გამოტყვრა დახუთული დროშკები, არნახული ლინეიკები, რახრახა ეტლები, ჭრიალა ორთვალები, და ერთი ორომტრიალი გაიმართა. სხვა დროს და სხვა პირობებში მსგავს ხმებისათვის იქნებ ყურადღებაც არ მიექციათ, მაგრამ ქალაქ №-ს დიდი ხანია ახალი ამბები არ გაეგონა, წარმოიდგინეთ, სამი თვის განმავლობაში ისეთი რამეც არ მომხდარა, რასაც სატახტო ქალაქებში კომერაჟს უწოდებენ, რაიც როგორც მოგეხსენებათ, ქალაქისათვის სწორედ იგივეა, რაც თავის დროზე სურსათის მიწოდება. ქალაქის ამ გაწამაწიაში უეცრივ ორმა სრულიად ერთიმეორის საწინააღმდეგო

აზრმა იჩინა თავი და ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო ჯგუფი წარმოშვა: ქალებისა და მამაკაცების. მამაკაცების უგუნურმა ჯგუფმა მკვდარ სულებს მიაქცია ყურადღება, ქალების ჯგუფმა კი მხოლოდ გუბერნატორის ქალიშვილის მოტაცების ამბავი დაიხვია ხელზე. ქალების სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ ჯგუფში გაცილებით მეტი წესრიგი და წინდახედულება სუფევდა; ჩანს, ასეთია მათი დანიშნულება, რომ კარგი დიასახლისებიც იყვნენ და წესრიგის დამმყარებელნიც. მათ ხელში მალე ყველაფერი გაირკვა, სისხლ-ხორცი შეისხა, განსაზღვრული სახე მიიღო, მეტად ნათელსა და ცხად ფორმაში ჩამოყალიბდა, აიხსნა, დაიწმინდა; ერთი სიტყვით დასრულებული სურათი გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ ჩიჩიკოვი დიდი ხანია, რაც შეყვარებული ყოფილა, მთვარიან ღამეებში სატრფოსთან ერთად დაიარებოდა ბაღში. თვით გუბერნატორიც არ დაუჭერდა მას თავის ასულს, ვინაიდან ჩიჩიკოვი ურიასავით მდიდარია, მაგრამ თუ ასე მოხდა, მხოლოს იმიტომ, რომ ჩიჩიკოვს თურმე ცოლი მიუტოვებია (საიდან გაიგეს, რომ ჩიჩიკოვი ცოლიანი ყოფილა, ეს არავინ უწყოდა), და უიმედო სიყვარულით გატანჯულ ქალს გუბერნატორისათვის მეტისმეტად მგრძნობიარე წერილი მიუწერია. ჰოდა, რაკი ჩიჩიკოვმა დაინახა, რომ დედ-მამა არასდიდებით არ თანხმდებოდა ქალის მოცემაზე, გადაწყვიტა მისი მოტაცებაო. სხვა ოჯახებში ამ ამბავს ცოტა სხვანაირად ჰყვებოდნენ: ჩიჩიკოვს არავითარი ცოლი არა ჰყავს, მაგრამ როგორც შორსმჭვრეტელ და გაბედულად მოქმედ ადამიანს, უფიქრია, მოდი, ქალიშვილთან გარიგების საქმე ჯერ დედიდან დავიწყოო, საიდუმლოდ დაუჭერია კიდეც გუბერნატორის მეუღლესთან გულითადი კავშირი და მხოლოდ ამის შემდეგ საზეიმოდ განუცხადებია სათხოვარი. მაგრამ დედას შეშინებია – ეს ხომ სჯულის წინაშე დანაშაული იქნებაო, სინდისის ქენჯნა უგრძვნია და გადაჭრით უარი უთქვამს ქალის მითხოვებაზე. აი, მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა ჩიჩიკოვმა მოტაცებაო. ყველა ამას დაერთო კიდევ ათასნაირი შესწორება-განმარტება იმისდა მიხედვით, რაც ეს ამბავი შორს, მიყრუებულ უბნებში გადადიოდა. რუსეთში დაბალ საზოგადოებას ძალიან უყვარს იმ ჭორებზე ლაქლაქი, რომლებიც მაღალ საზოგადოებას შეეხება. ამიტომაც ყველა ამაზე ისეთ ქოხმახებშიც კი დაიწყეს ლაპარაკი, სადაც თვალითაც არ ენახათ ჩიჩიკოვი, თანაც ბევრი თავისი დაუმატეს და ათასნაირი ნართაულით გაამდიდრეს. სიუჟეტი წუთი წუთზე უფრო საინტერესო ხდებოდა, დღითი-დღე უფრო დასრულებულ სახეს იღებდა და ბოლოს ასე დამთავრებული სახით თვით გუბერნატორის მეუღლეს მოხსენდა. გუბერნატორის მეუღლემ, როგორც ოჯახის დედამ, როგორც ქალაქში პირველმა მანდილოსანმა, ბოლოს ისეთმა ქალმა, რომელმაც ამ ამბისა არა იცოდა რა, მეტისმეტად ითაკილა ყოველივე და მასში სრულიად სამართლიანმა გულისწყრომამ იფეთქა. საბრალო ქერათმიან გოგონას, რომელსაც დედამ სასტიკი დაკითხვა მოუწყო, ისეთი უსიამოვნება დაატყდა, რომლის მსგავსიც არც ერთ თექვსმეტი წლის გოგონას არ გადახდომია თავს. მთელი ნიაღვარი გადმოინთხა საყვედურებისა, შეკითხვებისა, მუქარისა, დარიგებისა, ასე რომ საბრალო გოგონა ცრემლის ზღვაში შეცურდა, მოთქვამდა, მაგრამ ვერც ერთი სიტყვის შინაარსი ვერ ამოეცნო. იმავე დღეს მეკარეს სასტიკი ბრძანება მიეცა, არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ მიეღო ჩიჩიკოვი.

როდესაც ესე საქმე მოათავეს გუბერნატორის მეუღლის მიმართ, ქალებმა ახლა კაცების ჯგუფზე მიიტანეს იერიში და შეეცადნენ თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ; უმტკიცებდნენ, მკვდარი სულები მოჭორილი ამბავია და მხოლოდ იმიტომაა მოგონილი,

ეჭვი გაექარვებინა და უფრო მოხერხებულად მოეხდინა გოგონას გატაცებაო. მამაკაცებიდან ბევრი წამოეგო ანკესზე და ქალების ჯგუფს მიემხრო, რაზეც დიდი საყვედურები მიიღეს ამხანაგებისგან, – ქალაჩუნები და დიაცები ყოფილხართო, – ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ფრიად შეურაცხმყოფლად ითვლება მამაკაცთა სქესისათვის.

რანაირად არ შეიარაღდნენ მამაკაცები, რა წინააღმდეგობას არ იჩენდნენ, მაგრამ მაინც არ იქნა, მათ ჯგუფში ვერ დამყარდა ის წესრიგი, რაც ქალებისაში. ყველაფერი მათ ხელში თითქოს გამოიფიტა, გაცუდდა, აირია, ყოვლად ულაზათო და უთავბოლო გახდა; თავში კიდევ ნამდვილი დომხალი ჰქონდათ, რაღაც აბდაუბდა, აზრების შეუსაბამობა, – ერთი სიტყვით, ხელისგულზე გადმოიშალა ყველაფერში ფუქსავატი ბუნება მამაკაცისა, ბუნება ტლანქი, უხეში, ყოვლად უნიჭო ოჯახის საქმის მოგვარებაში, მოკლებული საკუთარი თავის რწმენას, ურწმუნო, ზარმაცი, აღსავსე დაუსრულებელი იჭვებითა და მუდმივი შიშით. განა არა, ყველანი ამბობდნენ, რომ ყველაფერი ეს მიქარვაა, რომ გუბერნატორის ქალიშვილის მოტაცება უფრო ჰუსარის საქმეა, ვიდრე სამოქალაქო ადამიანისა, რომ ჩიჩიკოვი ამას არ ჩაიდენდა, რომ ქალები სტყუიან, ვინაიდან ქალი იგივე ჭურია, რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო, რომ მთავარი საგანი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება, ისევ მკვდარი სულებია, რომლებიც ეშმაკმა უწყის რას ნიშნავს, მაგრამ ეს კია, რომ სწორედ მათში იმალება რაღაც ყოვლად საძაგელი, ყოვლად ცუდი რამაო. რატომ ეჩვენებოდა მამაკაცებს, რომ მკვდარ სულებში რაღაც ყოვლად საძაგელი და ცუდი რამ იმალებოდა, ამავე წუთში გავიგებთ: გუბერნიაში დაინიშნა ახალი გენერალ-გუბერნატორი. ეს უდიდესი მოვლენა კი, როგორც ვიცით, მოხელეთა შორის იწვევს აფორიაქებას: ყველამ იცის, რომ ასეთ დანიშვნას თან მოჰყვება მოხელეთა გადაყენ-გადმოყენება, ტუქსვა, შევიწროება და ათასნაირი თანამდებობრივი მწარე შეჭამანდი, რომლითაც უმასპინძლდება ახალი უფროსი თავის ქვეშევრდომთ. «ნეტა რას იტყვის ახალი გენერალ-გუბერნატორი, – ფიქრობდნენ მოხელეები, – როცა გაიგებს, რომ ჩვენს ქალაქში ასეთი სულელური ხმები დადის; მარტო ეს ერთი ამბავიც კმარა, რომ თავზე რისხვა დაგვატეხოსო». სამკურნალო სამმართველოს ინსპექტორს უეცრივ ფერი ეცვალა, ღმერთმა უწყის, თავში რამ არ გაუელვა: იქნებ მკვდარ სულებში იგულისხმებიან ის ავადმყოფები, ლაზარეთში თუ სხვა ადგილებში ბლომად რომ დაიხოცნენ მოარული სენისაგან, რომლის საწინააღმდეგოდ სათანადო ზომები არ ყოფილა მიღებულიო. იქნებ ჩიჩიკოვი გენერალ-გუბერნატორის მიერ მოჩენილი მოხელეა, რომ საიდუმლოდ კვლევა-ძიება აწარმოოსო? ეს მოსაზრება პირველად თავმჯდომარეს გაანდო. თავმჯდომარემ უპასუხა, სისულელეაო, მერე კი ისიც გაფითრდა და თავის თავს შეეკითხა: მერე რა იქნება, რომ ჩიჩიკოვის მიერ ნაყიდი სულები მართლა მკვდრები გამოდგნენ? მე კი ნასყიდობის სიგელის შედგენის ნება დავრთე და პლიუშინსაც თავმდებად დავუდექი. ამ ამბავმა თუ გენერალ-გუბერნატორამდე მიაღწია, მაშინ რაღა ვქნათ? თავმჯდომარემ იმაზე მეტი ვერა მოახერხა რა, რომ ადგა და ეს ამბავი ერთ-ორ კაცს გაანდო. ისინიც უმალვე გაფითრდნენ. თურმე შიშს ჭირზე მეტად სცოდნია აკიდება და ელვის სისწრაფით გადამდებიც ყოფილა. უეცრივ ყველამ თავთავის სულში ისეთი ცოდვები ამოიკითხა, რომელთაც სინამდვილეში ადგილი არც ჰქონია. სიტყვა მკვდარი სულები თავისი ბუნდოვანი შინაარსით ათასნაირ იჭვს ჰბადებდა: იქნებ აქ იმ ორ ამბავზე გვითითებენ, ამას წინათ რომ ასე სახელდახელოდ ორი გვამი დავმარხეთო. მართლაც, პირველი ამბავი სოლვიჩეგოდსკის ვაჭრებს შეემთხვა, რომლებიც ქალაქს

ეწვივნენ ბაზრობაზე და საჯარო ვაჭრობის შემდეგ კარგად გაუმასპინძლდნენ თავიანთ მეგობრებს, უსტსისოლსკის ვაჭრებს; გამასპინძლება ნამდვილი რუსული წესით მოხდა, გერმანულ ყაიდაზე შეზავებული ნაირ-ნაირი პუნშებით, არშადებითა და ბალზამებით. ქეიფი ჩვეულებისმებრ მუშტი-კრივით დამთავრდა. სოლვიჩეგოდსკელებმა სასიკვდილოდ არ დაინდეს უსტსისოლსკელები, თუმცა არც ამ უკანასკნელებმა დააყარეს მათ ხეირი და სულ ფერდები და ნეკნები ამოუმტვრიეს. მათი დალილავებული სხეული მოწმობდა, თუ რა საოცარი სიდიდის მუშტები ჰქონდათ მიცვალებულთ. ერთ-ერთი გამარჯვებულისათვის ცხვირი ისე ჩაეჩეჩქვათ, რომ ნახევარი თითის ოდენაც აღარ შერჩენოდა. გამოძიების დროს ვაჭრები დანაშაულში გამოტყდნენ, ასე და ასე, ცოტაოდნად წავიცელქეთო. ხმა დაირხა, ვითომც თითოეულ მათგანს ოთხ-ოთხი ათასი გაეღოს საქმის ჩასაფარცხავად; ერთი სიტყვით, მეტად ბნელი საქმე იყო: გამოძიებიდან გამოირკვა, თითქოს უსტსისოლსკელი ბიჭები მხუთრმა დახოცა, ამიტომ ისინი ისე მიაბარეს მიწას, როგორც მხუთრით გაგუდულ-დახოცილები. მეორე ამბავიც, რომელიც ახლახან მომხდარიყო, შემდეგი გახლდათ: პატარა სოფელ ვშივაია-სპესის სახაზინო გლესები შეერთებიან ასეთსავე პატარა სოფელ ბოროვკისა და ზადირაილოვო-ტოჟის გლეხებს და მიწასთან გაუსწორებიათ საერობო პოლიცია, ვიღაც ზასედატელი დრობიაჟკინის სახით, ვითომც საერობო პოლიცია, ანუ ზასედატელი დრობიაჟკინი მეტისმეტად თავს გასულა და მოუხშირებია მათ სოფლებში სიარული, რაიც ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილ სახადის გაჩენას უდრის; ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ დრობიაჟკინი ქალების მუსუსი ყოფილა და დედაკაცებსა და გოგოებზე მსუნაგი თვალი სჭერია. დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება, თუმცა გლეხები თავიანთ ჩვენებებში პირდაპირ ამბობდნენ, რომ საერობო პოლიცია კატასავით მსუნაგი იყო, არა ერთხელ და ორჯერ გააფრთხილეს, ერთხელ მთლად შიშველიც გამოაგდეს რომელიღაც ქოხიდან, სადაც შეპარულიყო. რა თქმა უნდა, საერობო პოლიცია ღირსი იყო ასეთი სასჯელისა თავისი ავხორცობისათვის, მაგრამ არც ვშივაია-სპესისა და ზადირაილოვო-ტოჟის გლეხების გამართლება შეიძლებოდა ასეთი თვითნებობისათვის, უკეთუ იმათი ხელი მართლაც ერია ამ მკვლელობაში. მაგრამ საქმე მეტად ბნელი გახლდათ; საერობო პოლიცია გზაზე იპოვეს; მისი მუნდირი თუ სერთუკი სულ ნაფლეთებად ექციათ, ხოლო სახის ცნობა კი ძნელი იყო. საქმემ სასამართლოები მოიარა და ბოლოს პალატაში გადავიდა, სადაც საიდუმლოდ იმსჯელეს და ასეთნაირად დაასკვნეს: ვინაიდან გამოურკვეველია, სახელდობრ რომელი გლეხები იღებდნენ მონაწილეობას მკვლელობაში, ისე კი ძალიან ბლომად ყოფილან, ხოლო თვით დრობიაჟკინი უკვე მკვდრებშია ჩაწერილი და, მაშასადამე მისთვის არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენს, თუნდაც რომ საქმე მოიგოს, გლეხები კი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, მაშასადამე მათთვის დიდად მნიშვნელოვანი იქნება, საქმე მათდა სასარგებლოდ გადაწყდესო; ამიტომ აიღეს და ასე დაადგინეს: ზასიდატელი დრობიაჟკინი თვითონვე იყო მიზეზი თავისი უბედურებისა, ვინაიდან ვშივაია-სპესისა და ზადირალოვო-ტოჟის გლეხებს უსამართლოდ ავიწროებდა, ხოლო სიკვდილით თავისით მომკვდარა: როდესაც მარხილით შინ ბრუნდებოდა, სისხლი ავარდნია თავში და ამას უმსხვერპლიაო. საქმე თითქმის ყოველმხრივ იყო გაჩარხული, მაგრამ მოხელეებს, არავინ უწყის, რატომ, მაინც ეჭვი დაებადათ: ალბათ ამ მკვდარ სულებზეა ლაპარაკი. სწორედ იმ დროს, როდესაც თავგზააბნეული ბატონი მოხელეები ასეთ მძიმე საგონებელს მისცემოდნენ, თითქოს განგებ ერთბაშად გუბერნატორთან ორი წერილი მოვიდა. ერთში

ეწერა: ჩვენამდე მოღწეული ცნობებისა და მოხსენებების მიხედვით თქვენს გუბერნიაში იმყოფება ყალბი ასიგნაციების მკეთებელი, რომელიც სხვადასხვა სახელით იმალება და საჭიროა მოხდეს სასტიკი კვლევა-ძიებაო. მეორე ქაღალდი შეიცავდა მეზობელი გუბერნიის გუბერნატორის მოწერილობას ერთი ყაჩაღის თაობაზე, რომელიც კანონიერ დევნას გამოქცეოდა; უკეთუ თქვენს გუბერნიაში აღმოჩნდეს ვინმე საეჭვო კაცი და წარმოადგინოს სათანადო მოწმობა და პასპორტი, დაუყოვნებლივ შეიპყარით და გადმოგვიგზავნეთო. ამ ორმა ქაღალდმა პირდაპირ თავზარი დასცა ყველა მოხელეს. წინანდელი დასკვნები და მოსაზრებები სულ შეუყირავდათ, ახლა მათ არავითარი აზრი არ ჰქონდათ. რა თქმა უნდა, არასდიდებით არ შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ამ ქაღალდებში აღნიშნული ბრალდება როგორღაც ეხებოდა ჩიჩიკოვს, მაგრამ როდესაც დაფიქრდნენ, როდესაც გაიხსენეს, რომ მათ აქამდე არც კი იციან, მაინც ვინ არის ეს ჩიჩიკოვი, რომ თვითონ ჩიჩიკოვი ძალიან ბუნდოვნად ლაპარაკობდა თავის თავზე – მართალია თქვა, სამსახურში სიმართლის გულისათვის დავისაჯეო, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ბუნდოვანი იყო, როდესაც გაიხსენეს, რომ ჩიჩიკოვმა ისიც კი თქვა, ბევრი მტერი მყავდა და სიკვდილსაც მიქადდნენო, უფრო მეტ საგონებელს მიეცნენ: მაშასადამე, მისი სიცოცხლე საფრთხეში ყოფილა; მაშასადამე, სდევნიდნენ კიდეც; მაშასადამე, რაღაც ისეთი ჩაუდენია... მაშ ვინ არის მართლაც და მართლაც ეს ჩიჩიკოვი? რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეგ ყალბი ფულების მჭრელია, მით უმეტეს არ შეიძლება ეგ ყაჩაღად ჩავთვალოთ. გარეგნულად სავსებით წესიერ ადამიანად გამოიყურება; მაგრამ მაინც ვინაა და რას წარმოადგენს? აი, მხოლოდ ახლა შეეკითხნენ ეს ჩვენი ბატონი მოხელეები თავის თავს სწორედ იმაზე, რაც უნდა ეკითხათ პირველად, ანუ ჩვენი პოემის დასაწყისში. გადაწყვიტეს, ახლა ისინიც დაეკითხათ, ვისგანაც ჩიჩიკოვს მკვდარი სულები შეეძინა, რათა ცოტაოდნად მაინც გამოერკვიათ, თუ მართლა რა ივაჭრა, ან რა უნდა ეგულისხმათ ამ მკვდარ სულებში. ვისთანმე უნებლიედ მაინც ხომ არ გამოუმჟღავნებია თავისი ნამდვილი განზრახვა. გაკვრით, ოდნავად მაინც ვისთანმე ხომ არ წამოსცდენია, თუ ვინ არის იგი. პირველად კორობოჩკასთან მივიდნენ, მაგრამ იმისგან ბევრი ვერაფერი გამოიტანეს: რაღაც თსუთმეტი მანეთისა იყიდა, აგრეთვე ბუმბულსაც შემევაჭრა, დამპირდა, სხვა რამესაც ბევრს ვიყიდიო. მასთან ხაზინისათვისაც ქონს ყიდულობს, უეჭველია, ვიღაც გაიძვერაა, ვინაიდან შარშანაც ერთი ვიღაც ოხერი გამოჩნდა, რომელიც ამნაირადვე ბუმბულსაც ყიდულობდა და ხაზინისთვისაც ქონს ამზადებდა, მაგრამ ყველანი მოატყუა და დეკანოზის მეუღლეს ას მანეთზე მეტი ააფცქვნაო. მოხელეები დარწმუდნენ, რომ კორობოჩკა ერთი სულელი დედაბერი იყო. მანილოვმა უპასუხა, რომ ის პაველ ივანოვიჩისათვის თავს დასდებდა, როგორც საკუთარი თავისათვის, რომ მზად იყო მთელი თავისი ქონებაც გაეწირა, ოღონდ პაველ ივანოვიჩის ზნე-ხასიათის მეათედი მაინც ჰქონოდა, საერთოდ, დიდებული აზრი გამოთქვა ჩიჩიკოვზე და თანაც სიამისაგან მოჭუტული თვალებით რამდენიმე სიტყვა გაურია მეგობრობის თაობაზე. რა თქმა უნდა, ყველა ამან მშვენივრად დაახასიათა მანილოვის ნაზი ბუნება, მაგრამ მოხელეებს ვერ განუმარტა საქმის ნამდვილი ვითარება. სობაკევიჩმა თქვა, რომ ჩიჩიკოვი, მისი აზრით, კარგი ადამიანია. რომ გლეხებიც არჩევით მიჰყიდა, ყოველმხრივ ჯანმრთელი ხალხი; მაგრამო, დასძინა, თავმდები ვერ ვიქნები, რა მოხდება შემდგომ; უკეთუ გადასახლებასთან დაკავშირებულ სიძნელეთა გამო გზადაგზა დაიხოცებიან, ეს ჩემი ბრალი არ იქნება. ყველაფერი ღვთის ნებაა, ვინ იცის, ვის რა დაემართოს, ათასი ჭირია და ათასი საოფლე,

ყოფილა შემთხვევა, რომ მთელი სოფლები ამოწყვეტილაო. ბატონმა მოხელეებმა კიდევ ერთ ხერხს მიმართეს, თუმცა ეს ხერხი არაკეთილშობილურია, მაგრამ ზოგჯერ მაინც მიმართავენ ხოლმე მათ. შორიდან, ნაცნობი ლაქიების საშუალებით, დაჰკითხეს ჩიჩიკოვის ხალხს, რა იციან თავისი ბატონის უწინდელი ცხოვრების ირგვლივ, მაგრამ აქედანაც ბევრი ვერაფერი გამოიტანეს: პეტრუშკასაგან მხოლოდ საცხოვრებელი ბინის სუნი ეცათ ცხვირში, სელიფანმა კი უპასუხა, რომ ბატონი ხელმწიფის სამსახურს ასრულებდა, უწინ კიდევ საბაჟოში მსახურობდა, ამის მეტი არა ვიცი რაო. ასეთი ჯურის ხალხს მეტად უცნაური ჩვეულება აქვს: პირდაპირ რამე რომ ჰკითხოთ, ვერაფერს გაიხსენებს, თავში აზრებს ვერ მოიკრებს, ანდა გიპასუხებთ, არ ვიციო, მაგრამ თუ სხვა რამეზე ჰკითხეთ, აქ მოუშვებს გუდას, ისეთ-ისეთ რამეებს მოაყოლებს, ისეთი დაწვრილებით, რომ თავს მოგაბეზრებთ. კვლევა-ძიებამ მოხელეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათ დანამდვილებით არ იციან, რას წარმოადგენს ჩიჩიკოვი, თუმცა, უეჭველია, რომ რაღაცას უნდა წარმოადგენდეს. ბოლოს გადაწყვიტეს მოეთათბირათ, როგორ მოქცეულიყვნენ, რა ზომები მიეღოთ, რათა გაერკვიათ, თუ სახელდობრ რას წარმოადგენდა ჩიჩიკოვი: ისეთ კაცს, რომლისთვისაც კისერში ხელი უნდა ეტაცნათ, როგორც არაკეთილსაიმედო ადამიანისათვის, თუ ისეთს, რომელიც თვითონ მათ წაავლებს ხელს, როგორც არასაიმედო ხალხს. ყველა ამ საკითხის გამოსარკვევად გადაწყვიტეს ერთად მოეყარათ თავი პოლიცმეისტერთან, რომელსაც მკითხველი უკვე იცნობს, როგორც ქალაქის მამასა და კეთილისმყოფელს.

თავი მეათე

როდესაც თავი მოიყარეს პოლიცმეისტერთან, რომელსაც მკითხველი უკვე იცნობს, როგორც ქალაქის მამასა და კეთილისმყოფელს, მოხელეებს შემთხვევა მიეცათ შეენიშნათ, რომ ამდენი შფოთისა და ზრუნვისაგან თითქმის ყველანი გამხდარიყვნენ. მართლაც ახალი გენერლ-გუბერნატორის დანიშვნამ, ასეთი სერიოზული შინაარსის ქაღალდების მოსვლამ და, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენმა მითქმა-მოთქმამ შესამჩნევი კვალი დაამჩნია მათ სახეს, ასე რომ ფრაკები ძალიან ხალვათად ადგათ. ამ ამბებმა ყველაზე იმოქმედა: თავმჯდომარეც გახდა, სამკურნალო სამმართველოს ინსპექტორიც გახდა, პროკურორიც გახდა და თვით ვიღაც სემიონ ივანოვიჩიც, რომელსაც გვარით არასოდეს არ იხსენიებდნენ და რომელიც საჩვენებელ თითზე ბეჭედს ატარებდა და ქალებს ასინჯებდა ხოლმე, ისიც გამხდარი ჩანდა. რა თქმა უნდა, როგორც ყველგან, აქაც მოიპოვებოდნენ გულადი ვაჟკაცები, რომელთაც მხნეობა შეინარჩუნეს, მაგრამ მათი რიცხვი ძალიან ცოტა იყო: მხოლოდ ფოსტმეისტერი. მხოლოდ მას არ შეშლია ნირი და დღესაც, როგორც ყოველ ასეთ შემთხვევაში ამბობდა: «გიცნობ, რა შვილებიც ბრძანდებით გენერალ-გუბერნატორები! თქვენგან სამი-ოთხი კიდევ მაინც გამოიცვლება, მე კი აგერ ოცდაათი წელია, ჩემო ბატონო, სულ ერთ ადგილას ვზივარო!» ამაზე სხვა მოხელეები ამნაირად უპასუხებდნენ: «ეჰ, შენ რა გიშავს, შპრეხენ ზი დეიჩ, ჩემო ივან ანდრეიჩ! შენ ფოსტის საქმე გაბარია: მიიღებ და გაგზავნი მოტანილ ამანათებს, სხვა რა უნდა გააკეთო, დიდი-დიდი ერთი საათით ადრე დაჰკეტო შენი უწყება ან მოატყუო გვიან მოსული ვაჭარი და ქრთამი ასწაპნო წერილის უდროოდ მიღებისათვის, ანდა ზოგჯერ ისეთი ამანათი გადაგზავნო, რომლის გაგზავნა არ შეიძლება. აქ, რა თქმა უნდა, ყველა წმინდანი გამოვა. აბა ერთი შენც ეშმაკი შემოგიჩნდეს და სულ ირგვლივ გიტრიალოს, მაშინ ნახავ სეირს! არც გინდოდეს

აღება, მაინც ხელში ჩაგჩრის. შენ, რა თქმა უნდა, სადარდელი აბა რა გაქვს, ერთი ბიჭი გყავს, აქ კი, ძმაო, პრასკოვია ფედოროვნა ღმერთმა ისეთი მადლით აკურთხა, ყოველ წელს ახალ-ახალსა ჩეკავს, ხან პრასკუშკას, ხან პეტრუშკას; ჰოდა, აბა ერთი ასეთი ამბავი დაგატყდეს თავს, მაშინ სულ სხვანაირად დაიმღერებო». ასე ამბობდნენ მოხელეები,ხოლო შეიძლება თუ არა ეშმაკს სძლიო, ეს სულ სხვა საქმეა და ავტორი ვერ ჩაერევა ამ საკითხში. ბჭობაზე თავშეყრილითა შორის აშკარად ჩანდა, რომ აქ სწორედ ის აკლდათ, რასაც უბრალო ხალხი საზრიანობას უწოდებს. საზოგადოდ ჩვენ თითქოს წარმომადგენლობითი სხდომისთვის არ გავჩენილვართ. ყველა ჩვენს კრებაზე, დაწყებული სასოფლო ყრილობებიდან და გათავებული ყველა ჯურის მეცნიერული თუ სხვაგვარი კომიტეტების სხდომებით, საკმაო უთავბოლობა სუფევს, უკეთუ კარგი ხელმძღვანელი არ უდგას თავში. მეტად ძნელია იმის თქმა, რატომ ხდება ასე: ეტყობა, ხალხია ეგეთი, რომ მხოლოდ ისეთი სათათბირო კრებები ეხერხება, რომლებსაც იწვევენ ნადიმების გასამართავად, – კლუბები თუ გერმანულ ყაიდაზე მოწყობილი გასართობი ადგილები. ისე კი ჩვენ თითქმის ყოველთვის ყველაფრისათვის მზადა ვართ. ჩვენ სრულიად მოულოდნელად ვაარსებთ ხოლმე რომელიმე საქველმოქმედო, წამახალისებელ და ღმერთმა უწყის, კიდევ როგორ საზოგადოებას. მიზანი მშვენიერი გვაქვს, მიუხედავად ამისა მაინც არაფერი გამოგვდის. იქნებ ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ თავშივე ვკმაყოფილდებით და ისე გვგონია, თითქოს ყველაფერი უკვე გაკეთებულია. ვთქვათ, დავაარსეთ საქველმოქმედო საზოგადოება ღარიბებისათვის და საკმაოდ მოზრდილი თანხაც მოვაგროვეთ შეწირულებით. ასეთი სანაქებო საქციელისათვის მშვენიერ ნადიმს ვუმართავთ ქალაქის წარჩინებულთ – რა თქმა უნდა, შემოწირულების ნახევრის ხარჯზე. დანარჩენი ფულით იმ დღესვე ვქირაობთ კომიტეტისათვის დიდებულ ბინას, რა თქმა უნდა გათბობით და დარაჯებითურთ, ხოლო გადარჩენილ თანხას – რაღაც ხუთმანეთნახევარს ვანაწილებთ ღარიბთა შორის. მაგრამ აქ ყველა წევრი თანახმა არ არის ამ განაწილებისა და ყველა ცდილობს, თავისი ნათლიდედა წამოაყენოს. უნდა ითქვას, რომ დღევანდელი თათბირი სულ სხვა ჯურისა იყო: იგი აუცილებლობის გამო შედგა. აქ ვიღაც ღარიბებზე და სხვა საქმეზე კი არ ბჭობდნენ, არამედ საკუთარ თავზე, საქმე თვითონ მოხელეებს ეხებოდა, ეხებოდა იმ უბედურებას, რომელიც ყველა მოხელეს თანაბრად ემუქრებოდა, მაშასადამე, ძალაუნებურად უნდა ყოფილიყო ერთსულოვნება და სიმტკიცე. მაგრამ, ეშმაკმა უწყის, რა გამოვიდა. გარდა იმ უთავბოლობისა და შეუთანხმებლობისა, რომელიც საზოგადოდ თან სდევს ყველა ამნაირ ბჭობას, შეკრებილთა შორის თავი იჩინა რაღაც წარმოუდგენელმა მერყეობამ. ერთი ამბობდა: ჩიჩიკოვი ყალბი ფულების მჭრელიაო, და იქვე უმატებდა «თუმცა შეიძლება არც იყოსო», მეორე ირწმუნებოდა ჩიჩიკოვი გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მოხელეაო, მაგრამ იქვე ურთავდა: «თუმცა ეშმაკმა იცის მისი თავი, შუბლზე ხომ არ აწერიაო». რაც შეეხება იმ მოსაზრებას, ვითომც ჩიჩიკოვი გადაცმული ყაჩაღია, აქ ყველანი ამხედრდნენ: გარდა იმისა, რომ მისი გარეგნობა სანდომიანობითაა სავსე, ლაპარაკშიც ვერაფერს შეამჩნევთ ისეთს, რაიც თავზეხელაღებულ ადამიანს ახასიათებსო. ამ დროს, ფოსტმეისტერმა, რომელიც რამდენიმე წუთი იყო, რაღაც ფიქრს მისცემოდა, თითქოს ზეშთაგონებამ მოუარაო, უეცრივ წამოიძახა:

– იცით, ბატონებო, ეგ ვინ არის?

მისმა ხმამ შემაძრწუნებლად იმოქმედა, ასე, რომ ყველამ უეცრივ შესძახა:

– ვინ არის, ვინ?

– ეგ, ბატონო ჩემო, ნამდვილად კაპიტანი კაპეიკინია, სხვა არავინ!

ხოლო როდესაც ყველა ერთად შეეკითხა:

– მერე ვინ არის კაპიტანი კაპეიკინი? – ფოსტმეისტერმა წარმოთქვა:

– მაშ თქვენ არ იცით, ვინ არის კაპიტანი კაპეიკინი?

ყველამ ერთხმად მიუგო, არ ვიცით ვინაა ეს კაპიტანი კაპეიკინიო.

– კაპიტანი კაპეიკინი, – დაიწყო ფოსტმეისტერმა, რომელმაც სათუთუნეს თავი ოდნავ ახადა იმის შიშით, რომელიმე მეზობელთაგანმა შიგ თითები არ ჩასტაკოსო. საზოგადოდ მას ნაკლებად სჯეროდა სხვისი თითების სისუფთავე. ხშირად ასედაც კი უთქვამს: «კარგად ვიცით, ბატონო ჩენმო, თქვენს თითებს რამდენ უადგილო ადგილას დაათარეშებთ, თუთუნი კი ისეთი რამაა, რაც სისუფთავეს მოითხოვსო». – კაპიტანი კაპეიკინი, – აქ მან ბურნუთი იყნოსა და განაგრძო: – თუმცა ეს ხომ მთელი მოთხრობა გამოვა, რომელიმე მწერლისათვის, ასე ვთქვათ, ფრიად სახარბიელო პოემა.

ყველა იქ მყოფმა სურვილი გამოთქვა მოესმინა ეს ამბავი, ანუ, როგორც ფოსტმეისტერმა განაცხადა, რომელიმე მწერლისათვის სახარბიელო პოემა, და მანაც ამნაირად დაიწყო:

ამბავი კაპიტან კაპეიკინისა

«თორმეტი წლის კამპანიის შემდეგ, ბატონო ჩემო, – ასე დაიწყო ფოსტმეისტერმა, თუმცა ოთახში ერთი ბატონი კი არ იჯდა, არამედ ექვსი, – თორმეტი წლის კამპანიის შემდეგ დაჭრილებთან ერთად გადმოგზავნილ იქნა კაპიტანი კაპეიკინიც. კრასნისთან თუ ლეიპციგთან, წარმოიდგინეთ, მას ხელ-ფეხი მოსწყვიტეს. იმ დროს არავითარი განკარგულება არ ყოფილა გაცემული დაჭრილთა საპატრონებლად; აი, ეს რაღაც ინვალიდთა კაპიტალი რომაა, ასე ვთქვათ, მხოლოდ შემდეგში შემოიღეს. კაპიტანი კაპეიკინი ხედავს, რომ გარჯაა საჭირო, მაგრამ რანაირად, როდესაც მხოლოდ მარცხენა ხელი შერჩენია. მამას მიაკითხა. მამამ უპასუხა: «აბა მე რა მაქვს, შენ რით შეგინახოო, – წარმოიდგინეთ, სწორედ ასე უთხრა: – მე თვითონ ლუკმაპურს ძლივს ვშოულობო». ახლა ჩემმა კაპიტანმა გადაწყვიტა, ბატონო ჩემო, გამგზავრებულიყო პეტერბურგს, რათა ხელმწიფისათვის ეთხოვნა, მეფურ წყალობას ხომ არ გაიღებთო: «ასე და ამრიგად, ვთქვათ, სიცოცხლე გამიწირავს, სისხლი დამიღვრია»... ჰოდა, ასე იყო თუ ისე, შენ ხარ ჩემი ბატონი, სახაზინო ფურგონით თუ სხვა რამ საშუალებით, მოახერხა პეტერბურგამდე მისვლა. ახლა წარმოიდგინეთ, ვიღაც კაპიტან კაპეიკინი უეცრივ გაჩნდა სატახტო ქალაქში, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგზე არაფერია! უეცრივ თვალწინ მთელი ქვეყანა გადაეშალა, ასე

ვთქვათ, ზღაპრული სიცოცხლის ველი, ნამდვილი შეჰერეზადა! წარმოიდგინეთ რომელიმე ნევის პროსპექტი ან გოროხოვაია, ეშმაკმა დალახვროს! ანდა რომელიმე ლიტეინაია; აქ რაღაც კოშკის წვეტი მოჩანს ჰაერში, – ერთი სიტყვით, ნამდვილი სემირამიდაა, შენ ხარ ჩემი ბატონი და ესაა! კარგა ხანს დაეხეტებოდა ბინის საშოვნელად, მაგრამ ხედავს, რომ ხელი არ მიუწვდება: სულ ფარდებითა და თახჩაფუჩებითაა მორთული ბინები, ყველგან ისეთი მამაძაღლური რამეებია, ისეთი ხალიჩები, თითქოს მთელი სპარსეთი წინ გაგიგიათ და, ასე ვთქვათ, ფეხით სთელავთ ამოდენა სიმდიდრეს. ერთი სიტყვით, მიდიხარ ქუჩაში და გრძნობ, რომ ყველაფერს ათასების სუნი სდის. ჩემი კაპიტან კაპეიკინის ავლადიდებას კი სულ რაღაც ათიოდე ლურჯიანი შეადგენს. როგორც იყო, რეველის ტრაქტირში იპოვა თავშესაფარი დღეღამეში მანეთად, სადილად კომბოსტოს სუპი და ერთი ნაჭერი ხორცი ჰყოფნიდა. ხედავს, ცხოვრება უძნელდება. გაიკითხ-გამოიკითხა, სად მივმართოო? ეუბნებიან: არისო, ასე ვთქვათ, უმაღლესი კომისია, რაღაც სამმართველო, გესმით, სადაც უფროსადაა, ესა და ეს გენერალ-ანშეფიო. ხელმწიფე კი, უნდა მოგახსენოთ, იმ დროს სატახტო ქალაქში არ ბრძანდებოდა. ჯარები, წარმოიდგინეთ, პარიზიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ, ყველანი საზღვარგარეთ იყვნენ. ჩემი კაპეიკინი დილაადრიან წამოდგა, ცაცია ხელით წვერი მოიქექა, – დალაქისათვის მისაცემი ფული მისთვის დიდ თანხას შეადგენდა, წამოისხა მუნდირი და ხის ფეხის ბაკაბუკით გასწია უფროსთან, ერთი სიტყვით, თვითონ დიდებულთან. იკითხა მისი ბინა. «აგერო», –ეუბნებიან და უთითებენ სასახლის სანაპირო ქუჩაზე ამართულ შენობას. ვითომ გლეხის ქოხმახი გენახოთ რაღა! ფანჯრის მინები, წარმოგიდგენიათ, სულ საჟენნახევრიანი სარკეებია, ასე რომ ვაზებიცა და ყველაფერი, რაც იმ ოთახებშია, ისე მოჩანს, თითქოს გარეთ დაულაგებიათო, – შეიძლება, ასე ვთქვათ პირდაპირ ქუჩიდანვე მისწვდეთ. ძვირფასი მარმარილოები კედლებზე, ლითონის სამკაულები, კარის სახელურებიც კი ისეთი, წარმოიდგინეთ, ვიდრე მიხვალთ და ხელს მოჰკიდებთ, საჭიროა იქვე დუქანში მიირბინოთ, იყიდოთ პატარა საპონი და ერთი ორი საათი მაინც იხეხოთ ხელისგული, – ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა გალაქული, თვალს დაგიბნელებთ მათი კრიალი. მარტო მეკარე რადა ღირს! ისე გამოიყურება, როგორც გენერალისიმუსი: ხელში მოვარაყებული კვერთხი უჭირავს, სახით ხომ ნამდვილი გრაფია და გრაფი, ისე ჩასუქებულა, როგორც კარგა ნაკვები მოპსი, გულ-კისერი კიდევ სულ ბატისტით შემოუბურავს, დალახვროს ეშმაკმა! როგორც იყო, ჩემი კაპეიკინი შეჩოჩდა მისაღებ ოთახში თავისი ხის ფეხით. იქვე კუთხეში მიიკუნტა, ემანდ იდაყვი არ წავკრა რომელიმე ამერიკას ან ინდოეთსო, ესე იგი რომელიმე მოოქრულ ფაიფურის ჭურჭელსაო. აბა, რაღა თქმა უნდა, კარგა ხანს იჯდებოდა გულხელდაკრეფილი, რადგან სწორედ ისეთ დროს მოვიდა, როდესაც გენერალი, ასე ვთქვათ, ის იყო წამოდგა ლოგინიდან და კამერდინერმაც ვერცხლის გობი შეუტანა, ასე ვთქვათ, ხელ-პირის დასაბანად. იცდის და იცდის ჩემი კაპეიკინი, თითქმის ოთხი საათი გავიდა, ბოლოს კარი გაიღო დ შემოდის ადიუტანტი თუ რომელიღაც მორიგე მოხელე. «გენერალი, – აცხადებს ადიუტანტი, – ამ საათში გამოვა მისაღებ დარბაზშიო. მისაღებ დარბაზში კი იმდენი ხალხია, როგორც ცერცვი სავსე მათლაფაში. ახლა ის ბრძანეთ, რა ხალხი იცდის და! ჩვენი ძმა, გაუთლელი მოხელე კი არ გეგონოთ, – სულ მეოთხე და მეხუთე კლასის ხალხია, პოლკოვნიკები, ზოგს აქა-იქა მსხვილ-მსხვილი მაკარონიც უბრწყინავს ეპოლეტებზე, ერთი სიტყვით, ნამდვილი გენერალიტეტია! უეცრივ ოთახში რაღაც ჩუჩუნი ატყდა, ასე ვთქვათ, თითქოს ნიავმა

დაუბერაო, აქეთ-იქით ხმა გაისმა: «ჩუ! ჩუ!» და ბოლოს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შემოდის დიდებული, წარმოიდგინეთ, ნამდვილი სახელმწიფო კაცი! სახეზე, ასე ვთქვათ... ერთი სიტყვით, ხომ გესმით... როგორც შეშვენის მაღალი ხარისხის ადამიანს... ისეთი დიდებული გამომეტყველება აქვს, ყველანი, ვინც მისაღებ ოთახში იყვნენ, იმ წუთს ლარივით გაიჭიმნენ, მოჰყვნენ კანკალს, მოლოდინში არიან, ელიან, ასე ვთქვათ, ბედის განაჩენს. მინისტრი იყო ის თუ დიდებული, ხან ერთთან მიდის, ხან მეორესთან: «რაზე მოსულხართ? რატომ გარჯილხართ? რა გნებავთ? თქვენ რაღა საქმეზე მობრძანდით?» ბოლოს, შენ ხარ ჩემი ბატონი, კაპეიკინზედაც მიდგა ჯერი. კაპეიკინმაც გაბედა: «ასე და ასე თქვენო აღმატებულებავ: სისხლი დავღვარე, აგერ ხელ-ფეხი დავკარგე, მუშაობა აღარ შემიძლია, გავკადნიერდი და მეფის წყალობას ვთხოულობო». მინისტრი ხედავს: მართლაც კაცი ხის ფეხითაა და მარჯვენა მკლავის ადგილას ცარიელი სახელო აუკრავს მუნდირზე. «კეთილი, – მიუგო მან, – ამ დღეებში შემოიარეთო». ჩემი კაპეიკინი სიხარულით გადაირია, ძლივს მოახერხა უკან გამოსვლა. ხუმრობა ხომ არ იყო, მარტო ის რად ღირდა, რომ, ასე ვთქვათ, ეღირსა აუდიენციას პირველხარისხოვან დიდებულთან; მეორეც, ახლა საბოლოოდ გადაიჭრებოდა მისი პენსიონის საკითხი. ჰოდა, ისეთ გუნებაზეა, რომ სულ მიხტის და მიაბაკუნებს ტროტუარზე! მაშინვე პალკინის ტრაქტირში შეუხვია და ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა, შემდეგ გემოზე ისადილა, ჩემო ბატონო, ლონდონში, კატლეტები მიირთვა ჯონჯოლით, ყვერულიც მოამზადებინა ნაირ-ნაირი საფენელებით, ერთი ბოთლი ღვინოც გამოცალა და საღამოთი თეატრსაც თავი დაუკრა. ერთი სიტყვით, ლაზათიანად წაიქეიფა. ტროტუარზე, შევხედოთ, ერთი ქალი მოდის, წერწეტა, ტანადი, მოდის და მოცურავს, როგორც გედი; ჩემს კაპეიკინს სისხლი აუდუღდა, მოკლედ, ამ ქალზე თვალი შეუვარდა და ხის ფეხის ბაკუნით კვალდაკვალ მიჰყვა. მაგრამ უცბად შეჩერდა და გაიფიქრა: «არა, ჯერ არა! მოვითმინოთ... აი როცა პენსიონს ავიღებ, მაშინ იყოს, თორემ ისედაც ძალიან დავიხარჯეო». შემდეგ, ჩემო ბატონო, რაღაც სამი-ოთხი დღის შემდეგ ჩემი კაპიტანი ისევ მიადგა მინისტრს და დაელოდა მის გამობრძანებას. «ასე და ასე, – ეუბნება,– გეახელით, რომ თქვენი მაღალაღმატებულების ბრძანება მოვისმინო ავადმყოფთა და დასახიჩრებულთა თაობაზე», და სხვა ასეთი, ხომ გესმით, სათანადო კილოთი, როგორც შეეფერებოდა მინისტრის წინაშე წარმდგარ მთხოვნელს. იმ დიდებულმა, წარმოიდგინეთ, უმალვე იცნო: «ა, კეთილი, კრთილი, – ეუბნება, – მაგრამ ამჟამად იმაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, რომ თქვენ მოგიხდებათ ხელმწიფის მობრძანებას მოუცადოთ. მაშინ უეჭველად გაიცემა განკარგულება დაჭრილთა დასახმარებლად, ისე კი, ასე ვთქვათ, ვერაფერს გავხდები, უკეთუ არ იქნა მისი მეფური ბრძანებაო». თავი დაუკრა და – კარგად ბრძანდებოდეთო. კაპეიკინი მეტისმეტად გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. იმას ასე ეგონა, აგერ ხვალ მაინც მომცემენ ფულს და მეტყვიან: «აჰა, ჩემო კეთილო, სვი და იქეიფე, რამდენიც გინდა!» ამის ნაცვლად კი ბრძანება ესმის: მოითმინეთო! მერე ისე, რომ ვადას არც კი უნიშნავენ. ჰოდა, სულ დარეტიანებული გამოვიდა გარეთ, როგორც ფინია, რომელსაც მზარეულმა წყალი გადაასხა: კუდიც ლაჯებში ამოუდვია, ყურებიც დაუშვია. არა, – ფიქრობს თავისთვის, – ხელმეორედ წავალ, ავუხსნი, ასე და ასე, უკანასკნელ ლუკმასა ვჭამ, უკეთუ არ დამეხმარეთ, შიმშილით მოვკვდები-მეთქი და ესაა». ერთი სიტყვით, ჩემო ბატონო, ის კვლავ გაჩნდა სასახლის სანაპირო ქუჩაზე. იქ ეუბნებიან: «არ შეიძლება, დღეს არავის იღებს. ხვალ მოდიო». მეორე დღესაც იგივე ამბავია. მეკარეს ზედ შეხედვაც არ უნდა. იმას კი ჯიბეში, წარმოიდგინეთ, იმ

ლურჯიანებიდან მხოლოდ ერთი ცალიღა დარჩა. წინათ ასე თუ ისე იმდენი მაინც ჰქონდა, რომ შჩისა და ერთ ნაჭერ ხორცსა ჭამდა, ახლა კი სადღაც მიგდებულ დუქანში ქაშაყს იყიდის ან კიტრის მწნილს, ორიოდე გროშის პატარა პურს შეატანს და ესაა – ნახევრად მშიერია საცოდავი, – მაშინ როდესაც მადა პირდაპირ მგლისა აქვს. გაივლის რომელიმე რესტორნის ახლოს, – წარმოიდგინეთ, იქ უცხოელი მზარეული, ვიღაც სახეგაბადრული ფრანგი, ჰოლანდიური თეთრეული რომ აცვია და თოვლივით წინსაფარი აუფარებია, სულ ნაირ-ნაირ საჭმელებს დასტრიალებს, აქ რაღაც ფენზერვს ამზადებს, იქ კატლეტებს ტრიუფელებით, – ერთი სიტყვით, ისეთი რასუპე-დელიკატესებია, ისეთ მადაზე მოგიყვანს, საკუთარ თავს შეჭამ. ახლა მილიუტინის დუქნებს რომ ჩაუვლის, იქ ფანჯრიდან, ასე ვთქვათ, თართი იყურება, აგერ ალუბლის კუნწულები – თითო ხუთ-ხუთი მანეთი ღირს, დილიჟანივით უზარმაზარ საზამთროს ფანჯრიდან თავი ისე გამოუყვია, თითქოს ვინმე სულელის მოლოდინშია, რომელიც ასმანეთიანს გადააგდებს და იყიდის, – ერთი სიტყვით, ყოველ ნაბიჯზე იმდენი სამაცდუროა, რომ სულ ნერწყვით ევსება პირი. ისინი კი ეუბნებიან: «ხვალ მობრძანდით, ხვალო». წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდა ჩავარდნილი: აქ ერთი მხრით, ასე ვთქვათ, თართი და საზამთრო, მეორე მხრით კი სულ ერთსა და იმავე კერძს სთავაზობენ: «ხვალ მობრძანდით, ხვალაო». ბოლოს საცოდავს მოთმინების ძაფი გაუწყდა და გადაწყვიტა, იერიშით მოეხერხებინა შესვლა. იქვე შესავალ კართან დაუწყო ლოდინი, იქნებ ვინმე მთხოვნელმა შეაღოს კარი და მეც შევყვეო. შევხედოთ, მართლაც ერთი გენრალი გამოჩნდა და იმასთან ერთად მისაღებ ოთახში კაპეიკინიც შეძვრა თავისი ხის ფეხით. აგერ, ჩვეულებისამებრ გამოდის დიდებული: «თქვენ რაზე გარჯილხართ? თქვენ რაღაზე გარჯილხართ?.. ა, – ეუბნება კაპეიკინს, როდესაც თვალი მოჰკრა: – მე ხომ გითხარით, რომ გადაწყვეტილებას უნდა მოუცადოთ-მეთქი». «რასა ბრძანებთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, მე, ასე ვთქვათ, ლუკმაპურიც არ გამაჩნია...» – «რა გიყოთ, მე ვერაფრით დაგეხმარებით; ეცადეთ ჯერჯერობით თქვენს თავს თქვენვე უშველოთ, თქვენვე გამონახეთ რაიმე სახსრები». – «ჰო, მაგრამ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, თქვენვე შეგიძლიათ, ასე ვთქვათ, განსაჯოთ, რა სახსრების გამონახვა შემეძლება უხელოს და უფეხოს». – «მესმის, – ეუბნება დიდებული, – მაგრამ თქვენც უნდა დამეთანხმოთ, რომ არ შემიძლია, ასე ვთქვათ, ჩემს ხარჯზე შეგინახოთ. მე თქვენისთანა დაჭრილი მრავალი მყავს, ყველას თანაბარი უფლება აქვს... მოთმინებით უნდა აღიჭურვოთ; მალე ხელმწიფეც მობრძანდება და, პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ მისი მეფური წყალობა თქვენც მოგწვდებათ». – «ჰო, მაგრამ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, მე მეტის მოთმენა აღარ შემიძლია», – ეუბნება კაპეიკინი და ეუბნება საკმაოდ უხეშად. ეს კი დიდებულს, ხომ გესმით, უკვე ეწყინა. და მართლაც! ირგვლივ ამდენი გენერალი ელის მის გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს; საქმეებია, ასე ვთქვათ, დიდად მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი, რომლებიც მოითხოვენ უაღრესად სასწრაფო განხილვა-გადაწყვეტას – ერთი წუთით დაგვიანებაც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, – აქ კი ვიღაც ეშმაკი მაჯლაჯუნა აჰკიდებია. «ბოდიშს ვიხდი, – ეუბნება დიდებული, – არ მცალია... მე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მელის, ვიდრე თქვენია». ერთი სიტყვით, ზრდილობიანად უნდა მიახვედროს, ადექი და წადი, დრო არისო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ჩემი კაპეიკინი ფეხსაც არ იცვლის. შიმშილმა, მოგეხსენებათ, დეზების ამოკვრა იცის. – «როგორც გენებოთ, თქვენო აღმატებულებავ, – ეუბნება იგი, – მაგრამ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, ვიდრე რეზოლუციას არ მიბოძებთ». აბა, ასეთი

პასუხი აკადრო დიდებულს, რომელსაც შეუძლია ერთი კრინტი დასძრას და ისე გადაგკარგოს, ეშმაკმაც ვერ გიპოვნოს. აქ ჩვენს ძმას, რომელიმე მოხელეს, ერთი ჩინით დაბალმა ვინმემ რომ ასეთ რამ გაუბედოს, უხეშობად ჩაეთვლება. იქ კი რა მანძილია, წარმოიდგინეთ: ერთი მხრით გენერალ-ანშეფი და მეორე მხრით ვიღაც კაპიტან კაპეიკინი! ოთხმოცდაათი მანეთი და ნული! გენერალმა მხოლოდ ერთი გადახედა, მეტი არაფერი, – მაგრამ ეს გადახედვა ისეთი იყო, რომ ადამიანს შიშით სული გასძვრებოდა. ჩემი კაპეიკინი კი ადგილიდან არც იძვრის. «თქვენ რა?» – შესძახა მაშინ გენერალმა და საწყალი კაპიტანი ჯანდრში გაატარა. თუმცა, სიმართლე უნდა ვთქვა, მაინც წყალობით მოეპყრა: ზოგიერთი ისეთნაირად დაუტევდა, რომ სამი დღე მის თვალებში სულ ყირა-ყირა ეტრიალა ქუჩას, იმან კი მხოლოდ უთხრა: «კეთილი, რადგანაც თქვენ გეძვირებათ ცხოვრება სატახტო ქალაქში და არ შეგიძლიათ დამშვიდებით უცადოთ თქვენი ბედის გადაწყვეტას, მაშინ აქედან ხაზინის ხარჯზე გაგისტუმრებთ. აბა, დამიძახეთ ფელდიეგერს! ახლავე წაიყვანეთ იქ, საიდანაც მოსულა!» ფელდიეგერიც, ცხადია, იქვე დგას: ერთი ვიღაც სამარშინიანი აყლაყუდა, იმისთანა მკლავებით, თითქოს ღმერთს საგანგებოდ მეეტლეების რისხვად გაუჩენიაო... და აი, ჩვენს ღვთის მონას, შენ ხარ ჩემი ბატონი, წაავლეს ხელი, საბარგო ფორანში ჩააგდეს და გზას გაუყენეს ფელდიეგერთან ერთად: «ესეც კარგია, – ფიქრობს თავისთვის გუნებაში კაპეიკინი, – ამისაც მადლობელი ვარ, რომ გზის ხარჯები ამაცილეს.» ასე და ამნაირად, შენ ხარ ჩემი ბატონი, მიდის ფელდიეგერთან ერთად, მიდის და, ასე ვთქვათ, თავისთვის მსჯელობს გუნებაში: «რადგანაც გენერალი ამბობს, შენ თვითონ იშოვე ცხოვრების სახსარიო, კეთილი, მეც ავდგები და მართლა ვიშოვნი ცხოვრების სახსარს!» ჰოდა როცა სათანადო ადგილს მიიყვანეს, – ხოლო სახელდობრ სად და როგორ, არავინ უწყის, – წარმოიდგინეთ, კაპიტან კაპეიკინის ხსენება უეცრად გაჰქრა, თითქოს დავიწყების მდინარემ, რომელიღაც ლეთამ ჩანთქა, როგორც ამბობენ პოეტები. მაგრამ, მოითმინეთ, ბატონებო, სწორედ აქ იწყება რომანი. ამნაირად, სად გადაიკარგა კაპეიკინი, არავინ უწყის; მაგრამ ორიოდე თვესაც არ გაევლი, რომ რიაზანის ტყეებში ყაჩაღთა ხროვა გამოჩნდა, ხოლო ამ ხროვის მეთაური, შენ ხარ ჩემი ბატონი, გახლდათ სწორედ...»

– კეთილი და პატიოსანი, ივან ანდრეევიჩ, – შეაწყვეტინა უეცრად პოლიცმეისტერმა, – მაგრამ კაპიტანი კაპეიკინი ხომ, როგორც შენა თქვი, ხელ–ფეხმოჭრილი იყო, ჩიჩიკოვს კი...

აქ ფოსტმეისტერმა შეჰყვირა, მთელი ძალ-ღონით ხელი შუბლში შემოიკრა და საქვეყნოდ თავის თავს ბატი უწოდა. სრულიად ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი გარემოება მოთხრობის დასაწყისშივე თავში არ მოუვიდა, და იქვე აღიარა, სწორადაა ნათქვამი, გვიან იცის მოსაზრება რუსმა კაცმაო. მაგრამ წუთს უკან მაინც იეშმაკა და შეეცადა უხერხულობისათვის თავი დაეღწია: ინგლისშიო, – თქვა მან, – მექანიკა მეტად განვითარებულიაო; იქაო, გაზეთების გადმოცემით, ერთს ისეთი ხის ფეხი მოუგონია, რომ საკმარისია მის უჩინარ ზამბარას შეეხოს კაცი და ეს ხის ფეხი ისეთ ადგილს გადააფრენს, ძეხორციელიც ვერ მიაგნებსო... მიუხედავად ამისა, მაინც ყველანი დაეჭვდნენ, რომ ჩიჩიკოვი კაპიტანი კაპეიკინი იყო, და დაასკვნეს, ჩვენმა ფოსთმეისტერმა ძალიან გადაამლაშაო. თუმცა თავიანთ მხრივ არც მსმენელები ჩამორჩნენ და ფოსტმეისტერის მახვილგონიერი მიხვედრილობით წაქეზებულებმა თითქმის უფრო შორსაც შესტოპეს. ყველა სხვა ჭკვიანურ მოსაზრებათა შორის ბოლოს ისეთი აზრი მოუვიდათ, რომ

სათქმელადაც ძნელია. იქნებ ჩიჩიკოვი გადაცმული ნაპოლეონიაო. აქაო და ინგლისელებს ძალიან შურთ რუსეთის თვალუწვდენელი საზღვრები, რამდენჯერმე კარიკატურებიც კი გამოუშვეს, სადაც ინგლისელი რუსს ელაპარაკებაო. ინგლისელი დგას თურმე, უკან თოკით ძაღლი დაუჭერია, ამ ძაღლში კი ნაპოლეონი უნდა ვიგულისხმოთო: «შენ, ჰეი, – ეუბნება ინგლისელი რუსს, – თუ ასე არ მოქცეულხარ, ახლავე ამ ძაღლს ავუშვებო!» ჰოდა, ვინ იცის, იქნებ ის მართლაც აუშვეს ელენეს კუნძულიდან და ამჟამად რუსეთში მოიპარება ჩიჩიკოვის სახით, ნამდვილად კი სრულიადაც ჩიჩიკოვი არ არის.

რა თქმა უნდა, დაჯერებით არავის დაუჯერებია ეს ამბავი, მაგრამ საგონებელს მაინც მიეცნენ. ცალ-ცალკე რომ დაუკვირდნენ ამ საქმეს, აღმოაჩინეს, რომ სახით ჩიჩიკოვი, თუკი გვერდულად დადგებოდა, ნაპოლეონის სურათს ძალიან წააგავდა. პოლიცმეისტერი, რომელიც თორმეტი წლის კამპანიაში იღებდა მონაწილეობას და პირადად ენახა ნაპოლეონი, აღიარებდა, რომ ტანით იგი ნამდვილად ჩიჩიკოვის ტოლი იყო, რომ მოყვანილობის მხრივ ნაპოლეონიც არ შეიძლება ითქვას, ძალიან სქელი ყოფილიყოს, მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, ძალიან თხელებში ჩაგეთვალათ. შეიძლება ყველა ეს ზოგიერთმა მკითხველმა დაუჯერებელ ამბად მიიღოს, ავტორსაც უნდა მათდა გასახარელად დაუჯერებელ ამბად მონათლოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი სწორედ ისე მიეწყო, როგორც აქა გვაქვს მოთხრობილი. ეს მით უფროა გასაკვირველი, რომ ქალაქი სადმე მიყრუებულში კი არ იყო გადაკარგული, არამედ იქვე, ორივე სატახტო ქალაქის შორიახლოს მდებარეობდა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ეს მოხდა სულ მალე რუსეთიდან ფრანგების ღირსსახსოვარი განდევნის შემდეგ. ამ დროს ყველა ჩვენი მემამულე, მოხელეები, ვაჭრები, ნოქრები, ერთი სიტყვით, ნასწავლი თუ უსწავლელი, მთელი რვა წლის განმავლობაში თავგადადებულ პოლიტიკოსებად იყვნენ გადაქცეულნი. «მოსკოვსკიე ვედომოსტი» და «სინ ოტეჩესტვა» უმოწყალოდ იკითხებოდა და უკანასკნელი მკითხველის ხელში იმდენად დაფლეთილი გადადიოდა, რომ უკვე აღარაფრის მაქნისი იყო. ნაცვლად ჩვეულებრივი შეკითხვისა – «როგორ გაჰყიდეთ, ბატონო ჩემო, ეგ თქვენი შვრია?» ან «გაამათ თუ არა პირველმა თოვლმაო?», მხოლოდ ამას გაიგონებდით: «რასა სწერენ გაზეთებში? ისევ ხომ არ გამოუშვიათ ნაპოლეონი კუნძულიდანო?» ვაჭრებს ამისი ძალიან ეშინოდათ, ვინაიდან სავსებით სჯეროდათ ერთი წინასწარმეტყველის ნათქვამი, რომელიც აგერ სამი წელი იქნებოდა, რაც დილეგში იჯდა. არავინ უწყის, საიდან იყო მოსული ის წინასწარმეტყველი, ქალამნებითა და უსაპირო ტყაპუჭით შემოსილი, დამპალი თევზის სუნით რომ საშინლად ჰყარდა. მას უქადაგნია, ასე და ასე, ნაპოლეონი ანტიქრისტეა, შვიდი ზღვის იქით ექვს გალავანშემორტყმულ დილეგში ქვის ჯაჭვზე ჰყავთ დაბმული, მაგრამ მალე დაწყვეტს ამ ჯაჭვებს და მთელ ქვეყანას დაიპყრობსო. ასეთი ქადაგებისათვის წინასწარმეტყველმა დილეგში ამოჰყო თქვი, მაგრამ თავისი საქმე მაინც გააკეთა და სულერთიანად აურია დავთრები ვაჭრებს. კიდევ დიდხანს, მაშინაც კი, როცა ვაჭრები ფრიად მომგებიანი გარიგების შემდეგ ჩაის დასალევად დუქანში გაემართებოდნენ, სულ ანტიქრისტე ეკერათ პირზე. ბევრი მოხელე და კეთილშობილი თავად-აზნაურიც უნებურად ამაზევე ფიქრობდა. ყველანი მისტიციზმით გაიჟღინთნენ, რომელიც, როგორც ვიცით, იმ დროს დიდ მოდაში იყო; თვით სიტყვა «ნაპოლეონის» თითოეულ ასოში რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხედავდნენ, მასში აპოკალიფსური ციფრებიც კი აღმოაჩინეს. ამნაირად, გასაკვირველი

არაა, თუ მოხელეებიც უნებურად საგონებელში ჩავარდნენ. მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ძალიან შორს შეტოპეს და რომ ყველაფერი ეს ის არ იყო, რის გამოკვლევაც მათ უნდოდათ. იფიქრეს, იფიქრეს, ხან ასე აიღეს, ხან ისე, და ბოლოს გადაწყვიტეს, მოდი, ისევ ნოზდრიოვიც დავკითხოთო. მით უმეტესო, – თქვეს, – ნოზდრიოვი პირველი კაცი იყო, რომელმაც გამოიტანა მკვდარი სულების ამბავი და რომელიც, როგორც იტყვიან ხოლმე, მჭიდრო კავშირში იყო ჩიჩიკოვთან და, მაშასადამე, რამე ეცოდინება მისი ცხოვრებიდან; ამიტომ ურიგო არ იქნება მივმართოთ მას, თუ რას იტყვის დამატებით ამ საქმეზეო.

უცნაური ხალხია ეს მოხელეები და მათზე მიყოლებით ყველა წოდება: ხომ კარგად უწყოდნენ, რომ ნოზდრიოვი მატყუარა იყო, ცრუ, არ შეიძლებოდა მისი სიტყვის დაჯერება თვით უბრალო საკითხშიც, მიუხედავად ამისა, მაინც მას მიმართეს. მოდი და ამის შემდეგ ადამიანს გაუგე რამე! ღმერთისა არაფერი სწამს, მაგრამ ის კი სჯერა, თუ ცხვირის ძვალი აჰქავდა, აუცილებლივ მოკვდება; გვერდს აუვლის პოეტის შემონაქმედს, დღესავით ნათელსა და სისადავის დიადი სიბრძნით შემოსილს, და მის ნაცვლად იმას გადააკვდება, რასაც რომელიმე მარჯვე ვაჟბატონი მიჩმახ-მოჩმახავს, დაამახინჯებს, სულ გადააბრუნებს ბუნებას. აი, ასეთი რამ შეუსაბამო მოეწონება და მოჰყვება ძახილს: «აგერა, აგერ! აი ესაა, ამასა ჰქვია ნამდვილი გულთამხილაობაო!» მთელ სიცოცხლეში ექიმებს არაფრად აგდებს, ბოლოს კი მიმართავს რომელიმე დედაბერს, რომელიც დაუწყებს მკურნალობას ბუტბუტითა და ფურთხებით, ანდა თვითონვე ათასი საძაგელი რამერუმიდან გამოიგონებს რაღაც დეკოხტს და სჯერა, თუმცა ღმერთმა უწყის რატომ და რისთვის, რომ სწორედ ეს იქნება უებარი წამალი მისი ავადმყოფობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, რამდენადმე შეგვიძლია ბოდიში მოვუხადოთ ბატონ მოხელეებს, ვინაიდან ფრიად დამაფიქრებელ და საძნელო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამბობენ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო და იმ დროს ფიქრადაც არ მოსდის საცოდავს, რომ ხავსზე მხოლოდ ბუზს თუ შეუძლია ფეხის მომაგრება, თვითონ კი ოთხსა თუ ხუთ ფუთს მაინც იწონის; მაგრამ იმ დროს გონიერებას რაღას ჰკითხავს, საქმე ხავსია, აკი კიდეც ეჭიდება! ჩვენმა ვაჟბატონებმა სწორედ ასე ჩასჭიდეს ნოზდრიოვს ხელი. პოლიცმეისტერმა იმავე წუთს მისწერა პატარა ბარათი, საღამოსათვის ჩვენსა მობრძანდითო. ღაჟღაჟალოყებიანი უბნის ზედამხედველი, რომელსაც ბოტფორტები ეცვა, დაუყოვნებლივ ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა ნოზდრიოვის საახლისაკენ, თანაც დაშნას ხელი წაატანა, რომ ფეხებში არ გამოსდებოდა. ნოზდრიოვი ფრიად მნიშვნელოვანი საქმით გახლდათ გართული; მთელი ოთხი დღის განმავლობაში გარეთ არ გამოსულა, არც არავის იღებდა თავისთან, სადილსაც სარკმლიდან აწოდებდნენ, – ერთი სიტყვით, გახდა, გაყვითლდა კიდეც. საქმე დიდ ყურადღებას მოითხოვდა: რამდენიმე ათეული დუჟინი კარტიდან მას უნდა შეედგინა ერთი დანიშნული დასტა, თანაც ისე მარჯვედ, რომ მისი ისეთივე იმედი ჰქონოდა, როგორც ერთგული მეგობრისა. სამუშაო უკანასკნელი ერთი-ორი კვირისა მაინც ჰქონდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში პოფირის განსაკუთრებული ჯაგრისით ყოველდღე სათუთად უნდა გაეწმინდა ჭიპი მისი ახალი ლეკვისათვის, ხოლო ბანებით დღეში სამჯერ უნდა ებანებინა საპნით. ნოზდრიოვი დიდად განრისხდა, როდესაც მყუდროება დაურღვიეს. უწინარეს ყოვლისა, უბნის ზედამხედველს კარგად შეუკურთხა, მაგრამ როდესაც პოლიცმეისტერის ბარათი გადაიკითხა და გამორჩენის სუნი იყნოსა, ვინაიდან იმ საღამოზე თურმე ერთ ახალ

სტუმარსაც მოელოდნენ, უმალვე დაცხრა, ოთახი დაკეტა, სახელდახელოდ გადაიცვა და დანიშნულ ადგილზე გასწია.

ნოზდრიოვის ჩვენებებმა, მოწმობებმა და მოსაზრებებმა მთლად აურიეს დავთრები ისედაც მძიმე საგონებელში ჩავარდნილ ბატონ მოხელეებს. ნოზდრიოვი საზოგადოდ ისეთი ადამიანი იყო, რომლისთვისაც ეჭვი და ყოყმანი არ არსებობდა; რამდენადაც მოხელეებში ჭარბობდა მერყეობა და გაუბედაობა, იმდენად მასში ძლიერი იყო სიმტკიცე და თავისი თავისადმი რწმენა. ყველა შეკითხვაზე უპასუხა ისე თამამად, ენაზე ჭავლი არ მოსდებია. ჩიჩიკოვმაო, განაცხადა მან, რამდენიმე ათასი მანეთის მკვდარი სულები შეიძინა, მეც მივყიდე, იმიტომ რომ მიზეზს ვერ ვხედავ, რატომაც არ უნდა მიმეყიდა, როდესაც ასეთს მევაჭრებოდაო. შეკითხვაზე, ჩიჩიკოვი ჯაშუში ხომ არ არისო, მოზდრიოვმა გადაჭრით უპასუხა: რა თქმა უნდა, ჯაშუშია, ჯერ კიდევ სკოლაში, სადაც მე და ის ერთად ვსწავლობდით, ენატანიას უწოდებდნენ, ენატანიანობისათვის ამხანაგებმა ერთხელ ლაზათიანად დავზილეთ, ასე რომ საფეთქელზე ორას ორმოცი წურბლის დასმა მოუხდაო. ნოზდრიოვს უნდოდა ეთქვა, ორმოცი წურბლის დასმა მოუხდაო, მაგრამ ეს «ორასი» როგორღაც თავისთავად წამოცდა. შეკითხვაზე – ჩიჩიკოვი ყალბი ფულების მჭრელი ხომ არ არისო, ნოზდრიოვმა უპასუხა, ყალბი ფულების მჭრელიც არისო. ამასთანავე ჩიჩიკოვის არაჩვეულებრივ ხელმარჯვობაზე ერთი შემთხვევაც უამბო: ერთხელო, – დაიწყო მან, – შინ თითქმის ორი მილიონი მანეთის ყალბი ასიგნაციები ჰქონდა. მისი სახლი დაბეჭდეს, თითოეულ კარზე ორ-ორი ყარაულიც მიუჩინეს, მაგრამ იმ ერთ ღამეს ჩიჩიკოვმა ყველა ფული გადაცვალა ისე მარჯვედ, რომ მეორე დღეს, როდესაც ბეჭედი ახსნეს, დაინახეს, სიყალბეს ადგილი არა ჰქონდა, ყველა ნამდვილი ასიგნაციები იყოო. შეკითხვაზე, რამდენად მართალია, რომ ჩიჩიკოვს გუბერნატორის ქალიშვილის გატაცება უნდოდა, ან რამდენად სწორია, რომ თვითონ შენც გინდოდა დახმარებოდი ამ საქმეშიო, ნოზდრიოვმა უპასუხა, რა თქმა უნდა, ვეხმარებოდი და, თუ მე არა, ჩიჩიკოვი მარტო ვერაფერს გახდებოდაო. აქ ნოზდრიოვმა თვითონვე იგრძნო, რომ უღმერთოდ იცრუა და ამ ტყუილის მიზეზით შეიძლებოდა რაიმე ხიფათს გადაჰკიდებოდა, მაგრამ ენა ვერასდიდებით ვერ დაიოკა. თუმცა ძნელიც იყო, ვინაიდან ისეთ-ისეთი საინტერესო და დაწვრილებითი ცნობები მოადგა ენაზე, უარის თქმა და უკან დახევა შეუძლებელი გახლდათ; წარმოიდგინეთ, სოფელიც კი დაასახელა, სადაც სამრევლო ეკლესია იყო, რომელშიც ჯვარი უნდა დაეწერათ, სახელდობრ, სოფელი ტრუხმაჩევკა. მამა სიდორს ჯვრისწერაში სამოცდათხუთმეტი მანეთი აღვუთქვი, იქნებ არც დამთანხმებოდა, რომ არ შემეშინებინა: წავალ და სადაც ჯერ არს დაგასმენ, რომ ალაფ მიხაილს თავის ნათლიდედაზე ჯვარი დასწერე-მეთქი. გარდა ამისა, ისიც კი დაუმატა, ვითომც ჩიჩიკოვს საკუთარი კალიასკაც დაუთმო და ყველა სადგურზე გამზადებული ჰყავდა ახალი ცხენები. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ მეეტლეების დასახელებასაც მოჰყვა, მოხელეებმა გაკვრით ნაპოლეონიც უხსენეს, მაგრამ იმწუთსავე ბევრი ინანეს, რომ უხსენეს, ვინაიდან ნოზდრიოვმა იმისთანა რამეები დაროშა, რასაც არათუ სინამდვილის ნატამალი არ ეცხო, არამედ არაფრის მსგავსიც არ იყო, ასე რომ ერთი ამოიხვნეშეს და განზე გადგნენ. მხოლოდ პოლიცმეისტერი შერჩა. იგი დიდხანს სმენად იყო გადაქცეული, იქნებ შემდეგ მაინც წამოსცდეს რაიმე სიმართლეო, მაგრამ საბოლოოდ იმანაც ხელი ჩაიქნია და წამოიძახა: «ეშმაკმა უწყის, რაებს ჩმახავსო!» ბოლოს ყველა იმ დასკვნამდე მივიდა, – ხარი რაზომ

ბევრი წყევლო, ვერ მიიღებ მისგან რძესო. მოხელეები უარეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, ვიდრე აქამდე იყვნენ, ვერაფრით ვერ გამოეცნოთ, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ჩიჩიკოვი. ახლაც კი ცხადზე უცხადესი შეიქნა მათთვის, თუ რა ქმნილებაა ადამიანი: თურმე იგი ბრძენთა ბრძენია, ჭკვიანი და ყოვლად გონიერი, როდესაც საქმე სხვას ეხება, მაგრამ თავისთვის ყოვლად უმაქნისია. უნდა ნახოთ, რა წინდახედულ და მტკიცე დარიგებებს აძლევს სხვებს ცხოვრების მძიმე შემთხვევებში! «ერთი შეხედეთ, რა ყოჩაღი ადამიანია, – იძახის ხალხი, – რა უდრეკი ხასიათისაა!» მაგრამ აბა ერთი მასვე შეემთხვეს რამე, მძიმე რამ გარემოებაში ჩავარდეს, მაშინ ნახავთ, რა ვაჟკაციც არის, ვერც კი შეამჩნევთ, როგორ უცბად გაქრება მისი უდრეკლობა, როგორ დაიბნევა და როგორ გარდაიქმნება მშიშარა, ყოვლად არარა და უსუსურ ბავშვად, ფეტიუკად, როგორც ნოზდრიოვი ამბობს ხოლმე. ყველა მითქმა-მოთქმამ, ხმის დარხევამ და ეჭვებმა რატომღაც ყველაზე მეტად საბრალო პროკურორზე იმოქმედა, იმოქმედა ისე ძლიერ, რომ შინ მისვლისას მოჰყვა ფიქრს, იფიქრა, იფიქრა და უეცრად, როგორც იტყვიან ხოლმე, გადაბრუნდა და თქვენი ჭირი წაიღო, დამბლა დაეცა თუ რა, არ ვიცი, ეს კია, რომ როგორც იჯდა, იმ მდგომარეობაშივე გადაბრუნდა და ძირს გაიშხლართა. ჩვეულებისამებრ თავში შემოიკრეს ხელი, დაიძახეს: «აჰ, ღმერთო ჩემო!» ექიმთანაც აფრინეს კაცი, რომ სისხლი გამოეშვათ, მაგრამ დაინახეს, რომ პროკურორი უკვე უსულო გვამი იყო. მხოლოდ ახლა დარწმუნდნენ გულისტკივილით, თურმე მიცვალებულსაც ჰქონოდა სული, თუმცა ამას იგი მოკრძალების გამო არასოდეს არ ამჟღავნებდა. ეს კია, რომ სიკვდილი პატარა ადამიანისა ისევე საშინელია, როგორც დიდის: ის, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ფეხზე იდგა, მოძრაობდა, ვისტს თამაშობდა და სხვადასხვა ქაღალდზე ხელს აწერდა, ვინც ასე ხშირად ტრიალებდა მოხელეთა შორის თავისი სქელი წარბებით და მოხამხამე თვალით, ახლა მაგიდაზე ესვენა, მარცხენა თვალი სულაც აღარ უხამხამებდა, მაგრამ ერთი წარბი ისევ მაღლა ჰქონდა შეხრილი და ისე გამოიყურებოდა, თითქოს რაღაც შეკითხვა აწუხებსო. რას კითხულობდა მიცვალებული – რისთვის მოვკვდი, თუ რისთვის ვცხოვრობდიო, – ეს მარტო ღმერთმა უწყის.

მაგრამ ეს ხომ შეუსაბამობაა, დაუჯერებელი ამბავი! როგორ შეიძლება, რომ მოხელეებს ასე დაეშინებინათ თავიანთი თავი, გამოეგონებინათ ასეთი სისულელე, ასე დაშორებოდნენ ჭეშმარიტებას, მაშინ როდესაც ბავშვისთვისაც კი ცხადია, რაშიც არის საქმე! – ასე იტყვიან მკითხველები და ავტორს უსაყვედურებენ შეუსაბამო ამბის თხრობას, ანდა მოხელეებს პირდაპირ სულელებს დაუძახებენ, ვინაიდან ადამიანი მეტად ხელგაშლილია სიტყვა «სულელის» ხარჯვაზე: სულელიაო, ადვილად ამბობს იგი თავის მოყვასზე და მზადაა დღეში ოცჯერ მაინც მოემსახუროს ამ სიტყვით. საკმარისია ათიდან ერთი სულელური მხარე აღმოაჩნდეს ადამიანს, რომ სულელად აღიარონ ცხრა დადებითი მხარის მიუხედავად. მკითხველისთვის ადვილია განსჯა, როდესაც თავისი მყუდრო კუნჭულიდან თუ მწვერვალიდან იყურება, საიდანაც მისთვის ყველაფერი ხელისგულივით გაშლილი მოჩანს, რაც ხდება დაბლა, სადაც ადამიანი მხოლოდ მახლობელ საგნებსა სჭვრეტს. კაცობრიობის მსოფლიო მატიანეშიც არის საუკუნეები, რომლებსაც ახლა ადამიანი სულაც ამოშლიდა და მოსპობდა, როგორც ყოვლად უსარგებლოს. ამ ქვეყნად მრავალი ისეთი შეცდომა მომხდარა, როგორსაც ბავშვიც არ ჩაიდენდა. რანაირი ხლართული, ყრუ, ვიწრო, გაუვალი და შორს მოსავლელი გზები

აურჩევია კაცობრიობას, რათა მარადიული ჭეშმარიტებისათვის მიეღწია, მაშინ როდესაც მის წინ გადაშლილი იყო პირდაპირი, სწორი გზა, მსგავსი იმ გზისა, რომელსაც მეფის სასახლეში მივყავართ! ყველა გზაზე იგი უფრო ფართოა და წარმტაცი, მზის სხივებით გაცისკროვნებული და ღამითაც ჩირაღდნებით განათებული, ხალხი კი გვერდს უხვევს და ბნელი გზით მიდის. რამდენჯერ ცით მოვლენილ გონებას მიუთითებია ადამიანებისთვის სწორ გზაზე სავლელად, მაგრამ ისინი აქაც იბნეოდნენ, გვერდს უხვევდნენ, ნათელ დღეშიც ისევ უღრან ტყეში მიჩოჩავდნენ, ხოლო ერთმანეთს უმეცრების ბურუსში ახვევდნენ, ბრმად მისდევდნენ ჭაობნარებით გამომკრთალ შუქს და მხოლოდ მაშინ, როდესაც უფსკრულს წაადგებოდნენ, შეძრწუნებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: სად არის გამოსავალი, სადაა გზაო? ახლა კი ნათლად ხედავს ყველაფერს დღევენდელი თაობა, უკვირს ძველი თაობის შეცდომანი, დასცინის წინაპართა უგუნურებას და ვერ ამჩნევს, რომ ციური ცეცხლის ასოებით დაწერილია მატიანე, რომ თითოეული ასო მისი ფურცლებიდან ჰკივის, რომ ყოველი სტრიქონიდან მამხილებელი თითი მისკენაა მიშვერილი, მისკენ, ამ დღევანდელი თაობისაკენ. მაგრამ ეს თაობა იცინის და თავდაჯერებით, ამაყად მიაბიჯებს მცდარ გზაზე, რისთვისაც მას ასევე დასცინებს შემდგომი შთამომავლობა.

ჩიჩიკოვმა ყველა ამაზე სრულიად არაფერი იცოდა; თითქოს განგებ ამ ხანებში ცოტათი გაცივდა, ყბა გაუსივდა და ოდნავი ანთება გამოაჩნდა ყელში, რითაც ასე უხვად აჯილდოვებს მოსახლეობას მრავალი ჩვენი საგუბერნიო ქალაქის ჰავა. ღმერთმა ნუ ჰქნას, უმემკვიდროდ გადავეგოო, იფიქრა და გადაწყვიტა ერთი სამიოდე დღე ოთახში მჯდარიყო. ამ ხნის განმავლობაში იგი შეუწყვეტლივ რძეში ნახარშ ლეღვის წვენს ივლებდა ყელში, რის შემდეგაც თვით ლეღვს შეექცეოდა ხოლმე, ყბაზე კიდევ პატარა ბალიში ჰქონდა აკრული გვირილითა და ქაფურით გამოტენილი. დროს მოსაკლავად ჩიჩიკოვმა ჯერ იყო და ნაყიდი გლეხების სია რამდენჯერმე ჩამოწერა მთლიანად, შემდეგ წაიკითხა რომელიღაც ტომი «ჰერცოგინია დე ლავალიერისა», რომელიც ჩემოდანში აღმოაჩნდა, შემდეგ ყუთი გახსნა, სხვადასხვა ნივთები გადაათვალიერა, ზოგიერთი ბარათი ხელახლა გადაიკითხა, მაგრამ მალე ყველა ამან თავი მოაბეზრა. სრულებით ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა, ქალაქიდან რომ აღარც ერთი მოხელე არ მოდიოდა მისი ჯანმრთელობის გასაგებად, მაშინ როდესაც სულ რამდენიმე დღით ადრე სასტუმროს წინ ეტლი ეტლს მოსდევდა ხან ფოსტმეისტერისა, ხან პროკურორისა და ხან პალატის თავმჯდომარისა; იგი მხოლოდ მხრებს იჩეჩდა და ოთახში სიარულით ჰკლავდა დროს. ბოლოს საკმაოდ მომჯობინდა და გულმაც ძგერა დაუწყო სიხარულით, როდესაც იგრძნო, ახლა მაინც შემეძლება სუფთა ჰაერზე გამოსვლაო. ამიტომ აღარ დაუყოვნებია, გახსნა ყუთი, ცხელი წყლით გაავსო ჭიქა, ფუნჯი და საპონი ამოიღო და წვერის მოსაპარსად გაემზადა. დროც კი იყო ასეთ საქმეს შესდგომოდა, ვინაიდან წვერზე ხელი რომ მოისვა და სარკეში ჩაიხედა, უნებურად შესძახა: «ერიჰაა! ეს რა ტყე გამიშენებიაო!» ტყისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ყბებსა და ნიკაპზე მართლაც საკმაოდ სქელი ჯეჯილი ამოსვლოდა. როდესაც წვერის მოპარსვას მორჩა, ახლა ჩაცმა დაიწყო, მაგრამ ისე ჩქარობდა, კინაღამ შარვლიდან ამოხტა. ბოლოს ჩაცმასაც მორჩა, ოდეკალონი შეიფრქვია, კარგა თბილად ჩაიცვა, ყოველ შემთხვევისათვის ყბა შეიხვია და გავიდა. მისი გარეთ გამოსვლა, როგორც საზოგადოდ ყველა გამოჯანმრთელებული ადამიანისა, პირდაპირ სადღესასწაულო იყო. ყველაფერი, რაც კი გზად ხვდებოდა, მომცინარე სახეს იღებდა: სახლებიც, მიმავალი გლეხებიც,

საკმაოდ სერიოზულად რომ გამოიყურებოდნენ, თუმცა ზოგიერთ მათგანს უკვე მოესწრო თავისი ძმისათვის ყურისძირში ერთი მაგრად გაეწნა. განზრახვა ჰქონდა პირველად გუბერნატორს სტუმრებოდა. გზადაგზა ათასნაირი ფიქრი მოსდიოდა, ქერათმიანი გოგონას სახე სულ თვალწინ უდგა და თავში ეშმაკური რამ უტრიალებდა, ასე რომ ბოლოს თავის თავს, ცოტა არ იყოს, თვითონვე დასცინა კიდეც. ასეთი სულიერი განწყობილებით მიადგა იგი გუბერნატორის სახლის კარს. ის-ის იყო წინკარში აჩქარებით უნდა შესდგომოდა მოსასხამის მოხდას, რომ მეკარემ პირდაპირ თავზარი დასცა მოულოდნელი სიტყვებით:

– ნაბრძანები მაქვს არ მიგიღოთ!

– როგორ, რას ამბობ, ჩანს, ვეღარა მცნობ! აბა ერთი სახეზე კარგად დამაკვირდი! – უთხრა ჩიჩიკოვმა.

– ცნობით როგორ არ გიცნობთ, პირველად ხომ არ გხედავთ, – მიუგო მეკარემ, – მაგრამ სწორედ თქვენზე მაქვს ნაბრძანები, რომ არ შემოგიშვათ, დანარჩენთათვის კი კარი ღიაა!

– ბიჭოს! ეს ვითომ რატომაო? რისთვის?

– ასე მაქვს ნაბრძანები, ჩანს, სწორედ ასე ყოფილა საჭირო. – მიუგო მეკარემ და თან დაურთო: – დიახ, ასე გახლავთ! – ამის შემდეგ მის წინ ცივად აიტუზა, სახეზე აღარ ემჩნეოდა ალერსი, როგორც ჩვეულებრივ, როცა მოსასხამის მოხდაში ჩიჩიკოვს ხელს შეაშველებდა ხოლმე და ისიც უყურებდა, თითქოს ფიქრობსო: «ეჰე, რადგან ბატონები კარიდან გაპანღურებენ, ჩანს, შენც ერთი ვინმე ოხერი ყოფილხარო!»

«არაფერი მესმის!» – გაიფიქრა თავისთვის და ახლა პალატის თავმჯდომარესთან გაეშურა, მაგრამ თავმჯდომარე მის დანახვაზე ისე აირია, რომ ორიოდე სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა; ბოლოს ისეთი სისულელე წამოროშა, რომ ორივეს შერცხვა. როდესაც მისგან წამოვიდა, ჩიჩიკოვი გზადაგზა ბევრს ეცადა, როგორმე მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა თავმჯდომარე ან რისთვის უნდა მიეწერა მისი სიტყვები, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდეგ სხვებთანაც შეიარა: პოლიცმეისტერთან, გუბერნატორთან, ფოსტმეისტერთან, მაგრამ ყველა ესენი არ იღებდნენ, ან ისე უცნაურად იღებდნენ, ისეთი ძალდატანებული და შეუსაბამო კილოთი ეხმაურებოდნენ, იმდენი სისულელე მიჩმახ-მოჩმახეს, ისე დაიბნენ და საერთოდ ისეთი რაღაც გამოვიდა, რომ ჩიჩიკოვს ეჭვიც კი შეუვიდა, ეს ხალხი ჭკუაზე ხომ არ შერყეულაო. ჩიჩიკოვი ერთხელ კიდევ შეეცადა ვისთანმე შესულიყო, რომ მიზეზი მაინც გაეგო, რა ამბავი ხდება მის თავს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ნახევრად ბურანში მყოფი დაეხეტებოდა ქალაქში თითქმის უმიზნოდ და ვერ გადაეწყვიტა, თვითონ შეიშალა ჭკუაზე თუ მოხელეებმა დაკარგეს თავი, სიზმარში ხედავს ყველა ამას თუ ცხადლივ მოიჩმახა ესოდენ სისულელე, რომელიც სიზმრადაც არ დაიჯერება. კარგა ნაგვიანები იყო, თითქმის შებინდებული, როდესაც თავის სასტუმროს დაუბრუნდა, საიდანაც დილით ისე ხალისიან და კარგ გუნებაზე გამოვიდა. ჯავრის გადასაყრელად ჩაი მოითხოვა. ფიქრმორეული, ასეთი გამოურკვეველი და უცნაური მდგომარეობით გაოცებული

უგემურად ისხამდა ჩაის, რომ უეცრივ მისი ოთახის კარი შემოიღო და სრულიად მოულოდნელად ნოზდრიოვმა შემოჰყო თავი.

– მართალს ამბობს ანდაზა: მეგობრისთვის შვიდი ვერსიც შორ მანძილად არ ჩაითვლებაო! – თქვა მან ქუდის მოხდისთანავე: – მივდიოდი შორიახლოს, ვხედავ, ფანჯრიდან სინათლე გამოკრთის, მოდი და შევივლი, ალბათ, ჯერ კიდევ არ ეძინება-მეთქი. ვიშ, რა კარგია! ჩაიც გაგიწყვია მაგიდაზე, დიდი სიამოვნებით მეც გეახლები ერთ ფინჯანს. დღეს სადილად ათასი საძაგელი რამით ამოვიყორე მუცელი, ვგრძნობ, კუჭში რაღაც მემართება. ერთი უბრძანე, რომ ჩიბუხი გამიმზადონ! სად არის შენი ჩიბუხი?

– მე ხომ არ ვეწევი ჩიბუხს, – მიუგო ცივად ჩიჩიკოვმა.

– ახლა მომიყვები, თითქოს არ ვიცოდე, რომ ეწევი! ეჰეი! ჰო, მართლა, რა ჰქვია შენს მსახურს? ეჰეი, ვახრამეი, გამიგონე!

– ვახრამეი კი არა, პეტრუშკა.

– როგორ? შენ ხომ უწინ ვახრამეი გყავდა?

– არავითარი ვახრამეი არა მყოლია.

– ჰო, მართალია, ეს დერებინს ჰყავდა ვახრამეი! წარმოიდგინე, დერებინს რა ბედი ეწია: დეიდამისი შვილს წაჩხუბებია, შინაყმის ქალი ცოლად რატომ შეირთეო, ამდგარა და მთელი თავისი ადგილ-მამული დერებინისთვის დაუმტკიცებია. რა იქნებოდა, – ვფიქრობდი ჩემთვის, – მეც ასეთი დეიდა მყოლოდა-მეთქი! ჰო, მართლა, რას მივაწეროთ, ძმაო, რომ ყველას ჩამოგვშორდი, აღარსად დაიარები? რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ზოგჯერ მეცნიერებითა ხარ გატაცებული, კითხვა გიყვარს (საიდან დაასკვნა ნოზდრიოვმა, რომ ჩვენი გმირი მეცნიერებით იყო გატაცებული და კითხვა უყვარდა, უნდა ვაღიაროთ, ამისა არა ვიცით რა, მითუმეტეს თვითონ ჩიჩიკოვმა არ იცოდა). ეჰ, ძმაო, ჩიჩიკოვ, რომ გენახა... აი, სად მიეცემოდა შესანიშნავი საზრდო შენს სატირულ გონებას (რატომ ჰქონდა ჩიჩიკოვს სატირული გონება, ესეც გამოურკვეველია). წარმოიდგინე, ძმაო, ლიხაჩოვთან გორკას თამაში გააჩაღეს, აი სად იყო სიცილი! პერეპენდევი კი, აი ის, მე რომ მახლდა, მეუბნება: «აი, ჩიჩიკოვი რომ ახლა აქ იყოს, სეირი მაშინ იქნებაო!..» (ჩიჩიკოვს კი დაბადებიდან არ სმენია პერეპენდევის სახელი). ახლა მაინც გამოტყდი, ძმაო, რომ ყოვლად საზიზღრად მომექეცი მაშინ. ხომ გახსოვს, შაში რომ ვითამაშეთ: მაშინ მოგება ჩემი იყო... შენ, ძმაო, მაშინ პირდაპირ მომატყუე და ის იყო. მე კი ასეთი წყეული ვარ, გაჯავრება არასდიდებით არ მეხერხება. აი, წინა ღამეს თავმჯდომარესთანაც... ჰო, მართლა! უნდა გითხრა, რომ ქალაქში ყველანი აგიმხედრდნენ; იმათ ჰგონიათ, ვითომც შენ ყალბი ფულების მჭრელი იყო. ჩამაცივდნენ, თქვი, რაც იციო. მე კი ამოღებული ხმალივით გიცავდი, მე, – ვეუბნებოდი, – იმასთან ერთად ვსწავლობდი-მეთქი; ერთი სიტყვით, კარგად დავახეთქე ტყუილები.

– მე ვარ ყალბი ფულის მჭრელი?! – შესძახა ჩიჩიკოვმა და სკამიდან წამოიწია.

– ან კი რად გინდოდა, რომ ყველა ასე დააშინე? – განაგრძო ნოზდრიოვმა, – ეშმაკმა ნუ იცის იმათი თავი, შიშისაგან ყველას დავთრები აერია.ზოგმა გადაცმულ ყაჩაღად ჩაგთვალა, ზოგმა ჯაშუშად... პროკურორს კიდევ შიშისგან გული გაუსკდა და მოკვდა. ხვალ მარხავენ. შენ კი არ დაესწრები? უნდა სიმართლე გითხრა, იმათ ძალიან ეშინიათ ახალი გენერალ-გუბერნატორისა, რომ შენი გულისათვის არ მოხვდეთ. ჩემთავად გენერალ-გუბერნატორზე იმ აზრისა ვარ, თუ ცხვირი მაღლა ასწია და ყოყლოჩინობას მოჰყვა, თავადაზნაურობასთან ვერაფერს გახდება. თავადაზნაურობა გულითადობას მოითხოვს, ასე არ არის? რა თქმა უნდა, შეიძლება სახლის კარი ჩაკეტო და არც ერთხელ არ გამართო ბალი, მაგრამ ამით რა გამოვა? ამით უფრო მეტს წააგებ. რაც შეეხება შენს საქმიანობას, უნდა გითხრა ჩიჩიკოვ, რომ ძალიან სახიფათო საქმე წამოიწყე.

– რა სახიფათო საქმე? – შეშფოთებით იკითხა ჩიჩიკოვმა.

– გუბერნატორის ქალის მოტაცებაზე ვამბობ. მე, სწორედ გითხრა, ამას მოველოდი, ღმერთმანი, მოველოდი! პირველადვე დაგინახეთ თუ არა ბალზე, მაშინვე გავიფიქრე: მორჩა, ჩიჩიკოვი ტყუილად არ გაირჯება-მეთქი... თუმცა უნდა გითხრა, ვერაფერი არჩევანი მოგივიდა, იმ გოგონაში კარგს ვერაფერს ვხედავ. არის ერთი გოგონა, ბიკუსოვის ნათესავი, მისი დისწული, აი ეს მესმის! პირდაპირ საუცხოო რამაა!

– რაებსა ჩმახავ, რას ამბობ?! რა გუბერნატორის ქალის გატაცება, რომელი გატაცება?! – წარმოთქვა ჩიჩიკოვმა თვალებდაჭყეტით.

– კარგი ერთი და, რა გულჩახვეული კაცი ყოფილხარ, ძმაო! რა დაგიმალო, სწორედ ამ საქმეზე მოვედი! მიმსახურე, მზად ვარ ყველაფერში დაგეხმარო. დაე, რაც მოსახდენია, მოხდეს: გვირგვინის დამჭერი მე ვიქნები, კალიასკაც ჩემი იყოს, ცხენებსაც მე გამოგაცვლევინებ ხოლმე, მხოლოდ ერთი პირობით: სამი ათასი მანეთი უნდა მასესხო. მჭირდება, ძმაო, ან უნდა მომცე, ანდა აქვე ყელი გამომჭრა!

ნოზდრიოვის ყბედობის დროს ჩიჩიკოვმა რამდენჯერმე მოიფშვნიტა თვალები, თითქოს უნდა დარწმუნდეს, ყველაფერი ეს სიზმრად მესმის, თუ ცხადიაო. ყალბი ფულის მჭრელობა, გუბერნატორის ქალის მოტაცება, პროკურორის სიკვდილი, რომლის მიზეზი ვითომც ის იყო, გენერალ-გუბერნატორის ჩამოსვლა, – ყველა ამან გვარიანი შიში მოჰგვარა. «რაკი ასეა საქმე, – თქვა თავისთვის, – დაყოვნება მეტია, ახლავე უნდა ავიბარგო».

ჩიჩიკოვი შეეცადა მალე მოეშორებინა თავიდან ნოზდრიოვი, სელიფანსაც მაშინვე დაუძახა და უბრძანა, განთიადისათვის მზად ყოფილიყო, ასე რომ დილის ექვსი საათისთვის აუცილებლივ გასულიყვნენ ქალაქიდან; ამასთანავე თადარიგი ახლავე დაეჭირა, რომ ყველაფერი რიგზე ყოფილიყო, ბრიჩკის ღერძი გაეპოხა და სხვა. სელიფანმაც მძიმედ მიუგო: «მესმის, პაველ ივანოვიჩ!», მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, იქვე კართან შეჩერდა და ასე იდგა გარინდული რამდენიმე ხანს. ბატონმა ახლა პეტრუშკას

უბრძანა, საწოლქვეშიდან გამოეღო ჩემოდანი, რომელიც საკმაოდ გამტვერიანებულიყო და მასთან ერთად მოჰყვა ნივთების უთავბოლოდ ჩალაგებას, ზედიზედ მიაყარა წინდები, პერანგები, გარეცხილი თუ გასარეცხი საცვლები, საჩექმე კალაპოტები, კალენდარი, რაც კი ხელთ მოხვდა. მას უნდოდა ამღამითვე მზად ყოფილიყო, რომ ხვალ დილისათვის აღარაფერს დაებრკოლებინა. სელიფანმა კიდევ ორიოდე წუთი დაჰყო კართან და ბოლოს მეტად მძიმე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. დინჯად, ძალიან დინჯად, როგორც კი შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, დაეშვა იგი კიბეზე და სველი ჩექმების კვალი დასტოვა გადახეხილ საფეხურებზე. მიდიოდა ასე და თან დიდხანს იფხანდა თავს. რას ნიშნავდა ეს თავის ფხანა? ანდა საზოგადოდ რას ნიშნავს იგი? იქნებ სწყინდა, რომ ხვალ აღარ მოუხდებოდა დათქმულ დროზე სადმე დუქანში შეჰყროდა დაბრანძულ ქურქში გახვეულ, წელზე სარტყელშემოკრულ თავის ძმობილ ვინმე მეეტლეს, ან შეიძლება მას უკვე გაუჩნდა ამ ქალაქში გულის მურაზი და სწუხს, რომ საღამო ჟამს ვეღარ ამოუდგება ჭიშკართან გვერდით, რომ ხელში ვეღარ დაიჭერს მის თეთრ ხელებს, როცა ქალაქს ბინდბუნდი ჩამოაწვება და წითელხალათა ბიჭი ააწკრიალებს ბალალაიკას თავმოყრილი მეზობლების წინ, ხოლო სამუშაოდან დაბრუნებული ხალხი ტკბილად მოჰყვება მასლაათს? ან იქნებ სულაც სხვა რამ აწუხებს, ენანება უკვე შეჩვეული სამზარეულოს თბილი კუთხე, სადაც ზის ღუმლის გვერდით თავისი განუშორებელი ქურქით, შეექცევა შჩის და ქალაქურ ფაფუკ ღვეზელს, ახლა კი ყველაფერი ეს უნდა დასთმოს და კვლავ გაუდგეს გზას წვიმასა და თქეშში? ღმერთმა უწყის, რას ფიქრობდა იგი, ვინ რას გაიგებს, ბევრ რასმე ნიშნავს რუსი ხალხის მიერ თავის ფხანა.

თავი მეთერთმეტე

არაფერიც ისე არ მოხდა, როგორც ჩიჩიკოვი ფიქრობდა. ჯერ იყო და გაცილებით გვიან გაიღვიძა, ვიდრე განზრახვა ჰქონდა, – ეს პირველი უსიამოვნება გახლდათ. როდესაც წამოდგა, უმალ კაცი აფრინა გასაგებად, შებმული იყო თუ არა ბრიჩკა და, საზოგადოდ, ყველაფერი მზად იყო თუ არა; მაგრამ მოახსენეს, არც ბრიჩკაა შებმული და არც არაფერია გამზადებულიო. ეს მეორე უსიამოვნება გახლდათ: ძალზე გაჯავრდა. მოემზადა კიდეც ერთი კარგა წაეთაქებინა ჩვენი მეგობარი სელიფანისათვის, და ახლა მოუთმენლად იმასღა ელოდა, ერთი ვნახოთ, თავს რითი იმართლებსო. მალე კარებში თვითონ სელიფანმაც შემოაბნელა. ჩიჩიკოვს ბედნიერება მიეცა მოესმინა სწორედ იგივე სიტყვები, რასაც ჩვეულებრივ გაიგონებდით ხოლმე მსახურთა პირიდან იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სწრაფად გამგზავრება.

– ჰო, მაგრამ, პაველ ივანოვიჩ, ცხენებია დასაჭედი.

– აი შე ჩერჩეტო! შე გაუთლელო კუნძო! აქამდე რატომ არა თქვი? დრო არა გქონდა თუ?

– დრო როგორ არა მქონდა... მაგრამ აგერ, ბრიჩკის თვალსაც, პაველ ივანოვიჩ, სალტე კარგად უნდა გადაეჭიმოს, თორემ გზა მეტად ოღროჩოღროა, სულ კოლბოხები და ნაჯაოებია... ახლა, თუ ნებას მომცემთ, იმასაც მოგახსენებთ, რომ ბრიჩკის წინა ნაწილი ისეა მორყეული, ორ სადგურსაც ვერ გაგყვება.

– აი შე არამზადა! – შეჰყვირა ჩიჩიკოვმა და ხელი ხელს შემოჰკრა, თანაც ისე ახლოს მივიდა, რომ სელიფანმა შიშით უკან დაიხია და გვერდზე გადგა, ბატონის კარგი საჩუქარი არ მივიღოო. – შენ ჩემი სიკვდილი გსურს, არა? გინდა ყელი გამომჭრა, არა? ამ შარაგზაზე გინდა ყელი გამომჭრა ხომ, შე ავაზაკო შენა, წყეულო მაწანწალავ, ზღვის ვეშაპო! ჰა?! სამი კვირა ერთ ადგილას ვისხედით! ერთხელ მაინც ეთქვა რამე ამ წყეულს, ამას! ახლა მოაგონდა, ამ უკანასკნელ წუთში, როდესაც წასასვლელად მზად უნდა ვიყოთ! ჰა?! შენ კი სწორედ აქ ჩამიმყრალე, არა? ხომ იცოდი, არა, ხომ იცოდი, რომ წასასვლელი ვიყავით, ჰა? თქვი, მიპასუხე, ხომ იცოდი?

– ვიცოდი, – მიუგო სელიფანმა და თავი ჩაღუნა.

– ჰოდა, თუ იცოდი, რატომ მაშინვე არ მითხარი, ჰა?

ამ შეკითხვაზე სელიფანმა აღარაფერი უპასუხა, მაგრამ ისე იდგა თავჩაღუნული, თითქოს თავის თავს ეუბნებაო: «დახე შენ, რა უცნაურად მოეწყო: ხომ ვიცოდი, მაგრამ მაინც არ ვუთხარი!»

– ახლა კი წაეთრიე, მჭედელი მოიყვანე და ორიოდე საათში ყველაფერი მზად იყოს, გესმის? აუცილებლად ამ ორ საათში მორჩი, თორემ მე შენ... რქასავით დაგგრეხ და ბოხჩად გამოგკრავ! – ჩვენი გმირი დიდად გაანჩხლებული ბრძანდებოდა.

სელიფანი ის იყო კარისკენ უნდა გაბრუნებულიყო ბრძანების შესასრულებლად, მაგრამ შეჩერდა და თქვა:

– ერთი სათქმელიცა მაქვს, ბატონო! ის შავხალა ცხენი როგორმე თავიდან უნდა მოვიშოროთ... ან გავყიდოთ, ან რაიმე ვუყოთ, პაველ ივანოვიჩ, თორემ დიდი საძაგელი ცხენია; ისეთი რამაა, რომ... მარტო ხელს გვიშლის.

– აბა, ახლავე ბაზარში გავიქცევი და გავყიდი, შენმა მზემ, აი!

– ღმერთმანი, პაველ ივანოვიჩ, ეგ ისე, შესახედავადაა მხოლოდ კარგი, თორემ დიდი ცუღლუტი ცხენია, ეგეთ ცხენს...

– სულელო! როცა გაყიდვას მოვისურვებ, გავყიდი კიდეც. დამიწყო აქ ჭკუის სწავლება! აი, ცოტასაც დავიცდი და, თუ ახლავე მჭედლები არ მოგიყვანია და ორ საათში ყველაფერი მზად არ ყოფილა, იმისთანას მოგცხებ... შენი თავი ვეღარ იცნო! გასწი! გაეთრიე!

სელიფანი გავიდა.

ჩიჩიკოვი მთლად უგუნებოდ შეიქნა და იატაკზე მიაგდო ხმალი, რომელიც მასთან ერთად მოგზაურობდა, რათა სათანადო შიში და რიდი შთაენერგა მათთვის, ვისზედაც ჯერ არს. საათის მეოთხედი მაინც მოუნდა მჭედლებთან ჯახირს, ვიდრე საქმეს არ მოაწესრიგებდა,

ვინაიდან მჭედლები, მოგეხსენებათ, დიდი გაიძვერა ხალხი გახლავთ; რაწამს მიუხვდნენ, სქმე საჩქარო არისო, ერთი ექვსჯერ მეტად დაუფასეს. რამდენიც არ იფიცხა ჩიჩიკოვმა, რამდენიც არ უწოდა არამზადები, ყაჩაღები, შარაგზის მძარცველები და განკითხვის დღითაც დაემუქრა, მჭედლებს კბილი ვერ მოსჭრა. მათ ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს და არათუ დაუკლეს ფასს, არამედ შეკეთებას ორი საათის მაგივრად ხუთსაათნახევარი მოანდომეს. ამ ხნის განმავლობაში ჩიჩიკოვს ბედნიერება ჰქონდა განეცადა ის საამო წუთები, რასაც განიცდის საზოგადოდ მგზავრი, როდესაც ჩემოდანში ყველაფერი ჩალაგებულია და ოთახიც მონაგვიანებული ბაწრის ნაწყვეტებით, ქაღალდი ნაფლეთებით და ათასნაირი ნაგვით, როდესაც კაცი აღარც გზას ეკუთვნის, აღარც სახლს, ფანჯრიდან გაჰყურებს გამვლელ-გამომვლელთ, საკუთარი წვრილმანი ამბებით გართულნი რომ მიჩანჩალებენ, რაღაც სულელური ცნობისმოყვარეობით შეავლებენ ხოლმე თვალს და მერე კვლავ თავანთ გზას აგრძელებენ, რაც უფრო აღიზიანებს ისედაც ამრეზილ მგზავრს. ყველაფერი, რასაც კი ხედავს იგი: მისი ფანჯრის წინ წამოდგმული დუქანიც, დედაბრის თავიც, პირდაპირ სახლში რომ ცხოვრობს და თავისი მოკლეფარდებიანი ფანჯრიდან რომ იყურება, – ყველაფერი ეზიზღება, მაგრამ ფანჯარას მაინც არ სცილდება. დგას ასე, ხან დაავიწყდება თავისი მდგომარეობა, ხან მოდუნებულ ყურადღებას კვლავ იმას მიაპყრობს, რაც კი მის წინ მოძრაობს თუ უძრავადაა და ბოლოს ჯავრით რომელიმე ბუზს მიასრესს, რომელიც ამ დროს ფანჯარასთან ბზუის და მისი თითის ქვეშ ფართხალებს მინაზე. მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს და აი, სასურველი წუთიც დადგა: ყველაფერი მზადაა, ბრიჩკის წინა ნაწილი შეაკეთეს, როგორც წესი და რიგი იყო, თვალსაც ახალი სალტე შემოაკრეს, ცხენებსაც წყალი დაალევინეს და შესაბმელად მოიყვანეს, ყაჩაღი მჭედლებიც გაისტუმრეს, რომელთაც გასამრჯელო გადაითვალეს და კეთილი მგზავრობა უსურვეს ბატონს. როგორც იყო, ბრიჩკაც შეაბეს, ორი ცხელ-ცხელი ფუნთუშა კვერეულიც ჩააწყვეს შიგნით, სელიფანმაც თავისთვის ზოგი რამ ჩაიდო კოფოზე მიბმულ აბგაში და ჰა, ჩვენი გმირიც ჩაბრძანდა ბრიჩკაში. ქუდის ქნევით გზას ულოცავდა იმავე დემიკოტონის სერთუკში გამოწყობილი სასტუმროს ბიჭი; მასვე გამოჰყოლოდნენ სხვა ლაქიები და მეეტლეები, რათა ზარმაცად თვალი გაეყოლებინათ, თუ როგორ წაბრძანდებოდა ახალი ბატონი. ჩვენი ნაცნობი ეკიპაჟი, რომლითაც მეტწილად უცოლშვილო ხალხი დაიარება, რომელიც ასე დიდხანს იდგა ქალაქში და, შესაძლოა, ძალიანაც თავი მოაწყინა მკითხველებს, ბოლოს, როგორც იყო, სასტუმროს ალაყაფის კარს გასცდა და გზას გაუდგა. «გმადლობ შენ, უფალო!» – გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და პირჯვარი გადაიწერა. სელიფანმა შოლტი გადაატყლაშუნა, მას გვერდით მიუჯდა პეტრუშკა, რომელიც აქამდე ეტლის საფეხურზე იდგა. ჩიჩიკოვი მოხერხებულად მოკალათდა ქართულ პატარა ხალიჩაზე, ზურგს უკან ტყავის ბალიში ამოიდო, ცხელ-ცხელი კვერეულები გვერდით მისწია, და ეტლიც შეუდგა ძველებურად ხტუნვა-ჯანჯღარს ამ ქვაფენილის წყალობით, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, ეტლის საბუქნაო ძალა ჰქონდა მომადლებული. ჩიჩიკოვი რაღაც გამოურკვეველი გრძნობით აყოლებდა თვალს სახლებს, კედლებს, ღობეებს და ქუჩებს, რომლებიც მისდათავად თითქოს მიხტოდნენ და ნელა-ნელა უკან რჩებოდნენ, რომელთა ხილვას, ღმერთმა უწყის, თუ კიდევ ოდესმე ეღირსებოდა მთელ თავის სიცოცხლეში. ერთ მოსახვევთან ბრიჩკა შეჩერდა, ვინაიდან ქუჩის მთელ სიგრძეზე დაუსრულებელი სამგლოვიარო პროცესია გაჭიმულიყო. ჩიჩიკოვმა თავი გამოჰყო და პეტრუშკას უბრძანა გაეგო, ვის მარხავდნენ. იმანაც მალე მოახსენა, პროკურორს მიასვენებენო. ჩიჩიკოვი მეტად

უსიამოვნო გუნებაზე დადგა, უმალვე კუთხეში მიიკუნჭა, ტყავი მიიფარა და ფარდები ჩამოსწია. იმ დროს, როდესაც პროცესიამ ეტლი შეაჩერა, სელიფანმა და პეტრუშკამ სასოებით ქუდები მოიხადეს და დაიწყეს თვალიერება, ვინ, როგორ და რა სახით მოდიოდა, თანაც თითებზე ითვლიდნენ, რამდენი იყო ფეხით გამცილებელი და რამდენი ეტლით. რაც შეეხება ბატონს, რომელმაც მსახურთ უბრძანა, ნაცნობ ლაქიებს თავი მოარიდეთ და არ გამოეცნაურეთო, გულმა ვეღარ გაუძლო და ტყავის ფარდიდან მორიდებით დაუწყო ყურება პროცესიას. კუბოს მისდევდა ქუდმოხდილ მოხელეთა სრული შემადგენლობა. ჩიჩიკოვს გულმა ძგერა დაუწყო, ჩემი ეტლი არავინ იცნოსო, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. ისინი ერთმანეთთან გამოხმაურებასაც კი ეკრძალებოდნენ, როგორც ეს ჩვეულებად აქვთ ყოველი მიცვალებულის გაცილების დროს, მთელი მათი აზრი და გონება მხოლოდ საკუთარ სადარდელს ჩაკირკიტებდა – როგორი გამოდგებოდა ახალი გენერალ-გუბერნატორი, როგორ მოკიდებდა ხელს საქმიანობას ან როგორ მიიღებდა მათ. ფეხით მიმავალ მოხელეებს კარეტების მთელი რიგი მოსდევდა, საიდანაც გამოიყურებოდნენ სამგლოვიაროდ გამოწყობილი ქალები; ტუჩების ცმაცურსა და ხელების მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ ქვეყნის საზრუნავად სწორედ მათ მოეცალათ. ვინ იცის, იქნებ ისინიც ახალი გენერალ-გუბერნატორის მობრძანებაზე მსჯელობდნენ და იმის საგონებელში იყვნენ, თუ როგორ ბალებს გამართავდა იგი, ამიტომ აქედან თავის არშიებსა და ფესტონებზე ზრუნავდნენ. კარეტებს უკან მოსდევდა ცარიელი ოთხთვალების დას-დასი მწკრივი. ბოლოს ესეც შეწყდა. ასე რომ ჩვენს გმირს შესაძლებლობა მიეცა გზა განეგრძო. მან ტყავის ფარდები გასწია, ამოიოხრა და გრძნობამორევით წარმოთქვა: «ესეც შენი პროკურორი! იცხოვრა, იცხოვრა და ბოლოს მოკვდა! ახლა ადგებიან და გაზეთებში მოჰყვებიან განგაშს, მის ხელქვეითთა და მთელი კაცობრიობის სამწუხაროდ გარდაიცვალა პატივცემული მოქალაქე, იშვიათი მამა, სამაგალითო მეუღლეო, – და ვინ იცის, კიდევ რას არ დასწერენ: ალბათ იმასაც დაურთავენ, უკან სულ ქვრივ-ობლები მისდევდნენ ტირილითო, მაშინ როდესაც, თუ საქმეს კარგად ჩაუკვირდებით, ამ პროკურორის მთელი ღირსება მხოლოდ ის იყო, რომ სქელი წარბები ჰქონდა». აქ მან სელიფანს უბრძანა, ცხენები მარჯვედ გაერეკა, შემდეგ კვლავ ფიქრებს მიეცა: «ერთით კარგად გამოვიდა, რომ მიცვალებულის დამარხვას შემოვეყარეთ: ამბობენ, ბედნიერ ფეხზე ივლი, თუ მიცვალებულს შეხვდიო».

ამასობაში ბრიჩკამ უფრო უკაცრიელ ქუჩებისკენ გაუხვია. მალე ამას მოჰყვა დაუსრულებელი ფიცრული ღობეები, რაც იმას მოწმობდა, რომ ქალაქის ბოლოს მიუახლოვდნენ. აგერ ქვეფენილიც მოთავდა, შლაგბაუმიც გაიარეს, ქალაქიც უკან მოიტოვეს და ორივე მხარეს ისევ აირია ჩვეულებრივი სურათები: მანძილის მანიშნებელი ბოძები, სადგურის ზედამხედველები, ჭები, აღალები, უფერული სოფლელები თავისი სამოვრებით, დედაბრებითა და წვერმოშვებული მარჯვე მეპატრონით, ბაკიდან რომ გამორბის წამოკიდებული შვრიით, ქალამანგაცვეთილი მგზავრი, ცხრა მთას იქედან რომ მოჩანჩალებს, პატარ-პატარა დაბები თავიანთი ხის ქულბაქებით, ფქვილის კასრებით, ქალამნებით, ფუნთუშა კვერეულებითა და ათასნაირი წვრილმანით, ჭრელი შლაგბაუმები, ნახევრადშეკეთებული ხიდები, თვალუწვდენი მინდვრები ორივე მხარეს, მემამულეთა უზარმაზარი კარეტები, ცხენოსანი ჯარისკაცი, ფინდიხით სავსე მწვანე ყუთი რომ მიაქვს წარწერით: ამა და ამ საარტილერიო ბატარეისაო, მწვანე, ყვითელი და ახალგატეხილი

ყამირის შავი ზოლები. აქა-იქ რომ აჭრელებს ტრამალს, შორეული სიმღერა, ნისლში ჩაძირული ფიჭვების კენწეროები, სადღაც შორს მიკარგული ზარის ხმა, ბუზებივით დალეული ყვავები და უსასრულო ჰორიზონტი... ჰოი, რუსეთო! რუსეთო! მე გხედავ შენ, ჩემი მშვენიერი თვალწარმტაცი შორეთიდან გხედავ შენ: ღარიბი ხარ, გაფანტული და მიუსაფარი, შენში თვალს არ გაახარებს, არ შეაკრთობს ხელოვნების იშვიათი ნახელავით დაგვირგვინებული ბუნების დიადი საკვირველებანი, არც ქალაქები მრავალსარკმლიანი, კლდეებს შეზრდილი მაღალი სასახლეებით, არც ლამაზ-ლამაზი ხეები და ფათალოები, მარად მქუხარე ჩანჩქერთა მტვერში განბანილი, სახლებს რომ კეკლუცად შეჰხლართვიან; არ შევჩერდებით, რომ თვალი შევავლოთ მაღლა, სადღაც სივრცეში გადმოკიდულ უზარმაზარ ქვის ლოდებს; ერთიმეორეზე მიყრილ ვაზის შტოებით, სუროთი და ასკილის ბუჩქებით შეხლართულ-ჩაბნელებულ თაღებს შორის თვალს არ გაუელვებს შორად შორს გამომკრთალი მთების მარადიული მწვერვალები, ვერცხლისფრად რომ იკარგებიან მოკრიალებულ ცის ლაჟვარდში. მოტივტივებულია ყველაფერი, გაშლილი და სწორი შენს უკიდეგანო სივრცეზე; როგორც წერტილები, როგორც პატარ-პატარა რაღაც ნიშნები, ისე უჩინოდ გამოჰკრთიან ტრამალებზე შენი მორჩილი ქალაქები; არაფერი არ ატყვევებს, არ ხიბლავს თვალს. მაშ რა მიუწვდომელი, იდუმალი ძალა მიზიდავს შენკენ? გნუწყვეტლივ რატომ ჩაესმის ყურს შენი ნაღვლიანი სიმღერა, კიდით კიდემდე, ზღვიდან ზღვამდე რომ მოსდებია შენს მინდორ-ველებს? რა ძალაა ამ სიმღერაში? რა მეძახის, რა მომქვითინებს, გულს რა მიწურავს? ეს რა ხმებია, ასე მწვავედ რომ მელამუნება, შიგ სულის სიღრმემდე მწვდება და არ შორდება ჩემს გულს? რუსეთო! რა გსურს ჩემგან? რა იდუმალი კავშირი გაბმულა ჩვენ შორის? რად მომჩერებიხარ ასე, რატომაა, რომ ყველაფერი, რაც კია შენში, მოლოდინით სავსე თვალებით შემომცქერის?.. მძიმე საგონებელში ჩავარდნილი ჯერ კიდევ უძრავად ვდგავარ, თავს კი უკვე მრისხანე ღრუბელი შემომბურვია და საშინელი ღვართქაფებით იმუქრება; მეც გონება დამდუმებია შენი სივრცის წინაშე. მითხარ, რას გვიქადის ეს თვალუწვდენელი სივრცე? ნუთუ აქ არ უნდა დაიბადოს უსაზღვრო აზრი, როდესაც შენ თვითონ უსაზღვროება ხარ? ნუთუ ამ უკიდეგანო სივრცეზე არ უნდა იშვას დევგმირი, არ უნდა გაშალოს მხრები და გაინავარდოს? მრისხანედ მომიცავს მე ეს დიადი სივრცე, საოცარი სიძლიერით მწვდება სულის სიღრმეში, ზებუნებრივი ძალით გაბრწყინდნენ ჩამი თვალები: ვიშ! რა მოელვარე, საუცხოო, რა უცნობი შორეთია – რუსეთი!

– ფრთხილად, ფრთხილად, შე ბრიყვო! – შეუძახა ჩიჩიკოვმა სელიფანს.

– გზა, თორემ მოვიდა ხმალი კისერში! – დაუყვირა ოთხით მომქროლავმა ფელდიეგერმა, რომელსაც ერთი ადლი ულვაშები ჰქონდა, – ვერა ხედავ, შე ეშმაკის კერძო, სახაზინო ეტლია! – და მტვერში გახვეული ტროიკა გაჰქრა.

რა საოცარი, მიმზიდველი, წარმტაცი და მომაჯადოებელი სიტყვაა: გზა! და რა მომხიბლავია თვითონ ეს გზა: ნათელი დღე, შემოდგომის ფოთლები, სუსხიანი ჰაერი... კარგა ლამაზად იფუთნები შენს შინელში, ყურებამდე ჩამოიფხატავ ქუდს და მყუდროდ იკუნჭები კუთხეში! უკანასკნელად დაგივლის ცივი ჟრუანტელი, შეგათრთოლებს და აი, უკვე ძარღვებში საამური სითბო იღვრება. ცხენები მიქრიან, რა მაცდურებით მოგეპარება

თვლემა, თვალებს მოგიხუჭავს და უკვე ბურანში წასულს გესმის სიმღერა: «თოვლი არ თეთრობს», ცხენების ფრთქვინვა, ბორბლების ხმაური. აი, ხვრინვაც ამოუშვი და მთლად კუთხეში მიჭყლიტე შენი მეზობელი. გამოიღვიძებ: უკვე ხუთი სადგური გადაგილახავს; მთვარიანი ღამეა, უცნობი ქალაქი, საყდრები ძველისძველი ხის გუმბათებითა და შავი წვეტებით, ხის ჩაშავებული თუ ქვითკირის თეთრი სახლები. აქა-იქ მთვარის შუქი გამოკრთის, თითქოს თეთრი ტილოს ცხვირსახოცები გაუფენიათო კედლებზე, ქვაფენილზე, ქუჩებზე, მათ კი ცერად გადასწოლიათ ნახშირივით შავი ჩრდილები; როგორც მოელვარე ლითონი, მთვარის შუქზე ისე ბრწყინავს შენობათა ხის სახურავები. არსად ძეხორციელი – ყველას სძინავს. მარტოდმარტო ხარ; ათასში ერთგან ობლად თუ გაიციმციმებს სადმე შუქი; ვიღაც მდაბიო თუ აკერებს თავის ჩექმას ან ხაბაზი თუ დასტრიალებს თავის თორნეს, – შენ რა გესაქმება? ღამე კი! ციურნო ძალნო! ეს რა ღამე გაგიფენიათ ცის სივრცეში! ახლა ეს ჰაერი, ეს ცა, ასეთი შორი, შორი და მაღალი, იქ, იმ თავის მიუწვდომელ სიღრმეში ასე უკიდეგანო და გულგაშლილი!.. მაგრამ აი, ღამის გრილი სუნთქვა სახეს ელამუნება, გინანავებს, შენც თვლემა გერევა და ხვრინვას ამოუშვებ. საყვედურით ბურტყუნებს კუთხეში საცოდავად მიჭყლეტილი შენი მეზობელი. აი, გამოგეღვიძა. შენ წინ კვლავ მინდვრები და ტრამალები გაჭიმულა, არსად არაფერი მოჩანს – სიცარიელეა, ყველაფერი ხელისგულივით გადაშლილა. აგერ თვალს მოხვდა მანძილის მანიშნებელი ბოძი; თენდება; გათეთრებულ ცის კაბადონს ოქროს ფერმკრთალი ზოლი გაევლება; ქარი კი უფრო მსუსხავი ხდება: აბა, უფრო მაგრად ჩაიფუთნე თბილ შინელში!.. რა დიდებული სუსხია! რა წარმტაცი, მომაჯადოებელი ძილი მოგეპარება და ხელახლა ჩაგიკრავს გულში! მაგრამ აი, ეტლმა შეგანჯღრია და კვლავ გამოიღვიძე. ცის წვერს მზე უკვე თავზე მოქცევია. «ცოტა ნელა! ნელა!» – გაისმის ხმა, ფორანი დაღმართზე ეშვება. დაბლა ფართო საგუბარია და განიერი ანკარა გუბურა, რომელიც ისე ლაპლაპებს მზეზე, როგორც სპილენძის ტაშტის ძირი. ფერდობზე სოფელი შეფენილა. იქვე, გვერდით, სოფლის ეკლესიის თავზე, ვარსკვლავივით ბრწყინავს ჯვარი, ისმის სოფლელი ხალხის ჯიყჯიყი, გრძნობ მგლის მადას... ღმერთო ჩემო! რა მშვენიერია ზოგჯერ ეს გრძელი, შორად შორი და დაუსრულებელი გზა! რამდენჯერ, ო, რამდენჯერ მოგბღაუჭებივარ, როგორც წყალში ჩავარდნილი ხავსს, და შენც დიდსულოვნად გამოგიყვანივარ და გადაგირჩენივარ დაღუპვას! რამდენი უძვირფასესი აზრი შთაგინერგავს, რამდენი პოეტური ოცნება გაგიღვიძებია, რამდენი მომხიბვლელი შთაბეჭდილებანი მოგინიჭებია!.. მაგრამ ამ დროს არცთუ ჩვენი მეგობარი ჩიჩიკოვი გახლდათ მთლად პროზაული ოცნებით გართული. აბა, ვნახოთ, რას გრძნობდა იგი ამ წუთებში? პირველად არაფერსაც არ გრძნობდა, ოღონდ სულ უკან-უკან იხედებოდა, თითქოს უნდა დარწმუნდეს, მართლა გავშორდი ქალაქს თუ არაო. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ქალაქი დიდი ხანია თვალს მოეფარა, აღარ მოჩანს არც სამჭედლოები, არც წისქვილები და ყველაფერი ის, რაც ქალაქის ირგვლივ არის ხოლმე, რომ თვით ქვითკირის ეკლესიების წვეროებიც კი თითქოს მიწაში ჩაძვრა, იგი მხოლოდ გზით გაერთო და მარჯვნივ და მარცხნივ ყურებით კმაყოფილდებოდა. ქალაქი № თითქოს სულაც გადაავიწყდა, თითქოს იქ დიდი ხნის წინათ, ოდესღაც, ბავშვობაში გაევლო მხოლოდ, ბოლოს გზამაც თავი მოაბეზრა, ნელ-ნელა თვალები მოეხუჭა, რულს მიეცა და ბალიშისაკენ გადახარა თავი. ავტორი უნდა გამოტყდეს: მას კიდეც უხარია, რომ ასე მოხდა, ვინაიდან შემთხვევა ეძლევა ცოტაოდენი რამ თქვას თავის გმირზე. აქამდე, როგორც მკითხველი დაინახავდა, მას ხელს უშლიდნენ

ხან ნოზდრიოვი, ხან ბალები, იქ კიდევ მანდილოსნები, ქალაქის ჭორები და ათასი წვრილმანი რამ, რაიც წვრილმანად მხოლოდ მაშინ გვეჩვენება, როდესაც წიგნში შეიტანენ ხოლმე. მანამდე კი, ცხოვრების ორომტრიალში, მათ ისე მივიჩნევთ, როგორც ფრიად მნიშვნელოვან და საგულისხმო საქმეს. მაგრამ ახლა ყველაფერი გვერდზე გადავდოთ და პირდაპირ საქმეს შევუდგეთ.

ძალიან საეჭვოა, რომ ჩვენ მიერ არჩეული გმირი მკითხველებს მოეწონოთ. მანდილოსნებს რომ არ მოეწონებათ, ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ვინაიდან ქალები მოითხოვენ, რომ გმირი აუცილებლად სრულყოფას წარმოადგენდეს, და თუ ოდნავი სულიერი თუ ხორციელი ლაქა აცხია, ვაი, შენს მტერს! რანაირად ღრმად არ უნდა ჩასწვდეს ავტორი მის სულსა და სარკეზე უკეთესად აჩვენოს მისი სახე, მაინც არავითარ ფასს არ დასდებენ იმ საცოდავს. თვით ტანის სისრულე და საშუალო ასაკი ბევრსა ვნებს ჩიჩიკოვს: ამ სიმსუქნეს არასოდეს აპატიებენ გმირს, ის კი არა, ადვილი შესაძლებელია ბევრმა ბანოვანმა ზურგიც კი შეაქციოს და ზიზღით წარმოთქვას: «ფუი! რა საძაგელი ვინმეაო!» ვაი რომ ეს ყველაფერი იცის ავტორმა, იცის და მიუხედავად ამისა, გმირად ვერ აირჩევს სათნოებით სავსე კაცს, თუმცა... შეიძლება თვითონ ამ მოთხრობაშივე აჟღერდეს სულ სხვა, აქამდე ხელშეუხები სიმები, წინ გადაგვეშალოს რუსული სულის აურაცხელი სიმდიდრე, გამოჩნდეს ღვთაებრივი სიქველით მომადლებული ვაჟკაცი, ან ტურფა რუსი გოგონა, რომლის მსგავსს მთელ დედამიწის ზურგზე ვერ ჰპოვებთ – საოცნებო ქალური ბუნების, დიდსულოვანი და თავგანწირული, მაშინ იმათ წინაშე უსულოდ გამოჩნდება ყველა ხალხისა და ტომის სიქველე და სათნოება, როგორც უსულოდ გამოიყურება წიგნი ცოცხალი სიტყვის წინაშე! აღზევდება რუსული ბუნება, და ყველა დაინახავს, თუ როგორ ღრმად შთათესილა სლავურ სულში ყოველივე ის, რაც სხვა ერთა და ტომთ ასხლტომია და განზე ჩაუვლია... მაგრამ რა საჭიროა ყველა იმაზე ვილაპარაკოთ, რაც ჯერ წინ გვიძევს?ავტორისათვის, რომელიც დიდი ხანია რაც გამოიწრთო და დავაჟკაცდა შინაგანი ცხოვრების ცეცხლში და აღიჭურვა ფხიზელი გონების თვალით, შეუწყნარებელია ყრმასავით თავდავიწყებას მიეცეს. ყველას თავისი რიგი, დრო და ადგილი აქვს! მაშ ასე, სათნო კაცი არაა აღებული გმირად, და შეიძლება ისიც მოგახსენოთ, თუ რატომ არა არის აღებული. რამეთუ ბოლოსა და ბოლოს დროა მოვასვენოთ საბრალო სათნო კაცი: რამეთუ ამაოდ აკერიათ პირზე სათნო კაცის სახელი; რამეთუ სათნო კაცი ცხენად აქციეს და არ არის ისეთი მწერალი, რომელიც შოლტის ტყლაშუნით არ დააჯირითებდეს მას; რამეთუ უკვე ისე ამოხადეს სული სათნო ადამიანს, რომ მასში ახლა სათნოების ნასახიც არ მოიპოვება, მხოლოდ ცარიელი ნეკნები და ტყავიღა დარჩა სავსე სხეულის ნაცვლად; რამეთუ ფარისევლურად მოუწოდებენ სათნო კაცს; რამეთუ პატივს არავინ სცემს სათნოებით აღსავსე კაცს. არა, დროა ახლა სალახანაც დავრახტოთ! მაშ ასე, უღელში შევაბათ ეს სალახანა!

უბრალო და უცნობელი წარმოშობის კაცი გახლდათ ჩვენი გმირი. მისი მშობლები აზნაურები იყვნენ, მაგრამ ტახტისა თუ პირადი – ეს ღმერთმა უწყის. სახის იერით იგი მშობლებს არ ჰგავდა; ყოველ შემთხვევაში, ერთ ნათესავ ქალს, მის დაბადებას რომ დასწრებია, – ეს კი გახლდათ ერთი დაბალი, მოკლე ქალი, როგორსაც ჩვეულებრივ ჭინჭრაქას ეძახიან, – ხელში აუყვანია ბავშვი თუ არა, წამოუძახნია: «შეხეთ ერთი, სულაც

ისეთი არ გამოვიდა, როგორსაც ველოდი! თავის დიდედას უნდა დამგვანებოდა დედის მხრივ, აი ეს იქნებოდა კარგი, ეს კი ისეთი დაიბადა, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: «არც დედის სცხია, არც მამისაო, – ვაითუ მავან-მავანისაო». პირველ ხანებში ცხოვრებამ რაღაც უგულოდ შეხედა, თითქოს თოვლით გაჭირხლულ სარკმლიდან დაჰყურებსო: ბავშვობაში მას არ ჰყოლია არც ტოლი და არც ამხანაგი! პაწია ოთახი პაწია ფანჯრებით, რომელთაც არც ზაფხულობით აღებდნენ და არც ზამთრობით; ავადმყოფი მამა, იაფფასიანი კრაველისსარჩულიანი გრძელი სერთუკით და შიშველ ფეხებზე წამოცმული ფოსტლებით, მუდამ რომ ოხრავდა, ოთახში ბოლთასა სცემდა და იქვე კუთხეში სილით სავსე თუნუქში ნახველს აფურთხებდა; გამუდმებული ჯდომა მერხზე კალმით ხელში, მელნით შეთითხნილი თითები, თვით ტუჩებზეც მოცხებული შავი ლაქები და მუდამ ერთი და იგივე მცნება თვალწინ: «არ იცრუო, გამგონი იყავ უფროსებისა და გულში ატარე სათნოება!» გაუთავებელი ფრატუნი ფოსტლებისა და კარგად ნაცნობი, მაგრამ ყოველთვის მკაცრი ხმა: «ისევ ცელქობ!» რომელიც სწორედ იმ დროს შეუძახებდა, როცა ერთფეროვანი მუშაობით თავგაბეზრებული ბავშვი რომელიმე ასოს პაწია კუდს გამოაბამდა, და მარად ნაცნობი, მარად უსიამოვნო გრძნობის განცდა, როცა ამ სიტყვებს მოჰყვებოდა საბრალო ბავშვის ყურის ბიბილოს მწარედ აგრეხა უკანიდან მიპარული თითებით, – აი ის უფერული სურათი მისი ბავშვობისა, რომელიც ბუნდოვნად შერჩა ხსოვნაში ჩიჩიკოვს. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი სწრაფად იცვლება. ერთხელ, გაზაფხულის პირველ გამომზეურებაზე, ნიაღვრების დროს, მამამ ჩაისვა შვილი ფორანში, რომელშიც შეაბმევინა ქურანა ცხენი, ჩირაქები ჩვეულებრივ კაჭკაჭს რომ ეძახიან ხოლმე, და გზას გაუდგა. ქურანას მართავდა დაგვალული, კუზიანი მეეტლე, მამამთავარი ჩიჩიკოვების ერთადერთი შინაყმის ოჯახისა, რომელიც თითქმის ყველა თანამდებობას ასრულებდა ბატონის კარზე. დღენახევარზე მეტი ათრია კაჭკაჭამ მგზავრები; ისინი გზაშივე იძინებდნენ, გადადიოდნენ მდინარეს, ნაყრდებოდნენ ცივი ღვეზელითა და შემწვარი ბატკნის ხორცით, და მხოლოდ მესამე დღეს მიაღწიეს ქალაქს. ქალაქის ქუჩებმა უნებურად თვალი მოსჭრა ბავშვს, რამდენიმე წუთის განმავლობაში პირდაღებული იყურებოდა აქეთ-იქით. ამასობაში კაჭკაჭა ფორანითურთ აღმოჩნდა ორმოში, რომელიც ვიწრო ქუჩის მოსახვევში დახვდათ; ტალახიანი ვიწრო ქუჩა კარგა მანძილზე გაჭიმულიყო წინ. დიდხანს იბრძოლა კუზიანისა და თვით ბატონის შეძახილებით გამხნევებულმა კაჭკაჭამ, დიდხანს ზილა ტალახი და ბოლოს, როგორც იყო, თავი გააღწია და ფორანი ერთ პატარა ეზოში შეაგორა, რომელიც გამართული იყო პატარა ფერდობზე, სადაც ორი აყვავებული ვაშლის ხე იდგა ძველისძველი პატარა სახლისა და ბაღჩის წინ. ბაღჩაში ცირცელისა და ანწლის ბუჩქები გაბარდნილიყო, სიღრმეში კი ჩამალულიყო ყავრით გადახურული პატარა ხის ჯიხური, ვიწრო, დაბინდული ფანჯრით. აქ ცხოვრობდა მათი ნათესავი დაძაბუნებული დედაბერი, რომელიც ჯერაც ყოველ დილა დადიოდა ბაზარში და შემდეგ სამოვართან იშრობდა წინდებს. დედაბერს იამა ფუნთუშა ბავშვის დანახვა და ლოყაზე მოუთათუნა ხელი. აი, ამასთან უნდა დარჩენილიყო ბავშვი და აქედან ევლო სამოქალაქო სკოლაში. მამამ მხოლოდ ერთი ღამე გაათია დედაბერთან და მეორე დღესვე გაუდგა გზას. გამომშვიდობებისას ცრემლი არ დაუღვრია მშობლის თვალებს; შვილს სახარჯოდ – რამერუმეებისა თუ ტკბილეულისათვის სპილენძის ათშაურიანი დაუტოვა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მეტად ჭკვიანური დარიგება მისცა: «აბა, პავლუშა, ისწავლე, სისულელეებს თავი დაანებე, არ იცუღლუტო, ყველაზე მეტად კი თავი შეაყვარე

მასწავლებლებს და უფროსებს: თუ მათ ასიამოვნებ, თუნდაც მეცნიერება ვერ დასძლიო და ღმერთს შენთვის ნიჭიც არ მოემადლებინოს, მაინც გზა ხსნილი გექნება და ყველას წინ გაუსწრებ. ამხანაგებს არ აჰყვე, ისინი სიკეთეს არ დაგაყრიან; მაგრამ თუ აუცილებელია, მაშინ უფრო მდიდრები შეარჩიე, ეგებ რამეში გამოგადგნენ. არავინ დაჰპატიჟო, ნურავის მისთავაზებ რასმე, სჯობია საქმე ისე წაიყვანო, რომ შენ გეპატიჟებოდნენ, მაგრამ ყველაფერს ის ემჯობინება, რომ კაპიკი კაპიკზე დაზოგო: ეს ამ ქვეყნიერებაზე ყველაზე საიმედო და სანუგეშოა. ამხანაგი და მეგობარი მოგატყუებს და პირველი შენვე გაგცემს. კაპიკი კი არ გაგცემს და არც გიღალატებს, რანაირ უბედურებაშიც არ უნდა იყო ჩავარდნილი. კაპიკით ყველაფერს გააკეთებ და ყველგან გაიკაფავ გზას». ასეთი დარიგების შემდეგ მამა დაემშვიდობა შვილს და თავისი კაჭკაჭით გასწია შინისაკენ. ამის შემდეგ აღარც უნახავს მამა, მაგრამ მისი სიტყვა და დარიგება ღრმად ჩასწვდა გულში,

მეორე დღიდან დაიწყო პავლუშამ სკოლაში სიარული. განსაკუთრებული ნიჭი რომელიმე მეცნიერებისადმი მას არ გამოუჩენია. სხვებისაგან გამოირჩეოდა მხოლოდ დიდი მუყაითობითა და სისუფთავით. სამაგიეროდ დიდი ჭკუა გამოიჩინა პრაქტიკულ საქმეში, ცხოვრებას სულ მალე აუღო ალღო და ამხანაგებთან საქმე ისე დაიჭირა, რომ სულ ისინი ეპატიჟებოდნენ ხოლმე, თვითონ კი არათუ არასოდეს გაუმასპინძლდებოდა, პირიქით, ზოგჯერ გადამალავდა მეგობრებისაგან ბოძებულ ნუგბარს და მერე იმათვე მიჰყიდდა ხოლმე. ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე შეეჩვია თავისი სურვლების მოთოკვას და თავს არ ინებივრებდა. საოცარი მოხერხებულობაც გამოიჩინა. ისე რომ მამისაგან მოცემული ათშაურიანი არათუ დაუხარჯავს, პირიქით, დაუმატა კიდეც: სანთლის გულწითელა ჩამოქნა, შეღება და ძალიან კარგ ფასში გაყიდა. შემდეგ, რამდენიმე ხნის განმავლობაში სხვა სპეკულაციებსაც მოჰკიდა ხელი, სახელდობრ, აი როგორს: წავიდოდა ბაზარში, რაიმე საჭმელს იყიდდა და კლასში ისეთ ამხანაგებს მიუჯდებოდა გვერდით, რომლებიც უფრო მდიდრები იყვნენ. რაწამს შენიშნავდა, რომ ამხანაგს კუჭმა ძახილი დაუწყო, აიღებდა და თითქოს შემთხვევით რომელიმე ტკბილ კვერეულსა თუ ფუნთუშას წვერს გამოუჩენდა. რა ერთი მადას გაუღიზიანებდა, კარგა ფულსაც ასწკაპნიდა ხოლმე, იმისდა მიხედით, თუ რამდენად ჰშიოდა ამხანაგს. ორი თვის განმავლობაში თავის ბინაზე ხის გალიაში ჩასმულ ერთ თაგვს გადააკვდა და იმდენი ეცადა, რომ შეასწავლა ცუცქზე ჩაჯდომა, დაწოლა და წამოდგომა, როგორც უბრძანებდა; ბოლოს აიღო და ესეც მეტად კარგ ფასში გაყიდა. როდესაც ხუთ მანეთამდე აიყვანა მონაგარი ფული, ადგა, პარკუჭს თავი მოუკრა და ახლა მეორე საპარკუჭე ფულის მოგროვებას შეუდგა. უფროსებთან კიდევ უფრო ჭკვიანად წაიყვანა საქმე, მერხზე იმაზე წყნარად არავინ იჯდა. უნდა შევნიშნოთ, რომ მასწავლებელი დიდი მოყვარული იყო სიჩუმისა, უყვარდა წყნარი ყოფაქცევის მოწაფე, ხოლო ვერ იტანდა გონებამახვილსა და ჭკვიან ბავშვს – რატომღაც ისე ჰქონდა წარმოდგენილი, თითქოს ისინი მას დასცინოდნენ. ვაი იმ ბავშვს, რომელიც შენიშნული იქნებოდა მოსწრებულ სიტყვა-პასუხში! საკმარისი იყო ოდნავ შენძრეულიყო ან უნებურად შეეხარა წარბი, რომ მასწავლებელი რისხვით თავს დასტეხოდა. ასეთ ბავშვს იგი ქისტისკვრით გააგდებდა ოთახიდან და უმოწყალოდ დასჯიდა. «მე შენში, ძმაო, აღმოვფხვრი მაგ ყოყლოჩინობას და ურჩობას! – ეუბნებოდა იგი – ძალიან კარგად გიცნობ, რა ვაჟბატონიც ბრძანდები! იქნებ შენ თვითონ არ იცნობდე შენს თავს ისე, როგორც მე გიცნობ. აი, მაშინ ნახავ შენს სეირს, როდესაც მუხლებზე დაგაჩოქებ და შიმშილით სულს ამოგხდი!» საბრალო ბავშვიც მთელი

დღე მუხლებზე იდგა და შიმშილობდა, თუმცა არ იცოდა, რად და რისთვის. «ნიჭი და ჭკუა ეგ სულ მიქარვაა! – ამბობდა მასწავლებელი, – მე მხოლოდ ყოფაქცევას ვაქცევ ყურადღებას. ყველა საგანში კარგ ნიშანს იმას დავუსვამ, ვინც ანბანი არ იცის, მაგრამ სანაქებოდ იქცევა კლასში; მაგრამ თუ დავინახე, რომ მოწაფე ცუდად იქცევა და დამცინავიცაა, მას ნულზე მეტს არ ვაღირსებ, თუნდაც სოლონიც კი წამოაჩოქოს ცოდნით!» – ასე ამბობდა მასწავლებელი, რომელსაც ჭირივით ეჯავრებოდა კრილოვი იმისთვის, რომ მან თქვა: «ბევრად სჯობია ცოტა მეტს სვამდე, ოღონდ გესმოდეს საქმისა რამე...» უნდა გენახათ, რა ნეტარებითა და გაბრწყინებული თვალებით გიამბობდათ, რომ იმ სასწავლებელში, სადაც იგი წინათ მასწავლებლობდა, ისეთი სიწყნარე სუფევდა, ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით, რომ მთელი წლის განმავლობაში არცერთ მოსწავლეს არ დაუხველებია, არც ცხვირი მოუხოცია კლასში, ასე რომ ზარის დარეკვამდე ვერც კი გაიგებდით, იყო იქ ვინმე თუ არა. ჩიჩიკოვი სულ მალე ჩასწვდა უფროსის სულისკვეთებას, თუ სახელდობრ რაში უნდა გამოხატულიყო მოსწავლის კარგი ყოფაქცევა. ამიტომ იყო, რომ არც თავალს დაახამხამებდა, არც წარბს შეიხრიდა გაკვეთილების დროს, რამდენიც არ უნდა ეჩქმიტათ უკანიდან. რაწამს ზარის ხმას გაიგონებდა, პირველი ის წამოხტებოდა და მასწავლებელს ყველაზე უწინ შესთავაზებდა ტრეუხს (მასწავლებელი ტრეუხით დაბრძანდებოდა). ტრეუხის გადაცემის შემდეგ პირველი ის გადიოდა კლასიდან და ცდილობდა ერთი სამჯერ მაინც წინ შეჩეხებოდა და დაუყოვნებლივ ქუდი მოეხადა მის წინაშე. ასეთი საქციელით დიდად დაწინაურდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც სასწავლებელში იყო, სულ კარგი თვალით უყურებდნენ, ხოლო სწავლის დამთავრებისას მან მიიღო საუკეთესო ნიშნები ყველა საგანში; ატესტატი და იმავე დროს წიგნითაც დააჯილდოვეს, რომელზეც ოქროს ასოებით ეწერა: «სამაგალითო ბეჯითობისა და კეთილსაიმედო ყოფაქცევისათვის». სასწავლებლიდან გამოსვლისას იგი უკვე თვალტანად მოსაწონი ჭაბუკი იყო, ღაბუა ნიკაპით, რომელიც სამართებლის მოსმას მოითხოვდა. ამ დროს გარდაეცვალა მამა. სამკვიდროდ დაეტოვებინა ოთხი ყოვლად გამოუსადეგარი თბილი თივთიკის პერანგი, ორი კრაველისსარჩულიანი ძველი სერთუკი და მცირეოდენი გროშები. მამას, როგორც ჩანს, მხოლოდ დარიგება ეხერხებოდა, თუ კაპიკის კაპიკზე დადებით პატარა თანხა როგორ მოეგროვებინა, თვითონ კი ამაზე სულ არ უზრუნია. ჩიჩიკოვმა იქვე გაყიდა ძველი სახლი თავის უმნიშვნელო მამულ-დედულით ათას მანეთად, შინაყმის ოჯახი ქალაქში გადმოიყვანა და გადაწყვიტა აქ დარჩენა და სადმე სამსახურში შესვლა. სწორედ ამ დროს, რაღაც სისულელის ჩადენისა თუ სხვა რამე მიზეზის გამო, სასწავლებლიდან დაითხოვეს საბრალო მასწავლებელი, მყუდროებისა და მოწაფეთა წყნარი ყოფაქცევის მოყვარული. მასწავლებელმა ჯავრისაგან დაიწყო სმა, ბოლოს სასმელის ფულიც გამოელია და ასე ულუკმაპუროდ და ყოვლად უმწეოდ სადღაც ცივსა და მიუგდებელ სოროში ხდებოდა სული. მისმა ყოფილმა შეგირდებმა, სწორედ იმ გონებამახვილებმა და ჭკვიანებმა, რომლებშიც მას მუდამ ურჩობა და ყოყლოჩინობა ელანდებოდა, რაწამს გაიგეს მისი უმწეო მდგომარეობა, დატრიალდნენ და თავიანთ შორის მოკრიბეს შესაფერი თანხა, რისთვისაც ზოგმა პატარ-პატარა ისეთი რამეც კი გაყიდა, რაც თვითონ დასჭირდებოდა. მხოლოდ პავლუშა ჩიჩიკოვმა შორს დაიჭირა თავი და რაღაც გროშები გადაუგდო, რაც ამხანაგებმა თავში სთხლიშეს და თანაც შეუძახეს: «აი, შე დამწვარო შენაო!» როდესაც მასწავლებელმა თავისი ყოფილი მოწაფეების საქციელი დაინახა, სახეზე ხელები მიიფარა და მიმქრალი თვალებიდან ცრემლთა ღვართქაფი

წამოსკდა, როგორც უმწეო ბავშვს. «ღმერთმა სიკვდილის წინ სარეცელი ცრემლებით დამალობინა, – წარმოთქვა მან სუსტი ხმით და მძიმედ დაიგმინა, ჩიჩიკოვის ამბავი რომ გაიგონა: – ეჰ, პავლუშა, პავლუშა! აი, თურმე როგორ იცვლება ადამიანი! ვინ იფიქრებდა... ისეთი სათნო იყო, კეთილი ყოფაქცევისა, არაფერი გიჟმაჟური, აბრეშუმივით რბილი, მაგრამ დახეთ! ეჰ, მომატყუა, სასტიკად მომატყუა...»

არ შეიძლება ითქვას, თითქოს ჩვენი გმირის ბუნება მართლა ასეთი სასტიკი და უგრძნობელი იყო, იმდენად გულქვა, რომ არ სცოდნოდა შებრალება და გულისტკივილი. იგი ერთსაცა გრძნობდა და მეორესაც, მას დახმარებაც კი უნდოდა, მაგრამ ისე რომ საგრძნობი რამ ხარჯი არ გაეღო და გადანახული თანხისთვის ხელი არ ეხლო. «კაპიკი კაპიკს დაადეო», – მამის ეს დარიგება მისთვის სასარგებლო გამოდგა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არ ჰქონია ფულისადმი მიდრეკილება მხოლოდ ფულის სიყვარულით; არ დაუფლებია არც სიძუნწე და არც წუწურაქობა. არა, ეს როდი ასულდგმულებდა. პირიქით, მას ოცნებაში წარმოდგენილი ჰქონდა მომავალი ცხოვრება მთელი თავისი მშვენიერებით, ყველაფრით სავსე; ეტლები, სახლი თავისი მშვენიერი მოწყობილობით, კარგი სმა-ჭამა – აი რა ფიქრები უტრიალებდა მუდამ თავში; საბოლოოდ, შემდეგისათვის რომ ყველაფერი ეს უკვლებლივ ჰქონოდა და ცხოვრების სიტკბოებანი ეგემნა, – აი რისთვის ინახავდა კაპიკებს, რასაც მანამდე არც თავის თავზე და არც სხვაზე არ ხარჯავდა. როდესაც გვერდით ჩაუქროლებდა რომელიმე მდიდარი ლამაზი, მსუბუქი ეტლით, ძვირფასად მოკაზმული ცხენებით, იგი დიდხანს გაშტერებული იდგა, ხოლო შემდეგ, როცა გონზე მოვიდოდა, გულდაწყვეტილი იტყოდა ხოლმე: «ერთხელ ესეც ხომ კანტორის მოსამსახურე იყოო!» ყველაფერი ის, რასაც კი სიმდიდრისა და ფუფუნების იერი დაჰკრავდა, მასზე რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა. სასწავლებლიდან გამოსვლის უმალ დასვენება არც კი ინდომა, ისეთი ძლიერი სურვილი ჰქონდა სამსახურში შესულიყო და საქმისთვის მოეკიდა ხელი. თუმცა სანაქებო ატესტატი ჰქონდა, დიდი წვალებით მიიღეს სახაზინო პალატაში. თურმე მიყრუებულ კუთხეებშიც საჭირო ყოფილა პროტექცია! ადგილი სრულიად უმნიშვნელო იშოვნა, სულ სამსა თუ ოთხ თუმანს აძლევდნენ წლიურ ჯამაგირს. მიუხედავად ამისა, გადაწყვიტა ბეჯითად მოეკიდა ხელი სამსახურისათვის, ყველაფერი დაეძლია და გაემარჯვნა. და, მართლაც, წარმოუდგენელი მოთმინება, თავდადება და გაჭირვებათა დათმენის უნარი გამოიჩინა. დილაადრიან მოყოლებული კარგა შეღამებამდე მან არ იცოდა არც სულიერი დაღლა, არც ხორციელი ძალ-ღონის მოქანცვა, სულ ერთთავად წერდა და წერდა, თავჩაღუნული ჩაჰკირკიტებდა საკნცელარიო ქაღალდებს. შინ არ მიდიოდა, კანცელარიაში ეძინა მაგიდაზე, ხშირად დარაჯებთან სადილობდა, მაგრამ ყველა ამასთან ერთად სუფთად ეჭირა თავი, ლაზათიანად ეცვა, სახეზე მუდამ საამური გამომეტყველება ჰქონდა და თვით მის მიხვრა-მოხვრაშიც რაღაც კეთილშობილური მოჩანდა. უნდა ითქვას, რომ პალატის მოხელეები რაღაც საგანგებოდ უშნო და შეუხედავი ხალხი იყო. ზოგიერთნი ისეთი სახისა იყვნენ, როგორც ზოგჯერ კუტი პური გამოვა ხოლმე: ცალი ყბა ერთ მხარეს გამოჰბეროდათ, ნიკაპი მეორე მხარეს მიჰგრეხოდათ, ზედა ტუჩი ბუშტივით წამოსკუპებოდათ, თანაც დახეთქოდათ კიდეც; ერთი სიტყვით, მეტად ულაზათონი იყვნენ. ლაპარაკითაც მკვახე ლაპარაკი იცოდნენ, თითქოს ვიღაცის საცემრად ემზადებიანო; მასთან ხშირ-ხშირად ბახუსსაც სათანადო მსხვერპლს სწირავდნენ, რითაც იმას ამტკიცებდნენ, რომ სლავურ

ბუნებაში ჯერ კიდევ ბევრი რამაა წარმართული; ხშირად პალატაში, როგორც იტყვიან, კარგა გალეშილები მოდიოდნენ, რის გამოც ოთახებში ადამიანს აღარ ედგომებოდა, ისეთ არაკეთილსურნელოვან ჰაერს დააყენებდნენ. რაღა თქმა უნდა, ასეთ მოხელეთა შორის შეუძლებელი იყო არ შეენიშნათ და არ გამოერჩიათ ჩიჩიკოვი, რომელიც ყველაფრით განსხვავდებოდა მათგან, რომ უსაშინლესი მტერი იყო ყოველგვარი მაგარი სასმელებისა. მიუხედავად ამისა, ჩიჩიკოვისათვის მეტად ძნელი იყო გზის გაკაფვა. პირველ ხანებში იგი მოხვდა სახაზინო პალატის ერთ გადაყრუებულ უფროსთან, მიუკარებელ, მუდამ ერთ განწყობაზე მყოფ ხესავით კაცთან, რომლის გულს არაფერი ააღელვებდა: არასოდეს მის სახეს არ მიკარებია ღიმილი, არცთუ ვისმე მისალმებია, თუნდა ჯანმრთელობის მოსაკითხად. არავის უნახავს, თუნდა ერთხელ შეცვლოდეს ხასიათი ან შინ ან გარეთ; არასოდეს არ მომხდარა მონაწილეობა მიეღოს რამეში, ერთხელ მაინც დამთვრალიყოს და ამ სიმთვრალეში გასცინებოდეს, ერთხელ მაინც მისცემოდეს მხიარულებას, როგორსაც ეძლევა თავზეხელაღებული ყაჩაღი სიმთვრალის დროს, – რა ბრძანებაა, არავითარი ამისი მსგავსი მასში სრულიად არაფერი იყო: არც ბოროტება, არც სიკეთე, და სწორედ ეს იყო საშინელი. მის სწორნაკვთებიან, ცივ სახეზე, რომელიც არაფერს მოგაგონებდათ, მკაცრად განზომილი იყო ყველაფერი. მხოლოდ ნაყვავილარი ჩოფურა სახით თუ მიაკუთვნებდით იმ პირთ, რომელთაც, ხალხის თქმით, ღამღამობით ეშმაკი ეწვევა ხოლმე, რათა მუხუდო დაფქვას მათ სახეზე. ისე მოჩანდა, თითქოს შეუძლებელი იყო ვინმე მისდგომოდა მას და კარგი განწყობილება დაემყარებინა, მაგრამ ჩიჩიკოვმა მაინც სცადა. პირველ ხანებში შეეცადა ესიამოვნებინა მისთვის ყველა უმნიშვნელო წვრილმანით: დიდი გულმოდგინებით დაათვალიერა, რა ყაიდაზე ჰქონდა გამოთლილი კალმები, როგორით უფრო ემარჯვებოდა წერა, შემდეგ იმათ მსგვსად დაამზადა რამდენიმე ცალი კალამი, რომლებსაც საჭიროებისას მიართმევდა ხოლმე; ხშრ-ხშირად გადმოსწმენდდა მაგიდიდან ქვიშასა და თამბაქოს მტვერს; ახალი ჩვარი შეიძინა მისი სამელნის გასაწმენდად; საიდანღაც და როგორღაც გამოძებნა მისი ძველისძველი, ყოვლად უგვანო ქუდი, რომლის მსგვსს მთელ დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავდით, და ყოველთვის, სამსახურის დამთავრებისას, ერთი წუთით ადრე გვერდით მოუდებდა ხოლმე; ამასთანავე ზურგსაც ჩამოსწმენდდა, უკეთუ სადმე კედელზე მიყუდებისას გაისვრიდა ცარცით, – მაგრამ ყოველივე ეს სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა უფროსის თვალში, თითქოს არც არაფერი მომხდარა და არც არაფერი გაკეთებულაო. ბოლოს ჩიჩიკოვმა მის ოჯახშიც შეიხედა, კარგად დაჰყნოსა მისი შინაური ცხოვრება და გაიგო, რომ უფროსს კარგა მომწიფებული გასათხოვარი ქალი ჰყავდა, სწორედ იმნაირი სახისა, თითქოს ღამღამობით მართლა მუხუდო უნაყიათ მის სახეზეო. აი, სწორედ ამ მხრიდან გადაწყვიტა ჩიჩიკოვმა იერიშის მიტანა. ჯერ გაიგო, რომელ ეკლესიაში დაიარებოდა კვირა-უქმობით ეს ქალიშვილი და სწორედ მის წინ გამოიჭიმებოდა ხოლმე სუფთად გამოწყობილი, კარგად გახამებული გულისპირით. საქმემ აკი მართლაც მისკენ იბრუნა პირი. მოლბა ჩვენი სასტიკი უფროსი და ჩაიზე მიიპატიჟა! კანცელარიაში თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, რომ ჩიჩიკოვი უფროსის სახლში გადაბარგდა, მისთვის საჭირო და აუცილებელი კაცი შეიქნა. ოჯახისათვის ჩაისა და შაქარს ყიდულობდა, უფროსის ქალიშვილს ისე ექცეოდა, როგორც თავის დანიშნულს, პალატის უფროსს მამას უწოდებდა და ხელზე ჰკოცნიდა; პალატაში ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ თებერვლის დამლევისათვის, დიდი მარხვის წინ, ქორწილი გაჩაღდებოდა. სასტიკმა უფროსმა იმდენი იზრუნა, რომ პატარა ხანს უკან

ჩიჩიკოვსაც უფროსობა უწყალობეს პალატაში ერთ-ერთ განთავისუფლებულ ადგილზე. უფროსთან ჩიჩიკოვის დაახლოების მთავარი მიზანიც თურმე ეს იყო: მეორე დღესვე მან საიდუმლოდ გადაინაცვლა ბინა და ბარგი-ბარხანაც გადაზიდა. ამიერიდან ყოფილ უფროსს აღარც მამას ეძახდა და აღარც ხელზე ჰკოცნიდა. ქორწილის საქმემ ხომ მთლად ჩაილულის წყალი დალია, თითქოს არც არაფერი მომხდარა და არც არაფერი უფიქრიათ; მაგრამ ყოველი შეხვედრისას იგი ალერსიანად ხელს ართმევდა და ჩაიზე ეპატიჟებოდა, ასე რომ ეს გულქვა და უგრძნობელი ადამიანიც კი ყოველ ასეთ შეხვედრაზე თავს შეარხევდა და თავისთვის ცხვირში წაიდუდუნებდა: «შეხეთ, როგორ მომატყუა ამ ეშმაკის ფეხმაო!»

ეს იყო ყველაზე ძნელად გადასასვლელი ზღურბლი, რომელსაც მან გადააბიჯა. ამიერიდან უფრო იოლად და წარმატებით წავიდა მისი საქმე. იგი თვალსაჩინო კაცი შეიქნა; მას ყველაფერი აღმოაჩნდა, რაც კი ამ საზოგადოებისათვის საჭირო იყო: სასიამოვნო მოქცევა და მიხვრა-მოხვრა, სიმკვირცხლე საქმიანობაში, ამნაირი საშუალებით სულ მოკლე ხანში მიაღწია იმას, რასაც თბილ ადგილს ეძახიან და სანაქებოდაც გამოიყენა ეს ადგილი. უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ იმ ხანებში მთავრობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მექრთამეობას. ჩიჩიკოვი ამასაც არ შეუშინდა, პირიქით, ეს კანონი თავის სასარგებლოდ გამოიყენა, რითაც დაამტკიცა რუსული გამომგონებლობის დიდი უნარიანობა, რომელიც სწორედ გაჭირვების დროს იჩენს ხოლმე თავს.

საქმე აი როგორ გამოჩარხა: რაწამს მთხოვნელი მოვიდოდა და ჯიბეზე ხელს გაიკრავდა, რომ იქიდან ცნობილი სარეკომენდაციო ბარათი ამოეღო თავად ხოვანსკის ხელმოწერით, როგორც ამბობდნენ ხოლმე რუსეთში, ჩიჩიკოვი უმალვე ხელს ღიმილით დაუჭერდა: «არა, არა, როგორ შეიძლება... თქვენ გგონიათ, რომ მე... ღმერთმა დამიფაროს! ეს ჩვენი მოვალეობაა, ჩვენი პირადი ვალდებულება, ჩვენ ყველაფერს უანგაროდ ვაკეთებთ. უსასყიდლოდ! ამ მხრივ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ: ხვალვე ყველაფერი მზად იქნება. ნება მიბოძეთ თქვენი ბინის მისამართი გავიგო, არც კი დაგჭირდებათ თავის შეწუხება, ყველაფერი შინ მოგერთმევათ». მოხიბლული მთხოვნელიც აღფრთოვანებული ბრუნდება შინ: «ძლივს ადამიანი არ აღმოჩნდა! ნეტავი ერთი ორი კიდევ მოგვცა მაგისი მსგავსი, პირდაპირ ალმასია ეგ დალოცვილი, ფასდაუდებელი ალმასი!» მაგრამ მთხოვნელი ამაოდ იცდის ერთ დღეს, მეორეს, მესამე დღეც გადაგორდება, – მისი საქმე მაინც არავის მოაქვს. შეშფოთებული კანცელარიას მიაშურებს, მოიკითხავს საქმეს, იგი სულაც არ დაუწყიათ; ახლა კი ისევ «ფასდაუდებელ ალმასს» მიადგება. «აჰ, მაპატიეთ! – ეტყოდა ჩიჩიკოვი დიდი პატივისცემით და ორივე ხელს დაუჭერდა, – თავზე საყრელი საქმე გვქონდა, ვერ მოვიცალეთ, მართალი მოგახსენოთ, მრცხვენია კიდეც, რომ ასე მოხდა!» ამ სიტყვებს თან სდევს მისი მომხიბვლელი მოპყრობა. თუ ვინიცობაა ამ დროს გამოეშვება ხალათის კალთა, იგი უმალვე წასწვდება და გასწორებას შეეცდება. მაგრამ არც ხვალ, არც ზეგ და არც მაზეგ საქმეს არაფერი შველის, არავის მიაქვს დანიშნულებისამებრ მთხოვნელის ბინაზე. მაშინ კი უნებურად ტვინს ძალას დაატანს ჩვენი მთხოვნელი: იქნებ რაიმე საიდუმლოება იმალებაო? კითხულობს მიზეზს, ეუბნებიან, მწერლებს გასამრჯელო უნდა მიეცესო. «რატომაც არ მივცემ! მზად ვარ თუმანი გავიღო». – «რაღა თუმანი, თვითეულს თეთრიანი უნდაო». «რაო? თვითეულ მწერალს თეთრიანი?!» – შესძახებს მთხოვნელი. «აგრე რა გაცხარებთ? – მიუგებენ მას, – ანგარიში სწორად გამოვა, მწერლებს

ათ-ათი მანეთი ერგება, დანარჩენი კი უფროსებს მოხმარდება». აქ კი ჩვენი გულუბრყვილო მთხოვნელი შუბლში შემოიკრავს, სწყევლის ამ ახალი წესის მომგონებსაც, ქრთამების აკრძალვასაც და მოხელეთა თავაზიან მოპყრობასაც: წინათ ის მაინც ვიცოდით, თუ სად როგორ მოვქცეულიყავით; საკმარისი იყო მმართველისათვის ხელში წითლიანი ჩაგვედო, რომ საქმე გამოჩარხული გვქონდა, ახლა თეთრიანიც მიართვი და მთელი კვირაც იწანწალე, ვიდრე არ მიხვდები, რაშია საქმე. აი, ეშმაკსაც უზიდია ამისთანა უანგარობა და მოხელეთა კეთილშობილებაო! რა თქმა უნდა, მთხოვნელი მართალია, სამაგიეროდ ახლა მექრთამეობა მოსპობილია: ყველა მმართველი დიახაც სპეტაკი და უკეთილშობლესი ადამიანია, მხოლოდ მდივნები და მწერლები არიან სალახანები და თაღლითები. მალე ჩიჩიკოვს უფრო ფართო ასპარეზი გადაეშალა: ერთი კომისია შეადგინეს რომელიღაც სახაზინო კაპიტალური შენობის ასაგებად. ამ კომისიას ისიც მიეკედლა და მალე მისი ერთ-ერთი დაუღალავი და მოქმედი წევრი შეიქნა. კომისია დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. მთელი ექვსი წელი იტრიალეს შენობის ირგვლივ, მაგრამ არ ვიცი, ჰავამ შეუშალა ხელი თუ მასალა არ გამოდგა ისეთი, როგორიც საჭირო იყო, ეს კია, რომ არ იქნა და სახაზინო შენობა საძირკველს ვერ ასცილდა. ამავ დროს კი, ქალაქის განაპირა უბნებში, თითოეულმა ამ წევრთაგანმა ლამაზ-ლამაზი სახლები წამოჭიმა სამოქალაქო ხუროთმოძღვრების ყაიდაზე: როგორც ჩანდა, აქ ნიადაგი უკეთესი იყო. წევრები კეთილდღეობას მიეცნენ და დაოჯახდნენ კიდეც. აი, მხოლოდ ახლა გამოასწორა ჩიჩიკოვმა თავისი საქმე და ნელ-ნელა გამოვიდა უსასტიკესი მომჭირნეობის მდგომარეობიდან, მხოლოდ ახლა შეანელა ამდენი ხნის მარხულობა. აღმოჩნდა, რომ იმასაც შესძლებია თურმე ცხოვრების სიამით დატკბობა, რასაც ასე ეკრძალებოდა მგზნებარე სიჭაბუკის დროს, როცა არცერთი ადამიანი არაა მეუფე თავისი თავისა. ახლა მან ცოტა გადააჭარბა კიდეც: მარჯვე მზარეული დაიქირავა, მშვენიერი ჰოლანდიური პერანგები შეიძინა, მაუდის ნაჭერი კი ისეთი იყიდა, რომლის მსგავსს მთელი გუბერნია როდი ატარებდა, თანაც ამიერიდან უფრო მიხაკისა და მოწითალო ფერებს ირჩევდა ხოლმე. იმავე დროს მშვენიერი წყვილი ბედაური შეიძინა, სადავის ცალი ტოტი მუდამ თვითონ ეჭირა და კიდურა ცხენს სულ თამაშით დაატარებდა. თანვე წესად შემოიღო ტანის ხეხვა ღრუბლით, რომელსაც ოდეკოლონით შეზავებულ წყალში ამოავლებდა ხოლმე; უკვე ყიდულობდა საკმაოდ ძვირფას რაღაც საპონს, რომელიც კანს საოცრად არბილებს, უკვე...

მაგრამ უეცრად წინანდელი დონდლო უფროსის ნაცვლად გამოგზავნეს ახალი, სამხედრო კაცი, სასტიკი და დაუძინებელი მტერი მექრთამეებისა და ყველა იმისა, რასაც ტყუილს უწოდებენ. მეორე დღესვე მან ყველანი სათითაოდ შეაფუცხუნა, მოითხოვა ანგარიში, დაინახა, რომ ყველას კარგა საგრძნობი თანხა აკლია, იმავე დროს კი ქალაქში გამრავლებულა სამოქალაქო ხუროთმოძღვრების ლამაზ-ლამაზი შენობები და ხელი მიჰყო გამოძიებას. მოხელეები დაუყოვნებლივ თანამდებობიდან გადააყენა, სამოქალაქო ხუროთმოძღვრების შენობები საღვთო-სამადლო დაწესებულებებად და კანტონისტთა შენობებად გადააკეთებინა, ყველანი დაანიავა და მათ შორის ყველაზე მეტად ჩიჩიკოვი. მისი სახე, მიუხედავად იმისა, რომ ფრიად სანდომიანი ჰქონდა, უფროსს სრულებით არ მოეწონა, სახელდობრ, რატომ არ მოეწონა, ეს ღმერთმა უწყის, – ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდაც ხდება ხოლმე ასე, – და ჭირივით შეიჯავრა. საერთოდ ყველას შიშის ზარი დასცა მრისხანე უფროსმა. მაგრამ რადგანაც ის მაინც სამხედრო კაცი იყო და, მაშასადამე,

ნაკლებ ესმოდა სამოქალაქო ომებისა, რამდენიმე ხნის შემდეგ მისი წყალობის ღირსი გახდა ზოგიერთი მოხელე, რომლებმაც თავი ყოვლად უმანკოდ მოაჩვენეს და შეგუების დიდი უნარი გამოიჩინეს. ამიტომ იყო, რომ ეს ჩვენი გენერალი სულ მალე უარეს გაიძვერათა ხელში მოექცა, თუმცა ისინი კარგ ხალხად მიაჩნდა. იგი ძალიან კმაყოფილი იყო. ტრაბახობდა კიდეც, შეხეთ, როგორ ზედმიწევნით ვიცი ადამიანთა გარჩევა და მათი ნიჭის გამოცნობაო. მოხელეები ხელად ჩასწვდნენ გენერლის ხასიათსა და ბუნებას: მალე ყველა, ვინც კი მას ექვემდებარებოდა, სასტიკი მდევნელი შეიქნა ყოველნაირი უსამართლობისა; მოხელეები ამ უსამართლობას ყველგან ისე სდევნიდნენ, როგორც ბარჯმომარჯვებული მეთევზე მსუქან თართსა, სდევნიდნენ ისეთი დიდი წარმატებით, რომ სულ მალე თითოეულმა მათგანმა რამდენიმე ათასი მანეთის თანხა გაიჩინა. ამის შემყურე დანარჩენი ყოფილი მოხელეებიც მალე ჭეშმარიტების გზას დაადგნენ, ასე რომ ისინიც აღადგინეს თავიანთ თანამდებობაზე. ერთადერთი ჩიჩიკოვიღა დარჩა, რომელმაც ვერასგზით ვერ მოახერხა თავის აღდგენა, თუმცა გენერლის პირველმა მდივანმა, ჩიჩიკოვის მხრივ დიდად წაქეზებულმა თავად ხოვანსკის ბარათებით, დიახაც გამოიდო თავი მის დასაცავად. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გენერალს თავის ნება-სურვილზე დაატარებდა, იმანაც სრულებით ვერაფერი გაარიგა. გენერალი ისეთი ჯურის კაცი იყო, რომელიც თუმცა სხვის დუდუკზე თამაშობდა (მართალია, მისდა უცოდნელად), მაგრამ თუ რასმე ტვინში ჩაიდებდა, იგივე იყო, თუნდა რკინის ლურსმანი ჩაგერჭოთ, – იქიდან ვერასგზით ვეღარ გამოიღებდით. ერთადერთი, რისი მოგვარებაც შესძლო ჭკვიანმა მდივანმა, გახლდათ ის, რომ მოსპო ჩიჩიკოვის ჩირქმოცხებული ნამსახურობის ნუსხა, რაზეც ძლივძლივობით დაითანხმა გენერალი, ისიც მას შენდეგ, როცა თანაგრძნობის გამოსაწვევად მეტად ცოცხალი ფერებით აუწერია მისი საშინელი ოჯახური მდგომარეობა; თუმცა ჩიჩიკოვს, საბედნიეროდ, ოჯახი სულაც არ ჰყოლია.

«რა გაეწყობა! – თქვა ჩიჩიკოვმა, – გამოსდებ კაკვს – დაითრიე, დაგისხლტა ხელიდან – მოეშვი, ნუღა დაეძებ. ტირილით ვერაფერს უშველი, საქმე ისევ საქმით უნდა მოაკეთო». ჰოდა, გადაწყვიტა თავიდან დაეწყო კარიერის შექმნა, ხელახლა აღჭურვილიყო მოთმინებით, ხელახლა მომჭირნეობას შესდგომოდა, მაშინ როდესაც ის-ის იყო გაშალა ფრთები და ლაღ ცხოვრებას მოეკიდა, ამასთანავე სხვა ქალაქში უნდა გადასულიყო, სადაც ისევ საჭირო იქნებოდა უნარიანობის გამოჩენა და ყურადღების დამსახურება. ყოველივე ეს კი როგორღაც ვერ ეწყობოდა. სულ მოკლე ხანში ორი-სამი თანამდებობის გამოცვლა მოუხდა, ადგილებიც როგორღაც მურდალი ხვდებოდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩიჩიკოვი დიდი ზრდილობისა და წესრიგის ადამიანი იყო, რომლის მსგავსს ძნელად თუ სადმე შეხვდებით ამ ქვეყანაზე. თუმცა პირველ ხანებში იმასაც მოუხდა ბინძურ საზოგადოებაში ტრიალი, მაგრამ სულიერად მუდამ ფაქიზი რჩებოდა; უყვარდა, რომ კანცელარიაში სულ გალაქული მაგიდები ყოფილიყო, ყველაფერი რიგიანი და კეთილშობილური, არასოდეს თავს ნებას არ მისცემდა რაიმე უკადრისი სიტყვა ეხმარა და ყოველთვის თაკილობდა, თუ სხვების სიტყვებში გამოერეოდა ისეთი რამ, რაც არ ეკადრებოდა ადამიანის ხარისხსა და წოდებას. ვგონებ, მკითხველს ესიამოვნება გაიგოს, რომ ჩიჩიკოვი ყოველ ორ დღეში საცვლებს იცვლიდა, ზაფხულში კი, სიცხეების დროს, თითქმის ყოველდღე; რაიმე არასასიამოვნო სუნი უკვე გუნებას უფუჭებდა. ამიტომ იყო, რომ ყოველთვის როდესაც პეტრუშკა ჩექმების გასახდელად მოვიდოდა, მიხაკის ყვავილს შეიდებდა ცხვირში.

საერთოდ ნერვები ისეთი მგრძნობიარე ჰქონდა, როგორც გასათხოვარ ქალს; ამიტომაც ძალიან სამძიმო იყო მისთვის კვლავ ისეთ საზოგადოებაში მოქცევა, სადაც არყის სუნი იდგა და უხამსად იქცეოდნენ. ბევრს ეცადა ჩიჩიკოვი, რომ სულის სიმტკიცე არ დაჰკარგოდა, მაგრამ მაინც გახდა, წარმოიდგინეთ, გაყვითლდა კიდეც წუთისოფლის ასეთი უკუღმართობით. მან ის-ის იყო დაიწყო დასრულება და უნდა მიეღო ის საკადრისი დამრგვალებული სახე, რომელიც გავაცანით მკითხველს მოთხრობის დასაწყისში; არაერთხელ, როცა კი სარკეში ჩაუხედნია, გაუტაცნია მეტად საამურ ფიქრებს ცოლის შერთვაზე, შვილებზე, ამას თან სდევდა სანდომიანი ღიმილი; მაგრამ ახლა, როდესაც უნებლიეთ ჩაიხედა სარკეში და თავის თავს დააკვირდა, თავი ვეღარ შეიკავა და შესძახა: «ღმერთო ჩემო, რა საძაგლად გავმხდარვარო!» ამის შემდეგ დიდხანს აღარ მოსურვებია სარკეში ჩახედვა. მაგრამ ყველაფერი ეს დაითმინა ჩვენმა გმირმა, დაითმინა ვაჟკაცურად და ბოლოს საბაჟოში იშოვნა სამსახური. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სამსახური დიდი ხანია მისი ოცნების იდუმალ საგანს შეადგენდა. იგი ხედავდა, როგორი ძვირფასი საზღვარგარეთული ნივთეულობა შეიძინეს საბაჟოს მოხელეებმა: რა ფაიფური, რა ბატისტი არ იგზავნებოდა მათ მიერ ნათლიდედებთან, დეიდებთან, დებთან, არაერთხელ აღმოხდომია ჩიჩიკოვს გულის სიღრმიდან: «აი, სად ღირს გადასვლა და მოკალათება: საზღვარიც იქვეა და განათლებული ხალხიც! რა საუცხოო ჰოლანდიური პერანგების შეძენა შეიძლება იქ!» აქვე უნდა დავუმატოთ, რომ აგრეთვე რაღაც ფრანგული საპნის შეძენაზეც ოცნაბობდა, რომელიც კანს საოცარ სითეთრეს ჰმატებს, ხოლო ლოყებს მეტად საამურად აფუნთუშებს; რა ერქვა ამ საპონს, ღმერთმა უწყის, მაგრამ ჩიჩიკოვი დაწმუნებული იყო, ასეთი საპონი უსათუოდ საზღვარზე იშოვებაო. ამგვარად, მას დიდი ხანია უნდოდა საბაჟოში გადასვლა, მაგრამ ვერ ბედავდა, რადგან საამშენებლო კომისიიდან პატარ-პატარა გამორჩენა ჰქონდა და ამიტომაც სრულიად სამართლიანად მსჯელობდა, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო. ახლა კი გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, საბაჟოში გადასულიყო და მიაღწია კიდეც საწადელს. წარმოუდგენელი გულმოდგინებით შეუდგა სამსახურს. თითქოს ბედის განჩინებით პირდაპირ საბაჟოს მოხელედ იყო დაბადებული. ასეთი გამჭრიახობა, ასეთი საქმის ცოდნა, სიმარჯვე არათუ არავის ენახა, გაგონებითაც კი არ გაეგონათ. სამ-ოთხ კვირაში ხელი ისე გაივარჯიშა საბაჟოს საქმიანობაში, რომ უკვე ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: აღარც წონიდა, აღარც ზომავდა, ფაქტურითვე იცოდა, სად რამდენი არშინი მაუდია ან სხვა რამ ფართალი; საკმარისი იყო ხელში შეკვრა აეღო, რომ უმალვე ეთქვა, რამდენი გირვანქა გამოვიდოდა, რაც შეეხება ჩხრეკას, აქ, როგორც მისი ამხანაგებიც ამოწმებდნენ, პირდაპირ ძაღლის ყნოსვა ჰქონდა: მართლაც განსაცვიფრებელი იყო, სად ჰყოფნიდა ამდენი მოთმინება, რომ ყოველი ღილი სათითაოდ გაესინჯა, მერე ასეთი წარმოუდგენელი გულგრილობით და არანაკლებ გასაოცარი ზრდილობით. იმ დროს, როდესაც გასჩხრეკი პიროვნება ცოფმორეული ყალყზე დგებოდა და მზად იყო ერთი ლაზათიანად ამოეჩეჩქვა მისი საამური სახე, იგი ისე, რომ ოდნავადაც ნირს არ შეიცვლიდა და ზრდილობის ფარგლებს არ გადასცდებოდა, წყნარად იტყოდა ხოლმე: «ხომ არ ინებებთ, ცოტა თავი შეიწუხოთ და წამოდგეთ?» ან: «ხომ არ ინებებთ, ქალბატონო, მეორე ოთახში გაბრძანდეთ? იქ ერთ-ერთი ჩვენი მოხელის მეუღლე გესაუბრებათ». ანდა: «ნება მიბოძეთ, ამ პატარა ჯაყვით ოდნავ გავარღვიო თქვენი შინელის სარჩული», და როდესაც

ამას ამბობდა, სარჩულიდან უკვე აძრობდა ნაირ-ნაირ შარფებსა და თავსაფრებს, მერე ისე გულგრილად, თითქოს თავის საკუთარი ზანდუკიდან იღებსო.

თვით საბაჟოს უფროსებს არაერთხელ უთქვამთ: ეს ადამიანი კი არა, ქაჯიაო. ჩიჩიკოვს დაუთვალიერებელი არაფერი ეპარებოდა, ჩხრეკდა კარეტის თვლებსაც, ხელნებსაც, ცხენების ყურებსაც, ზოგჯერ კიდევ ისეთ ადგილებსაც, სადაც არც ერთ ავტორს ფიქრად არ მოუვა შეიჭყიტოს და სადაც შეჭყეტა-დათვალიერების ნება მხოლოდ საბაჟოს მოხელეებს აქვთ. საბრალო მგზავრი კი, რომელიც ბოლოს გადმოაბიჯებდა საზღვარს, რამდენიმე წუთის განმავლობაში გონზე ვერ მოდიოდა, მხოლოდ ოფლს იწმენდდა და პირჯვრის წერით ამბობდა: «უჰ! უჰ! ეშმაკსაც უზიდიხარო!» მისი მდგომარეობა ძალიან წააგავდა იმ მოწაფის მდგომარეობას, რომელიც საიდუმლო ოთახიდან გამოჭრილა, სადაც მასწავლებელმა შეიტყუა თითქოსდა რაიმე დარიგების მისაცემად და ამის ნაცვლად კი სრულიად მოულოდნელად კარგად გაწკეპლა. სულ მოკლე ხანში ჩიჩიკოვმა პირდაპირ სული ამოხადა კონრტაბანდისტებს. იგი თავზარდამცემ მეხად მოევლინა სასოწარკვეთილებამდე მისულ პოლონელ ურიებს. მისი პატიოსნება და უანგარობა დაუძლეველი შეიქნა, თითქმის არაბუნებრივი. წარმოიდგინეთ, უბრალო თანხაც კი არ დააგროვა სხვადასხვა ჩამორთმეული საქონლისა და ნივთებისაგან, რომლებიც ხაზინაში აღარ შეჰქონდათ ხოლმე, რათა თავიდან აეცილებინათ ზედმეტი მიწერ-მოწერა. ასეთი თავდადებული და უანგარო სამსახური შუძლებელია საზოგადო განცვიფრების საგნად არ გადაქცეულიყო და ბოლოს უფროსების ყურამდე არ მიეღწია. ჩიჩიკოვი დააწინაურეს, რის შემდეგ მან უფროსებს კონტრაბანდისტების შეპყრობის გეგმა წარუდგინა, ოღონდ ითხოვა, საშუალება მომეცით, ეს საქმე მე თვითონ განვახორციელოო. უფროსებმა მაშინვე დამხმარე რაზმი ჩააბარეს და განუსაზღვრელი უფლებებითაც აღჭურვეს. ჩიჩიკოვს სწორედ ეს უნდოდა. იმ დროს დაარსდა კონტრაბანდისტთა ძლიერი საზოგადოება, რომელიც მეტად მოფიქრებულად და ფრთხილად მოქმედებდა, ასე რომ საქმე თუკი მშვიდობით დაგვირგვინდებოდა, მილიონობით მოგებას უქადდათ. ჩიჩიკოვს დიდი ხანია ცნობა მოუვიდა ამ კონტრაბანდისტებზე, რომელთაც საგანგებო კაციც კი მიუგზავნეს მოსაქრთამავად, მაგრამ ჩიჩიკოვმა ცივად მოუჭრა: «არა, ჯერ კიდევ არ დამდგარა ამის დროო». ხოლო როდესაც მის განკარგულებაში გადავიდა მთელი ძალაუფლება, იმავე წუთში აცნობა საზოგადოებას მხოლოდ ორიოდე სიტყვით: «ახლა კი დროაო». ანგარიში ზედმიწევნით სწორი იყო. აქ ერთ წელიწადში იმდენის მოხვეჭა შეეძლო, რასაც მთელი ოცი წლის განმავლობაში ვერ ეღირსებოდა, თუნდაც სამსახურში ერთგულებით წელებზე ფეხი დაედგა. პირველ ხანებში არავითარი ურთიერთობის დაჭერა არ უნდოდა კონტრაბანდისტების საზოგადოებასთან, რადგანაც იგი უბრალო პაიკს წარმოადგენდა, მაშასადამე, ძალიან ცოტას მისცემდნენ, ახლა კი... ახლა სულ სხვა იყო. მას შეეძლო ყოველგვარი პირობების წაყენება მათთვის. საქმის წარმატებით წასამართავად მან თავისკენ გადმოიბირა მეორე მოხელეც, თავისი ამხანაგი, რომელმაც ცდუნებას ვეღარ გაუძლო, მიუხედავად იმისა, რომ თმა მთლად გაჭაღარავებოდა. პირობები შემუშავდა და სათანადო ხელშეკრულებაც დაიდო: საზოგადოება შეუდგა მოქმედებას. დასაწყისი მოქმედებისა მეტად ბრწყინვალე გამოდგა: მკითხველს, უეჭველია, სმენია ასე ხშირ-ხშირად განმეორებული ამბავი ესპანური ცხვრების საოცარი მოგზაურობისა, რომელთაც ორმაგი ქურქებით გადმოლახეს საზღვარი, ხოლო ქურქებქვეშ გადმოიტანეს მილიონად

ღირებული ბრაბანტის მაქმანები. ეს ამბავი სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ჩიჩიკოვი საბაჟოში მსახურობდა. უკეთუ მას არ მიეღო მონაწილეობა ამ წამოწყებაში, მთელი ქვეყნის ურიებიც რომ დატრიალებულიყვნენ, მაინც ვერაფერს გახდებოდნენ. ცხვრების ამნაირი სახით სამჯერ თუ ოთხჯერ საზღვრის გადმოლახვის შემდეგ ორივე მოხელის ხელში ოთხას-ოთხასათასიანმა თანხამ მოიყარა თავი. ჩიჩიკოვმაო, ამბობდნენ ზოგიერთნი, ნახევარ მილიონსაც გადააჭარბა, რადგანაც ის უფრო თამამი იყო ამ საქმეშიო. ღმერთმა უწყის, სადამდის გაიზრდებოდა ეს დალოცვილი თანხა, რომ რაღაც მავნე სული არ გადაღობებოდა ამ საქმეს. ეშმაკი შეუჯდა ორივე მოხელეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, მთლად დაკარგეს გონება და სულ ტყუილ-უბრალოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. ერთხელ, გახურებული ლაპარაკის დროს, შეიძლება პატარა ნასვამებიც იყვნენ, ჩიჩიკოვმა მეორე მოხელეს პოპოვიჩი უწოდა. იმან კი, თუმცა მართლაც მღვდლის შვილი იყო, არავინ იცის, რატომ, სასტიკად ითაკილა ეს და უმალვე პირში მიახალა უჩვეულო სიმკაცრით: «ვერ მოგართვეს! მე სტატსკი სოვეტნიკი ვარ და არა პოპოვიჩი, შენ კი ნამდვილად პოპოვიჩი ხარ!» ჰოდა, რომ უფრო გული მოეკლა მისთვის, ჯიბრით ესეც კი დაურთო: «დიახ, მაშ რა გეგონა!» თუმცა ამნაირად მოუჭრა სიტყვა ჩიჩიკოვს, უკანვე თავში სთხლიშა მისი გამოგონილი სახელწოდება და «დიახ, მაშ რა გეგონაო!» ძალიან მაგრადაც იყო ნათქვამი, არ დაკმაყოფილდა ამით და საიდუმლო წერილი აფრინა, სადაც ჯერ არს. მართალია ამბობდნენ, ვითომც აქამდისაც იყვნენ ნაჩხუბრები ერთი ქალის გამო, რომელიც, საბაჟოს მოხელეების სიტყვით რომ ვთქვათ, ისეთი ქორფა და ჩატუკუნებული ვინმე იყო, როგორც ახალახალი თალგამი; იმასაც კი ამბობდნენ, ვითომ ვიღაც კაცები მოესყიდოს ამ მოხელეს, რათა სადმე ბნელ კუთხეში ცხვირ-პირი კარგად ამოეჩეჩქვათ ჩვენი გმირისათვის, მაგრამ ორივე მოხელე ხახამშრალი დარჩა, ვინაიდან ის ქალი ვიღაც შტაბს-კაპიტანმა შამშარევმა ჩაიგდო ხელშიო. როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება, ეს ღმერთმა უწყის; დაე, თვითონ მკითხველებმა განსაჯონ და მიანდონ თავიანთ ფანტაზიას, აქ უმთავრესი ისაა, რომ ფარული კავშირი კონტრაბანდისტებთან უკვე გამომჟღავნდა და თუმცა სტატსკი სოვეტნიკმა თავისი თავი დაიღუპა, მაგრამ თან ამხანაგიც ჩაითრია. მოხელეები სამართალში მისცეს, ყველაფერი ჩამოართვეს, ყველაფერი აუწერეს, რაც კი რამ ებადათ, და ყველაფერი ეს ორივესათვის მეხივით მოულოდნელი იყო. გონზე მხოლოდ ახლა მოვიდნენ, დაინახეს, რა საშინელება დაიტეხეს თავს. სტატსკი სოვეტნიკმა ვეღარ გაუძლო და, რუსული ჩვეულებისამებრ, დარდისაგან სმა დაიწყო, კოლეჟსკი სოვეტნიკმა კი გაუძლო. მან დროზე მოახერხა ფულის საგრძნობი ნაწილის გადამალვა, თუმცა გამოსაძიებლად მოსული ხელისუფლება დიდად ალღოიანი ხალხი იყო. ჩიჩიკოვმა, ხალხის გამოცნობაში უკვე საკმაოდ გაქნილ-გამოწრთობილმა, გონების დიდი სიმახვილე გამოიჩინა: სად ზრდილობიანი ქცევით მოინადირა მათი გული, სად მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა, სად პირფერობის ბადე გაშალა და ხოტბა-დიდების საკმეველი დაეკმია, რაც საქმეს ოდნავადაც არა ვნებს ხოლმე, ზოგს ქრთამიც ჩაუჯიბა, – ერთი სიტყვით, საქმე გაჩარხა ისე, რომ მისი ამხანაგივით სასტიკად არ გალანძღულა და სისხლის სამართალსაც დააღწია თავი. მაგრამ ეს კია, რომ თითქმის მთლად გაიფცქვნა, აღარაფრიდან აღარაფერი დარჩა, აღარც თანხა და აღარც საზღვარგარეთული ნივთები, ყველა ამას ახალი პატრონები გამოუჩნდნენ. ხელთ მხოლოდ ათი ათასი მანეთიღა შერჩა, შავი დღისთვის შემონახული, ორიოდე დუჟინი ჰოლანდიური პერანგი, პატარა ბრიჩკა, რომლითაც უცოლშვიილო ხალხი დაიარება და ორი შინაყმა – მეეტლე სელიფანი და ლაქია პეტრუშკა. გარდა ამისა,

საბაჟოს მოხელეებმა შეიბრალეს და ხუთი თუ ექვსი ნაჭერი საპონი დაუტოვეს ფუნთუშა ლოყების სინორჩის შესანარჩუნებლად. ეს იყო და ეს. აი, რა უბედურ მდგომარეობაში ჩავარდა ისევ ჩვენი გმირი! აი, რა მეხი დაეცა თავს! აი, ამას უწოდებდა იგი: სამსახურში სიმართლის გულისთვის ბევრი დევნა და უბედურება გადავიტანეო. ახლა შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამდენი ქარიშხლისა, განცდისა, ბედის სიმუხთლეთა და ცხოვრების სიმწარეთა გადატანის შემდეგ ყველაფერზე ხელს აიღებდა, შემონახული ათი ათასი მანეთით მყუდრო, მიყრუებულ სამაზრო პატარა ქალაქს მიაშურებდა. იქ სადმე, დაბალი სახლის ფანჯარასთან ჩითის ხალათით მიმჯდარი, დაითვლიდა თავისი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს, კვირა-უქმე დღეს გამოვიდოდა გარეთ მისი ფანჯრის წინ მომხდარი სოფლელების ჩხუბის გასარჩევად, ანდა გასართობად გაისეირნებდა. საქათმეს ეწვეოდა, პირადად შეამოწმებდა, ივარგებდა თუ არა საწვნედ შერჩეული დედალი, და ასე და ამრიგად, მყუდროდ, თავისთვის გაატარებდა ჩუმსა და თავისებურად არც მთლად უსარგებლო დღეებს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სიმართლე უნდა ითქვას, ჩიჩიკოვს მეტად უდრეკი ხასიათი და ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა მომადლებული. ყველა ამის შემდეგ, რაც საკმარისი იყო, რომ კაცს ან თავი მოეკლა, ანდა სამუდამოდ ხელი აეღო ყველაფერზე, მას კიდევ შერჩა დაუშრეტელი ძალა და სურვილი მოქმედებისა. მართალია, დიდად წუხდა, ჯავრით დნებოდა, მთელ ქვეყანას უჩიოდა, ბრაზობდა ბედის უკუღმართობაზე, წყევლიდა ხალხის უსამართლობას, მაგრამ მაინც ხელს არ იღებდა ახალ-ახალ ცდაზე. ერთი სიტყვით, დიდი მოთმინება გამოიჩინა, რომელთან შედარებით არაფერს წარმოადგენს გერმანელის გახევებული მოთმინება, რაც ბუნებრივი შედეგია მისი ნელი, მოდუნებული სისხლის მიმოქცევისა. ჩიჩიკოვის სისხლი კი, პირიქით, ძლიერად დუღდა და დიდი ნებისყოფა იყო საჭირო, ყველა იმისათვის ლაგამი ამოედო, რასაც ამოხტომა და თავისუფალი ნავარდი სწადდა. იგი მსჯელობდა, და ამ მსჯელობაში რამდენადმე სიმართლეც იყო: «მაინც რატომ მე დამატყდა ასეთი უბედურება? უქმად ვინ ზის ახალ ადგილზე? ყველანი ყველაფერს იძენენ. მე არავინ გამიუბედურებია: ქვრივ-ობლები არ გამიძარცვავს, ქუჩაში სამათხოვროდ არავინ გამიშვია, მე მხოლოდ ზედმეტით ვსარგებლობდი, ვიღებდი იქ, სადაც სხვებიც აიღებდნენ; თუ მე არ მესარგებლა, სხვები ისარგებლებდნენ. მაშ რატომაა, რომ სხვები კეთილდღეობით ტკბებიან და მე კი მატლივით უნდა გავისრისო? ან რა ვარ ახლა მე? სად გამოვდგები? რანაირი თვალით უნდა შევხედო პატივცემულ ოჯახის მამას? როგორ არ უნდა დამტანჯოს სინდისმა, როდესაც ვხედავ, ამაოდ ვამძიმებ მიწას? ან რას იტყვიან ჩემი შვილები? აიო, – იტყვიან ისინი, – იმ პირუტყვმა მამაჩვენმა არავითარი ქონება არ დაგვიტოვაო!»

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩიჩიკოვი დიდად ზრუნავდა თავისი შთამომავლობისათვის. რა სათუთი საგანია! შესაძლოა ზოგიერთს ასე ღრმად არც კი ჩაეყო ხელი სხვის ჯიბეში, თუ ეს საკითხი არ წამოჭრილიყო, რომელიც, არ ვიცით რატომ, თავისთავად გამოტყვრება ხოლმე: მერე რას იტყვიან შვილები? და აი, მომავალი შთამომავლობის მამამთავარი, როგორც ფრთხილი ხვადი კატა, რომელიც ცალი თვალით სულ გვერდზე იყურება, საიდანმე პატრონი ხომ არ მითვალთვალებსო, ყველაფერს სასწრაფოდ იტაცებს, რაც კი ახლომახლო მოხვდება – საპონი იქნება, სანთელი, ქონი თუ იადონი, – ერთი სიტყვით, არაფერს გაუშვებს. ასე ჩიოდა და ტიროდა ჩვენი გმირი, მისი გონება კი განუწყვეტლივ მუშაობდა, სულ რაღაც ფიქრებს უტრიალებდა და გეგმებს აწყობდა. კვლავ შეივიწროვა თავი, კვლავ

შეუდგა მძიმე ცხოვრებას, კვლავ ყველაფერზე ხელი აიღო, სუფთა, რიგიანი ცხოვრებიდან კვლავ ტალახსა და წუმპეში ამოჰყო თავი. უკეთესის მოლოდინში ჩიჩიკოვი იძულებული გახდა რწმუნებულის ხელობისთვის მოეკიდა ხელი, – ხელობისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ მოქალაქეობრივი უფლება ვერ მოუპოვებია ჩვენში და ყველგან კინწისკვრით უმასპინძლდებიან, პატივს არ სცემენ არც წვრილფეხა სახაზინო მოხელეები და არც თვით მრწმუნებელნი, ხელობისთვის, რომელიც ადამიანს დერეფნებში მუცლით ხოხვას და ათასი უხეშობისა და შეურაცხყოფის გადატანას შეაჩვევს. მაგრამ რა ექნა, გაჭირვებამ აიძულა ყველაფერი ეკისრა. დაკისრებულ საქმეებში, სხვათა შორის, ერთი ასეთი გამოდგა: მას რამდენიმე გლეხი უნდა დაეგირავებინა სამეურვეო საბჭოში. მამული ყოვლად გაპარტახებული იყო. გაეპარტახებინა საქონლის ჭირს, გაიძვერა მოურავებს, მოუსავლიანობას, ათასნაირ მოარულ სენს, რომელსაც მოესპო და გაენადგურებინა საუკეთესო მუშახელი, და, ბოლოს, თვითონ მემამულის თავქარიანობას, რომელიც მოსკოვში დიდი გემოვნებით და მოდის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით რთავდა სახლს და ამ მორთვას ახარჯავდა უკანასკნელ გროშს, ასე რომ დღიური სახარჯოც კი აღარ დარჩა. სწორედ ამ მიზეზით საჭირო შეიქნა ბოლოს უკანასკნელი მამულის დაგირავებაც. იმ ხანებში ხაზინაში მამულის დაგირავება სრულიად ახალი საქმე იყო, რისაც ყველას ეშინოდა. ჩიჩიკოვმა, როგორც ამ მემამულის რწმუნებულმა, წინასწარვე გააწყო საქმე, სადაც ჯერ არს (წინასწარ საქმის გაუჩარხავად, როგორც მოგეხსენებათ, ყოვლად შეუძლებელია თუნდა უბრალო ცნობის ან ამონაწერის მიღება, ერთი ბოთლი მადერა მაინც უნდა ჩააცეცხლო მოხელეს, რომ რაიმეს გახდეთ). ამნაირად, რაკი საქმე გაიჩარხა და ყველანი თავისი საქმის სასარგებლოდ მიიმხრო, მან ასეთი განმარტება მისცა: სხვათა შორის, აი როგორი მდგომარეობაა, ნახევარი გლეხობა გაწყდა, ასე რომ შემდგომ რაიმე გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილიო...

– ჰო, მაგრამ ის გლეხები სარევიზიო დავთრებიდან ჯერ კიდევ ხომ არ ამოუშლიათ? – შეეკითხა მდივანი.

– არ ამოუშლიათ, – მიუგო ჩიჩიკოვმა.

– თუ აგრეა, მაშ რა ყურები ჩამოჰყარეთ? – უთხრა მდივანმა. – ერთი თუ კვდება, მეორე ჩნდება, საქმეს ორივე გამოადგება...

როგორც ხედავთ, მდივანს რითმებითაც შეეძლო ლაპარაკი. ჩვენს გმირს კი უეცრივ ზეშთაგონებით ერთმა დიდებულმა აზრმა გაუარა, რომლის მსგავსი ჯერ ძეხორციელს არ მოსვლია. «ეჰ, რა ყეყეჩი ვინმე ვარ, – წარმოთქვა თავისთვის, – ხელჯაგებს დავეძებ და აგერ, ორივე კი წელთან მიბარტყუნებს! მე რომ ყველა ეს მიცვალებული ხალხი ვიყიდო, ვიდრე მათ პატრონებს ახალი სარევიზიო სიები არ წარუდგენიათ, ვთქვათ, ერთი ათასი მკვდარი სული რომ შევიძინო და ორას-ორას მანეთად დავაგირაო სამეურვეო საბჭოში, ესეც შენი ორასი ათასი მანეთი! სწორედ ახლაა ხელსაყრელი დრო, ამას წინათ ეპიდემია იყო და, მადლობა ღმერთს, ჭირმა საკმაოდ გაწყვიტა ხალხი. მემამულეებმა ბანქოს თამაშით საკმაოდ გაიკოტრეს თავი, ქეიფმა და ბედოვლათობამ ხომ უკანასკნელი ლუკმაც გამოაცალათ, ყველა პატერბურგს გადასახლდა, მამულები მიტოვებულია, რის

ვაინაჩრობით უვლიან, გადასახადების გაღებაც დღიდან დღემდე ძნელდება, – ასე რომ სიხარულით დამითმობს თითოეული, თუნდაც იმიტომ, რომ მათზე სულობით გადასახადი აღარ გაიღოს; ზოგს კიდევ შეიძლება აქეთ ჩამოვრჩე ორიოდე გროშს. რა თქმა უნდა, ძნელი საქმეა, სადავიდარაბო, იმავე დროს სახიფათოც, კიდევ რაიმე უსიამოვნება არ შემამთხვიონ და აქედან მთელი ამბავი დაატრიალონ. მაგრამ რისთვის აქვს ადამიანს გონება, თუ ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენებს? და რაც მთავარია, კარგი ისაა, რომ საგანი მეტად უჩვეულოა, არავინ დაიჯერებს. მართალია, უმიწაწყლოდ არც ყიდვა შეიძლება და არც დაგირავება, მაგრამ მე ისე ვიყიდი, ვითომც სადმე გადასასახლებლად მინდა ჩემსავე მამულში; ახლა თავრიასა და ხერსონის გუბერნიაში მიწებს მუქთად არიგებენ, ოღონდ შესძელ დასახლება. მეც ავდგები და ყველას იქ გადავასახლებ! ხერსონისაკენ ვუკრავ თავს, დაე, იქ იცხოვრონ! გადასახლება კი შეიძლება კანონიერი გზით, სასამართლოს წესით, რა თქმა უნდა, თუ გლეხების შემოწმებას მოისურვებენ, ინებონ, არც ამაზე ვიტყვი უარს, ან რატომაც არა? ავდგები და პირდაპირ კაპიტან-ისპრავნიკის ხელმოწერილ მოწმობას მივაჩეჩებ. სოფელს შეიძლება საკუთარი სახელწოდებაც მივცეთ: ჩიჩიკოვის დაბა, ანდა ჩემი ნათლობის სახელი – დაბა პავლოვსკოე». აი რანაირად დამუშავდა ჩვენი გმირის თავში ეს უცნაური ამბავი, რაზეც არ ვიცი, მადლობელი იქნებიან თუ არა მკითხველები, მაგრამ თვითონ ავტორი კი ძალიან მადლობელია. მართლაც, თუ ჩიჩიკოვს თავში ასეთი აზრი არ მოსვლოდა, მაშინ ეს პოემაც დღის ნათელს ვერ იხილავდა.

რუსული ადათისამებრ პირჯვარი გადაიწერა და განზრახვის შესრულებას შეუდგა. ვითომც საცხოვრებელი ადგილის ასარჩევად დავდივარო, მან ჩვენი ვრცელი სახელმწიფოს ხან ერთ კუთხეში შეიხედა და ხან მეორეში, უმეტესად ისეთებში, რომლებიც უფრო მეტად დაზარალდნენ უბედური შემთხვევებისაგან, როგორიცაა მოუსავლობა, ჭირიანობა, სიკვდილი და მრავალი სხვა, – ერთი სიტყვით, ისეთ მხარეებში, სადაც ადვილად შეეძლო საჭირო ხალხის შეძენა. ჩიჩიკოვი პირდაპირ კი არ მიადგებოდა ხოლმე ალალბედზე რომელიმე მემამულეს, არამედ წინასწარ შეარჩევდა თავისი გემოვნების მიხედვით, საქმეს იჭერდა ისეთებთან, რომლებთანაც ადვილად შეიძლებოდა მსგავსი გარიგების გაჩარხვა, ამასთანავე ცდილობდა ჯერ მათ გაცნობას, კარგი განწყობილების ჩამოგდებას, რომ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, უფრო მეგობრობით და არა შესყიდვით შეეძინა გლეხები. ამგვარად, მკითხველები არ უნდა დაემდურონ ავტორს, თუ აქამდე გამოყვანილი გმირები მათი გემოვნებისა არ არიან. დამნაშავეა თვითონ ჩიჩიკოვი, რომელიც აქ სრული ბატონ-პატრონია, და სადაც მას მოეპრიანება, ჩვენც უნდა უკან ჩანჩალით გავყვეთ. ჩვენი მხრივ, თუკი ბრალად დაგვედო შეუხედავი და უფერული მოქმედი პირების დახასიათების მოცემა, მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, რომ დასაწყისშივე არასდროს არ ჩანს საქმის მოცულობისა და მისი მიმდინარეობის სიგრძე-სიგანე. შესვლა რომელიმე ქალაქში, თუნდაც იგი სატახტო იყოს, მუდამ როგორღაც უფერულია; პირველ ხანებში ყველაფერი ნაცრისფრად მოჩანს, ერთფეროვნად: ერთიმეორეს დაუსრულებლივ მისდევს გაჭვარტლული ქარხანა-ფაბრიკები, შემდაგ კი გაიხედავ, ექვსსართულიანი სახლებიც შემოგანათებენ თვალს, მაღაზიები, აბრები, ქუჩების უზარმაზარი პერსპექტივები თავისი სამრეკლოებით, სვეტებით, ქანდაკებებით, კოშკებით, ქალაქური ხმაურით, გრგვინვა-გრიალით და ყველა იმით, რაც ადამიანის ხელსა და გონებას საკვირველებად შეუქმნია. როგორ წარმოებდა თავდაპირველად მკვდარი სულების შეძენა, ეს მკითხველმა უკვე

იხილა. როგორ წავა შემდგომ საქმე, რა წარმატება და უბედობა ეწევა ჩვენს გმირს, როგორ მოახერხებს იგი გზაზე შეხვედრილ უფრო ძნელ დაბრკოლებათა გადალახვას, რა დიდებული სახეები გამოჩნდებიან, როგორ ამოძრავდება ჩვენი ვრცელი მოთხრობის იდუმალი ბერკეტები, რანაირი შორი ჰორიზონტი ექნება მას და რა დიდებულ ლირიკულ მიმდინარეობასთან გვექნება საქმე, – ამას მკითხველი შემდგომ დაინახავს. ჯერ კიდევ ბევრი მგზავრობა მოუხდებათ გზად გასულებს: საშუალო ხნის ბატონს, მის ბრიჩკას, რომლითაც უცოლშვილო ხალხი დაიარება, ლაქია პეტრუშკას, მეეტლე სელიფანს და ცხენების სამეულს, რომელთაც სათითაოდ თავთავისი სახელებით ვიცნობთ, დაწყებული ზასედატელითა და დამთავრებული თუქსუსი შავხალათი; ამნაირად, აგერ თქვენ თვალწინაა ჩვენი გმირი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით! მაგრამ იქნებ ინებონ და მოისურვონ საბოლოოდ გაგება: სახელდობრ, რას წარმოადგენს იგი ზნეობრივი თვალსაზრისით? რომ ეს გმირი არ გახლავთ აღსავსე სათნოებითა და სრულყოფით, ეს უკვე ვნასეთ. მაშ ვინ არის იგი? ვიღაც გაიძვერა? მაგრამ რატომ გაიძვერა? რად უნდა ვიყოთ ისეთი სასტიკი სხვებისადმი? ახლა გაიძვერა ხალხი აღარაა, ჩვენში მხოლოდ სათნონი არიან, სასიამოვნონი, ისეთები კი, რომლებიც შეიძლება სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ და საჯაროდ სილა გავაწნათ, მხოლოდ ორი თუ სამი კაცი იქნება სადმე, მაგრამ თვითონ ისინიც ახლა სულ სათნოებაზე ლაპარაკობენ. უმჯობესი იქნება ჩიჩიკოვს ვუწოდოთ მეპატრონე, საკუთრების შემძენი. სწორედ ეს შეძენა გახლავთ ყველაფრის მიზეზი; ამისგან წარმოიშვა ის საქმე, რომელსაც ქვეყანა მაინცდამაინც სუფთა საქმედ არ თვლის. მართალია, ასეთი ადამანის ხასიათში უკვე თავისთავადაა რაღაც უარყოფითი, და იგივე მკითხველი, რომელიც თავის ცხოვრების გზაზე ასეთ კაცს მეგობრად თვლის, მასთან პურმარილს იზიარებს და კარგ დროსაც ატარებს, – მაშინვე ალმაცერად დაუწყებს ყურებას, თუ იგი ვინმემ დრამისა ან პოემის გმირად გამოიყვანა. მაგრამ ბრძენია იგი, ვინც არავითარ ხასიათს არ ითაკილებს, ვინც გამომცდელ თვალს მიაპყრობს და პირვანდელ მიზეზებს გამოიძიებს. როგორი სისწრაფით გარდაიქმნება ხოლმე ყველაფერი ადამიანში; თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებთ, რომ უკვე საშინელი მატლი გაუჩნდება, რომელიც თვითნებურად სწოვს მის მასაზრდოებელ ნოყიერ წვენს. არაერთხელ მომხდარა, რომ არათუ ძლიერი გატაცება, არამედ სულ ერთი ბეწო სურვილიც კი გაზრდილა და ღრმად გაუდგამს ფესვები დიდი ღვაწლისათვის დაბადებული ადამიანის გულში, დაუვიწყებია მისთვის ყველა დიადი და უწმინდესი მოვალეობა და უბრალო ჟღარუნებში დაუნახვებია უწმინდესი და უმაღლესი მისწრაფებანი. უამრავია, ვით ზღვის ქვიშა, ადამიანის გატაცება, რომელნიც სრულიად არ ჰგვანან ერთმანეთს: ზოგი მდაბალია, ზოგი კი წარმტაცი, მშვენიერი; პირველ ხანებში ისინი ემორჩილებიან ადამიანს, შემდგომ კი ულმობელ მბრძანებლად ევლინებიან. ნეტარ არს იგი, ვისი გატაცებაც მშვენიერია. ყოველ წუთსა და ჟამს იზრდება და ათკეცდება მისი უსაზღვრო ნეტარება, ღრმად და ღრმად წვდება თავისი სულის დაუსრულებელ სამოთხეს. მაგრამ არის ზოგიერთი გატაცება, რომლის არჩევა ადამიანის ხელთ არაა. ეს ის ვნებანი გახლავთ, რომლებიც ადამიანთან ერთად იბადება და რომელთა აღმოსაფხვრელად ადამიანს ძალ-ღონე არ შესწევს. უზენაეს განგებას მოუმადლებია ისინი ადამიანისათვის, მათში არის რაღაც იდუმალი ძალა, რომელიც მარად მოუწოდებს და მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისკენ იზიდავს, დიადი მიწიერი ასპარეზი აქვთ გაშლილი მათ სამოქმედოდ და უნდა მოიხადონ დანიშნულება, სულ ერთია, როგორიც იქნება იგი: ბნელი თუ ნათელი ქვეყნიერების გარდმოვლინება, – ორივე

თანაბრად გამოწვეულია ადამიანისათვის უცნობი სიკეთის სახილველად. ვინ იცის, თვითონ ჩიჩიკოვის გატაცებაც, რომელიც მისდა უნებურად თავისკენ ეწეოდა, მისგან არ იყოს დამოკიდებული და მის უფერულ არსებობაში იმარხება ისეთი რამ, რაც შემდგომ ადამიანს ქედს მოახრევინებს და წამოაჩოქებს განგების ძალის წინაშე! ეს კიდევ საიდუმლოა, თუ რატომ მოხდა, რომ ასეთმა ადამიანმა იჩინა თავი ამ პოემაში.

მაგრამ ის კი არაა სამძიმო. რომ მკითხველები ჩვენი გმირით უკმაყოფილონი დარჩებიან. მე ის მიმძიმს და მთელი არსებით მჯერა, იმავე გმირით, იმავე ჩიჩიკოვით კმაყოფილები დარჩებოდნენ მკითხველები, თუ რომ ავტორს ასე ღრმად არ ჩაეხედა მის სულში, მისი გულის ფსკერზე არ შეერხია ყველაფერი ის, რაც ქვეყნისათვის დაფარულია, არ გამოემზეურებინა მისი აზრები, რასაც ადამიანი არასოდეს სხვას არ გაანდობს, ეჩვენებინა იგი იმავე სახით, როგორადაც წარმოუდგა მთელ ქალაქს, მანილოვსა და სხვებს, – მაშინ მკითხველები უსაზღვროდ მადლობელნი დამრჩებოდნენ და ჩიჩიკივს ფრიად საინტერესო ადამიანად ჩათვლიდნენ. მერე რა ვუყოთ, რომ არც მისი სახე, არც მთელი მისი არსება ცოცხალივით არ დაგიდგებათ თვალწინ, სამაგიეროდ წაკითხვის შემდეგ სული არაფრით შეგიშფოთდებოდათ და დაარხეინებით შეგეძლებოდათ მისჯდომოდით ბანქოს სათამაშო მაგიდას, რომელიც ესოდენ ართობს მთელ რუსეთს. დიახ, ჩემო კეთილო მკითხველებო, თქვენ არ გსურთ იხილოთ ადამიანის სულის გამოაშკარავებული სიღატაკე. რა საჭიროა ყიველივე ეს? – მეტყვით თქვენ, – განა ჩვენ არ ვიცით, რომ ქვეყნიერებაზე ბევრი რამ არის საზიზღარი და სულელური? უამისოდაც ბევრჯერ გვიხდება ძალაუნებურად დავინახოთ ყველაფერი ის, რაც მაინცდამაინც სანუგეშოს არას შეიცავს. უმჯობესია წარმოგვიდგინოთ მშვენიერი რამ, წარმტაცი, დეე, თავდავიწყებას მივეცეთ! «რად მეუბნები, ძმაო, რომ მეურნეობის საქმე ცუდად მიდის? – ეუბნება მემამულე მოურავს!, – ეს უშენოდაც კარგად ვიცი, ჩემო ძმაო, ნუთუ სხვა სალაპარაკო არაფერი გაქვს? შენ ის მითხარი, რაც ყველაფერ ამას დამავიწყებს, და მაშინ ვიქნები ბედნიერი». და აი, ის ფული, რასაც შეეძლო რამდენადმე მაინც გამოესწორებინა მეურნეობის საქმე, სულ სხვა რამეზე იხარჯება, იმისთანა რამეზე, რაც მას თავდავიწყებას მიანიჭებს. სძინავს გონებას, რომელიც შეიძლებოდა უდიდეს შესაძლებლობათა მოულოდნელ წყაროდ გადაქცეულიყო. ამასობაში კი მისი მამული აუქციონიდან იყიდება, ხელცარიელი ჩვენი მემამულეც ცდილობს თავდავიწყებას, სულ დაბლა, დაბლა მიექანება და ბოლოს ისეთ წუმპეში ჩაგორდება, მზადაა ისეთი სიმდაბლე ჩაიდინოს, რომლის მარტო ერთი წარმოდგენაც წინათ თავზარს დასცემდა.

კიდევ ერთი ბრალდება შეიძლება წამოუყენონ ავტორს ეგრეთ წოდებულმა პატრიოტებმა, რომლებსაც არხეინად მოუკალათებიათ თავთავიანთ მყუდრო კუნჭულებში და სულ სხვა საქმით არიან გატაცებულნი – აგროვებენ კაპიტალს და თავიანთ ბედს ჩარხავენ სხვების ხარჯზე; მაგრამ საკმარისია ერთი რამ მოხდეს, რაც, მათი აზრით, შეურაცმყოფელია სამშობლოსათვის, გამოვიდეს წიგნი, რომელშიც მწარე სიმართლე ღაღადებს, ისინი ყველა კუნჭულიდან დაიძრებიან, როგორც მიმალული ობობები, რომელთაც ქსელში გაბმული ბუზი შეამჩნიეს, და ერთ განგაშს ასტეხენ: «ნუთუ კარგია ასეთი რამის გამოქვეყნება, ამისთანა რამის გამომზეურება? რაც კი რამ აუწერიათ, ეს ხომ ჩვენია? განა ამისთანა რამეს აქვეყნებენ? მერე რას იტყვიან უცხოელები? ნუთუ სასიამოვნოა საკუთარ თავზე სხვისი

ცუდი აზრი მოისმინოს კაცმა? იქნებ ჰგონიათ, რომ ეს მტკივნეული არ იყოს ჩვენთვის? იქნებ ჰგონიათ, ჩვენ პატრიოტები არა ვართ?» ასეთ ბრძნულ შენიშვნებზე, განსაკუთრებით უცხოელთა წარმოდგენაზე ჩვენს შესახებ, უნდა ვაღიარო, ვერაფერს მოვახერხებ საპასუხოდ; თუმცა აი, რისი თქმა შეიძლება: რუსეთის ერთ მიყრუებულ კუთხეში ცხოვრობდა ორი მოსახლე. ერთი იყო ოჯახის მამა, სახელად კიფა მოკიევიჩი, მეტად წყნარი ხასიათის ადამიანი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს უდარდელად ატარებდა. ოჯახს ოდნავადაც არ აქცევდა ყურადღებას; უფრო გონება-ჭვრეტით იყო გართული და, როგორც თვითონ ამბობდა, შემდეგი ფილოსოფიური საკითხი აწუხებდა: «ავიღოთ, მაგალითად, მხეცი, – ამბობდა იგი და თან ოთახში ბოლთას სცემდა; – მხეცი შიშველი იბადება. მაგრამ რატომ უნდა დაიბადოს შიშველი? რატომ ისე არ იბადება, როგორც, ვთქვათ, ფრინველი, თუნდაც კვერცხის ნაჭუჭიდან? რა საოცარი რამაა: მართლაც, ამ ბუნებას სულ ვერაფერს გაუგებ, რაც უფრო მეტს ჩაუფიქრდები!» აი რაზე ფიქრობდა მოსახლე კიფა მოკიევიჩი. მაგრამ ეს არაა მთავარი. მეორე მოსახლე გახლდათ მოკი კიფოვიჩი, მისი ღვიძლი შვილი. მისთანა კაცს რუსეთში დევგმირს უწოდებდნენ. ჰოდა, იმ დროს, როდესაც მამამისი თავს იმტვრევდა მხეცის შიშვლად დაბადების საკითხზე, ამ ჭაბუკის ოცი წლის ბუნება სულ ფართოდ და ფართოდ შლიდა მხარ-ბეჭს. ვაი იმას, ვისაც წაეტანებოდა: ან ვინმეს ხელს მოუფშვნეტდა, ან ცხვირზე უზარმაზარ ბუშტს წამოუსკუპებდა. შინ თუ მეზობლებში, დაწყებული ეზოს კარის გოგოებით და გათავებული ეზოს ძაღლებით, ყველანი თანაბრად გაურბოდნენ, რაწამს თვალს მოჰკრავდნენ ხოლმე; თვით საკუთარი საწოლიც კი სულ ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ასეთი გახლდათ მოკი კიფოვიჩი, თუმცა გულით მეტად კეთილი იყო. მაგრამ არც ესაა მთავარი. მთავარი აი რა გახლავთ: «მოგვხედე, ბატონო კიფა მოკიევიჩ, – მიმართავდა ხოლმე შინაური თუ გარეშე, – ეს რა ღვთის რისხვა მოგვევლინა თქვენი მოკი კიფოვიჩის სახით? აღარავის მოსვენებას არ აძლევს, ისეთი აბეზარი ვინმეა!» – «მართალი ბრძანებაა, გიჟმაჟი ბიჭია, გიჟმაჟი, – უპასუხებდა ჩვეულებრივ მამა, – მაგრამ რას ვიზამ. ვცემო, უკვე გვიანაა, თანაც ყველანი მე გამამტყუნებენ, რა მკაცრი მამა ყოფილაო. ის კი თავმომწონე ბიჭია, ერთი-ორთან რომ შევარცხვინო, მოიშლის, მაგრამ უბედურება ისაა, ხმა დაირხევა, ქალაქი გაიგებს, ყველა ძაღლად მონათლავს! მერე როგორ გგონიათ, მე მისთვის გული არ შემტკივა თუ? განა მშობელი მამა არა ვარ? რადგანაც ფილოსოფიით ვარ გართული და ზოგჯერ არაფრისთვის არ მცალია, განა მამობაზეც ხელი ავიღე? უკაცრავად, ვერ მოგართვით, მე მამა ვარ, მამა! ეშმაკსაც უზიდნიხართ, მამა-მეთქი! მე ჩემი მოკი კიფოვიჩი აი აქ მიზის, გალში! – აქ კიფა მოკიევიჩი გულში ხელს იცემდა და თანდათან უფრო ეშხზე მოდიოდა: – თუ მაინცდამაინც ძაღლად დარჩება, დაე, ჩემი მხრით ნუ გახმურდება, მე არ გავცემ მას». აი ასეთი მამობრივი გრძნობების გამოჩენის შემდეგ იგი მოკი კიფოვიჩს ნებას აძლევდა, რომ თავისი საქმენი საგმირონი კვლავაც განეგრძო, თვითონ კი ისევ თავის საყვარელ საგანს უბრუნდებოდა და თავის თავს ამას ჰკითხავდა: «ახლა, ვთქვათ, სპილო რომ კვერცხიდან გამოჩეკილიყო, მაშინ ხომ ნაჭუჭი ისე სქლი იქნებოდა, ზარბაზანიც ვერ მოერეოდა, საჭირო იქნებოდა ახალი ცეცხლმფრქვევი სასროლი იარაღის გამოგონება». ასე ატარებდა დროს ამ მშვიდი კუთხის ორი მცხოვრები, რომლებმაც სრულიად მოულოდნელად, თითქოს ფანჯრიდან გამოიხედეს ჩვენი პოემის დასასრულში. გამოიხედეს იმიტომ, რომ მოკრძალებით უპასუხონ საყვედურზე ზოგიერთ ცხარე პატრიოტს, აქამდე რომ არხეინად მოკალათებული სხედან და სიბრძნის ჯარას

ატრიალებენ, ანდა საყვარელი სამშობლოს ხარჯზე ჯიბეს ისქელებენ და იმაზე კი არ ფიქრობენ, ცუდი არაფერი ჩაიდინონ, არამედ იმაზე, რომ ვინმემ კრინტი არ დასძრას, ისინი ცუდს სჩადიანო. მაგრამ არა, არც პატრიოტიზმი და არცთუ პირველი გულისთქმაა მთავარი მიზეზი მათ მიერ ნატყორცნი ბრალდებისა. სულ სხვა რამ იმალება ამ ბრალდებაში, რა საჭიროა მიჩქმალვა? ვინ, თუ არა ავტორმა უნდა თქვას ხალასი სიმართლე? თქვენ გეშინიათ თქვენდამი დაკვირვებით მოპყრობილი თვალისა, გეშინიათ თქვენ თვითონ ღრმად ჩახედოთ რაიმეს, თქვენ გიყვართ ყველაფერს დაუფიქრებლად შეავლოთ თვალი. თქვენ შეიძლება გულიანად გადაიხარხაროთ ჩიჩიკოვზე, იქნება შეაქოთ კიდეც ავტორი და თქვათ: «შეხეთ ერთი, რა მარჯვედ შეუნიშნავს ზოგი რამ, ჩანს, მხიარული გუნების კაცი ყოფილაო!» და მერე გაორკეცებული სიამაყით გადაიტანოთ ფიქრი საკუთარ თავზე, თვითკმაყოფილების ღიმილით გაგებადროთ სახე და დაუმატოთ: «უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთ პროვინციაში მართლაც მეტად უცნაური და სასაცილო ხალხია, თანაც გაიძვერა და თაღლითიო!» მაგრამ ვინაა თქვენში აღსავსე ქრისტიანული მორჩილებით, რომ გაუხმაურებლივ, მარტოობაში, თავის თავთან საუბრის დროს საკუთარ გულში ჩაიხედოს და ეს მძიმე საკითხი წამოაყენოს: «ჩემშიც ხომ რაიმე არ არის ჩიჩიკოვისაო?»რა ბრძანებაა, ამას როგორ ჩაიდენს! მაგრამ აბა ერთი ამ დროს ვინმე ნაცნობმა გვერდით ჩამოუაროს, რომელიც ხარისხით არც იმაზე მეტია, არც ნაკლები, იგი დაუყოვნებლივ თავის მეზობელს გვერდში ხელს წაჰკრავს და თითქმის სიცილით წასჩურჩულებს: «შეხედე, შეხედე, აგერ ჩიჩიკოვი, ჩიჩიკოვი მოდის!» შემდეგ დაივიწყებს ყოველგვარ ზრდილობას, წოდებას, თანამდებობას და წლოვანებას, ბავშვივით უკან გამოეკიდება და დაუწყებს კიჟინს, რომ გაახელოს უბედური: «ჩიჩიკოვ! ჩიჩიკოვ! ჩიჩიკოვ!»

მაგრამ ჩვენ, მგონი, მეტისმეტად ავიმაღლეთ ხმა, ის კი დაგვავიწყდა, რომ ჩვენს გმირს, რომელიც ამ მოთხრობის დროს მაგრად ეძინა, უკვე გამოეღვიძა და ადვილად შეუძლია გაიგონოს ასე ხშირად განმეორებული თავისი გვარი. იგი ძალიან აზიზი ადამიანი გახლავთ და დიდად სწყინს, როდესაც მის სახელს უპატიოდ იხსენიებენ. მკითხველისათვის რათქმა უნდა, არაფერია, გაუჯავრდება ჩიჩიკოვი თუ არა, მაგრამ რაც შეეხება თვით ავტორს, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეჩხუბოს თავის გმირს: მათ ცოტა გზა როდი აქვთ გასავლელი, კიდევ დიდხანს მოუხდებათ ხელჩაკიდებით სიარული; ორი დიდი ნაწილი კიდევ წინ გვიდევს, – ეს კი უბრალო ჩხირკედელაობა არ გეგონოთ!

– ეჰეი! რა გემართება? – შეუძახა ჩიჩიკოვმა სელიფანს, – შენ გეუბნები, რა გემართება-მეთქი?

– რაო? – იკითხა სელიფანმა მძიმედ.

– როგორ თუ რაო? შე ბატო, შენა! როგორ მიხვალ? აბა, შეახურე ცხენები, შეახურე!

მართლაც დიდი ხანია, რაც სელიფანს რული მორეოდა, ჟამიდან ჟამზე თუ გაახელდა თვალებს და გვერდზე სადავეებს გადაუტყაპუნებდა ასევე მთვლემარე ცხენებს; რაც შეეხება პეტრუშკას, ვინ იცის, რა ადგილს გადაუვარდა ქუდი, თვითონ კი წამოქცეულიყო

და თავი ჩიჩიკოვის მუხლს მიებჯინა, ასე რომ ამ უკანასკნელს მოუხდა წკიპურტით გამოეფხიზლებინა იგი. სელიფანი გამოერკვა, შავხალას რამდენჯერმე გადაუჭირა ზურგზე და დააოთხა, შემდეგ ყველას შოლტი გადაუტყლაშუნა და წვრილად, გაბმით დასძახა: « ნუ გეშინიათ, აქა ვარ!» ცხენებიც გამოცოცხლდნენ და მსუბუქი ბრიჩკა ბუმბულივით გაიტაცეს. ახლა სელიფანი მხოლოდ შოლტს ატყლაშუნებდა, მისჭყიოდა: «აბა, ჰე, აბა, ჰე! გაფრინდითო», და როდესაც ეტლი აღმართ-დაღმართ გზაზე ხან მაღლა მიფრინავდა, ხან დაბლა ეშვებოდა, ისიც ხან ხტებოდა და ხან ნელა დაეშვებოდა კოფოზე. ჩიჩიკოვს სახეზე ღიმილი უკრთოდა, როცა ეტლში ტყავის ბალიშზე შექანდებოდა ხოლმე, ვინაიდან უყვარდა სწრაფად ქროლა, ან კი რომელ რუსს არ უყვარს სწრაფად ქროლა? განა მის სულს, რომელსაც ასე უყვარს თავბრუდამხვევი, თავაწყვეტილი ღრეობა, ზოგჯერ თქმაც: «ეჰ, მეწყერსაც წაუღია ყველაფერიო!» შეიძლება არ უყვარდეს იგი – ეგზომ აღმტაცებელი და მომხიბლავი? ასე გგონია, რაღაც უცნაურმა ძალამ ფრთაზე შეგისვა, შენც მიჰფრენ და ყოველივე მიჰფრენს შენთან ერთად: მიჰფრენს მანძილის მაჩვენებელი ბოძები, მიჰფრენენ კიბიტკების კოფოებზე შემსხდარი შემხვდური ვაჭრები, მიჰფრენს ორსავე მხარეს გადაჭიმული ფიჭვნარისა და ნაძვნარის დაბურული ტყე, სადაც ცულის კაკუნი და ყვავების ჩხავილი ისმის, მიჰფრენს მთელი ეს გზა სადღაც შორს, უსასრულო სივრცში, და არის რაღაც შიშისმომგვრელი ამ სწრაფ ქრიალში, როცა საგნები ვერც კი ასწრებენ გამოსახვას, ისე ჰქრებიან, მხოლოდ თავზე გადმოხურული ცა, მსუბუქი ღრუბლები და იქიდან მოკიაფე მთვარე გეჩვენება უძრავი. ეეჰ, ტროიკა! ჩიტივით მფრინავო ტროიკა, ნეტა ვინ გამოგიგონა? უთუოდ მამაც ხალხში უნდა იყოს გამოგონილი იმ მიწა-წყალზე, რომელსაც არ უყვარს ხუმრობა და ნახევარი დედამიწის ზურგზე გაშლილ-გადაჭიმულა. აბა, მოდი და მოჰყე ზედ მანძილის მანიშნებელი ბოძების თვლას, ვიდრე თვალი არ აგიჭრელდება. თითქოსდა რა, უბრალო ნახელავია ეს საგზაო მოწყობილობა, რკინის ხრახნებით როდია გამაგრებული, – სახელდახელოდ, ნაჯახითა და საჭრეთლით გამოუჭრია და გაუმართავს იგი რომელიღაც იაროსლაველ ხელმარჯვე გლეხს. მეეტლეც გერმანულ ბოტფორტებში როდია გამოწყობილი: თავისი ვეებერთელა წვერითა და ხელჯაგებით, ეშმაკმა უწყის, რაზე ზის, მაგრამ საკმარისია წამოიწიოს, შოლტი გაატყლაშუნოს და სიმღერა წამოიწყოს, რომ ცხენებმა ქარივით გაჰქროლონ, თვლების მანები ერთ მთლიან წრედ იქცეს. მიწა შეინძრეს და გულგახეთქილმა ქვეითმა მგზავრმა შეჰკივლოს, ის კი მიჰქრის და მიჰქრის! და აგერ უკვე შორს მოჩანს, როგორ ბურღავს ჰაერს და მტვრის კორიანტელს აყენებს.

განა შენც ასე სწრაფ, მიუწევარ ტროიკასავით არ მიქრიხარ, რუსეთო? შენს ფერხთაქვეშ კვამლივით იბოლება გზა, დგანდგარებს ხიდები, ყოველივე უკან გრჩება, ყოველივეს უკან იტოვებ. შეჩერდა განგების სასწაულით გაოცებული მჭვრეტელი: ეს ელვა ხომ არ არის ციდან ჩამოსრიალებული? რას ნიშნავს ეს თავზარდამცემი სრბოლა? ან რა უცნობელი ძალა ჩაბუდრებულა ქვეყნიერებაზე ჯერ არნახულ ამ ცხენებში? ჰოი, ცხენებო, ცხენებო! ქარიშხალი ხომ არ ბობოქრობს თქვენს ფაფარში? მახვილი ყური ხომ არ გამოგბიათ ყოველ ძარღვში? მოჰკრეს თუ არა ყური მაღლიდან ნაცნობ სიმღერას, ერთბაშად მწყობრად დაძაბეს რკინის გულმკერდი და მიწაზე ფლოქვდაუკარებლივ, ლარივით გაჭიმულნი მიქრიან ჰაერში, მიქრიან ღვთით შთაგონებულნი!.. საით მიქრიხარ, რუსეთო? მიპასუხე. პასუხს არ იძლევა. გულისმიმტაცად გაისმის ზანზალაკის წკრიალი; გრიალებს

ქარადქცეული დაფლეთილი ჰაერი; მიქრის და უკან რჩება ყოველივე, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და გზას უთმობენ, განზე დგებიან ცერად მაცქერალი სხვა ხალხნი და სახელმწიფონი.